О. И. КАХАДЗЕ

АРЧИБСКИЙ ЯЗЫК И ЕГО МЕСТО СРЕДИ РОДСТВЕННЫХ ДАГЕСТАНСКИХ ЯЗЫКОВ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1979

ოტია კახაძე

არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1979

4С (Даг)
4094 6
ქ 371

შრომაში განხილულია დაღესტნის ერთ-ერთი უმწერლობო ენის — არჩიბულის, სტრუქტურისა და ისტორიის ძირითადი საკითხები. იგი შეიცავს ფონეტიკური სისტემისა და ფონეტიკურ ცვლილებათა ანალიზს, ლექსიკური ჯგუფების სემანტიკურ დახასიათებას, სიტყვაწარმოებას, სახელისა და ზმნის ძირითად მორფოლოგიურ კატეგორიათა დაწვრილებით ანალიზს.

ნაშრომში სპეციალურადაა განხილული საკითხი არჩიბული ენის ადგილის თაობაზე მონათესავე ენათა შორის.

შრომას ერთვის ტექსტები.

რედაქტორი არნ. ჩიქობავა

К $\frac{70103-000}{М\ 607\ (06)-79}$ 98—79 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1979

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს არჩიბული ენის სტრუქტურისა და ისტორიის ძირითადი საკითხების კვლევას. მასში წარმოდგენილია ფონეტიკური სისტემისა და ფონეტიკური ცვლილებების ანალიზი, ლექსიკური ჯგუფების სემანტიკური დახასიათება, სიტყვაწარმოება, გამოკვლეულია სახელისა და ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, სპეციალურადაა განხილული საკითხი არჩიბული ენის ადგილის თაობაზე მონათესავე ენათა შორის.

შრომა ემყარება ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებასა და მივლინებათა დროს არჩიბის სხვადასხვა უბნის მცხოვრებთაგან ჩაწერილ ტექსტებს (მივლინებები მოწყობილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ - 1952, 1954-1955, 1958-1960, 1962 წწ.). ნაშრომი ძირითადად დამთავრებული იყო 1966 წ. მისი ცალკეული ნაწილები მოხსენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას 1964-1966 წწ.

არჩიბული ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი განხილულია წერილებში, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა 1958 წლიდან, და სამეცნიერო სესიებზე წაკითხულ მოხსენებებში, რომელთა თეზისები გამოქვეყნებულია.

ჩვენი ძირითადი ინფორმატორი და დამხმარე იყო მაჰომედ მუსაევი, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ყველა ის პირი, ვინც ხელს გვიწყობდა და გვეხმარებოდა არჩიბულ ენაზე მუშაობის დროს, განსაკუთრებით კი ინფორმატორები: ჰ.მუსაევი (ხიტაბი), ფ.აბდულაევი (ხილიხი),

ჯ.საგიროვი (ყუბაკლი, ალჩუნიბი), ჰ.ჯალამხანოვი (ხურე), ჰ.ჰუ-სეინოვი (ყამალიბი), ფ.გაჯიხანოვი (კალიბი), ტ.კაშიმოვა, ფ.ბი-ლიალოვა (ხურე), ჯ.მუსაევა, ჰ.მუსაევა, გ.ჰაინუცინოვა, ბ.აბდულ-რახმანოვა, მ.ბადავიევი, ს.მამედოვი, ს. ჰაშიმოვი (ხიტაბი), ს.ისაევი (ალჩუნიბი), ნ.ისაევი (ყუსურა), გ.ბეგოვი და სხვ.

П Р Е Д И С Л О В И Е

В предлежащей работе исследованы основные вопросы структуры и истории одного из бесписьменных иберийско-кавказских языков Дагестана - арчибского. В работе дан анализ фонетической системы и фонетических процессов, представлена семантическая характеристика основных лексических групп, изучены морфологические категории имен и глаголов, специально рассмотрен вопрос о месте арчибского языка среди других родственных дагестанских языков.

Работа основывается на материалах, собранных автором в ауле Арчиб (resp. Хере) и его выселках (Хитаб, Калиб, Кубакл, Алчуниб, Кесера, Хилих, Кашалиб) во время командировок, организованных (летом 1952, 1954-1955, 1958-1960, 1962 гг.) Институтом языкознания АН ГССР. Она в основном была закончена в 1966 г.

Нашим главным информатором и помошником в деле изучения арчибского языка был Магомед Мусаев, которому приносим глубокую благодарность. За помощь в работе над арчибским языком выражаем искреннюю благодарность также информаторам: Г.Мусаеву, Ф.Абдуллаеву, Ж.Сагирову, Г.Жаватханову, Г.Гусейнову, П.Гажиханову, Ж.Мусаевой, Т.Кашимовой, Х.Мусаевой, П.Билиаловой, Б.Абдулрахмановой, З.Заинутиновой, М.Бадавиеву, С.Мамедову, С.Хашимову, С.Исаеву, Н.Исаеву, З.Бегову и др.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. მ ო კ ლ ე ც ნ ო ბ ე ბ ი ა რ ჩ ი ბ ე ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. არჩიბელები (არჩიბულარ – არშაშთხიბ) ცხოვრობენ დაღესტნის ასსრ ჭარადის რაიონის სოფ. არჩიბში. არჩიბ-ი ოფიციალური სახელწოდებაა იმ დასახლებული პუნქტისა, რომელსაც თვით არჩიბელები არშა-ს ეძახიან, ლაკები – არჩი-ს, ხუნძები კი – არჩიბსა და როჩიბ-ს.[1]

არჩიბი, რომელიც სამი კილომეტრით შორავს ხუნძების სოფ. ჩიტაბს და ხუთით – ლაკების სოფ. შალიბს, შედგება 8 უბნისაგან; ესენია: საკუთრივ არჩიბი (არჩიბულარ – არშა ანუ ხ'ერე), ხიტაბი (ლ'ათხა), კალიბი (კალა), ყუბაკლი (ყუბაკჰ), ალჩუნიბი (ალშუნნა), ყესერა (ყესხერა), ხილიხი (ხილიჯ) და ყაშალიბი (ყაშილლა).

ხერე გაშენებულია ძველი აულის (არჩიბის) ნანგრევების ძირში, მდინარე დაგ-ჰათარას მარჯვენა ნაპირზე, და წარმოადგენს არჩიბის ცენტრალურ უბანს. დანარჩენი უბნები მისგან დაშორებულია 200 მეტრიდან 5 კილომეტრამდე. ხერეს ზევით, დაგ-ჰათარას მარცხენა ნაპირზე, ალჩუნიბია, უფრო ზევით – ყუბაკლი. დაგ-ჰათარას მარჯვენა შენაკადის – ხილიხის წყლის ჩაყოლებით ხილიხი და ყაშალიბია, ხილიხის წყლის მარჯვენა შენაკადის ნაპირზე – ყესერა. დაგ-ჰათარას მარცხენა შენაკადის სათავეში კალიბია, ხოლო უფრო ქვემოთ – ხიტაბი.

არჩიბში სახლობს შვიდასამდე კაცი. დაახლოებით ორასამდე არჩიბელი ცხოვრობს დაღესტნის სხვა რაიონებსა და ქალაქებში, აგრეთვე – აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და სხვაგან.

არჩიბელების დედაენა არის არჩიბული ენა (არჩიბულარ – არშათხენ ჭათ). გარდა დედაენისა ბევრმა არჩიბელმა იცის ხუნძური,

---

1 Г.А. С е р г е е в а, Арчинцы, Москва, 1967.

ლაკური და რუსული. წინათ არჩიბში უფრო ლაკური იყო გავრცელებული, ახლა - ხუნძური. არჩიბელებს შორის არიან აზერბაიჯანულისა და კუმიკურის მცოდნენიც.

ყოფაცხოვრებითა და ტანსაცმლით არჩიბელები თითქმის არ განსხვავდებიან მეზობელი ხუნძებისა და ლაკებისაგან. მისდევენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. ჰყავთ ცხვრის დიდი ფარა და მსხვილფეხა საქონელი. თესავენ ქერს (მახა), ქერშველს (ბუყ), ხორბალს (ჭოჭოლ) და კარტოფილს (ო'რის ჭუიბ). ზოგიერთი მისდევს მეფუტკრეობასაც. მახლობელ რაიონებში ცნობილი არიან კალატოზობით. არჩიბელთა შორის გვხვდებიან მკალავებიც. არჩიბის კოლმეურნეობა ერთ-ერთი უმდიდრესია ჭარალის რაიონში. არჩიბში არის სოფსაბჭო, კოლმეურნეობის კანტორა, მეღუნქტი, კლუბი, ქოხ-სამკითხველო , რვაწლიანი სკოლა - ხურეში, და დაწყებითი - ალჩუნიბსა და ხილიხში. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ხუნძურ და რუსულ ენებზე. არჩიბელთა შორის არიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები.

2. არჩიბული ენის შესწავლის ისტორია. პ.უსლარის წერილში, რომელიც მან 1863 წლის 19 ოქტომბერს (ძველი სტილით) გაუგზავნა ა.შიფნერს, მოიპოვება პირველი ცნობები არჩიბული ენის შესახებ.[1]

არჩიბული ენის ლექსიკური მასალა, ფრაზები ("მეტყველების ნიმუშები") და მოკლე გრამატიკული მიმოხილვა ("გრამატიკული შენიშვნები") წარმოდგენილია რ.ერკერტის ნაშრომში.[2]

ფრაზები (ნაწ.II,გვ.51-56) და განსაკუთრებით ლექსიკური მასალა (ნაწ.I,გვ.23-203), შეკრებილი საანკეტო წესით, მოკლე-

---

1 П.К. Услар, Лак.яз., დამატება, გვ.5-12.

2 R.Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes. Wien, 1895.

ბულია სიზუსტეს. მიუხედავად ამისა რ.ერკერტის ნაშრომში წარმოდგენილ ამ ენობრივ მასალას გარკვეული მეცნიერული ღირებულება დღესაც აქვს... პ.უსლარის მცირე ლექსიკურ მასალასთან ერთად ის საინტერესოა, აგრეთვე, როგორც არჩიბულის ყველაზე ძველი დოკუმენტაცია.

მოკლე გრამატიკულ მიმოხილვაში (ნაწ.II,გვ.57-60) სწორადაა გამოყოფილი რიგი სახელური და ზმნური ფორმანტი. გარდა ამისა გამოთქმულია მოსაზრება არჩიბულის ადგილის თაობაზე მონათესავე ენათა შორის.

1908 წელს გამოვიდა არჩიბული ენის პირველი მონოგრაფია, რომელიც ა.დირს ეკუთვნის.[1] ნაშრომი შეიცავს: წინასიტყვაობას (გვ. I-VII), გრამატიკულ მიმოხილვას ("არჩიბული ენის ბგერათა შესახებ" - გვ.1-3; "მორფოლოგია" - გვ.3-95), ტექსტებს (გვ.96-123) და არჩიბულ-რუსულ ლექსიკონს (რუსულ-არჩიბული ინდექსით - გვ. 124-202; 203-227). მის მოკლე გადმოცემას წარმოადგენს არჩიბული ენის მიმოხილვა, დაბეჭდილი ა.დირისავე შემაჯამებელ ნაშრომში[2].

ა.დირის ნაშრომმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არჩიბული ენის შესწავლის საქმეში. ის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე იყო, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ძირითადი წყარო არჩიბული ენის კვლევისათვის.

ა.დირის დამხმარე იყო რამდენიმე ენის მცოდნე არჩიბელი მოჰამედ მოჰამედლიინ ლო ანუ მაჰომედ მაჰომედხანოვი. სხვა მთქმელები მას არ ჰყოლია. ენას ის არჩიბში არ სწავლობდა. ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ნაშრომის ზოგიერთი ხარვეზი, განსაკუთრებით

---

1 А. Д и р р, Арчинский язык. Грамматический очерк, тексты, сборник арчинских слов с русским к нему указателем, СМОМПК, в. 39, отд. III, Тифлис, 1908, VII + 227 (ამავე წელს გამოვიდა ცალკე წიგნად).

2 A. Dirr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928.

ბგერათა სისტემის აღწერისას (იხ.ქვ.), რამდენადმე ამ გარემოებითაც უნდა იყოს განპირობებული.[1]

არჩიბული ენის სტრუქტურისა და ისტორიის რიგი საკითხი განხილულია - ნ.ტრუბეცკოის, ჟ.დიუმეზილის, რ.ლაფონის, ევგ.ბოკარიოვის, ივ.ჯავახიშვილის, არნ.ჩიქობავას... ნაშრომებში.

სპეციალური წერილები მიუძღვნა არჩიბული ენის ბრუნებისა და უღვლილების საკითხებს ს.ხაიდაკოვმა.[2] მისივე წერილში არჩიბული ენის შესახებ[3] - მორფოლოგიურ საკითხებთან ერთად - მოკლედ განხილულია ფონეტიკის, ლექსიკისა და სინტაქსის საკითხებიც.

არჩიბულ ენას 1962-1965 წლებში სწავლობდა ყ.მიქაილოვი. მონოგრაფია არჩიბული ენის შესახებ[4], რომელიც წარმოადგენს ავტორის საკანდიდატო დისერტაციას, შეიცავს: წინასიტყვაობას (გვ.5), შესავალს (გვ.7-11), ფონეტიკას (გვ.12-38), მორფოლოგიას (გვ. 39-144), ტექსტებს რუსული თარგმანით (გვ.145-169), ტოპონიმიკურ მიმოხილვას (გვ.164-169) და არჩიბულ-რუსულ ლექსიკონს (გვ. 169-208).

წიგნს ახლავს რედაქტორის (ბ.გიგინეიშვილის) წინასიტყვაობა (გვ.3-4).

ნაშრომი აღწერითი ხასიათისაა, შეიცავს რიგ საინტერესო და-

----

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ.47-48; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965, გვ.276-277.

2 С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка. Изв.АН СССР,ОЛЯ,XXIУ,2,М., 1965, გვ.153-159; მისივე: О спряжении арчинского глагола. Уч.зап. Ин-та ИЯЛ Даг.филиала АН СССР, ХУ,М., 1965, გვ. 73-90.

3 С.М. Х а й д а к о в, Арчинский язык. Языки народов СССР, IУ, Иберийско-кавказские языки, М., 1967.

4 К.Ш. М и к а и л о в, Арчинский язык, Махачкала, 1967.

კვირვებას. დამოუკიდებელი ღირებულება აქვს არჩიბულ-რუსულ ლექსიკონს.

ამ ბოლო დროს არჩიბული ენის შესახებ წერილები გამოაქვეყნეს ა.კიბრიკმა და ს.კოძასოვმა.[1] დაიბეჭდა სამტომიანი მონოგრაფია.[2] ამ უკანასკნელისა და ორიოდე სხვა გამოკვლევის[3] გათვალისწინება - ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო - წინამდებარე ნაშრომში ვერ მოხერხდა.

---

1 А.Е. К и б р и к, О формальном выделении согласовательных классов в арчинском языке, ВЯ, Москва, 1972, №1, 124-131; А.Е. К и б р и к, Избранные главы арчинской грамматики в задачах, "Проблемы структурной лингвистики, 1972", Москва, 1973, 392-428; А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, Принципы фонетической транскрипции и транскрипционная система для кавказских языков, ВЯ, Москва, 1970, №6, 66-78.

2 А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, И.П. О л о в я н н и к о в а, Д.С. С а м е д о в, Опыт структурного описания арчинского языка, т.I-III, Москва, 1977.

3 А.Е. К и б р и к, Номинативная/эргативная конструкция и логическое ударение в арчинском языке. Сб. Исследования по структурной и прикладной лингвистике, Москва, 1975; Д.С. С а м е д о в, Некоторые вопросы лексики арчинского языка, Автореферат канд. диссертации, Москва, 1975; С.В. К о д з а с о в, Модель фонетической системы (на материале арчинского языка), Москва, 1976.

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

ხმოვანთა სისტემა

1. ხ მ ო ვ ა ნ თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა. არჩიბულს აქვს ხუთი სადა ხმოვანი:

ა, ე, ი, ო, უ.

ი და ე წინა რიგის ხმოვნებია, უ, ო, და ა – უკანა რიგისა. ყველაზე ფართოა ა, ყველაზე ვიწრო – ი და უ. საშუალო ღიაობისაა ე და ო.

უ და ო ლაბიალური ხმოვნებია, ი, ე და ა – არალაბიალური.

გარდა ამ ძირითადი ხმოვნებისა არჩიბულში ისმის მათი ფარინგალიზებული (და იშვიათად უმლაუტიზებული) ვარიანტებიც, რომელთაც დღეს ფონემატური ღირებულება, შეიძლება ითქვას, არა აქვთ; ფარინგალიზებული ხმოვნების ნაცვლად ზოგჯერ წარმოთქვამენ სადა ხმოვნებსაც და, პირიქით. ერთი სიტყვით, ფარინგალიზებული ხმოვნები ისევე, როგორც ფარინგალიზებული სპირანტები, კერძოდ, ხ‘ და ღ‘, დღეს არჩიბულში ჯერ კიდევ ისმის, მაგრამ ისინი ფონემები უკვე არ არიან; ყოველ შემთხვევაში, დღეს მათ დისტინქციური ფუნქცია თუ აქვთ, ის სრულიად უმნიშვნელო უნდა იყოს.[1]

ჩვეულებრივ ასეთი ხმოვნები გვხვდება ფარინგალურ და ფარინგალიზებულ (კხ[2], ხ‘...) თანხმოვანთა მეზობლობაში, მაგრამ გვაქვს ისეთი მაგალითებიც, სადაც ისინი ამ თანხმოვანთა მეზობლობის გარეშეც არიან წარმოდგენილი; მაგ.:

ნო‘მ "ცხენი", დო‘ზუბ "დიდი", ბა‘ბა‘რ "ლაპარაკობს", ბა‘კ "ყოჩი", მე‘ "სველი"; "წაქა"...

----

1 შდრ. К. М и к а и л о в, Арч.яз., 14-25, А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, Принципы фонетической транскрипции и транскрипционная система для кавказских языков, ВЯ, Москва, 1970, № 6,78.

2 А. Д и р р, Арч. яз., გვ.1.

ორიოდე მაგალითში დამოწმებულია ნ ა ზ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ხმოვნებიც:

საⁿდი//სანდი... "კუშინ", იⁿთიმაჲ "ტვინი"...[1]

ცალკე უნდა გამოვყოთ ƛ[2], რომელიც არჩიბულში ხმოვანთა რედუქციის ერთ-ერთ საფეხურს წარმოგვიდგენს:

ნƛში (← //ნიში ← ... *ნი'ში)[2] "ცხენმა", ბƛშორ ←//... ბიშორ "კაცი", მƛჰხამტ ← // მაჰხამტ "მუჰამედი", დაშƛრი ←// დაშირი "საით?" წƛხთხიმუ ← //წითხიმუ "ქურდმა", მარხƛლა ← // მარხალა "თოვლი", იბსთხƛლი ← //იბსთხილი "დამდგარა", ევდƛლი ← //ევდილი "ყოფილა", თაბƛრზან ← //თაბურზან "ცული", ჲატƛნƛრ ← ჲატუნურ "წითელი", შƛთხიში ← //შეთხიში "ჩიტაბში", "ჩიტაბად", ჲათხƛრსი ← // ჲათხირსი... "მაკრატელი", ჲათხƛში ← // ჲათხიში "ზევით", აბთხƛლი ← // აბთხილი "გაუშვია"...

2. ხ მ ო ვ ნ ი ს მ ა გ ა რ ი შ ე მ ა რ თ ვ ა. არჩიბულში ისევე, როგორც რიგ მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენაში[3], თავკიდური ან ცალკე წარმოთქმული ხმოვანი იწყება მაგარი შემართვით.

მაგარი შემართვა ხმოვანს შეიძლება ჰქონდეს სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, მაშინ, როდესაც თავი უნდა მოიყაროს ორმა სრულმა ხმოვანმა (ჰიატუსი), რაც არჩიბულისათვის არ არის დამახასიათებელი. ასეთ დროს მაგარი შემართვით იწყება მომდევნო ხმოვანი[3]: მუ-ყი ქალის სახელი...

---

1 ა. დირი, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

2. ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში, იკე, XIII, 1962, გვ. 349-350; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, 1967, გვ. 16, 17-18.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, გვ. 23-24; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, თბილისი, 1965, გვ. 11-12...

3. დ ი ფ თ ო ნ გ ე ბ ი დ ა ტ რ ი ფ თ ო ნ გ ე ბ ი. ნახევარხმოვნები ვ[1] (= ŷ) და ჲ მომდევნო ან წინამავალ სრულ ხმოვნებთან (ა, ი, ე, ო, უ) ქმნიან დიფთონგებს.

ა ღ მ ა ვ ა ლ დ ი ფ თ ო ნ გ თ ა გ ა ნ არჩიბულში გვხვდება – ვა (ბუვა "დედა", ვართი "ნაბადი"), ვე (მიც: ვებ "მე", ვერმხას "სირბილი"), ვი (ვილ' "შვილი", დივინ "ნოხი"), ვუ (ლ'იბოვუ "სამივე", ყ'ვეროვუ "ორივე")... ჲა (დიჲა "მამა", ჲამ "მგელი"), ჲე (ჲებ "ესენი, ჲემიბ "ეგენი"), ჲუ (ჲურლან "საბანი")... დ ა მ ა ვ ა ლ თ ა გ ა ნ – ავ (ავ "გააკეთა", ავკუ "დანიშნეს"), ევ(ევდი "იყო", ევქას "ჩამოვარდნა")... აჲ (ჩაჲ "ჩაი", ლობურჩაჲ "გავშვებმა"), ეჲ (ეჲთხურ "დედა"), ოჲ (ოჲ "ყური") ...

გარდა დიფთონგებისა არჩიბულში ვხვდებით ტრიფთონგებსაც: ჲეჲ, ვევ, ჲავ//ჲოვ... (ერგ.ჲეჲმაჲ "ამათ", ყ'ვევმუ "ორმა", სახ.ჲავ "ეს", ერგ.ჲოვმეჲტუ "სწორედ ამან"...).

4. მ ა ხ ვ ი ლ ი. არჩიბულში გვაქვს საკმაოდ ძლიერი მოძრავი დინამიკური მახვილი, რომელიც გარკვეულ პირობებში მეზობელ ხმოვნებში იწვევს სხვადასხვა ხასიათის ცვლილებებს. ის შეიძლება შეგვხვდეს როგორც ფუძისეულ (ბომრ́ "კაცი", მა́რხლა "თოვლი"...), ისე ფორმანტისეულ ხმოვნებზე (ნიშ-ი́ "ცხენმა", კასხ-ა́ "დანამ"). მახვილიანი ხმოვანი ზოგჯერ გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს (დრ̋ზურ "დიდი", ნო́'შ "ცხენი"...).

თანხმოვანთა სისტემა

5. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა. არჩიბული ენის თანხმოვანთა აღსანიშნავად ა.დირს გამოყენებული აქვს 49

---

1 წ ყ ვ ი ლ ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი ŷ ნაშრომში ყველგან აღნიშნულია ვ ნიშნით. კ ბ ი ლ ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი მჟღერი სპირანტი არჩიბულს არა აქვს.

ნიშანი. აქედან ზედმეტია შვიდი: χ-სა და ħ-ს აღმნიშვნელი ასოები, აგრეთვე – Ц̲ (Ц ხაზით), Ч̲ (Ч ხაზით) და თავისებური ც-სა და ს-ს გამომხატველი ორი ნიშანი. ესენი არ გამოხატავენ არჩიბულში არსებულ რეალურ ბგერებს. ჯერ კიდევ ტრუბეცკოიმ შენიშნა, რომ χ ამ ენას არ მოეპოვება[1] და ის არჩიბული ენის თანხმოვანთა ტაბულაში არ შეიტანა[2]. უფრო გვიან ტრუბეცკოის ეს მიხვედრა არჩიბული ენის ბგერით სისტემაზე უშუალო დაკვირვებამ სავსებით დაადასტურა.[3] და მაინც, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ა.დირის ერთადერთი მთქმელი მაჰომედ მაჰომედხანოვი, რომელიც, როგორც ცნობილია, "ნამდვილი პოლიგლოტი" იყო, χ-ს[4] და, შეიძლება, ħ-საც გამოთქვამდა. რამდენიმე ენაზე მოლაპარაკე ამ ადამიანის მეტყველების თავისებურება, უფრო ზუსტად, მისი რამდენადმე თავისებური ბგერითი სისტემა უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, ძირითადად მიზეზი იმისა, რომ ა.დირს არჩიბულისათვის დასჭირდა Ч̲ (Ч ხაზითა) და Ц̲ (Ц ხაზით) ნიშნების შემოტანა[5]. მაგარი ფშვინვიერი აფრიკატები ჩბ და ცბ არჩიბულში თითქმის არასოდეს არ ისმის. არა გვაქვს ამ ენაში არც ე.წ. გემინირებული (პრერუპტივი) აფრიკატები. რაც შეეხება ჭბ-სა და წბ-ს, უმთავრესად მეორეს, ის ხუნძურის მცოდნე

---

1 იხ.მისი: Nordkaukasische Wortgleichungen, Wien, 1930, გვ.89.

2 მისივე: Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, Caucasica, fasc.8, Leipzig, 1931, გვ. 1–32.

3 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, იკე, IX–X, 1958, გვ.342.

4 იქვე, გვ.342.

5 ა.დირის ცნობით მ.მაჰომედხანოვი თავისუფლად ლაპარაკ[illegible] ლაკურად, ხუნძურად და აღულურად, ფლობდა კუმიკურ და არაბულ ენებს, ამავე დროს საკმაოდ კარგად იცოდა რუსულიც. ცხადია, მისთვის, როგორც არაბულის კარგი მცოდნისათვის, უცნობი არ იქნებოდა χ, ხუნძური მაგარი აფრიკატები –ჩბ,ცბ,წბ,ჭბ, ლაკური და აღულური გემინირებული აფრიკატები და ფარინგალური სპირანტი ħ, რომელიც გვხვდება ხუნძურშიცა და აღულურშიც.

არჩიბელთა მეტყველებაში (ხუნძურად ან ლაკურად კი თითქმის ყველა არჩიბელი მეტყველებს) იშვიათად (განსაკუთრებით ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმისას: წხეჲ//წაჲ "თხა") შეიძლება მართლაც გაიგონოთ, მაგრამ როგორც ხუნძური მაგარი წხ-ს გავლენით ენერგიულად წარმოთქმული არჩიბული წ-ს ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტი. როგორც ვხედავთ, არჩიბულს არ გააჩნია არც მაგარი მკვეთრი აფრიკატები ჭხ და წხ.[1] ა.დირის ц (ц ხაზით) და ч (ч ხაზით), რომელნიც ამ მაგარი აფრიკატების აღსანიშნავად იყო ნაგულისხმევი, სინამდვილეში არამაგარ წ-სა და ჭ-ს გამოხატავენ და თვითონ მაგალითში - ინტერვოკალურ პოზიციაში ინტენსიურად წარმოთქმულ, ჩვეულებრივ ც-სა (гӏwaці[2] = გვაცი "ცხენი"...) და ჩ-ს (гӏwачі = გვაჩი "ძაღლი"...) აღნიშნავენ. ამიტომ ч(=ჭხ) და ц (= წხ)ч́ -სა (= ჭ-ს) დაц́ -ს (= წ-ს) გვერდით არჩიბულ ბგერათა გამოსახატავად ხმარებულ სატრანსკრიფციო ნიშნებში სრულიად ზედმეტი ჩანს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. არჩიბულში არის მხოლოდ არამაგარი კ. ა.დირი მას აღნიშნავს არაḱ ნიშნით, როგორც მოსალოდნელი იყო (შდრ.ц́= წ, ч́ =ჭ), არამედ к -თი (შდრ.ц=წხ, ч = ჭხ), ე.ი. იმ ნიშნით (к ხაზით), რომლითაც სხვა ენებში მაგარი კხ აქვს გამოხატული. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, ისევ მისი მთქმელის წარმოთქმაში უნდა ვეძიოთ. როგორც ჩანს, ის კ-ს წარმოთქვამდა ამ ენისთვის არადამახასიათებელი ინტენსივობით, მაგრად, თითქმის ისე, როგორც ხუნძურ მაგარ კხ-ს.

---

1 შდრ. К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., გვ. 22, შდრ. …, Рефлексы аварских абруптивных аффрикат в ар…эм, Ученые записки Инс-та ИЯЛ им. Г.Цадасы Даг.фил. …ССР, XУIII, Махачкала,1968, 201-212; С.М. Х а й д а к о в, Арч.яз., 609; შდრ. А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, Принципы фонетической транскрипции и транскрипционная система для кавказских языков, ВЯ, 1970, № 6,78.

2 ამ მაგალითებში არ უნდა იყოს გამორიცხული არც ლაკურის გავლენა; შდრ. ლაკ. ქხაჩხი "ძაღლი", ქხაცხა "ჭაკი".

სრულიად ზედმეტი ჩანს აგრეთვე ორი ნიშანი ც-ს აღსანიშნავად და ორი ასო უმარცვლო უ-ს (ჳ̂) გამოსახატავად. ასევე არ წარმოგვიდგენს რეალურად არსებულ ვითარებას ინტენსიური (სъ) და არაინტენსიური (ს) ს-სათვის სამი ნიშნის ხმარება (c, ç̱, ç).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ შემთხვევაში ა.დირისათვის არჩიბული გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამნაირადვე გამოხატავს ის ანდიურ ს-საც. "სინამდვილეში არსებული ორი ს-სათვის..., - წერს ილ. ცერცვაძე, - ა.დირი სხვადასხვა სიტყვებში სამ სხვადასხვა ნიშანს ხმარობს (c, ç̱, ç)"...[1], "რომელთაგან პირველი მათგანი ნახმარია ყოველთვის არამაგარი ს-სათვის, ხოლო ორი უკანასკნელი - ხან არამაგარი ს-სათვის, ხან მაგარი სъ-სათვის"[2].

სხვა მდგომარეობაა ὴ-სთან. ა.დირს ამ ერთი ნიშნით გამოხატული აქვს ასიმილაციის გზით მიღებული ორი სხვადასხვა ბგერა - მჟღერი ლატერალური აფრიკატი გъ და პრერუპტიული ქъ.[3] აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ა.დირი, რომელიც ლატერალური თანხმოვნების აღსანიშნავად იყენებს პ.უსლარის მიერ ნახმარ ნიშნებს (η, ή, η̋, ɲ), ή ნიშნით გამოხატავს არა გემინირებულ ფშვინვიერ სპირანტ ლ'ъ-ს, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ფშვინვიერ ლატერალურ აფრიკატ ლ'-ს და, პირიქით, η̋ ნიშნით აღნიშნული აქვს არა ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი ლ', არამედ გემინირებული ფშვინვიერი სპირანტი ლ'ъ.[4]

ამრიგად, ა.დირის მიერ არჩიბული ენის თანხმოვანთა აღსანიშნავად გამოყენებულ 49 ნიშნიდან მხოლოდ 42 ნიშანი გამოხატავს რე-

---

1 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, 1965, გვ.37.

2 იქვე, გვ.37, შენიშვნა 4.

3 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ, იკე, XI, 1959, გვ.303.

4 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, დასახ.ნაშრ., გვ.304; იხ.აგრეთვე, N.Trubetzkoy, Die "kurzen" und "geminierten" Konsonanten der awaro-andischen Sprachen, Caucasica, fasc.3, Leipzig, 1926, გვ.16, §12, A.

ალურად არსებულ 43 თანხმოვანს, რომელთაგან ორი ბგერა (გჸ და ქჸ), მიღებული კ ო მ ბ ი ნ ა ტ ო რ უ ლ ი გზით, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ა.დირს აღნიშნული აქვს ერთი ნიშნით (ή).

თუ ა.დირმა პირველმა იხმარა არჩიბული ენის თანხმოვანთა აღსანიშნავად ერთიანი ტრანსკრიფცია, ნ.ტრუბეცკოი პირველი იყო, რომელმაც მონათესავე ენების სათანადო ფაქტების გათვალისწინებით - ა.დირის არჩიბული მასალების საფუძველზე - წარმოგვიდგინა ამ ენის თანხმოვანთა დახასიათება და მათი პირველი ტაბულა.

ნ.ტრუბეცკოი არჩიბულში 45 თანხმოვანს გამოჰყოფს. ის ფიქრობს, რომ ამ ენაში მოიპოვება მაგარი აფრიკატები წჸ (·c̨), ჭჸ (·č̨) და ჩჸ (·č). ა.დირი, როგორც აღნიშნავს ნ.ტრუბეცკოი, ხშულებში (მსკდომებში) განარჩევს ძლიერ Tenues ორ ფონეტიკურ ვარიანტს - გრძელსა და მოკლეს (შდრ. ПП–П, ТТ–Т, КК–К), მაგრამ ნ.ტრუბეცკოისავე აზრით ა.დირს ეს არ გამოუდის ჩჸ-სათვის (·č), რომელსაც ის ხან Ч-თი (ჩ-თი) აღნიშნავს, ხან Ч̲-თი (ჭჸ-თი). მისივე თქმით, ა.დირი Ц-ს (ც-ს) სწორად გადმოსცემს ანლაუტში, აუსლაუტსა და თანხმოვნის წინ, მაგრამ ხმოვნების შემდეგ - ინლაუტში - ურევს მას ძლიერ წჸ-ში (·c̨ -ში).[1]

ა.დირის ტრანსკრიფციაში არსებული შეუსაბამობანი, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ამ შემთხვევაში უფრო მთქმელის მეტყველების თავისებურებებით უნდა აიხსნას, ვიდრე სხვა რამით.[2] ამის გათვალისწინება მთელი თავისი სისრულით ნ.ტრუბეცკოის, ბუნებრივია, არ შეეძლო. ამიტომ ის მონათესავე ენათა ჩვენების საფუძველზე შეეცადა, ა.დირის ტრანსკრიფციაში არსებული შეუსაბამობანი აეხსნა და მოეწესრიგებინა. სწორედ ამ ნიადაგზე გაჩნდა მის სატრანსკრიფციო

---

1 იხ. N.Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, გვ. 43; მისივე, Die "kurzen" und "geminierten" Konsonanten der awaro-andischen Sprachen, გვ. 7-36.

2 იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ.47-48.

ნიშნებში ·ჩ̈ (ჩა), ·ჯ̈ (ყა) და ·ჯ̣ (წა), რომელთა ბადალი თანხმოვნე-ბი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დღევანდელ არჩიბულს არ მოეპო-ვება.

კიდევ უფრო ჰიპოთეზური იყო ნ.ტრუბეცკოის მიერ არჩიბულში მჟღერი ლატერალური სპირანტის (ლ̰) დანახვა იქ, სადაც ნამდვი-ლად ფიგურირებს ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი ლ'.[1] ამ შემთხ-ვევაში მან, ერთი მხრით, სრულიად უგულებელყო არჩიბულში რეალუ-რად არსებული ლატერალური აფრიკატი ლ'- ეს, თუ შეიძლება ასე ით-ქვას, მეტად კოლორიტული არჩიბული ბგერა, მეორე მხრით, არჩიბულ-ში არსებული მჟღერი სპირანტი მიიჩნია იმდენად რეალურ ბგერად, რომ საჭიროდაც არ სცნო მისთვის ვარსკვლავი გაეკეთებინა, როგორც ისეთი ბგერისათვის, რომელიც მონათესავე ენათა მასალის ანალიზის საფუძველზეა ჰიპოთეზურად დაშვებული, და სრულიად უყოყმანოდ მო-ათავსა ის თავის თანხმოვანთა ცხრილში.[2] მხოლოდ 1952 წელს მო-ხერხდა პირველად ამ შეცდომის გასწორება. ცნობილი ფრანგი ბასკო-ლოგი და იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტი პროფ. რენე ლაფო-ნი ა.დირის მონაცემების კრიტიკული ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არჩიბულს აქვს არა მჟღერი ლატერალური სპირანტი, როგორც ამას ნ.ტრუბეცკოი ფიქრობდა, არამედ ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ი ლ ა ტ ე რ ა ლ უ რ ი ა ფ რ ი კ ა ტ ი ლ',[3] რომელსაც ა.დირიც იცნობდა, მაგრამ შეცდომით ŋ́ ნიშნით ჰქონდა აღნიშნული.[4]

---

1 ით. კ ა ხ ა ძ ე, ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვ-ნების შესახებ, იკე, XI, 1969, გვ. 305-307.

2 N.Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen.

3 R.Lafon, Études basques et caucasiques, 1952, გვ.27-29; მისივე რეცენზია იკე-ს IX-X ტ., BSL, ტ.55, ნაკვ.2 (1960), გვ.250-252; მისივე რეცენზია იკე-ს XI ტომზე, BSL, ტ.56 ნაკვ.2(1961), გვ.232-236; მისივე Les problèmes concernant les consonnes latérales dans les langues caucasiques, 1963, გვ.22

4 ით. კ ა ხ ა ძ ე, ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვ-ნების შესახებ, იკე, XI, 1959, გვ.305-307.

ამრიგად, ნ.ტრუბეცკოის მიერ არჩიბული ენის თანხმოვანთა აღსანიშნავად გამოყენებულ 45 ნიშნიდან მხოლოდ 41 გამოხატავს დღევანდელ არჩიბულში რეალურად არსებულ თანხმოვნებს.

არჩიბული ენის თანხმოვანთა შორის ა.დირს შეუმჩნეველი დარჩა პრერუპტივი ჯჰ, შესაძლებელია იმიტომ, რომ ამჟამად მისი მდგომარეობა აქ საკმაოდ მერყეული ჩანს (ჯჰ//ჯ; ჯჰ ↔ ჯ). უფრო გვიან ამ ენაში მაგარი ფშვინვიერი ჯ-ს შესაძლო არსებობა, როგორც არამაგარი ფშვინვიერი ჯ-ს ინტენსიური ვარიანტისა, ივარაუდა ნ.ტრუბეცკოიმ.[1]

ა.დირის სატრანსკრიფციო სისტემაში, თუ კომბინატორული გზით მიღებული მჟღერი ლატერალის აღმნიშვნელ ŋ̀ -საც ჩავთვლით, ზედმეტია 8 ნიშანი, ნ.ტრუბეცკოისთან - 5. არჩიბულში არსებულ ბგერათაგან ა.დირს არა აქვს აღნიშნული ერთი ბგერა - ფარინგალური პრერუპტივი, ხოლო ნ.ტრუბეცკოის ორი - ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი და ფარინგალურივე პრერუპტივი, რომლის ბადალი თანხმოვნის არსებობა, როგორც ზემოთაა ნათქვამი, მანვე ივარაუდა. ასე რომ, დღეს არჩიბულში სულ გარჩეულია 42 ძირითადი თანხმოვანი; ესენია:

ბ, ფჰ, ფ, პ; მ; ვ; დ, თჰ, თ, ტ; ნ; ც, წ; ზ, სჰ, ს; ლ̄; ჩ, ჭ; ჟ, შჰ, შ; რ; ჲ; ლ', კჰ; ლ'ჰ, ლ'; ძ, ქ, ქჰ, კ; ღ, ხჰ, ხ; ჯჰ, ჯ; ყ', ყ; ჴჰ, ჴ, ჸ.

---

1 იხ. მისი Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen.

თანხმოვანთა ტაბულა

ორალური								ფარინგალური	ლარინგალური	წარმოების ადგილი / წარმოების გვარობა			
	წინაენისმიერი				უკანაენისმიერი								
ბაგისმიერი	კბილისმიერი	კბილღრძილისმიერი	ღრძილისმიერი	შუაენისმიერი	ლატერალური	წინაველარული	უკანაველარული						
ბ	დ					გ				მჟღერი		ხშული	ჩქამიერი
ფჰ	თჰ					ქჰ		ჴჰ		პრერუპტივი		ხშული	ჩქამიერი
ფ	თ					ქ		ჴ		ფშვინვიერი	ყრუ	ხშული	ჩქამიერი
პ	ტ					კ	ყ'	ყ	ჸ	მკვეთრი	ყრუ	ხშული	ჩქამიერი
		ც	ჩ	·	ლ'					ფშვინვიერი	ყრუ	აფრიკატები	ჩქამიერი
		წ	ჭ		კჲ					მკვეთრი	ყრუ	აფრიკატები	ჩქამიერი
		ზ	ჟ				ღ			მჟღერი		სპირანტები	ჩქამიერი
		სჰ	შჰ		ლ'ჰ		ხჰ	ჰჰ	ჰ	მაგარი (ინტენსიური)	ფშვინვიერი, ყრუ	სპირანტები	ჩქამიერი
		ს	შ		ლ'		ხ			არამაგარი (არაინტენსიური)	ფშვინვიერი, ყრუ	სპირანტები	ჩქამიერი
მ		ნ								ნაზალი			სონორი
		ლ	რ							ლიკვიდი			სონორი
ვ				ჲ						ნახევარხმოვანი			სონორი

ტაბულაში შეტანილ ამ თანხმოვანთა გარდა ისმის კიდევ რამდენიმე ბგერა: ასიმილაციის შედეგად მიღებული მჟღერი ლატერალური აფრიკატი გλ (ნიგλდურ ← *ნიკλ-დურ "სახლები"...), ამავე გზით მიღებული ე.წ.გემინირებული (პრერუპტივი) ლატერალური აფრიკატი ქბλ (ნაქბλთბუთ ← ნაკλთბუთ "ლურჯი")[1]; ფარინგალიზებული სპირანტები ხ' (ხ'ო'ნ "ძროხა", ხ'ა'ფხ'ი "თევზი")[2], ღ' და სხვ.

ამ .უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა არჩიბული ენის თანხმოვანთა კიდევ სამი ტაბულა: ს.ხაიდაკოვის (1965 წ.), ყ.მიქაილოვის (1965 წ.) და ა.კიბრიკისა და ს.კოძასოვის (1970 წ.).

ს.ხაიდაკოვის ტაბულაში 51 თანხმოვანია შეტანილი - მათ შორის ძ, χ, ჯ...[3] ყ.მიქაილოვის ტაბულა 45 თანხმოვანს შეიცავს. ამათგან ოთხი (ავტორის თქმით - "ვარიანტები") კუთხურ ფრჩხილებშია ჩასმული; ესენია პრერუპტივები - ფბ, თბ, ქბ, და კომბინატორული გზით მიღებული ლატერალური მჟღერი.[4] მჟღერი ლატერალის "ვარიანტად" ჩათვლა და ფრჩხილებში ჩასმა გასაგებია, მაგრამ გაუგებარია დღევანდელი არჩიბულის პრერუპტივების რაიმე ბგერების ვარიანტებად მიჩნევა. დღეს პრერუპტივები არჩიბულში ისეთივე ძირითადი თანხმოვნებია, როგორც, მაგალითად: ფ, თ, ქ, წ, ჭ, კ, ყ, ღ, ნ და სხვ. უფრო მეტი, მათ გარკვეულ პოზიციაში თვითონ მოეპოვებათ ვარიანტები ფშვინვიერი თანხმოვნების სახით.

ცალკე უნდა გამოვყოთ ა.კიბრიკისა და ს.კოძასოვის თანხმოვანთა ტაბულა. მასში წარმოდგენილია 89 თანხმოვანი. ეს შეიძლე-

----

1 ა.დირს კომბინატორული გზით მიღებული ეს ლატერალური თანხმოვნები შენიშნული აქვს, მაგრამ ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და ერთი ნიშნით (ჰ̀) აღნიშნავს (იხ.არჩ.ენა, გვ.XIV;გვ.170; შდრ.გვ.8).

2 ტექსტებსა და საილუსტრაციო მასალაში, არც თუ იშვიათად, ეს ბგერაცაა აღნიშნული.

3 С.Х а й д а к о в, Арч. яз.,ЯН СССР,IУ,609.

4 К. М и к а и л о в, Арч. яз., 22.

ბა ითქვას, ო რ ჯ ე რ მ ე ტ ი ა, ვიდრე ა რ ჩ ი ბ უ ლ ი ე ნ ი ს ის თანხმოვნები, რომლებიც აქამდე გამოქვეყნებულ თანხმოვანთა ტაბულებში შეიძლება ვიპოვოთ. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ცხრილშია 25 ლაბიალიზებული თანხმოვანი, 25 ე.წ. გრძელი თანხმოვანი (ამათგან 5 ლაბიალიზებული), 10 უკანაენისმიერი ლატერალიზებული თანხმოვანი (ამათგან 4 ლაბიალიზებული), 13 სონორი და სხვ.[1] სამწუხაროდ, ტაბულას არ ახლავს საკმარისი საილუსტრაციო მასალა, ამიტომ ნათელი არ არის: რა კონკრეტულ მასალაში და რა საფუძველზე გამოყოფენ ავტორები, მაგალითად, ლაბიალიზებულ თანხმოვნებს; ან აქ იგივე თანხმოვნები იგულისხმება, რომელზედაც ნ.ტრუბეცკოი მსჯელობდა[2] და რაც სადავოა, თუ სხვა რამ.

ცხადია, ამ და მსგავსი საკითხების გაუთვალისწინებლად ძნელი იქნება წარმოდგენილი ტაბულის შესახებ რისამე კონკრეტულად თქმა გარდა იმისა, რომ ის ყველაზე ვრცელი ტაბულაა არჩიბული ენის თანხმოვნებისა და ამავე დროს ყველაზე სადავოც.

6. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი პ რ ე რ უ პ ტ ი ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. პრერუპტივები, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახით წარმოდგენილია რიგ იბერიულ-კავკასიურ ენასა და დი-

----

1 А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, Принципы фонетической транскрипции и транскрипционная система для кавказских языков, ВЯ, 1970,6, გვ.78; შდრ. С.В. К о д з а с о в, Модель фонетической системи, 21-22.

2 N.Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, 1931, გვ. 44.

აღექტში,[1] მოეპოვება არჩიბულსაც. არჩიბულში ამ ტიპის ოთხი ძირითადი თანხმოვანია: ფბ, თბ, ქბ და ჯბ. პირველი იშვიათად გვხვდება, მეორე ხშირად იხმარება. საშუალო ადგილი უჭირავს ამ მხრივ ქბ-ს. შესამჩნევად მერყეულია ჯბ-ს პოზიცია; მის ნაცვლად აქ პარალელურად ჩვეულებრივ ისმის ჯ. გარდა ამ ოთხი თანხმოვნისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დადასტურებულია კომბინატორულად მიღებული ლატერალური პრერუპტივი ქბჸ-ც.[2] არ გვხვდება პრერუპტივები ჩბ და ცბ.

---

1 გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1953, 81; მ ი ს ი ვ ე, სამი "ℓ" ოსურში... "წელიწდეული", 1923-1924; გ. რ ო გ ა ვ ა, ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა ადიღეურ ენებში, სმამ, ტ.IV, N3, 1943; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის, იკე, V, 1953, 278-284; მ ი ს ი ვ ე, ანდიური ენა, 1965, 83-87; ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ლაკური ენის კონსონანტიზმის საკითხები, თსუ შრომები, ტ.96, 1963, 38-42; Р.О. Ш о р, К вопросу о т.н. "геминатах" (усиленных смычных) в яфетических языках Дагестана, 1935; Ш. Г а п р и н д а ш в и л и, фонетические особенности цудахарского диалекта даргинского языка, 1948; Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика даргинского языка, 1966, 17-28; Р.И. Г а й д а р о в, К вопросу о так называемых "геминатах" в лезгинском языке, Учёные записки (Дагестанский гос. университет), 1957, 2, გვ. 94-96; А. М а г о м е т о в, Кубачинский яз., 1963, 40-41; А. М а г о м е т о в, Табасаранский яз., 1964, 45-48; Е. Д ж е й р а н и ш в и л и, Основные вопросы фонетики и морфологии цахского и мухадского (рутульского) языков, Автореф. докт. дисс. 1966, 15-16; A. Dirr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, 1928, გვ. 33; N.Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, 8.

2 კომბინატორულად ანუ განპირობებულ პოზიციაში არსებულ ბგერათა შესახებ იხ. გ.ახვლედიანის "ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები", 1949, გვ. 304 და 310.

არჩიბულში ეს თანხმოვნები, ჩვეულებრივ, დასტურდება ხმოვნის წინ, მაგრამ გამოკვეთილად ისინი წარმოდგენილია ხმოვანთა შორის[1]:

აბთბუ "მამა", არჯბუთ "კაკალი", "ნიგოზი", ასთბუ "ქმარი", წითბიბ "პაწარები", ავთბიბ "გაკეთებული" (ზედმიწ. "გაკეთებულნი"), აფბასი "აბაზი", დაცართბიბ "მაქებრები", ხ'ოროთბიბ "სხვადასხვა" (ზედმიწ. სხვადასხვები"), აქბონ "სინათლე", ბათბურ "რქები",ბარჰურთბიბ"მკვებავი" (ზედმიწ. "მკვებავნი"), ბაქბული "დაუნახავს რა", ბაჯბა//ბლჯბა "მოვიდა", გიქბჴ "გუგული", დოშთბურ "და", უმთბუ//უმდუ "ძმა", თოფბაბუ "იგივე", თბაბალ'//ტლბალ' "დვრიცა", ლაფბუ "გადაადგი", ლაჰათბიქ "გავშვისკენ" (ზედმიწ. "გავშვზეკენ"), ლექბი ' "ძვალი", ლ'ეთბენ "ზღვის", ლ'იფბუ "სამი", მაწათბუთ//მლწათბუთ "ახალი", ღილითბუთ "თბილი", მუქბულ "კოკხი", ორქბურ "ნვავს", ლახათბუთ "მაღალი", "გრძელი", ოსთბი "იდგა" ... ორჯბარ "წავიდა", ქვერქბის "ტრიალი", "ბრუნვა", აჯბუ "გატყდა", ჯვექბინ "გაატყავე!", ჯბინ "ხიდი", ბაჯბალერ "მოსულანო", უსთულთბიქ "მაგიდაზე" (ზედმიწ. "მაგიდაზეკენ"), ბაზალითბიშ "ბაზრიდან" (ზედმიწ. "ბაზარზეით"), ლობურჩეჯბიქ "ბავშვებში", ხაფბუნა "მალე" ...

ყურადღებას იქცევს ორიოდე მაგალითი, სადაც პრერუპტივები დამოწმებულია ამავე ტიპის თანხმოვნების წინ:

ლექბთბუ "ძვლები" (შდრ. ლექბი "ძვალი"); წექბთბუბ (//წეგდუბ), წექბთბუთ (//წეგდუთ) "მჟავე", ეფბთბილი (შდრ.ებთბილი// ებდილი) "ყოფილა", ხაფბთბითბიბ "მიმავალნი" ...

სხვა თანხმოვნების წინ ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში პრერუპტივები, როგორც წესი, არჩიბულში წარმოდგენილია შესაბამი ფშვინვიერების სახით: ქბ – ქ, თბ– თ, ჯბ – ჯ ...:

---

1 ხმოვანთა შორის მოქცეული პრერუპტივები ა.დირს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოხატული აქვს ორმაგი ნიშნით – ТТ (=თბ), КК (=ქბ), ПП (=ფბ).

ხვაქბეპ "ტყეში" - ხვაქ "ტყე"; ღ'ათბენ "ზღვის" - ღ'ათ "ზღვა", ღ'ათმულ "ზღვები"; ბაზალითბიშ "ბაზრიდან" (ზედმიწ. "ბაზარზეით") - ბაზალით "ბაზარში" (ზედმიწ."ბაზარზე"), ნიშითბიშ "ცხენიდან" (ზედმიწ. "ცხენზეით") - ნიშით//ნჷშით "ცხენზე"; ხვაქბეპბიქ "ტყეში" (ზედმიწ. "ტყეშიკენ") - ხვაქბეპ "ტყეში"; ჟილიპბიქ "ბალახში" (ზედმიწ. "ბალახშიკენ") - ჟილიპ "ბალახში", ღ'ბენნეპიქ "წყალში" (ზედმიწ. "წყალშიკენ") - ღ'ბენნეპ "წყალში"...

ანალოგიური ფაქტები ცნობილია მონათესავე ენებიდანაც, მაგ.: ლაკურიდან[1], დარგუულიდან..., კერძოდ, ამ უკანასკნელის წურახარული დიალექტიდან. წურახარულში ხშულმსკდომი გემინატების (პრერუპტივების) გადასვლას შესატყვის ყრუ ფშვინვიერებში შ.გაფრინდაშვილი ხსნის გემინატებთან (პრერუპტივებთან) სკდომის მომენტის ნაწილობრივი ასპირაციით.[2] ასევე უნდა აიხსნას პრერუპტივების ფშვინვიერებში გადასვლის ეს პროცესი არჩიბულშიც, სადაც, სათანადო პირობებში, ის ყოველთვის ხორციელდება.

ზემოთ მოყვანილი იყო სამი თუ ოთხი მაგალითი, სადაც პრერუპტივები წარმოდგენილია თბ თანხმოვნის წინ: წექბთბუთ "მჟავე", ეფბთბილი "ყოფილა"... ეს ფორმები ისმის წეგდუთ "მჟავე", ე ბ თ ბ ი ლ ი // ე ბ დ ი ლ ი "ყოფილა" ფორმების გვერდით, მაგრამ უფრო იშვიათად, განსაკუთრებით მეორე (ეფბთბილი). ამ უკანასკნელში პარალელურად ხმარებულ ფორმათაგან ბუნებრივია ებდილი, იშვიათად გვხვდება ეფბთბილი, რომელიც მიღებულია ებთბილისაგან ბ-ს

---

[1] П. У с л а р, Лакский яз., 1890,8, N.Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen, გვ.22.

2 Ш.Г а п р и н д а ш в и л и, Фонетические особенности цудахарского диалекта даргинского языка, 1948, 117-118; Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика даргинского языка, 1966, იხ. იქვე, შენიშვნა 3.

თბ-სთან ასიმილაციის გზით. რეგრესული ასიმილაციის გზითაა მიღებული აგრეთვე ქბ კ-საგან ნექბჭუთ-ში; შდრ. ამავე ზედსართავის მოკლე ფორმა ნეკვ "მჟავე"... აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ არჩიბული ლატერალური პრერუპტივი ქბჰ[1], რომელიც ორიოდე მაგალითში აგრეთვე თბ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს წ ი ნ ფიგურირებს და კჰ-საგან მომდინარეობს ისევ რეგრესული ასიმილაციის გზით (მაგ. ნაქბჰთბუთ ← ნაკჰთბუთ "ლურჯი","ცისფერი"; კჰექბჰთბუთ ← კჰეკჰთბუთ "მრუდი").

ამრიგად, არჩიბულში დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც პრერუპტივები (ფბ, ქბ) მიღებულია შესაბამისი მჟღერი (ბ) ან მკვეთრი (კ,კჰ) თანხმოვნებისაგან მომდევნო თბ-სთან მათი ასიმილაციის გზით.

ფბ არჩიბულში, ანდიური და დარგუული (წუდახარული) სათანადო ბგერების მსგავსად, შეიძლება მივიღოთ ხმოვანთა შორის მოქცეული "ორი ბ-ს შერწყმით".[2] ეს ჯერ კიდევ ა.დირისათვის იყო ცნობილი.[3] ის ფბ-ს მიღებას თანხმოვნის გაორმაგებასთან აკავშირებდა. "სხვათაშორის,- წერდა ა.დირი, - გაორმაგებისას ვხვდებით აგრეთვე სხვა მოვლენებსაც, როგორიცაა, მაგ., media -ს გადასვლა tenues -ში. ამბობენ... ლ'იბა-ვ-უ, ლ'იბა-რ-უ, მაგრამ ლ'იფბუ-ს ნაცვლად ლ'იბბუსა, ზაფბა-ს ნაცვლად ზაბაბასა".[4] წყვილბაგისმიერი პრერუპტივების (ფბ-ების) უმეტესობა არჩიბულში ამ გზით უნდა იყოს მიღებული, ე.ი. "ორი ბ-ს შერწყმით".

---

1 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ, იკე,ტ.11,1959,303.

2 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა,85; Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика даргинского языка, 27.

3 А. Д и р р, Арч. яз., 2.

4 А. Д и р р, Арч. яз., 2.

ამგვარად, არჩიბულში დამოწმებულია რიგი მაგალითი, სადაც პრერუპტივები აშკარად მ ე ო რ ე უ ლ ი წარმოშობისაა, მაგრამ მვაქვს ისეთი მაგალითებიც, სადაც პრერუპტივების მეორეულობა სრულიადაც არ არის ნათელი და, მითუმეტეს, თვალსაჩინო.

არჩიბული პრერუპტივების წარმომავლობაზე, ვფიქრობთ, ერთგვარ წარმოდგენას შეგვიქმნის, ერთი მხრით, მათი ბუნების გარკვევა და დახასიათება, მეორე მხრით, მონათესავე ენათა სათანადო ჩვენება. აქ უნდა შევჩერდეთ მხოლოდ პირველ კითხვაზე: რა თავისებურებებით ხასიათდება არჩიბული პრერუპტივები? ასეთი კითხვა სრულიად ბუნებრივია, რადგანაც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ეს ბგერები სხვადასხვა ენასა და დიალექტებში ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან და, რაც აგრეთვე აღსანიშნავია, სხვადასხვა რაოდენობითაც გვხვდებიან.[1]

არჩიბულშიც პრერუპტივებს ახასიათებს თითქმის ყველა ის ძირითადი თვისება, რომელიც ნიშანდობლივია მონათესავე ენების (და არა მარტო მონათესავე ენათა) ამ ტიპის ბგერათათვის; ისინი აქაც საკმაოდ ინტენსიურად წარმოითქმიან. შესამჩნევია მათი სიგრძეც, გამოწვეული დაყოვნებული ხშვით, რასაც თავის მხრივ აქტიური სამეტყველო ორგანოების (ტუჩების, ენის) დაძაბულობა უნდა იწვევდეს. კონკრეტულად ეს შემდეგს გულისხმობს: თბ არჩიბულში,

---

1. გ. რ ო გ ა ვ ა, ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა ადიღეურ ენებში, სმამ, ტ. IV, № 3, 1943, გვ. 273-276; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, 1965, გვ. 83; Ш. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, 1966, გვ. 19; А. Магометов, Табасаранский яз., 1965, გვ. 45-48; მ ი ს ი ვ ე, Кубачинский яз., 1963, გვ. 40-44; Е. Джейранишвили, Основные вопросы фонетики и морфологии цахского и мухадского ... языков, Автореф. докт. дисс., 1966; გვ. 15-16; იხ. აგრეთვე, გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, სამი "t" ოსურში ..., "წელიწდეული", 1923-1924; В. Абаев, Осетинский яз. и фольклор, 1949 გვ. 512-517.

როგორც პ.უსლარი იტყოდა, ნარმოითქმის ენის კბილებზე ძ ლ ი - ე რ ი მიჭერით.[1] ასევე შეიძლება დავახასიათოთ ქბ, ჰბ და ფბ. ქბ ნარმოითქმის უკანაენის რბილ სასასთან ძ ლ ი ე რ ი მი-ჭერით, ჰბ - ენის ძირის ხახის კედელთან ძ ლ ი ე რ ი მიბჯე-ნით, ხოლო ფბ- ტუჩების ძ ლ ი ე რ ი მოკუმვით. ყველა ამ თანხმოვნის ნარმოთქმისას, როგორც ვხედავთ, აქტიური სამეტყვე-ლო ორგანოები - ენა და ბაგეები - ხშვის დროს უაღრესად დაძა-ბულია, მეტისმეტად დაჭიმულია. პრერუპტივებისათვის არჩიბულში დამახასიათებელია ო დ ნ ა ვ შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი ა ს პ ი-რ ა ც ი ა ც,[2] რითაც ისინი უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ი ა ნ როგორც ა ბ რ უ ტ ი ვ ე ბ ს, ისე ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ყ რ უ ხ შ უ-ლ ე ბ ს. ამ მხრივ მათ საშუალო ადგილი უჭირავთ ფშვინვიერებ-სა და აბრუტივებს შორის. "მინიმალური ფშვინვიერობა" არა მარ-ტო აახლოვებს მათ, ერთი მხრით, აბრუპტივებთან, რომელთათვის ფშვინვიერობა სულ არ არის დამახასიათებელი, და, მეორე მხრით, ფშვინვიერებთან, რომელთათვისაც მაქსიმალური ფშვინვიერობაა ნიშანდობლივი, არამედ ფშვინვიერობის ხარისხის მიხედვით განა-სხვავებს კიდეც მათგან (მაქსიმალური ფშვინვიერობა - მინიმა-ლური ფშვინვიერობა - არაფშვინვიერობა). მაგრამ, როგორც ქვე-მოთ დავინახავთ და როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაც კარ-გადაა ცნობილი,[3] პრერუპტივებს საშუალო ადგილი უჭირავთ არა მარტო ფშვინვიერებსა და მკვეთრებს, არამედ ფშვინვიერებსა,

---

1 "т произносится при сильнейшем прижимании языка к зубам" (П. У с л а р, Юр.яз., გვ.13).

2 გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუ-ძვლები, 1953, გვ.380, შენიშვნა 2; გვ.81; ილ. ც ე რ ც ვ ა-ძ ე, ანდიური ენა, გვ.8; Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика даргинского языка, გვ.19.

3 გ. რ ო გ ა ვ ა, ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა ადი-ღეურ ენებში, სმამ, ტ.IV, N 3, 1943, გვ.274.

მკვეთრებსა და მჟღერ ხშულებს შორისაც. საქმე ისაა, რომ პრერუპტივებისათვის არჩიბულში ისევე, როგორც დარგუულში[1], დამახასიათებელია ო დ ნ ა ვ შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი მ ჟ ღ ე რ ო ბ ა. ამას კარგად გრძნობენ თვით არჩიბელებიც, რომელნიც, მაგალითად, თბ-ს აღსანიშნავად, ჩვეულებრივ იყენებენ "დ"-ს და სხვებისგანაც მოითხოვენ მისი დ-თი აღნიშვნას. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს და, ზოგჯერ, შეიძლება უფრო ამ პრერუპტივისათვის დამახასიათებელ მჟღერობაზე კი არ მიგვითითებდეს, არამედ, მოსალოდნელი თბ-ს ნაცვლად, თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მყოფ ისეთ დ-ზე მიგვანიშნებდეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მჟღერობის საკმაოდ დაბალი ხარისხი და, საერთოდ, რყევა სრული მჟღერობის მქონე დ-სა და მჟღერობის ელემენტების შემცველ პრერუპტივ თბ-ს შორის.[2] ეს რყევა თავის დროზე საკმაოდ მკაფიოდ აისახა რ.ერკერტისა[3] და ა.დირის არჩიბულ მასალებშიც; ასე, მაგალითად, მათ ვფიქრობთ, სავსებით ბუნებრივია (და არა რაიმე გაუგებრობის შედეგი), როდესაც უწერიათ - როგორც უშდუ (**ущду**, už-dư)[4], ისე უშთბუ (**ушту**, uš-tu) "ძმა", როგორც დოშდურ (**дощдур**, d-oš-du-r), ისე დოშთბურ (**доштур**, d-oš-ttu-r)[4] "და" და სხვ. ან როდესაც ა.დირის მასალებში დამოწმებულია დ-ონიანი ფორმები (ულ'დუვ, ულ'დურ "მწყემსი კაცი, ქალი"), დღეს კი - თბ-ანიანი (ულ'თბუ, ულ'თბუთ...) ან, პირიქით, ახალ ჩანაწერებში ფიქსირებულია დ-ონიანი ფორმები (ჭუხუთბიშდიბ "მეზობლები"), ა.დირთან

---

1 **Ш. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка,** გვ.17;20;22;24;26;28; იხ. აგრეთვე ილ. ც ე რ ც ა ძ ე, ანდიური ენა, გვ. 86; შდრ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, სამი "ŧ" ისურში..., "წელიწდეული", I-II, 1924-1925, გვ.22-31..

2 მსგავსი ფაქტები გვხვდება თაბასარანულში (იხ. **А. Магометов, Табасаранский яз.**, გვ.47), ლაკურში (იხ. **П. Услар, Лакский яз.**, გვ.8)...

3 R.Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes, II, გვ. 51.

4 იხ. დასახ.შრ., გვ.51.

– თბ-ანიანი (ქახუთბაშთბიზ). პარალელური ფორმები ამჟამადაც გვხვდება; მაგ.: ისმის როგორც ღუმექლაშდუ, ისე ღუმექლაშთბუ "კუმუხელი", როგორც დისიშდიზ, ისე დისიშთბიზ "დუსცრახელები"; გვხვდება ბეშდე[1] (//ბეჟდე) და ბეშთბე-ც[1] "აიღო", "იყიდა"; ოსდი და ოსთბი-ც "იდგა", ბესდე და ბესთბე-ც "მოხარშა"; გაიგონებთ ჯბოქდუთ-საც და ჯბოქთბუთ-საც "მარცხენა (ხელი)".

მოსალოდნელი თბ-ანიანი ფორმების ნაცვლად რომ ზ ო გ ჯ ე რ მართლაც შეიძლება გვქონდეს დ-ონიანი ფორმები, ამას მოწმობს ისეთი მაგალითები, როგორიცაა – მარზდუთ (← *მარწდუთ); "სუფთა"; შდრ. მარწ-ქუე "სისუფთავე"; ალეჟდუთ (← *ძლეჭდუთ) "ულამაზო"; შდრ. ალეჭ-ქუე "ულამაზობა"; აგდუ (← *პკდუ) "ჯარიმები"; შდრ. აკი "ჯარიმა"; ხაზდუ (← *ხაწდუ) "მამები"; შდრ. ხაწი "მამა"; დეღდუ (← *დეყდუ) "კოჭლი"; დეყ-ქუე "კოჭლობა"; წეგვდუთ (← *წეკვდუთ) "მჟავე"; შდრ. წეკვ-ქუე "სიმჟავე"; დიჟდე (← *დიჭდე) "შევიდა ქალი" (შდრ. ჭუთბე "შევიდა კაცი"); ბეჟდე←(//ბეშდე →//ბეშთბე) "აიღო", "იყიდა"; უჟდუ[2] (← უშდუ →// უშთბუ) "ძმა"..

პრერუპტივების წინ ყრუ თანხმოვნები არჩიბულში, ჩვეულებრივ, არ მჟღერდებიან. ასე რომ, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მათი (წ, ჭ,კ,ყ,შ...) გამჟღერების მიზეზი დ უნდა იყოს.

ამრიგად, თბ-სათვის დამახასიათებელია არა მარტო ო დ ნ ა ვ შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი მ ჟ ღ ე რ ო ბ ა, არამედ ის, თანხმოვნის მომდევნოდ, ზოგჯერ, წარმოდგენილია დ-ს სახითაც კი. ვფიქრობთ, ეს გარემოებაც ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი სხვა ფაქტი, იმაზე მიუთითებს, რომ პრერუპტივები თავისი წარმოშობით შესაბამის მჟღერებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, თბ, სათანადო პირობებში, შეიძლება მიგვეღო ან მივიღოთ დ-სგან.

ო დ ნ ა ვ შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი მ ჟ ღ ე რ ო ბ ა ქბ-სთვისაცაა ნიშანდობლივი. ამ მხრივ დამახასიათებელია რ.ერ'ერტის მა-

---

1 შდრ. რ.ერკერტის bešde//beštte (იხ.დასახ.ნაშრ.,გვ.52).

2 იხ. რ. ე რ კ ე რ ტ ი ს დასახ.შრ.,II,გვ.51.

ცალითი, სადაც ქბ-ს ნაცვლად ჭ̲ ფიქსირებს — Erck.[1] ღვალს ნაცვლად მუქბურ-ისა "ცოცხი". დღეისათვის, როცა დადგენილია ქბ ც-სთან არის დაკავშირებული.

მჟღერობის ელემენტები, ცხადია, ჭ-ისაც აქვს. ამისდაგვარი მისთვისაც მჟღერი უნდა ყოფილიყო, კერძოდ, მჟღერი ხშულ-ნაპრალოვანი ჯ̲, რომელიც დღევანდელ არჩიბულს არ მოეპოვება.

პრერუპტიული მჟღერობის მომენტის შესახებ არჩიბულში არ გაა-ცურება. ეს მნიშვნელოვანი თავისებურებაა არჩიბული პრერუპტი-ვებისა და არა მარტო მათი;[2] მაგალითად, დარგუულში, რუთულში შ. გაფრინდაშვილის ექსპერიმენტული გამოკვლევებიდან ჩანს,[3] პრერუპ-ტივებს საარტიკულაციო ხშვის პერიოდი მთლიანად და ცდომის პი-რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ი ყ რ უ აქვს, მაგრამ ცდომის მე-ორე ნახევარი - მჟღერი, ე.ი. პრერუპტივების პირველი ნაწილი ყრუა, ხოლო მეორე ნაწილი, უფრო მეტად, ცდომის ბოლო - მ ჟ ღ ე-რ ი. ასეთი ჩანს აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით არჩიბული პრერუპტივებიც; მათაც ბ ო ლ ო ნ ა წ ი ლ ი მ ჟ ღ ე რ ი უ ნ დ ა ჰ ქ ო ნ დ ე თ. სწორედ მჟღერობის ამ მომენტითა და საარტიკულაციო ცდომის ინტენსიობის ხარისხით უახლოვდებიან ისინი შესაბამის მჟღერებს.[4]

ამრიგად, არჩიბული პრერუპტივები, ზოგიერთი თავისებურების მიუხედავად, რაზედაც ზემოთ იყო გამახვილებული ყურადღება, ძი-

---

1 R.Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes,I, გვ. 46.

2 Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика даргинского языка, გვ.17-28; Е. Д ж е й р а н и ш в и л и, Основные вопросы фонетики и морфологии цахского и мухадского (рутульского) языков, Автореф.докт. дисс. 1966, გვ., 17-18; ის. აგრეთვე, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.86; შრ.გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, სამი "ŧ" ისურში... ,"ნე-ლიხდეული", I-II, 1924-1925; გვ.22; В. А б а е в, Осетинский язык и фольклор, I, გვ.512...

3 ის. შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი ს დასახ.ნაშრ., გვ.17, 20...,109,110,117-119,128-129,139-141,149,160-161.

4 Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика дарг.яз., 17.

რითადაც იმავე თვისება-ბუნებისაა, როგორისაც სხვა ენათა (ქვე-მო-ადიღეურის, დარგუულის, ლაკურის, ანდიურის, ნახურ-მუხადურის ...) სათანადო თანხმოვნები. ამიტომ მონათესავე ენათათვის გამოტანილი დასკვნები არჩიბულზედაც შეიძლება გავავრცელოთ. ეს პირველყოვლისა ეხება პრერუპტივების გენეზისის საკითხს.[1] ამასთან დაკავშირებით არჩიბულშიაც არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას - პრერუპტივების პოზიციასა და მათთვის ეგზომ დამახასიათებელ მჟღერობის მომენტს. როგორც ვიცით, პრერუპტივები ყველაზე გამოკვეთილად ხმოვანთა შორისაა წარმოდგენილი. ამ პოზიციაში მათ არ ენაცვლებათ არც მჟღერები და არც ფშვინვიერები მაშინ, როდესაც თანხმოვნის წინ ისინი, ჩვეულებრივ, გადადიან ფშვინვიერებში, ხოლო თანხმოვნების მომდევნოდ, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც, შეიძლება მოგვევლინონ მჟღერების სახით. როგორც ჩანს, არჩიბულშიც ხმოვანთა შორის პოზიცია არის არა მარტო ისეთი პოზიცია, სადაც პრერუპტივები ყველაზე რელიეფურადაა წარმოდგენილი, არამედ ისეთი პოზიციაც, სადაც საფუძველი უნდა ჩაჰყროდა ამ ტიპის თანხმოვანთა ფორმირებას შესაბამისი მჟღერებისაგან, რომლებიც სხვა პოზიციაში, კერძოდ, თანხმოვნის მომდევნოდ, დღესაც იჩენენ ხოლმე თავს. ამ გარემოებას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ პრერუპტივების წარმოთქმისათვის დამახასიათებელია მჟღერობის მომენტი და გავითვალისწინებთ იმ დასკვნებსაც, რომლებიც მიღებულია მონათესავე ენების (დარგუული,[2] ანდიური[3]...) მსგავსი თანხმოვნების (პრე-

---

[1] Arn.Tschikobawa, Die ibero-kaukasischen Gebirgssprachen und der heutige Stand ihrer Erforschung in Georgien. Acta Orient.Hung., IX, 2,1959, გვ. 126-127; 133.

[2] Ш. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, გვ.17-28; მ ი ს ი ვ ე, დარგუული ენის წუდახარული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი, ენიმკი-ს მოამბე, XII, გვ.200.

[3] ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.83-87.

რუპტივების, "გემინატების") ანალიზის დროს, თითქოს, ცხადი გახდე-ბა, რომ პრერუპტივების გენეზისი არჩიბულშიც შესაბამის მჟღერებში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც: არჩიბულს არ მოეპოვება პრერუპტივი აფრიკატები ჩბ და ცბ. მას არ გააჩნია არც ჯ და ძ. ეს შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, არჩიბულს ჯ და ძ არც მაშინ ჰქონდა, როდესაც აქ შე-საბამისი მჟღერებისაგან პრერუპტივები ყალიბდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩბ-ცა და ცბ-ც განუვითარდებოდა.

ამრიგად, ჩბ-სა და ცბ-ს უქონლობა არჩიბულში პირდაპირ კავ-შირში უნდა იყოს ამ ენაში ჯ-ს და ძ-ს არარსებობასთან, ხოლო დღეს არსებული ოთხი პრერუპტივი (ფბ, თბ, ქბ, ჴბ) იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ მათი ჩამოყალიბების პერიოდისათვის არჩიბულს ჯერ კიდევ ჰქონდა ოთხი მჟღერი ხშული, მათ შორის ფარინგალური ხშული ჹ.

პრერუპტივები იბერიულ-კავკასიურ ენებში ქმნიან ტიპობრი-ვად ერთნაირ, მაგრამ არა იდენტურ ბგერათა ჯგუფებს. ისინი, რო-გორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, სხვადასხვა ენებსა და დი-ალექტებში ერთმანეთისაგან განირჩევიან არა მარტო ო დ ნ ა ვ შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი მ ჟ ღ ე რ ო ბ ი თ, რაც შენიშნულია ზოგი-ერთი ენის (დარგუული, არჩიბული, წახურ-მუხადური...) პრერუპტი-ვების წარმოთქმისას, არამედ მათთვის დამახასიათებელი ისეთი სა-ერთო ნიშნების რყევითაც კი, როგორიცაა არტიკულაციის ინტენსივო-ბა, ხშვის ხანგრძლივობა და მინიმალური ფშვინვიერობის ხარისხი.

გარდა ამისა, რყევას ადგილი აქვს პრერუპტივთა რაოდენობაში; ასე, მაგალითად, ანდიურსა და არჩიბულში დამოწმებულია 4 ასეთი თანხმოვანი, დარგუულსა და ლაკურში - 6, თაბასარანულში - 7...

ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო რაოდენობით, არამედ შემადგენლობითაც, მაგ., ანდიურსა და არჩიბულში პრერუპ-

ტიპთა ერთნაირი რაოდენობა (4) გვაქვს, მაგრამ მათი შემადგენლობა განსხვავებულია: არჩიბულში ოთხივე პრერუპტივი ხშულია (ფბ, თბ, ქბ, ჴბ), ანდიურში კი სამი ხშულია (ფბ, თბ, ქბ) და ერთი აფრიკატი (ჩბ); დარგუულსა და ლაკურში სამი პრერუპტივი ხშულია (ფბ, თბ, ქბ) და სამიც აფრიკატი (ჩბ, ცბ, ჴბ); თაბასარანულში სულ 7 პრერუპტივი გვაქვს - ოთხი ხშული (ფბ, თბ, ქბ, ჴბ) და სამი აფრიკატი (ცბ, ჩბ, ჩ°ბ)...

პრერუპტივები მეორეული წარმოშობის ბგერებია. ისინი სხვადასხვა ენებში წარმოშობა-განვითარების განსხვავებულ საფეხურზეა დადასტურებული; მაგ., ანდიურში, - როგორც ამას ილ.ცერცვაძე აღნიშნავს,- "ასეთი თანხმოვნები... ფონემებს არ წარმოადგენენ" მაშინ, როდესაც თაბასარანულში მათ ფონემატური ღირებულება აქვთ...

მონათესავე ენებსა და დიალექტებში, როგორც ჩანს, ეს თანხმოვნები უმთავრესად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდნენ. ამას მოწმობს არა მარტო ის, რომ პრერუპტივები სხვადასხვა ენებში განვითარების განსხვავებულ საფეხურზეა დამოწმებული, არამედ ისიც, რომ აქ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თვისებაბუნებითაც და რაოდენობა-შედგენილობითაც.

ამრიგად, პრერუპტივების სახით ჩვენ საქმე გვაქვს მეორეული წარმოშობის ერთი ტიპის ბგერათა გარკვეულ ჯგუფთან, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენებში დადასტურებულია წარმოშობა-განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და რომლისთვისაც, როგორც გარეგანი ნიშანი, დამახასიათებელია მნიშვნელოვანი რყევა, ერთი მხრით, მასში შემავალ თანხმოვანთა თვისება-ბუნებაში, მეორე მხრით, ამ თანხმოვანთა რაოდენობა-შემადგენლობაში.

7. მაგარი (ინტენსიური) სპირანტების შესახებ. "პრერუპტივი საშუალო მონაცემია ფშვინვიერსა, აბრუპტივსა და ... მჟღერს შორის", - წერს გ.როგავა.[1] ამასვე ვერ ვიტყვით მაგარი ყრუ სპირანტების შესახებ. ისინი არჩიბულში არამაგარი (ჩვეულებრივი) ფშვინვიერი სპირანტების ინტენსიურ სახეობას წარმოადგენენ, ინტენსიური ფშვინვიერი[2] სპირანტებია, რომელთათვისაც დამახასიათებელია ოდნავ შესამჩნევი სიგრძე.[3] ცხადია, ასეთი თანხმოვნები პრერუპტივების რიგის ბგერებად ვერ ჩაითვლებიან.[4]

არჩიბულში ოთხი ინტენსიური სპირანტი შეიძლება შევხვდეს: სь, შь, ხь, ლ'ь.

უფრო ადრე (და ახლაც ნაწილობრივ)[5] მაგარი (ინტენსიური) სპირანტები ბგერათა მეზობლობისაგან სრულიად არ უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი ისევე, როგორც ესაა დღეს ხუნძურში.[6] მაგრამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზების გამო, აქაც თავი უჩენია პრერუპტივებში მოქმედი კანონზომიერების მსგავს წესს, სახელდობრ, დაუწყიათ - ლაკურის მსგავსად, შეიძლება, რამდენადმე მისივე გავ-

---

1 იხ. მისი "ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა ადიღეურ ენებში", გვ.274.

2 Ш. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, გვ.28; ბ. გიგინეიშვილი, ლაკური ენის კონსონანტიზმის საკითხები, თსუ შრომები, 96, გვ.41.

3 ტ. გუდავა, ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა, იკე, V, 1953, გვ.342-343.

4 შ. გაფრინდაშვილი, დარგუული ენის წუდახარული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ.200 (შდრ. მისივე, Фонетические особенности цудахарского диалекта даргинского языка, 1948, გვ.116); ბ. გიგინეიშვილი, ლაკური ენის კონსონანტიზმის საკითხები, თსუ შრომები, ტ.96, გვ.38-42.

5 N.Trubetzkoy, Die Konsonantensysteme..., გვ. 42-44.

6 არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, გვ.55.

ლენით - თანხმოვნის წინ ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მყოფი მაგარი სპირანტების არაინტენსიური წარმოთქმა (შბუმულ "ალება", "ყიდვა", მაგრამ ბემდე ... "აილო","იყიდა"...) და , პირიქით, ხმოვანთა შორის მოქცეული არამაგარი სპირანტების ინტენსიური წარმოთქმა(კოს "დანა", მაგრამ კასბა "დანამ"...). საერთო მიზეზი, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ამ და მსგავსი პროცესებისათვის, უნდა ვეძიოთ იმ ძირეულ ცვლილებებში, რომლებიც, როგორც არა ერთი და ორი ფაქტიდან ჩანს, განუცდია არჩიბულ ენას, კერძოდ, მის ბგერით სისტემასაც, თავისი განვითარების ერთ-ერთ წინა საფეხურზე. ასეა თუ ისე, ჩვენ თვალწინაა პროცესი ჩვეულებრივი (არამაგარი) და მაგარი ყრუ სპირანტების დაპირისპირების თანდათანი მოშლისა. ამიტომ, მაგალითად, მკვეთრი ფონეტიკური განსხვავება ლ'-სა და ლ'ბ-ს შორის, ჩვეულებრივ, ყველაზე უფროსი თაობის მეტყველებაში თუ შეიძლება შეამჩნიოთ, თორემ, შეიძლება ითქვას, დღევანდელ არჩიბულში, მას ადგილი არა აქვს.[1] ეს დაპირისპირება მოშლის გზაზეა დამდგარი დანარჩენ სამ წყვილშიც (ს-სბ, შ-შბ, ხ-ხბ). ცხადია, ამავე მიზეზითაა გამოწვეული ისიც, რომ დღეს უკვე, არც თუ იშვიათად, ერთსა და იმავე სიტყვაში მაგარ და არამაგარ სპირანტებს განურჩევლად ხმარობენ (ოსბ//ოს "ერთი", ა'ნშ//ა'ნშბ "ვაშლი"... ზალ'ბუ//ზალ'უ "ჩემთან ერთად"...).

ამგვარად, არჩიბულში დასტურდება მაგარ და არამაგარ სპირანტთა დაპირისპირების მოშლის საკმაოდ შორს წასული პროცესი, რომელიც მეტ-ნაკლებად შეხებია სპირანტთა ოთხივე წყვილს (ლ'ბ - ლ'-ს, შბ - შ-ს, ხბ- ხ-სა და სბ - ს-ს).

---

1 ოფ. კ ა ხ ა ძ ე, ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ, იკე, XI, 1959, გვ.304.

8. ლ ა ტ ე რ ა ლ უ რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი. არჩიბულში ოთხი ლატერალური თანხმოვანია[1]: ორი სპირანტი (ლʻბ და ლʻ) და ორი აფრიკატი (ლ', კь).[2]

სპირანტები ლʻ და ლʻბ ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც არამაგარი და მაგარი ფშვინვიერი თანხმოვნები. ასეთი დაპირისპირება აფრიკატებში არა გვაქვს. სიმაგრის (ინტენსიობის) მიხედვით დაპირისპირება მარტო ლატერალურ სპირანტებში დასტურდება, და ისიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული - არა ყველგან და ყოველთვის; მაგარი და არამაგარი სპირანტები ამჟამად შეიძლება დავადასტუროთ სოფ. არჩიბის მკვიდრთა მხოლოდ ყველაზე უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის მეტყველებაში. ვერ განარჩევენ ამ თანხმოვნებს მომდევნო თაობები.[3] არ არის გარჩეული ეს ორი თანხმოვანი არც არჩიბის ფარგლებს გარეთ მუდმივად მცხოვრებ არჩიბელთა მეტყველებაში. ასე რომ, არჩიბელთა დიდი უმრავლესობისათვის დღეს რეალურად არსებობს მხოლოდ სამი ლატერალური თანხმოვანი: არამაგარი ფშვინვიერი სპირანტი - ლ̠ʻ და აფრიკატები - ლ̠' და კ̠ь.

არჩიბულში ლʻბ-ს თანდათან მოშლა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არ არის კერძოობითი მოვლენა, არამედ ამ ენაში მაგარი (ინტენსიური) სპირანტების (ხბ-ს, შბ-ს, სბ-ს̣...) მოშლის საერთო ტენდენციის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს.

რყევა ლატერალურ სპირანტთა ხმარებაში, რომელიც გამოწვეულია მაგარი (ინტენსიური) სპირანტების თანდათანი მოშლის პროცესით და

---

1 А. Д и р р, Арч. яз., გვ.2.

2 იგ. კ ა ხ ა ძ ე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, იკე, IX-X, გვ.339.

3 იგ. კ ა ხ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, იკე, IX-X, გვ. 343; აგრეთვე, იკე, XI, გვ. 304.

რომელიც დღეს თავისი განვითარების ერთ-ერთ ბოლო საფეხურზეა, პ.უსლარისა და ა.დირის მასალებშიც შეიმჩნევა.[1] მას, როგორც ჩანს, ენაში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს და რამდენადმე არჩიბული ლატერალების წარმოშობასთან, გენეზისთან უნდა იყოს დაკავშირებული.

არჩიბული ენის ოთხივე... ლატერალი პირველად ა.დირთანაა წარმოდგენილი. მანვე შენიშნა და აღწერა ე.წ. არჩიბული "მეხუთე" ლატერალიც, რომელიც სავსებით მართებულად ბგერათკომბინაციის გზით მიღებულ მჟღერად მიიჩნია. ოღონდ ა.დირის მიერ დასახელებული სამიოდე მაგალითიდან მარტო ნოგƛ-დურში (← ნოკƛ-დურ)[2] "სახლები" გვხვდება მჟღერი ლატერალი. დანარჩენ ორ მაგალითში კი დადასტურებულია როგორც მჟღერი ლატერალური გƛ (ნაგƛდუთ ← ნაკƛდუთ "ცისფერი", "ლურჯი"; კƛეგƛდუთ[3] ← *კƛეკƛდუთ "მრუდი"), ისე პარალელურად პრერუპტიული ლატერალი ქბƛ (ნაქბƛთბუთ ← *ნაკƛ-თბუთ "ლურჯი", "ცისფერი"; კƛექბƛ-თბუთ ← *კƛეკƛთბუთ "მრუდი"). ასე რომ, არჩიბულში ბგერათკომბინაციის შედეგად მიღებული მჟღერი ლატერალის (გƛ-ს) გვერდით უნდა დასტურდებოდეს ამავე გზით მიღებული პრერუპტიული ლატერალიც (ქბƛ-ც).[4]

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. აქ დაახლოებით ისეთივე ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორიცაა ფარინგალური მჟღერის შემთხვევაში "დღევანდელი ქართულის ზოგიერთ კილოში", სადაც როგორც გ.ახვლედიანი წერს: "ყოველი ჰ ან ყ შეიძლება მოგვევლინოს ღ-ს სახით მომდევნო მჟღერი ჩქამისმიერის წინ", და

---

1 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, იკე, IX-X, გვ.343; აგრეთვე იკე, XI, გვ.304.

2 **А. Д и р р, Арч. яз.**, გვ.170;207.

3 ამ სახით ეს მაგალითები ფიქსირებულია ა.დირთან (იხ. **Арч. яв.**, გვ.170;201).

4 იხ. იკე, XI, გვ. 303-304.

სადაც ამიტომ კომბინატორულ ღ-ს არსებობა... ცოცხალი ფაქტია"[1].

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. "...არჩიბელნი მჟღერ ლატერალს კარგად ამჩნევენ და მშვენივრადაც წარმოთქვამენ მას დამოუკიდებლად. სხვა მდგომარეობა გვაქვს პრერუპტიული ლატერალების შემთხვევაში. პრერუპტიულ ლატერალს ისინი ამჩნევენ, თუ კი მათ ყურადღებას ამ ლატერალზე შევაჩერებთ, გრძნობენ, რომ ეს არ არის ის ბგერა, რომელიც ნოგხდურ-ში ("სახლები") გვაქვს, მაგრამ მისი დამოუკიდებლად წარმოთქმა უძნელდებათ".[2]

არჩიბული ლატერალები უ კ ა ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ბ გ ე რ ე ბ ი ა. ისინი იწარმოებიან იმ ზონაში, სადაც გ, ქ, კ, ღ, ხ - ოდნავ უფრო წინ, ვიდრე ეს უკანასკნელნი. მათი წარმოთქმის დროს უ კ ა ნ ა ე ნ ა იდრიკება ცალ გვერდზე და უ კ ა ნ ა ზედა კბილებთან, განხშვით (კხ, ლ'... წარმოთქმისას) ან ვიწრო ნაპრალში გამოტარებით (ლ'ხ და ლ' ბგერათა წარმოთქმისას), გზას აძლევს ჰაერნაკადს, რომელიც მოედინება ლოყის გასწვრივ.[3]

არჩიბული ენის ლატერალების უკანაენისმიერობა განსაკუთრებით თვალში საცემია აფრიკატებსა (ლ', კხ...) და მაგარ (ინტენსიურ) სპირანტში (ლ'ხ); რაც შეეხება არამაგარ (არაინტენსიურ) სპირანტს (ლ'-ს), მისი უკანაენისმიერობა ნაკლებ საგრძნობია. ხუნძურის ლატერალებს ყველაზე მეტად სწორედ ეს უკანასკნელი უახლოვდება, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს...

ამრიგად, არჩიბულში დასტურდება 4 ძირითადი და 2 კომბინატორულად მიღებული უ კ ა ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი ლატერალური

---

1 იხ. მისი "ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები",1940,გვ.310.

2 იკე, XI, გვ.304, შენიშვნა 7.

3 იხ. იკე, IX-X, გვ. 340.

თანხმოვანი; ესენია: 1. ლ' – უკანაენისმიერი არამაგარი (არაინტენსიური) ლატერალური სპირანტი (ჩვეულებრივ საკმაოდ განინაენისმიერებული)[1]; 2. ლ'ь – უ კ ა ნ ა ე ი ს მ ი ე რ ი მაგარი (ინტენსიური) ლატერალური სპირანტი (ისმის მხოლოდ ყველაზე უფროსი თაობის მეტყველებაში ისიც, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იშვიათად და არეულად... გადაშენების გზაზეა დამდგარი); 3. ლ' – უ კ ა ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი; 4. კь – უ კ ა ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი მკვეთრი ლატერალური აფრიკატი; და ბგერათკომბინაციის შედეგად მიღებული უ კ ა ნ ა ე ნ - ი ს მ ი ე რ ი აფრიკატები გь (მჟღერი) და ქь (პრერუპტივი).

იბერიულ-კავკასიური ენებიდან, გარდა არჩიბულისა, ლატერალური თანხმოვნები აქვს: ადიღეურს, ყაბარდოულს, უბიხურს, ბაცბურს, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებსა და, როგორც ი.დეშერიევს აქვს აღნიშნული, ხინალუღურს.[2]

ამ ენებში ლატერალების რაოდენობა განსხვავებულია, მაგ.: ახვახურში ექვსი ლატერალური თანხმოვანია[3], ანდიურში[4], კარატულსა[5] და ხუნძურში[6] – ხუთ-ხუთი, ბოთლიხურ-ღოდობერიულში[7], ჭამალალურში[8], ტინდიურსა[8] და არჩიბულში – ოთხ-ოთხი, ხვარშიულსა და ჰი-

---

1 შდრ. ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, იკე, IX–X, გვ.343.

2 იხ. Ю.Д. Д е ш е р и е в, Грамматика хиналугского языка, 1959, გვ.13; შდრ. А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, И.П. О л о в я н н и к о в а, Фрагменти грамматики хиналугского языка, 1972, გვ. 19;34.

3 З. М а г о м е д б е к о в а, Вопросы фонетики ахвахского языка, იკე, VII, 1955, გვ.295.

4 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, 1945, გვ.43–53.

5 Т. Г у д а в а, Консонантизм андийских языков, 1964, გვ.12.

6 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ.47–49.

7 ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, 1963, გვ.13; მ ი ს ი ვ ე, Консонантизм андийских языков, გვ.7–8.

8 Т. Г у д а в а, Консонантизм андийских языков, 9.

ნუხურში[1] - სამ-სამი, ბაგვალალურში[2] - ორი (სამი), ხინალუღურ-ში - ერთი...

არ არის ერთფეროვნება ამ მხრივ არც კილო-თქმებში, მაგ.: ახ-ვახური ენის ჩრდილოურ დიალექტში ექვსი ლატერალია, სამხრულში (კუ-ლების ც ე გ ო ბ ი ს და ტ ლ ი ა ნ უ ბ ი ს მეტყველებაში) - ოთხი[3]; ანდიური ენის ქვემოანდიურ თქმებში (აულების მ უ ნ ი-ბ ი ს ა და ქ ვ ა ნ ხ ი დ ა თ ლ ი ს მეტყველებაში) - ხუთი, ზემოანდიურში - ოთხი[4]; ხუნძური ენის არც ერთ დიალექტში ხუთივე ლატერალი ერთად არ გვხვდება. ხუნძახურსა და ჰიდურში ოთხ-ოთხი ლატერალური თანხმოვანია, ანწუხურში - სამი, ანდალალურსა და ყა-რახულში - ორ-ორი, ჭარულში - არც ერთი...[5]

სხვაობას ადგილი აქვს ლატერალთა შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა-შ ი ც; მაგ.: ჩრდილო-ხუნძურსა (ხუნძახურსა) და ჰიდურში ოთხი ლა-ტერალიდან სამი ერთნაირია (ლ‘, ლ‘ბ, ტჰ), თითო-თითო კი განსხვა-ვებული (ლ' და ტ‘).

განსხვავებას უნდა ჰქონდეს ადგილი მათ თ ვ ი ს ე ბ ა - ბ უ-ნ ე ბ ა შ ი ც. აქ პირველყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ, თუ ზოგ

---

1 Д. **И м н а й ш в и л и**, Дидойский язык, 1963, გვ.18; ელ. ლ ო მ თ ა ძ ე, დიდოური ენის ჰინუხური დიალექტი, 1963, გვ.47.

2 ტ. გ უ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ.11.

3 **З. М а г о м е д б е к о в а, О фонетических особенностях южного диалекта ахвахского языка,** იკე, XIII, 1962, გვ.281-282.

4 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.44-46.

5 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.59.

იბერიულ-კავკასიურ ენაში, მაგ., ხუნძურში[1], როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ეს ლატერალები წ ი ნ ა წარმოების ბგერებია - ე ნ ი ს წ ი ნ ა ნ ა წ ი ლ ი თ იწარმოებიან[1], არჩიბულში ისინი უ კ ა ნ ა წარმოების ჰომორგანულ ბგერებად გვევლინებიან - ე ნ ი ს უ კ ა ნ ა ნ ა წ ი ლ ი თ ი წ ა რ-მ ო ე ბ ი ა ნ: უფრო ზუსტად, თუ ხუნძურში "ასეთ თანხმოვანთა წარმოთქმისას ენის წ ი ნ ა ნ ა წ ი ლ ი (ხაზი ჩვენია ო.კ.) გადაიწევა (გადაიდრიკება) ცალ მხარეს, რათა საპირისპირო მხარეს ენის გვერდსა და ლოყას შუა ჰაერნაკადს გასასვლელი დაურჩეს"[2], არჩიბული ლატერალების წარმოთქმის დროს ენა პირში თითქმის სწორად დევს, მხოლოდ მისი უ კ ა ნ ა ნ ა წ ი ლ ი იდრიკება ცალ გვერდზე, რათა უკანა ზედა კბილებთან გზა მისცეს ჰაერნაკადს, რომელიც მიედინება ლოყის გასწვრივ.[3]

მსგავსი ფაქტები სხვაგანაც შეინიშნება; ასე, მაგალითად, ლატერალურ სპირანტებს ნ.იაკოვლევის მტკიცებით, როგორც პროფ. რ.ლაფონმა მიგვითითა[4], კარაჩაში წარმოთქვამენ მაგარი სასის უკანა ნაწილში, მეორე და მესამე საძირის კბილებთან მაშინ, როდესაც ყაბარდოულში სპირანტისა და ლატერალური აფრიკატის არტიკულაციას ადგილი აქვს უფრო წინ, მაგარი სასის შუა ნაწილში,პირველი საძირე კბილებთან[5]. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის გარე-

----

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი,1952, გვ.149; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.47; П. **У с л а р**, **Аварский яз.**,გვ.13-14; მ ი ს ი ვ ე, **Лакский яз.**, გვ.5; იხ. აგრეთვე, ი. მ ე ს ა რ ო შ ი (J.Mészaros), Die Päkhy-Sprache.-Studies in Ancient Oriental Civilization, N 9, Chicago, Illinois, 1934, გვ. 37-39.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა,გვ.47.

3 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, იკე,IX-X, გვ.340.

4 რ. ლ ა ფ ო ნ ი ს რეცენზია იკეს IX-X ტ. BSL, 55, ნაწ.2,გვ.251.

5 Н. **Я к о в л е в**, **Таблицы фонетики кабард. яз.20.**

მოებაც, რომ ჰინუხურის თანხმოვანთა ტაბულაში ლატერალები (ლ', ƛ და ლ') ე.ლომთაძეს შეტანილი აქვს როგორც შ უ ა ე ნ ი ს - მ ი ე რ ი (მაგარი სასისმიერი) ბგერები[1]. სამწუხაროდ, ამას რაიმე განმარტება არ ახლავს. ასევე შუაენისმიერთა რიგში აქვს მოქცეული ი.დეშერიევს ხინალუღური ლ', რომელიც, მისი აზრით, ყაბარდოულ-ჩერქეზული და ბაცბური ლ'-ს[2] ბადალია. დ.იმნაიშვილი დიდოურში და ხვარშულში გამოყოფს ე ნ ა კ ბ ი ლ ი ს მ ი ე რ (ლ',ლ',ƛ) და ე ნ ა ნ უ ნ ი ს მ ი ე რ (ლ'', ლ'', ƛ') ლატერალებს[3]. პირველნი წ ი ნ ა წარმოების ბგერებია, მეორენი მათზე უ კ ა ნ იწარმოებიან. ზ.მაჰომედბეკოვას აღნიშნული აქვს, რომ კარატაული ენის თოქიტურ დიალექტში, საკუთრივ კარატაულისა და ხუნძური ენისაგან განსხვავებით "ლ'-სა და ƛ-ს წარმოთქმისას ტუჩები ოდნავ მომრგვალებულია... და აკუსტიკურად იქმნება "ღრმა" ლ'-სა და ƛ-ს თავისებური ეფექტი".[4] ტ.გუდავა ანდიურ ენათა ლატერალებზე მსჯელობისას წერს: "ლატერალთა წარმოთქმისას შეიმჩნევა ერთგვარი განსხვავება, მაგ., ტინდ. ლ' წარმოითქმის უფრო რბილად, ვიდრე ახვ. (ან ხუნძ.) ლ'..."[5]

---

1 Э.А. Л о м т а д з е, Гинухский диалект дидойского языка, 1963, გვ., 47.

2 Ю.Д. Д е ш е р и е в, Грамматика хиналугского языка, გვ., 13, 15.

3 Д.С. И м н а й ш в и л и, Дидойский язык,... გვ., 17; 18, 28-29.

4 იხ. მისი О фонетических особенностях токитинского диалекта каратинского языка, იკე, XII, გვ. 360; აგრეთვე, Т. Г у д а в а, Консонантизм андийских языков, გვ. 20.

5 ტ. გ უ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

როგორც ვხედავთ, მსგავსად პრერუპტივებისა, ლატერალებისთვისაც დამახასიათებელი ყოფილა მონათესავე ენათა და დიალექტთა მიხედვით მნიშვნელოვანი რყევა რაოდენობა-შემადგენლობასა და თვისება-ბუნებაში. პრერუპტივები იბერიულ-კავკასიურ ენებში მეორეული წარმოშობის ბგერებად მიაჩნიათ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ლატერალების მეორეული წარმოშობის შესახებაც[1]. რყევა რაოდენობა-შემადგენლობასა და თვისება-ბუნებაში, რაც ამ ენების ლატერალებსა და პრერუპტივებში დასტურდება, ვფიქრობთ, აგრეთვე მათ მეორეულ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს.

სავარაუდოა ისიც, რომ სხვადასხვა ენებსა თუ დიალექტებში ლატერალები, პრერუპტივების მსგავსად, სხვადასხვა დროს წარმოიქმნენ და მათი წარმოქმნა-ჩამოყალიბების გზებიც ყველგან სავსებით ერთნაირი არ იყო[2]; მაგ.: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ისინი საკმაოდ ადრე უნდა გაჩენილიყვნენ[3], არჩიბულში - გაცილებით გვიან. ამ უკანასკნელში ნ.ტრუბეცკოის აზრით მათი ჩამოყალიბება ხუნძური ენის გავლენით უნდა მომხდარიყო[4]. ქ.ლომთათიძეს დადგენილი აქვს, რომ

----

1 N. Troubetzkoy, Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales, 1922; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937; Arn. Tschikobawa, Die ibero-kaukasichen Gebirgssprachen und der heutige Stand ihrer Erforschung in Georgien, 1959; მ ი ს ი ვ ე, ხუნძური ენა (1940 წლის ლექციების ჩანაწერი) და იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლის შესავალი (1944-1945 წლების ლექციების ჩანაწერი); გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949.

2 გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი (1949), გვ.412-414.

3 N. Troubetzkoy, Les consonnes latérales...

4 დასახ. ნაშრ.

აფხაზურ-აბაზურის დიალექტებს - ტაპანთურსა და აშხარულს, ლატერალური სპირანტები (ლ', ლ', ლ') ზოგ სხვა ბგერებთან ერთად, შეთვისებული აქვთ ადიღურ ენათაგან ამ თანხმოვანთა შემცველ სიტყვათა სესხების გზით[1]. საკმაოდ გვიან და შეზღუდულ პირობებში უნდა წარმოქმნილიყო აგრეთვე ერთადერთი ლატერალური სპირანტი ხინალუღურშიც, რომლის თანხმოვანთა სისტემაში ის განკერძოებით დგას და, როგორც ჩანს, ამიტომაც უკვე გადაშენების გზაზეა დამდგარი.[2] ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ, როგორც ვარაუდობენ, ყველა ლატერალი ერთი ხნოვანებისა არ უნდა იყოს; ზოგი შეიძლება უფრო ადრე წარმოიქმნა, მაგ., ტჲ, სხვები - უფრო გვიან, მაგ., ლ', ლ'ზ და ლ' (არნ.ჩიქობავა).[3] ამათზე გვიან უნდა იყოს წარმოქმნილი ახვახურის მარტივი ფშვინვიერი ლატერალი, რომელიც რ.ლაფონის აზრით ამ ენისთვის დამახასიათებელი კერძო განვითარების შედეგი ჩანს და საკმაოდ ახალი მოვლენაა.[4]

9. შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი ო რ ი ყ̲-ს შ ე ს ა ხ ე ბ. არჩიბულში ორი ყ̲ გვაქვს - ჩვეულებრივი (ყ) და თავისებური (ყ'); ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც განსხვავებული ფონემები:

დიყ "წვენი" - დიყ' "ნაცარი"; ყონ "ვაცი" - ყ'ონ "შორის"...

ა.დირი ჩვეულებრივი ყ-ს აღსანიშნავად იყენებს q ნიშანს, ხოლო თავისებური ყ'-ს გამოსახატავად - q̄-ს. არჩიბული ენის თანხმოვანთა დიდი უმრავლესობის დახასიათება იგივე, როგორც q (ყ) და q̄(ყ') ნიშნებით გამოხატული ბგერებისა, ა.დირს ამ ენისადმი

---

1 ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), 1944, გვ.38; მ ი ს ი ვ ე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ), 1954, გვ.17.

2 **Ю.Д. Д е ш е р и е в, Грамматика хиналугского языка**, 1959, გვ.13.

3 იხ. იკე, ტ. IX, 1959, გვ.308.

4 იხ. მისი, Les problèmes concernant les consonnes latérales dans les langues caucasiques, 1963, გვ. 21.

მიძღვნილ შრომაში წარმოდგენილი არა აქვს, რადგან, როგორც თვით-
ონ აღნიშნავს, მათ შესახებ უკვე ჰქონდა საშუალება ელაპარაკნა თავის სხვა შრომებში.[1] მართლაც, მისი "ანდიური ენის მოკლე გრამატიკულ მიმოხილვაში" ვკითხულობთ: " q̄ არის გაცილებით მეტ დაძაბვით წარმოთქმული q ".[2] როგორც ჩანს, ასე ჰქონდა წარმოდგენილი მას ამ ორი თანხმოვნის მიმართება არჩიბულშიაც. უფრო მკაფიოდაა ეს აზრი გამოხატული ნ.ტრუბეცკოისთან. არჩიბულში ისიც ორ ყ-ს განარჩევს – ს უ ს ტ ს ა (q̇) და ძ ლ ი ე რ ს (·q̇).[3] მაგრამ ინტენსიურობის (სიძლიერის) მიხედვით ამ ენაში აბრუპტივები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან. ყ-სა და ყ'-ს შორის არსებული განსხვავება აქ სრულიად სხვა ხასიათისაა. არჩიბული ყ̲ ფარინგალური აბრუპტივია, შეიძლება ითქვას, თითქმის ისეთი, როგორიც ქართული სპირანტოიდი ყ̲[4]. რაც შეეხება ყ'-ს, ის სავსებით ხ შ უ ლ ი, ყოველგვარ სპირანტულ ელემენტს მოკლებული უკანაენისმიერი (უკანაველარული) მკვეთრი ბგერა უნდა იყოს.

ამგვარად, აბრუპტივები ყ̲ და ყ̲' არჩიბულში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა ინტენსიობის ხარისხით, არამედ იმით, რომ ერთი, ქართული ყ-ს მსგავსად, ფარინგალური სპირანტოიდია, მეორე – უკანაველარული ხშული თანხმოვანი.

10. პ ა ლ ა ტ ა ლ უ რ ი ლ̲. არჩიბულში ლ̲ საერთოდ რბილი ჩანს, მაგრამ ზოგჯერ ის განსაკუთრებით რბილია და მოგვაგონებს

---

[1] А. Д и р р, Арч. яз., გვ.1–2.
[2] А. Д и р р, Андийский яз., გვ.2.
[3] N.Trubetzkoy, Die Konsonantensysteme ..., გვ.42–43.
[4] გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საკითხები, 1949, გვ.291; 305–306.

მეგრულ ლ̱-ს[1] ან რამდენადმე რუსულ პალატალიზებულ дь -ს. ის ძალიან ახლოსაა ლაკურ ლ̱-სთან, რომელსაც პ.უსლარი ფრანგულ ľ-ს უდარებს[2], მაგრამ საგრძნობლად განსხვავდება ხუნძური ლ̱-საგან, რომელიც "ქართულ ლ̱-ს გვაგონებს"[3] და შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საშუალო მაგარსა და რბილს შუა".[3]

II. **ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ი ხ შ უ ლ ი** ყ̱. მკვეთრი ყ̱ არჩიბულში შეიძლება შეგვხვდეს ხმოვნის წინ, ხმოვანთა შორის ან ხმოვნის მომდევნოდ. ამ უკანასკნელ პოზიციაში ის ძალიან იშვიათად დასტურდება (ქოყ ბოს "ყროყინი"[4], ქბაყ ბოს//ყაყ ბოს "ყვირილი"; ლიყმათ //ნეყმათ "საკვები"). ყველაზე ხშირია მისი ხმარება სიტყვის თავში ხმოვნის წინ. უფრო იშვიათად გვხვდება ხმოვანთა შორის. ასეთ შემთხვევაში ის შეიძლება მოგვევლინოს **ხ მ ო ვ ა ნ თ ა გ ა მ ყ ა რ ა დ** (მიქაყილ "მიხეილი",.. საყათ "საათი"...) ან **ს ხ ვ ა თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს რ ე ფ ლ ე ქ ს ა დ** (ყიყუ ბოს "ყივილი"; შდრ. ყიყ ბო "იყივლა", ყიყ ბოჯი "იყივლებს"...).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ყ̱ არჩიბულში, ჩვეულებრივ, ხმოვნის მაგარ შემართვას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ის შეიძლება არ აღვნიშნოთ.[4] მაგრამ როდესაც ყ̱ გვევლინება ხმოვანთა გამყარად, ყ̱ ბგერის მონაცვლედ ან ჰამზას ადგილზე (აღმოსავლური ენებიდან ნასესხებ სიტყვებში), მაშინ მისი აღნიშვნა საჭირო ჩანს.

---

1 А. Ц а г а р е л и, Мингрельские этюды, II, 1880, გვ. 48; И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, 1914, გვ.5; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ.14; ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ჭან.-მეგრ. ფონეტიკა, გვ. 76-78.

2 П. У с л а р, Лакский яз., 1890, გვ.7.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ.42; იხ. აგრეთვე, П. У с л а р, Аварский яз., 1889, გვ.10.

4 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.23.

12. ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი მ კ ვ ე თ რ ი პ̲. აბრუპტივი პ̲ არჩიბულში ძალიან იშვიათად გვხვდება. დავასახელებთ ამ ბგერის შემცველ რამდენიმე სიტყვას:

პარპალა "მწყერი"; პაპრუს "პაპიროსი"[1]; ცუმპურ//ცამპურ "ფანდური"[2]; პარყუთ[3](//ფართხუყ) "ქურქი"; პამადურ "პამიდორი" (შდრ. ანწუხური პამადორ); პრედკოლხოზ "კოლმეურნეობის თავმჯდომარე".

პ̲ - სამხრულ-ხუნძურის[4] მსგავსად, არჩიბულშიც მეორეული წარმოშობის ბგერა ჩანს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქურქის აღმნიშვნელი სიტყვა პ ა რ ყ უ თ, სადაც პ̲ ბ̲-საგან უნდა მომდინარეობდეს ბ-ს ყ-სთან ასიმილაციის გზით: პარყუთ ← *ბარყუთ (შდრ. ლაკ. ბარყუთ "ქურქი").

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არჩიბულში დასტურდება ქურქის აღმნიშვნელი ამ სიტყვის მეორე ფორმაც - ფართხუყ, რომელსაც აგრეთვე განუცდია ფონეტიკური ცვლილებები, კერძოდ, ბ̲, ამჯერად თ̲ხ-ს გავლენით, ფ̲-დ ქცეულა: ფართხუყ ← ბართხუყ (შდრ. ლაკ. ბართუყ "ქურქი").

13. ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი. არჩიბულში ვ̲(=ჳ̲) საკმაოდ მკვეთრად გამოხატული წყვილბაგისმიერი ბგერაა. ის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მომდევნო ან წინამავალ ხმოვნებთან ქმნის დიფთონგებს. ეგევე ვ̲, მეტნაკლებად რედუცირებული[5], მონაწილეობს ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ კ ო მ პ ლ ე -

---

1 А. Д и р р, Арч. яз., გვ.175.

2 იქვე, გვ.164.

3 С.М. Х а й д а к о в, Очерки по лексике лакского языка, 1961, გვ.21.

4 ლ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იკე, II, გვ.130; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ლ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.43-44; ლ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ. 63; Ш.И. М и к а и л о в, Основные фонетико-морфологические особенности чохского говора аварского языка, 1948, გვ. 49; З. Д ж а п а р и д з е, Некоторые фонетические особенности речи селений Манас-аул и Аркас, 1957, გვ. 245.

5 ლ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის, იკე, V, გვ.286, შენიშვნა 2.

ქ ს ე ბ შ ი[1], როგორც მათი მეორე კომპონენტი; მაგ.: გვ (გვაჩი "ძაღლი", გვაცი "ჭაკი", გვაყას "თავის მოყრა"...), კვ (კვეტ "ტუჩი", "პაგე"), ქვ (ქვან "ჭამს", ქვირი "ვინ", ქვარ "ძაფი", ქვექბის "ტრიალი","ბრუნვა"...), ყვ (ყვატ "ქუჩა", ყვარბაკჰ "სეტყვა", ყვილ "ხრამი"), ყ'ვ (ყ'ვეტუ "ორი", ყ'ვებყ'ი "პეშვი", ყ'ვებოს "შემდეგ", ყ'ვერყ'ა ბოს "დაქოქვა"...), ხვ (ხვალი "პური", ხვაქ "ტყე", ხვეთბი ← ხვეთბატი "ჯიცი" ...), ლ'ბვ//ლ'ვ (ლ'ბვინ "მარცვალი", "თესლი", ლ'ბვაქ "ახლოს", ლ'ბვით "ნაკელი"), ჯვ (ჯვატი "ხე", ჯვალ "ცური", ჯვექმუს "გატყავება"...), შვ (შვიტილა "სასტვენი", შვი "ღამე"...), ჩვ(ჩვაჭი "წივა"...), ჟვ (ჟვენ "თქვენ"...) და ა.შ.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი, ჩვეულებრივ, გვაქვს არალაბიალურ ხმოვანთა (ა, ე, ი) წინ.[2] ლაბიალური ელემენტი ვ̱, მომდევნო სრულ ხმოვნებთან (ა, ე), ამ პირობებშიც ქმნის დიფთონგებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ის წინამავალ თანხმოვნებთან უფრო სუსტადაა დაკავშირებული, ვიდრე მაშინ, როდესაც ლაბიალიზებული კომპლექსები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, თანხმოვნის წინ ან უმახვილო ი̱ ხმოვნის წინაა.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლაბიალური ელემენტი წინამავალ ფარინგალურ და უკანენისმიერ თანხმოვნებს იმდენად მტკიცედ ერწყმის, რომ შედეგად ვიღებთ ისეთ ლაბიალიზებულ კომპლექსებს, რომლებიც არჩიბულში დამოუკიდებელი ბგერების შთაბეჭდილებას ტოვებენ:

ყ° – ნაყ°//ნოყ° "მიწა", ერგ. ნაყ°ლი//ნეყ°ი, მრ.რ.სახ. ნაყ°მულ; ნეყ°ლით//ნეყ°ით "მიწაზე; ჰებე–ნაყ° "თიხა" (შდრ.რუთ. ნაყვ "მიწა", მრ.რ.სახ. ნაყვბურ; წახურ. ნაყვ "მიწა","ნიადაგი", "საფლავი"; აღულ. ნეყვ "საფლავი"; თაბასარან. ნაყვ "საფლავი",

---

1 გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, 1962.

2 N. Trubetzkoy, Die Konsonantensysteme..., გვ.44.

ჭაყ° "კოვზი", ერგ.ჭაყ°ლი, მრ.რ.სახ. ჭაყ°მულ; მარყ° "ლურსმანი", ერგ. მარყ°ლი; კან-მარყ° "ნალ-ლურსმანი"; ბიყ° "ადგილი", ერგ. ბიყ°ლი, მრ.რ.სახ. ბიყ°მულ; ბიყ°მა "ადგილზე", "ნაცვლად" (შდრ. ანდიური ენების მაკვა, მაკვო "ადგილი"; შდრ. აგრეთვე, ხუნძ.ბაკ "ადგილი", რომელიც ტ.გუდავას ვარაუდით ბაკვ ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს)[1];

ყ'° – იყ'° "მძიმე", იყ'°დიბ//იღ'°დიბ "მძიმეები"...

კ° – ჭინიკ° "ცელი", ერგ.ჭინკ°ლი; მაკ° "ეკალი", მრ.რ. სახ. მაკ°მულ; იკ° "გული"...

ქ° – ბაქ° "გვერდი", ერგ. ბაქ°ლი; მაქ° "ცვარი";"კვარი", მრ.რ.სახ. მაქ°მულ//მაქ°მულლუ...

ხ° – მახ° "ზღაპარი", ერგ. მახ°ლი მრ.რ.სახ. მახ°თბუ; ნახ° "ბზე", ერგ. ნახ°ლი, მრ.რ.სახ. ნახ°მულ...

ეს, თითქოს, ასედაც უნდა ყოფილიყო; ლაბიალური ელემენტი ვ, რომელიც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, თანხმოვნის წინ ან უმახვილო ი ხმოვნის წინაა და დიფთონგის შექმნაში ვერ მონაწილეობს, ბუნებრივია, რომ უფრო მტკიცედ შეერწყმოდა წინამავალ თანხმოვნებს.

არჩიბულში დამოწმებული ლაბიალიზებული კომპლექსები თავიანთი ბუნებით, შეიძლება ითქვას, თითქმის არაფრით განსხვავდებიან იმ ლაბიალიზებულ კომპლექსებისაგან, რომლებიც ცნობილია მონათესავე ენებიდან, მაგ., ხუნძური ენიდან.[2] აფხაზურის[3] ან, თუნდაც, თაბასარანულის[4] ტიპის ლაბიალიზებული თანხმოვნები აქ არ დასტურდება.

---

1 Т. Г у д а в а, К изменению лабиализованных согласных в аварском и анд.яз., იკე,1956,გვ.27.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.81–82.

3 ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), 1944,გვ.16–28; მ ი ს ი ვ ე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებითურთ), 1954, გვ.7–31.

4 А.А. М а г о м е т о в, Табасаранский яз., გვ.54.

მაგრამ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, თანხმოვნის წინ ან უმახვილო ი-ს წინ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლაბიალიზებული კომპლექსე-ბი მაქსიმალურად უახლოვდებიან ლაბიალიზებულ თანხმოვნებს.

ამრიგად, თანხმოვანთა ლაბიალიზებული კომპლექსები არჩიბულში ამჟღავნებენ მეტ-ნაკლებ სხვაობას, რაც შეპირობებულია სიტყვაში მათი პოზიციით.

ფონეტიკური პროცესები

14. ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა. ასიმილაცია გავრცელებული ფონე-ტიკური პროცესია არჩიბულში. ის გვხვდება როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში.

ხ მ ო ვ ა ნ თ ა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა, ჩვეულებრივ, რეგრე-სულია და სრული. გვაქვს ნაწილობრივი დამსგავსების შემთხვევებიც. პროგრესული ასიმილაცია იშვიათია. დამსგავსება ხმოვნებში დ ი - ს ტ ა ნ ც ი უ რ ი ა.

რ ე გ რ ე ს უ ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა

ყველაზე ხშირად იმსგავსებს და ემსგავსება ო̱ ხმოვანი:

ა̱ - ო̱ → ო̱ - ო̱:

ყოლლო (← *ყალლო ← *ყალილო) "დოლები"; შდრ. ყალი "დოლი". ბოცრო (← *ბაცრო) "მთვარემ"; შდრ. ბაც "მთვარე". ყოთხორმელ'ეძცუ (← *ყათხორმელ'ეძცუ) "ოცდარვა"; შდრ. ყა "ოცი". ბოშხორსხეძცუ (← *ბაშხორსხეძცუ) "ასერთი"; შდრ. ბაშხ "ასი".

ი̱ - ო̱ → ო̱ - ო̱:

ბოშორ (← *ბიშორ) "ხბორები"; შდრ. ბიშ "ხბო". ოლ'ორ (← *ილ'-ორ) "კალოები"; შდრ. ილ' "კალო". ნოთხორ (← *ნითხორ) "კალათები"; შდრ. ნით "კალათი". ომნორ (← *იმნორ) "თაფლები"; შდრ. იმნ "თაფლი". ქონორ (← *ქინორ) "რწყილები"; შდრ. ქინ "რწყილი". ჟოფოთ (← *ჟიფოთ) //ჟიფმულ (მრ.) "ჯიბეები". ბოყოთ (← *ბიყ°ოთ) "ად-გილები"; შდრ. ბიყ° "ადგილი". ქოლომ (← *ქილომ) "ბალახები"; შდრ. ქილ "ბალახი"...

ო - ა → ა - ა:

ნაჩა (← *ნოჩა) "ჩიტმა"; შდრ. ნოჩ "ჩიტი", "ბეღურა". კასბა (← *კოსბა) "დანამ"; შდრ. კოს "დანა". ყანა (← *ყონა) "ვაცმა"; შდრ. ყონ "ვაცი". სხალა (← *სხოლა) "მელიამ"; შდრ. სხოლ "მელია". კანნლა (← *კონნოლა) "ლეკვმა"... შდრ. კონნოლ "ლეკვი", "გოჭი"... ლ'ხანნა (← *ლ'ხონოლა) "ცოლმა"; შდრ. ლ'ხონოლ "ცოლი" ... ნაყ'ნა (← *ნოყ'ონა) "თაგვმა"; შდრ. ნოყ'ონ "თაგვი". ყ'აცლა (← *ყ'ოცოლა) "ქამარმა"; შდრ. ყ'ოცოლ "ქამარი". ხ'აშნა (← *ხ'ოშონა) "ბლუზამ"; შდრ. ხ'ოშონ "ბლუზა". ლაჰა (← *ლოჰა) "ბავშვმა" ... შდრ. ლო "ბავშვი"...

ო - ე-ე → ე:

კებე (← *კობე) "ტანსაცმელმა"; შდრ. კობ "ტანსაცმელი". ხ'ერე (← *ხ'ორე) "სოფელმა"; შდრ. ხ'ორ "სოფელი". პეპლე (← *პოპოლე) "ხორბალმა"; შდრ. პოპოლ "ხორბალი". მელ'ე (← *მოლ'ონე) "ზამთრის ბალახმა"; შდრ. მოლ'ონ "ზამთრის ბალახი ერთგვარი". მექრე (← *მოქრე) "წვერმა"; შდრ. მოქ-ორ "წვერი". მესთხე (← *მოცთხე) "საძოვარმა"; შდრ. მოც-ორ "საძოვარი"...

ო - ი → ი - ი:

ბიკი (← *ბოკი) "ალაომ"; შდრ. ბოკ "ალაო". ხ'ინი (← *ხ'ონი) "ძროხამ"; შდრ. ხ'ონ "ძროხა". ნიში[1] (← *ნოშ'ი) "ცხენმა"; შდრ. ნო̃'შ "ცხენი"...

ო - უ → უ - უ:

გურუ (← *გორუ ← *გორუვ ← *გოროვ) "ის(ახლოს)"; შდრ. გოროთ...

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის სხვა მაგალითები:

ა - უ → უ - უ:

უნსურ (← *ანსურ) "ხარები"; შდრ. ანს "ხარი". უმბუ (← *აბმუ) "მამამ"; შდრ. აბ-თხუ "მამა"...

---

1 არჩიბული ენის ერგატივის წარმოებასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ენაში ადგილი აქვს "შინაგანი ფლექსიის მოვლენას" და რომ ის აქ საკმაოდ ფეხმოკიდებულია. ჩვენი წარმოდგენილი მასალის ანალიზი ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს. არჩიბულში საქმე გვაქვს არა შინაგან ფლექსიასთან, როგორც ვარაუდობენ, არამედ ხმოვანთა ასიმილაციასთან (იხ. С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка, 1965, გვ., 154-155).

ი - ა → ა - ა:

ღანჯარ ← //ღინჯარ "საცევარი", "ხანჯალი". მურთალა ← //მურთილა "პრინმა". ასხაცუ (← ის-ა-ცუ), ბასხაბუ (← ბის-ა-ბუ), დასხარუ (← დის-ა-რუ), ვასხავუ (← ვის-ა-ვუ) - "თვითონ ჩემი"; შდრ. ის, ბის, დის, ვის - "ჩემი"...

ა - ე → ე - ე:

ყელლე (← ყალლეთბე) "სარწყაომ"; შდრ. ყალლე "სარწყაო".

ა - ი → ი - ი:

ჰინი (← ჰანი) "რამ"; შდრ. ჰან "რა"...

უ - ი → ი - ი:

მიხთი[1] (← მუხთი) "მკერდმა"; შდრ. მუხ-თრ "მკერდი".

ნაწილობრივი ასიმილაციის მაგალითები:

ა - ი → ე - ი:

ნენირი (← ნანირი) "ცილმა"; შდრ. ნან "ცილი". ნეცირი (← ნაცირი) "ნილმა"; შდრ. ნაც "ნილი". ნეკხი (← ნაკხი) "რძემ"; შდრ. ნაკხ "რძე"...

პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იშვიათია და მაგალითებიც შედარებით ერთფეროვანია:

ი - ა → ი - ე → ი - ი:

ვიწიცუ ← // ვიწეცუ ← // ვიწაცუ "ათი". ვილ'ირუ (← ვილ'ერუ) ← //ვილ'არუ..., ვილ'იბუ ← //ვილ'ებუ (← ვილ'აბუ) "მეი-დი"..., დილ'ბირუ (← დილ'ბერუ) ← //დილ'ბარუ..., დილ'ბიცუ (← დილ'ბეცუ) ← // დილ'ბაცუ "ექვსი"...

ხმოვნებში ასიმილაცია დაკავშირებული უფრო იყოს მახვილთან. დამსგავსებას მახვილიანი ხმოვანი უფრო უ წ ყ ო ბ დ ე ს ხელს. ასიმილაცია შეიძლება განიცადოს როგორც წინა, ისე მახვილიანი

---

1 ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.154.

ხმოვნის მომდევნო უმახვილო ხმოვანმა[1]: ნიში́ (← *ნი'ში) "ცხენმა", უნსურ (← *ანსურ) "ხარები"; ღირ'ბიცუ // ← ღირ'აცუ... "ექვსი", ვიწიცუ // ← ვიწაცუ "ათი"...

დამსგავსება გვაქვს დიფთონგებშიც, თუმცა აქ ასიმილაცია კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი ა და ნაწილობრივი. ერთმანეთზე მოქმედებენ დიფთონგის კომპონენტები ან მეზობელი დიფთონგები. ცვლილება შეიძლება განიცადოს ან გამოიწვიოს მომიჯნავე ხმოვანმაც. ასიმილაცია დიფთონგებს შიგნით, ხმოვანთა მსგავსად, ჩვეულებრივ, რეგრესულია, თუმცა გვაქვს პროგრესული დამსგავსების საყურადღებო მაგალითებიც.

დამავალი დიფთონგების ასიმილაციის დროს შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება; დიფთონგის ყველა სრული ხმოვანი, რომელიც ჲ-ს წინ აღმოჩნდება, გარდა ე-სი და ი-სა, მისი გავლენით შეიძლება იქცეს ე-დ. ასევე ხმოვნები ა და ი, თუკი ისინი ვ-ს წინ მოხვდებიან, ჩვეულებრივ, გადადიან ო-ში. ასე რომ, ასეთ შემთხვევაში ასიმილაციის შედეგად ყოველთვის ვიღებთ სათანადო საშუალო ღიაობის ხმოვნებს – ე-ს ან ო-ს:

აჲ → ეჲ:

ყ'ეჲდილი ი (← *ყ'აჲდილი ი) "მის", "დამჯდარია", ყ'ეჲდითხუთ (← *ყ'აჲდითხუთ) – "ნამყოფი", შედმიწ. "ნაჯდომი"; შდრ. ყ'არდილი დი "მის" (ქალი)"...

ოჲ → ეჲ:

ლ'ხვეჲცუ (← *ლ'ხვოჲცუ), ლ'ხვეჲბუ (← *ლ'ხვოჲბუ), ლ'ხვეჲრუ (← *ლ'ხვოჲრუ), ლ'ხვეჲვუ (← *ლ'ხვოჲვუ); შდრ. ლ'ხვო "ხუთი"; ოლეჲცუ ← //ოლოჲცუ "ჩვენ" (ექსკლ.)...

უჲ → ეჲ:

ნენცეჲცუ (← *ნენცუჲცუ) "ჩვენ თვითონ", შდრ. ნენცუ; ერგ. ნენიბეჲბუ (← *ნენიბუჲბუ), შდრ. ინკლ. ნენიბუ; ნენირეჲრუ (← *ნენირუჲრუ), შდრ. ინკლ. ნენირუ... ნათ. ლაცეჲცუ (← *ლაცუჲცუ),

---

1 შდრ. **К. Микаилов, Арчинский язык**, 1967, გვ. 17.

შდრ. ინკლ. ლაცუ; ლაბეჲბუ (← *ლაბუჲბუ), შდრ. ინკლ. ლაბუ; ლარეჲ-
რუ (← *ლარუჲრუ), შდრ. ინკლ. ლარუ... მიც. ელცეჲცუ (← *ელცუჲცუ),
შდრ. ინკლ. ელცუ; ბელიბეჲბუ (← *ბელიბუჲბუ), შდრ. ბელიბუ; დე-
ლირეჲრუ (← *დელირუჲრუ), შდრ. დელირუ...

ქვენცეჲცუ (← *ქვენცუჲცუ) "თქვენ თვითონ", შდრ. ქვენცუ; ერგ.
ქვენიბეჲბუ (← *ქვენიბუჲბუ), შდრ. ქვენიბუ; ქვენირეჲრუ (← *ქვე-
ნირუჲრუ), შდრ. ქვენირუ... ნათ. უშხაცეჲცუ (← *უშხაცუჲცუ), შდრ.
უშხაცუ; უშხაბეჲბუ (← *უშხაბუჲბუ), შდრ. უშხაბუ; უშხავეჲვუ (←
*უშხავუჲვუ), შდრ. უშხავუ... მიც. ვექიცეჲცუ (← *ვექიცუჲცუ);
ვექირეჲრუ (← *ვექირუჲრუ), შდრ. ვექირუ; ვექივეჲვუ (← *ვექივუჲ-
ვუ), შდრ. ვექავუ...

უნავეჲვუ (← *უნავუჲვუ), შდრ. უნავუ... "შენ თვითონ"..., ერგ.
უნიბეჲბუ (← *უნიბუჲბუ), შდრ. უნიბუ... მიც. ვასხიცეჲცუ (← *ვასხ-
იცუჲცუ), შდრ. ვასხიცუ...

ინქიცეჲცუ (← *ინქიცუჲცუ), შდრ. ინქიცუ; ინქიბეჲბუ (← *ინქი-
ბუჲბუ), ინქიბუ... "ის თვითონ", ერგ. ქუცეჲცუ (← *ქუცუჲცუ), ქუ-
ბეჲბუ (← *ქუბუჲბუ)..., ქეცეჲცუ (← *ქეცუჲცუ), ქებეჲბუ (← *ქე-
ბუჲბუ)... ნათ. ქუნცეჲცუ (← *ქუნცუჲცუ), შდრ. ქუნცუ, ქუნიბეჲბუ
(← *ქუნიბუჲბუ)... ქენიბეჲბუ (← *ქენიბუჲბუ), შდრ. ქენიბუ, ქე-
ნერეჲრუ (← *ქენირუჲრუ)... მიც. ქუსხირეჲრუ (← *ქუსხირუჲრუ),
შდრ. ქუსხირუ, ქუსხიცეჲცუ (← *ქუსხიცუჲცუ)... ქესხიბეჲბუ (← *ქე-
სხიბუჲბუ), შდრ. ქესხიბუ, ქესხიცეჲცუ (← *ქესხიცუჲცუ)...

ეზიცეჲცუ (← *ეზიცუჲცუ), შდრ. ეზიცუ "თვით მას", ბეზიბეჲბუ
(← *ბეზიბუჲბუ), შდრ. ბეზიბუ, დეზირეჲრუ (← *დეზირუჲრუ), შდრ.
დეზირუ...

ავ[1] → ოვ:

ჲოვ (← *ჲავ) "ეს", შდრ. ჲარ, ჲაბ, ჲათ. მუსოვუ (← *მუსავუ)
"მუსაც", შდრ. მუსა. ოვპი (← *ავპი) "ვშობ", ზედმიწ. "გავაკეთებ",

---

1 შდრ. А. Д и р р, Арч. яв., გვ.3,შენიშვნა 1.

შდრ. აბჭუ... ოვლაჭით (← ავლაჭით) "ველზე", "მინდორზე". ოვჩული[1] (← ავჩული) "მოუკლავს"... შდრ. არჩული ... სოვქბას (← სავქბას) "ყურება"... შდრ. სარქბას ... ხოვთბი (← ხავთბი)"ნავა"... შდრ. ხათბი...

ი-ვუ → ო-ვუ:

ლექბოვუ (← ლექბი-ვუ) "ძვალიც", შდრ. ლექბი "ძვალი". ჭაროვუ (← ჭარი-ვუ) "ბეწვიც", "თმაც", შდრ. ჭარი "თმა"... ჭიშბოვუ (← ჭიშბი-ვუ) "ხმაც", შდრ. ჭიშბი "ხმა". ზაროვუ (← ზარი-ვუ) ერგ. "მეც"; შდრ. ზარი "მე". დოშმოვუ (← დოშმი-ვუ)"დამაც", შდრ. დოშმი "დამ". დანო-კონოვუ (← დანი-კანი-ვუ) // ← დანნო-კონუ "არსად", "ვერსად", ზედმიწ. "სად-ნა". ხვალლოვუ (← ხვალლი-ვუ) "პურიც", შდრ. ხვალლი "პური". ცვაჩოვუ (← ცვაჩი-ვუ) "ძაღლიც", შდრ. ცვაჩი "ძაღლი". მარჩოვ (← მარჩი-ვუ) "ყველა","ყოველი", შდრ. ერგ. მარჩიმედუ. ვინარმოვუ (← ვინარუმი-ვუ) "ათივემ", შდრ. ნათ. ვინარუმინუ... ყ'ვერუმოვუ (← ყ'ვერუმი-ვუ) "ორივემ", შდრ. ნათ. ყ'ვერუმინუ...

ყურადღებას იქცევს პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს ისეთი მაგალითები, სადაც დიფთონგისეული ე̯ გავლენას ახდენს მის მეორე კომპონენტზე – ვ-ზე, და აქცევს მას ჲ-დ:

ეჲდი // ← ევდი "იყო"; ეჲწნიპიში ვი // ← ევწნიპიში ვი "შეკრავს"; ეჲხუთბუ // ← ევხუთბუ "დარჩენილი"; დალ'-ეჲთბი // დალ'-ევთბი "სკემა", შდრ. დალ'-ერთბი; ქეეჲქბი! // ← ქევექბი! "მიბრუნდი!" ბეჲ ეჲლ'უპი // ← ბაჲ ევლ'უპი "დაიწყებს"...

ასეთივე ცვლილება (ვ̯ → ჲ̯) შეიძლება გამოიწვიოს წინა დიფთონგის ჲ-მ ან ი̯ ხმოვანმა; მაგ.:

ოჲ-ჲუ (← ოჲ-ვუ) "ყურიც", შდრ. ოჲ "ყური"; ოსიმაჲ-ჲუ (← ოსიმაჲ-ვუ) "ერთნიც", "ზოგნიც"...

ჩერხი-ჲუ (← ჩერხი-ვუ) "ჯანმრთელობითაც", ზედმიწ. "ცანითაც", შდრ. ერგ. ჩერხი "ცანმა", "ცანით"; შამი-ჲუ (← შამი-ვუ) "შამიც", შდრ. შამი (საკუთარი სახელი)...

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

ორი ხმოვნის შეხვედრისას, გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში, შეიძლება მოხდეს მათი შერწყმა ერთ გრძელ ხმოვნად, რაც არჩიბულ-ში შედარებით იშვიათად ხდება. უფრო ბუნებრივია სხვა პროცესი. მეზობელი ხმოვნებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, ის, რომლის ფონეტიკუ-რი ბუნება ამის საშუალებას იძლევა, მარცვლიანობას კარგავს (უ → ვ, ი → ჲ...) ან სავსებით ქრება. ხმოვანი, რომელიც მარცვლიანო-ბას კარგავს, მომდევნო ან წინამავალ ხმოვნებთან დიფთონგებს ქმნის. დიფთონგებში კი, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, შეიძლება მოხდეს რე-გრესული ან პროგრესული ასიმილაცია. დიფთონგის შიგნით პროგრესუ-ლი ასიმილაციის შედეგადაა მიღებული შემდეგი ფორმები:

აცორ (← *აცვორ ← *აცვერ ← *აცუ-ერ) "გაქრაო", შდრ. აცუ "გა-ქრა";

იცორ (← *იცვორ ← *იცვერ ← *იცუ-ერ) "არ არისო", შდრ. იცუ "არ არის".

ევდიცორ (← *ევდიცვორ ← *ევდიცვერ ← *ევდიცუ-ერ) "არ იყოო", შდრ. ევდიცუ "არ იყო";

ბაყ'ორ (← *ბაყ'ვორ ← *ბაყ'ვერ ← *ბაყ'უ-ერ) "დაცოვაო", შდრ. ბაყ'უ "დაცოვა"...

ყველა ამ მაგალითში უმარცვლო "ვ" (უ̯) ო-ს წინ გაუჩინარებუ-ლია.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა   ა ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს განხილვა უნდა დავიწყოთ სისტემატური ხასიათის რეგრესული დამსგავსების მაგალითებით. რ ე გ რ ე ს უ ლ   ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს, ჩვეუ-ლებრივ, სუფიქსისეული თანხმოვნები იწვევენ. იცვლება ფუძისეუ-ლი თანხმოვნები:

ბმ → მმ:

გორომ-მი (← *გორობ-მი)[1] "იმან (ქვემოთ)"; შდრ. გორობ "ის"

---

1 იხ. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში, იკე, XIII, 1962, გვ. 340.

(ქვემოთ)"; ჲამ-მი (← *ჲაბ-მი) "ამან"; შდრ. ჲაბ "ეს"; ტითხ-უმ-მი (← *ტითხუბ-მი) "პატარამ"; შდრ. ტითხუბ "პატარა"; თოვმუ-ნნუმ-მი (← *თოვმუნნუბ-მი) "მისმა"; შდრ. თოვმუნნუბ "მისი"; ბოსხომ-მი (← *ბოსობ-მი) "ჩემმა"; შდრ. ბოსხობ "ჩემი"; უთხიმ-მაჲ (← *უთხიბ-მაჲ) "შენებმა"; შდრ. უთხიბ "შენები"; უმ-მუ (← *აბ-მუ)[1] "მამამ"; შდრ. აბ-თხუ "მამა"; ჭანნიმ-მაჲ (← *ჭანნიბ-მაჲ) "რომლებმა"; შდრ. ჭანნიბ "რომელნი"...

ნმ → მმ:

ხ'ელემემ-მა (← *ხ'ელემენ-მა) "სტუმრებთან"; შდრ. ხ'ელემენ "სტუმრების"; ხ'ელიმიმ-მა (← *ხ'ელემინ-მა) "სტუმართან" (II კლ.); შდრ. ხ'ელემინ "სტუმრის"; ხემემ-მა (← *ხემენ-მა) "ქალებთან; შდრ. ხემენ "ქალების"; ლ'ელემემ-მა (← *ლ'ელემენ-მა) "კაცებთან"; შდრ. ლ'ელემენ "კაცების"; ჟუმ-მა (← *ჟუნ-მა), ჟემ-მა (← *ჟენ-მა) "თვით მასთან"; შდრ. ჟუნ (I კლ.), ჟენ (II, III, IV კლ.) "თვით მისი"; ჟამ-მა (← *ჟან-მა) "თვით იმათთან"; შდრ. ჟან "თვით იმათი"; ფარჩაჭხლამ-მა // ← *ფარჩაჭხლიმ-მა (← *ფარჩაჭხლინ-მა) "ფარიმახთან", შდრ. ფარჩაჭხლინ "ფარიშაჭის"; ჲურღამ-მულ (← *ჲურღან-მულ[2]) "საპნები"; შდრ. ჲურღან "საპანი"; ჩაჩამ-მულ (← *ჩაჩან-მულ) →// ჩაჩამულ "ჩეჩნები"; შდრ. ჩაჩან "ჩეჩენი"; ხამ-მულ (← *ხან-მულ) "მძივები"; შდრ. ხან "მძივი"; ჭიმ-მულ (← ჭინ-მულ) "რწყილები"; შდრ. ჭინ "რწყილი"...

რლ → ლლ:

ნიბზულ-ლი (← *ნიბზურ-ლი) "სამფეხმა"; შდრ. ნიბზურ "სამფე-

---

1 იხ. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში, იკე, XIII, 1962, გვ. 346.

2 **А. Д и р р, Арч. яз.,** გვ. 12, შენიშვნა 1; ყ. მ ი-ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 35; შდრ. **С.М. Х а й д а к о в, Падежная система ...,** 1965, გვ. 154.

ხი"; ქოლ-ლი (← *ქორ-ლი)[1] "თონემ"; შდრ. ქორ "თონე"; ხ'ოლ-ლი (← *ხ'ორ-ლი) "სოფელმა"; შდრ.ხ'ორ "სოფელი"; ვანილ-ლი (← // ვანილი → //ვანლი) ← *ვანირა-ლი "აქლემმა"; შდრ. ვანირა "აქლემი"; მუხმულ-ლი (← *მუხმურ-ლი) "ხავერდმა"; შდრ. მუხმურ "ხავერდი"; ქვალ-ლი (← *ქვარ-ლი) "ძაფმა"...; შდრ.ქვარ "ძაფი"... ლანგალ-ლი (← *ლანგარ-ლი) "ლანგარმა", შდრ. ლანგარ "ლანგარი"...

ამ მაგალითებში, როგორც ვხედავთ, ასიმილაციას იწვევს ჭ̱ და ლ̱, იცვლება – ნ̱, რ̱ და ბ̱ თანხმოვნები.

კანონზომიერი ხასიათი აქვს ასიმილაციურ ცვლილებებს მკვეთრებშიც (ხშულებში, აფრიკატებში); თუ მათ მოსდევს დ̱ ან თ̱ხ, დამსგავსება ნაწილობრივია. მაგალითები ცოტაა. განვიხილოთ ისინი.

ხ შ უ ლ ი კ̱ დ-ს წინ გადადის შესაბამის ხ შ უ ლ მჟღერში:

კდ → გდ:

აგ-დუ[2] (← *აკ-დუ ← *აკი-დუ) // → აკჷ-თბუ "ჯარიმები"; შდრ. აკი "ჯარიმა". ასევეა კ°დ → გ°დ შემთხვევებშიც: წეგ°-დუთ (← *წეკ°-დუთ) "მჟავე"; შდრ. წეკ°-ქულ "სიმჟავე".

ლატერალური მკვეთრი აფრიკატი კ̱ჲ დ-ს მეზობლობაში იქცევა ლატერალურ მჟღერ ა ფ რ ი კ ა ტ ა დ (იხ.ზემოთ) ან გადადის ხშულ გ-ში:

კƀდ → გƀდ[3]//გდ[4]:

ნოლƀდურ ← // ნოგƀ-დურ//ნოგ-დურ (← *ნოკƀ-დურ) "სახლები"; შდრ. ნოკƀ "სახლი"; "ოთახი".

---

1 ოც. კ ა ხ ა ძ ე, დასახ.ნაშრ., იკე, XIII, 1962, გვ.348; მ ი ს ი ვ ე, ორი ბრუნვის ურთიერთდამთხვევის შესახებ არჩიბულში, იკე, XV, 1966, გვ., 361; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ.გვ., 35.

2 А. Д и р р, Арч. яв., გვ.XIV.

3 იქვე.

4 ოც. კ ა ხ ა ძ ე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში, იკე, IX-X, 1958, გვ.342-343; შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ. გვ.36, §26.

ეგევე კხ პრერუპციულ თბ-ს წინ იძლევა პრერუპციულ ლატერალურ ა ფ რ ი კ ა ტ ქბხ-ს[1]:

კხთბ → ქბხთბ:

ნაქბხთბუთ (← *ნაკხ-თბუთ) "ლურჯი"; შდრ. ნაკხ "ლურჯია"; კხექბხთბუთ (← *კხეკხ-თბუთ) "მრუდი"...

სხვა მდგომარეობა გვაქვს მაშინ, როდესაც სათანადო მკვეთრ აფრიკატს (წ-ს, ჭ-ს) ან ხშულს (ყ'-ს) აკლია მჟღერი ვარიანტი. ასეთ შემთხვევაში ასიმილაციის შედეგად ვიღებთ მჟღერ სპირანტებს[2]: ზ-ს, ჟ-ს და ღ-ს:

წდ → ზდ:

მარზ-დუთ (← *მარწ-დუთ) "სუფთა"; შდრ. მარწ-ქუე "სისუფთავე"; ხაზ-დუ (← *ხაწ-დუ ← *ხაწი-დუ →) // ხაწი-თბუ "მამები"; ლიზ-დუ (← *ლიწი-დუ) "ნაფოტები"; შდრ. ლიწი "ნაფოტი"...

ჭდ → ჟდ:

ალეჟ-დუთ (← *ალეჭ-დუთ) "ულამაზო"; შდრ. ალეჭ-ქუე "ულამაზობა"; დიჟ-დე (← დიჭ-დე) "შევიდა (ქალი)"; შდრ. ჭუთბე "შევიდა (კაცი)"; ზეჟ-დე "წვერმა"; მოჭ-თრ "წვერი"; კაჟ-დუ (← *კაჭ-დუ ...) // კაჭა-თბუ "ფოთლები"...

ყ'დ → ღდ:

ყ'აღ-დუ (← *ყ'აყ'-დუ ← *ყ'აყ'ი-დუ) "წვივები"; შდრ. ყ'აყ'ი "წვივი"; ცანღ-დუთ "მაგარი"; შდრ. ცანყ'-ში "მაგრად"; ყ'აზღდუთ (← *ყ'აზყ'-დუთ) "ჭუჭყიანი"; შდრ. ყ'აზყ'-ქუე → //ყ'აპყ'-ქუე "ჭუჭყიანობა", "ჭუჭყი"; იღდიშ-ლექბი (← *იყ'დიშ-ლექბი) "ბარძაყი", გერმინ."შუა ძვალი" (შდრ. ლეჩხუმური – შუარძვალი[3]). იღდეშ-

---

1 ოც. კ ა ხ ა ძ ე, ზოგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ, იკე, XI,1959,გვ.303-304; შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.36.

2 А. Д и р р, Арч. яз., გვ.XIV; შდრ. აგრეთვე, ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ. 36,§ 26.

3 ლეჩხუმურის შესახებ ცნობა მომაწოდეს ირინე და ლილი ა ს ა თ ი ა ნ ე ბ მ ა.

თხუბ (← *იყ'-ღიშთხუბ) "შუა..." შდრ. ყ'ოწ "წუაში", "შორის";

ყ'°დ → ღ°დ:

იღ°-დუთ (← *იყ'°-დუთ) "მძიმე"; მ.რ. ბიღ°დიბ (I, II კლ.), იღ°დიბ //იყ°დიბ (III, IV კლ.); შდრ. იყ'°-ში "მძიმედ"...

რეგრესული ასიმილაციის სხვა შემთხვევებიდან უნდა დავასახელოთ შდ → ჟდ-ს ორი მაგალითი და ბჭ → პჭ-სა და ბჩ → ფჩ-ს თითო მაგალითი:

უშდუ → //უჟდუ[1] "ძმა"; ბეშდე → //ბეჟდე[2]... "იყიდა", "აიღო"; ლ'იპჭუ (← *ლ'იბჭუ) " სამი"; აფჩუ // ← აბჩუ "ჩაყარა", "გადმოყარა"...

პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ შ ი საკმაოდ ფეხმოკიდებულია. ასიმილაციას ფუძისეული თანხმოვნები იწვევენ, იცვლებიან აფიქსისეული თანხმოვნები:

ნლ → ნნ:[3]

დაწონ-ნი (← *დაწონ-ლი) "ქუმელმა"; შდრ. დაწონ "ქუმელი"; ახარან-ნი (← *ახარან-ლი) "ხილმა"; შდრ. ახარან "ხილი"; ახბაზან-ნი (← *ახბაზან-ლი) "ფერამმა"; შდრ. ახბაზან "ფერამი"; ჰიფიხან-ნი (← *ჰიფიხან-ლი) "ყვავმა"; შდრ. ჰიფიხან "ყვავი"; გონ-ნი (← *გონ-ლი) "თითმა"; შდრ. გონ "თითი"; ჰბეენ-ნი (← *ჰბეენ-ლი) "კლდემ"; შდრ. ჰბეენ "კლდე"; ჰეკხინ-ნი (← *ჰეკხინა-ლი) "რამემ"; შდრ. ჰეკხინა "რამე"; კუჰბან-ნი (← *კუჰბან-ლი) "ჯოხმა"...; შდრ. კუჰბანი "წვეტიანი ჯოხი"...

ზემოდასახელებულ მაგალითებში ფუძისეულ ნ თანხმოვანს ემსგავსება ერგატივის -ლი სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტი ლ.

პროგრესული ასიმილაციით გამოწვეულ ცვლილებათა შ ე დ ე გ - ე ბ თ ა ნ უნდა გვქონდეს საქმე შემდეგ მაგალითებში:

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ.51.

2 A. Д и р р, Арч. яз., XIV.

3 იქვე, გვ. 6,7...

ნთბ → ნნ:

გუნ-ნე (← *გუნ-თბე) "მწყერმა"; შდრ. გუნ "მწყერი"; კუნ-ნე (← *კუნ-თბე) "საფქვავმა", "ფქვილმა"; შდრ. კუნ "საფქვავი", "ფქვილი"...

ფუძისეული თანხმოვნის (ნ-ს) გავლენით აქაც ერგატივის სუფიქსისეული თანხმოვანი შეცვლილა, ოღონდ არა - "ლ", არამედ - "თბ".

ფუძისეულ ნ-ს მეზობლობაში ასეთივე ცვლილება განუცდია კლასნიშნიანი სუფიქსის თბ თანხმოვანსაც:

ბაყირინუ //← ბაყირინ-ნუ (← *ბაყირინ-თბუ) "მოწმე(კაცი)", ბაყირინურ //← *ბაყირინ-ნურ (← *ბაყირინ-თბურ) "მოწმე(ქალი)"; შდრ. ბაყირინ-თილ "მოწმეები"; ჰან-ნუ (← *ჰან-თბუ) "რომელი"; შდრ. ჰა "რა"; ყ'ონ-ნუ (← *ყ'ონ-თბუ) "საშუალი"; შდრ. ყ'ონ "შუაში", "შორის"; მისქინ-ნუ (← *მისქინ-თბუ) "ღარიბი"; ხ'ონ-ნუ (← *ხ'ონ-თბუ) "ავი"... ხ'ონ-ნიბ (← *ხ'ონ-თბიბ) "ავები"; ჯაჭჷნ-ნუთ (← *ჯაჭჷნ-თბუთ) "წითელი"; ლავან-ნუთ (← *ლავან-თბუთ) "ზანგი"; ბირხბუნ-ნიბ (← *ბირხბუნ-თბიბ), ირხბუნ-ნიბ (← *ირხბუნ-თბიბ) "მუშები"; შდრ. ზმნური ფუძე - ირხბვინ...

სუფიქსისეული თბ-ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნ-ს მომდევნოდაც მოსვლია სრული ასიმილაცია:

თოვმუნ-ნუ (← *თოვმუნ-თბუ) "მისი"; შდრ. ნათ.ბრ. თოვმუნ (სახ. თოვ "ის", I კლ.); თორმინ-ნუ (← *თორმინ-თბუ) "მისი"; შდრ. ნათ.ბრ. თორმინ (სახ. თორ "ის", II კლ.); ნიშინ-ნუ (← *ნიშინ-თბუ) "ცხენოსანი"; შდრ. ნიშინ "ცხენისა"; ხ'ოლლინ-ნუ (← *ხ'ოლლინ-თბუ) "სოფლელი"... შდრ. ხ'ოლლინ "სოფლისა"; მულლენ-ნუ (← *მულლენ-თბუ) "მთიელი"; შდრ. მულლინ "მთისა"; ბულბულლინ-ნუ (← *ბულბულლინ-თბუ) "ბულბულის (ბულბულ" ქალის სახელია) - მამა, ძმა, ქმარი..." არშამმუნ-ნურ (← *არშამმუნ-თბურ) "არჩიბელი კაცის - ცოლი, დედა, მამიდა..." შდრ.ნათ.ბრ. არშაშმუნ... შალამმუნ-ნუ (← *შალამმუნ-თბუ) "შალიბელი კაცის - მამა, ბიძა, პაპა..." შდრ. შალაშმუნ "შალიბელისა"... ყესერთბენნუ (← *ყესერთბენ-თბუ) "ყესერელთაგანი

(კაცი)", ყესერთბენ-ნურ (←*ყესერთბენ-თბურ) "ყესერელთაგანი (ქა-
ლი)"; შდრ. ყესერთბენ "ყესერელებისა..."

ნთბ → ნნ პროცესის შედეგთან უნდა გვქონდეს აგრეთვე საქმე შემდეგ მაგალითებში:

ჰამანუ// ← ჰამან-ნუ (←*ჰამან-თბუ) "ლაკი" (I კლ.); ჰამან-ნიბ (←*ჰამან-თბიბ) "ლაკები"; შდრ. ჰ ა მ ა ნ ურქა "ლ ა კ უ რ ი ოლქი"; ჲართბღნ-ნუ (←*ჲართბან-თბუ) "ხუნძი" (I კლ.); ჲართბინიბ "ხუნძები"; შდრ. ჲართბან ყამ " ხ უ ნ ძ უ რ ი ენა"; ყარყილინურ "კუმიკი (ქალი)"...

თბ-მ შეიძლება განიცადოს ცვლილება ფუძისეული მ-ს მეზობლად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ა დ დასტურდება ამოსავალი ფორმებიც: ყარუმ-ნუ //← ყარუმ-თბუ (I კლ.), ყარუმ-ნურ //← ყარუმ-თბურ (II კლ.), ყარუმ-ნუთ //← ყარუმ-თბუთ (IV კლ.)... "ძუნნი", ყარუმ-ნიბ // ყარუმ-თბიბ "ძუნნები"...

ნ-ს მიუმსგავსებია სუფიქსისეული დ-ც:

ნენ-ნე (←*ნენ-დე) "გავცერი"... ქუნ-ნე (←*ქუნ-დე), ბუქ-ნე (←*ბუქნ-ნე ←*ბუქნ-დე) "მეჭამა..." ჭან-ნე (←*ჭან-დე) "დაჭმუჭნა"... ებნი (← ებნ-ნი ←*ებნ-დი) "დაავიწყდა"... ოლ'ნი(←*ოლ'ნ-ნი ←*ოლ'ნ-დი) "წაიკითხა"...

ამ შემთხვევაში ცვლილება განუცდია ნამყოს მაწარმოებელი ფორმანტების (-დე, -დი) დ თანხმოვანს.

ამავე თანხმოვანთა (თბ, დ) ასიმილაცია გამოუწვევია ფუძისეულ ლ-ს და რ-ს;

ლთ → ლლ:

გალ-ლუ// ← გალი-თბუ "ნაბიჯები"; დალ-ლუ //← დალღთბუ //← დალი-თბუ //← დალა-თბუ "ღერძები"; "ურდულები"... შდრ. მხ.რ. სახ. დალა //← დალი "ღერძი", ერგ. დალა-ლი; წიმწილუ// ← წიმწილ-ლუ (←*წიმწილა-თბუ) "პეპლები"; შდრ. მხ.რ.სახ.წიმწილა და ერგ. წიმწილ-ლი; ოწილუ// ← ოწილ-ლუ (←*ოწილა-თბუ) //ოწილ-მულ "კვესები"; შდრ.მხ.რ.სახ. ოწილა, ერგ.ოწილ-ლი; იმკჰილუ //

← იმკხილ-ლუ (← *იმკხილა-თბუ) "წინდები"; შდრ.მხ.რ.სახ. იმკხილა ერგ. იმკხილლი; ფათბილუ (← ფათბილლუ ← *ფათბილა-თბუ) "შეიდიშები"; შდრ.მხ.რ.სახ. ფათბილა, ერგ. ფათბილ-ლი; იკ°მულ//იკ°მულ-ლუ (← *იკ°მულ-თბუ) "გულები"; იჯმლ-ლუ (← *იჯმულ-თბუ) "დღეები"; ოკხმულ//ოკხმულ-ლუ (← *ოკხმულ-თბუ) "უღლები"... კხოლო// ← კხოლ-ლო (← *კხოლ-თბო ← *კხილი-თბო) "უნაგირები"; შდრ.მხ.რ.სახ. კხილი, ერგ. კხელ-ლე (← *კხილი-თბე); ყოლ-ლო (← *ყალი-თბო) "დოლები"; შდრ.მხ.რ.სახ. ყალი, ერგ. ყელ-ლე (← *ყალი-თბე)...

შემომტანილ მაგალითებში ცვლილება განუცდია მრავლობითის მაწარმოებლების -თბუ-სა და თბო-ს - თანხმოვნით ელემენტ თბ-ს.

ლ-ს მომდევნოდ იკვეცება კლას-ნიშნიანი სუფიქსისა და ერგატივის ნიშნისეული თბ თანხმოვანიც:

ჰალ-ლუ (← ჰალ-თბუ) "პატრონი", "მფლობელი"; შდრ. ჰალ-მუ "პატრონმა" და ჰალ-ქულ "პატრონობა" (შდრ. აგრეთვე ჰალ "ღმერთი")[1]; ხბალ-ლუ (← *ხბალ-თბუ) "ცუდი"; შდრ. ხბალ-ქულ "სიცუდე"... ბჷხილ-ლუ//ბახილ-ლუ (← *ბახილ-თბუ) "ძუნწი"... ჟიჰილ-ლუ (← *ჟიჰილ-თბუ) "ახალგაზრდა","ჯეელი"; ჴარხულ-ლუთ (← *ჴარხულ-თბუთ) "ნახევარი"; შდრ. ჴარხულ-ში "თანასწორად"; ზულ-ლე ← (*ზულ-თბე ...) "წყარომ"; შდრ. ზულუ "წყარო"; კხილ-ლე (← *კხილ-თბე ← *კხილი-თბე) "უნაგირმა"; შდრ. კხილი "უნაგირი"; ყელ-ლე (← *ყელ-თბე ← ყილჷ-თბე ← *ყილი-თბე) "ბათმანმა"; "ბათმანში"; შდრ.ყილი "ბათმანი"; ყოლ-ლო (← *ყილი-თბო) "ბათმანები"; ელ-ლე (← *ილ-თბე ← *ილი-თბე) "ტყავმა"; შდრ. ილი "ტყავი", ილ-ლო (← *ილი-თბო) "ტყავები"...

რდ → *რრ → რ:

ჩერე ← ჩერრე ← *ჩერ-დე "გამოაცხო", "შეწვა"... ხ'ერე// ← ხ'ერრე ← *ხერ-დე "სოველმა"...

ამრიგად, არჩიბულში სისტემატური ხასიათის პროგრესულ ასიმილაციას განიცდის შემდეგი თანხმოვნები - ლ, დ, და თბ, ასიმილა-

---

1 მსგავსი მდგომარეობა გვაქვს ქართულში, სადაც, როგორც ცნობილია, ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა "უფალი" პატრონსაც (ბატონსაც) აღნიშნავდა.

ციას იწვევს კი – მ̱, ნ̱, ლ̱ და რ̱. პროცესი ნლ → ნნ, და აგრეთვე მთь → მნ – ცოცხალი, მოქმედი პროცესი ჩანს. რაც შეეხება ნდ → ნნ-ს, ნთь→ნნ-ს, ლდ → ლლ-ს, ლთь → ლლ-ს და რდ → რრ-ს – აქ ასიმილაციის შედეგთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე დღეს მოქმედ ფონეტიკურ პროცესთან. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხასიათის ცვლილებები ახალ მასალაში უკვე არ გვხვდება.

15. დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა. ხმოვანთა დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი ცვლილებები უნდა გვქონდეს შემდეგ მაგალითებში:

იჲ → ეჲ:

ზარეჲწუ (← *ზარიჲწუ), ზარეჲბუ (← *ზარიჲბუ), ზარეჲრუ (← *ზარიჲრუ), ზარეჲვუ (← *ზარიჲვუ) ერგ. – "მე თვითონ", შდრ. ზარი (ერგ.) "მე"...

უვ → ოვ:

ყ'ვევოვუ (← *ყ'ვევუვუ) "ორივე", შდრ. ყ'ვევუ "ორი", ერგ. ყ'ვევმოვუ (← *ყ'ვევმუვუ) "ორივემ", შდრ. ყვევმუ "ორმა". უჯატოვუ (← *უჯატუვუ) "ცხრავე", შდრ. უჯატუ "ცხრა". ჭაბოვუ (← *ჭაბუვუ) "ცხვარიც", შდრ. ჭაბუ "ცხვარი" (კრებ.).

დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი დასტურდება თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ შ ი ც – როგორც რ ე გ რ ე ს უ ლ ი, ისე პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი. ამასთანავე შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება:

ზოგჯერ არჩიბულში ერთად ვერ ძლებს ორი ერთგვაროვანი თანხმოვანი; მაგ.:

ცთь → სთь:

ბესთьუ (← *ბეც-თьუ) "ბრმა", ბესთьიბ (← *ბეც-თьიბ) "ბრმები", შდრ. ბეც "ბრმა", აგრეთვე – ბეც-ქულ "სიბრმავე"; მესთьეჲ (← *მეცთьეჲ...) "მთამ", "მთაში...", შდრ. მოც-ორ "მთის საძოვარი", "მთა"; გვასთьუ (← *გვაცთьუ) "ჭაკები", შდრ. გვაცი "ჭაკი"..

ჩთь → შთь:

გვაშთьუ (← *გვაჩთьუ ← *გვაჩი-თьუ) "ძაღლები", შდრ. გვაჩი "ძაღლი".

ჩყ' → შყ':

მუშყ'ულ (← მუჩყ'ულ) "ცხვირები", "ნისკარტები", შდრ. მუჩ "ცხვირი", "ნისკარტი", აგრეთვე — მუჩ-ურ//მუჩ-უთ//მუჩ-შულ "ცხვირები", "ნისკარტები".

ყ'ჩ → ყ'შ:

დეყ'-შულ//← დეყ'-ჩულ "გზები", შდრ. დეყ' "გზა".

კჰჩ → კჰშ:

დაკჰ-შულ//← დაკჰ-ჩულ "კარნი", შდრ. დაკჰ "კარი".

ხშ → ხჩ:

დახჩას (← *დახშას ← *დახაშას), ბახჩას (← *ბახშას ← *ბახაჩას), შდრ. ხუშას, ხაშას "დაგლეჯა", "დახევა".

დისიმილაციური ცვლილება უნდა გვქონდეს აგრეთვე შემდეგ მაგალითებში: მაჰბამტ (ისმის ხიტაბში)[1] ← *მაჰბამდ// ← მაჰბა́მად (ამბობენ ხილიხში)[1] "მუჰამედი" (მამაკაცის სახელია).

16. რ ე დ უ ქ ც ი ა.[2] არჩიბულში რედუქცია მეტად გავრცელებული მოვლენაა. სუსტდება ან იკარგება უმახვილო ხმოვნები. მახვილმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც წ ი ნ ა მ ა ვ ა ლ ი, ისე მ ო მ დ ე ვ ნ ო ხმოვნების სრული ან ნაწილობრივი რედუქცია:

ა. სრული რედუქციის მაგალითები:

ო → 0 (ნული):

კანწლა (← *კონწოლა́) "ლეკვმა" (შდრ. სახ. კონწოლ "ლეკვი"); ლ'ბანნა (← *ლ'ბონოლ-ა́) "ქალმა".. (შდრ. სახ. ლ'ბონოლ "ქალი"); ყ'არტლა (← *ყ'ოტოლა́) "სარტყელმა" (შდრ. სახ. ყ'ოტოლ "სარტყელი"); ხ'აშნა (← *ხ'ოშონ-ა́) "ბლუზამ" (შდრ. სახ. ხ'ოშ́ონ "ბლუზა"); ჰეჰლე (← *ჰოჰოლ-თბე) "ხორბალმა" (შდრ. სახ. ჰოჰოლ "ხორბალი")...

---

1 ხ ი ტ ა ბ ი და ხ ი ლ ი ხ ი არჩიბის უბნებია. ხიტაბში გაიგონებთ მოჰბომად-საც.

2 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17-20.

ა → 0 (ნული):

ქაღირმულ (← *ქაღირა-მულ) "წერილები" (შდრ.სახ.ქაღირა "წერილი"...); მურთილმულ (← *მურთილა-მულ) //მურთილ-ლუ (← *მურთილა-თბუ) "ყველები" (შდრ.სახ.მურთილა//მურთალა "ყველი"); ჰბათარჩაჲ (← *ჰბათარა-ჩაჲ) "მდინარეშ" (შდრ.სახ.ჰბათარა "მდინარე").

ი → 0 (ნული):

არხლა (← *არხლი-ა) "თხრილში" (შდრ.სახ.არხ "თხრილი", ერგ. არხლი); ნოკხა (← *ნოკხლი-ა) "ოთახში..." (შდრ.სახ. ნოკხ "ოთახი...", ერგ.ნოკხლი)[1]... ფულʼუნგურ (← *ფულʼუნგიურ) "წერაქვები" (შდრ.სახ.ფულʼუნგი "წერაქვი"); ლექთბუ (← *ლექბითბუ) "ძვლები" (შდრ.სახ. ლექბი "ძვალი")...

უ → 0 (ნული); ჷ → 0 (ნული):

ზულლე (← *ზულუდე) "წყაროშ" (შდრ.სახ.ზულუ); დო̄ʻზ ეფთბჷმხურ (← *ებთბიმუხურ) "როდესაც გაიზარდნენ" (ზედმიწ. "დიდი გახდნენ") ...[2] ყʻ-ლი (← //ყʻჷლი//ყʻალი) "ბათმანი"... ნნá (← //ნჷნá ...) "ჩიტმა", "ბეღურამ", ნათ.ნნá-ნ, მიც.ნნá-ს...

ბ. ნაწილობრივი რედუქციის მაგალითები:

ი → ჷ:

ევედჷლი (← ევედილი) "ყოფილა"; ებდჷცუ ← // ებდიცუ "არ ყოფილა"; ჸʻჴბჷლი (← // ჸʻჴბიʻლი) "ნასულა"[3]; დო̄ʻზ ეფთბჷმხურ (← // ებთბიმუხურ) "როდესაც გაიზარდნენ"; უცჷ! (← //უცი!) "მოიცადე!"... ჲატჷლჷრში (← // ჲატილირში) "გვერდისთვის", ჲატჷლოვუ (← *ჲატილოვუ) "გვერდმაც (შდრ.ერგ.ჲატილი//ჲატჷლი); ადამთჷლუ (← *ადამთილვუ) "ადამიანებიც" (შდრ. ადამთილ "ადამია-

---

1 ივ. კ ა ხ ა ძ ე, ორი ბრუნვის ურთიერთდამთხვევის შესახებ არჩიბულში, იკე, XV, 1966, გვ. 361.

2 А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, Принципы фонетической транскрипции для кавказских языков, 1970, გვ. 77.

3 იქვე, გვ. 77.

ნები"); ვართჷთბუ (← ვართითბუ) "ნაბდები" (შდრ. ვართი "ნაბა-
დი..."); არსჷთბუ (← არსითბუ) "ფულები" (შდრ. არსი "ფული"), ერგ. არსჷთბაჲ, ნათ. არსჷთბენ... დჷყი́ნ "წვენისა" (შდრ. დიყ "წვენი"); კჷლლეჲბუ ← //კილლეჲბუ, კჷლლეჲცუ... "ყველა"; წჷხთბიმუ ← //წიხთბიმუ "ქურდმა"; ოშსთჷლი ← ო́შსთბილი "დამდგარა"; ჲათბჷრსი ← // ჲათბირსი "მაკრატელი"; ადამთჷლჩეს ← //ადამთილჩეს "ადამიანებს"; დაშჷრი ← //და́შირი "საით?" დიჩჷთბიბ ← //დიჩითბიბ "მსხვილები"; ყოვდჷჯი // ← ყოვდიჯი "იქნება" (ტერმინ. "იჯდება"); ოშხბჷლი ← //ოშხბილი "წაუღია რა"; დჵრთჷრდჷგი ← //დართჷრდიგი ← //დართარდიგი "არ გაუშვა!" ხოვთბჷცავ ← //ხოვთბიცავ "სანამ არ წახვალ..." ხა́ლჷმაჲ ← //ხა́ლიმაჲ "ოჯახში","სახლში"; ყვან დარხჷრში (← //დარხირში) ედილი[1] "ცამს უკრავდა თურმე"; ჰათჷრჩეს ← //ჰათირჩეს (sic) "მდინარეს"; სინ ეთბჷლი[2] (← //ეთბილი) "უცვნია"; სინთბჷთუთ ← //სინთბითბუთ "მცოდნე";[3] ევყჷლიქან ← //ევყილიქან "სანამ დავბრუნდები"; დჵ'ტ ეთბჷმუხურ (← // ეთბიმუხურ) "როდესაც დაიტრებოდნენ"; წურჷმთბუ (← წურიმთბუ)"წურიბელი" (შდრ. წურიმთბიბ "წურიბელები"); ხა́ნჷმა (← ხა́ნიმა...) "ხანთან"...

ა... → ჷ:

მჷჰბამც ← //მაჰბამც "მუჰამედი"; ლჷჰან "ბავშვის", ლჷჰას "ბავშვს" (შდრ.ერგ.ლაჰა́); თჷქა́ "გულხიბე" (შდრ.ერგ.თაქალი,მრ.რ.სახ. თაქათბუ...); ლა́ხჷთბუბ "გრძელი" (შდრ. ლა̃ხა "გრძელი"); ხჷტინა "ფული"; არაბჷთბუ "ურმები" (შდრ. არაბა "ურემი"); წჷხა ←// წახა "ფარდაგი", ერგ. წჷხალი, მრ.რ.სახ.წჷხათბუ, მრ.რ.ნათ.წჷხათბენ... მჷლ'ბა ← //მალ'ბა "წნელი"...

---

1 А. Дирр, Арч. яз., გვ.116.
2 ა. დირრ, დასახ.ნაშრ.,გვ.111-112.
3 ა. დირრ, დასახ.ნაშრ., გვ.111.

... ა̲ → ჷ̲:

ნჷწა́ (// → ნ-წა́) ← // ნაწა́ "ჩიტმა" (შდრ. სახ.ნოწ); ხ‘ჷ-მნან "ბლუზის" (შდრ.ერგ. ხ‘ამნა; სახ. ხ‘ომ˝ონ), მიც. ხ‘ჷმნას...

ა̲ → ი̲: უჭირუ ← // უჭარუ "ცხრა"...

ო̲ → უ̲:

ხუმჩა ← // ხონჩა "ხონჩა"; ბუშო́რ ← // ბოშო́რ "მამაკაცი"; ბუქო́ლი ← // ბოქო́ლი "გაუგონია"; ბუყ‘ო́ლი ← // ბოყ‘ო́ლი "დაბრუ-ნებულა"; ბუხო́ლი ← // ბოხო́ლი "უპოვია"...

... უ̲ → ჷ̲:

ბჷშო́რ ← // ბუშო́რ... "კაცი"; თა́ბჷრზან ← // თა́ბურზან... "ცუ-ლი", თაბჷრზანჷლ‘ბუ ← თაბურზანნილ‘ბუ... "ცულით"... ჲატჷნჷრ ← ჲატუნურ "წითელი"; ო‘რჭჷში; ← //ო‘რჭუში "მარჯვნივ"...

... ე̲ → ჷ̲:

ხ‘ჷლე́თბუ ← // ხ‘ელეთბუ "სტუმარი"; მჷსტეჲში // მესტეჲში "მთად", "მთაში"; ჲელბჷთბუთ ← // ჲელბეთბუთ "ასეთი"; შბჷთბელი ← //შბეთბელი "აუღია", "უყიდია"; ჭჷთბჷლი ← // ჭეთბელი "შემძვ-რალა"... არშჷშთბუ ← // არშეშთბუ "არჩიბელი"; შჷთბიში ← //შე-თბაში "ჩიტაბად" (შდრ. შათბა "ჩიტაბი")...

ხჷმეჲ (← *ხემეჲ ← *ხომეჲ... შდრ.ხომ "ქალები") "ქალებმა", ნათ. ხჷმენ... პჷპლე́ "ხორბალმა" (შდრ.სახ. პოპოლ), ნათ. პეპლენ, მიც. პეპლეს...

სიტყვის შიგნით ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში არჩიბულისათვის უჩვეულო არ არის თანხმოვანთკომპლექსები(კანწლა "ლეკვმა", ლექთბუ "ძვლები", არხლა "არხში"... მჷჰამტ "მუჰამედი"...), მაგრამ, რო-გორც ხმოვანთა რედუქციის მაგალითებიდან ჩანს, მისთვის შეუძლებე-ლი არ ყოფილა თანხმოვანთა შეყრა სიტყვის თავშიც; მაგ.: ნწა (← // ნჷწა) "ჩიტმა", ნათ. ნწან, მიც.ნწას... ყ‘-ლი (← //ყ‘ჷ-ლი...) "ბათმანი"... კ-სა (← // კჷსა...) "დანამ"... ამ მხრივ

დამახასიათებელია ნაწილობრივი რედუქციის ის მრავალრიცხოვანი მაგალითები, სადაც შეკუმშულია სიტყვის თავკიდურა თანხმოვნის მომდევნო ხმოვანი და ანლაუტში ვიღებთ რედუცირებული ხმოვნით-ĕ-თი - დაკავშირებულ ორ თანხმოვანს. გაბმული და სწრაფი მეტყველების დროს ხმოვანი ĕ შეიძლება სავსებით გაქრეს.

ამრიგად, არჩიბულში დასტურდება ხმოვანთა რედუქციის მრავალრიცხოვანი ფაქტები თანხმოვანთა კომპლექსების შექმნის ძლიერი ტენდენციით - არა მარტო სიტყვის შუაში ან მის აბსოლუტურ ბოლოში, არამედ სიტყვის თავშიც კი. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, არჩიბულს არსებითად განასხვავებს მეზობელი ხუნძურისა და ლაკურისაგან და კიდევ უფრო აახლოვებს ლეზგიურ ენებთან, სადაც მსგავსი ტენდენცია თანხმოვანთკომპლექსების შექმნისა (ცალკეულ ენებში - თაბასარანულში, წახურში, მუხადურში, ხინალუღურში...) ანალოგიური ფონეტიკური პირობების გამო აგრეთვე შეინიშნება...

ძირითადი ლექსიკური ჯგუფების სემანტიკური დახასიათება

სემანტიკური თვალსაზრისით არჩიბულში ყველა სიტყვა შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: ს რ უ ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ა ნ და დ ა მ ხ მ ა რ ე სიტყვებად.[1]

ს რ უ ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ა ნ ი სიტყვებია: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნები და ზმნისართები. დ ა მ ხ მ ა რ ე სიტყვებს უნდა

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, სსრკ მეცნ.აკად.საქართველოს ფილიალის მოამბე,ტ.I (№2, №3), თბილისი,1940, გვ.157-162; 241-248; მ ი ს ი ვ ე, ენათმეცნიერების შესავალი,1952,გვ.266; მ ი ს ი ვ ე, "ქართული ენა", მისი აგებულება-შედგენილობის ზოგიერთი საკითხები, იკე, XIV, 1964, გვ.42.

მივაკუთვნოთ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი, რომლებითაც არჩიბული მეტად ღარიბია.

ცალკე ჯგუფს ქმნიან შორისდებულები: ვაჰ – გაკვირვების, ბარა – გაფრთხილების, ვაჲ-ვაჲ წკივილის, ვა "ვაი" (ვა, ბუვა! ვა, დიჲა! "ვაი, დედა! ვაი, მამა!"); ჲე! (Iკლ.), ჰე! (IIკლ.) – მიმართვის (ჲე, ლ ო! – ეუბნებიან ბიჭს; ჰე, ლ ო! – მიმართვისას ეტყვიან გოგოს) ... ცხოველებს ასე ერეკებიან: ჩით (კატას), ჰაჲ (ცხენს), ჲუ̄ (ცხვარს), ჲერი (ძაღლს), ჰ°აჲ (ძროხას, ხბოს), ქიშ, გუშ... (ქათმებს)..., ასე მოუხმობენ: მაჰ (ცხენს), გიც (ძროხას).

- ლექსიკური შინაარსის მიხედვით საგნის აღმნიშვნელი სიტყვები ანუ არსებითი სახელები შეიძლება იყოფოდეს რამდენიმე ჯგუფად და ქვეჯგუფად. აქ ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს.

კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: აჵ "ფეხი", ფომფ "მუხლი", ნაკჾ "რძე", ნოწ "ჩიტი", ნოკჾ "სახლი", "ოთახი", ჭან "ცხვარი", ჭილ "თივა", ჭინ "რწყილი", ჩერხ "სხეული", ყ'ვატ "ქუჩა", ყულ "ფიცარი", მახა "ქერი", ჵოჵოლ "ხორბალი", კე'რთ "ჩოჩორი" და სხვ.

ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: არშა "არჩიბი", შალა "შალიბი", შათ°ა "ჩიტაბი", წურა "წურიბი", ღუმექ "კუმუხი"... ჰ°ალიმათ, ჟუვაჲრათ, ბულბულ, მანკო, ბიდოჲათ (ქალის სახელები), მაჰ°ამც, ჰ°არუნ, ჰ°ამზათ (კაცის სახელები)...

კ რ ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ღათ°არა "ჯოგი", ირჵი "რემა", ჭაბუ "ცხვარი", ბუწი "ძროხა","ნახირი", ხომ "ქალები", ლ'ელე "კაცები"...

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ოსქულ "ერთობა", მუქულ "სილამაზე", დეყქულ "კოჭლობა", ბჲაქულ "სიბრმავე", ე'ნქ°ულ (← ე'ნქ-ქულ) "სიყრუე", ხ°აქულ "ბოროტება", წატურქულ "სიფრთხილე", ჰიბაქულ "სიკეთე" და სხვ.

არჩიბულში გვაქვს ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი (პირველადი) და მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზედსართავი სახელები. გარდა ამისა ზედსართა-

ვის ფუნქციით იხმარება ნანათესაობითარი არსებითი სახელი (მისირთბენ ყასა "ოქროს ჯოხი", ჩონნინ ყანნა "ღვინის ძმარი"...).

ზედსართავი სახელი[1] შეიძლება იყოს გაუფორმებელი - უსუფიქსო (ცი "პატარა") და კლას-ნიშნიანი სუფიქსით გაფორმებული - სუფიქსიანი (ცი-თბუ-თ, ცი-თბუ-ბ... "პატარა", ხირ-თბუ, ხირ-თბურ... "უკანა"). უსუფიქსო ზედსართავი ემთხვევა ფუძეს (ცი - ცი-თბუთ...). მაგრამ ზედსართავის ფუძე ყოველთვის არ უდრის გაუფორმებელ (უსუფიქსო) ზედსართავ სახელს (იჰ-თბუთ "ნათელი" - იჰ "დღე", ხირთბუთ "უკანა" - ხირ "უკან"...). არჩიბულში გვხვდება პრეფიქსული კლასნიშნების მქონე ზედსართავებიც (დ-იყ'ი, დ-იყ'ითბურ, ბ-იყ'ი, ბ-იყ'ითბუბ "მშიერი"...).

კლას-ნიშნიანი სუფიქსით გაფორმებული ზედსართავი სახელი გამოყენებულია არსებითი სახელის მსაზღვრელად ან არის შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. უსუფიქსო ზედსართავი გვხვდება: არსებითი სახელის მსაზღვრელად (ბუცუ ბცშორ "სხვა კაცი"; მელ'ე ჰბელექუ "მამალი", ზედმიწ. "მამალი ქათამი"; მელ'ე ლო "ბიჭი", "ვაჟიშვილი"... ლ'ბანნე ჰბელექუ "დედალი", ზედმიწ. "დედალი ქათამი"; ლ'ბენნე ლო "გოგო", "ქალიშვილი"...); კომპოზიციის პირველ შემადგენელ ნაწილად (დო'ზბუვა//დო'ზბა "დიდედა", ზედმიწ."დიდი დედა"; დო'ზდჲა//დო'ზიჲა "პაპა", ზედმიწ. "დიდი მამა"...); შემასმენლად (ბცშორ დ'ოზ "კაცი დიდია", ნო'შ ჟუბა "ცხენი თეთრია", დუნილ ნოკ "ცა ლურჯია", ყამწა წეკ° "ძმარი მჟავეა"...); შედგენილი ზმნის პირველ კომპონენტად (ვიყ'ი ქვეს, დიყი დექეს...

---

[1] А. Дирр, Арч. яз., გვ.21-27; С.М. Хайдаков, Арч. яз., გვ.613-615, К.Ш. Микаилов, Арч.яз., გვ.67-74.

"მოშივება", ზერმინ. "მშიერად გახდომა", და'მ ას "გადიდება", ზერმინ. "დიდად გაკეთება"; და'მ ქეს "გაზრდა", ზერმინ. "დიდად გახდომა"; ბეც ქეს "დაბრმავება", ე'ნქ·ქეს "დაყრუება"...).

ხარისხების გამოსახატავად გამოყენებულია როგორც სუფიქსიანი (გაფორმებული), ისე უსუფიქსო (გაუფორმებელი) ზედსართავი სახელები. უ ფ რ ო ო ბ ი თ ი (შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი) ხარისხი გამოხატულია ქელავ//ქილავ[1] "ვირე" სიტყვის მეშვეობით. შესადარებლად აღებული ორივე სახელი დასმულია სახელობით ბრუნვაში: უნ და'მ ზონ ქელავ "შენ ჩემზე უფროსი ხარ" (ზერმინ. "შენ დიდი ხარ, ვირრე მე"); ოლ'ო ლ'ბან მარზდუთ ი შალქულჩენნუთ ქელავ ან ოლ'ო ლ'ბან მარნ შალქულჩენ ქელავ "ჩვენი წყალი უფრო სუფთაა, ვირე შალიბელების...[1] ა ღ მ ა ტ ე ბ ი თ ი ხარისხის[2] გამოსახატავად გამოყენებულია სიტყვები: კან "ყველაზე უფრო", ლაფ "ძალიან", "ძლიერ"; კან დო'ზუთ "ყველაზე უფროსი", კან ტითხუთ "ყველაზე უმცროსი", ლაფ მისქინუ "ძალიან ღარიბი"...

არჩიბულში გარჩეულია რაოდენობითი, რიგობითი, კრებითი და სხვ. რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელების სამი ჯგუფია:

1. რიცხვითი სახელები, რომლებიც დამოუკიდებლად იხმარება: ოს - 1, ყ'ვე - 2, ლ'ებ - 3, ებყ - 4, ლ'ხო - 5, დილ' - 6, ვილ' - 7, მელ'ე - 8, უყ - 9, ვიწ - 10... ყა - 20, ლ'ხიბი - 30, ბუყი - 40, ბუხხვი - 50, დილ'ხი - 60, ლ'ვი - 70, ლ'ვითხურდილ' - 76, ლ'იმი - 80, ყვი - 90, ყვითხუროს - 91, ბა'შ - 100, ყ'ვება'შ - 200, უყბა'შ - 900...

2. რიცხვითი სახელები, რომლებიც მსაზღვრელად ... იხმარება: ოს - 1, ყ'ვევუ, ყ'ვერუ, ყ'ვებუ, ყ'ვეტუ - 2, ლ'იბავუ, ლ'იბირუ,

---

1 А. Д и р р, Арч. яз., გვ.26.

2 А. Д и р р, Арч. яз., გვ.26. შდრ. К.Ш. М и х а и л о в, Арч. яз., გვ.74, С.М. Х а й д а к о в, Арч. яз., გვ.614.

ლ'იფჴუ, ლ'იბიღუ - 3, ებყავ, ებყარუ, ებყაბუ, ებყიღუ - 4, ლ'ჴვე-ვუ, ლ'ჴვეჰრუ, ლ'ჴვეჰბუ, ლ'ჴვეჰღუ - 5, დილ'ჴავ, დილ'ჴარუ, დი-ლ'ჴაბუ, დილ'ჴაღუ - 6, ვილ'ავ, ვილ'არუ, ვილ'იბუ, ვილ'იღუ - 7, მელ'ევ, მელ'ეჰრუ, მელ'ეჰბუ, მელ'ეჰღუ - 8, უჭავ, უჭირუ, უჭიბუ, უჭიღუ - 9, ვინავ, ვინირუ, ვინიბუ, ვინიღუ - 10... მონორებყავ, მონორებყარუ, მონორებყაბუ, მონორებყაღუ - 14... ყეჰვუ, ყეჰრუ, ყეჰბუ, ყეჰღუ - 20, ლ'ჴიბიჰვუ, ლ'ჴიბიჰრუ, ლ'ჴიბიჰბუ, ლ'ჴიბიჰღუ - 30, ლ'ჴიბითჴურუჭავ, ლ'ჴიბითჴურუჭარუ, ლ'ჴიბითჴურუჭაბუ, ლ'ჴი-ბითჴურუჭაღუ - 39, ბუყიჰვუ, ბუყიჰრუ, ბუყიჰბუ, ბუყიჰღუ - 40, ბუხჴიჰვუ, ბუხჴიჰრუ, ბუხჴიჰბუ, ბუხჴიჰღუ - 50, დილ'იჰღუ... - 60, ლ'ვიჰღუ... - 70, ლ'იმიჰღუ... - 80, ჭვიჰღუ... - 90, ბა'-შჴჩღუ... - 100, ყ'ვება'შჴჩღუ... - 200, იზარაღუ - 1000...

3. რიცხვითი სახელები, რომლებიც ცხვრის თვლის დროს იხმარება (როგორც დამოუკიდებლად, ისე მსაზღვრელად): ოსჴან - 1, ყ'ვეჰან - 2, ლ'ებან - 3, ებყან - 4, ლ'ჴოჰან - 5, დილ'ჴან - 6, ვილ'ა̆ნ - 7, მელ'ე̄ნ - 8, უჭან - 9, ვი̄ნან - 10, მონორყ'ვენ - 11, მჩნორ-ლ'ჴონ - 15... ყან - 20, ლ'ჴიბი̄ნ - 30, ლ'ჴიბითჴურსჴან - 31, ბუყინ - 40, ბუყითჴურუ̄ჭან - 49, ბუხჴვინ - 50, დილ'ჴინ - 60, ლ'ვინ - 70, ლ'იმინ - 80, ჭვინ - 90, ბა'შჴან - 100, მელ'ება'-შჴან - 800, იზარან - 1000, ყ'ვე იზარან - 2000...

რ ი გ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელებიდან უფრო დავასახელოთ რამდენიმე: დილ'-ბოსთჴუთ "მეექვსე", მელ'ე-ბოსთჴუთ "მერვე", უჭბოსთჴუთ "მეცხრე", მონორყ'ვე-ბოსთჴუთ "მეთორმეტე", ლ'ჴიბი-ბოსთჴუთ "ოცდამეათე", ბა'შჴ-ბოსთჴუთ "მეასე" და ა.შ.

კ რ ე ბ ი თ ი რიცხვითი სახელებია: ვინაღოვუ "ათივე", ვი-ლ'აღოვუ "შვიდივე", დილ'აღოვუ "ექვსივე", მელ'ეჰღოვუ "რვავე", ლ'ჴავეჰღოვუ "ხუთივე", ებყაღოვუ "ოთხივე", ლ'იბღოვუ "სამივე", ყ'ვეღოვუ "ორივე" და ა.შ.

არჩიბულში გამოიყოფა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს[1] რამ-დენიმე ჯგუფი: პირისა, ჩვენებითი, უკუქცევითი, კითხვითი, განუ-საზღვრელობითი, უარყოფითი...

პ ი რ ი ს ნაცვალსახელთაგან წარმოდგენილია მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები: ზონ "მე", უნ "შენ", ნენჭუ "ჩვენ" (ინკლუზიური), ნენ "ჩვენ" (ექსკლუზიური), ჟვენ "თქვენ"; მესამე პირის ნაცვალსახელი არჩიბულს არა აქვს. მის ნაცვლად იხ-მარება ჩვენებითი ნაცვალსახელი.

არჩიბულში დასტურდება სუფიქსური კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ე ბ - ი თ გაფორმებული ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნაცვალსახელების რამდე-ნიმე წყება:

I კლ. ჲოვ//ჲავ, II კლ. ჲარ, III კლ. ჲაბ, IV კლ. ჲათ, (მრ.რ. ჲებ)- "ეს";

I კლ. ჲამუ, II კლ. ჲამურ, III კლ. ჲამუბ, IV კლ. ჲამუთ (მრ.რ. ჲემიბ) - "ეგ";

I კლ. თოვ, II კლ. თორ, III კლ. თობ, IV კლ. თოთ (მრ. რ. თებ) - "ის" (მოშორებით მყოფი);

I კლ. გუდუ, II კლ. გოდორ, III კლ. გოდობ, IV კლ. გოდოთ (მრ.რ. გიდიბ) - "ის" (დაბლა მყოფი; ახლო მყოფი...);

I კლ. ღუდუ, II კლ. ღოდორ, III კლ. ღოდობ, IV კლ. ღოდოთ (მრ.რ.ღიდიბ) - "ის" (მაღლა მყოფი).

თოვ და, ზოგჯერ, გუდუ... წყების ჩვენებით ნაცვალსახელებს იყენებენ მესამე პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობითაც: ზონ ევ-ლ'უ "მე გავიღვიძე", უნ ევლ'უ "შენ გაიღვიძე"; თოვ ევლ'უ "მან გაიღვიძა"...

არჩიბულში გვაქვს პ ი რ ვ ე ლ ი, მ ე ო რ ე და მ ე ს ა-მ ე პირის უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი

---

1 А. Д и р р, Арч. яз., გვ.27-43; С.М. Х а й д а-к о в, Арч. яз., გვ.615-617; К.Ш. М и к а и л о в, Арч.яз., გვ.81-95.

– ზონცუ (IV კლ.) "მე თვითონ", უნცუ (IV კლ.) "შენ თვითონ", ჟვენცუ // ჟვენცეჲცუ "თქვენ თვითონ", ინჟ, ინჟიცუ // ინჟიცეჲცუ(IV კლ.) "ის თვითონ"...; კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი – ქვირი "ვინ", ჰან "რა"; გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი – ქვირ̃ნი "ვიღაც", ჰანი "რაღაც", ქვი–შავ "ვინმე", ჰან–შავ "რამე"; უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი – ქვი–ჰონუ "არავინ", ჰან–ჰონუ... "არარა"...

სრულმნიშვნელობიან სიტყვათა დიდ ჯგუფს – ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს გვერდით – ქმნიან მოქმედება-ვითარების აღმნიშვნელი სიტყვები – ზ მ ნ ე ბ ი. ზმნები აღნაგობის მიხედვით არჩიბულში ორ ჯგუფად იყოფა – მ ა რ ტ ი ვ და შ ე დ გ ე ნ ი ლ ზმნებად. მათზე მსჯელობა – დაწვრილებით – ქვემოთ გვექნება. ქვემოთვე შევჩერდებით ზმნისართებზედაც, რომლებიც შინაარსისა და წარმოების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

დ ა მ ხ მ ა რ ე სიტყვებიდან განვიხილავთ კ ა ვ შ ი რ ე ბ ს[1]. არჩიბულს მხოლოდ მაერთებელი კავშირები აქვს; ესენია -ვუ, -ვა, -ჲა, ამმო.

-ვუ კ ა ვ შ ი რ ა დ გამოყენებული ნაწილაკია (იხ.ქვემოთ). ის ბოლოში დაერთვის თითოეულ დასაკავშირებელ სიტყვას და მნიშვნელობით ქართულ "და"-ს უდრის:

ბუვო-ვუ დიჲო-ვუ "დედა და მამა" ("დედა-ც, მამა-ც"); სბოლ-უ ჰიფიხ'ანმულ-უ "მელა და ყვავები" ("მელა-ც, ყვავები-ც");

იმიშ ეში ხვალო-ვუ აკჰ-უ ხალი, ზონუ უში ჰხვა "იქიდან აქეთ პური და ხორცი მოვიტანე რა, მეც აქეთ მოვედი";

ჟუვაჲრათ-უ ფატიმათ-უ უჩჰოლაშ ხარშში ბაჰბა "ჟუვაირათი და ფატიმათი სკოლიდან დაბრუნდნენ" (ზედმიწ. "უკან მოვიდნენ");

---

1 А. Д и р р, Арч. яв., გვ.94; С.М. Х а й д а к о в, Арч. яв., გვ.622; К.Ш. М и к а и л о в, Арч. яв., გვ.142-144.

ისა ბოშორ-უ ევდილი, ისა ლ'ონნოლ-უ ერდილი "ყოფილა ერთი კაცი და ერთი ქალი";

ჲამუმუნ ლ'ონნოლუ ისა ლ'ენნე ლო-ვუ ერდილი "მას ცოლი და ერთი ქალიშვილი ჰყოლია..."

კ ა ვ შ ი რ ი ვა "და" ნასესხებია. ნასესხებია აგრეთვე მაცალკევებელი კავშირები ჲა "ან" (უარყოფით ფორმასთან - "არც") და ამმო// ამმა "მაგრამ"; მაგალითები:

სბოლ ვა ჰოფიხ'ამულ "მელა და ყვავები"; ბის სალამ... ვით ბუვათბიქ ვა ვით ლაჰათბიქ "ჩემი სალამი... შენს დედას და შენს შვილს"...

ჲა ბუვა ჲა დიჲა "ან დედა ან მამა"; ყათბუ ყოვყი ჲა უჯბა! "დაჯექი ან წადი!" არშა ჲა უშთბუ ჲა დოშთბურ ბიცუ "არჩიბში არც ძმა, არც და არ არის"...

სბოშ იცუ, სოთორ იცუ, ამმო ერყურ[1] "არა აქვს პირი, არა აქვს კბილები, მ ა გ რ ა მ იკბინება" (გამოცანა - ჭინჭარი); სბოშ იცუ, ჭათ სინცუ, ა მ მ ო ჯავაბ ლ'ორ[1] "არა აქვს პირი, არ იცის ენა, მაგრამ პასუხს იძლევა" (გამოცანა - წიგნი); ჲამუნ ის ლ'ონნოლუ, ის ლოვუ ერდილი, ა მ მ ო ასთბუთ, ქუმმუსთბუთ ჰუნუ ედილი იცუ "მას ცოლი და ქალიშვილი (გოგო) ჰყოლია, მ ა გ რ ა მ საქმე (ზედმიწ. "საკეთებელი") და საჭმელი არაფერი არ ჰქონია"; ... ა მ მ ო სბოლ ხბირიხ ებთბილი ბიცუ "...მ ა გ რ ა მ მელა არ გაძღეულა".

არაბულ-სპარსული წარმოშობის კავშირები: ვა, ამმა, ჲა..., როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, გვხვდება დაღესტნის სხვა ენებშიც, მათ შორის - არჩიბულის მეზობელ ხუნძურსა და ლაკურში.

ცალკე უნდა განვიხილოთ ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი.

ნაწილაკი არჩიბულში სიტყვას დაერთვის ბოლოს და არ იცვლება.

---

[1] Г. М у с а е в, Арчинский фольклор (სადიპლომო ნაშრომი), მახაჩყალა, 1971, გვ.93-94 (ხელნაწ.).

-ჩა კ ი თ ხ ვ ი თ ი ნაწილაკია. ის, ჩვეულებრივ, გვხვდება ზმნებში და თითქმის ყოველთვის ახლავს სახელობით ბრუნვაში დასმულ კითხვით ნაცვალსახელს: ი-ჩა (IV კლ.), ბი-ჩა (III კლ.), დი-ჩა (II კლ.), ვი-ჩა (I კლ.) - "არის?" ჯ°ა-ჩა, ბაჯ°ა-ჩა, და-ჯ°ა-ჩა, ჯვა-ჩა - "მოვიდა?" სინ-ჩა "იცი?" ჰუ-ჩა "ჰო?" (შდრ. ჰუ "დიახ", "ჰო"...); ქვი-ჩი (← *ქვი-ჩა) // ქვი - "რა?"...

ნ ა წ ი ლ ა კ ი -ჩუგუ კითხვას დაეჭვებისა თუ ნაღვრის ელფერს აძლევს: ვი-ჩუგუ "არის თუ?" ხათ°იში ი-ჩუგუ "წავა-თუ?" ჰან-ჩუგუ "ნეტავ რა?" მამა ნოკ°ა ვი-ჩუგუ? "მამა (კაცის სახელია) სახლშია თუ?"

მამინა შუთ°ა ხათ°იში ი-ჩუგუ? "მანქანა ხვალ წავა, თუ?"...

ხუნძური ნ ა წ ი ლ ა კ ი -და[1], რომელიც ჩაკითხვისას იხმარება, არჩიბულშიც გვხვდება.

-ენი მნიშვნელობით უახლოვდება ქართულ -ღა ნაწილაკს:

ქვი ბოშორ-ენი "რა კაცია-ღა?" ჰან არში ვ̄ნნი (← *ვიენი)? "რას აკეთებს-ღა?" ბასა ხოვთ°-ენი? "როდის წავა-ღა?"...

ის კითხვითი ნაცვალსახელებისაგან აწარმოებს განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს: ქვინი ← (*ქვი-ენი) "ვიღაც"; ჰანი (← *ჰან-ენი) "რაღაც".

-ვუ (->უ)[2] ნ ა წ ი ლ ა კ ი არჩიბულში ფართოდაა გამოყენებული. გვხვდება რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებში. იხმარება კავშირად. მისი ძირითადი მნიშვნელობაა - "ც"; გვაჩი-ვუ "ძაღლიც", ებ-უ (← *ებ-ვუ) - "მე-ც", თოჯ-ვუ "ისი-ც", თს°ამე-დუ[3] (← *თსამევუ) "სხვებმაც", კუნკუმ-უ[3] (← *კუნკუმ-ვუ) "ქვაბი-ც"...

-მა-ვ (← *მა-ვუ) რთული შედგენილობის ნ ა წ ი ლ ა კ ი უნდა იყოს (შდრ. ნაწილაკები -ვუ "ც" და -ფა-ვ "გარდა", "თვინი-

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.361.

2 А. Д и р р, Арч. яз., გვ.94; ჟ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.143.

3 ა. დ ი რ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.94. გვ.623.

ერ"...). მისი მნიშვნელობაა – "ან...ან", "გინდა"...გინდა", "თუნდაც" (უმობუ-შავ დოშობურშავ ა'ყ ბა! "ან ძმას ან დას და - უძახე!"); იგი კითხვითი ნაცვალსახელებისაგან (ქვი "ვინ?" ჰან "რა"?) აწარმოებს გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ნაცვალსახელებს (ქვი-შავ "ვინმე", ზედმიწ. "გინდა ვინ", ჰან-შავ "რამე", ზედმიწ. "გინდა რა"...); ასრულებს ზმნური აფიქსის ფუნქციასაც (იხ. ქვემოთ – "დათმობითი კილო")...

-ცა-ვ რთული შედგენილობის უარყოფითი ნ ა წ ი ლ ა კ ი ა. შედგება -ცა- უარყოფითი (შდრ. უარყოფის სიტყვა ცო "არა"[1] და ზმნური უარყოფითობის სუფიქსი -ცუ...) და -ვუ გაძლიერებითი ნაწილაკებისაგან (-ცა-ვუ). მნიშვნელობით დაახლოებით უდრის ქართულ "გარდას": ბუყ-ცავ "გარდა ქერშველისა"... ასრულებს ზმნური აფიქსის ფუნქციასაც (შდრ. აცუ "გაჭრა" – აცუ-ცუ "არ გაჭრა", აბსოლუტ. ნამ.დადებ. აცუ-ნა, აბსოლუტ. ნამ.უარყ. აცუ-ცავ...)...

-ჩი ყურადღებას ამახვილებს სათანადო სიტყვაზე. მას დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულ "კი"-ს: ჰაზ-ჩი "ბაცი-კი", უმობუ-ჩი "ძმა-კი", ევყის-ჩი "ყოფნით-კი" (ზედმიწ. "ჯდომა-კი")... თოვმუ-ჩი ოჰპი "ის-კი (ზედმიწ. "მან-კი") გააკეთებს ..." დოშობურ-ჩი დეჰბი... "და-კი მოვა"... ჰა, დიჲა-ბოლი, ჰაზ-ჩი ბირქბუ ზარი... "ჰე, მამაო ბაცი-კი ვიპოვე მე"... ნენ-ჩი მუში ი "ჩვენ-კი კარგად ვართ"... ევყის-ჩი ეუდი თოვ... "ყოფნით-კი იყო"...

სხვათა სიტყვის ნაწილაკია -ერ: ეზ-ერ "მე-ო", ოვ-ერ "გააკეთა-ო", ლ'ბექვერდიგ-ერ "არ დაიგვიანო"-ო, ნოკხარ (← *ნოკხა-ერ) "სახლში-ო", ვირ (← *ვი-ერ) "არის-ო", ოლ'ნილ-ერ (← *ოლ'ნილი-ერ) "ამოვებულია"-ო, დაჰბალი ერდ-ერ (← *ერდი-ერ) "მოსულიყო-ო"; ბო-რ (← *ბო-ერ) "თქვა-ო", ვერჰბორ (← *ვერჰბუ-ერ) "იარა-ო", ბაყორ (← *ბაყუ-ერ) "გადაიარა-ო", ევდილ-ერ (← *ევდილი-ერ) "ყოფილა-ო", ევდიცო-რ (← *ევდიცუ-ერ) "არ ყოფილა-ო", აცო-რ (← *აცუ-ერ) "გაჭრა-ო", აცუცო-რ (← *აცუცუ-ერ) "არ გაჭრა-ო"...

---

1 С.М. Х а й д а к о в, Арч. яз., გვ.623.

ჟეს ხირ ბუვა დაჰბალი ერდერ "ში შემდეგ (ზედმიწ. "მას უკან") დედა მოსულიყო-ო"...

სხვათა სიტყვის გამოსახატავად არჩიბულში იხმარება "თქმა" ზმნის ფორმებიც; მაგ.: აქბონილ'ბუ ზაბა-ბო "დილით (ვედმიწ."სინათლით") მოდითო"; ჰამანურ ხ'ალემი ჟენ მუთბუბ პოპოლ ბი-ბო "ლაკმა სტუმარმა მე კარგი ხორბალი მაქვს-ო" (ზედმიწ. "არის-ო[4]")...

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არჩიბული ენის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიებია: გრამატიკული კლასი და რიცხვი - სახელისა და ზმნისათვის, ბრუნვა - სახელისათვის, დრო და კილო - ზმნისათვის. ზოგიერთი მორფოლოგიური ელემენტი გვხვდება ზმნისართებშიც - კლასისა და ბრუნვის ნიშნების სახით. ერთი სიტყვით, სიტყვათა ლექსიკურ-სემასიოლოგიური ჯგუფები არჩიბულში წარმოდგენილია, ერთი მხრით, ცვალებად ანუ აფიქსებიან სიტყვათა ორი ძირითადი ქვეჯგუფის სახით - სახელითა და ზმნით (ნაწილობრივ - ზმნისართებითაც) და, მეორე მხრით, უცვლელი ანუ უაფიქსო სიტყვებით (კავშირებით, ზმნისართებით...).

მორფოლოგია

გრამატიკული კლასები

1. გრამატიკული კლასების რაოდენობა არჩიბულში. ჯერ კიდევ პ.უსლარმა შენიშნა, რომ არჩიბულ ენაში ოთხი სქესია ([illegible] გრამატიკული კლასი), და სცადა მათი ექსპონენტების გამოყოფა[1]. შემდეგ ეს საკითხი დაწვრილებით განიხილა ა.დირმა. მანვე გამოყო გრამატიკული კლასების ძირითადი ნიშნები.[2] ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ შრომაში "ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა" გრამატიკული კლასების საკითხს ეძღვნება მესამე კარი (გვ.135-257), სადაც მონათესავე ენების მასალასთან ერთად ვრცლად არის განხილული არჩიბული ენის სათანადო ფაქტებიც. ნ.ანდღულაძე თავის ნაშრომში გრამატიკული კლასების შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში[3] ითვალისწინებს არჩიბულის მონაცემებსაც. გრამატიკულ კლასებთან და მათ ექსპონენტებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს ეხებიან სხვა ავტორებიც. წინამდებარე შრომაში მათი მოსაზრებანი გათვალისწინებულია და თავ-თავის ადგილას სათანადოდ მითითებული.

მხოლობით რიცხვში არჩიბული ენა ო თ ხ გრამატიკულ კლასს განარჩევს. ადამიანი მ ა მ რ ო ბ ი თ ი სქესისა პ ი რ ვ ე ლ

---

1 П. У с л а р, Лакский язык, დამატება, გვ.9,10.

2 А. Д и р р, О классах (родах) в кавказских языках, СМОМПК, вып.XXXVII, отд.III, Тифлис, 1907, გვ.92,94...; მ ი ს ი ვ ე, Арч. яз., გვ.3-6; 22-24; 29-42; 44-48; 49-51; 53,57,64.

3 ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, კლასოვანი და პიროვანი უღლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1968, გვ.30-34; მ ი ს ი ვ ე, Категория грамматических классов в иберийско-кавказских языках (ავტორეფერატი), თბილისი, 1954.

გრამატიკულ კლასში შედის, ადამიანი მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი სქესისა მ ე ო რ ე გრამატიკულ კლასშია მოქცეული. ყველა დანარჩენი სახელი ან მესამე კლასს განეკუთვნება ან მეოთხე კლასშია გაერთიანებული.

სხვა მდგომარეობაა მრავლობით რიცხვში.[1] აქ ო რ ი გრამატიკული კლასი გვაქვს – ადამიანთა და ნივთთა. კლას-ნიშნიან სიტყვებში ეს ორი კლასი ან ორი განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი ან მხოლოდ ერთით, რომელიც კონტექსტის მიხედვით ადამიანთა სიმრავლესაც გამოხატავს და ნივთთა სიმრავლესაც.

2. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი. თითოეულ გრამატიკულ კლასს ერთი ან ერთზე მეტი ნიშანი აქვს. პირველი კლასის ნიშანია ვ, მეორე კლასისა – დ და რ, მესამისა – ბ, მეოთხე კლასისა – ნული... ან ტ და თ.

ადამიანთა კლასის მრავლობითობის გამოსახატავად გამოყენებულია მხოლობითი რიცხვის III კლასის ფორმები, ნივთთა კლასის სიმრავლის აღსანიშნავად – IV კლასის ფორმები. ასეა ეს, როდესაც მრავლობითში კლასები ორი განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ, თუ მრავლობითის გამოსახატავად მხოლოდ ერთი ფორმაა გამოყენებული, ის, ჩვეულებრივ, მხოლობითი რიცხვის III კლასის ფორმასთანაა წარმოშობით დაკავშირებული.[2]

არჩიბულში კლასის ნიშანმა შეიძლება ცვლილება განიცადოს, მაგ.: უ-ს მეზობლობაში ვ, ჩვეულებრივ, გაუჩინარებულია (გუდუ ← გუდუ-ვ "ის"; ტითხუ ← ტითხუ-ვ "პატარა"; უშთხუ ← ვუშთხუ ← *ვ-ოშთხუ-ვ "ძმა", შდრ. დ-ოშთხუ-რ "და"), მ-ს წინ ბ გადადის მ-ში (თომ-მი ← *თობ-მი "მან"...). ეგევე ბ წინამავალ ბ-სთან ერთად

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, ენიმკი-ს მოამბე, I, 1937, გვ.100-102; იხ. აგრეთვე, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ.91-92.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, გვ.100.

ფხ-ს (ლ'იფხუ ← *ლ'იჰაჰუ "სამი"...). უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს პირველ კლასში ალჩუნელთა და ყუბაკლელთა მეტყველებაში. აქ ე- ხმოვნის მომდევნოდ I კლასის ნიშანი ვ → დ: ჰალმახთხუ, უნ (I კლ.) ჯხო'ქხუში ქვედ-ქხი! "ამხანაგო, შენ მარცხნივ მობრუნდი!" გურე (I კლ.)... შუთხა ჭაყ° ას ბედ ე-დ-ლ'ხუჰი "ის... ხვალ დანის კეთებას დაიწყებს" (ტერმინ."რიგს დადებს"); ლ'ხონნოლუ დაკალი ე-დ-ხუთჰუ ბოშორ ე-დ-დილი "ქალი მომკვდარა და კაცი დარჩენილა"; გოდორში ე-დ-ტნიჯოში ვი გურე (I კლ.) "ის შეკრავს მას"; მალდა ნასრუთხინ ე-დ-დილი ოს იჯნა დორად... "ერთ დღეს მოლა ნასრედინი სანახშოზე ყოფილა"...; ოს იჯნა ხ'ერეჯ ოს დო'ზურ ბოშორ კ-ვ-ალი ე-დ-დილი "ერთ დღეს სოფელში ერთი მდიდარი კაცი მომკვდარიყო".

როგორც ვხედავთ, ალჩუნელთა და ყუბაკლელთა მეტყველებაში პირველი კლასის ნიშნად ვ-დან მომდინარე დ-ც დასტურდება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დ, რომელიც გვაქვს, როგორც კლასის ნიშანი, ზოგ ლეზგიურ ენაში, რიგ შემთხვევაში მაინც, ისეთივე წარმოშობისაა, ე.ი. პირველი კლასის ვ-დან მომდინარეობს ფონეტიკური გზით.[1] ყოველ შემთხვევაში არჩიბულის ეს ჩვენება იმდენად საყურადღებო ჩანს, რომ ლეზგიური ენების სათანადო მასალის ანალიზის დროს, ვფიქრობთ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

გრამატიკული კლასის ექსპონენტები გვხვდება ფუძის წინ, ფუძის შემდეგ ან ფუძეში. ფუძის შიგნით კლას-ნიშანი, ჩვეულებრივ, ზმნებში გვაქვს. გენეტურად ის პრეფიქსი უნდა იყოს, თუმცა დღეს ინფიქსის სახით გვევლინება.[2] უფრო მეტიც, ზმნათა ერთ წყებაში

---

1 შდრ. ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურ ენებში, იკე, V, 1953, გვ. 459-460...

2 ინფიქსში იგულისხმება ფუძეში სხვადასხვა გზით მოქცეული აფიქსი (resp. პრეფიქსი).

ზოგიერთი სუფიქსური კლას-ნიშანიც წარმოშობით პრეფიქსია. დღევანდელი ვითარება მეორეული ჩანს. ისტორიულად კი არჩიბულში კლას-ნიშნების ორი რიგი უნდა გვქონოდა – პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი და ს უ ფ ი ქ ს უ რ ი. ენაში ამის კვალი დღესაცაა დაცული. კლასის ნიშნები ეხლაც ო რ ჯ გ უ ფ ა დ იყოფა. ერთი ჯგუფისათვის დამახასიათებელია IV კლასში ძირითადად ნულ-ნიშანი, მეორისათვის – ჭ და ტ ნიშნები:

I	II
IV – 0 (ნული)	IV – ჭ ან ტ
III – ბ	III – ბ
II – დ ან რ	II – რ
I – ვ	I – ვ

პირველი ჯგუფის კლას-ნიშნები, ე.ი. (ნული), ბ,დ,რ,ვ, შეიძლება შეგვხვდეს პრეფიქსებადაც, ინფიქსებადაც და სუფიქსებადაც, რაც შეეხება მეორე ჯგუფის კლასის ნიშნებს, ე.ი. ჭ, ტ, ბ, რ, ვ-ს, ისინი სუფიქსების სახით დასტურდება. ისტორიულად პირველი ჯგუფის კლას-ნიშნები მხოლოდ პრეფიქსები უნდა ყოფილიყვნენ, მეორე ჯგუფისა – სუფიქსები. უკანასკნელნი, როგორც ვხედავთ, სუფიქსებს წარმოადგენენ დღესაც. ისინი ორ განსხვავებულ წყებას ქმნიან – ჭ-ს რიგისა და ტ-ს რიგისას, ჭ-ს რიგის სუფიქსებს, როგორც წესი, მოსდევს ხმოვანი უ, ტ-ს რიგისას – ხმოვანი წინ უძღვის:

IV კლ.	-ჭუ,	-ტ
III კლ.	-ბუ	-ბ
II კლ.	-რუ	-რ
I კლ.	-ვუ	-ვ

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საერთოდ, ყოველ კლას-ნიშანს მოსდევს ან უძღვის ესა თუ ის ხმოვანი, მაგ.: პრეფიქსულ კლას-ნიშანს ხმოვანი მოსდევს (ვ-ირქბუს, დ-ირქბუს, ბ-ირქბუს... "ძებნა"), ფუძის შიგნით ან ფუძის შემდეგ მოქცეულ კლას-ნიშანს ხმოვანი წინ უძღვის ან მოსდევს (ა-ვ-თის, ა-რ-თის, ა-ბ-თის... "გა-

შვება", სა-ვ-ქბას, სა-რ-ქბას, სა-ბ-ქბას... "ყურება"; ც-ვ-ას "ქება", ც-ვ-არ "აქებს"; ს-ვ-ას "დაჭერა", ს-ვ-არ "იჭერს"). გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კლასის ნიშანი ხმოვნებს შორისაა მოქცეული (ა-რ-უ), ა-ბ-უ "გააკეთა, "შვა"...).

სუფიქსად არჩიბულში, ლაკურის მსგავსად, მრჩიბლი კლას-ნიშნებიც გვხვდება: შდრ. მაგ.: ნენ-ტუ და ნენ-ტეჲტუ "ჩვენ თვითონ", ჟვენ-ტუ და ჟვენ-ტეჲტუ "თქვენ თვითონ", უნა-ვუ და უნა-ვეჲვუ "შენ თვითონ"...

მეორე ჯგუფის ექსპონენტები ოთხივე კლასს აქვს (თი-ვ, თი-რ, თი-ბ, თი-თ "ის"; ყ'ვე-ვუ, ყ'ვე-რუ, ყ'ვე-ბუ, ყ'ვე-ტუ "2"), პირველი ჯგუფისა მხოლოდ სამს - პირველს, მეორეს და მესამეს (ვ-ი, დ-ი, ბ-ი "არის"; ა-ვ-თის, ა-რ-თის, ა-ბ-თის "გაშვება"...). მეოთხე კლასს პირველი ჯგუფის კლასის ნიშანი რეალურად არ მოეპოვება. ის აქ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნულ-ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგრამ ზოგიერთ ზმნაში, გამონაკლისის სახით, IV კლასს შეიძლება აღმოაჩნდეს ნ ა პ რ ე ფ ი ქ ს ა ლ ი ინფიქსური და სუფიქსური კლას-ნიშნები, ე.ი. გენეტურად პირველი რიგის კლასის ექსპონენტები. ასეთებია, მაგ.: "დარტყმა", "სროლა"//"დაცემა", "დაჯდომა" და სხვ.ზმნები.

განვიხილოთ პირველი:

და-ბ-ხას (III კლ.), დახას (IV კლ.) "დარტყმა", "ცემა"... ეს ზმნა კლასებს განასხვავებს[1], მაგრამ რეალურად მხოლოდ ორს - მ ე ს ა მ ე ს ა და მ ე ო თ ხ ე ს. როგორც მოსალოდნელი იყო, მესამე კლასს ბ აღნიშნავს, მეოთხეს - ნული. ასეა ნამყო ძირითადსა და მისგან ნაწარმოებ დროებში. ასევეა ბრძანებითსა და ინფინიტივში. სხვა სურათი გვეშლება აწმყო ზოგადში და მისგან ნაწარმოებ ფორმებში. აქაც რეალურად ორი კლასია გარჩეული - III და IV, მაგრამ დანარჩენი ზმნებისაგან განსხვავებით IV კლასის

---

1 შდრ. А. Д и р р, Арч. яз., გვ.140.

ნიშნად რ გვაქვს და არა ნული:

უნ ეზ კუჰьანი (IV კლ.) და-რ-ხირ "შენ მე ჯოხს მცემ"; შდრ. უნ ბ-ეზ ხьიკ და-ბ-ხირ "შენ მე მუჭს მცემ". კუჰьანი "ჯოხი" IV კლასს ეკუთვნის, ამიტომ ნაცვალსახელში (ეზ) ნულ-პრეფიქსით აღი-ნიშნა, მაგრამ ზმნაში (და-რ-ხირ) ნაცვლად ნულისა IV კლასის ნი-შნად რ აფიქსმა იჩინა თავი.

ზარი ნაჰьან (IV კლ.) ჭჷნის მარყ°ლინ ბიყ°მა და და-რ-ხირ "მე კედელს ლურსმნის ნაცვლად შეშას ვარჭობ" (ზედმიწ."ვცემ"); შდრ. ზარი მარყ° (III კლ.) და-ბ-ხირ ჭჷნის "მე კედელს ლურსმანს ვაჭედებ". ნაჰьან "შეშა" IV კლასისაა. ზმნაში მისი წარმომადგე-ნელია რ.

ბუვა ჰარჳ (IV კლ.) და-რ-ხირში დი "დედა ნაღებს დღვებს (ზედმიწ."ცემს");შდრ. ბუვამუ ჭუთ(IIIკლ.) და-ბ-ხირში ბ-ი "დედა კარაქს დღვებს (ზედმიწ. "დედამ სადღვებელი ცემს"). ჰარჳ "ნაღე-ბი" მეოთხე კლასის სახელია. ძირითად ზმნაში მისი კლასი, ე.ი. IV კლასი, რ აფიქსმა გამოხატა.

დო‘ზბამუ ჭუბათьუ-თ ოლ‘ (IV კლ.) და-რ-ხირ "ბებია თეთრ მატყლს ჩეჩავს" (ზედმიწ. "ცემს"). ოლ‘ "მატყლი" - IV კლასის სი-ტყვა - ზედსართავ სახელში -თ სუფიქსმა აღნიშნა (ჭუბათьუ-თ),ხო-ლო ზმნაში -რ კლასის ნიშანმა (და-რ-ხირ).

ზარი ჭინიკ° (IV კლ.) და-რ-ხირ "მე ვცელავ" (ზედმიწ. "მე ცელი ვცემ"). ჭინიკ°-მა "ცელი", როგორც მეოთხე კლასის სიტყვამ, ზმნაში -რ კლას-ნიშანი გააჩინა.

თეჺმაჺ ჭინიკ° და-რ-ხირში ერი "ისინი ცელავდნენ (ზედმიწ. "მათ ცელი ცემდნენ"). დიჺამუ ჭინიკ° და-რ-ხირში ი "მამა ცე-ლავს" (ზედმიწ. "მამამ ცელი ცემს"), IV კლასი, ამ შემთხვევაში ჭინიკ° სიტყვის კლასი, ძირითად ზმნაში რ ნიშნითაა გამოხატული (და-რ-ხირ-ში), მეშველ ზმნებში - ნულით (ერი, ი).

რ-ნიშნიანი ფორმები გამოყენებულია ზოგადად ცემის აღსანიშ-ნავადაც: ზარი (ერგ.) ვას (მიც.) და-რ-ხირ "მე შენ გცემ", უნ

(ერგ.) ეზ (მიც.) და-რ-ხირ "შენ მე მცემ"; ზარი (ერგ.) ლაჰას (მიც.) და-რ-ხირ "მე ბავშვს ვცემ"; ზარი (ერგ.) ნჷშის (მიც.) და-რ-ხირ "მე ცხენს ვცემ"...

რ აქ რაიმე კონკრეტულ სახელზე არ მიუთითებს. სახელობით ბრუნ-ვაში მდგომი რეალური ობიექტი, რომელიც მას უნდა აღენიშნა, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი არ არის და არც იგულისხმება. ასე რომ, დარხირ და მისგან ნაწარმოები ფორმები, ვიმეორებთ, ასეთ მაგალითებ-ში განყენებულად აღებულ "ცემას" აღნიშნავენ.

ეგევე რ-ნიშნიანი ფორმები, ე.ი. IV კლასის ფორმები, სავსებით კანონზომიერად, ნივთის კლასის სიტყვათა სიმრავლის გამოსახატავა-დაა გამოყენებული; შდრ.მაგ.,მხ.რ. ჭუთ და-ბ-ხირ, ბედმიწ."სა-დღეებელს ცემს" - მრ.რ.ჭუთხურ და-რ-ხირ "სადღეებლებს ცემს"...

ამრიგად, არჩიბულში რ დადასტურებულია IV კლასის ნიშნადაც.

მეოთხე კლასის ნიშნად რ გვაქვს "ესვრის", "ეცემა" ზმნაშიც. აქაც ის მხოლოდ აწმყოში და´მისგან ნაწარმოებ ფორმებში გვხვდება და მიუთითებს გარდამავალი ზმნის რეალურ ობიექტზე და გარდაუვალი ზმნის რეალურ სუბიექტზე:

ზარი ნიშის კუჰბანი ცა-რ-ხარ "მე ცხენს ჯოხს ვესვრი" (შდრ. ზარი ნიშის ჭელე ცა-ბ-ხარ "მე ცხენს ქვას ვესვრი"). კუჰბანი "ჯოხი" მეოთხე კლასის სახელია და ამავე დროს რეალური ობიექტი. ზმნაში ის რ ნიშნითაა გამოხატული (ცა-რ-ხარ: შდრ. ცა-ბ-ხარ).

ასევეა, როგორც ზემოთ ითქვა, აწმყოდან ნაწარმოებ სხვა ფორ-მებშიც: ზარი ნიშის კუჰბანი ცა-რ-ხარში ედი "მე ცხენს ჯოხს ვე-სროდი" (შდრ. ზარი ნიშის ჭელე ცა-ბ-ხარში ე-ბ-დი "მე ცხენს ქვას ვესროდი"); გუდუმუ ნიშის კუჰბანი ცა-რ-ხარში ედილი "ის ცხენს ჯოხს ესროდა თურმე" (შდრ. გუდუმუ ნიშის ჭელე ცა-ბ-ხარში ე-ბ-დი-ლი "ის ცხენს ქვას ესროდა თურმე"); ზარი ნიშის კუჰბანი ცა-რ-ხირში ი "მე ცხენს ჯოხს ვესვრი" (შდრ. ზარი ნიშის ჭელე ცა-ბ-ხარში ბი "მე ცხენს ქვას ვესვრი")...

ეგივე ზმნა, თუ ის გარდაუვალი მნიშვნელობითაა გამოყენებული, ნიშნავს "დაცემას", "დავარდნას". ასეთ შემთხვევაში IV კლასის რეალური სუბიექტი აგრეთვე რ ნიშნითაა გამოხატული, ე.ი. იმავე ნიშნით, რითაც II კლასის სუბიექტი:

აწმყო ზოგადი

I კლ. ბოშორ ცო-ვ-ხარ "კაცი ეცემა"

II კლ. ლ'ბონნოლ ცა-რ-ხარ "ქალი ეცემა"

III კლ. ნო'მ ცა-ბ-ხარ "ცხენი ეცემა"

IV კლ. ბიშ ცა-რ-ხარ "ხბო ეცემა".

აწმყო კონკრეტული

I კლ. ბოშორ ცო-ვ-ხარში ვი "კაცი ეცემა"

II კლ. ლ'ბონნოლ ცა-რ-ხარში დი "ქალი ეცემა"

III კლ. ნო'მ ცა-ბ-ხარში ბი "ცხენი ეცემა"

IV კლ. ბიშ ცა-რ-ხარში ი "ხბო ეცემა".

აწმყო ზოგადში II და IV კლასებს საზიარო ფორმა აღმოაჩნდა. აწმყო კონკრეტულში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი იჩინა განსხვავებამ მეშველ ზმნაში. რაც შეეხება ძირითად ზმნას, ის აქაც ორივე კლასისათვის საერთოა (ცარხარში).

ასეთივე ვითარებაა აწმყოსაგან ნაწარმოებ სხვა ფორმებშიც: II კლ. გოდორ ცა-რ-ხარში ე-რ-დი "ის (II კლ.) ეცემოდა"; IV კლ. ბიშ ცა-რ-ხარში ედი "ხბო (IV კლ.) ეცემოდა"; II კლ. გოდორ ცა--რ-ხარში ე-რ-დილი "ის (II კლ.) ეცემოდა თურმე"; IV კლ. გოდოთ ცა-რ-ხარში ედილი "ის (IV კლ.) ეცემოდა თურმე"...

რ̲ ნიშნითვეა აღნიშნული მრავლობით რიცხვში ნივთთა სიმრავლე (ბ̲ ნიშნით - ადამიანთა სიმრავლე):

ხემეჲ ნიშის ჭელეთბუ ცა-რ-ხარში ი "ქალები ცხენს ქვებს ესვრიან";

ნოშორ შბვი ცა-რ-ხარ "ღამე ცხენები ეცემა", ზედმიწ. "ეცემიან" (ლობურ შბვი ცა-ბ-ხარ "ღამე ბავშვები ეცემიან");

ბოშორ ცა-რ-ხარში ერი "ხბორები ეცემოდა", ბერმინ. "ეცემოდნენ" (ბოლ' ცა-ბ-ხარში ე-ბ-დი "ხალხი ეცემოდა", ბერმინ. "ეცემოდნენ);

ბოშორ ცა-რ-ხარში ერილი "ხბორები ეცემოდა", ბერმინ. "ეცემოდნენ თურმე" (ადამიილ ცა-ბ-ხარში ე-ბ-დილი "ადამიანები ეცემოდნენ თურმე")...

მეოთხე კლასის ნიშნად რ გვხვდება ქვე-რ-ქბირ "წრიალებს" და ლ'ბო-რ-ხურ "ურევს", "შეურევს" ზმნებშიც.

ამრიგად, რ ნიშანი არჩიბულში საზიარო აღმოჩნდა მ ე ო რ ე და მ ე ო თ ხ ე კლასებისათვის. ის, როგორც დავინახეთ, ინფიქსია, რომელიც წარმომობით პრეფიქსი ჩანს (იხ.ქვ.).

უფრო რთული მდგომარეობაა "ჯდომა" ზმნაში. უღვლილებისას ის ორ ფუძეს იყენებს: ერთს - ნამყოსა და მისგან ნაწარმოებ დროთათვის, მეორეს - დანარჩენ ფორმებში. ნამყოსა და მისგან ნაწარმოებ დროებში კლას-ნიშნები ფუძის შემდეგ გვაქვს - დაბოლოების წინ, ინფინიტივში, აწმყოსა და ბრძანებითში ფუძის შიგნით - ფუძისეული თანხმოვნის წინ:

I ფუძე -ყა-

ნამ.	მყოფ.	თურმ.
ყო-ვ-დი	ყო-ვ-დიჰი	ყო-ვ-დილი
ყა-რ-დი	ყა-რ-დიჰი	ყა-რ-დილი
ყა-ბ-დი	ყა-ბ-დიჰი	ყა-ბ-დილი
ყე-ჲ-დი	ყე-ჲ-დიჰი	ყე-ჲ-დილი

II ფუძე - ყა-ყ-

ინფ.	აწმ.ბ.
ყო-ვ-ყის	ყო-ვ-ყირ
ყა-დ-უყის//ყა-დ-ყვის	ყა-დ-უყირ//ყა-დ-ყვირ
ყა-ბ-ყის	ყა-ბ-ყირ
ყ'ე-ჲ-ყ'ის	ყე-ჲ-ყირ

ბრძ.

ყო-ვ-ყი

ყა-დ-უყი//ყა-დ-ყვი

ყა-ბ-ყი

ყ'ე-ზ-ყი

ამ ზმნაში წარმოდგენილი კლასის ნიშნებიდან ყურადღებას იქცევს II კლასის დ და IV კლასის ზ̲.

ზ̲ მხოლოდ II ფუძეში გვხვდება. ის აქ ფუძის შიგნითაა მოქცეული. სხვა შემთხვევებში ასეთ პოზიციაში ან ფუძის მომდევნოდ II კლასის ნიშნად, როგორც წესი, რ̲ გვაქვს. მართლაც, I ფუძეში II კლასის ნიშანი რ̲ აფიქსია და არა დ̲.

ზ̲ ორივე ფუძეში გვხვდება: პირველში – სუფიქსად, მეორეში – ინფიქსად.

მოვიყვანოთ მისი ხმარების რამდენიმე მაგალითი:

ლო (IV კლ.) ყათხუ ყ'ე-ზ-ყ'ის კʰან "ბავშვს დაჯდომა სურს". ლო ("ბავშვი") აქ მეოთხე გრამატიკულ კლასად არის მიჩნეული და ინფინიტივში (ყ'ე-ზ-ყ'ის) ზ ნიშნითაა წარმოდგენილი.

ზამუთ ნოწ (IV კლ.) ტუმპურუ დაბხირში ლ'აგუმ ხურში ყე-ზ-დილი "ეს ჩიტი, ჩონგურსაც უკრავს რა, სიმღერის სათქმელად (ზედმიწ. სამღერლად) ზის". აქაც ზ IV კლასის ნიშანია (ნოწ ყეზდილი "ჩიტი ზის").

ყ'ე-ზ-დითხუ-თ ნოკხ (IV კლ.) მარზდუთ ეთხიტოძყი, ადამლის ხონნუთ აწი არლ'ირ "ნაცხოვრები (ზედმიწ."ნაჯდომი") სახლი სუფთა თუ არ იყო, ადამიანს ცუდი სენი ემართება". ყ'ე-ზ-დითხუ-თ "ნაცხოვრები" ნამყოს მიმღეობაა, რომელსაც ორი კლასის ნიშანი აქვს –ზ̲ და თ̲. ზ̲, თ̲ სუფიქსთან ერთად, IV კლასზე მიუთითებს, კერძოდ, ნოკხ (IV კლ.) "სახლი" სიტყვის კლასს აღნიშნავს.

დ, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს მრავლობით რიცხვშიც, კერძოდ, ნივთთა კლასის სახელთა სიმრავლის აღსანიშნავად I და II პირის მრავლობითობის გამოსახატავად.

იმიქ ძემიბ ლ'ზანნაპლიმიში ქელიქან ყ'ე-ძ-ყ'ირ "იქ ესენი (= ფრინველები) არიან გაზაფხულის დადგომამდე (ზედმიწ. "იქ ესენი, გაზაფხული სანამ არ ქმნილა, სხედან");

ნენ შბღნთუმჩეთ ყათბუ ყ'ე-ძ-ყ'ირ "ჩვენ სკამებზე ვსხდებით";

ნენ შბღნთუმჩეთ ყათბუ ყე-ძ-დინა ქუმულ ქვან "ჩვენ სკამებზე დავსხედით და, საჭმელს ვჭამთ";

კვენწეძწუ ყ'ე-ძ-დილი ი ჰანი? "თქვენ თვითონ სხედხართ თუ?";

ძოვმუ ბოლი: ... ძებ მათაჰბუ ძემიმმეს ლ'ბვაქ ელ'ბუნა ყ'ე-ძ-ყის ჰბა ნენ-ბოლი "ამას უთქვამს: ეს ნივთები იმათ გვერდით დავაწყვეთ და, ჩვენ საცხოვრებლად (ზედმიწ. "საჯდომად") აქ მოვედითო"[1].

ამგვარად, არჩიბულში IV კლასის ნიშნად ძ-ც დასტურდება. ის წარმოშობით პრეფიქსი ჩანს, მაგრამ ახლა ინფიქსის ან სუფიქსის სახითაა წარმოდგენილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. ა.დირს "მოკვლა" ზმნისათვის IV კლასში ორ-ორი ფორმა მოჰყავს: ინფ. ა-თ-ჩას (sic) //აჩას, ნამ. ა-თბ-ჩუ // აჩუ, მყოფ. ა-თბ-ჩუპი//აჩუპი...[2] აქ, რაიმე გაუგებრობასთან თუ არა გვაქვს საქმე, ყურადღებას იქცევს ფორმები, რომელთაც IV კლასის ნიშნად -თბ- (-თ-) ინფიქსი უჩანთ: ა-თ-ჩას (შდრ. III კლ. ა-ბ-ჩას, II კლ. ა-რ-ჩას, I კლ. ა-ვ-ჩას), ა-თბ-ჩუ (შდრ. III კლ. ა-ბ-ჩუ, II კლ. ა-რ- ჩუ, I კლ. ა-ვ-ჩუ), ა-თბ-ჩუპი (შდრ. III კლ. ა-ბ-ჩუპი, II კლ. ა-რ-ჩუპი, I კლ. ა-ვ-ჩუპი) და ა.შ.

2. ერკერტის შრომაში ერთგან "კეთება" ზმნის შემდეგი ფორმები გვხვდება: ვ-არ (I კლ.), დ-არ (II კლ.), ბ-არ (III კლ.) და ძ-არ (IV კლ.)[3]. აღსანიშნავია ძ-არ ("არის")

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 131.

2 იქვე, გვ. 105.

3 R.Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes, I, გვ. 190.

ფორმა, სადაც (ნაცვლად ნულისა) IV კლასის ექსპონენტად პრეფიქსი ჲ̲ ფიგურირებს.

მართალია, არჩიბულში ო თ ხ ი გრამატიკული კლასია, მაგრამ კლას-ნიშნების რიცხვი, ნულ-ნიშნისა და სხვადასხვა წარმოშობის ორი ჲ̲-ს ჩამოთვლით, ც ხ რ ა მ დ ე აღწევს. ესენია - ვ̲, ჲ̲(← ვ̲); დ̲, რ̲, ჲ̲ (← რ̲), 0̲ (ნული), ტ̲, თ̲; ბ̲. აქედან, ლაკურისა[1] და ხუნძურის[2] მსგავსად, ძ ი რ ი თ ა დ ი ა ს ა მ ი ნიშანი: ვ̲, დ̲ და ბ̲. დანარჩენები ვ̲ და დ̲ ნიშნების ფონეტიკური ვარიანტებია. ვ̲-ს გადასვლა ჲ̲-ში კომბინატორული ცვლილებების შედეგია და, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ ხდება. ცვლილებები, რომელიც განუცდია დ̲ ნიშანს (დ- → რ̲- → ჲ̲- → 0̲), მონათესავე ენების სათანადო ფაქტებს ეხმაურება, მათთანაა დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში დ̲-ს რ̲-ში გადასვლის პროცესი ძალიან ძველი ჩანს. ის საერთო უნდა ყოფილიყო მონათესავე ენათა საკმაოდ დიდი ჯგუფისათვის. რ̲ → ჲ̲ და ჲ̲ → 0̲ (ნული) შეიძლება განხორციელებულიყო თითოეულ ენაში ცალ-ცალკე. სუფიქსი ტ̲ არჩიბულში დ̲-დან უნდა მომდინარეობდეს[3], ასევე - სუფიქსი თ̲[4]. ისინი დ̲-ს პოზიციური ვარიანტებია; ტ̲ გვხვდება სიტყვის ბოლოს - ხმოვანთა შორის ან ხმოვნის წინ, თ̲ დასტურდება ხმოვნის მომდევნოდ - თანხმოვნის წინ ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში.

---

1 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში, ენიმკი-ს მოამბე, XII, 1942, გვ.181.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ.93-96.

3 იქვე, გვ.94.

4 А. М а г о м е т о в, Редикты грамматических кдассов в агульском явыке, საქართველოს სსრ მეცნ.აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3, 1963, გვ. 195.

კლას-ნიშნების სქემა

1

პრეფიქსული რიგი

1	2	3
პრეფიქსად (ხმოვნის წინ)	ინფიქსად (ხმოვნის	მომდევნოდ) სუფიქსად
I ვ-	-ვ-, -ჲ-	-ვ, -ჲ
II დ-	-რ-, -დ-	-რ
III ბ-	-ბ-	-ბ
IV 0, ჲ-	0, -ჲ-, -რ-	0, -ჲ

2

სუფიქსური რიგი

1	2
სუფიქსად (უ -ხმოვნის წინ)	სუფიქსად (ხმოვნის მომდევნოდ - სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში...)
I -ვ-უ	-ვ...
II -რ-უ	-რ
III -ბ-უ	-ბ
IV -ტ-უ	-თ

3. *გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს ა რ ჩ ი ბ უ ლ შ ი.* როგორც დავინახეთ, არჩიბულში კლასის ნიშნების საკმაოდ რთული სისტემაა. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა და დიდი ცვლილებები განუცდია. იცვლება ის დღესაც... ცვლილებები სხვადასხვა ხასიათისაა და ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. კლას-ნიშნების ანალიზს, სახელთა ბრუნების ზოგიერთი ფაქტისა და III პირის უკუქცევითი ნაცვალსახელების გათვალისწინებას არჩიბულშიც

იმავე დასკვნებამდე მივყავართ, რაც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ლაკურისა[1] და ხუნძურისათვის[2], კერძოდ, არჩიბულიც თავისი განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე ს ა მ კ ლ ა ს ს განარჩევდა - ადამიანთა ერთ კლასს და ნივთთა ორ კლასს. ამ პერიოდისათვის ნივთთა ერთი კლასი ორი ნიშნით იყო გამოხატული - დ-თი და რ-თი. შემდეგ ცვლილებები უფრო შორს წასულა: რ̱ → დ̣ და დ̱ → 0̱ (ნული). როგორც ჩანს, ამ დროს დ̱ და რ̱ ნიშნები უკვე ნაკლებ იყო დატვირთული მეოთხე კლასის მნიშვნელობით, ე.ი. სულ უფრო და უფრო იკლებდა იმ სიტყვების რაოდენობა, სადაც დ̱ და რ̱ IV კლასზე მიუთითებდნენ, და იმატებდა იმ სიტყვათა რიცხვი, სადაც IV კლასის აღნიშვნა დ̱ და ნულ ნიშნებს ეკისრებოდა. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ პერიოდში ხდებოდა ადამიანთა კლასის დიფერენციაციაც მამაკაცის და ქალის კლასად. ადამიანის კლასის ნიშანი ვ̱ გამოყენებულ იქნა პირველი ანუ მამრობითი სქესის ადამიანის აღსანიშნავად. მეორე ანუ მდედრობითი სქესის ადამიანის კლასი, ბუნებრივია, კლას-ნიშანს შედარებით ადვილად დაესესხებოდა ნივთთა მეორე კლასს[3], რომელიც რამდენიმე ნიშნიანი იყო და, გარდა ამისა, განყენებული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ, ცხადია, მდედრობითი სქესის ადამიანსაც გულისხმობდა. როგორც ვხედავთ, ენაში ამ პერიოდში მაქსიმალური პირობები იყო შექმნილი იმისთვის, რომ ახლად გამოყოფილ მეორე კლასს ნივთის კლასის ნიშნები, დ̱ და რ̱, გამოეყენებინა, რომლებსაც, ვიმეორებთ, IV კლასის აღსანიშნავად უკვე საკმაოდ იშვიათად იყენებდნენ.

---

1 იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს დასახ. ნაშრ., გვ. 181.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.90,95...

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვინ- კატეგორიის სახელთა ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში (იხ.საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1971, გვ.8-9).

ამრიგად, განვითარების გარკვეულ საფეხურზე არჩიბულში, ლაკურისა და ხუნძურის მსგავსად, სამი კლასი უნდა გვქონოდა:

1. ადამიანის კლასი ვ ნიშნით
2. ნივთთა კლასი ბ ნიშნით
3. ნივთთა მეორე კლასი დ და რ ნიშნებით.

მომდევნო საფეხურზე ცვლილებები ხდებოდა ნივთთა კლასში, კერძოდ, ნაცვლად ორი ნიშნისა ნივთთა II კლასს ფონეტიკურ ნიადაგზე კიდევ ორი ნიშანი განუვითარდა: დ//რ → //ჲ → //0 (ნული).

ენაში ისევ სამი კლასია:

1. ადამიანთა -ვ ნიშნით
2. ნივთთა -ბ ნიშნით
3. ნივთთა -დ//რ → //ჲ → // 0 (ნული) ნიშნებით.

არსებითი ცვლილებები იწყება უფრო გვიან, როდესაც დიფერენციაციას იწყებს ადამიანთა კლასი; ნივთთა ორი კლასის გვერდით, ადმიანთა ერთი კლასის ნაცვლად, დასაბამი ეძლევა ადამიანთა ორ კლასს – მ ა მ ა კ ა ც ი ს ა ს ვ ნიშნით და ქ ა ლ ი ს ა ს დ და რ ნიშნებით.

ენაში უკვე ოთხი კლასია:

1. მამაკაცისა – ვ ნიშნით
2. ქალისა – დ და რ ნიშნებით
3. ნივთისა – ბ ნიშნით
4. ნივთისა –რ//ჲ,0 (ნული) ნიშნებით.

წარმოდგენილი სურათი ძალიან ჰგავს იმას, რასაც მონათესავე ენათათვის (ლაკურისათვის, ხუნძურისათვის...) ადგენენ. მასალაც, რომელიც არჩიბულში იქნა დადასტურებული და სათანადო დასკვნების მისაღებად გამოყენებული, თითქმის იგივეა, რაც დაღესტნისა და ჩაჩნურ-ინგუშური ენებიდანაა ცნობილი. ასე, მაგალითად, მ ე ო თ ხ ე გრამატიკული კლასის აღსანიშნავად არჩიბულში წა-

ხურის, მუხადურის (რუთულურის)[1], ჩაჩნურისა და ინგუშურის მსგავსად დ არის გამოყენებული, წახურის[1], დარგუულისა და ხუნძურის მსგავსად კი -რ̣; მ ე ო რ ე კლასისათვის არჩიბული ისევე, როგორც წახური[1], ლაკური და დარგუული, რ̣ და დ̣ ნიშნებს იყენებს; არჩიბულსაც წახურივით[1] და დარგუულივით საზიარო აღმოაჩნდა მ ე ო რ ე და მ ე ო თ ხ ე გრამატიკული კლასების ნიშანი რ; ამავე დროს მასალობრივად ერთი უნდა იყოს მ ე ო რ ე კლასის ნიშანი დ და მ ე ო თ ხ ე კლასის ნიშნები ტ̣(← დ̣) და თ̣(← დ̣). ახლა იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ არჩიბულში ხუნძურისა[2] და ლაკურის[3] მსგავსად ბრუნებისას სახელთა ერთ წყებაში ერთმანეთს უპირისპირდება მამრობითი სქესის ადამიანთა კლასი და ნივთთა გრამატიკული კლასი, რომელიც ფდედრობითი სქესის ადამიანთა კლასსაც მოიცავს, და იმასაც, რომ არჩიბულშივე უკუქცევით ნაცვალსახელებს ერგატივიდან მოყოლებული ორი ფორმა აქვს, ერთი – I კლასისათვის (ერგ. ჟუ, ნათ. ჟუ-ნ, მიც. ჟუ-ს...), მეორე კი – IV, III და II კლასებისათვის (ერგ. ჟე, ნათ. ჟე-ნ, მიც. ჟე-ს...), ცხადი გახდება, რომ არჩიბული ენის ეს ფაქტები თავის მრავალფეროვნებით ე რ თ ი ე ნ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი საკმაოდ სრულად წარმოგვიდგენს იმ მასალას, რომელიც დამახასიათებელია ენათა მთელი ჯგუფისათვის. არჩიბულ ენაში დადასტურებული ფაქტები, ვფიქრობთ, კარგი ილუსტრაციაა იმ მოსაზრებისა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში წამოყენებულია რიგი იბერიულ-კავკასიური ენის სათანადო ფაქტების ანალიზის საფუძველზე ამ ენებში გრამატიკულ კლას-

---

1 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურ ენებში, იკე, V, გვ.463–466; 206,207, 208.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.94.

3 ე. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ.170...

და განვითარების ისტორიის გასათვალისწინებლად.[1] ამ მხრივ არჩი-ბული ერთგვარად მოგვაგონებს თაბასარანულ ენას[2], სადაც აგრეთვე ე რ თ ი ე ნ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი კარგადაა წარმოდგენილი ამ შემთხვევაში უკვე კლასების თანდათანობით მოშლის, და არა მა-ტების, თითქმის ყველა ძირითადი საფეხური მაშინ, როდესაც დასა-ხელებული მოვლენის განვითარების ეს საფეხურები, ჩვეულებრივ, ერთი ჯგუფის სხვადასხვა ენაშია დადასტურებული, ხოლო ზოგჯერ - სხვადასხვა ჯგუფის ენებშიაც კი.

4. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი ს ხ ვ ა ს ა კ ი თ ხ ი. გრამატიკული კლასის ნიშნები შეიძლე-ბა გვქონდეს[3]: ზმნებში, ნაზმნარ სახელებში, ზედსართავ სახელებში, სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში, ნაცვალსახელებში, რიცხვით სახე-ლებში... კ ლ ა ს-ნ ი შ ა ნ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა ღ მ ო ა ჩ ნ - დ ე ს ფ ო რ მ ა ნ ტ ს ა ც. ასეთია, მაგალითად, ფართო გავრცელე-ბული სუფიქსი -თხუ(I კლ. - -თხუ-ვ, II კლ. - -თხუ-რ, III კლ. - -თხუ-ბ, IV კლ. - -თხუ-თ, მრ.რ. - თხი-ბ); ზმნური, სახელური თუ სხვა ფორმა, რომელსაც ის დაერთვის, ცხადია, კლას-ნიშნიანი იქნება.

არჩიბულში სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთი, ორი ან მეტი კლასის ნიშანი.[4]

გარდა სახელობითისა გრამატიკული კლასის ნიშნები წარმოდგე-ნილია ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში; შდრ. მაგ.: სახ. გოდო-რ

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მეორე გრამატიკული კლასის ("მდედრობითი სქესის") გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებ-ში, სმამ, ტ. III, N4, თბილისი, 1942, გვ. 373, 380; ვ. თ ო ფ უ-რ ი ა, გრამატიკული კლასები და მისი ექსპონენტები ლაკურ ენ-აში, ენიმკი-ს მოამბე, XII, 1942, გვ. 169-181; არნ. ჩ ი ქ ო-ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ. 90-96.

2 А. М а г о м е т о в, Табасаранский яз., 1965, გვ. 79, 80...

3 А. Д и р р, Арч. яз. გვ. 5

4 იქვე, გვ. 23.

"ის" (IIკლ.) – ერგ. გორო-რ-ში, ნათ. გორო-რ-ში-ნ, მიც. გორო-რ-ში-ს... სახ. ტითჼუ-თ "პატარა" (IVკლ.) – ერგ. ტითჼუ-თ-ში, ნათ. ტითჼუ-თ-ში-ნ, მიც. ტითჼუ-თ-ში-ს... სახ. ყვე-ვუ "ორი" (Iკლ.) – ერგ. ყვე-ვ-მუ (← *ყვე-ვუ-მუ), ნათ. ყვე-ვ-მუ-ნ, მიც. ყვე-ვ-მუ-ს...

შეიძლება კლასის ნიშნები მხოლოდ ნათესაობითსა და მიცემით-ში გვქონდეს, დანარჩენ ბრუნვაში კი არა; მაგ.: სახ. ზონ "მე", ერგ. ზარი – ნათ. ვ-ის, დი-ს, ბ-ის..., მიც. ვ-ეზ, დ-ეზ, ბ-ეზ... სახ. და ერგ. ნენ "ჩვენ", ადგილ. ლალ'ჼუ... – ნათ. ულუ (← ვ̄-ოლო), დ-ოლო, ბ-ოლო...

ამჟამად კლას-ნიშნები, უფრო ზუსტად, პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი კლას-ნიშნები, არსებით სახელებში არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ სახელებს, როგორიცაა უშთჼუ (← *ვ-ოშთჼუ-ვ) "ძმა", (შდრ. ერგ. უშ-მუ ← *ვ-ოშ-მუ) და დ-ოშთჼუ-რ "და" (შდრ. ერგ. დოშ-ში)... აქ წარმოდგენილია როგორც ადრინდელი – პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი (დ...), ისე გვიანდელი – ს უ ფ ი ქ ს უ რ ი (-რ...) კლას-ნიშნები. გარდა ამისა, კლასზე ერგატივის ფორმან-ტებიც მიუთითებს: უშ-მუ "ძმამ" – დოშ-ში "დამ". მაგრამ დროთა განმავლობაში პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი კლასის ნიშნები უფუნქციო გამხდარა. მათი მაგივრობა კლას-ნიშნიან -თჼუ სუფიქსსა და ერგა-ტივის -ში და -მუ ნიშნებს უკისრია.

-თჼუ ერგატივის -მუ და -ში ნიშნებთან ერთად კლასებს განარ-ჩევს რიგ არსებით სახელში;

მაგალითები:

ულ'-თჼუ (← *ულ'-თჼუ-ვ) "მწყემსი(კაცი)", ერგ. ულ'-მუ; ულ'-თჼუ-რ "მწყემსი(ქალი)", ერგ. ულ'-ში; ულ'თჼუ-თ "მწყემსი ბავშვი", ერგ. ულ'-ში... ჰალმახ-თჼუ "ამხანაგი(კაცი)", ერგ. ჰალმახ-მუ; ჰალმახ-თჼუ-რ "ამხანაგი(ქალი)", ერგ.ჰალმახ-ში; ჰალ-ლუ-ვ (← *ჰალ-თჼუ-ვ) "პატრონი(კაცი)", ერგ.ჰალ-მუ; ჰალ-

ლუ-ჲ (← *ჰალ-თბუ-ჲ) "პატრონი (ქალი)", ერგ. ჰალ-ში; ნუს-თბუ "სიძე", ერგ.ნუს-მუ; ნუს-თბუჲ "რძალი", ერგ. ნუს-ში; აბ-თბუ "მამა", უმ-მუ (← *აბ-მუ); ეჲ-თბუ-ჲ "დედა", ერგ. ეჲ-ში; ას-თბუ "ქმარი", ერგ. ას-მუ; დიბირ-თბუ "მოლა", ერგ.დიბირ-მუ...

ასევეა სადაურობის აღმნიშვნელ სახელებშიც:

ღუმექლაშ-თბუ "კუმუხელი კაცი...", ერგ. ღუმექლაშ-მუ; ღუმექლაშ-თბუ-ჲ "კუმუხელი ქალი", ერგ. ღუმექლაშ-ში... ჭურცშ-თბუ "ჭურიბელი კაცი...", ერგ.ჭურეშ-მუ; ჭურცშ-თბუ-ჲ "ჭურიბელი ქალი..." ერგ.ჭურცშ-ში... შალაშ-თბუ "შალიბელი კაცი...", ერგ. შალაშ-მუ; შალაშ-თბუ-ჲ "შალიბელი ქალი...", ერგ.შალაშ-ში...

ეს აფიქსი არსებით სახელებში შედარებით ახალი ჩანს. ამას უნდა მოწმობდეს თუნდაც ის გარემოება,რომ -თბუ ბრუნებისას ფ უ-ძ ე ს ა რ გ ა დ ა ჰ ყ ვ ე ბ ა, ე.ი. არსებით სახელებს ის მხოლოდ სახელობით ბრუნვაში აქვს.

ამრიგად, კლასების გარჩევა არსებით სახელებში დღეს კლასნიშნიანი -თბუ სუფიქსისა და ერგატივის -მუ და -ში ნიშნების მეშვეობით ხერხდება.

ესა თუ ის სახელი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთ კლასს განეკუთვნება, მაგ.: დიდა "მამა" ყოველთვის პირველ კლასში შედის, ბუვა "დედა" – მეორე კლასში, ნო'შ "ცხენი" – მესამეში, ბიშ "ხბო" – მეოთხეში. მაგრამ ის შეიძლება რამდენიმე კლასშიც შედიოდეს, მაგ., ლო "ბავშვი" პირველ კლასში შედის, თუ ბიჭი იგულისხმება, მეორე კლასში – თუ გოგოა ნაგულისხმევი, მეოთხეში – თუ ლაპარაკია ცხოველის ნაშიერზე ან ბავშვზე, რომელიც ძალიან პატარაა, ან არ იციან ქალია ის თუ ვაჟი. სამ კლასს – პირველს, მეორეს ან მესამეს – განეკუთვნება აგრეთვე ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა "ადამ".

ასევე ერთზე მეტი კლასისაა სიტყვები:

აჰუშ "დარგუელი", ჩაჩან "ჩეჩენი", გურჟი "ქართველი", ბირგადირ "ბრიგადირი", ფირსიდათილ "თავმჯდომარე"...

ცალკე უნდა გამოიყოს შემდეგი ფაქტები. ერთი და იგივე სახელი იმის მიხედვით, დიდ საგანზე მიუთითებს თუ პატარაზე, შეიძლება მესამე კლასისა იყოს ან მეოთხე კლასში შედიოდეს; მაგ., დოქის არჩიბული სახელი "ჭუთ" მ ე ს ა მ ე კლასს განეკუთვნება, თუ ის დიდ დოქს (კოკას, ჩაფს, სადღვებელს...) აღნიშნავს, მ ე - ო თ ხ ე კლასს - თუ პატარა დოქს გულისხმობს.

ასეთივე თვისებისაა ჩვენთვის ცნობილი ორიოდე სხვა სახელიც, მაგ.: ხით (III და IVკლ.) "ციცხვი","კოვში" (დიდი, პატარა), გატ (III და IVკლ.) "მანდილი" (დიდი, პატარა), მარყ° (III და IVკლ.) "ლურსმანი" (დიდი, პატარა), ფარხ (III და IVკლ.) "დოლი" (დიდი, პატარა)...

ორ კლასს - მ ე ს ა მ ე ს და მ ე ო თ ხ ე ს - განეკუთვნება აგრეთვე კრავის აღმნიშვნელი სიტყვა "ბაყარ", ოღონდ ამ შემთხვევაში კლასები კრავის სიდიდეზე კი არ მიუთითებს, არამედ მის ს ქ ე ს ზ ე , კერძოდ, მ ე ს ა მ ე კლასი მ ა მ ა ლ კრავს აღნიშნავს, მ ე ო თ ხ ე კლასი - დ ე დ ა ლ ს (ბაყარ ბი "მამალი კრავი არის", ბაყარ ი "დედალი კრავი არის")...

ს ა ხ ე ლ ი

სახელთა ბრუნება

1. ბ რ უ ნ ვ ა თ ა შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს.

პ. უსლარი არჩიბულში ხუთ ბრუნვას იცნობს; ესენია: სახელობითი, დაწყებითი, მიცემითი, ნათესაობითი და ადგილობითი.[1]

პ. უსლარის დაწყებითი, როგორც მაგალითებიდან ჩანს, ერგატივია.

რ. ერკერტი გამოყოფს: ნათესაობითს, მიცემითს, ინსტრუმენტალის (ნარატივს), საკუთრივ ინსტრუმენტალისს, რომელიც ამავე დროს კომიტატივიცაა, და ორ ადგილობით ბრუნვას.

ბრუნვათა შორის არ ჩანს სახელობითი.[2]

პირველი სრული სურათი არჩიბული ენის ბრუნვათა სისტემისა წარმოდგენილია ა.დირის შრომებში. მან ოცდაორი ბრუნვა გამოყო,[3] რომელთაგან ექვსი ძირითად ბრუნვად მიიჩნია, თექვსმეტი - ადგილობით ბრუნვად.[4]

ა.დირის მიხედვით ძირითადი ბრუნვებია: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი I, მიცემითი II (მაჩვენებელი -რში), ერგატივი და თანხლებით-მოქმედებითი (მაჩვენებელი -ლ'უ).

ადგილობითი ბრუნვები ა.დირს თავის ადრინდელ ნაშრომში არჩიბული ენის შესახებ[5] დაჯგუფებული არა აქვს. მათი დაჯგუფების პირველი ცდა წარმოდგენილია მის მეორე შრომაში - "შესავალი კავკასი-

---

1 П. У с л а р, Лакский яз., დამატება, გვ.8-9.

2 R.Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes...,II, გვ.58-59.

3 А. Д и р р, Арч. яз., 1908, გვ.6-11;14-20.

4 მ ი ს ი ვ ე, Einführung..., 1928, გვ.253-254.

5 А. Д и р р, Арч. яз., გვ.6-11.

ურ ენათა მესწავლაში", სადაც ადგილობით ბრუნვათა ექვსი ჯგუფია წარმოდგენილი - ზოგი სრული (სამ-სამი ბრუნვით), ზოგი ნაკლოვანი.[1]

-ში სუფიქსიან ფორმას, რომელიც არც ერთ ჯგუფში არ შედის,[2] ის "-ში-ზე დაბოლოებულ ზღვრულ ბრუნვას"[3] უწოდებს.

უკანასკნელ ხანებში არჩიბული ენის ბრუნვათა სისტემა განიხილეს ს.ხაიდაკოვმა ორ შრომაში: "არჩიბული ენის ბრუნვათა სისტემა" (1965)[4] და "არჩიბული ენა" (1967 წ.),[5] და ყ.მიქაილოვმა წიგნში "არჩიბული ენა" (1967 წ.).[6]

ს.ხაიდაკოვი თავის პირველ ნაშრომში ოცდაცხრა ბრუნვას გამოყოფს, რომელთაგან ათი ძირითად ბრუნვადაა მიჩნეული, ცხრამეტი - ადგილობით ბრუნვად. -ში-სუფიქსიან ფორმას, რომელიც არც ერთ წყებაში არ შედის, ავტორი "მიმართულებით ბრუნვას" უწოდებს და მოთავსებული აქვს პარადიგმის ბოლოს - წყებებად დანაწილებულ ადგილობით ბრუნვათა შემდეგ. მეორე შრომაში მხოლოდ ოცდაექვსი ბრუნვაა: რვა ძირითადი და თვრამეტი ადგილობითი. ადგილობით ბრუნვათა შორის არ ჩანს -ში-სუფიქსიანი ფორმა. განსხვავებულია აგრეთვე ძირითად ბრუნვათა რაოდენობა და შედგენილობა.

ორივე ნაშრომში ადგილობითი ბრუნვები დაყოფილია ექვს-ექვს წყებად (სერიად). თითოეულ წყებაში სამ-სამი ბრუნვაა: ადგილობითი (მაჩვენებლები: I - -თ, II - -კь, III - -ა... IV - -ჴ, V - აღწერითადაა წარმოდგენილი, VI - -ლ'ბუ); დაშორებითი (მაჩვენებ-

---

1 A.Dirr,Einführung...,გვ.254.

2 იქვე, გვ.254.

3 А. Д и р р, Арч. яз., გვ.10,17; მ ი ს ი ვ ე, Einführung..., გვ.254.

4 С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., 1965, გვ.153-159.

5 С.М. Х а й д а к о в, Арч. яз., 1967,გვ.611-613.

6 К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., 1967, გვ.43...

ლები: I - -თხი-მ, II - -კჰი-მ, III - -ა-მ, IV - -ჯი-მ, V - -ხურ, VI - -რა-მ) და მიმართულებითი (მაჩვენებლები: I - -თხი-ქ, II - -კჰი-ქ, III - -ა-ქ, IV - -ჯი-ქ, V - -ხუთ, VI - -რა-ქ).

ორმოც ბრუნვას გამოყოფს ყ.მიქაილოვი: ოთხს - ძირითადს (სახ., ერგ., ნათ., მიც.,)[1] და ოცდათხუთმეტს - ადგილობითს. ცალკე აქვს გამოყოფილი და ძირითად და ადგილობით ბრუნვებს შორის მოქცეული -ლ'ბუ-თი ნაწარმოები ბრუნვა, რომელსაც "იარაღობით-თანხლებითს" უწოდებს.[2]

ადგილობითი ბრუნვები დანაწილებულია შვიდ წყებად. თითოეულ წყებაში წარმოდგენილია ხუთ-ხუთი ბრუნვა[3]: ადგილობითი (მაჩვენებლები: I - -რ, II - -მა, III - -თ, IV - -ჯ, V - -ა; -ჸ, VI - -ლა, VII - კჰ) ; მიმართულებითი (მაჩვენებლები: I - -მი, II - -მი, III - -ჺმი, IV - -ჺმი, V - -მი, VI - -მი, VII - -ჺმი); ბღერული (მაჩვენებლები: I - -აქ, II - -ქ, III - -იქ, IV - -იქ, V - -ქ, VI - -ქ, VII - -აქ); დაშორებითი (მაჩვენებლები: I - -ამ, II - -მ, III - -იმ, IV - -იმ, V - -მ, VI - -მ, VII - -ამ) და ტრანსლატივი (მაჩვენებლები: I - -ახუთ, II - -ხუთ, III - -იხუთ, IV - -იხუთ, V - -ხუთ, VI - -ხუთ, VII - -იხუთ).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. აღნერითად წარმოდგენილი ადგილობითი V - ფორმანტის უქონლობის გამო - ცალკე ბრუნვად ვერ გამოიყოფა. -ხუთ და -ხურ მიმართულებითისა (V) და დაშორებითის (V) მაწარმოებლები არ არის.[4] მიმართულებითისა და დაშორებითისათვის არჩიბულს სხვა ფორმანტები აქვს (იხ.ქვ.).[5]

---

1 К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., 1967, გვ.52-54.

2 იქვე, გვ.55.

3 იქვე, გვ.55-64.

4 შდრ. С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка... გვ.158; ბ ი ს ი ვ ე, Арч.яз., გვ.612.

5 A.Dirr, Einführung..., გვ.253...

2. -რ- ფორმანტიანი ადგილობითი ბრუნვა დ ღ ე ვ ა ნ - დ ე ლ არჩიბულში არ დასტურდება. მისი გამოყოფა ცალკე ბრუნვად რეალურ ვითარებას არ შეესაბამება.[1]

3. -ლა- ფორმანტიანი ადგილობითი არ არსებობს.[2] აქ ადგილობითის ნიშანია ხმოვანი ა̱, ლ̱ კი - ერგატივის ნიშნისეული თანხმოვანი.[3] -ა̱- ფორმანტიანი ადგილ. ბრუნვის გვერდით -ლა- ფორმანტიანი ადგილ. ბრუნვის გამოყოფა გაუმართლებელია.

არჩიბულში დღეს შეიძლება გამოიყოს ოცდასამი ბრუნვა: ოთხი ძ ი რ ი თ ა დ ი და ცხრამეტი - ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი.

ძირითადი ბრუნვებია: სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი და მიცემითი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ზევით არის ნაჩვენები, ასახელებენ კიდევ ოთხ, ზოგჯერ - ექვს (სულ რვა-ათ)[4] ძირითად ბრუნვას. ნამდვილად კი საქმე გვაქვს ადგილობით ან თანდებულდართულ... ბრუნვებთან.

არჩიბულში ისევე, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, არ არის აკუზატივი. არ აქვს ამ ენას, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვა, არც მოქმედებითი; მის მაგივრობას ეწევა ერგატივი ან -ლ'ბუ-თი ნაწარმოები ადგილობითი ბრუნვა. არა აქვს მას არც წოდებითი.

ადგილობითი ბრუნვები რამდენიმე წყებას (სერიას) ქმნის. თითოეულ წყებაში, თუ ის დეფექტური არ არის, სამ-სამი ბრუნვა შედის (იხ.ქვ.).

----

1 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს არჩიბული ენა, გვ.56-58; იხ. იქვე, გვ.57, შენიშვნა 1.

2 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს არჩიბული ენა, გვ.56-57, 62-63.

3 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ორი ბრუნვის ურთიერთდამთხვევის შესახებ არჩიბულში, იკე, ტ.XV, 1966, გვ.364.

4 С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., გვ.158-159; მ ი ს ი ვ ე, Арч. яз., გვ. 611-612.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. წარმოშობით სულ რვა წყებაა, ხუთი - სრული და სამი - დეფექტური. დეფექტურ წყებათაგან ერთში ორი ბრუნვა გვაქვს საკუთარი, ორში კი - თითო-თითო.

ცალკე უნდა განვიხილოთ -ში- სუფიქსიანი ფორმა, რომელსაც ად-გილობით ბრუნვად მიიჩნევენ.[1] სადავო ჩანს ტრანსლატივის გამოყო-ფაც.[2] -ხუთ, რომელიც ტრანსლატივის მაწარმოებლად მიაჩნიათ, გვხვდე-ბა ზმნურ ფორმებშიც.

2. ს ა ბ რ უ ნ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ე ლ ი ს ფ უ ძ ე დ ა ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი. არჩიბულში ფუძე და სახელობითი, რიგ იბე-რიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, ერთმანეთს ემთხვევა. სახელობითი, ჩვეულებრივ, საბრუნებელი სახელის ფუძის როლში გვევლინება და შე-იძლება ბოლოვდებოდეს როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე:

თურა "ქუდი", ჭელე "ქვა", გიმი "გემი", ნოსო "ყველი", ჰა-ლლუ "პატრონი", კობ "ტანსაცმელი", ოდ "ყური", არხ "თხრილი", "არხი", აპ "ფეხი", ზონ "მე", ნენ "ჩვენ", კჰანქულ "სიყვარული", ნოწ "ჩიტი" და ა.შ.

ერთ წყება არსებით სახელებს და დამოუკიდებლად ნახმარ რი-ცხვით სახელებს ბოლოში მოუდის სუფიქსები, რომლებიც სხვა ბრუნ-ვებში არ გადაჰყვება:

აბ-თხუ "მამა" - ერგ. უმ-მუ (← ა̄ბ-მუ), ას-თხუ "ქმარი" - ერგ. ას-მუ, ნუს-თხურ "რძალი" - ერგ. ნუს-მი, ღუმექლაშ-თხურ "ყუმუხელი(ქალი)" - ერგ. ღუმექლაშ-მი, ყ'ვევუ-თხუ (Iკლ.) "ორი"

---

1 А. Д и р р , Арч. яз., გვ.17; С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., გვ.158-159; К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., გვ.57-64.

2 К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., გვ.57.

- ერგ. ყ'-ეკე-მუ, ყ'ვებუ-თბუბ (III კლ.) "ორი" - ერგ. ყ'ვებუ-მი, მოც-ორ "საძოვარი..." - ერგ. მეს-თბე, მოჴ-ორ "ნვერი" - ერგ. მეჴ-ღე (← *მოჴ-ღე)...

ეს სუფიქსები, მართალია, არ შედის საბრუნებელი სახელის ფუძეში, მაგრამ სახელობითი ბრუნვის, როგორც ფუძის, კუთვნილებაა და არამც და არამც სახელობითის ნიშნები.[1]

ეგევე სუფიქსები, კერძოდ, -თბუ-ს რიგისა და ბოგი სხვაც, ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელებისა და მისთ. ფუძეში შედის:

ალბაჰ-თბუ "გიჟი"... - ერგ. ალბაჰთბუ-მუ, ცი-თბუ "პაცარა" - ერგ. ცითბუ-მუ, ჲელლე-თბურ "ასეთი" - ერგ. ჲელლეთბურ-მი და სხვ.

საბრუნებელი სახელის ფუძეს განეკუთვნება აგრეთვე ყველა კლასნიშანი, რომელიც სახელობითის ფუძეს (resp. სახელობითს) ბოლოში მოუდის და სხვა ბრუნვებში გადაჰყვება: სახ. გოდოთ "ის(ახლოს)" - ერგ. გოდოთ-მი, სახ. თორ "ის(შორს)" - ერგ. თორ-მი, ბოსბო-ბ "ჩემი" - ერგ. ბოსბომ-მი (← *ბოსბობ-მი) და ა.შ.

3. ფ უ ძ ე დ ე რ გ ა ც ი ვ ი დ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი. სხვა ბრუნვათათვის ფუძედ გამოყენებულია არა მარტო სახელობითი, რომელსაც ბრუნვის ნიშანი არ გააჩნია, არამედ ერგატივი და ნათესაობითიც, რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ.

ერგატივის ფორმა ფუძედ სხვა ბრუნვათათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერგატივის დაბოლოება გა-

---

1 იხ. დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს "Дидойский язык"... (1963 წ.), სადაც ავტორი 53 გვერდზე მსგავს ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას; ანალოგიური ფაქტების შესახებ იხ. ც ე რ ც ვ ა ძ ე ნერს: "ზოგ სახელს (კერძოდ, ჩვენებით ნაცვალსახელებს და სხვ.) სახელობით ბრუნვაში დაბოლოებად შეიძლება ჰქონდეს კლას-ნიშანი (ჰო-ვ "ეს"), მაგრამ იგი ბრუნვის ნიშანი არ არის" (ანდიური ენა, 1965 წ., გვ.111); შდრ. К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., გვ.44, § 35.

დაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში, აგრეთვე ყველა წყების ად-გილობით ბრუნვაში, გარდა ერთისა:

ერგ.	მბენთ-ლი	ჰვან-ნი	უსთულ-ლი
	"ცკამმა"	"ფაფამ"	"მაგიდამ"
ნათ.	მბენთ-ლი-ნ	ჰვან-ნი-ნ	უსთულ-ლი-ნ
ადგილ.	მბენთ-ლი-კხ	ჰვან-ნი-კხ	უსთულ-ლი-თ

ერგ.	ლ'ბენე	თოვ-მუ	მაჰბამტ-ლი
	"წყალმა"	"მან"	"მუჰამედმა"
ნათ.	ლ'ბენე-ნ	თოვ-მუ-ნ	მაჰბამტ-ლი-ნ
ადგილ.	ლ'ბენე-ჰ	თოვ-მუ-რაქ	მაჰბამტ-ლი-რაშ

ერგ.	ბადრა-ლი "ვედრომ"
ნათ.	ბადრა-ლი-ნ
ადგილ.	ბადრა-ლ-ა (← *ბადრა-ლი-ა)

ფუძედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება გვექნეს ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ა ც, კერძოდ, იმ წყე-ბის ადგილობით ბრუნვებში, სადაც ს ა კ უ თ რ ი ვ ა დ გ ი ლ. ბრუნვას -მა სუფიქსი[1] აწარმოებს:

ნათ.	ფარჩაჰბლიინ "ფადიმაჰის"	ვიშ "თქვენი"
ადგილ.VI	ფარჩაჰბლიიმმა (← *ფარჩაჰბ-ლიინ-მა)	უშ-მა (← *ვიშ-მა)
მიმართ.VI	ფარჩაჰბლიიმმაქ	უშ-მა-ქ
დაშორ.VI	ფარჩაჰბლიიმმაშ	უშ-მა-შ

---

1 ამას აღნიშნავს ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ც (იხ. მისი არჩ. ენა, გვ.58).

ნათ.	თეჲმე-ნ "მათი"	ხანნინ "ხანის"	ხ'ელემუნ "სტუმრის"
ადგილ.VI	თეჲმემმა	ხანნამმა	ხ'ელემუმმა
მიმართ.VI	თეჲმემმაქ	ხანნამმაქ	ხ'ელემუმმაქ
დაშორ.VI	თეჲმემმაშ	ხანნამმაშ	ხ'ელემუმმაშ და სხვ.

როგორც ვხედავთ, არჩიბულში სხვა ბრუნვათათვის ფუძედ გამოყენებულია არა მხოლოდ სახელობითი და ერგატივი, არამედ, სავსებით გარკვევით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმაც.

4. ძ ი რ ი თ ა დ ი ბ რ უ ნ ვ ე ბ ი დ ა მ ა თ ი დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა ნ ი.[1] სახელობითი გამოხატავს გარდაუვალი ზმნის რეალურ სუბიექტს ან გარდამავალი ზმნის რეალურ – უახლოეს[2] (პირდაპირ) ობიექტს:

ოსხ ფ ა რ ჩ ა ჰხ ევდილი "ერთი მ ე ფ ე ყოფილა".

ბუვამუ ო წ ჰურ "დედა ც ე ც ხ ლ ს ანთებს"... (ზედმიწ. "დედამ ც ე ც ხ ლ ი უბერავს"...).

სახელობით ბრუნვას, როგორც აღვნიშნეთ, ბრუნვის ნიშანი არა აქვს. ის მხოლობითშიც და მრავლობითშიც ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბრუნვის ფუნქციებზე არ შევჩერდებით. ისინი საკმაოდ დაწვრილებით განხილული აქვს ა.დირს.[3]

ნათესაობითის ნიშანია -ნ.

----

1 П. У с л а р, Лак. яз., 1890, დამატება, გვ.8-9; რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ., II, 1895, გვ.58-59, А. Д и р р, Арч. яз., 1908, გვ.6-11; მ ი ს ი ვ ე, Einführung..., 1928, გვ.253-254; ოთ. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში, იკე, ტ.XIII, 1962, გვ.344-351; С.М. Х а й - д а к о в, Падежная система арчинского языка..., 1965, გვ.154-156; მ ი ს ი ვ ე, Арч. яз., 1967, გვ.611; К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., 1967, გვ.43-55.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.368.

3 იხ. მ ი ს ი არჩ. ენა, გვ.15.

მ ი ც ე მ ი თ ი ბრუნვა, ჩვეულებრივ, ირიბ ობიექტს აღნიშნავს, გრძნობა-აღქმის ზმნებთან კი – რეალურ სუბიექტს.[1]

მიცემითის ნიშანია -ს.

ირიბ ობიექტს არჩიბულში დღეს -რში სუფიქსით ნაწარმოები ადგილობითი ბრუნვაც გამოხატავს (იხ.ქვ.), რასაც დროთა განმავლობაში საკმაოდ შეუცვლია როგორც მიცემითი ბრუნვის გამოყენების სფერო[2], ასევე, განსაკუთრებით, -რში სუფიქსიანი ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობა, მისი მდგომარეობა "მონათესავე" ბრუნვათა სისტემაში, თვით ამ ბრუნვათა სისტემა (იხ.ქვ.).

ნათესაობითისა და მიცემითის ეს დაბოლოებანი იხმარება მხოლობით რიცხვშიცა და მრავლობითშიც; მაგ.: მხ.რ.ნათ. ძურდანნი-ნ "საბნის" – მრ.რ.ნათ. ძურდამმულჩე-ნ "საბნების"; მხ.რ.მიც.ძურდანნი-ს "საბანს" – ძურდამმულჩე-ს "საბნებს".

-ნ და -ს დაბოლოებანი, როგორც ნათესაობითისა და მიცემითის ნიშნები, ჯერ კიდევ რ.ერკერტთანაა გამოყოფილი.[3]

ერკერტივე გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტის ბრუნვაა და მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციასაც ასრულებს[4]... გარდა ამისა მას ზოგიერთ შემთხვევაში საზიარო ფორმები აქვს სახელობითთან, მაგ., ნაცვალსახელებში... ის ა-თი ნაწარმოები ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობითაც იხმარება: მრავლობითში – ყოველთვის, მხოლობითში – ზოგჯერ.[5]

---

1 იქვე.

2 შდრ. ტ. გ უ დ ა ვ ა ს "ბოთლიხური ენა" (1963 წ.), სადაც ავტორი 68 გვერდზე მსგავს ფაქტებზე მსჯელობს.

3 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., ნაწ.II,1895 წ.,გვ.58.

4 ა.დირი, არჩ. ენა, გვ. 16.

5 ი. კ ა ხ ა ძ ე, ორი ბრუნვის ურთიერთდამთხვევის შესახებ არჩიბულში, იკე, ტ.XV, 1966, გვ.361-364.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ერგატივს მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობით შეიძლება შეენაცვლოს - ლ'ъუ-თი ნაწარმოები ადგილობითი ბრუნვა (იხ.ქვ.).

ერგატიულ ბრუნვას რამდენიმე ნიშანი აქვს[1]; ესენია[2]: -ლი; -ა, -ი; -რა, -რი, -რო; -მუ; -ჲ; -ჩაჲ, -თъაჲ, -მაჲ...

-ჩაჲ და -მაჲ მხოლოდ მრავლობითში გვაქვს; -თъაჲ, ჩვეულებრივ, მრავლობითშია და ზოგჯერ - მხოლობითში; დანარჩენები მხოლოდ მხოლობით რიცხვშია დადასტურებული.

ცალკე გვინდა შევეხოთ -ჲ-ს. ერგატივის ნიშნად -ჲ დასტურდება უკუქცევითი ნაცვალსახელების მრავლობით რიცხვში; მაგ., ჟა-ჲ//ჟე-ჲ-ტუ "თვით მათ" (შდრ. ნათ. ჟა-ნ//ჟა-ნ-ტუ, მიც. ჟა-ს//ჟა-სъ-ე-ტუ), მაგრამ ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოტენციალურად სხვაგანაც უნდა იყოს წარმოდგენილი. მხედველობაში გვაქვს ასეთი ფაქტები:

ლ'ъი (// ლ'ъი-ლი) ბო? "ვინ თქვა?"

ლ'ъი (// ლ'ъი-ლი) ბუქნე ხვალლი? "ვინ შეჭამა პური?"

ლ'ъი (// ლ'ъი-ლი) ბუკъუ ანს? "ვინ დაკლა ხარი?"

ლ'ъი ქვირი ("ვინ") კითხვითი ნაცვალსახელის ე რ გ ა ტ ი ვ ი ა. მიცემითში გვექნება ლ'ъა-ს. ცხადია, ლ'ъი ← ლ'ъა-ჲ.[3] გვიანდელია ერგატივის პარალელური ფორმა ლ'ъი-ლი, სადაც ერგატივის მეორე სუფიქსი -ლი დართვია ერგატივისვე ოდინდელ ფორმას - ლ'ъი-ს და არა - ლ'ъა - ფუძეს, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოჩვენებოდა კაცს. ამას ისიც მოწმობს, რომ ერგატივის -ლი ფორ-

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,ნაწ.II,გვ.58; ა. დ ი რ ი, არჩ.ენა,1908,გვ.9; С. М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., 1965,გვ.154; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ.ენა,1967,გვ.44-52.

2 ით. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში,იკე,ტ.XIII,1962,გვ.343-351; მ ი ს ი ვ ე, კვლავ ერგატივის ნიშნების შესახებ არჩიბულში,იკე,ტ.XVI,1968,გვ.246-252.

3 ით. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში, გვ.349.

მანტის ხმოვანი ი ფუძის რაიმე ცვლილებას ვერ იწვევს, ე.ი. ის უშუალოდაც რომ დართვოდა ლʻბა - ფუძეს, უნდა მოეცა ლʻბალი ფორმა და არა ლʻბილი. მსგავსი ვითარება გვაქვს სხვაგანაც; მაგ.: ქვიჰონუ-ს ("არავინ") ერგატივი იქნება ლʻბიჰო̄ნუ, ნათ. - ლʻბა-ნ-ჰონუ, მიც. - ლʻბა-ს-ჰონუ; ქვი̄ნი-ს ("ვიღაც") ერგატივი - ლʻბი̄ნი, ნათ. - ლʻბა-ნ-ე̄-ნი, მიც. ლʻბა-ს-ე-ნი. ცხადია, ლʻბიჰო̄ნუ ← *ლʻბა-ჲ-ჰონუ და ლʻბი̄ნი ← *ლʻბა-ჲ-ნი...

-ჲ, როგორც რთული სუფიქსის მეორე შემადგენელი ნაწილი, დღესაც უნდა გვქონდეს დაცული ერგატივის -ჩა-ჲ,-თბა-ჲ და -მა-ჲ ფორმანტებში.[1]

სხვა ნიშანთაგან, რომლებიც იშვიათად გვხვდება, უნდა დავასახელოთ: -დე, -თბე →(-ლე, -ნე...) და -ნი[2]: მეჟ-დე ← (*მოჟ-დე) "წვერმა", მეს-თბე (← *მოც-თბე) "მთის საძოვარმა"..., ზულ-ლე (← *ზულუ-თბე) "წყარომ", ჰეჲქალ-ნი "მანამ".[3]

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ერგატივის მაწარმოებლად არჩიბულს -ნა სუფიქსიც უნდა ჰქონოდა. მისი კვალი ზმნისართებში ჩანს; ოსბ იჰ-ნა "ერთ დღეს", ზედმიწ. "ერთი დღით"(შდრ. იჰ "დღე");ოსბ იშბ-ნა "ერთ ღამეს", ზედმიწ. "ერთი ღამით" (შდრ. იშბ "ღამე")... ცხადია, -ნა დაბოლოების მქონე ზმნისართებისათვის ამოსავალია ამ ბრუნვის მეორე მნიშვნელობა - მოქმედებითობა.

"ზმნისართები ერგატივის ფორმით" სხვა ენებშიც გვხვდება, მაგ., ბოთლიხურში...[4]

---

1 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, კვლავ ერგატივის ნიშნების შესახებ არჩიბულში, გვ.246-252.

2 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, იქვე, გვ.246; შდრ. С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., გვ.154; შდრ. К.Ш. М и к а и л о в, Арч. яз., გვ.49.

3 ეს უკანასკნელი მაგალითი, და ორიოდე სხვაც, გვხვდება ა.დირის შრომაში (არჩ. ენა, გვ.8) სახელობითისა და ნათესაობის ფორმით.

4 ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, გვ.66.

-მუ და -მი, როგორც ბრუნვის ნიშნები, პირველად რ.ერკერტის შრომაშია გამოყოფილი.[1]

ერგატივის ყველა დაბოლოება გადაჰყვება საბრუნებელი სახელის ფუძეს სხვა ბრუნვებში, მაგრამ ზოგიერთი ყოველთვის, ზოგი კი, მაგ., -მუ, ხან გადაჰყვება, ხან არა...[2]

-მუ არ გადაჰყვება ფუძეს სხვა ბრუნვებში უკლასნიშნო I და II კლასის საზოგადო არსებით სახელებში, აგრეთვე – ხმოვანზე და ჲ-ზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებში: ერგ. დიჲა-მუ "მამამ", ნათ. დიჲ-ა-ნ; ერგ. მირზა-მუ "მირზამ", ნათ. მირზა-ნ... ერგ. ფატიმა-მუ "ფატიმამ", ნათ. ფატიმა-ნ...

-მუ შეიძლება გადაჰყვეს ფუძეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ I კლასის სახელს კლას-ნიშანი ან კლას-ნიშნიანი სუფიქსი აქვს: ერგ. თოვ-მუ "მან" (Iკლ.), ნათ. თოვ-მუ-ნ... ერგ. უმ-მუ "მამამ", ნათ. უმ-მუ-ნ... ერგ. ყ'ვევ-მუ "ორმა" (Iკლ.), ნათ. ყ'ვევ-მუ-ნ... ერგ: ტი-თხუ-მუ "პატარამ" (Iკლ.), ნათ. ტი-თხუ-მუ-ნ...

ასეთ შემთხვევაში ერგატივის -მუ დაბოლოების პარალელურად და-ნარჩენ გრამატიკ. კლასებში (II,III,IV) გვაქვს -მი, რომელიც იშ-ვიათად უკლასნიშნო სახელებშიც იჩენს თავს და საბრუნებელი სახე-ლის ფუძეს სხვა ბრუნვებშიც გადაჰყვება:

ერგ. ტითხურ-მი "პატარამ" – IIკლ.; ნათ. ტითხურ-მი-ნ... ერგ. ტითხუმ-მი – IIIკლ., ნათ. ტითხ-უმ-მი-ნ... ერგ. ტითხუთ-მი – IV კლ., ნათ. ტითხუთ-მი-ნ (შდრ. Iკლ. – ტითხუ-მუ)... ერგ. დოსხორ-მი "ჩემმა" – IIკლ., ნათ. დოსხორ-მი-ნ... ერგ. ბოსხომ-მი – IIIკლ., ნათ. ბოსხომ-მი-ნ... ერგ. ოსხოთმი – IVკლ., ნათ. ოსხოთ-მი-ნ (შდრ. Iკლ. – უსხუ-მუ)... ერგ. ეჲ-მი "დედამ" – IIკლ., ნათ. ეჲ-მი-ნ... ერგ. ოს-მი "ერთმა" – II,III,IV კლ., ნათ. ოს-მი-ნ... ერგ. იკ°-მი "გულმა" – IV კლ., ნათ. იკ°-მი-ნ... ერგ. ჰვკხანა-მი "რამემ" – IVკლ., ნათ. ჰვკხანა-მი-ნ...

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 58.

2 იხ. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში, გვ. 345-351.

-ლი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ფორმანტია. მას ერგატივში, ჩვეულებრივ, დაირთავენ III და IV კლასის საზოგადო არსებითი სახელები და თანხმოვანზე დაბოლოებული ორივე სქესის საკუთარი სახელები:

ერგ. მახა-ლი "ქერმა" - IIIკლ., ნათ. მახა-ლი-ნ... ერგ. ყანწა-ლი "ძმარმა" - IVკლ., ნათ. ყანწალი-ნ... ერგ. ქოლიხოზ-ლი "კოლმეურნეობამ" - IIIკლ., ნათ. ქოლხოზლი-ნ... ერგ. ბეჲ-ლი "რიგმა" - IIIკლ., ნათ. ბეჲლი-ნ... ერგ. ქარტი-ლი "თავმა" - IVკლ., ნათ.ქარტილი-ნ... ერგ. ბაბხ'მუ-ლი "სიმსივნემ" - IVკლ., ნათ. ბაბხ'მული-ნ... ერგ.ასლანბეგ-ლი "ასლანბეგმა", ნათ. ასლანბეგლი-ნ... ერგ. ჰალიმათ-ლი "ჰალიმათმა", ნათ. ჰალიმათლი-ნ...

-ლი შეიძლება გვქონდეს I და II გრამატიკ. კლასის სახელებშიც: ერგ.ბირგადირ-ლი "ბრიგადირმა" - I ან II კლ., ნათ. ბირგადირლი-ნ... ერგ. ალაჰ-ლი "ალაჰმა" - Iკლ., ნათ. ალაჰლი-ნ... ერგ. ქუსა-ლი "ქოსამ" - Iკლ., ნათ. ქუსალი-ნ...

ყველა სხვა დაბოლოებას, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ერგატივში დაირთავენ IV და III გრამატიკ. კლასის სახელები: ერგ. კასბ-ა "დანამ" - IVკლ., ნათ. კასბა-ნ... ერგ. ჯეჯე "ხორბალმა" - IIIკლ., ნათ. ჯეჯე-ნ... ერგ. ინხ-ი "ერბომ","კარაქმა" - IV კლ., ნათ. ინხი-ნ... ერგ. ბუყა-რი "ქერშველმა" - IIIკლ., ნათ. ბუყარი-ნ... ერგ. ჰუყ-რა "კვამლმა" - IVკლ., ნათ. ჰუყრა-ნ... ერგ. ბოც-რი "მთვარემ" - IIIკლ., ნათ. ბოცრი-ნ...

ამრიგად, -მუ დაბოლოება მხოლოდ I და II გრამატიკ. კლასის სახელებში გვხვდება და არასოდეს - III და IV კლასის სახელებში. ადამიანის საკუთარ სახელებსა და II და I კლასის ისეთ სახელებში, სადაც -მუ სხვა ბრუნვებში არ გადაჰყვება, ერგატივის ნიშნად მისი გამოყენება მეორეული ჩანს (იხ.ქვ.). ასე რომ, უფრო ადრე -მუ ერგატივის ნიშნად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც, როგორც ჩანს, მარტო I გრამატიკ. კლასის სახელებში იყო გამოყენებული.

ერგატივის სხვა ნიშნები, გარდა -მი-სა, ძირითადად III და IV გრამატიკ. კლასის სახელებში გვხვდება. საკუთარი ნიშანი არ უჩანს II კლასის სიტყვებს. -მი, რომელიც საერთოა III, IV და II კლასის სიტყვებისათვის, თავდაპირველად ერგატივის ნიშნად მხოლოდ ნივთის კლასის - დღევანდელი III და IV კლასის - სიტყვებთან უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მეორე კლასის სახელები მას, როგორც ერგატივის ნიშანს, უფრო გვიან უნდა დასესხებოდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია ლ'ბონნოლ-ის მაგალითიც. ლ'ბონნოლ არჩიბულად - "ქალს", "ცოლს" ნიშნავს. ცხადია,ის II კლასის სიტყვაა, მაგრამ ერგატივის ნიშნად -ა მოუდის: ლ'ბანნ-ა "ცოლმა", "ქალმა"; -ა დაბოლოება კი, როგორც ცნობილია[1], ერგატივს III და IV კლასის სიტყვებში აქვს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც II გრამატიკ. კლასის სახელი ერგატივის ნიშანს ნივთის კლასის სიტყვებისგან სესხულობს. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

სხვა მდგომარეობა უნდა გვქონდეს ნასესხებ სიტყვებში, რომლებიც I და II გრამატიკ. კლასს ეკუთვნიან, მაგრამ ერგატივის ნიშნად -ლი მოუდით, მხედველობაში გვაქვს ბირგადირ "ბრიგადირი", ქუსა "ქისა", ალაჰ "ალაჰი" და მისთ. მაგალითები.

შეიძლება ამავე ჯგუფში მოვაქციოთ თანხმოვანზე დაბოლოებული არამიანთა საკუთარი სახელებიც, რომელთა დიდი ნაწილი უცხო წარმომობისაა და, რომლებსაც, როგორც არამიანთა საკუთარ სახელებს, იგულისხმება, ერგატივის ნიშანი იმთავითვე არა ჰქონია, ასეთებია, მაგ.: ბიდოჲათ, ჰბალიმათ, ჰბამზათ, მაჰბამდ, ჟუვაჲრათ და მისთ.

ყველა ამათ და მათ მსგავს სახელებს, ვიმეორებთ, ერგატივის ნიშნად -ლი მოუდის.

რატომ -ლი?

ვფიქრობთ იმიტომ, რომ სხვაზე ადრე, როგორც ჩანს, ერგატივის სწორედ ამ სუფიქსს აღმოაჩნდა უნიფიკაციის, განზოგადოების ერთგვა-

----

1 იხ. კ ა ხ ა ძ ე, ერგატივის ნიშნების გამოყოფისათვის არჩიბულში, იკე, ტ.XIII, გვ.350.

რი უნარი. და ეს, თითქოს, კანონზომიერიცაა. ცნობილია, რომ გრამატიკ. კლას-ნიშანთაგან განზოგადოების უნარს, ჩვეულებრივ, მეოთხე ან მესამე კლასის ნიშნები იჩენენ. მსგავსი მდგომარეობა უნდა გვქონდეს აქაც; ერგატივის დაბოლოება -ლი, რომელიც IV და III კლასის სახელებთანაა დაკავშირებული, ერთგვარად განზოგადდა, გაადიდა თავისი მოქმედების სფერო და დაერთო, ერთი მხრით, თანხმოვანზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებს, მეორე მხრით, ზოგიერთ ნასესხებ სიტყვას, რომლებიც არჩიბულში I და II გრამატიკ. კლასში აღმოჩნდნენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ -ლი არჩიბულში დღეს ყველაზე პროდუქტიული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე აქტიური ფორმანტია ერგატივისა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უნიფიკაციის ასეთივე უნარი გამოამჟღავნა, მაგრამ, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო გვიან, ერგატივის -მუ სუფიქსმა, რომელიც გამოიყენეს ხმოვანზე დაბოლოებულმა საკუთარმა სახელებმა და II და I კლასის რამდენიმე სახელმა, რომელთაც თავიდანვე ერგატივის ნიშანი არ უნდა ჰქონოდათ.

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ -მუ სუფიქსი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის კლასის სახელებთან, განზოგადდა... ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ივ.ჯავახიშვილის შემდეგი მოსაზრება, გამოთქმული ხუნძურისა და მისი ახლო მონათესავე ენათა ნაცვალსახელთა ანალიზის დროს: "ეტყობა, - წერს ის, - რომ სხვებზე მეტად ზოგადი მნიშვნელობა მესამე სქეს-კატეგორიის ფორმებს მიჰკუთვნებია, შემდეგ-კი უფრო ნაკლებ მამრ. სქესისასაც".[1]

5. -ში- ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. ფართოდაა გამოყენებული არჩიბულში -ში სუფიქსი. ის შეიძლება დაერთოს უშუალოდ სახელის ფუძეს[2], ე.ი. სახელობითს, ნათესაო-

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკას. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ.506.

2 შდრ. ა. დ ი რ ი ს არჩ. ენა, გვ.92.

ბითი ბრუნვის ფორმას, ერგატივს, ადგილობით ბრუნვებს... -ში გვხვდება ზმნურ ფორმებშიც.

-ში სუფიქსიან სახელობითს (შდრ. ფუძეს) მიმართულებით-გარდაქცევითი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს; მაგ.:

თოვ უპა ნურიში (÷ ნურაში) "ის (კაცი) ნურიზში (ზედმიწ. "ნურიზად") წავიდა..." (შდრ.ძვ.ქართ. წარვიდა გალილეად; მოვიდეს ხანძთად "მოვიდნენ ხანძთაში..."). მლჰხამღ ფირსიდათილში ოვკუ... "მუჰამედი თავმჯდომარედ დანიშნეს"... ლ'ზონნოლში ორჰა... "ცოლად გაჰყვა"... ში არ ხალში... "წერს ცუდად"... ვერჰარ ოკურში... "დადის ნელა..."[1] მუში ყოვყი! "კარგად იყავი!" (ზედმიწ."ლამაზად იჯექი!")...

-ში, როცა ის ნათესაობით ბრუნვას ერთვის, დაახლოებით ქართულის "-თვის" თანდებულს უდრის: დიდა-ნ-ში "მამისათვის", ბუვა-ნ-ში "დედისათვის", ლ'ზანნ-ნში "ცოლისათვის", ჰხალიმათლი-ნ-ში "ჰალიმათისათვის", ბოშორმუ-ნ-ში "კაცისათვის", მაჰხამტლი-ნ-ში "მუჰამედისათვის" (შდრ. ხევსურული - გულისად "გულისთვის", ჯავრისად "ჯავრისთვის"...).[2]

...ჰანუქანჩა ხალი, ნენტუ იმჭი თოვმუნში "რამდენჯერ უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენ მისი (ზედმიწ. "მისად", "მისთვის") ვიყოთ!.. დათ თურა ისში ხალიდი... "უკეთესი იქნებოდა, ეს ქუდი ჩემი (ზედმიწ. "ჩემთვის") რომ იყოს... დაზ ხ'თ'შონ ბუვანში ზახალდი... "უკეთესი იქნებოდა, ეს კაბა დედის (ზედმიწ."დედისთვის") რომ იყოს..."

-ში სუფიქსი, როგორც ვთქვით, შეიძლება დაერთოს ერგატივსაც, უფრო ზუსტად, მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობით ნახმარ ერგატივსაც, მაგ.: ნლშიში "ცხენის გამო" (ზედმიწ. "ცხენით გამო" ← "ცხენით გან"), დეყ'ლიში "გზის გამო" (ზედმიწ. "გზით გამო" ← "გზით

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.92.

2 ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ.54.

გან"), ლოპურჩეში "ბავშვების გამო", "ბავშვების მიზეზით" (ზედმიწ. "ბავშვებით გამო" ← "ბავშვებით გან"), წურიმზეში "წურიბელთა გამო", "წურიბელთა მიზეზით", თორმიში "მის გამო", უმზუში "მამის გამო", ეღმიში "დედის მიზეზით"...

... ოლო არი ეხბუ ქხალიმათლიში "ჩვენი სამუშაო ჩამორჩა ქა-ლიმათის მიზეზით".

-ში ამ მნიშვნელობით შეიძლება დაერთოს ისეთ ფორმასაც, რომე-ლიც დღეს ერგატივი არ არის, მაგ.: ზა-ში "ჩემ გამო", ბუვა-ში "დე-დის გამო", დიღა-ში "მამის გამო", ლ'ხა-ში "ვის გამო", ბუთხა-ში "ბუთას გამო"...

ეს სუფიქსი დაერთვის ადგილობით[1] ბრუნვებსაც და მიმართულებას აღნიშნავს: ...ხ'ელეთხუ ლაგუმიში უჰბა "...სტუმარი ჩვენთან (ზე-დმიწ. "ჩვენთან-კენ") მოვიდა"... მესთხეღში წო'შ ხირ აბუჰი "მთი-დან (ზედმიწ. "მთაშიგან") ცხენს მოიყვანს" (ზედმიწ."უკან იზამს").

მიმართულებას აღნიშნავს ის ადგილის ზმნისართებშიც: თენში "იქ-ითკენ", ემეში[2] "მარდთკენ", ეში[2] "აქეთკენ", თ'რჭუში "მარჯვნივ", ჰოქხუში "მარცხნივ", ხარაში "უკან" (ზედმიწ."უკანისაკენ"), ქა-რაში "წინ" (ზედმიწ. "წინისკენ"), ლ'ხვაში "ახლოს" (ზედმიწ. "ახ-ლოსკენ"), ახში "შორს" და ა.შ.

ამრიგად, -ში სახელებსა და ზმნისართებში გვხვდება და, ძირი-თადად, მიმართულებასა და გარდაქცევითობას აღნიშნავს. მაგრამ ის, როგორც ზემოთაა აღნიშნული, გვხვდება ზმნებშიც. -ში- სუფიქსიანი ზმნური ფორმების შესახებ მსჯელობა ქვემოთ გვექნება.

6. ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ე ბ ი და მ ა თ ი დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა ნ ი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩიბულში წარ-მოშობით ადგილობით ბრუნვათა რვა წყება გვაქვს; აქედან ხუთი სრუ-ლი და სამი - დეფექტური. განვიხილოთ ისინი.

---

1 კ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.57-64.

2 ა. დ ი რ თ ა ნ ა ა იმიში და იში (არჩ. ენა, გვ.92).

თითოეულ სრულ (არადეფექტურ) წყებაში სამ-სამი ბრუნვაა: ა დ-გ ი ლ ო ბ ი თ ი (სად?), მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი (საითკენ?) და დ ა შ ო რ ე ბ ი თ ი (საიდან?).

წყებათა შორის განსხვავებას ქმნის თითოეული წყების ადგილო-ბითი ბრუნვის მნიშვნელობა და მისი მაჩვენებელი. მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვის დაბოლოებები დაერთვის სათანადო ადგილობით ბრუნვის ნიშანს, ადგილობითი ბრუნვის ნიშანი კი - სახელობითის, ერგატივის ან ნათესაობითის ფორმას.

ადგილობით ბრუნვათა ნიშნებია: 1. -თ, 2. -კჰ, 3. -ჴ, 4. -ა, 5. -ლ'ბუ (- ლ'უ), 6. -მა. ამათგან ყველა, გარდა ერთისა, სახე-ლობითს ან ერგატივს მოუდის. ნათესაობით ბრუნვას დაერთვის მხოლოდ -მა.

-თ-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა "ზედ ყოფნას" აღნიშნავს და ზოგჯერ ქართულ -ში თანდებულიან ფორმასაც უდრის: უსთუ-ლი-თ "მაგიდაზე"!.., ბაზალ-ლი-თ "ბაზარში" (ზედმიწ. "ბაზარზე...")...

-კჰ დაბოლოებიანი ბრუნვის მნიშვნელობაა "ქვეშ ყოფნა". ვართი-ლი-კჰ·"ნაბდის ქვეშ", მასმულ-ჩე-კჰ "ლეიბების ქვეშ"...

"რამეში" ან "სადმე ყოფნას" ორი ბრუნვა გამოხატავს - -ჴ-ზე და ხმოვანზე (ა-ზე) დაბოლოებული. პირველი გვხვდება ისეთ სიტყვებ-თან, როგორიცაა: ლ'ბან "წყალი" - ლ'ბენ-ე-ჴ "წყალში", ჭართხუ "თმები" - ჭარა-თხე-ჴ "თმებში", ონ "ცეცხლი" - ონ-ლი-ჴ "ცეცხლ-ში" და ა.შ. აგრეთვე: ხ'ორ "სოფელი" - ხ'ერ-ე-ჴ "სოფელში", ხ'ვაქ "ტყე" ხხვაქ-ე-ჴ "ტყეში" და სხვ., მეორე კი - ისეთებთან, როგორი-ცაა: ნოკჰ "სახლი", "ოთახი" - ნოკჰ-ა "სახლში", მუშა "ბოთლი" - მუშა-ლ-ა (← მუშა-ლი-ა) "ბოთლში", სხობ "პირი" - სხებე (← სხე-ბე-ა) "პირში"...

მრავლობით რიცხვში ეს ბრუნვა ემთხვევა ერგატივს, მაგ.: ყე-სურჩაღ ნიშნავს როგორც "ქალამნებმა", ისე "ქალამნებში". ადგილო-ბითი ბრუნვის ნიშანი მრავლობითში არსად შემონახული არა გვაქვს;

ის ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს გაუჩინარებული.[1]

ეს ორი ბრუნვა იშვიათად, მაგრამ მაინც ერთმანეთს ემთხვევა მხოლოობით რიცხვში[2], მაგ.: ხ'ა'შნა "ხალათში", "ხალათმა" (სახ. ხ'ო'შონ); ჭუთა "სადღვებელმა", "სადღვებელში"... (სახ.ჭუთ); ყელე "ბათმანმა", "ბათმანში" (სახ.ყილი); ყესი "ქალამანმა", "ქალამანში"[3].

არგილობითი ბრუნვის დაბოლოება აქაც მოკვეცილი ჩანს. როგორც ცნობილია, ლეზგიურში სახელთა ერთი ჯგუფი ამ ორი ბრუნვის ფორმას მხოლოობით რიცხვში ერთმანეთისაგან აგრეთვე ვერ განასხვავებს.[4]

ხმოვანზე დაბოლოებული არგილობითი ბრუნვის პარალელურად ამავე მნიშვნელობით შეიძლება ერგატივიც იხმარონ; მაგ.: ხილიხში ერთი და იგივე მნიშვნელობით დადასტურებულია როგორც ნოშლა კუნ ი, ისე ნოშლი კუნ ი"(ორკილოიან) საწყაოში ფქვილი არის", სადაც ნოშლა არგილობითი ბრუნვის ფორმაა, ნოშლი კი – ერგატივისა, რომელიც არგილობითი ბრუნვის მნიშვნელობითაა ნახმარი.

ან კიდევ:

მულა ბი ჰოჰოლ და მული ბი ჰოჰოლ "(ერთკილოიან) საწყაოში ხორბალი არის".

და კიდევ:

საჰლა თ'რხ'ი ი და საჰლი თ'რხ'ი ი "(ოთხკილოიან) საწყაოში მარილი არის"...

---

1 იხ. კ ა ხ ა ძ ე, ორი ბრუნვის ურთიერთ დამთხვევის შესახებ არჩიბულში, იკე, ტ. XV, 1966, გვ. 361–365.

2 იქვე, გვ. 364.

3 ასეთი მაგალითები უმთავრესად ხილიხშია ფიქსირებული.

4 П. У с л а р, Кюринский яз., 1895, გვ. 40, §44, Л. Ж и р к о в, Грамматика лезгинского языка, 1941, გვ. 32,33; У. М е й л а н о в а, Морфологическая и синтаксическая характеристика падежей лезгинского языка, 1960, გვ. 11; გ. თ ო ფ უ რ ი ა, ერგატივისა და არგილობითი IV ბრუნვის ურთიერთობისათვის ლეზგიურ ენაში, "მაცნე", 1, 1964, გვ. 176,177.

ა.დირს ჩაუწერია: ლაჰარში ჰარშ ბო სიმავარლა ლ'ან "დიდხანს დუღდა სამოვარში წყალი".[1] ახლა კი ფიქსირებულია ასეთი ფრაზა: სიმავარლი ჩაჲ ი "სამოვარში ჩაი არის".

პირველ მაგალითში სიმავარლა გვაქვს, მეორეში – სიმავარლი; სიმავარლა ადგილობითი ბრუნვის ფორმაა, სიმავარლი – ერგატივისა, გამოყენებული ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობით.[2]

მსგავსი ფაქტები ცნობილია ლეზგიურიდანაც, ისინი ჯერ კიდევ პ.უსლარს ჰქონდა შენიშნული.[3] ანალოგიური ფაქტები ლეზგიური ენის დიალექტებში დადასტურებული აქვთ სხვა ავტორებსაც.[4]

-ლ'ხუ (- ლ'უ)-თი დაბოლოებულ ადგილობით ბრუნვას დღეს უმთავრესად თანაობით-მოქმედებითი[5] ბრუნვის მნიშვნელობა აქვს: ლაჰა-ლ'ხუ "ბავშვთან ერთად", კასხ-ა-ლ'ხუ "დანით"... ნიში-ლ'ხუ "ცხენთან ერთად"[6], უჩიტი-ლი-ლ'ხუ "მასწავლებელთან ერთად", დ̄'-ბუ-მუ-ლ'ხუ (Iკლ.) "დიდთან ერთად", თოვ-მუ-ლ'ხუ (Iკლ.) "მასთან ერთად", არშემ-მუ-ლ'ხუ (Iკლ.), არშემ-მი-ლ'ხუ (IIკლ.) "არჩიბელთან ერთად", ადამთილ-ჩე-ლ'ხუ "ადამიანებთან ერთად", ბოლ'-მე-ლ'ხუ "ხალხთან ერთად", ტითხიმ-მე-ლ'ხუ (IIIკლ.) "პატარებთან ერთად", აბეჲ-მე-ლ'ხუ "მშობლებთან ერთად" და ა.შ.

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.16.

2 იხ. კ ა ხ ა ძ ე, დასახ.ნაშრ.,გვ.362–363.

3 პ. უ ს ლ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ.40, §44; შდრ. ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

4 უ. მ ე ი ლ ა ნ ო ვ ა, დასახ.ნაშრ., გვ.21,22; Р. Г а й д а р о в, Ахтинский диалект лезгинского яз., 1961, გვ.59.

5 С. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., გვ. 157, К.Ш. М и к а и л о в, Арч.яз., გვ.55.

6 და არა "ცხენით" ("на...лошади"), როგორც ა. დ ი რ ს აქვს თარგმნილი (იხ. არჩ. ენა,გვ.16).

ა.დირს ეს ბრუნვა, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ძირითად ბრუნვათა შორის აქვს დასახელებული,[1] მაგრამ ეს სადაო უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ -ლ'ხუ-თი დაბოლოებულ ბრუნვას დღეს უკვე საკმაოდ განყენებული მნიშვნელობა აქვს, მას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სავსებით არ გაუწყვეტია კავშირი ადგილობით ბრუნვებთან. ეს სპეციალურ ლიტერატურაში გარკვევითაა აღნიშნული.[2]

-მა-თი დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა "ვინმესთან" ან "რამეში", "რამეზე" ყოფნას აღნიშნავს. ის, როგორც ზემოთ ითქვა, ნათესაობით ბრუნვას დაერთვის: ას-მა "ჩემთან", უთ-მა "შენთან", ილი-მა "ჩვენთან", უშ-მა "თქვენთან", ხ'ელემემმა (← *ხ'ელემე-ნ-მა) "სტუმრებთან", ხანჲმა//ხანამა (← *ხანლი-ნ-მა) "ხანთან", ქუვაჲრათლიმმა (← *ქუვაჲრათლი-ნ-მა) "ქუვაირათთან", მაჰხამჭლიმმა "მუჰამედთან", ფარჩაჰხლამმა//ფარჩაჰხლიმმა (← *ფარჩაჰხლი-ნ-მა) "მეფესთან", დიჲამმა (← *დიჲა-ნ-მა) "მამასთან", თურალიმმა (← *თურალი-ნ-მა) "ქუდზე", "ქუდში", ჭოთლიმმა (← *ჭოთლი-ნ-მა) "ქუდის ყდაში", "ყდაზე", ცითხუმუმმა (← *ცითხუმუ-ნ-მა) – Iკლ., ცითხურმიმმა (← *ცითხურმი-ნ-მა) – IIკლ. "პატარასთან", მუთხუთმიმმა (← *მუთხუთმი-ნ-მა) – IIIკლ. "ლამაზში", ზედმიწ. "ლამაზისაში", მუთხურ-მი-მ-მა (← *მუთხურ-მი-ნ-მა) – IIკლ. "ლამაზთან" და ა.შ.

ასმა ხ'ელეთხუ ვი "ჩემთან სტუმარი არის". ეჰიშა ჟამმა ყოვყიბილი "ღამით იმათთან იყავით" (ზედმიწ."იჟექით"). ...ზონ ევდი დიჲამმა"...მე ვიყავი მამასთან". ლატუმა დუხრიჰ ყვატმულ მარნ ავ "ჩვენთან სოფელში ქუჩები დაგავეს" ...

ადგილობითი ბრუნვისაგან შეიძლება იწარმოოს მ ი მ ა რ თ უ - ლ ე ბ ი თ ი და დ ა შ ო რ ე ბ ი თ ი.

---

1 იხ. დ ი რ ი Einführung, გვ.253,254; С.М.Х а й д а к о в, Падежная система арч. языка...გვ.159; მ ი ს ი ვ ე, არჩ. ენა, გვ.612; შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს არჩ. ენა,გვ.55.

2 С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., გვ.156-159.

მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნიშანია -ი-ქ; თუ ფუძე (resp. ადგილობითი ბრუნვა) თანხმოვანზე ბოლოვდება -ი-ქ მთლიანადაა დაცული, მაგრამ თუ ფუძე ხმოვანზე ან ჲ-ზეა დაბოლოებული, მაშინ მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი ი-ს კარგავს და -ქ-ს სახეს იღებს:

ადგილ. ნოსოლიჳ "ხაჭოში" - მიმართ. ნოსოლიჳ-იქ "ხაჭოშიკენ"; ადგილ. ბიკიჳ "ალაოში" - მიმართ. ბიკიჳ-იქ "ალაოშიკენ", ადგილ. ყვაჰირმიკჴ "კიდობნის ქვეშ" - მიმართ. ყვაჰირმიკჴ-იქ "კიდობნის ქვეშკენ"; ადგილ. მჴენთუმჩვკჴ "სკამებს ქვეშ" - მიმართ. მჴენთუმჩვკჴ-იქ "სკამებს ქვეშიკენ"; ადგილ. ნიბზულლიკჴ "სამფეხქვეშ" - მიმართ. ნიბზულლიკჴ-იქ "სამფეხქვეშკენ"; ადგილ უსთულლით - მიმართ. უსთულლითჴ-იქ "მაგიდაზჱკენ"; ადგილ. ქარცილით "თავზე" - მიმართ. ქარცილითჴ-იქ "თავზჱკენ"; ადგილ. ჭუთჴათ "სადღვებელზე" - მიმართ. ჭუთჴათჴ-იქ "სადღვებელზჱკენ"; ადგილ. აჳურჩეთ "ფეხებზე" - მიმართ. აჳურჩეთჴ-იქ "ფეხებზჱკენ"...

ადგილ. ნოკჴლა "სახლში" - მიმართ. ნოკჴლა-ქ "სახლშიკენ"; ადგილ. ჰარაქუთლა "ფანჯარაში" - მიმართ. ჰარაქუთლა-ქ "ფანჯარაშიკენ"; ადგილ. ოჲლა "ყურში" - მიმართ. ოჲლა-ქ "ყურშიკენ";ადგილ. კოკოჩაჲ "გობებში"("გობებმა") - მიმართ. კოკოჩაჲ-ქ "გობებშიკენ"; ადგილ. ეხართჴუმმულჩაჲ "კიდობნებში" ("კიდობნებმა"; "კიდობნებით") - მიმართ. ეხართჴუმმულჩაჲ-ქ "კიდობნებშიკენ"; ადგილ. ხანცმა "ხანთან" - მიმართ. ხანცმა-ქ "ხანთანკენ"; ადგილ. ფარჩაჰჴლამმა "მეფესთან" - მიმართ. ფარჩაჰჴლამმა-ქ "მეფესთანკენ"; ადგილ. ხემემმა "ქალებთან" - მიმართ. ხემემმა-ქ "ქალებთანკენ"; ადგილ. ლ'ელემემმა "კაცებთან" - მიმართ. ლ'ელემემმა-ქ "კაცებთანკენ" და ა.შ.

... ოლომაქ ხელე ბაჳჴა "... ჩვენთან (ზედმიწ. "ჩვენთანკენ") სტუმრები მოვიდნენ".

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობით იხმარება -ში- სუფიქსიანი ფორმაც, თვით მიმართულებითი ბრუნ-

ვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობით, მაგ., ნოკხაქ აღნიშნავს როგორც "სახლშიკენ", ისე "სახლში".

დ ა შ ო რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნიშანია -ი-შ; თუ ფუძე თანხმოვანზეა დაბოლოებული, -ი-შ უცვლელადაა წარმოდგენილი, მაგრამ თუ ფუძე ხმოვანზე ან ჲ-ზე ბოლოვდება, დაშორებით ბრუნვის ნიშანი, მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის მსგავსად, ხმოვანს კარგავს და -შ-ს სახეს იღებს:

ადგილ. ყარათჴეჰ "თმებში" - დაშორ. ყარათჴეჰ-იშ "თმებიდან", "თმებშიით"; ადგილ. ლ'ჴენეჰ "წყალში" - დაშორ. ლ'ჴენეჰ-იშ "წყლიდან", "წყალშიით"; ადგილ. ქუმშეთლიჰ "კოცონში" - დაშორ. ქუმშეთლიჰ-იშ "კოცონიდან", "კოცონშიით"; ადგილ. ჲურდანიკხ "საბნის ქვეშ" - დაშორ. ჲურდანიკხ-იშ "საბნის ქვეშიდან"; ადგილ. თახლიკხ "ხის საწოლქვეშ" - დაშორ. თახლიკხ-იშ; ადგილ. ჰჴარჰუმჩეთ "სახურავებზე" - დაშორ. ჰჴარჰუმჩეთჴ-იშ "სახურავებიდან", "სახურავებზეით"...

ადგილ. ასმა "ჩემთან" - დაშორ. ასმა-შ "ჩემგან"; ხ'ელემმა "სტუმრებთან" - დაშორ. ხ'ელემემა-შ; კოკორჩაჲ "გობებში" ("გობე-ბმა", "გობებით") - დაშორ. კოკორჩეჲ-შ "გობებიდან","გობებშიით"; ადგილ.ბადრალა "ვედროში" - დაშორ. ბადრალა-შ "ვედროდან","ვედროშიით" და ა.შ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იშვიათად თანხმოვნით დაბოლოებულ ადგილობით ბრუნვებთან მიმართულებითსა და დაშორებითში ნაცვლად ი-ნიანი ფორმებისა შეიძლება შეგვხვდეს ა-ნიანი ფორმები, მაგ., ხ'ერეჰაქ, ხ'ერეჰაშ; სახ. ხ'ორ "სოფელი" (ამ სიტყვებს მიმართ. და დაშორებითში მხოლოდ ა-ნიანი ფორმებით ხმარობენ); ხჴვაქჴეჰაქ; ხჴვაქჴეჰაშ (სახ. ხჴვაქ "ტყე"); მილიჰაქ, მილიჰაშ (სახ. მაჲ "ქონი")...

განსახილველი გვაქვს კიდევ სამი ბრუნვა; ესენია: -რაქ, -რაშ და -რში-ზე დაბოლოებული ბრუნვები.

-რაქ მიმართულებითი ბრუნვის ნიშანია, -რაშ - დაშორებითისა. მესამე წევრი - ადგილობითი ბრუნვა, ამ წყებას აკლია.[1] ბრუნვის ნიშნები -რაქ და -რაშ შედგენილი ჩანს; აქ, ერთი მხრივ, გამოსაყოფია -ქ და -შ სუფიქსები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვის უხმოვნო ვარიანტებია, მეორე მხრივ, ფორმანტი რა-, რომელიც თავის დროზე ამ წყების ადგილობითი ბრუნვის დაბოლოება უნდა ყოფილიყო. დროთა განმავლობაში -რა- სუფიქსიანი ადგილობითი ბრუნვა რაღაც მიზეზის გამო მოშლილა. მისი ფუნქცია, როგორც ჩანს, სხვა ბრუნვას შეუთავსებია. უფუნქციოდ დარჩენილი -რა- ბრუნვის ნიშანი კი შეზრდია -ქ და -შ ფორმანტებს, რომლებიც მიმართულებით და დაშორებით ბრუნვათა წარმოების წესის მიხედვით, მას, როგორც ადგილობითი ბრუნვის ნიშანს, ერთოდნენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ა.დირს აქვს ი- ხმოვნიანი ვარიანტები, რომლებიც -თხიქ, -თხ-იშ, -კჰ-იქ, -კჰ-იშ და მისთ. დაბოლოებების ანალოგიით უნდა გვქონდეს მიღებული.

ეგევე -რა- უნდა გვქონდეს დაცული -რ-ს სახით -რში ბრუნვის ნიშანში, სადაც მეორე შემადგენელი ნაწილი მიმართულების აღმნიშვნელი -ში სუფიქსია: -რში ⇐ *რა-ში, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადგილობით ბრუნვებსაც დაერთვის.

-რში-ზე დაბოლოებულ ბრუნვებს ა.დირი მიცემით მეორეს[2] უწოდებს და ძირითად ბრუნვათა შორის ათავსებს. წარმოშობით ეს ბრუნვა, როგორც მისი ნიშნის ანალიზმა გვიჩვენა, მიმართულებითი ბრუნვის ბადლად ნახმარი -ში სუფიქსიანი ფორმაა, რომელიც გარკვეულ

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.56–58.

2 А. Д и р р, Арч. яз., გვ.15-16; იხ. აგრეთვე, С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка..., გვ.158; მ ი ს ი ვ ე, Арч. яз., გვ.612.

პირობებში დღეს მიცემითი ბრუნვის ნაცვლად იხმარება. ანალოგიური ფაქტები სხვა ენებიდანაცაა ცნობილი; მაგ., ბოთლიხურში მიცემითის ფუნქციით სხვა ადგილობით ბრუნვებთან ერთად -ხა-თი ნაწარმოები მიმართულებითი ბრუნვაც გვხვდება.[1] -ხა ა.დირს მიცემითის ნიშნად ჰქონია გამოყოფილი. ამასთან დაკავშირებით ტ.გუდავა შენიშნავს: "ა. დირს, რომელიც საკმაოდ სწორად გამოყოფს ძირითად ბრუნვათა ნიშნებს ანდიურ ენებში, მიცემითის ნიშნის დადგენა ხშირად უჭირს..., მაგ., ბოთლიხურში მიცემითის ნიშნად გამოყოფს -ჲ-ს და -ხა-ს. ჲ სწორადაა გამოყოფილი..., -ხა კი ლოკატიური ბრუნვაა (III სერიის მიმართულებითი) და არა მიცემითი".[2] ანალოგიურად გადაუწყვეტია საკითხი ა. დირს არჩიბულშიც, სადაც ის მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით ნახმარ -რში-ზე დაბოლოებულ ადგილობით ბრუნვას მიცემით მეორეს უწოდებს. არჩიბულში ვითარება უფრო რთული ჩანს. საქმე ისაა, რომ -რში-თი დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა დღეს ცალკეა შემორჩენილი. ის მოწყვეტილია თავის წყების სხვა ბრუნვებს. სპეციალური ანალიზი გახდა საჭირო, რომ ამ წყების ბრუნვათა ოდინდელი სურათი აღგვედგინა. ბრუნვის ნიშნების მიხედვით ის ასეთი ჩანს: ადგილობითი ბრუნვის ნიშანი -რა- უნდა ყოფილიყო; მიმართულებითი ბრუნვის საწარმოებლად მას -იქ სუფიქსი ერთოდა: *რა-იქ → რაქ, დაშორებითი ბრუნვის საწარმოებლად - იმ-: *რა-იმ → რიმ, ზოგადად, მიმართულების აღსანიშნავად - -ში: *რა-ში → რში.

ამ წყების მნიშვნელობა რამესთან ან ვინმესთან "უშუალოდ ყოფნა", "გვერდით ყოფნა", "ახლოს ყოფნა", "თან ყოფნა", "ზე" უნდა ყოფილიყო. ეს მნიშვნელობა მისგან გამოსულ ბრუნვებს დღესაც აქვს მეტნაკლებად შემორჩენილი.

---

1 ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, გვ.68.

2 იქვე, შენიშვნა 2.

მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

-რში ბრუნვის მაგალითები:

კასხარში "დანასთან", კოსხორჩერში "დანებთან", სთუღირში "მაგიდასთან", სთუღურჩერში "მაგიდებთან", ნოკხირში "სახლთან", ჭენერში "კედელთან", ხ'ელემერში "სტუმრებთან", "სტუმრებს" და ა.შ.

ლ'ხენერში ჭება! "წყალთან წავიდეთ!" ხ'ელემურში ჭება! "სტუმართან წავიდეთ!" (შდრ. ... ხ'ელემურში ბოლი "... სტუმრისთვის უთქვამს", ზედმიწ. "... სტუმართან უთქვამს")... მაჰხამტლირში ბონ ხოვთხი "მეჰამედთან მე წავალ" (შდრ. "... მაჰხამტლირში ბო "... მეჰამედისათვის უთქვამს", ზედმიწ. "მეჰამედთან უთქვამს")... ხხვაქხეჯ ჲამუმმინ ბათხურ ჰვათხერში ხხარხ ეთხინა,... ბულ'მუს ბერნარტუ... "ტყეში მისი რქები ხეებს (ხეებზე) ედება რა, გაქცევა არ შეუძლია".

-რაქ ბრუნვის მაგალითები:

დაკხირაქ "კართან", ზედმიწ. "კართანკენ"; ბოშორჩერაქ "ხბორებთან", ზედმიწ. "ხბორებთანკენ", ზარაქ "ჩემთან", ზედმიწ. "ჩემთანკენ"...

... ნენ ფაჲზურინ ტალ ოჟჰი თოვმურაქ "... ჩვენ ფაიზურინს გავგზავნით მასთან"... სთუღირაქ ჭება! "... წავიდეთ მაგიდისაკენ!" (შდრ. ჰხამზალლირში ჭება! "ჰამზალთან წავიდეთ!")... ნენტუ ხათხი ღუმექლიში თოვმურაქ "...ჩვენ წავალთ იმასთან კუმუხში".

-რამ ბრუნვის მაგალითები:

ნოკხლირამ "სახლიდან", ზედმიწ. "სახლის ახლოდან" (შდრ. ნოკხამ "სახლიდან", ზედმიწ. "სახლშიით"); ვარამ "შენგან, ზედმიწ. "შენთანგან"; უმმურამ "მამისგან", ზედმიწ. "მამასთანგან"...

ამრიგად, ამ ოთხ ბრუნვას ჯერაც აკავშირებს ერთმანეთთან არა მარტო აფიქსების მატერიალური ერთობა, არამედ მსგავსი მნიშვნელობაც. მათი საერთო გენეზისი, თითქოს, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ზევით აღნიშნული იყო, რომ ვინმესთან ან რამესთან ერთად ყოფნას -ლ'ხუ-თი დაბოლოებული ბრუნვა გამოხატავს. ნათქვამი იყო ისიც, რომ ეს ბრუნვა მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობითაც იხმარება;

წარმომობითაც და დღესაც ის ჯერ კიდევ ადგილობითი ბრუნვაა, თუმცა ცალადაა დარჩენილი და ამიტომ საკმაოდ განყენებული მნიშვნელობაც მიუღია. მას თავისი მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვები აკლია. მიუხედავად ამისა, კვლავ ვიმეორებ, ის მაინც ადგილობითი ბრუნვაა.

რატომ?

ჩვენ სწორედ ახლახან განვიხილეთ მსგავსი მნიშვნელობის მქონე ბრუნვები, სახელდობრ, მიმართულებითი -რაქ და დაშორებითი -რაშ. ამ ორ ბრუნვას, როგორც ვიცით, არა აქვს საკუთარი ადგილობითი ბრუნვა. ის რაღაც მიზეზის გამო მოშლილა, მისი ფუნქცია, ცხადია, სხვა ბრუნვას უკისრია. ვფიქრობთ, ის ბრუნვა, რომელმაც შეითავსა -რაქ და -რაშ ბრუნვათა ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობა, უნდა იყოს მასთან მნიშვნელობით ახლოს მყოფი -ლ'ხუ ბრუნვა, რომელმაც ამის გამო თვითონ დაკარგა დროთა განმავლობაში საკუთარი მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვები. შეიქმნა თავისებური მდგომარეობა: -ლ'ხუ-მ, რომელმაც დაკარგა საკუთარი მიმართ. და დაშორ. თანდათან განყენებული მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ შეინარჩუნა ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობაც, რადგანაც დაუკავშირდა -რაქ და -რაშ ბრუნვებს.

ამ ორი წყების ბრუნვათა განვითარება-ცვალებადობის სურათი, სქემატურად წარმოდგენილი, დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო:

ჯერ უნდა გვქონდა მნიშვნელობით ახლო მყოფი, მაგრამ ბრუნვის ნიშნებით განსხვავებული, ბრუნვათა ორი წყება[1]:

I.

ადგილ. -რა-

მიმართ. -რა-ქ; -რ-ში (← -რა-ში)

დაშორ. -რა-შ

---

1 ამაზე ადრეული საფეხურისათვის უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: "ბრუნვათა სამი წყება", ე.ი. -რში - იმთავითვე "დეფექტურ", მაგრამ ცალკე წყებად მიგვეჩნია.

II.

ადგილ.	-ლ'ბვა-
მიმართ.	-ლ'ბვა-ქ
დაშორ.	-ლ'ბვა-შ

შემდეგ კი ამ ბრუნვათა განვითარება-ცვალებადობის გამო უნდა მიგვეღო მნიშვნელობით ერთი, მაგრამ ბრუნვის ნიშნებით განსხვავებული; ბრუნვათა "ერთი" წყება, ე.ი. დაახლოებით ის სურათი, რაც დღესა გვაქვს:

ადგილ.	-ლ'ბუ		
მიმართ.	-რაქ;	მიმართ.-მიც.	-რში
დაშორ.	-რაშ		

ბრუნვათა წონასწორობის რღვევის ამ პერიოდთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც წონასწორობის მოშლის ერთგვარი საკომპენსაციო საშუალება, ზემოთ განხილულ ბრუნვებთან მნიშვნელობით აგრეთვე ახლოს მყოფი -მა წყების ბრუნვათა ჩამოყალიბება, ნამდვილად, ნათესაობითის თანდებულიდან. აქ შეიძლება გამოსარიცხი არ იყოს, როგორც ამ პროცესის განხორციელებისათვის რამდენადმე ხელის შემწყობი პირობა, რომელიმე მონათესავე ენის გავლენაც, სახელდობრ ლაკურისა, სადაც ყველა თანდებულიანი ბრუნვა ნათესაობითისაგანაა ნაწარმოები.[1]

ამრიგად, დღეისათვის არჩიბულში შეიძლება გამოვყოთ ადგილობით ბრუნვათა შემდეგი წყებები:

I წყება - თ-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა და მისგან ნაწარმოები მიმართულებითი და დაშორებითი;

II წყება - კჰ-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა და მისგან ნაწარმოები მიმართულებითი და დაშორებითი;

III წყება - პ-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა და მისგან ნაწარმოები მიმართულებითი და დაშორებითი;

---

1 П. У с л а р, Лак. яв., გვ.16,17,30; ე. თ ო ფ უ რ - ი ა, ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, მუზეუმის მოამბე, X- B, 1940, გვ.332,335.

IV წყება - -ა-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა და მისგან ნაწარმოები მიმართულებითი და დაშორებითი;

V წყება - ლ'ხუ (ლ'უ)-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა, რომელსაც საკუთარი წყების მიმართულებითი და დაშორებითი არა აქვს, მაგრამ მნიშვნელობით დაკავშირებულია მიმართ. -რაქ და დაშორ. -რაშ ბრუნვებთან და მათთან ერთად ქმნის *მნიშვნელობით გაერთიანებულ ადგილობით ბრუნვათა წყებას*.[1]

მნიშვნელობით და მატერიალურად მათთანვეა (ე.ი. -რაქ და -რაშ-თან) დაკავშირებული -რში-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა, რომელიც დღეს უმთავრესად მიცემითის ფუნქციით იხმარება;

VI წყება - მა-ზე დაბოლოებული ადგილობითი ბრუნვა და მისგან ნაწარმოები მიმართულებითი და დაშორებითი.

7. *რიცხვი კლას-ნიშნიან სახელებში*.

კლას-ნიშნიან სიტყვებში მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ერთი პრინციპი მოქმედებს. არსებითი თავისებურება ამ პრინციპისა იმაში მდგომარეობს, რომ მრავლობითი რიცხვი გამოიხატება მხოლობითის ფორმებითვე, სპეციალური აფიქსების გამოყენების გარეშე.[2]

მრავლობითის გამოხატვის ეს პრინციპი არჩიბულში რამდენიმე განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი.

პირველი, შედარებით მარტივი სახეა, როდესაც მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად გამოყენებულია მხოლობითის III და IV კლასის ფორმები; III კლასის ფორმა ადამიანთა სიმრავლეს გამოხატავს, IV კლასისა - ნივთთა მრავლობითობას; მაგ.: ვის უშთხუ (I კლ.)"ჩე-

---

1 С.М. *Хайдаков*, Падежная система арчинского языка..., გვ.157-159; *მისივე*, არჩ. ენა, გვ.613; შდრ. ყ. *მიქაილოვი*, არჩ. ენა, გვ.55-58.

2 არნ. *ჩიქობავა*, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, ენიმკის მოამბე, I, 1937 წ., გვ.100... არნ. *ჩიქობავა*, ილ. *ცერცვაძე*, ხუნძური ენა, გვ. 91-92.

მი ძმა", დის დოშხურ (IIკლ.) "ჩემი და", ბის ვარდი (IIIკლ.) "ჩემი ნაბადი", ის ლო (IVკლ.) "ჩემი ბავშვი", ის ბიშ (IV კლ.) "ჩემი ხბო". მხოლობით რიცხვში ოთხ კლასად დანაწილებული ეს სახელები მრავლობითში ორად ჯგუფდება: ბის აღნიშნავს ადამიანთა სიმრავლეს, მაგ.: ბის ლობურ "ჩემი ბავშვები", ბის ოშობ "ჩემი ძმები", "ჩემი დები", ის კი – არა ადამიანთა კლასის სახელთა სიმრავლეს; მაგ.: ის ბოშორ "ჩემი ხბორები", ის ვარდიდხუ "ჩემი ნაბდები".

ასეა გამოხატული მრავლობითი რიცხვი ბოგიერთ სხვა ნაცვალსახელსა ... და ზმნებშიც.

უთუოდ მრავლობითობის გამოხატვის ამ პირველ სახეობასთან არის წარმოშობით დაკავშირებული მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ის სახეც, რომლის დროსაც მრავლობითობა გამოიხატება არა უშუალოდ მხოლობითის სათანადო ფორმების მრავლობითში გამოყენებით, როგორც ეს ზემოთ გვქონდა,არამედ ამას ზედ ერთვის გარკვეული ცვლილებები ფორმაში, კერძოდ, ხ მ ო ვ ნ ი ს ც ვ ლ ა, ერთ შემთხვევაში, და ხ მ ო ვ ნ ი ს ც ვ ლ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ კ ლ ა ს - ნ ი შ - ნ ი ს ც ვ ლ ა ც, მეორე შემთხვევაში. მხედველობაში გვაქვს ასეთი მაგალითები:

ვიღდუ (Iკლ.), დიღდურ (IIკლ.), ბიღდუბ (IIIკლ.), იღდუთ (IV კლ.) "მძიმე" – მრ.რ. ბიღდიბ და იღდიბ ნაცვლად მოსალოდნელი ბიღდუბ და იღდუთ–ისა;

ვახთხუ (Iკლ.), დახთხურ (IIკლ.), ბახთხუბ (IIIკლ.), ახთხუთ (IVკლ.) "ბევრი" – მრ.რ. ბახთხიბ და ახთხიბ ნაცვლად ბახთხუბ და ახთხუთ–ისა;

ვიზდუ (Iკლ.), დიზდურ (IIკლ.), ბიზდუბ (IIIკლ.), იზდუთ (IV კლ.) "ტკბილი" – მრ.რ. ბიზდიბ და იზდიბ ნაცვლად მოსალოდნელი ბიზდუბ და იზდუთ–ისა...

არჩიბულში, როდესაც მრავლობითი ორი ფორმითაა გამოხატული, ბ აფიქსი ადამიანთა კლასთანაა დაკავშირებული. აქ ეს პრინციპი და-

რღვეულია. ბ არამიანთა კლასთანაცა გვაქვს და ნივთთა კლასთანაც. ცხადია, ამ და მსგავს მაგალითებში ბ უკვე კლას-ნიშნის ფუნქციას ვერ ასრულებს. კლასებს პრეფიქსები განასხვავებენ (ბ და ნული). ბ- სუფიქსი ამ შ უ მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ხმოვან ი-სთან ერთად, სრულიად გარკვევით, მრავლობითი რიცხვის გამოხატვას კისრულობს. კიდევ უფრო მეტი, იგრძნობა, რომ მრავლობითი რიცხვის გამოხატვა, ა ს ე თ მ ა გ ა ლ ი თ ე ბ შ ი, ზოგჯერ, ი-სა და ბ-სთან ერთად, ფორმანტისეულ წინამავალ დ-საც (resp. თბ-საც) უკავშირდება.

ეგევე პროცესი უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს იმ სახელებში, რომლებიც კლასებს პრეფიქსული ნიშნებით არ განასხვავებენ და სადაც ამიტომ მრავლობითი რიცხვი ნაცვლად ო რ ი განსხვავებული ფორმისა მხოლოდ ე რ თ ი ფ ო რ მ ი თ ა ა წარმოდგენილი:

ტითბუ (Iკლ.), ტითბურ (IIკლ.), ტითბუბ (III კლ.), ტითბუთ (IVკლ.) "პატარა" - მრ.რ. ტითბიბ "პატარები".

გუდუ (Iკლ.), გოდორ (IIკლ.), გოდობ (IIIკლ.), გოდოთ (IVკლ.) "ის (ახლოს)" - გიდიბ "ისინი"...

აქ, როგორც ვხედავთ, მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად გამოყენებულია მხოლობითი რიცხვის III კლასის ფორმა, ე.ი. ისევ ბ-კლას-ნიშნიანი სახეობა, სადაც ცვლილება განუცდია მხოლოდ ხმოვნებს (ბოლოდან პირველს, შდრ. მხ.რ. ტითბუბ, IIIკლ., "პატარა" - მრ.რ. ტითბიბ, ან ბოლო ხმოვანთან ერთად ბოლოდან მეორე ხმოვანსაც, შდრ. მხ.რ. გოდობ, IIIკლ. "ის" - მრ.რ. გიდიბ): უ → ი, ო → ი, ა → ი, ო → ე, ა → ე... ხმოვანთა ეს ცვლილება უნდა ყოფილიყო ის პირველი ნაბიჯი, რომელმაც წარმოშობით მხოლობითის ფორმა საკუთრივ მრავლობითის ფორმად აქცია. ეგევე გარემოება უნდა გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ კლას-ნიშანი ბ, უფუნქციოდ დარჩენილი, დაუკავშირებოდა სახეცვლილ ხმოვანს და მასთან ერთად უკვე არა კლასი, არამედ სახელის მრავლობითობა აღენიშნა.

ამრიგად, ირკვევა, რომ კლას-ნიშნიან სახელებში მრავლობითობის აღნიშვნა პირველად, როგორც სპეციალურ ნიშანს, ხმოვანს (ი-ს) უნდა დაკავშირებოდა, მერე თანხმოვანსაც (გ-ს) და მხოლოდ ამის შემდეგ თავი უნდა ეჩინა იმ კომპლექსის მრავლობითობის სუფიქსად ჩამოყალი-ბების ტენდენციას.

როგორც დავინახეთ, არჩიბულში დამოწმებულია საყურადღებო ფაქ-ტები მრავლობითი რიცხვის ერთ-ერთი სუფიქსის თანდათან ჩამოყალიბე-ბა-გამოყოფისა. ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. სავარაუდოა, რომ ის გაგრძელდება და ბოლომდე მივა.

გ. მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა უ კ ლ ა ს ნ ი შ ნ ო ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი. უკლასნიშნო სახელებში მრავლობითი რიცხვი იწარმოება სპეციალური სუფიქსებით. ეს სუფიქსე-ბი მრავალრიცხოვანია. ამ მხრივ არჩიბული გვერდში უდგას ლაკურს[1], რომელსაც მრავლობითობის ოცდაათზე მეტი მაწარმოებელი აქვს.[2]

რ.ერკერტს მრავლობითობის ფორმანტებად დასახელებული აქვს თერ-თმეტი სუფიქსი (-უბ, -ობ, -ორ, -ო, -ოთ, -თხუ, -მულ, -უმ, -ბურ, -მურ და -რულ). მის მიერ გამოყოფილ ყოველ აფიქსს საილუსტრაციოდ ერთვის თითო მაგალითი.[3]

ა.დირი გამოყოფს ცამეტ სუფიქსს (-თილ, -თხთუ, -მულ, -ურ, -ორ, -უმ, -ომ, -ლუ, -ლო, -უთ, -ოთ, -ულ, -იბ) და, სადაც ეს შესაძლე-ბელია, იძლევა მათ მოკლე დახასიათებას. გარდა ამისა, ცალკე აქვს ჩამოთვლილი სიტყვები, რომლებიც მრავლობითის წარმოების საერთო

---

1 G.Deeters, Armenische und kaukasische Sprashen, 1963,გვ.68.

2 Г.Б. М у р к е л и н с к и й, Показатели множественности в лакском языке,1948,გვ. 325-326, А.Ш. А к и е в, Способы образования форм множественного числа имен в лакском языке (Автореферат),1964,გვ. 9-12.

3 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ.,II, გვ.58.

წესს არ მიჰყვებიან; მაგ.: აკი "ჯარიმა" - აგდე; დეყ' "გზა" - დეყ'ჩულ; დოშთბურ "და", უშთბუ "ძმა" - ოშობ; ქულ "ხელი" - ქურდულ; ლო "ბავშვი" - ლობურ; კვეც "ცუჩი" - კვეცყულ; ნოკჰ "სახლი" - ნოკჰდურ; ხ'ონ "ძროხა" - ბუწი...[1]

ს. ხაიდაკოვი განიხილავს ამ სუფიქსს (-თილ, -თბუ, -მულ, -ომ, -უმ, -ოთ, -უთ, -ორ, -ურ, -ლუ)[2], ყ. მიქაილოვი - ოცდაექვსს (-დუ, -თუ, -თბუ, -მულ, -ულ, -ურ, -ორ, -უმ, -ომ, -უთ, -ოთ, -უ, -ო, -იბ, -ილ, -თბილ, -მულურ, -მულლუ, -ბურ, -ბუ, -ელ, -დორ, -ყულ, -რულ, -ათ, -ჰურ).[3]

-თბუ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სუფიქსია; დაერთვის ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს[4]; ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რაიმე ცვლილებას, ჩვეულებრივ, არ იწვევს:

ბადრა//ბუდრა (IIIკლ.) "ვედრო" - ბადრა-თბუ//ბუდრა-თბუ; ბაჰბრი (IIIკლ.) "მონადირის ძაღლი (გრძელკურიანი)" - ბაჰბრი-თბუ; გურჯი (I ან IIკლ.) "ქართველი" - გურჯი-თბუ; თაქა//თჷქა (III კლ.) "გულჯიბე" - თაქა-თბუ; კოჟო (IIIკლ.) "სინი" - კოჟო-თბუ; მახა (IIIკლ.) "ქერი" - მახა-თბუ; ნოსო (IV კლ.) "ხაჟო", "ბრინზა" - ნოსო-თბუ; ო'რხ'არჩი (IVკლ.) "სამარილე" - ო'რხ'არჩი-თბუ; ფერმა (IIIკლ.) "ფერმა" - ფერმი-თბუ (sic); ფუმქა//ფუმკა (III კლ.) "კასრი" - ფუმქა-თბუ//ფუმკა-თბუ; ქინო (IIIკლ.) "კინო" - ქინო-თბუ; ქუცი (IIIკლ.) "ანდაზა" - ქუცი-თბუ; ქუსა (Iკლ.) "ქოსა" - ქუსა-თბუ (//ქუსათბიბ); ყომო (IIIკლ.) "წვიმის დარი სახურავზე" - ყომო-თბუ; შუშა (IV კლ.) "ბოთლი" - შუშა-თბუ; ჭელე (IIIკლ.) "ქვა" - ჭელე-თბუ; ჰილიქუ (IIIკლ.) "ბუზი"-ჰილიქუ-თბუ...

---

1 А. Д и р р, Арч. яз., გვ.11-14.

2 С. Х а й д а к о в, Арч. яз., გვ.611; შდრ. მ ი ს ი ვ ე, Падежная система арчинского языка..., გვ.154-155.

3 К. М и к а и л о в, Арч. яз., გვ.40-43.

4 А. Д и р р, Арч. яз., გვ.12; С. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка... გვ.155; К. М и к а и л о в, Арч. яз.,გვ.42.

ილომა ნიკხა იგუ ჰილიქუთხუ "ჩვენთან სახლში არ არის ბუზები".

-ღუ – იშვიათად გვხვდება.[1] ღაერთვის ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებს. ფუძისეულ ხმოვანს კვეცს, თანხმოვანს, თუ ის ყრუ არის, ამჟღერებს:

აკი (Iკლ.) "ჯარიმა" – აგ-ღუ (← აკ-ღუ ← აკი-ღუ →) // აკი-თხუ; ყაყი (IVკლ.) "კანჭი" – ყაღ-ღუ (← ყაყ-ღუ ← ყაყი-ღუ); ხანი (IIIკლ.) "მამა" – ხაზ-ღუ (← ხან-ღუ ← ხანი-ღუ →) // ხანი-თხუ...

სუფიქსები -ლუ და -ლო მიღებულია ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ისინი გვხვდება -ლ-ზე დაბოლოებულ სახელებთან ან ისეთ ბოლოკვეცად სახელებთან, რომელთაც ხმოვნის წინ "ლ"[2] აქვთ, და, ხშირად, ერწყმიან კიდეც ამ უკანასკნელს, რის გამოც მათი ფუძისეული ლ-სგან გამოყოფა ძნელდ.

-ლუ სუფიქსის მაგალითები:

ნათ.	ოსბოთ-მი-ნ	მუმევ-მუ-ნ	მუმეჯრუ-მი-ნ
მიც.	ოსბოთ-მი-ს	მუმევ-მუ-ს	მუმეჯრუ-მი-ს

სახ.	მუმეჯბუ(IIIკლ.) "რამდენი"	მუსეჯღუ(IVკლ.) "რამდენი"	ჰანნუ (Iკლ.) "როჟელი"
ერგ.	მუმეჯბუ-მი	მუმეჯღუ-მი	ჰანნუ-მუ
ნათ.	მუსეჯბუ-მი-ნ	მუმეჯღუ-მი-ნ	ჰანნუ-მუ-ნ
მიც.	მუმეჯბუ-მი-ს	მუმეჯღუ-მი-ს	ჰანნუ-მუ-ს

სახ.	ჰანნურ (IIკლ.) "რომელი"	ჰანნუბ (IIIკლ.) "რომელი"
ერგ.	ჰანნურ-მი	ჰანნუმ-მი
ნათ.	ჰანნურ-მი-ნ	ჰანნუმ-მი-ნ
მიც.	ჰანნურ-მი-ს	ჰანნუმ-მი-ს

რიცხვითი სახელები

სახ.	ყ'ვევუ (Iკლ.)[1] "ორი"	ყ'ვერუ (IIკლ.) "ორი"	ყ'ვებუ (III) "ორი"
ერგ.	ყ'ვევ̣-მუ ⇐ *ყ'ვევუ-მუ	ყ'ვერუ-მი	ყ'ვებუ-მი
ნათ.	ყ'ვევ-მუ-ნ	ყ'ვერუ-მი-ნ	ყ'ვებუ-მი-ნ
მიც.	ყ'ვევ-მუ-ს	ყ'ვერუ-მი-ს	ყ'ვებუ-მი-ს

სახ.	ყ'ვეფუ (IVკლ.) "ორი"	ლ'ბვევუ(Iკლ.)[2] "ხუთი"	ლ'ბვეჲრუ(II) "ხუთი"
ერგ.	ყ'ვეფუ-მი	ლ'ბვევ-მუ	ლ'ბვეჲრუ-მი
ნათ.	ყ'ვეფუ-მი-ნ	ლ'ბვევ-მუ-ნ	ლ'ბვეჲრუ-მი-ნ
მიც.	ყ'ვეფუ-მი-ს	ლ'ბვევ-მუ-ს	ლ'ბვეჲრუ-მი-ს

სახ.	ლ'ბვეჲბუ (IIIკლ.) "ხუთი"	ლ'ბვეფუ (IVკლ.) "ხუთი"
ერგ.	ლ'ბვეჲბუ-მი	ლ'ბვეფუ-მი
მიც.	ლ'ბვეჲბუ-მი-ს	ლ'ბვეფუ-მი-ს

სახ.	ყ'ვევუ-თბუ (Iკლ.) "ორი"(დამოუკიდებლად)	ყ'ვერუ-თბურ (IIკლ.) "ორი"(დამოუკიდებლად)
ერგ.	ყ'ვევ-მუ	ყ'ვერუ-მი
მიც.	ყ'ვევ-მუ-ს	ყ'ვერუ-მი-ს

და ა.შ.

არსებითი სახელები

სახ.	აბ-თბუ (Iკლ.) "მამა"	ეჲ-თბურ (IIკლ.) "დედა"	შექერ-თბუ (Iკლ.) "ბიძაშვილი"
ერგ.	უბ-მუ	ეჲ-მი	შექერ-მუ
ნათ.	უბ-მუ-ნ	ეჲ-მი-ნ	შექერ-მუ-ნ
მიც.	უბ-მუ-ს	ეჲ-მი-ს	შექერ-მუ-ს

სახ. შექერ-თბურ(IIკლ.) "ბიძაშვილი" ჭახუთბიშ-თბუ(Iკლ.) "მეზობელი" ჭახუთბიშ-თბურ(IIკლ.) "მეზობელი"

---

1 ზოგჯერ გამოთქვამენ - ყ'ვევვუ.

2 ალჩუნიბში ამბობენ - ლ'ბვეჲჲუ ← // ლ'ბვეჲვუ (ეს უკანასკნელი ფორმა ბავშვებთან ისმის).

ერგ.	მექერ-მი	ფახუთბიშ-მუ	ფახუთბიშ-მი
ნათ.	მექერ-მი-ნ	ფახუთბიშ-მუ-ნ	ფახუთბიშ-მი-ნ
მიც.	მექერ-მი-ს	ფახუთბიშ-მუ-ს	ფახუთბიშ-მი-ს

სახ.	დოშ-თბურ (IIკლ.) "და"	უშ-თბუ "ძმა"	ას-თბუ "ქმარი"
ერგ.	დოშ-მი(//დოშ-მუ -იშვიათად)	უშ-მუ	ას-მუ
ნათ.	დოშ-მი-ნ	უშ-მუ-ნ	ას-მუ-ნ
მიც.	დოშ-მი-ს	უშ-მუ-ს	ას-მუ-ს

სახ.	ნუს-თბუ (Iკლ.) "სიძე"	ნუს-თბურ(IIკლ.) "რძალი"	ულ'-თბუ(Iკლ.) "მწყემსი"
ერგ.	ნუს-მუ	ნუს-მი	ულ'-მუ
ნათ.	ნუს-მუ-ნ	ნუს-მი-ნ	ულ'-მუ-ნ
მიც.	ნუს-მუ-ს	ნუს-მი-ს	ულ'-მუ-ს

სახ.	ულ'-თბურ(IIკლ.) "მწყემსი"	ხ'ალე-თბუ(Iკლ.) "სტუმარი"	ხ'ალე-თბურ(IIკლ.) "სტუმარი"
ერგ.	ულ'-მი	ხ'ალე-მუ	ხ'ალე-მი
ნათ.	ულ'-მი-ნ	ხ'ალე-მუ-ნ	ხ'ალე-მი-ნ
მიც.	ულ'-მი-ს	ხ'ალე-მუ-ს	ხ'ალე-მი-ს

სახ.	ჰალმახ-თბუ (Iკლ.) "ამხანაგი"	ჰალმახ-თბურ (IIკლ.) "ამხანაგი"
ერგ.	ჰალმახ-მუ	ჰალმახ-მი
ნათ.	ჰალმახ-მუ-ნ	ჰალმახ-მი-ნ
მიც.	ჰალმახ-მუ-ს	ჰალმახ-მი-ს

სახ.	დიბირ-თბუ//დიბურ-თბუ(Iკლ.) "მოლა"	ლახ-თბუ (Iკლ.) "მონა"
ერგ.	დიბჷრ-მუ	ლახ-მუ
ნათ.	დიბჷრ-მუ-ნ	ლახ-მუ-ნ
მიც.	დიბჷრ-მუ-ს	ლახ-მუ-ს

სახ.	ლახ-თბურ(IIკლ.) "მონა"	ყვაჰირ-თბუმ ← ყვაჰირ-თბუბ (IIIკლ.) "ხის საწოლი"
ერგ.	ლახ-მი	ყვაჰირ-მი
ნათ.	ლახ-მი-ნ	ყვაჰირ-მი-ნ
მიც.	ლახ-მი-ს	ყვაჰირ-მი-ს და ა.შ.

სადაურობის აღმნიშვნელი სახელები

სახ.	ღუმექლაშ-თბუ (Iკლ.) "კუმუხელი"	ღუმექლაშ-თბურ (IIკლ.) "კუმუხელი"
ერგ.	ღუმექლაშ-მუ	ღუმექლაშ-მი
ნათ.	ღუმექლაშ-მუ-ნ	ღუმექლაშ-მი-ნ
მიც.	ღუმექლაშ-მუ-ს	ღუმექლაშ-მი-ს
სახ.	შალლაშ-თბუ (Iკლ.) "შალიბელი"	შალლაშ-თბურ (IIკლ.) "შალიბელი"
ერგ.	შალლაშ-მუ	შალლაშ-მი
ნათ.	შალლაშ-მუ-ნ	შალლაშ-მი-ნ
მიც.	შალლაშ-მუ-ს	შალლაშ-მი-ს
სახ.	შათბაშ-თბუ (Iკლ.) "ჩიტაბელი"	შათბაშ-თბურ (IIკლ.) "ჩიტაბელი"
ერგ.	შათბაშ-მუ	შათბაშ-მი
ნათ.	შათბაშ-მუ-ნ	შათბაშ-მი-ნ
მიც.	შათბაშ-მუ-ს	შათბაშ-მი-ს
სახ.	ნურცშ-თბუ (Iკლ.) "ნურიბელი"	ნურცშ-თბურ (IIკლ.) "ნურიბელი"
ერგ.	ნურცშ-მუ	ნურცშ-მი
ნათ.	ნურცშ-მუ-ნ	ნურცშ-მი-ნ
მიც.	ნურცშ-მუ-ს	ნურცშ-მი-ს
სახ.	კალაშ-თბუ (Iკლ.) "კალელი"	კალაშ-თბურ (IIკლ.) "კალელი"
ერგ.	კალაშ-მუ	კალაშ-მი
ნათ.	კალაშ-მუ-ნ	კალაშ-მი-ნ
მიც.	კალაშ-მუ-ს	კალაშ-მი-ს
სახ.	ლ'ათბაშ-თბუ (Iკლ.) "ხიტაბელი"	ლ'ათბაშ-თბურ (IIკლ.) "ხიტაბელი"
ერგ.	ლ'ათბაშ-მუ	ლ'ათბაშ-მი
ნათ.	ლ'ათბაშ-მუ-ნ	ლ'ათბაშ-მი-ნ
მიც.	ლ'ათბაშ-მუ-ს	ლ'ათბაშ-მი-ს

სახ.	ხ'ერეშ-თბუ (I კლ.) "ხერელი"	ხ'ერეშ-თბურ(II კლ.) "ხერელი"	ყესერაშ-თბუ(I კლ.) "ყესერელი"
ერგ.	ხ'ერეშ-მუ	ხ'ერეშ-მი	ყესერაშ-მუ
ნათ.	ხ'ერეშ-მუ-ნ	ხ'ერეშ-მი-ნ	ყესერაშ-მუ-ნ
მიც.	ხ'ერეშ-მუ-ს	ხ'ერეშ-მი-ს	ყესერაშ-მუ-ს

სახ.	არშაშ-თბუ//არშეშ-თბუ (I კლ.) "არჩიბელი"	არშაშ-თბურ//არშეშ-თბურ(II) "არჩიბელი"
ერგ.	არშაშ-მუ//არშეშ-მუ	არშაშ-მი//არშეშ-მი
ნათ.	არშაშ-მუ-ნ//არშეშ-მუ-ნ	არშაშ-მი-ნ//არშეშ-მი-ნ
მიც.	არშაშ-მუ-ს//არშეშ-მუ-ს	არშაშ-მი-ს//არშეშ-მი-ს

სახ.	არშაშ-თბუბ (III კლ.) "არჩიბული"	ყუბაჭჴაშ-თბუ (I კლ.) "ყუბაჭლელი"
ერგ.	არშაშ-მი	ყუბაჭჴაშ-მუ
ნათ.	არშაშ-მი-ნ	ყუბაჭჴაშ-მუ-ნ
მიც.	არშაშ-მი-ს	ყუბაჭჴაშ-მუ-ს

1. შ ე ნ ი შ ვ ნ ა. შეიძლება სიტყვას გრამატიკული კლასის ნიშანი არ ჰქონდეს, მაგრამ სათანადო კონტექსტის მიხედვით იბრუნოდეს როგორც I კლასის ან II, III, IV კლასის სიტყვები; მაგ.:

სახ.	ოსბ (I კლ.) "ერთი"	ოსბ (II, III, IV კლ.) "ერთი"
ერგ.	ოსბ-მუ	ოსბ-მი
ნათ.	ოსბ-მუ-ნ	ოსბ-მი-ნ
მიც.	ოსბ-მუ-ს	ოსბ-მი-ს

2. შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ცალკეა გამოსაყოფი რამდენიმე არსებითი სახელი: ხ'ელ(IV კლ.) "წვიმა", იკ°(IV კლ.) "გული"; ჰჭჴ-ანა(IV კლ.) "რამე", ღამ "მგელი"(III კლ.). ამ სიტყვებს კლასის ნიშნები არა აქვთ, მაგრამ იბრუნვიან ისე, როგორც სათანადო კლას-ნიშნიანი სახელები, ე.ი. ერგატივში მოუდით სუფიქსი -მი, რომელიც სხვა ბრუნვებში გადაჰყვება:

სახ.	ხ'ელ	იკ°	ჰჭჴლნა...	ღამ
ერგ.	ხ'ელ-მი	იკ°-მი	ჰჭჴლშ-მი	ღამი(← *ღამ-მი)
ნათ.	ხ'ელ-მი-ნ	იკ°-მი-ნ	ჰჭჴლშ-მი-ნ	ღამი-ნ
მიც.	ხ'ელ-მი-ს	იკ°-მი-ს	ჰჭჴლშ-მი-ს	ღამი-ს

მრავლობითი რიცხვი

9) -მაჲ დაბოლოების მქონე სახელები ერგატივში

ზედსართავი სახელები

სახ. ტი-თხიბ — დო'ზიბ ← *დო'ზდიბ
"პატარები" — "დიდები"
ერგ. ტი-თხიმ-მაჲ (← *ტი-თხიბ-მაჲ) — დო'ზიმ-მაჲ ← *დო'ზდიბ-მაჲ
ნათ. ტი-თხიმ-მე-ნ — დო'ზიმ-მე-ნ
მიც. ტი-თხიმ-მე-ს — დო'ზიმ-მე-ს

სახ. ალბაჰ-თხიბ
"გიჟები"
ერგ. ალბაჰ-თხიმაჲ//ალბაჰ-თხიმ-მაჲ (← *ალბაჰ-თხიბ-მაჲ)
ნათ. ალბაჰ-თხიმე-ნ//ალბაჰ-თხიმ-მე-ნ
მიც. ალბაჰ-თხიმე-ს//ალბაჰ-თხიმ-მე-ს

რიცხვითი სახელები

სახ. მელ'ენნიბუ (← *მელ'ენნიბ-ვუ) — ვილ'ანნიბ-უ
"რვანივე" — "შვიდივენი"
ერგ. მელ'ენნემეჲ-ჲუ (← *მელ'ენნიბ-მაჲ-ვუ) — ვილ'ანემეჲ-ჲუ (← *ვილ'·ანიბ-მაჲ-ვუ)
ნათ. მელ'ენნემე-ნ-უ (← *მელ'ენნემე-ნ-ვუ) — ვილ'ანემე-ნ-უ
მიც. მელ'ენნემე-ს-უ (← მელ'ენნემე-ს-ვუ) — ვილ'ანემე-ს-უ

სახ. ებყანნიბ-უ (← *ებყანნიბ-ვუ)
"ოთხივენი"
ერგ. ებყანმეჲ-ჲუ (← *ებყანნიბ-მაჲ-ვუ)
ნათ. ებყანმე-ნ-უ
მიც. ებყანმე-ს-უ

ნაცვალსახელები

სახ. *თებ — გიდიბ
"ისინი" — "ისინი" (ახლოს)
ერგ. თეჲ-მაჲ — გიდიმ-მაჲ
ნათ. თეჲ-მე-ნ — გიდიმ-მე-ნ
მიც. თეჲ-მე-ს — გიდიმ-მე-ს

ადგ. VI თეჲმემა//←*თეჲმემ-მა (← *თეჲ-მე-ნ-მა)

მიმ.VI თეღმემაქ// ← თეღმემ-მა-ქ
დაშ.VI თეღმემაშ // ← თეღმემ-მა-შ

სახ.	ღემიბ	ღებ	ღელლეთბიბ	ჭანნიბ
	"ეკალნი"	"ესენი"	"ასეთები"	"რომელნი"
ერგ.	ღემიშ-მაღ	ღეღ-მაღ	ღელლეთბიშ-მაღ	ჭანნიშ-მაღ
ნათ.	ღემიშ-მე-ნ	ღეღ-მე-ნ	ღელლეთბიშ-მე-ნ	ჭანნიშ-მე-ნ
მიც.	ღემიშ-მე-ს	ღეღ-მე-ს	ღელლეთბიშ-მე-ს	ჭანნიშ-მე-ს

სახ.	ბისბიბ	ისბიბ
	"ჩემები"(ადამიანები)	"ჩემები"(არა ადამიანები)
ერგ.	ბისბიშ-მაღ(←ბისბიბ-მაღ)	ისბიშ-მაღ(← ისბიბ-მაღ)
ნათ.	ბისბიშ-მე-ნ	ისბიშ-მე-ნ
მიც.	ბისბიშ-მე-ს	ისბიშ-მე-ს

სახ.	უთბიბ	თოვმუნნიბ	თორმინნიბ
	"შენები"	"მისები"	"მისები"
ერგ.	უთბიშ-მაღ	თოვმუნნიშ-მაღ	თორმინნიშ-მაღ
ნათ.	უთბიშ-მე-ნ	თოვმუნნიშ-მე-ნ	თორმინნიშ-მე-ნ
მიც.	უთბიშ-მე-ს	თოვმუნნიშ-მე-ს	თორმინნიშ-მე-ს

არსებითი სახელები

სახ.	აბ-აღ	ხ'ელე(მრ.მხ.რ.სახ.ხ'ელე-თბუ,ხ'ელე-თბურ)
	"მშობლები"	"სტუმრები"
ერგ.	აბაღ-მაღ	ხ'ელე-მაღ
ნათ.	აბაღ-მე-ნ	ხ'ელე-მე-ნ
მიც.	აბაღ-მე-ს	ხ'ელე-მე-ს

სახ.	ჟახუთბიშ-თბიბ	შალლაშ-თბიბ	ნურიშ-თბიბ
	"მეზობლები"	"შალიბელები"	"ნურიბელები"
ერგ.	ჟახუთბიშ-მაღ	შალლაშ-მაღ	ნურიშ-მაღ
ნათ.	ჟახუთბიშ-მე-ნ	შალლაშ-მე-ნ	ნურიშ-მე-ნ
მიც.	ჟახუთბიშ-მე-ს	შალლაშ-მე-ს	ნურიშ-მე-ს

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მეორე ფუძის საწარმოებლად -მაღ გვხვდე-ბა ისეთ სახელებშიც, რომელთაც კლასის ნიშნები არა აქვთ:

სახ.	ბოლ'	ლ'ელე	მარჩი	ხოშ
	"ხალხი"(კრებ.)	"კაცები"...	"ყველა"	"ქალები"(კრებ.)
ერგ.	ბოლ'-მაჲ	ლ'ელე-მაჲ	მარჩი-მაჲ	ხჷმეჲ(<ხოშ-მაჲ)
ნათ.	ბოლ'-მე-ნ	ლ'ელე-მე-ნ	მარჩი-მე-ნ	ხჷმე-ნ
მიც.	ბოლ'-მე-ს	ლ'ელე-მე-ს	მარჩი-მე-ს	ხჷმე-ს

13. თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი ბ რ უ ნ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი. ზოგი სახელი თავისებურად იბრუნვის. ესენია: პირთა ნაცვალსახელები, უკუქცევითი ნაცვალსახელები, კითხვითი ნაცვალსახელები.

1) არჩიბულში პ ი რ თ ა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა: ზონ "მე", უნ "შენ", ნენ "ჩვენ" (ექსკლუზიური), ნენტუ "ჩვენ" (ინკლუზიური), ჟვენ "თქვენ".

არჩიბული ენის პირთა ნაცვალსახელების ბრუნებაში რომ გავერკვეთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი აგებულება.

ჟ.დიუმეზილი მხ.რ. I პირის ნაცვალსახელის ფ უ ძ ე დ გამოჰყოფს ზა-ს, II პ. ნაცვალსახელის ფ უ ძ ე დ - ვა-ს, მრ.რ. I პირის ნაცვალსახელის ფუძედ - ლა-ს, მრ.რ. II პ. ნაცვალსახელის ფუძედ - ჟვა-ს[1].

არჩიბულის პირთა ნაცვალსახელებს დაწვრილებით განიხილავს ივ. ჯავახიშვილი.[2] მხ.რ. პირველი პირის ნაცვალსახელის ძ ი რ ა დ მას გამოყოფილი აქვს ზ-; რაც შეეხება ს-ს, რომელიც ამავე ნაცვალსახელის ნათესაობითში გვაქვს ძირის სახით წარმოდგენილი, ზ-ს სახეცვლის შედეგად მიაჩნია[2], "ძირის მთლიანობა,- როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, -... ნაცვალსახელთაგან მხოლოდ 2 პირისას

---

1 G.Dumézil, Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, პარიზი,1933,გვ.48-49 (არსებობს ქართული თარგმანი - ხელნაწერის სახით- შესრულებული რუსუდან ჯანაშიას მიერ. ჩვენ საშუალება გვქონდა გვესარგებლა ამ თარგმანით, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მთარგმნელს- რ.ჯანაშიას).

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ.530-532.

აქვს... დაკული..." მხოლობით რიცხვში ესაა ვ[1], რომელიც ფორმანტისეული უ-ხმოვნის მეზობლად - სახელობითსა და ერგატივში - არ ჩანს[2], მაგრამ დაკულია ი და ა ხმოვანთა წინ ნათესაობითსა და მიცემითში და, აგრეთვე, ადგილობით ბრუნვებში. მრ.რ. II პირის ნაცვალსახელის ძირად ივ.ჯავახიშვილის თქმით "ქვ მოჩანს". მანვე არაძირისეულ ელემენტად მიიჩნია ბოლოკიდური ნ, რომელიც ოთხივე პირის ნაცვალსახელში[3] წარმოდგენილი.

შემდგომმა კვლევა-ძიებამ არჩიბული ენის პირის ნაცვალსახელთა ეს ანალიზი სავსებით დაადასტურა.[4]

ნაცვალსახელის სწორედ ამ ძირებიდან, და არა ერგატივის ფორმებიდან, არის ნაწარმოები ადგილობითი ბრუნვები, მაგრამ ისე, რომ ბრუნვის ნიშანსა და ძირს შორის თავს იჩენს ხმოვანი ა, მაგ.: ადგილ.V ზ-ა-ლ'ხუ; ვ-ა-ლ'ხუ, ქვ-ა-ლ'ხუ; მიმართ.V ზ-ა-რში, ვ-ა-რში, ქვ-ა-რში; ადგილ.I ზ-ა-თ, ვ-ა-თ, ქვ-ა-თ; ადგილ.II ზ-ა-კხ, ვ-ა-კხ, ქვ-ა-კხ და ა.შ. თვით ერგატივის -რი ფორმანტიც კი ამავე წესით დაერთვის ძირეულ ზ-ს და ვიღებთ მხ.რ. I პირის ნაცვალსახელის ერგატივის ფორმას, ესაა ზ-ა-რი. ასევეა ნაწარმოები მხ.რ. II პ. ნაცვალსახელის მიცემითიც: ვ-ა-ს.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჟ.დიუმეზილს მრ.რ. II პირის ნაცვალსახელის ფუძედ გამოყოფილი აქვს ლა-;-ა- არც აქ უნდა იყოს ძირისეული. ის იგივე ფორმანტი ჩანს, რაც სხვა პირის ნაცვალსახელების ადგილობით ბრუნვებში... გვაქვს; შდრ. ლ-ა-თ - ქვ-ა-თ, ლ-ა-ლ'ხუ - ზ-ა-ლ'ხუ, ლ-ა-რში - ვ-ა-რში და ა.შ. თუ ეს ასეა, მაშინ მრ.რ. II პირის ნაცვალსახელის ძირად -ლ- გამოიყოფა.[5]

---

1 იქვე, გვ.570.

2 А. М а г о м е т о в, Личные местоимения лезгинских языков, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად.საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, 4, გვ.251.

3 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.531; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს - ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიმკი-ს მოამბე, XII, 1942, გვ.38.

4 იხ. ალ. მ ა გ ო მ ე ტ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ., გვ.242-249.

5 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.531.

ცხადია, ეს -ა- არც ადგილობითი ბრუნვის სუფიქსებს განეკუთვნე-ბა; ის არ გვაქვს ამ სუფიქსთა წინ სხვა სახელთა ბრუნების დროს. მისი გამოყენების სფერო გაცილებით ფართო ჩანს; -ა- თავს იჩენს სუფიქსური კლას-ნიშნების წინაც - საერთოდ და არა მხოლოდ ნაცვალ-სახელებში.

ამრიგად, პირთა ნაცვალსახელების ძირებად არჩიბულში გვაქვს: ზ//ს - მხ.რ. პირველი პირის ნაცვალსახელში, ე- მხ.რ. მეორე პი-რის ნაცვალსახელში, ლ - მრ.რ. პირველი პირის ნაცვალსახელში, ჟვ - მრ.რ. მეორე პირის ნაცვალსახელში.

პირთა ნაცვალსახელების აგებულების ზოგიერთ საკითხს უკვე შე-ვეხეთ. ამ ნაცვალსახელთა ბრუნებისა და აგებულების რიგ საკითხზე ახლა უნდა შევჩერდეთ.

ა. არჩიბულში გარჩეულია ექსკლუზიური - ნენ, და ინკლუზიური - ნენტუ, ნაცვალსახელები, ინკლუზიური ნაცვალსახელი, რომელიც, ერთი შეხედვით, უშუალოდ ექსკლუზიური ნაცვალსახელისგანაა ნა-წარმოები, წარმომობით მრ.რ. I პირის უკუქცევითი ნაცვალსახელია.[1]

ბ. ნენ "ჩვენ" (ექსკლ.) ფონეტიკური ცვლილების შედეგად მი-ღებული ფორმა უნდა იყოს: ნენ ← *ლენ.[2]

გ. უნ "შენ", ნენ "ჩვენ" (ექსკლ.), ჟვენ "თქვენ" სახელო-ბითსა და ერგატივში უცვლელად არის წარმოდგენილი; ნაცვალსახელე-ბის ეს ფორმები სახელობითიცაა და ერგატივიც. სახელობითი და ერ-გატივი არა აქვს გარჩეული არც ინკლუზიურ ნაცვალსახელს, ოღონდ იმ თავისებურებით, რომ სახელობითში ამ ნაცვალსახელს მხოლოდ ერ-თი ფორმა აქვს, ერგატივში - ოთხი, განსხვავებული კლას-ნიშნების მიხედვით; სხვა მდგომარეობა გვაქვს ზონ "მე" ნაცვალსახელთან; აქ სახელობითი და ერგატივი ერთმანეთისგან გარჩეულია: სახ. ზონ - ერგ. ზა-რი; -რი ერგატივის ნიშანია, რომელიც გვხვდება მხოლოდ

---

1 იხ. კ ა ხ ა ძ ე, ინკლუზიური და ექსკლუზიური ნაცვალსახე-ლების თაობაზე არჩიბულში. იკე, XIV, 1964, გვ.368.

2 შდრ. ჟ. დ ი უ მ ე ზ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.51.

რამდენიმე საზოგადო სახელში (შდრ.,მაგ., ბუყ "ქერშელი"... - ერგ. ბუყა-რი, ბა'კ "ყოჩი" - ერგ. ბა'კი-რი...). არჩიბულში მხ.რ. პირველი პირის ნაცვალსახელში ერგატივის სახელობითისაგან გარჩევა ისევე, როგორც დაღესტნის ზოგ ენაში[1], მეორეული მოვლენა უნდა იყოს.[2]

დ. პირის ნაცვალსახელებში ნათესაობითი და მიცემითი თავისებურადაა ნაწარმოები - ბრუნებისას არც ერთი არ იყენებს ფუძედ არც სახელობითს და არც ერგატივს.

ე. თუ პირის ნაცვალსახელთა უმეტესობას მიცემითში ისევე, როგორც ნათესაობითში ჩვეულებრივი ბრუნვის ნიშნები არ უჩანს,ე.ი. მიცემითის ფორმას ბრუნვის ნიშნად არა აქვს -ს და ნათესაობითს -ნ, მხ.რ. მეორე პირის ნაცვალსახელში ასეთი ფორმანტი, მიცემითის ორდინალური -ს- ნიშნის სახით, წარმოდგენილია(მიც. ვ-ა-ს, შდრ. მიმართ.V-მიც. ვ-ა-რში...).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ივ.ჯავახიშვილი I პ. ნაცვალსახელის ნათესაობითისა და მიცემითის ფორმების (ნათ.ვის, დის, ბის, ის; მიც. ვეზ, დეზ, ბეზ, ეზ) ანალიზის დროს გამოჰყოფს რა პრეფიქსულ კლასის ნიშნებს, დასძენს: "ისე გამოდის, რომ ნათ. ბრუნვის გამომხატველი აქ ი ხმოვანია, მიცემითისა კი ე ხმოვანი".[3] მისივე აზრით II პირის ნაცვალსახელის ფორმებშიც(ნათ. ვიშ, მიც. ვეჟ) "... ი ნათ. ბრ.-სა და ე მიცემითი ბრ-ის ნიშანი ჩანს".[4]

ვ. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ "ისევე, როგორც მხ. რ. I პ. ნაცვალსახელის ძირეული მჟღერი ზ ნათ. ბრუნვაში ყრუ ს-დ

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიმკი-ს მოამბე,XII,გვ.31-50; მ ი ს ი ვ ე, ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში, იკე, II, გვ.91-116; ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, 1965, გვ.199.

2 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს არჩ. ენა, გვ.82-83.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ.531.

4 იქვე, გვ.532.

არის შენაცვლებული, ასევე მრ.რ. 2 პ. ძირეული მჟღერი ჟ ბგერაც ნათ. ბრ-ში ყრუ შ-დ არის შეცვლილი".[1] ცხადია, აქ ერთგვარ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე: ბოლოკიდური მჟღერი თანხმოვნები ი-ხმოვნის შემდეგ ნათესაობითში ფშვინვიერი ბგერების სახითაა წარმოდგენილი; მაგ.: ვიშ ← *ვიჟ ← *ჟვი "თქვენი"; ვის ← *ვიზ... "შენი".[2] ასეთივე მდგომარეობა უნდა გვქონდეს მხ.რ. მეორე პირის ნაცვალსახელის ნათესაობითშიაც; როგორც ჩანს, აქაც ოდინდელი ბოლოკიდური მჟღერი,ი-ხმოვნის მომდევნო, შესაფერის ფშვინვიერ ბგერად ქცეულა: ვით ← *ვიდ. დ-ს თ-დ ქცევის ეს პროცესი ერთდროული უნდა ყოფილიყო ზ-ს ს-დ და ჟ-ს შ-დ ქცევის პროცესებისა. აღდგენილი დ, რასაკვირველია, ძირეული თანხმოვანი ვერ იქნება. ასევე II პ. ნაცვალსახელში ვ არის მიჩნეული. დ ფორმანტისეული თანხმოვანი ჩანს, კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც ახლაც გვაქვს წარმოდგენილი წახურ პირის ნაცვალსახელებში -და//-დი სუფიქსების სახით და მუხადურის (რუთულურის) "ყველა სახელში" -და//-დი,-დ ფორმანტების სახით.[3]

ბ. ეგევე ფორმანტი - ხმოვანი ელემენტითურთ, მაგრამ აგრეთვე ფონეტიკურად სახეცვლილი, უნდა გვქონდეს მრ.რ. პირველი პირის ნაცვალსახელის ნათესაობით ბრუნვაშიც; მაგ. ულუ// ← ულ-ლუ (← *ულ-დუ), დოლო // ← დოლ-ლო (← *დოლ-დო), ბოლო // ← ბოლ-ლო (← *ბოლ-დო), ოლო // ← ოლ-ლო (← *ოლ-დო).

თ. ადგილ.VI ბრუნვის ნიშანი -მა ზოგიერთი ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმაში იწვევს ცვლილებებს. მაგ.: *ვიშ-მა → უშ-მა

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ.531.

2 ანალოგიური ფაქტები ცნობილია თაბასარანული ენის ჩრდილოური დიალექტის დიუბეკის მეტყველებიდანაც (იხ. ალ. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელთა ბრუნება თაბასარანულში, საქართველოს სსრ მეცნ.აკად. მოამბე,XXVII,5,1961,გვ.646).

3 ევ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სახელის ბრუნება წახურულში, იკე, XII, 1960, გვ.415-416.

"თქვენთან"; *ვით-მა́ → უთ-მა́ "შენთან"[1]; მახვილიანი -მა́ სუფიქსის დართვის გამო ი ხმოვანს რედუქცია მოუდის, თანხმოვნის წინ მოხვედრილი ვ კი გადადის უ-ში (ვ → უ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათესაობითსა და მიცემითში მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის I პირის ნაცვალსახელებს აქვთ კლას-ნიშნიანი ფორმები. კლასის ნიშნები მხოლობით რიცხვში პრეფიქსების სახით არის წარმოდგენილი, მრავლობით რიცხვში – პრეფიქსებისა და სუფიქსების სახითაც.

ამრიგად, პირის სახელთა არაძირისეულ ელემენტებად გამოიყოფა -ა-; -ენ, -ონ; -ი-, -ე- და პრეფიქსული და სუფიქსური კლას-ნიშნები.

პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ზონ "მე"	უნ (← *ვ-ონ) "შენ"
ერგ.	ზ-ა-რი	უნ
ნათ.	ვ-ი-ს, დ-ი-ს, ბ-ი-ს, ი-ს	ვით (← *ვ-ი-დ)
მიც.	ვ-ე-ზ, ჲ-ე-ზ, ბ-ე-ძ, ე-ზ	ვ-ა-ს
ადგ.V	ზ-ა-ლ'ბუ	ვ-ა-ლ'ბუ
მიმ.V	ზ-ა-რიქ	ვ-ა-რიქ
დაშ.V	ზ-ა-რიშ	ვ-ა-რიშ
ადგ.VI	ა-ს-მა (← *ი-ს-მა́)	უთ-მა (← *ვით-მა́)

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ნ-ენ (← *ლ-ენ) "ჩვენ" (ექსკლ.)	ნენ-ღუ "ჩვენ" (ინკლ.)	ჟვ-ენ "თქვენ"
ერგ.	ნ-ენ (← *ლ-ენ)	ნენ-ა-ვუ ნენ-ა-რუ ნენ-ა-ბუ ნენ-ღუ	ჟვ-ენ

---

[1] ც. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.84.

ნათ.	ულუ//ულლუ(←ვილ-დო)//ულუჲვუ	ლ-ო-ვუ	ვიძ(←ჳვ-ი)
	დოლო//დოლლო(←დილ-დო)//დოლოჲრუ	ლ-ა-რუ	
	ბოლო//ბოლლო(←ბილ-დო)//ბოლოჲბუ	ლ-ა-ბუ	
	ოლო//ოლლო(←ილ-დო)//ოლოჲტუ	ლ-ა-ტუ	
მიც.	ვ-ე-ლ	ვ-ე-ლ-ა-ვუ	ვეჯ(←ჳვ-ე)
	დ-ე-ლ	დ-ე-ლ-ა-რუ	
	ბ-ე-ლ	ბ-ე-ლ-ა-ბუ	
	ე-ლ	ე-ლ-ტუ	
არგ.V	ლ-ა-ლ'ბუ	ლ-ა-ტუ-ლ'ბუ	ჭვ-ა-ლ'ბუ
მიმ.V	ლ-ა-რიქ	ლ-ა-ტუ-რიქ	ჭვ-ა-რიქ
დამ.V	ლ-ა-რიშ	ლ-ა-ტუ-რიშ	ჭვ-ა-რიშ
არგ.VI	ოლო-მა́	ლ-ა-ტუ-მა́	უშ-მა(←ვიშ-მა́)

სამეცნიერო ლიტერატურაში არჩიბულის პირის ნაცვალსახელებს, გარდა მრ.რ. I პირისა, განიხილავენ ლეზგიური ჯგუფის ენათა სათანადო ნაცვალსახელების გვერდით[1], სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია ისიც, რომ ამ ნაცვალსახელთა ძირები სავსებით ემთხვევიან ლეზგიურ ენათა ამავე პირის ნაცვალსახელთა[2] ძირებს. რაც შეეხება მრ.რ. I პირის ნაცვალსახელს, სახელდობრ, ამ ნაცვალსახელის ფუძისეულ ლ-ს, მას პარალელები დიდოური ქვეჯგუფის ენებში ეძებნება[3], თუმცა დანარჩენი პირის ნაცვალსახელებივით გაფორმებულია არჩიბულისათვის (resp. ლეზგიური ენებისათვის) დამახასიათებელი ფორმანტებით.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური ნაცვალსახელის ჩამოყალიბება-გაფორმება არჩიბულში – უკუქცევითი ნაცვალსახელისაგან – თანდათან და შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო, სავარაუდოა, რამდენადმე გარეშე ფაქტორის, კერძოდ, ლაკური ენის გავლენით.[4]

---

1 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, 1930; G.Dumézil, Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, 1933.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.569...; А. М а г о м е т о в, Личные местоимения лезгинских языков, საქ.სსრ მეცნ.აკად.საზ.მეცნ.განყ. მოამბე,გვ.241–255.

3 იხ. ჟ. დ ი უ მ ე ზ ი ლ ი,დასახ.ნაშრ.,გვ.51; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.563.

4 იხ. კ ა ხ ა ძ ე, ინკლუზიური და ექსკლუზიური ნაცვალსახელების თაობაზე არჩიბულში,იკე,XIV,1964,გვ.363–371.

ამრიგად, არჩიბული ენის პირთა ნაცვალსახელებიდან სამი, როგორც ძირეული მასალით, ისე ფორმანტებით, ლეზგიური ქვეჯგუფის ენათა სათანადო მასალას ემთხვევა, ერთი კი – მრ.რ. I პ. ნაცვალსახელი – ძირეულ ელემენტად ავლენს ისეთ მასალას, რომელსაც პარალელები ეძებნება ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფის ენებში, ხოლო ფორმანტებად – ისეთ ელემენტებს, რაც გვხვდება არჩიბული ენის დანარჩენ ნაცვალსახელებსა და, საერთოდ, ლეზგიური ქვეჯგუფის ენებში.

არჩიბულის ასეთი პოზიცია შემთხვევითი არ არის. ამ ენაში მსგავსი ფაქტები სხვაც არის ცნობილი. ყველა ისინი მეტყველებენ იმაზე, თუ განვითარების რა რთული გზა აქვს განვლილი მას.

2) მ ე ს ა მ ე პირის უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი ნაცვალსახელია ინჟ. არჩიბულს აქვს პირველი და მ ე ო რ ე პირის უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი ნაცვალსახელებიც. ისინი პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ იწარმოება კლას-ნიშნების დართვით. კლასის ნიშნები შეიძლება დაერთოს ინჟ ნაცვალსახელსაც. ეს იქნება მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ი ა ნ ი უკუქცევითი ნაცვალსახელი.

ინჟ ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ინჟ	ინჟ
ერგ.	ჟუ(I კლ.)	ჟე(II,III,IV კლ.)
ნათ.	ჟუ-ნ	ჟე-ნ
მიც.	ჟუ-ს	ჟე-ს
ადგ.I	ჟუ-თ	ჟე-თ
მიმ.I	ჟუ-თხ-ი-ქ	ჟე-თხ-ი-ქ
დამ.I	ჟუ-თხ-ი-შ	ჟე-თხ-ი-შ
ადგ.V(თანაობ.მოქმ.)	ჟუ-ლ'ხუ	ჟე-ლ'ხუ
ადგ.VI	ჟუ-მ-მა ← ჟუ-ნ-მა	ჟე-მ-მა ← ჟე-ნ-მა
მიმ.VI	ჟუ-მ-მა-ქ	ჟე-მ-მა-ქ
დამ.VI	ჟუ-მ-მა-შ	ჟე-მ-მა-შ და ა.შ.

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ქაბ	არგ.V	
ერგ.	ქა-ჲ//ქე-ჲ	(თანამ.	
ნათ.	ქა-ნ	-მოქმ.)	ქა-ლ'ხუ
მიც.	ქა-ს	არგ.VI	ქა-მ-მა ← *ქა-ნ-მა
არგ.I	ქა-თ ,	მიმ.VI	ქა-მ-მა-ქ
მიმ.I	ქა-თხ-ი-ქ	დამ.VI	ქა-მ-მა-შ
დამ.I	ქა-თხ-ი-შ		და ა.შ.

ა. მესამე პირის უკუქცევით ნაცვალსახელში როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში ერგატივი გარჩეულია სახელობითისაგან.

ბ. ინქ სახელობითში არ განასხვავებს კლასებს, მაგრამ ერგატივიდან მიყოლებული აქვს ორი ფორმა - ერთი I კლასისათვის, ერთიც - II, III და IV კლასისათვის. აღსანიშნავია, რომ I კლასის გამოსახატავად გამოყენებულია უ-ხმოვნიანი ფორმა, დანარჩენებისათვის კი - ე-ხმოვნიანი ფორმა.

გ. მხოლობითი რიცხვის ერგატივში ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილი არ არის. ნათესაობითისა და მიცემითის ნიშნები ისევე, როგორც არგილობითი ბრუნვის დაბოლოებანი (გარდა ერთისა), ერგატივის ფორმას უშუალოდ დაერთვის.

დ. მრავლობით რიცხვში ერგატივის ნიშნად გვაქვს -ჲ, რომელიც სხვა ბრუნვებში არ გადაჰყვება. მას სახელობითის ბოლოკიდური ბ-თანხმოვნის ადგილი უჭირავს: სახ. ქა-ბ - ერგ. ქა-ჲ.

ე. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მხ.რ. სახელობითში ფ უ ძ ე ი-ხმოვნიანია, დანარჩენ ბრუნვებში უ- და ე-ხმოვნიანი, მრავლობით რიცხვში კი ა-ხმოვნიანი.

I და II პირის უკუქცევითი ნაცვალსახელები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იწარმოება სათანადო პირის ნაცვალსახელებისგან სუფიქს-კლასნიშნების დართვით. კლას-ნიშნების წინ თავს იჩენს ხმოვანი ა, რომელსაც პირის ნაცვალსახელი, რომლისგანაც უკუქცევითი ნაცვალსახელია ნაწარმოები, ბოლოვდება თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ზ ე - სულ ერთია,

ფუძისეული იქნება ის თუ ფორმანტისეული; მაგ.: სახ. ზონ "მე" - ზონ-ა-ვუ "მე თვითონ", ნამ. ვის - ვასხ-ა-ვუ(I კლ.), დის - დასხ-ა-რუ(II კლ.), ბის - ბასხ-ა-ბუ(III კლ.), ის - ასხა-ჲუ ← *ის-ა-ჲუ (IV კლ.), მიც. ვეზ - ვეზ-ა-ვუ...; სახ. უნ - უნ-ა-ვუ(I კლ.) "შენ თვითონ", ნამ. ვით - უთხ-ა́-ვუ ← *ვით-ა-ვუ(I კლ.), უთხ-ა-რუ(II კლ.), უთხ-ა-ბუ(III კლ.), უთხ-ა-ჲუ(IV კლ.), მიც. ვას - ვასხ-ა-ვუ...; ერგ. ჟვენ "თქვენ" - ჟვენ-ა-ვუ "თქვენ თვითონ"..., ნმ. ვიშ - უშხ-ა-ვუ ← *ვიშ-ა-ვუ(I კლ.), უშხ-ა-რუ(II კლ.), უშხ-აბუ(III კლ.), უშხ-ა-ჲუ(IV კლ.), მიც. ვეჟ - ვეჟ-ა-ვუ...

ამ ა-ს IV კლასის -ჲუ ნიშნის დართვისას, ჩვეულებრივ, მისდის სრული რედუქცია: სახ. ზონ-ჲუ ← *ზონ-ა-ჲუ "მე თვითონ"; სახ.-ერგ. უნ-ჲუ ← *უნ-ა-ჲუ "შენ თვითონ"; სახ. ნენ-ჲუ ← *ნენ-ა-ჲუ "ჩვენ თვითონ"; სახ.-ერგ. ჟვენჲუ ← *ჟვენ-ა-ჲუ "თქვენ თვითონ".

ა გადადის ი-ში II და III კლასის ფორმებში - ჩვეულებრივ, I და IV კლასის ფორმებში - იშვიათად: სახ. ზონ-ი-რუ ← *ზონ-ა-რუ (II კლ.), ზონ-ი-ბუ ← *ზონ-ა-ბუ (III კლ.) "მე თვითონ", მიც. დეზ-ი-რუ ← *დეზ-ა-რუ(II კლ.), ბეზ-ი-ბუ ← *ბეზ-ა-ბუ(III კლ.), ეზ-ი-ჲუ ← *ეზ-ა-ჲუ(IV კლ.); სახ.-ერგ. უნ-ი-რუ ← *უნ-ა-რუ (II კლ.), უნ-ი-ბუ ← *უნ-ა-ბუ(III კლ.) "შენ თვითონ", მიც. ვასხ-ი-რუ ← *ვასხ-ა-რუ (II კლ.), ვასხ-ი-ბუ ← *ვასხ-ა-ბუ(III კლ.), ვასხ-ი-ჲუ ← *ვასხ-ა-ჲუ (IV კლ.); ერგ. ჟვენ-ი-რუ ← *ჟვენ-ა-რუ(II კლ.), ჟვენ-ი-ბუ ← *ჟვენ-ა-ბუ(III კლ.) "თქვენ თვითონ", მიც. ვეჟ-ი-რუ ← *ვეჟ-ა-რუ(II კლ.), ვეჟ-ი-ბუ ← *ვეჟ-ა-ბუ(III კლ.), ვეჟ-ი-ჲუ ← *ვეჟ-ა-ჲუ (IV კლ.)...

უფრო რთული ვითარება იქმნება, როდესაც პირის ნაცვალსახელი ბოლოვდება ხმოვანზე. ასეთ შემთხვევაში ა → *ი → ე და იწვევს წინამავალი ხმოვნების სხვადასხვანაირ ცვლილებებს (იხ. ფონეტიკა): ნამ. ულუ-ე-ვუ ← *ულუ-ა-ვუ(I კლ.), დოლო-ე-რუ ← *დოლო-ა-რუ(II კლ.), ბოლო-ე-ბუ ← *ბოლო-ა-ბუ (III კლ.), ოლო-ე-ჲუ ← *ოლო-ა-ჲუ "თვითონ ჩვენ", ადგილ. ლალ'ხვე-ე-ბუ ← *ლალ'ხვა-ა-ბუ... ერგ. ზარე-ე-ვუ ← *ზარი-ა-ვუ(I კლ.)... ზარე-ე-ჲუ ← *ზარი-ა-ჲუ(IV კლ.)"მე თვითონ"...

უკუქცევით ნაცვალსახელებს შეიძლება ჰქონდეს პ ა რ ა ლ ე ლ - უ რ ი ფორმები, რომლებიც უკუქცევითობას, ზოგადად რომ ვთქვათ, ხაზ-გასმით გამოხატავენ. პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ფორმები ძ ი რ ი თ ა- დ ი ფორმებისგანაა ნაწარმოები აგრეთვე სუფიქსური კლასის ნიშნე-ბის დართვით; ასე რომ, თუ უკუქცევითი ნაცვალსახელების ძ ი რ ი - თ ა დ ფორმებს თ ი თ ო კლას-ნიშანი აქვს, პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ფორმებს ო რ - ო რ ი მოუდის; მაგ. სახ. ჟვენ-ტუ - ჟვენ-ტეჲტუ ← *ჟვენ-ტუ-ა-ტუ "თქვენ თვითონ", ერგ. ჟვენ-ა-ვუ - ჟვენ-ი-ვეჲვუ ← *ჟვენ-ა-ვუ-ა-ვუ(Iკლ.), ნათ. უმь-ა-რუ - უმь-ა-რე-ჲ-რუ ← *უმь-ა-რუ-ა-რუ(IIკლ.)... მიც. ვეჟ-ი-ბუ - ვეჟ-ი-ბე-ჲ-ბუ ← *ვეჟ-ა-ბუ-ა-ბუ (IIIკლ.) და ა.შ.

I და II პ ი რ ი ს კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ი ა ნ ი უ კ უ ქ ც ე- ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ზონ-ა-ვუ(I)..."მე თვითონ"	უნ-ა-ვუ//უნ-ა-ვეჲვუ
	"მე თვითონ"	"შენ თვითონ"
	ზონ-ი-რუ(II)//ზონ-ი-რეჲრუ	უნ-ი-რუ...
	ზონ-ი-ბუ(III)...	უნ-ი-ბუ...
	ზონ-ტუ(IV)...	უნ-ტუ...
ერგ.	ზარე-ჲ-ვუ	უნ-ა-ვუ...
	ზარე-ჲ-რუ	უნ-ი-რუ...
	ზარე-ჲ-ბუ	უნ-ი-ბუ//უნ-ი-ბეჲბუ
	ზარე-ჲ-ტუ	უნ-ტუ...
ნათ.	ვასьა-ვუ//ვასь-ა-ვეჲვუ	უთь-ა-ვუ//უთь-ა-ვეჲვუ
	დასь-ა-რუ//დასь-ა-რეჲრუ	უთь-ა-რუ...
	ბასь-ა-ბუ//ბასь-ა-ბეჲბუ	უთь-ა-ბუ...
	ასь-ა-ტუ//ასь-ა-ტეჲტუ	უთь-ა-ტუ...

მიც.	ვეზ-ა-ვუ//ვეზ-ი-ვეჲვუ	ვასჴ-ა-ვუ//ვასჴ-ა-ვეჲვუ
	დეზ-ი-რუ//დეზ-ი-რეჲრუ	ვასჴ-ი-რუ//ვასჴ-ა-რეჲრუ
	ბეზ-ი-ბუ//ბეზ-ი-ბეჲბუ	ვასჴ-ი-ბუ//ვასჴ-ი-ბეჲბუ
	ეზ-ი-ტუ//ეზ-ი-ტეჲტუ	ვასჴ-ი-ტუ//ვასჴ-ი-ტეჲტუ
		და ა.შ.

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ნენ-ტუ//ნენ-ტეჲტუ	ჯვენ-ტუ//ჯვენ-ტეჲტუ
	"ჩვენ თვითონ"	"თქვენ თვითონ"
ერგ.	ნენ-ი-ვეჲვუ	ჯვენ-ა-ვუ//ჯვენ-ი-ვეჲვუ
	ნენ-ი-რეჲრუ	ჯვენ-ი-რუ//ჯვენ-ი-რეჲრუ
	ნენ-ი-ბეჲბუ	ჯვენ-ი-ბუ//ჯვენ-ი-ბეჲბუ
	ნენ-ტეჲტუ	ჯვენ-ტუ//ჯვენ-ტეჲტუ
ნათ.	ულუ-ჲ-ვუ//ლ-ო-ვეჲვუ	უმჴ-ა-ვუ//უმჴ-ა-ვეჲვუ
	დოლო-ჲ-რუ//ლ-ა-რეჲრუ	უმჴ-ა-რუ//უმჴ-ა-რეჲრუ
	ბოლო-ჲ-ბუ//ლ-ა-ბეჲბუ	უმჴ-ა-ბუ//უმჴ-ა-ბეჲბუ
	ოლო-ჲ-ტუ//ლ-ა-ტეჲტუ	უმჴ-ა-ტუ//უმჴ-ა-ტეჲტუ
მიც.	ველ-ი-ვეჲვუ	ვეჯ-ა-ვუ//ვეჯ-ი-ვეჲვუ
	დელ-ი-რეჲრუ	ვეჯ-ი-რუ//ვეჯ-ი-რეჲრუ
	ბელ-ი-ბეჲბუ	ვეჯ-ი-ბუ//ვეჯ-ი-ბეჲბუ
	ელ-ტეჲტუ	ვეჯ-ი-ტუ//ვეჯ-ი-ტეჲტუ
ადგ.V	ლალʻჴვე-ჲ-ვუ	ჯვალʻჴვე-ჲ-ვუ
	ლალʻჴვე-ჲ-რუ	ჯვალʻჴვე-ჲ-რუ
	ლალʻჴვე-ჲ-ბუ	ჯვალʻჴვე-ჲ-ბუ
	ლალʻჴვე-ჲ-ტუ	ჯვალʻჴვე-ჲ-ტუ

ა. I პირის უკუქცევით ნაცვალსახელს მხოლობითი რიცხვის სახელობითსა და ერგატივში განსხვავებული ფორმები აქვს.

ბ. ერგატივის სუფიქსი, რომელიც მხოლობით რიცხვში პირველი პირის უკუქცევით ნაცვალსახელს მოჰყვება სათანადო პირის ნაცვალსახელისაგან, ცვლილებას განიცდის: -რი → -რე; მაგ.: ზარე-ჲ-ვუ ← *ზა-რი-ჲ-ვუ ← *ზარი-ა-ვუ... (ფონეტიკური ცვლილებების გარდა აქ სხვა ფორმებთან ანალოგიაც უნდა მოქმედებდეს).

გ. მხოლობითი რიცხვის I პირის უკუქცევითი ნაცვალსახელის სახელობითში, ნათესაობითსა და მიცემითში გვაქვს როგორც ძ ი რ ი თ ა დ ი , ისე პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ფორმები, რაც ერგატივში არ ყოფილა დადასტურებული...

დ. სახელობითი და ერგატივი არა აქვს გარჩეული მხოლობითი რიცხვის II პირისა და მრავლობითი რიცხვის I და II პირის უკუქცევით ნაცვალსახელებს იმ განსხვავებით, რომ მრავლობითი რიცხვის სახელობითში I და II პირის უკუქცევით ნაცვალსახელებს თითო ძ ი რ ი თ ა დ ი და თითო პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ფორმა მოეპოვება, ერგატივში კი - ოთხ-ოთხი, გარჩეული კლასების მიხედვით, მაშინ, როდესაც მხოლობითი რიცხვის II პირის უკუქცევით ნაცვალსახელს სახელობითშიაც და ერგატივშიც ოთხი განსხვავებული ფორმა აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრ.რ. ერგატივში I პირის უკუქცევით ნაცვალსახელს მ ხ ო ლ ო დ პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ფორმები მოეპოვება, ძირითადი არ გააჩნია. უკუქცევითი ნაცვალსახელის ეს ძ ი რ ი თ ა დ ი ფორმები დღეს ინკლუზიური ნაცვალსახელის ერგატივს ქმნიან. ასე რომ, ამ მხრივ მრ.რ. I პირის უკუქცევითი ნაცვალსახელი ერგატივში, თუ შეიძლება ასე ითქვას, დ ე ფ ე ქ ტ უ რ ი ა. დეფექტურია აგრეთვე ის მიცემით ბრუნვაში, სადაც მსგავსად ერგატივისა მხოლოდ პარალელური ფორმები გვაქვს, ძირითადი კი გვაკლია. უკუქცევითი ნაცვალსახელის ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო რ მ ე ბ ი ამ შემთხვევაშიც ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ს ა თ ა ნ ა დ ო ბ რ უ ნ ვ ი ს, სახელობრ, მ ი ც ე მ ი თ ი ს ფ ო რ მ ე ბ ს ქმნიან.

სახელობითში მრ.რ. I პირის უკუქცევითი ნაცვალსახელს შენარჩუნებული აქვს როგორც ძ ი რ ი თ ა დ ი ფორმა - ნ ე ნ ტ უ, რომელიც ინკლუზიური ნაცვალსახელის სახელობით-ერგატივის საზიარო ფორმაცაა, ისე მისი პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი სახე - ნენტეღტუ.[1]

---

1 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ინკლუზიური და ექსკლუზიური ნაცვალსახელის თაობაზე არჩიბულში, იკე,XIV, 1964, გვ.368.

ე. მ ე ო რ ე პ ი რ ი ს უკუქცევით ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ძირითად ბრუნვებში აქვს როგორც ძ ი რ ი თ ა დ ი, ისე პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ფორმები. ძირითადი ფორმების გვერდით პარალელური ფორმები დადასტურებულია აგრეთვე მხ.რ. II პირის უკუქცევითი ნაცვალსახელის ძირითად ბრუნვებშიც.

მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს კლას-ნიშნიანი უკუქცევითი ნაცვალსახელი იწარმოება ინჟ უკუქცევითი ნაცვალსახელისაგან ისევე, როგორც I და II პირის უკუქცევითი ნაცვალსახელები შესაბამისი პირის ნაცვალსახელებისაგან.

III პ ი რ ი ს კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ი ა ნ ი უ კ უ ქ ც ე - ვ ი თ ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

მხოლობითი რიცხვი

სახ. ინჟ-ა-ვუ//ინჟ-ა-ვეჷვუ (I) "ის თვითონ"
ინჟ-ი-რუ//ინჟ-ა-რეჷრუ (II)
ინჟ-ი-ბუ//ინჟ-ი-ბეჷბუ (III)
ინჟ-ი-ჲუ//ინჟ-ი-ჲეჷჲუ (IV)

	I კლასი	II, III ან IV კლასი
ერგ.	ჟუ-ვეჷვუ (I)...	ჟე-ვეჷვუ...
	ჟუ-რეჷრუ (II)...	ჟე-რეჷრუ...
	ჟუ-ბეჷბუ (III)...	ჟე-ბეჷბუ...
	ჟუ-ჲეჷჲუ (IV)...	ჟე-ჲეჷჲუ...
ნათ.	ჟუ-ნ-ა-ვუ//ჟუ-ნ-ი-ვეჷვუ	ჟე-ნ-ა-ვუ//ჟე-ნ-ი-ვეჷვუ (I)
	ჟუ-ნ-ი-რუ//ჟუ-ნ-ი-რეჷრუ	ჟე-ნ-ი-რუ//ჟე-ნ-ი-რეჷრუ (II)
	ჟუ-ნ-ი-ბუ//ჟუ-ნ-ი-ბეჷბუ	ჟე-ნ-ი-ბუ//ჟე-ნ-ი-ბეჷბუ (III)
	ჟუ-ნ-ჲუ//ჟუ-ნ-ჲეჷჲუ	ჟე-ნ-ჲუ//ჟე-ნ-ჲეჷჲუ (IV)
მიც.	ჟუ-სბ-ა-ვუ//ჟუ-სბ-ი-ვევუ	ჟე-სბ-ა-ვუ//ჟე-სბ-ი-ვევუ (I)
	ჟუ-სბ-ი-რუ//ჟუ-სბ-ი-რეჷრუ	ჟე-სბ-ი-რუ//ჟე-სბ-ი-რეჷრუ (II)
	ჟუ-სბ-ი-ბუ//ჟუ-სბ-ი-ბეჷბუ	ჟე-სბ-ი-ბუ//ჟე-სბ-ი-ბეჷბუ (III)
	ჟუ-სბ-ი-ჲუ//ჟუ-სბ-ი-ჲეჷჲუ	ჟე-სბ-ი-ჲუ//ჟე-სბ-ი-ჲეჷჲუ (IV)

არგ.I ჟუ-თხე-ვუ   ჟე-თხე-ვუ (I)
ჟუ-თხე-ღ-რუ   ჟე-თხე-ღ-რუ (II)
ჟუ-თხე-ღ-ბუ   ჟე-თხე-ღ-ბუ (III)
ჟუ-თხე-ღ-ცუ   ჟე-თხე-ღ-ცუ (IV)

მიმ.I ჟუ-თხ-ი-ქე-ვუ   ჟე-თხ-ი-ქე-ვუ (I)
ჟუ-თხ-ი-ქე-ღ-რუ   ჟე-თხ-ი-ქე-ღ-რუ (II)
ჟუ-თხ-ი-ქე-ღ-ბუ   ჟე-თხ-ი-ქე-ღ-ბუ (III)
ჟუ-თხ-ი-ქე-ღ-ცუ   ჟე-თხ-ი-ქე-ღ-ცუ (IV)

დამ.I ჟუ-თხ-ი-შე-ვუ   ჟე-თხ-ი-შე-ვუ (I)
ჟუ-თხ-ი-შე-ღ-რუ   ჟე-თხ-ი-შე-ღ-რუ (II)
ჟუ-თხ-ი-შე-ღ-ბუ   ჟე-თხ-ი-შე-ღ-ბუ (III)
ჟუ-თხ-ი-შე-ღ-ცუ   ჟე-თხ-ი-შე-ღ-ცუ (IV)

და ა.შ.

მრავლობითი რიცხვი

სახ. ჟაფხუ(← ჟ̃აშ-ბუ) - ადამიანთა კლასისა; ჟაშ-ცუ - ნივთ.კლ. "ისინი თვითონ"

ერგ. ჟე-ღ-ვუ//ჟე-ღ-ვეღვუ
ჟე-ღ-რუ//ჟე-ღ-რეღრუ
ჟე-ღ-ბუ//ჟე-ღ-ბეღბუ
ჟე-ღ-ცუ//ჟე-ღ-ცეღცუ

ნათ. ჟა-ნ-ა-ვუ//ჟა-ნ-ა-ვეღვუ(I)
ჟა-ნ-ი-რუ//ჟა-ნ-ი-რეღრუ(II)
ჟა-ნ-ი-ბუ//ჟა-ნ-ი-ბეღბუ(III)
ჟა-ნ-ცუ//ჟა-ნ-ცეღცუ (IV)

მიც. ჟა-სხ-ა-ვუ//ჟა-სხ-ი-ვეღვუ (I)
ჟა-სხ-ი-რუ//ჟა-სხ-ი-რეღრუ (II)
ჟა-სხ-ი-ბუ//ჟა-სხ-ი-ბეღბუ (III)
ჟა-სხ-ი-ცუ//ჟა-სხ-ი-ცეღცუ (IV)

და ა.შ.

მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს უ კ უ ქ ც ე ვ ი თ ი ნაცვალსახელისათვის დამოწმებულია როგორც ძირითადი, ისე პარალელური ფორმები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთ ბრუნვებში დადასტურებულია მხოლოდ პარალელური ფორმები, მაგ., მხ.რ. ერგატივში, ზოგიერთში - მარტო ძირითადი ფორმები, მაგ., მხ.რ. ადგილობითში, მიმართულებითში, დაშორებითში და ა.შ.

ყველა ბრუნვაში, გარდა მრავლობითი რიცხვის სახელობითისა, გვაქვს ოთხ-ოთხი ფორმა ოთხი სხვადასხვა კლასის აღსანიშნავად.

მხოლობითი რიცხვის ერგატივიდან მოყოლებული სუფიქსური კლასნიშნებით განსხვავებული ოთხი ფორმა წარმოდგენილია ორი სახით: უ-ხმოვნიანი ფორმებით – I კლასისათვის, და ე-ხმოვნიანი ფორმებით – II,III,IV კლასებისათვის: ერგ. ჟუ-ტეჲტუ აღნიშნავს "მან თვითონ – პირველი კლასისამ, ის – მეოთხე კლასისა", ჟე-ტეჲტუ კი – "მან თვითონ – მეორე, მესამე ან მეოთხე კლასისამ, ის – მეოთხე კლასისა"... ნათ. ჟ-უ-ნ-ი-ბუ ნიშნავს "თვითონ მისი – პირველი კლასისა, ის – მესამე კლასისა", ჟ-ე-ნ-ი-ბუ კი – "თვითონ მისი – მეორე, მესამე ან მეოთხე კლასისა, ის – მესამე კლასისა"... მიც. ჟ-უ-სხ-ი-რუ აღნიშნავს "თვითონ მას – პირველი კლასისა, ის, შენ, მე – მეორე კლასისა", ჟე-სხ-ი-რუ კი – "თვითონ მას – მეორე, მესამე ან მეოთხე კლასისას, ის, შენ, მე – მეორე კლასისა"... ადგილ. I ჟ-უ-თხე-ვუ "თვითონ მასზე – პირველი კლასისაზე, ის, შენ, მე – პირველი კლასისა", ჟ-ე-თხე-ვუ კი – "თვითონ მასზე – მეორე, მესამე ან მეოთხე კლასისაზე, ის, შენ, მე – პირველი კლასისა" და ა.შ.

ორ ხმოვანს შორის მოქცეული მიც. ბრუნვის ფორმანტი ს̱ გადადის ს̱ხ-ში, ადგილობითი ბრუნვის ნიშანი თ̱ კი – თ̱ხ-ში.

მრავლობითი რიცხვის სახელობითში გვაქვს ორი ფორმა: ჟაფხუ ← ჭაბ-ბუ და ჟაბტუ; პირველი ადამიანთა კლასს გამოხატავს, მეორე – ნივთთა კლასს.

მრავლობით რიცხვში ერგატივის ნიშანია -ჲ̣, რომელიც სხვა ბრუნვებში არ გადაჰყვება. ჲ̣-ს გავლენით ფუძისეული ა̣ → ე̣.

ვ) სუფიქსური კლასის ნიშნები შეიძლება დაერთოს ჩვენებით ნაცვალსახელებსაც. ასეთ შემთხვევაში კლასის ნიშნები ჩვენებით ნაცვალსახელს ანიჭებენ დამატებით მნიშვნელობას – "სწორედ":

ჲავ (I კლ.), ჲარ (II კლ.), ჲაბ (III კლ.), ჲათ (IV კლ.) "ეს", ჲებ "ესენი" – ჲოვვეევუ (I კლ.), ჲარეჲრუ (II კლ.), ჲაბეჲბუ (III), ჲათხეჲტუ (IV კლ.) "სწორედ ეს", ჲებეჲბუ "სწორედ ესენი"...

კლასის ნიშნები აქაც ისევე, როგორც უკუქცევით ნაცვალსახელებში, დაერთვის ბრუნვის ნიშნებს. ერგატივის ფორმანტები -ბუ და

-ბი კლას-ნიშნების წინ წარმოდგენილია -მე-ს სახით:

ერგ. თო-ვ-მე-ძ-ბუ ← თო-ვ-მუ-ძ-ბუ ← თო-ვ-მუ-ა-ბუ (მრ.ნათ. თო-ვ-მუ-ნ-უ-ბეძბუ...) "სწორედ მან - პირველი კლასისამ, ის - მესამე კლასისა"; ერგ. თო-ჲ-მე-ძ-ბუ ← თო-ჲ-მი-ძ-ბუ ← თო-ჲ-მი-ა-ბუ (მრ.ნათ.თო-ჲ-მი-ნ-უ-ბეძბუ) "სწორედ მან - II კლასისამ, ის - III კლასისა";

ძო-ვ-მე-ძ-ვუ ← ძა-ვ-მუ-ვუ ← ძა-ვ-მუ-ა-ვუ (მრ. ძო-ვ-მუ-ნ-უ-ვეძვუ) "სწორედ ამან I კლასისამ, ის,შენ,მე - I კლასისა"; ძა-ჲ-მე-ვუ ← ძა-ჲ-მი-ძ-ვუ ← ძა-ჲ-მი-ა-ვუ (მრ. ნათ. ძაჲ-მი-ნ-უ-ვეძ-ვუ) "სწორედ ამან - III კლასისამ, ის, შენ, მე - I კლასისა".

რიგ ბრუნვებში, მაგ., ერგატივში, ნათესაობითსა და სხვ. გვაქვს კლასების მიხედვით განსხვავებული ფორმათა რთული სისტემა:

		I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი
ერგ.	I კლ.	თოვმევვუ	თოჲმევვუ	თომმევვუ	თოთმევვუ
	II კლ.	თოვმეძჲუ	თოჲმეძჲუ	თომმეძჲუ	თოთმეძჲუ
	III კლ.	თოვმეძბუ	თოჲმეძბუ	თომმეძბუ	თოთმეძბუ
	IV კლ.	თოვმეძდუ	თოჲმეძდუ	თომმეძდუ	თოთმეძდუ
		"სწორედ იმან..."			
ნათ.	I კლ.	თოვმუნუვევვუ	თოჲმინუვევვუ		
	II კლ.	თოვმუნუჲეძჲუ	თოჲმინუჲეძჲუ		
	III კლ.	თოვმუნუბეძბუ	თოჲმინუბეძბუ		
	IV კლ.	თოვმუნუდეძდუ	თოჲმინუდეძდუ...		
		"სწორედ იმისი..."			

		I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი
ერგ.	I კლ.	ძოვმეძვუ	ძაჲმევვუ	ძამმეძვუ	ძათმეძვუ
	II კლ.	ძოვმეძჲუ	ძაჲმეძჲუ	ძამმეძჲუ	ძათმეძჲუ
	III კლ.	ძოვმეძბუ	ძაჲმეძბუ	ძამმეძბუ	ძათმეძბუ
	IV კლ.	ძოვმეძდუ	ძაჲმეძდუ	ძამმეძდუ	ძათმეძდუ
		"სწორედ ამან..."			

ნათ. Iკლ. დოვმუნუვევუ დარმინუვევუ
IIკლ. დოვმუნურედრუ დარმინურედრუ
IIIკლ. დოვმუნუბედბუ დარმინუბედბუ
IVკლ. დოვმუნუტედტუ დარმინუტედტუ...
"სწორედ ამისი"...

განვმარტოთ ზოგიერთი მაგალითი:

დო-ვ-მე-დ-ბუ(ერგ.) ხირ ა-ბ-უ-ჯი ნ'ოშ (სახ.IIIკლ.) "სწორედ ეს - I კლასისა, მოიყვანს ცხენს - III კლასისას".

დარ-მე-ვუ (ერგ.) ხირ ო-ვ-ჯი ბოშორ (სახ.Iკლ.) "სწორედ ეს - II კლასისა, მოიყვანს კაცს - I კლასისას".

დო-ვ-მუ-ნ-უ-ბედბუ (ნათ.) ნო'შ (სახ.Iკლ.) "სწორედ ამის - I კლასის, ცხენი - IV კლასისა".

დო-ვ-მუ-ნ-უ-რედრუ (ნათ.) ლ'ბონნოლ (სახ.IIკლ.) "სწორედ ამ-ის-I კლასის, ცოლი- II კლასისა".

და-რ-მი-ნ-უ-რედრუ (ნათ.) დოშდურ (სახ.IIკლ.) "სწორედ ამის - II კლასის, და - II კლასის".

სუფიქსური კლასის ნიშნები: -ბუ, -ვუ, -ბედბუ, -რედრუ და სხვ. მიუთითებენ სახელობით ბრუნვაში მდგომ სახელებზე. რაც შეეხება კლასის ნიშნებს: -ვ-ს, -რ-ს და სხვ., რომლებიც ჩვენებით ნაცვალსახელებს ჰქონდათ იმთავითვე, ისინი გამოხატავენ იმ სახელის კლასს, რომლის ეკვივალენტიცაა სათანადო ნაცვალსახელი. ასეთ შემთხვევაში კლასის ნიშანი შეიძლება აღნიშნავდეს არა მარტო სახელობით ბრუნვაში მყოფ სახელს, არამედ ყველა დანარჩენ ბრუნვაში მყოფსაც.

4) კ ი თ ხ ვ ი თ ი ნაცვალსახელებია ქ ვ ი // ქ ვ ი რ ი "ვინ?" (მრ.რ.ქვიბ) და ჰ ა ნ (ი) "რა?".[1]

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.37; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ. 616; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.86–88.

კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება

სახ.	ქვი "ვინ?"	ჰან(ი) "რა?"
ერგ.	ლ'ბი(← *ლ'ბა-ჲ)//ლ'ბი-ლი	ჰინ-ი́ ← *ჰან-ი́
ნათ.	ლ'ბა-ნ	ჰინ-ი-ნ
მიც.	ლ'ბა-ს	ჰინ-ი-ს
ადგ.I	ლ'ბა-თ	ჰინ-ი-თ
მიმ.I	ლ'ბა-თბიქ	ჰინ-ი-თბიქ
დაშ.I	ლ'ბა-თბიშ	ჰინ-ი-თბიშ
ადგ.II	ლ'ბა-კჴ	ჰინ-ი-კჴ
მიმ.II	ლ'ბა-კჴიქ	ჰინ-ი-კჴიქ
დაშ.II	ლ'ბა-კჴიშ	ჰინ-ი-კჴიშ
ადგ.V	ლ'ბა-ლ'ბუ	ჰინ-ი-ლ'ბუ
მიმ.V	ლ'ბა-რაქ	ჰინ-ი-რაქ
დაშ.V	ლ'ბა-რაშ	ჰინ-ი-რაშ
მიმ.მიც.	ლ'ბა-რში	ჰინ-ი-რში და ა.შ. . .

ა. "ვინ" ნაცვალსახელი ბრუნებისას ორ ფუძეს იყენებს – ერთს სახელობითისათვის, მეორეს – დანარჩენ ბრუნვათათვის. "რა" ნაცვალსახელს ყველა ბრუნვაში ერთი ფუძე აქვს.

ბ. ერგატივში "ვინ" ნაცვალსახელს ორი ფორმა აქვს: ლ'ბი – ძველი, და ლ'ბი-ლი – გვიანდელი. ლ'ბი-ლი ლ'ბი-საგან არის ნაწარმოები -ლი ფორმანტის დართვით. -ლი ერგატივის ნიშანია, რომელიც, როგორც წესი, ფუძეს სხვა ბრუნვებში გაჰყვება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს წესი დარღვეულია: -ლი ფუძეს სხვა ბრუნვებში არ მოჰყვება. -ლი "ვინ" ნაცვალსახელს ერგატივში გვიან გამოუყენებია. მანამდე ერგატივის ნიშნად, როგორც ზემოთაა აღნიშნული, სხვა აფიქსი უნდა ჰქონოდა, კერძოდ, -ჲ, რომელიც მრ.რ. III პ. უკუქცევით ნაცვალსახელშიც გვაქვს დამოწმებული.

-ჲ ფუძეს სხვა ბრუნვებში არ გაჰყვება.

-ჲ-ს კვალი ერგატივის ორივე ფორმას ემჩნევა: ლ'ბი ← *ლ'ბა-ჲ (შდრ. ნათ. ლ'ბა-ნ, მიც. ლ'ბა-ს...); ლ'ბილი ფორმაში ფუძისეული ა → ი -ლი-ს დართვის შედეგი არ არის. -ლი სუფიქსის ი, როგორც

ვიცით, წინამავალ ხმოვანზე ვერ მოქმედებს. ა-საგან მიღებული ი ამ შემთხვევაში ლ'ბი ფორმიდანაა გადმოსული ლ'ბილი ფორმაში.

ამრიგად, თავდაპირველად მხოლოდ ლ'ბი უნდა გვქონოდა. ლ'ბილი გვიანდელი ფორმაა, მიღებული ლ'ბი ფორმისაგან. დღეს ორივე იხმარე-ბა; ამბობენ როგორც ლ'ბი ბო, ისე ლ'ბილი ბო "ვინ თქვა?" და სხვ.

გ. "რა" ნაცვალსახელში ერგატივის ნიშნად გვევლინება ხმოვანი -ი, რომელიც სხვა ბრუნვებში გადაჰყვება. ერგატივის ი მოქმედებს ფუძისეულ ა-ზე - იწვევს მის ი-ში გადასვლას.

დ. მრ.რიცხვში "ვინ" ნაცვალსახელს საკუთარი მხოლოდ სახელობი-თის ფორმა აქვს - ქვიბ. დანარჩენ ბრუნვებში მხოლობითის ფორმებია გამოყენებული.[1] "რა" ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები არჩიბულ-ში დადასტურებული არ ყოფილა.

5) კ ი თ ხ ვ ი თ ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ს შეიძლება დაერთოს -ენი ნაწილაკი და აწარმოოს მათგან გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ნაცვალსახელები - ქვინი "ვიღაც" და ჰანი "რაღაც".

გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა

სახ.	ქვინ̄ნი "ვიღაც"	ჰანი (← *ჰან-ენი) "რაღაც"
ერგ.	ლ'ბინ̄ნი	ჰანინ̄ნი
ნათ.	ლ'ბანე̄ნი	ჰანინე̄ნი
მიც.	ლ'ბასე̄ნი	ჰანისე̄ნი
ადგ.I	ლ'ბათბე̄ნი	ჰანითბე̄ნი
მიმ.I	ლ'ბათბიქე̄ნი	ჰინითბიქე̄ნი
დაშ.I	ლ'ბათბიშე̄ნი	ჰინითბიშე̄ნი
ადგ.V (თანართ.-მოქმ.)	ლ'ბალ'ბნ̄ნი	ჰინილ'ბნ̄ნი
მიმ.V	ლ'ბარაშე̄ნი	ჰინირაშე̄ნი
დაშ.V	ლ'ბარაქე̄ნი	ჰინირაქე̄ნი
მიმ.V-მიც.	ლ'ბარშე̄ნი	ჰინირშე̄ნი და ა.შ.

---

1 იხ. ა. დ ი რ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ.37,შენიშვნა 1.

-ენი ნაცვალსახელებს დაერთვის ბრუნვის ნიშნების შემდეგ და იწვევს ზოგიერთ ცვლილებებს:

ა. ნათესაობითში, მიცემითსა და არგილობით ბრუნვებში ნაწილაკის წინ, ჩანს, თავი იჩინა რაღაც ხმოვანმა. სხვა შემთხვევებში ბრუნვის ნიშნების შემდეგ გამოვლინდება ხოლმე ხმოვანი ა. სავარაუდოა, ა ხმოვანმა თავი იჩინა -ენი ნაწილაკის წინაც, მაგრამ ნაწილაკისეული ე-ს გავლენით იქცა ე-დ, შეერწყა მას და მივიღეთ გრძელი ე̄: ნათ. ლ'ბანენი ← *ლ'ბან-ე-ენი ← *ლ'ბან-ა-ენი; ჰინინე̄ნი ← *ჰინინ-ე-ენი ← *ჰინინ-ა-ენი...

ბ. არგილ. მეხუთეში ფორმანტისეული უ-ს ნაცვლად გვაქვს გრძელი ო: ლ'ბალ'ბო̄ნი და ჰინილ'ბო̄ნი. საფიქრებელია, რომ ნაწილაკის წინ აქაც ხმოვანი ა იყო: ლ'ბალ'ბო̄ნი ← *ლ'ბალ'ბვე̄ნი ← *ლ'ბალ'ბვე-ენი ← *ლ'ბლ'ბვ-ა-ენი; ჰინილ'ბო̄ნი ← *ჰინილ'ბვე̄ნი ← ჰინილ'ბვე-ენი ← *ჰინილ'ბვ-ა-ენი...

გ. ერგატივში -ენი ნაწილაკის წინ "ი" გრძლად გამოითქმის, ივარაუდება, რომ ამ ბრუნვაშიც ბრუნვის ნიშნების -ჲ-სა და -ი-ს შემდეგ გვქონდა ხმოვანი ა: ლ'ბი̄ნი... ← ლ'ბიჲი-ენი ← *ლ'ბაჲ-ა-ენი; ჰინი̄ნი ← *ჰინი-ჲ-ენი ← *ჰინი-ა-ენი.

კითხვით ნაცვალსახელებს დაერთვის -შავ ნაწილაკი და ვიღებთ განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს - ქვი-შავ "ვინმე" და ჰან-შავ "რამე".

ისევე, როგორც -ენი, -შავ-ც ერთვის ბრუნვის ნიშნებს და იწვევს მათში ცვლილებებს, კერძოდ, ამ ნაწილაკის დართვისას ბრუნვის ნიშნების შემდეგ თავს იჩენს ხმოვანი ი, რომელიც წარმოშობით რედუცირებული ა უნდა იყოს: ნათ. ლ'ბან-ი-შავ ← *ლ'ბან-ა-შავ, მიც. ლ'ბას-ი-შავ ← *ლ'ბას-ა-შავ. ეგევე ხმოვანი ერგატივის ნიშნის შემდეგაც ყოფილა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ერგატივის ფორმა, სადაც ნაწილაკის წინ ხმოვანი გრძლად ისმის: ლ'ბი̄შავ ← *ლ'ბა-ჲ-ა-შავ.

6) კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი, როცა -ჰონუ დაერთვის, უარყოფით წინადადებაში უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს მნიშვნელობას იღებენ: ქვი-ჰონუ "არავინ", ჰან-ჰონუ//ჰუნუ "არარა"; მაგ.:

ქვი-ჰონუ (სახ.) იტუ "არავინ არის".

ლ'ბი-ჰონუ (ერგ.) ოვტუ ჲამუთ "არავინ არ გააკეთა ეს (გერმინ. ამაზე)".

-ჰონუ დაერთვის ბრუნვის ნიშნების შემდეგ, მაგრამ რამე ცვლილებებს არ იწვევს მათში; მაგ.: ერგ. ლ'ბი-ჰონუ, ნათ. ლ'ბ-ნ-ჰონუ, მიც. ლ'ბა-ს-ჰონუ, ადგილ.I ლ'ბა-თ-ჰონუ, მიმართ.I ლ'ბათბ-იქ-ჰონუ, ადგილ.(თანაობ.-მოქმ.)V ლ'ბა-ლ'ბუ-ჰონუ, მიმართ.V ლ'ბა-რაქ-ჰონუ, დაშორ.V ლ'ბა-რაშ-ჰონუ, მიმართ.V-მიც. ლ'ბა-რში-ჰონუ, ადგილ.VI ლ'ბამ-მა-ჰონუ, მიმართ.VI ლ'ბა-მ-მა-ქ-ჰონუ და დაშორ.VI ლ'ბამმა-შ-ჰონუ და ა.შ.

ვფიქრობთ, ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ამ ნაცვალსახელის ჩამოყალიბება შედარებით გვიანდელი ამბავია, უფრო გვიანდელი, ვიდრე -ენი ან -შავ ნაწილაკიანი კითხვითი ნაცვალსახელებისა, სადაც -ენი-სა და -შავ-ს წინ აღდგება ოდინდელი ხმოვნები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. I. -ენი, -შავ და -ჰონუ, როგორც დავინახეთ, სახელობითში უსუფიქსო "ვინ" ნაცვალსახელს ერთვის: ქვი-რ̃ი "ვინ" - ქვირ̃ნი" "ვიღაც", ქვი-შავ "ვინმე", ქვი-ჰონუ "არავინ".

2. აღსანიშნავია, რომ ერგატივში -ენი, -შავ და -ჰონუ დაერთვის ლ'ბი ფორმას და არა ლ'ბი-ლი-ს, რომელიც, როგორც აქედანაც ჩანს, ერგატივის უფრო გვიანდელი ფორმა უნდა იყოს.

14. ძ ი რ ი თ ა დ დ ა ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა - თ ა დ ა ბ ო ლ ო ე ბ ე ბ ი ს ს ქ ე მ ა. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითად და ადგილობით ბრუნვათა დაბოლოებების საერთო სქემა, სადაც გათვალისწინებულია ბრუნვის ნიშნების ფონეტიკური ვარიანტებიც.

ძირითადი ბრუნვები

სახ. (ნული)

ერგ. -ლი → (-ლა-..., -ლ-, -ნი, -ნ-, -ი, -0-); -ნი[1];
-რი, -რა, -რო; -ა, -ი, -ჲ; -დე(← *და-ჲ), -თჺა-ჲ →
// -თჺე-ჲ → //-თჺე → (-ნე, -ლე, -რე, -ეჲ, ე...);
-ჩა-ჲ (→ ჩე-); -მა-ჲ (→ -მე-), -მი (-მე-), -მუ(-მე-)

ნათ. -ნ (→ -მ...); -თ (← *დ...), -ლო... (← *დო...)

მიც. -ს // -ჵ

ადგილობითი ბრუნვები

ადგ.I	-თ	"-ზე"...
მიმ.I	-თჺ-იქ	
დაშ.I	-თჺ-იშ	
ადგ.II	-კჺ	"-ქვეშ"
მიმ.II	-კჺ-იქ	
დაშ.II	-კჺ-იშ	
ადგ.III	-ჳ	"-ში" (მაგ. წყალში...)
მიმ.III	-ჳ-იქ //-ჳჺ-იქ	
დაშ.III	-ჳ-იშ // -ჳჺ-იშ	
ადგ.IV	-ა	"-ში" (მაგ., სახლში...)
მიმ.IV	-ა-ქ	
დაშ.IV	-ა-შ	
ადგ.V	-ლ‘ჺუ // -ლ‘უ	"-გვერდით", "-ახლოს", "-თან"
მიმ.V	-რაქ; მიც. -რში	
დაშ.V	-რაშ	
ადგ.VI	-მა	"-თან", "-ში"...
მიმ.VI	-მა-ქ	
დაშ.VI	-მა-შ	

---

1 ოც. კ ა ხ ა ძ ე, კვლავ ერგატივის ნიშნების შესახებ არჩიბულში, იკე, XVI, გვ.246.

ზ მ ნ ა

1. ზ ო გ ა დ ი. არჩიბული ზმნის ძირითადი კატეგორიებია: გრამატიკული კლასი, რიცხვი, დრო და კილო.

რიცხვის კატეგორია დაკავშირებულია გრამატიკული კლასის კატეგორიასთან; რიცხვის გარჩევა კლას-ნიშნების მეშვეობით ხდება.

არჩიბულ ზმნაში, სადაც გრამატიკული კლასის კატეგორია, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ აბსოლუტურად შეურყეველია, დასტურდება პირის კატეგორიის ჩასახვის ერთ-ერთი ძალიან ადრეული საფეხური. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ისევე, როგორც რიცხვის, პირის გარჩევაც არჩიბულ ზმნაში გრამატიკული კლასის კატეგორიასთანაა დაკავშირებული.

2. მ ა რ ტ ი ვ ი დ ა შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ზ მ ნ ე ბ ი. არჩიბულში გვაქვს მ ა რ ტ ი ვ ი და შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ზმნები.[1]

მ ა რ ტ ი ვ ი ზ მ ნ ე ბ ი ს ნიმუშებია:

კის, ბიკის, დიკის, კვის - "მოკვდომა"; ლ'ოს, ბოლ'ოს, დოლ'ოს, ლ'უს - "მიცემა"; ალ'ის, აბლ'ის, არლ'ის, ოლ'ის - "მოსვლა", ცას, ბაცას, დაცას, ცვას - "ქება"...

შ ე დ გ ე ნ ი ლ ზ მ ნ ე ბ შ ი ორ-ორი ნაწილი მონაწილეობს[2], რომელთაგან პირველი შეიძლება დამოუკიდებლადაც იხმარებოდეს, რაიმე სიტყვას წარმოადგენდეს (მაგ., ტე' "ყვავილი", ლ'ხან "წყალი"...)[3], ან სიტყვის ძირი თუ ფუძე იყოს მხოლოდ; მეორე ზმნაა, კერძოდ, მეშველი ზმნა, რომელიც, ჩვეულებრივ, ცალკეც იხმარება. შედგენილ ზმნებში უმთავრესად გამოყენებულია სამი მეშველი ზმნა: ბოს "თქმა", ქეს, ბქეს, დქეს, ქვეს - "ყოფნა", "გახდომა", და ას, აბას, არას, ოვს - "კეთება", "ქმნა"... გვხვდება სხვა ზმნე-

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 48-50.

2 იქვე, გვ. 49.

3 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.95-96.

ბიც, მაგ.: აჩას, აბჩას, არჩას, ოეჩას - "დაგდება", "დაყრა"; ათის, აბთის, ართის, ოვთის "გაშვება"...

მ ე დ გ ე ნ ი ლ ი ზ მ ნ ე ბ ი ს ნიმუშებია:

ბუ ბოს "ბღავილი" (ძროხის,ხარის...); ბე'ბოს "ბღავილი"(ხბო-სი); ჰაკь ბოს "დამთქნარება"; სუნტ ბოს[1] "დასუნვა"; ტანკ ბოს "ხტუნვა", "ხტომა"; ფარ-ბოს "გაელვება", "განათება"; ფარხ ბოს "ფრენა"; ღაჟ ბოს "მკა","თიბვა"; ყიღ ბოს "პარსვა","კრეჭა"; ჰეჲ ბოს "ხვნა"...

და'ზ ას... "გადიდება", ზედმიწ."დიდად გაკეთება" (შდრ. და'ზ ქეს "გაზრდა",ზედმიწ. "დიდად გახდომა"); ლ'ьან ას "ცურვა", ზედ-მიწ. "წყლის კეთება"[2]; ლ'ьვაქ აბას, ას "მიახლოვება"; მარწ ას "წმენდა"...

ლ'ьვანა ქეს... "დამსგავსება"; მუ დექეს, ქვეს "გამოჯანმრთე-ლება"; სინ ქეს... "ცოდნა"; კьან ქეს... "ყვარება"...

ლ'ьან აჩას "მორწყვა"; ტე' აჩას "აყვავება"; სუნტ აჩას "ბურ-ნუთის შესუნთქვა"; ოჲ აჩას "ყურის გდება"...

ხაბარ აბთის "მოყოლა"; კოზ ათьის "გახდა(ტანსაცმლისა...)".

მეშველი ზმნა ბოს, როგორც ეს სწორად აქვს შენიშნული ა.დირს[3], ხშირად ერწყმის მედგენილი ზმნის პირველ ნაწილს და ზმნის სხვადა-სხვა ნაკვთებში განიცდის გარკვეული ხასიათის ცვლილებებს(იხ.ქვ.).

3. კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ი ა ნ ი დ ა უ კ ლ ა ს ი შ ნ ო ზ მ ნ ე ბ ი . არჩიბულში გვაქვს როგორც კლას-ნიშნიანი, ისე უკლასნიშნო ზმნები. ცნობილია, რომ დაღესტნისა და ნახური ჯგუფის ენებში, "რომელთაც გარჩეული აქვთ გრამატიკული კლასები, კლას-ნი-

---

1 შდრ. კუბაჩური სьუნთ ჰაბპყიჲ "დასუნვა", სადაც მეშველ ზმნად "კეთებაა" გამოყენებული და არა "თქმა", როგორც ეს არჩი-ბულში გვაქვს(იხ.ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი ს კუბაჩ.ენა,გვ.171).

2 ასევეა კუბაჩურშიც - შინ დპყიჲ "ცურვა",ზედმიწ."წყლის გაკეთება" (იხ. ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ.171).

3 იხ. ა. დ ი რ ი ს არჩ.ენა,გვ.49და 90; იხ. აგრეთვე, ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ., გვ.96.

შნიანებთან ერთად, უკლასნიშნო ზმნებიც ბევრია"[1], მაგრამ მათი შეფარდება ერთმანეთთან სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირია; მაგ., ხუნძურში "უკლასნიშნო ზმნები გაცილებით მეტია", ვიდრე კლას-ნიშნიანები[2], არჩიბულში, პირიქით, კლას-ნიშნიანი ზმნები ჭარბობს უკლასნიშნოებს. ასეა მარტივ ზმნებში.[3] რაც შეეხება შედგენილ ზმნებს, აქ კლას-ნიშნიანების გვერდით ბევრია უკლასნიშნო ზმნებიც. ეს დამოკიდებულია იმაზე, მეშველ ზმნად რა გვაქვს – უკლასნიშნო ბოს "თქმა", თუ კლას-ნიშნიანი ას "კეთება", ქეს "ყოფნა"... აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ შედგენილ ზმნებში კლას-ნიშანი მის პირველ შემადგენელ ნაწილშიც შეიძლება შეგვხვდეს. ცხადია, ზმნას ასეთ შემთხვევაშიც შეეძლება კლასების გარჩევა.

კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი ს მაგალითები:

აქხურ (IVკლ.), ბ-აქხურ (IIIკლ.), დ-აქხურ (IIკლ.), ვ-აქხურ (Iკლ.) – "ხედავს"; ცო (IVკლ.), ბ-ოცო (IIIკლ.), დ-ოცო (IIკლ.), ცუ (Iკლ.) – "აქო"; კა (IVკლ.), ბ-აკა (IIIკლ.), დ-აკა (IIკლ.), კ-ვ-ა (Iკლ.) – "მოკვდა"... ცახუ (IVკლ.), ცა-ბ-ხუ (IIIკლ.), ცა-რ-ხუ (IIკლ.), ცო-ვ-ხუ (Iკლ.) – "დაეცა"... ეხნი (IVკლ.), ე-ბ-ხნი (IIIკლ.), ე-რ-ხნი (IIკლ.), ე-ვ-ხნი (Iკლ.) – "დაავიწყდა"... ეხდი (IVკლ.), ე-ბ-ხდი (IIIკლ.), ე-რ-ხდი (IIკლ.), ე-ვ-ხდი (Iკლ.) – "ავიდა"... ეხმუს (IVკლ.), ე-ბ-ხმუს (III კლ.), ე-რ-ხმუს (IIკლ.), ე-ვ-ხმუს (Iკლ.) – "დავიწყება"...

უ კ ლ ა ს ნ ი შ ნ ო ზ მ ნ ე ბ ი ს მაგალითები:

ბოს "თქმა"; ბენას "შეძლება"; ჲა‘რხურ "თხრის"; ჰეს "გაყინვა"; ნემნინ//ნემნან "ცრის" და სხვ.

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.236.

2 იქვე.

3 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.49; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.97.

4. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი ს ა რ ჩ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს ზ მ ნ ა შ ი. გრამატიკული კლასის ნიშნები ზმნას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პრეფიქსებად, მხოლოდ ინფიქსებად ან პრეფიქსებადაც, დრო-კილოთა გარკვეულ ნაკვთებში, და ინფიქსებადაც - სხვა ნაკვთებში.[1] ზოგჯერ კლას-ნიშნები სუფიქსადაც გვხვდება.

მხოლოდ პრეფიქსებად კლასის ნიშნები შეიძლება შეგვხვდეს ხმოვნით დაწყებულ ზმნებში ან, უფრო ზუსტად, ისეთ ზმნებში, რომელთაც ფუძე ხმოვნით ეწყებათ; მაგ.:

	Iკლ.	IIკლ.	IIIკლ.	IVკლ.	
ინფ.	ვ-აყას	დ-აყას	ბ-აყას	აყას	-"დაცოვება"
ნამ.	ვ-აყუ	დ-აყუ	ბ-აყუ	აყუ	
აწმ.	ვ-არყარ	დ-არყარ	ბ-არყარ	არყარ	
ინფ.	ვ-ა́ქბის	დ-აქბის	ბ-ა́ქბის	ა́ქბის	-"წასვლა"
ნაპ.	ვ-ა́ქდი	დ-ა́ქდი	ბ-ა́ქდი	ა́ქდი	
აწმ.	ვ-ა́რქბირ	დ-ა́რქბირ	ბ-ა́რქბირ	ა́რქბირ	
ბრძ.	ვ-ა́ქბი	დ-ა́ქბი	ბ-ა́ქბი	ა́ქბი	
ინფ.	ვ-ერყʻ°მუს	დ-ერყʻ°მუს	ბ-ერყʻ°მუს	ერყʻ°მუს	-"დაფარვა"
ნამ.	ვ-ერყʻ°ნი	დ-ერყʻ°ნი	ბ-ერყʻ°ნი	ერყʻ°ნი	
აწმ.	ვ-ერყʻ°ან	დ-ერყʻ°ან	ბ-ერყʻ°ან	ერყʻ°ან	
ბრძ.	ვ-ერყʻ°ინ	დ-ერყʻ°ინ	ბ-ერყʻ°ინ	ერყʻ°ინ	
ინფ.	ვ-აქბუს	დ-აქბუს	ბ-აქბუს	აქბუს	- "ხედვა"
ნამ.	ვ-აქბუ	დ-აქბუ	ბ-აქბუ	აქბუ	
აწმ.	ვ-აქბურ	დ-აქბურ	ბ-აქბურ	აქბურ	
ბრძ.	ვ-აქბვა	დ-აქბვა	ბ-აქბვა	აქბვა	
ინფ.	ვ-ირქბუს	დ-ირქბუს	ბ-ირქბუს	ირქბუს	-"ძებნა"
ნამ.	ვ-ირქბუ	დ-ირქბუ	ბ-ირქბუ	ირქბუ	
აწმ.	ვ-ირქბურ	დ-ირქბურ	ბ-ირქბურ	ირქბურ	
ბრძ.	ვ-ირქბვა	დ-ირქბვა	ბ-ირქბვა	ირქბვა	

---

1 А. Д и р р, Арч. яз., გვ. 49, А.Е. К и б р и к, Избранные главы арчинской грамматики в задачах, "Проблемы структурной лингвистики 1972", Москва, 1973, გვ. 398-399, 414-418.

	Iკლ.	IIკლ.	IIIკლ.	IVკლ.	
ინფ.	უქჿას (← *ვ-ოქჿას)	დ-ოქჿას	ბ-ოქჿას	ოქჿას	– "ნეა"
ნამ.	უქჿუ	დ-ოქჿუ	ბ-ოქჿუ	ოქჿუ	
აწმ.	ურქჿურ	დ-ორქჿურ	ბ-ორქჿურ	ორქჿურ	
ბრძ.	უქჿა	დ-ოქჿა	ბ-ოქჿა	ოქჿა	

ხმოვნით დაწყებული ზმნების ერთ ჯგუფში, სადაც კლასის ნიშნები პრეფიქსებია, ფუძის თავკიდური ხმოვანი I და IVკლ. ფორმებში არ ჩანს. ასეთ ზმნებს პირველი გრამატიკული კლასის ექსპონენტი ვ ძი- რეული თანხმოვნის შემდეგ – თემატური ხმოვნის, დაბოლოების ან სხვა ფორმანტის წინ, აქვს გადასმული[1]; მაგ.:

	IIკლ.	IIIკლ.	Iკლ.	IVკლ.	
ინფ.	დ-აცას	ბ-აცას	ც-ვ-ას	ცას	– "ქება"
ნამ.	დ-ოცო	ბ-ოცო	ცუ (← *ც-ვ-ო)	ცო	
აწმ.	დ-აცარ	ბ-აცარ	ც-ვ-არ	ცარ	
ინფ.	დ-ასას	ბ-ასას	ს-ვ-ას	სას	– "დაჭერა"
ნამ.	დ-ოსო	ბ-ოსო	სუ (← *ს-ვ-ო)	სო	
აწმ.	დ-ასარ	ბ-ასარ	ს-ვ-არ	სარ	
ბრძ.	დ-ასა	ბ-ასა	ს-ვ-ა	სა	

	IIკლ.	IIIკლ.	Iკლ.	IVკლ.	
ინფ.	დ-ახჿას	ბ-ახჿას	ხჿ-ვ-ას	ხჿას	– "ადგომა"
ნამ.	დ-ოხჿო	ბ-ოხჿო	ხჿუ (← *ხ-ვ-ო)	ხჿო	
აწმ.	დ-ახჿარ	ბ-ახჿარ	ხჿ-ვ-არ	ხჿარ	
ბრძ.	დ-ახჿა	ბ-ახჿა	ხჿ-ვ-ა	ხჿა	
ინფ.	დ-უკჿას	ბ-უკჿას	კჿვ-ას (← *კჿვ-ვ-ას)	კჿვას	– "დაკვლა"
ნამ.	დ-უკჿუ	ბ-უკჿუ	კჿუ (← *კჿვ-ვ-უ)	კჿუ (← *კჿვ-უ)	
აწმ.	დ-უკჿარ	ბ-უკჿარ	კჿვ-არ (← *კჿვ-ვ-არ)	კჿვარ	
ბრძ.	დ-უკჿა	ბ-უკჿა	კჿვ-ა (← *კჿვ-ვ-ა)	კჿვა	

---

1 შდრ. С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, 1965, გვ.74,75.

	IIკლ.	IIIკლ.	Iკლ.	IVკლ.	
ინფ.	დ-უჭბუს	ბ-უჭბუს	ჭუბუს(←ჭ-ვ-ბუს)	ჭუბუს	– "შესვლა"
ნამ.	დ-იჟდე	ბ-იჟდე	ჭუთბე	ჭუთბე	
ანმ.	დ-უჭურ	ბ-უჭურ	ჭურ(←ჭ-ვ-ურ)	ჭურ	
ბრძ.	დ-ეჭე	ბ-ეჭე	ჭ-ვ-ე	ჭე	
ინფ.	დ-ოლ'ოს	ბ-ოლ'ოს	ლ'უს(←ლ'-ვ-ოს)	ლ'ოს	– "მიცემა"
ნამ.	დ-ოლ'ო	ბ-ოლ'ო	ლ'უ(←ლ'-ვ-უ)	ლ'ო	
ანმ.	დ-ოლ'ორ	ბ-ოლ'ორ	ლ'ურ(←ლ'-ვ-ორ)	ლ'ორ	
ინფ.	დ-იკის	ბ-იკის	კ-ვ-ის	კის	– "მოკვდომა"
ნამ.	დ-აკა	ბ-აკა	კ-ვ-ა	კა	
ანმ.	დ-აკარ	ბ-აკარ	კ-ვ-არ	· კარ	
ბრძ.	დ-იკიმკა	ბ-იკიმკა	კ-ვ-იმკა	კიმკა	

ხმოვნით დაწყებული ზმნების ნაწილს გრამატიკული კლასის ნიშნები პრეფიქსებად მოუდის აწმყო ზოგადში[1], ბრძანებითსა[2] და სხვა ფორმებში, ინფიქსად – ინფინიტივში[3], ნამყო წყვეტილსა [4] და მათგან ნაწარმოებ ფორმებში; მაგ.:

	Iკლ.	IIკლ.	IIIკლ.	IVკლ.	
ინფ.	ო-ვ-წას(←ა-ვ--წას)	ა-რ-წას	ა-ბ-წას	აწას	– "გავსება"
ნამ.	ო-ვ-წუ	ა-რ-წუ	ა-ბ-წუ	აწუ	
ანმ.	ვ-არწარ	დ-არწარ	ბ-არწარ	არწარ	
ბრძ.	ვ-აწა	დ-აწა	ბ-აწა	აწა	
ინფ.	ო-ვ-ჩას	ა-რ-ჩას	ა-ბ-ჩას	აჩას	–"ცვენა";"მოკვლა"
ნამ.	ო-ვ-ჩუ	ა-რ-ჩუ	ა-ბ-ჩუ	აჩუ	
ანმ.	ვ-არჩარ	დ-არჩარ	ბ-არჩარ	არჩარ	
ბრძ.	ვ-აჩა	დ-აჩა	ბ-აჩა	აჩა	
ინფ.	ო-ვ-თის	ა-რ-თის	ა-ბ-თის	ათის	– "გაშვება"
ნამ.	ო-ვ-თბი	ა-რ-თბი	ა-ბ-თბი	ათბი(←ა-თ-თბი)	
ანმ.	ვ-ართირ	დ-ართირ	ბ-ართირ	ართირ	
ბრძ.	ვ-ათი	დ-ათი	ბ-ათი	ათი	

---

1 შდრ. ა. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.53.
2 შდრ. იქვე, გვ.64; იხ. აგრეთვე შენიშვნა 1.
3 შდრ. იქვე, გვ.53; იხ. აგრეთვე გვ.57.
4 შდრ. იქვე, გვ.57.

	Iკლ.	IIკლ.	IIIკლ.	IVკლ.	
ინფ.	ო-ვ-ლ'ის	ა-რ-ლ'ის	ა-ბ-ლ'ის	ალ'ის	– "მისვლა"
აბმ.	ვ-არლ'ირ	დ-არლ'ირ	ბ-არლ'ირ	არლ'ირ	
ინფ.	ო-ვ-ცას	ა-რ-ცას	ა-ბ-ცას	აცას	– "ქრა"
ნამ.	ო-ვ-ცუ	ა-რ-ცუ	ა-ბ-ცუ	აცუ	
აბმ.	ვ-არცარ	დ-არცარ	ბ-არცარ	არცარ	
ბრძ.	ვ-აცა	დ-აცა	ბ-აცა	აცა	
ინფ.	ე-ვ-ხმუს	ე-რ-ხმუს	ე-ბ-ხმუს	ეხმუს	– "დავინწყება"
ნამ.	ე-ვ-ხნი	ე-რ-ხნი	ე-ბ-ხნი	ეხნი	
აბმ.	ვ-ერხინ	დ-ერხინ	ბ-ერხინ	ერხინ	
ბრძ.	ვ-ეხინ	დ-ეხინ	ბ-ეხინ	ეხინ	
ინფ.	ე-ვ-ხმუს	ე-რ-ხმუს	ე-ბ-ხმუს	ეხმუს	– "ასვლა"...
ნამ.	ე-ვ-ხდი	ე-რ-ხდი	ე-ბ-ხდი	ეხდი	
აბმ.	ვ-ერხირ	დ-ერხირ	ბ-ერხირ	ერხირ	
ბრძ.	ვ-ეხი	დ-ეხი	ბ-ეხი	ეხი...	

კლასის ნიშანი ინფიქსად – ფუძისეული თანხმოვნის წინ, დაღესტნის სხვა ენებშიც გვაქვს, მაგ.: ლაკურში[1], თაბასარანულში (ხშირად)[2], ბოთლიხურში[3], ანდიურში (იშვიათად)[4]...

არჩიბულში, როგორც გამონაკლისი, გვხვდება ისეთი ზმნებიც, სადაც ძ ი რ ე უ ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი არ შემონახულა, არა გვაქვს. ასეთ ზმნებში კლასის ნიშანი შეიძლება აღმოგვაჩნდეს თემატური ხმოვნის ან დაბოლოების წინ – ფუძისეული ხმოვნის მომდევნოდ; მაგ.:

---

1 პ. უ ს ლ ა რ ი, ლაკ.ენა,გვ.12,14...; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურში,ენიმკი-ს მოამბე XIII,1942, გვ.174; Л. Ж и р к о в, Лакский язык, 1955,გვ.83.

2 А. Д и р р, Табасаранский яз., 1905,გვ.47; А. М а г о м е т о в, О строе глагола в табасаранском языке, 1961,გვ.228,231,232; მ ი ს ი ვ ე, Табасаранский язык, 1965,გვ.84.

3 ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, 1963, გვ.46.

4 ა. დ ი რ ი, ანდიური ენა,1906, გვ.115; ილ. ც ე რ ც ვ ა-ძ ე, ანდიური ენა, 1965,გვ.215.

	I კლ.	II კლ.	III კლ.	
ინფ.	ა-ვ-ს// → ო-ვ-ს	ა-რ-ა-ს	ა-ბ-ა-ს...	"კეთება"
ნამ.	ა-ვ(← *ა-ვ-უ)	ა-რ-უ	ა-ბ-უ...	
ნამ.	ე-ვ-დი(← ა-ვ-დი)	ე-რ-დი(← ა-რ-დი)	ე-ბ-დი...	"იყო"

გრამატიკულ კლასთა ექსპონენტები მხოლოდ ინფიქსებად გვხვდე-ბა თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი თ (და Ձ-ით) დაწყებულ ძირებთან;[1] ას-ეთ შემთხვევაში კლასის ნიშანი ფუძის ბოლო თანხმოვნის წინაა; მაგ.:

	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
ინფ.	სო-ვ-ქბას	სა-რ-ქბას	სა-ბ-ქბას	სა-ქბას - "ყურება"
ნამ.	სო-ვ-ქბუ	სა-რ-ქბუ	სა-ბ-ქბუ	სა-ქბუ
აწმ.	სო-ვ-ქბარ	სა-რ-ქბარ	სა-ბ-ქბარ	სა-ქბარ...
ინფ.	ქო-ვ-შას[2]	ქვა-რ-შას	ქვა-ბ-შას	ქვა-შას -"მოხვედ-რა"
ნამ.	ქო-ვ-შუ	ქვა-რ-შუ	ქვა-ბ-შუ	ქვა-შუ
აწმ.	ქო-ვ-შარ	ქვა-რ-შარ	ქვა-ბ-შარ	ქვა-შარ
ბრძ.	ქო-ვ-შა	ქვა-რ-შა	ქვა-ბ-შა	ქვა-შა
ინფ.	ლ'ბუხას (←ლ'ბოვხას)	ლ'ბო-რ-ხას	ლ'ბო-ბ-ხას	ლ'ბო-ხას -"არევა"
ნამ.	ლ'ბუხუ	ლ'ბო-რ-ხუ	ლ'ბო-ბ-ხუ	ლ'ბო-ხუ
ბრძ.	ლ'ბუხა	ლ'ბო-რ-ხა	ლ'ბო-ბ-ხა	ლ'ბო-ხა
ინფ.	ცო-ვ-ხას	ცა-რ-ხას	ცა-ბ-ხას	ცა-ხას - "დაცემა"
ნამ.	ცო-ვ-ხუ	ცა-რ-ხუ	ცა-ბ-ხუ	ცა-ხუ
აწმ.	ცო-ვ-ხარ	ცა-რ-ხარ	ცა-ბ-ხარ	ცა-ხარ//ცა-რ-ხარ
ინფ.	-	-	ჰვე-ბ-ქბუს	ჰვე-ქბუს - "გა-ტყავება"
ნამ.	-	-	ჰვე-ბ-ქნი	ჰვე-ქნი
აწმ.	-	-	ჰვე-ბ-ქბან	ჰვე-ქბან
ბრძ.	-	-	ჰვე-ბ-ქბინ	ჰვე-ქბინ

---

1 С. Х а й д а к о в, О спряжении арч. глаг., 1965, გვ. 77.

2 ქოვშას ← ქ̌ეოვშას ← *ქვავშას (ა.დირი).

ამრიგად, არჩიბულში ზმნას კლასის ნიშანი შეიძლება ჰქონდეს ფუძის წინ, ფუძეში ან ფუძის მომდევნოდ.

*

*   *

ზ მ ნ ა შ ი კ ლ ა ს ი ს ნიშნით აღინიშნება სუბიექტის კლასი, თუ ზმნა გარდაუვალია, ან ობიექტის კლასი, თუ ზმნა გარდამავალია.

კლასის ნიშნების მქონე ზმნა გრამატიკული კლასების მიხედვით იცვლება მხოლოობით რიცხვშიც და მრავლობითშიც. უკლასნიშნოს,ცხადია, ასეთი ცვლა არ შეუძლია – მას ყველა კლასისა და ორივე რიცხვისათვის აქვს მხოლოდ ერთი ფორმა.[1]

არჩიბული ზმნა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მხოლოობით რიცხვში განასხვავებს ოთხ კლასს, მრავლობითში ორს – ა დ ა მ ი ა - ნ თ ა კ ლ ა ს ს ა და ნ ი ვ თ თ ა კ ლ ა ს ს.[2] ადამიანთა კლასის მრავლობითობის გამოსახატავად გამოყენებულია მხოლოობითი რიცხვის III კლასის ფორმები, ნივთთა კლასის მრავლობითობის გამოსახატავად – IV კლასის ფორმები;[3] შდრ.:

მხ.რ.

I კლ. დიჲა, უმთუ... ვი "მამა, ძმა ... არის"

II კლ. ბუვა, დოშთბურ ... დი "დედა, და ... არის"

III კლ. გონ, ნო'შ ... ბი "თითი, ცხენი ... არის"

IV კლ. ბიშ, გუნდი, ლო ... ი "ხბო, ორმო, ბავშვი... არის"

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ.ენა,გვ.50,შენიშვნა 3; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო-ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.98.

2 პ. უ ს ლ ა რ ი, ლაკ.ენა,დამატება,გვ.9; შდრ. А.Е. К и б р и к, О формальном выделении согласовательных классов в арчинском яв.,ВЯ, 1972,№1,გვ.124-131; მ ი ს ი ვ ე, Синтаксические критерии выделения согласовательных классов в арчинском языке (მოხსენების თეზისები,ნალჩიკი, 1971, გვ.72-73).

3 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი,დასახ.ნაშრ,გვ.98,§ 74.

მრ.რ.

I. ა ღ ა მ ი ა ნ თ ა კ ლ ა ს ი – ღიჲათხუ, ომობ, ლობურ... ბი "მშობლები (ბერმინ.მამები),ები // ძმები, ბავშვები ... არიან"

II. ნ ი ვ თ თ ა კ ლ ა ს ი – გონორ, ნო'მორ, ბოშორ, გუნღითხუ ... ი "თითები, ცხენები, ხბორები, ორმოები ... არის" (გერმინ. "არიან").

მხ.რ.

Iკლ. ღიჲა ოვხუ "მამამ იბანავა"

IIკლ. ბუვა არხუ "ღედამ იბანავა"

IIIკლ. გამუმ აბხუ "კამეჩმა იბანავა"

IVკლ. ლო ახუ "ბავშვმა იბანავა"

მრ.რ.

I. ა ღ ა მ ი ა ნ თ ა კ ლ ა ს ი – ღიჲათხუ, ბუვათხუ, ლობურ აბხუ "მამებმა, დედებმა, ბავშვებმა იბანავეს".

II. ნ ი ვ თ თ ა კ ლ ა ს ი – გამუმარ ახუ "კამეჩებმა იბანავეს"...

*

*   *

არჩიბული ზმნა მონოპერსონალურია. მასში კლასის ნიშნით აღინიშნება მხოლოდ ერთი სახელის კლასი – ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი მდგომი სახელისა. გარჩეულია გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი და გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ზმნები.

გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ზმნის რეალური სუბიექტი ერგატივში დაისმის, რეალური ობიექტი (უახლოესი ობიექტი)[1] – სახელობითში;

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში... II, 1961, გვ.126-127.

მაგ.: ბუვამუ (RS ერგ.ბრ.) აქხომის ყ'ვატ (RO სახ.ბრ.) ბეკხუ "დედამ დილით ქუჩა დაგავა..." ალიმუ (RS ერგ.ბრ.) ხ'ა'ფხ'ი' (ṘC სახ.ბრ.) ბოსოლი "ალის (გერმინ."ალიმ") თევზი დაუჭერია..." ჰხალიმათლი (RS ერგ.ბრ.) ო'ნთ (RO სახ.ბრ.) ერხბურ "ჰალიმათი (გერმინ."ჰალიმათმა") თავს (გერმინ."თავი") ივარცხნის..."

გარდამავალ ზმნებში უღვლილება ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა. ზმნაში კლასის ნიშნით ო ბ ი ე ქ ტ ი ა აღნიშნული.

გარდაუვალი ზმნის რეალური სუბიექტი სახელობითში დაისმის, ძაგ.: ანს (RS სახ.ბრ.) ლაბხინში ბერშხუ "ხარმა (გერმინ."ხარი") ბევრი ირბინა..." არამთილ (RSსახ.ბრ.) დორაჲ გვაბყ'უ "მამაკა-ცები სანახშობზე შეგროვდნენ..." ოლიმა დარზილა ნონ (RS სახ.ბრ.) კალი "ჩვენს აივანზე ჩიტი მომკვდარა..."

გარდაუვალ ზმნებში, როდესაც მათთან დაკავშირებულია მხოლოდ ერთი სახელი, უღვლილება ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა. ზმნაში კლასის ნიშნით სახელობით ბრუნვაში დასმული ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა აღნიშ-ნული. მაგრამ გარდაუვალ ზმნასთან რეალური სუბიექტი შეიძლება იყოს არა მარტო სახელობითში, არამედ მ ი ც ე მ ი თ ს ა და ნ ა-თ ე ს ა ო ბ ი თ შ ი ც; მაგ.: უმმუს (RS მიც.ბრ.) ხო კოს (RC სახ.ბრ.) "მამამ იპოვა დანა"... ეზ (RS მიც.ბრ.) ბიმ აქხურ "მე ვხედავ ხბოს"... დომმინ (RS ნათ.ბრ.) ლ́ო (RO სახ.ბრ.) ი "დას შვილი ჰყავს" (გერმინ. "დის არის შვილი")... ასეთ შემთხვევაში ზმნაში აღინიშნება არა სუბიექტის კლასი, არამედ სახელობით ბრუნ-ვაში მდგომი ობიექტისა.

ამრიგად, არჩიბულში გარდამავალ ზმნასთან რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ე რ გ ა ტ ი ვ შ ი ა, გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ზმნასთან – ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი ან მ ი ც ე მ ი თ ს ა და ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ შ ი, ე.ი. არჩიბულში სუბიექტის ბრუნვის მიხედვით გარჩეულია ოთხი კონსტრუქცია – ერგატიული, ნომინატიური, დატიური, პოსესიური.

არჩიბულში გ ვ ა რ ი ს მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ა არ დასტურდება, მოქმედებითი და ვნებითი გვარი გარჩეული არ არის. აქ ისევე, როგორც, მაგ., ხუნძურში[1], ანდიურში[2], უდიურში[3]... ერთსა და იმავე ზმნას შეიძლება ჰქონდეს მოქმედებითი გვარის შინაარსიც და ვნებითი გვარისაც, ის შეიძლება იყოს გარდამავალიც და გარდაუვალიც; დო'ზბამუ ინხ ნ̄ ა "ბებიამ ერბო გადაადნო" - შდრ. ინხ ნ̄ ა "ერბო გადნა"; წეჲთბეჲ მოთოლ ა ვ "თხამ თიკანი მოიგო"- შდრ. ზონ ო ვ არშა "მე დავიბადე არჩიბში"; ზარი ... აჰბუ არჰბუთ "მე ... გავტეხე კაკალი" - შდრ. არაბლინ დალი აბჰბუ "ურმის ღერძი გატყდა"; ბუვამუ აკხის ო'რხ'ი ცაღუ "დედამ ხორცს მარილი დააყარა" - შდრ. მულიქ ბარჰ ც ა ბ ღ უ "მზემ მთა გაანათა" (ზედმიწ."მოეფინა","მოეყარა"...)...

ამრიგად, არჩიბულშიც დასტურდება ისეთი ზმნები, რომლებიც ქმნიან ერგატიულ კონსტრუქციასაც და ნომინატიურსაც, ასეთ ზმნებთან ერგატიული კონსტრუქცია ლაბილურია.

როგორც ვხედავთ, არჩიბული ენის მასალაც სავსებით ადასტურებს იმ დებულებებს, რაც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალის ანალიზის საფუძველზე იყო მიღებული ზმნის გარდამავლობისა და გვარის საკითხთან დაკავშირებით.[4]

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკი-ს მოამბე,XII,გვ.234-237.

2 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.223-224.

3 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდიური ენა, გვ.98...

4 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკი-ს მოამბე,XII,გვ.234-237; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.238-245,§144-146; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის XV სამეც.სესიის თეზისები, 1972, გვ. 26-27.

შედგენილ (რთულ) ზმნებში გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ა-გ ა რ- დ ა უ ვ ა ლ ო ბ ა უფრო მკვეთრადაა გამიჯნული, ვიდრე მარტივ ზმნებში. ეს ბუნებრივიცაა: შედგენილ გარდამავალ ზმნებში ერგატიული კონსტრუქცია სტაბილურია. გარდა ამისა, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების საწარმოებლად გამოყენებულია სხვადასხვა მეშველი ზმნა:

1. შედგენილი ზმნა გარდამავალია და შინაარსით მოქმედებითი გვარის ზმნის ბადალი, თუ მასში ას (აბას, არას, ოეს) "კეთება", "ქმნა" მეშველი ზმნა მონაწილეობს; მაგ.: და'ზ ას "გადიდება" (ზედმიწ."დიდად გაკეთება"); სინ არ "სწავლობს" (ზედმიწ."ნაცნობს აკეთებს"); ში არ "წერს"; მარწ არ "წმენდს"; ლ'ბვაქ არ "აახლოებს"; ხირ ავ "მოიყვანა"; ტალა ავ "გაგზავნა"...

2. შედგენილი ზმნა გარდაუვალია და მნიშვნელობით ვნებითი ან საშუალო გვარის ზმნას ეფარდება, თუ მასში ქეს (ბექეს, დექეს, ქვეს, აწმ.ზ. ქერ, ბექერ, დექერ, ქვერ, ნამ.ძ. ეთხი (//ედი), ერთხი(//ერდი), ევთხი //ევდი) "გახდომა"... მეშველი ზმნა შედის; მაგ.: და'ზ ქეს "გაზრდა" (ზედმიწ."დიდად გახდომა"), მუ დექეს "გამოჯანმრთელება" (ზედმიწ."კარგად გახდომა"), სინ ქერ "იცის" (ზედმიწ."ნაცნობია"), ტი ქერ "მცირდება" (ზედმიწ. "მცირე ხდება"), და'ზ ქერ "დიდდება" (ზედმიწ."დიდი ხდება")...

3. შედგენილი ზმნა გარდამავალია ან გარდაუვალი და მნიშვნელობით მოქმედებითი ან საშუალო გვარის ზმნას ეტოლება, თუ მასში ბოს "თქმა" მეშველი ზმნა მონაწილეობს; მაგ.: ხარტ ბო "გაპარსა", ჰა'რშ ბო "აადუღა"... ბე' ბოს "ბღავილი", ფარხ ბოს "ფრენა"...

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ნახურში, მუხადურში...,[1] კუბაჩურში...[2]

---

1 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდიური ენა, გვ.77-79.
2 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, კუბაჩური ენა, გვ.170-171.

არჩიბულში დასტურდება სტაბილური კონსტრუქციის ისეთი გარდამავალი ზმნებიც, რომლებიც მიღებულია ძირითადი ზმნის ინფინიტივის ფორმისა და ას... "კეთება" მეშველი ზმნის შეხამებით, და რომელთაც ზოგჯერ კაუზატივის გაგებაც შეიძლება ჰქონდეს:[1]

ყურნემლი ევქის ავ დო'ზიდა "ჯორმა ჩამოაგდო ბაბუა" (შდრ. ზონავ ევქუ ყურნემლითხიშ "მე თვითონ ჩამოვვარდი ჯორიდან"...); ჟაბუ ყ'ოთხუ ავლაჰით ქუმმუს არ "...ცხვარს ზამთარში მინდორში აჟმევენ" (შდრ. ქვან "ჟამს");...ჲამუ კვისხუ ვარ "...მას კლავს კიდეც" (შდრ.ბეშორ კვალი "კაცი მომკვდარა"); ჟვენ ... ო'ნთ დაში ყ'ვერყ́ღგოს არ? "თქვენ... თავს საითკენ აბრუნებთ?" თოვმუ ქვებქ°ის აბუ ნ'ოშ ხარაში "მან უკან დააბრუნა ცხენი" (შდრ. ნო'შ ქვებქთ°ი "ცხენი დაბრუნდა"); ... ონ ხ'აფ°უნა ა'ხ'ას არ "ცეცხლს სწრაფად აქრობენ" (შდრ. ა'რხ'ურ "ქრება"); ...ჲამუმმინ ოლ'ირხ°მუს არ ... "მის მატყლს ამუშავებენ" (შდრ. ირხ°ინ "მუშაობს"); ასთ°უ ფლან ზარეჲტუ ბათ°ემას ავ "ჩემი გეგმა მე თვითონ შევასრულე".

5. პ ი რ თ ა გ ა რ ჩ ე ვ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს ა რ ჩ ი ბ უ ლ ზ მ ნ ა შ ი. იბერიულ-კავკასიურ ენებში, როგორც ცნობილია, უღვლილების სამი სხვადასხვა ტიპია: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი. ამ ენათა დაღესტნის ჯგუფში ერთიც შეიძლება შეგვხვდეს, მეორეცა და მესამეც; მაგ.: კლასოვანი უღვლილება'გვაქვს ხუნძურში, დიდოურში..., კლასოვან-პიროვანი - დარგუულში, ლაკურში, თაბასარანულში..., პიროვანი - უდიურში.

ლეზგიურსა და აღულურში ზმნა არც კლასების მიხედვით იცვლება და არც პირების მიხედვით.

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ.ენა,გვ.125; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.137, § 93.

განვითარების ძველი საფეხური წარმოდგენილია კლასოვან უღვლილებაში. ის არის ამოსავალი დანარჩენი ორისათვის.[1]

პირის კატეგორიის ჩ ა ს ა ხ ვ ი ს სხვადასხვა ფორმები და საფეხურებია დამოწმებული ხუნძური ენის ჭარულ[2] და ანწუხურ[3] დიალექტებში, წახურ[4], ახვახურ[5] და ტინდიურ[6] ენებში.

----

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით, ენიმკი-ს მოამბე, X, 1941, გვ.55-74; მ ი ს ი ვ ე, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგიერთი საკითხი ძველ ქართულში, იკე, V, გვ.53-54; მ ი ს ი ვ ე, Основные типы спряжения глаголов и их исторические взаимоотношения в иберийско-кавказских языках, 1960; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ქართველური ენები და მათი მნიშვნელობა იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული ისტორიისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV(IX) სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, 1952, გვ.27-28; გ. რ ო გ ა ვ ა, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, 1956, გვ.VIII-IX; ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1968, გვ.58.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, საანგარიშო მოხსენება ხუნძური (ავარიული) ენის ჭარულ კილოზე მუშაობისა ზაქათალაში (1-14.VIII,1938), ენიმკი-ს მოამბე, IV(3), 1939, გვ.228; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენის ჭარული კილოს თავისებურებანი, საქ.სსრ მეცნ.აკად.ენის ინსტიტუტის IV სამეცნ. სესიის თეზისები, 1948, გვ.10; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ.233.

3 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იკე, II, 1948, გვ.181-182.

4 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურ ენებში, იკე, V, 1953, გვ.458.

5 ზ. მ ა ჰ ო მ ე დ ბ ე კ ო ვ ა, ახვახური ენა, 1967, გვ.79-83.

6 გ. თ ო ფ უ რ ი ა, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, XIII, 1962, გვ.62; ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 75-76.

რა მდგომარეობა ამ მხრივ, კერძოდ, ზმნაში პირთა გარჩევის მხრივ, არჩიბულში?

პირის კატეგორიის შესახებ არჩიბულში ა.დირი შემდეგს წერს: "ზმნა ეთანხმება თავის ქვემდებარეს" მარტო სქესსა და რიცხვში (კლასის ელემენტების საშუალებით); განსაკუთრებული ფორმები სხვადასხვა პირისათვის არ მოიპოვება", და იქვე, შენიშვნაში, დასძენს: "ასევე არ არის განსაკუთრებული ფორმები ორივე რიცხვისათვის (გარდა კლასის ელემენტებისა), ბრძანებითის გამოკლებით, რის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი". ქვემოთ კი, 64 გვერდზე, ბრძანებითის წარმოებაზე მსჯელობისას ნათქვამია: "ნატვრითი კილო, რომელიც ბრძანებითის მესამე პირის როლსაც ასრულებს, იწარმოება ბრძანებითისაგან ზა სუფიქსის მიმატებით".[1]

უფრო კატეგორიულად აქვთ ნათქვამი ამ საკითხზე სხვა ავტორებს: "არჩიბულ ენას არ გააჩნია პიროვანი უღლილება",- წერს ს. ხაიდაკოვი;[2] "თავიდანვე საჭიროა აღინიშნოს, რომ არჩიბულში ზმნა პირების მიხედვით არ იცვლება...", - უწერია ყ.მიქაილოვს 1967 წელს გამოსულ თავის შრომაში არჩიბულის შესახებ.[3]

მაგრამ ეს მთლად ასე არ არის, რაც, როგორც დავინახეთ, ნაწილობრივ ა.დირის ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდანაც ჩანს. მართლაც, არჩიბული ზმნა, რომელიც კლასების მიხედვით იცვლება, სათანადო პირობებში თავისებურად, მაგრამ მაინც, პირებსაც განარჩევს. აქ მხედველობაში გვაქვს არჩიბულის შემდეგი ფაქტები: I და II პირში ზმნა მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი იყენებს მხოლობითის IV კლასის ფორმებს, III პირში კი - III კლასის ფორმებს, თუ ადამიანთა კლასის სიმრავლე იგულისხმება, და IV კლასის ფორმებს, თუ ნივთთა კლასის სიმრავლეა აღ-

1 ა. დ ი რ ი, არჩ.ენა, 1908,გვ.50.

2 С.М. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, გვ.78.

3 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.95.

სანიშნავი. ასეა ეს მაშინაც, როდესაც გარდაუვალი ზმნის რეალურ სუბიექტთან გვაქვს საქმე და მაშინაც, როდესაც გარდამავალი ზმნის რეალური ობიექტია გამოსახატავი. ასე რომ, არამიანთა კლასის სახელებთან ასეთ შემთხვევაში ერთი ფორმა გვაქვს მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირისათვის, მეორე - ამავე რიცხვის მესამე პირისათვის. სხვანაირად, ნენ "ჩვენ" და ქვენ "თქვენ" ზმნაში ერთი ფორმით გამოიხატება, გარდაუვალი იქნება ის თუ გარდამავალი, თებ "ისინი" - სხვა ფორმით; მაგ.:

ნენ ი	"ჩვენ ვართ"
ქვენ ი	"თქვენ ხართ"
თებ ბი	"ისინი (არამიანები) არიან"
ნენ ოჴბა	"ჩვენ წავედით"
ქვენ ოჴბა	"თქვენ წახვედით"
თებ ობჴბა	"ისინი (არამიანები) წავიდნენ"
ნენ არლ'ირ	"ჩვენ მოვდივართ"
ქვენ არლ'ირ	"თქვენ მოდიხართ"
თებ ბარლ'ირ	"ისინი (არამიანები) მოდიან"
ნენ ხვალ	"ჩვენ ვკვდებით"
ქვენ ხვალ	"თქვენ კვდებით"
თებ ბუხალ	"ისინი (არამიანები) კვდებიან"
ნენ ორყირ	"ჩვენ ვსხდებით"
ქვენ ორყირ	"თქვენ სხდებით"
თებ ბორყირ	"ისინი (არამიანები) სხდებიან"
ნენ ხ̈არ	"ჩვენ ვიცინით"
ქვენ ხ̈არ	"თქვენ იცინით"
თებ ბახ̈არ	"ისინი იცინიან"
ნენ ჰერშარ	"ჩვენ დავრბივართ"
ქვენ ჰერშარ	"თქვენ დარბიხართ"
თებ ბერშარ	"ისინი (არამიანები) დარბიან"

ზარი ჟვენ ართირ	"მე თქვენ გიშვებთ"
უნ ნენ ართირ	"შენ ჩვენ გვიშვებ"
ზარი თებ ბართირ	"მე მათ (ადამიანებს) ვუშვებ"
უნ თებ ბართირ	"შენ მათ (ადამიანებს) უშვებ"

თეჲმაჲ ნენ ოქა	"მათ ჩვენ თან წაგვიყვანეს"
თეჲმაჲ ჟვენ ოქა	"მათ თქვენ თან წაგიყვანეს"
თეჲმაჲ თებ ობქა	"მათ ისინი(ადამიანები) თან წაიყვან.-ეს".[1]

აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს პირის კატეგორიის ჩასახვის ძალიან ადრეულ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ ისეთ პირველად საფეხურთან, როდესაც ენაში გრამატიკული კლასის კატეგორია ჯერ კიდევ აბსოლუტურად შეურყეველია და პირთა გასარჩევად გამოყენებულია არა რაიმე სპეციალური სუფიქსები, როგორიც, მაგ., ბაცბურსა[2] და თაბასარანულშია[3], არამედ ზმნის ფორმები, რომლებიც მხოლობით რიცხვში კლასებს განარჩევენ, მრავლობითში კი – კლასებსაც და პირებსაც. არჩიბულში პირთა გარჩევის სისტემა ისეთივეა, როგორც დარგუულის მრავლობით რიცხვში[4], ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დარგუული პირებს გარკვეული წესით მხოლობით რიცხვშიც განარჩევს[5], არჩიბული კი – მხოლოდ მრავლობითში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბრძანებითს, სადაც როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში გარჩეულია II და III პირის ფორმები და სადაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, III პირი, მსგავსად ხუნძური ენის ანწუხური კილოსა, II პირიდან იწარმოება სუფიქსის დართვით. ბრძანებითის III პირის – ბა

1 მსგავსი მაგალითები გვხვდება – რ.ერკერტის, ა.დირის, ს. ხაიდაკოვის, ა.კიბრიკის შრომებში (იხ. С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, 1965, გვ.84; А. К и б р и к, О формальном выделении согласовательных классов в арчинском языке, ВЯ, 1972, № 1, გვ.127).

2 რ. გ ა გ უ ა, ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბაცბურ ენაში, იკე, IV, 1953, გვ.129-134; ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ.59...

3 А. М а г о м е т о в, Местоименная аффиксация в глаголах табасаранского языка, იკე, VII, 1955, გვ.360-362.

4 იხ. ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.171-175.

5 იქვე, გვ.91...

სუფიქსი არჩიბულში ახალია. ის მსგავსადვე ანწუხური - ბი[1] სუფიქსისა წარმომობით "თქმა" ზმნის II პირის ბრძანებითის ფორმა უნდა იყოს.[2] ასე რომ, პირთა გარჩევის ამ სისტემას არჩიბული ზმნის ბრძანებითში, როგორც ჩანს, სულ სხვა პირობებში და გაცილებით გვიან უნდა ეჩინა თავი, ვიდრე იმას, რომელზედაც დღეს ვამახვილებთ ყურადღებას.

ამრიგად, არჩიბულ ენაში უღვლილება - გარდა ბრძანებითისა - მხოლობით რიცხვში კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი ა, მრავლობითში - პ ი რ ო ვ ა ნ-კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი.

ვითარება, პიროვანი უღვლილების გენეზისის თვალსაზრისით, თავისებურია და საინტერესოც. აქ პირველყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ პირთა მიხედვით გარჩევას მხოლობითზე ადრე თავი უჩენია მრავლობით რიცხვში. პ ი რ ო ვ ა ნ-კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი უღვლილების ეს ვარიანტი, ცხადია, განვითარების უფრო ადრეულ საფეხურს წარმოგვიდგენს, ვიდრე ის, რომელიც ლაკურში, დარგუულსა და თაბასარანულშია დამოწმებული. გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, არჩიბული ენა, თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე მაინც, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლისას ირჩევს პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ გზას, როგორც აფხაზური... და არა სუფიქსურს, როგორც ბაცბური და რიგი დაღესტნური ენა (ლაკური, თაბასარანული...).[3]

---

1 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იკე, II, 1948, გვ.181...; ნ. ა ბ დ უ ლ ა ძ ე, დასახ.ნაშრ., გვ.74.

2 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.134.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში, იკე, V, 1953, გვ.53-54; მ ი ს ი ვ ე, Основные типы спряжения глаголов и их исторические взаимоотношения в иберийско-кавказских языках, გვ.8-9; რ. გ ა გ უ ა, ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიების მიხედვით ბაცბურ ენაში, იკე, IV, 1953, გვ.129-134; გ. თ ო ფ უ რ ი ა, კლასოვან უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, XIII, გვ.55; ნ. ა ბ დ უ ლ ა ძ ე, დასახ.ნაშრ., 1968; დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, პირის კატეგორიის საკითხისათვის ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენათა ზმნაში, იკე, XVI, გვ.192.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგიც: თუ დარგუულის ახლანდელი სისტემისათვის მრავლობით რიცხვში უშუალო ამოსავლად ივარაუდება ისეთი სისტემა, რომელიც მხოლობით რიცხვში განარჩევდა სამ და მრავლობითში ორ კლასს, არჩიბულისათვის, ცხადია, ასეთად უნდა ვივარაუდოთ ისეთი სისტემა,რომელიც მხოლობითში 4 და მრ. 2 კლასს შეიცავდა.ერთგანაც და მეორეგანაც,როგორც ჩანს, მრავლობითში პირთა გარჩევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა იმას,რა მდგომარეობა იყო კლასთა გარჩევის მხრივ მხოლობით რიცხვში, არამედ იმას რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ მრავლობით რიცხვში.

დაბოლოს, პირთა გარჩევის თავისებურებებით არჩიბული, როგორც ვხედავთ, ერთი მხრით, დაკავშირებულია ლაკურ-დარგუულ და ლეზგიური ჯგუფის ენებთან, მეორე მხრით - ხუნძურთან. პირთა გარჩევის ის სისტემა, რომელიც არჩიბულს აკავშირებს ლეზგიურ და ლაკურ-დარგუულ ენებს, ძველია, ხოლო ის, რომელიც მას ხუნძურთან აახლოებს - გვიანდელი და რამდენადმე ამ უკანასკნელის გავლენის შედეგიც.

6. მ ა რ ტ ი ვ ი ზ მ ნ ი ს ფ უ ძ ე დ ა მ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა ფ ი ქ ს ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ (ზ ო გ ა დ ა დ). არჩიბულში მარტივ ზმნას შეიძლება ჰქონდეს მთლიანი ან კლას-ნიშნით გათიშული ფუძე, რომელიც უცვლელადაა წარმოდგენილი ზმნის სხვადასხვა ფორმაში. როგორც მთლიანი, ისე გათიშული ფუძე შეიძლება შეგვხვდეს დრო-კილოთა ყველა ნაკვთში ან მხოლოდ ნაწილში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთლიანი ფუძე წარმოდგენილია აწმყო ზოგადში, ბრძანებითსა და სხვა ფორმებში, გათიშული ფუძე - ინფინიტივში, ნამყო ძირითადსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში.

მთლიანი ფუძე, ჩვეულებრივ, იწყება ხმოვნით, რომელსაც, თუ ზმნა კლას-ნიშნიანია, წინ კლასის ნიშანი უძღვის:

ინფ. ვ-აყ-ას, დ-აყ-ას, ბ-აყ-ას, აყ-ას - "დატოვება", ნამ. ვ-აყ-უ, დ-აყ-უ, ბ-აყ-უ, აყ-უ;

ფუძეა - -აყ-;

ინფ. ვ-აქბ-ის, და-ქბ-ის, ბ-აქბ-ის, აქბ-ის - "წასვლა", ნამ. ვ-აქ-დი, დ-აქ-დი, ბ-აქ-დი, აქ-დი;

ფუძეა - -აქბ- // აქ-;

ინფ. უქბ-ას (⇐ *ვ-ოქბ-ას), დ-ოქბ-ას, ბ-ოქბ-ას, ოქბ-ას - "წვა", ნამ. უქბ-უ (⇐ *ვ-ოქბ-უ), დ-ოქბ-უ, ბ-ოქბ-უ, ოქბ-უ;

ფუძეა - -ოქბ-...

ბმნათა ერთ ნაწილს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, I და IV კლასის ფორმებში ფუძის ეს თავკიდური ხმოვანი დღეს არ მოეპოვება. ასეთ შემთხვევაში პირველი კლასის ნიშანი ვ საყრდენი ხმოვნის უქონლობის გამო გადასმულია ფუძისეული თანხმოვნის შემდეგ:

ც-ვ-ას, დ-აც-ას, ბ-აც-ას, ც-ას - "ქება"; ნამ. ცუ(⇐ *ც-ვ-ო), დ-ოც-ო(⇐ *დ-აც-ო), ბ-ოც-ო(⇐ *ბ-აც-ო), ც-ო;

ფუძეა - -აც-// ⇒ -ც-;

კხ-ვ-ას, დ-უკხ-ას, ბ-უკხ-ას, კხ-ას - "დაკვლა"... ნამ. კხ-უ(⇐ *კხ-ვ-უ), დ-უკხ-უ, ბ-უკხ-უ, კხ-უ;

ფუძეა - -უკხ-// → -კხ;

ლ'უს (⇐ *ლ'-ვ-ოს), დ-ოლ'-ოს, ბ-ოლ'-ოს, ლ'-ოს - "მიცემა", ნამ. ლ'უ (⇐ *ლ'-ვ-ო), დ-ოლ'-ო, ბ-ოლ'-ო, ლ'-ო;

ფუძეა - -ოლ'-(// ⇒ -ლ')...

გათიშული ფუძეები არჩიბულში ძირითადად ორ ტიპს ქმნიან. ერთისათვის დამახასიათებელია ხმოვნიანი დასაწყისი. კლას-ნიშანი ფუძეში ამ ხმოვნის შემდეგ გვაქვს:

ა-ვ-ტ-ას, ა-რ-ტ-ას, ა-ბ-ტ-ას, ა-ტ-ას - "გავსება"; ნამ. ა-ვ-ტ-უ, ა-რ-ტ-უ, ა-ბ-ტ-უ, ა-ტ-უ,

ფუძეა - -ა-ტ-;

ა-ვ-ჭ-ას, ა-რ-ჭ-ას, ა-ბ-ჭ-ას, ა-ჭ-ას - "ყრა", ნამ. ა-ვ-ჭ-უ, ა-რ-ჭ-უ, ა-ბ-ჭ-უ, ა-ჭ-უ;

ფუძეა - -ა-ჭ-;

ა-ვ-ჩ-ას, ა-რ-ჩ-ას, ა-ბ-ჩ-ას, ა-ჩ-ას - "ცვენა","მოკვლა"... ნამ. ა-ვ-ჩ-უ, ა-რ-ჩ-უ, ა-ბ-ჩ-უ, ა-ჩ-უ;

ფუძეა - -ა-ჩ-;

ა-ვ-თ-ის, ა-რ-თ-ის, ა-ბ-თ-ის, ა-თ-ის - "გაშვება", ნამ. ა-ვ-თბი, ა-რ-თბი; ა-ბ-თბი (← *ა-ბ-თ-დი);

ფუძეა - -ათ-;

ა-ვ-ლ'-ის, ა-რ-ლ'-ის, ა-ბ-ლ'-ის, ა-ლ'-ის - "მისვლა";

ფუძეა - -ა-ლ'- და ა.შ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ანალოგიური ვითარება დასტურდება ქართველურ ენებშიც, მაგ., მეგრულში, სადაც ჭანურთან შედარებით ზოგ შემთხვევაში "თავისებურია... S_1 ვ-ს გაინფიქსება: ...ვ-იგარ-ქ "ვტირი" → ი-ბ-გარქ; ვ-ირძღუ-ქ "ვძღები" → ი-ბ-რძღი, დიი-ბ-რძღი "გავძეხი"..."[1] შდრ. აგრეთვე დიალექტური ნა-ვხე (ნაცვლად ვ-ნახესი)...

არჩიბულში ასეთი ფუძეების კავშირი ხმოვნით დაწყებულ მთლიან ფუძეებთან ეჭვს არ იწვევს. ამას უპირველესყოვლისა ის გვაფიქრებინებს, რომ ერთი და იგივე ფუძე სხვადასხვა ფორმაში შეიძლება გათიშულადაც იყოს წარმოდგენილი და გაუთიშავადაც; შდრ., მაგ.: ნამ. ა-ბ-ტ-უ (IIIკლ.) "გაჭრა", ბრძ. ბ-ატ-ა; ნამ. ე-ვ-ხ-დი (Iკლ.) "ავიდა",ბრძ.ვ-ეხ-ი და ა.შ. წარმოდგენილ ვარაუდს მხარს უჭერს ისიც, რომ მთლიანი ფუძის მქონე ზოგიერთ ზმნაში I კლასის პრეფიქსული ნიშანი ვ, როგორც დავინახეთ, უკანაა გადასმული და სუფიქსად გვევლინება.

ამრიგად, პირველადი, როგორც ჩანს, გაუთიშავი ფუძეა. ამ უკანასკნელისაგან კლას-ნიშნების გადასმით[2] უნდა მიგვეღო ხმოვნით დაწყებული გათიშული ფუძე.

ცვლადი კლას-ნიშნებით გათიშული ფუძეების ამ ძირითად ტიპს ეკვეთება ხმოვნით დაწყებული ბევრი ზმნის აწმყო ზოგადის ფუძეც. ამ შემთხვევაში აწმყო ზოგადის ფუძეს ორად ჰყოფს უფუნქციო რ[3], რომელიც

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ.96.

2 ტ. გ უ დ ა ვ ა, გრამატიკული კლასის ნიშნის ფონეტიკური ცვლილებები ხუნძურსა და ანდიურ ენებში, იკე, ტ.VIII, 1955, გვ.320.

3 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.53.

დღეს ფუძესაა შეხორცებული, მაგრამ წარმოშობით მას არ უნდა ეკუთვნოდეს:[1]

ვ-აყ-ას, დ-აყ-ას, ბ-აყ-ას, აყ-ას - "დატოვება"; შდრ.აწმ.გ. ვ-ა-რ-ყ-არ, დ-ა-რ-ყ-არ, ბ-ა-რ-ყ-არ, ა-რ-ყ-არ, სადაც ფუძე -არყ- და არა სხვა ნაკვთების -აყ-;

ბ-ჷკჰ-ას (IIIკლ.), ჷკჰ-ას (IVკლ.) - "გვა","წმენდა"; შდრ. აწმ.გ. ბ-ე-რ-კჰ-ურ, ე-რ-კჰ-ურ, სადაც ფუძე -ერკჰ- და არა დანარჩენი ნაკვთების -ჷკჰ- (შდრ., მაგ.: ნამ. ჷკჰ-უ, ბ-ჷკჰ-უ, ბრძ. ჷკჰ-ა, ბ-ჷკჰ-ა);

ოწ-ას (IVკლ.), ბ-ოწ-ას (IIIკლ.) - "წურვა","რეცხვა"... შდრ. აწმ.გ. ო-რ-წ-ურ, ბ-ო-რ-წ-ურ, სადაც ფუძე -ორწ- და არა სხვა ფორმების -ოწ- (შდრ. მაგ.: ნამ. ოწ-უ, ბ-ოწ-უ; ბრძ. ოწ-ა, ბ-ოწ-ა...);

ა-ვ-ჯბ-ალ , ა-რ-ჯბ-ას, ა-ბ-ჯბ-ას, ა-ჯბ-ას - "გატეხა","გატყდომა", ბრძ. ვ-აჯბ-ა, დ-აჯბ-ა, ბ-აჯბ-ა, აჯბ-ა; შდრ.აწმ.გ. ვ-ა-რ-ჯბ-არ, დ-ა-რ-ჯბ-არ, ბ-ა-რ-ჯბ-არ, სადაც ფუძე -არჯბ- და არა დანარჩენი ნაკვთების -აჯბ-;

ა-ვ-ტ-ას, ა-რ-ტ-ას, ა-ბ-ტ-ას, ატ-ას - "ჭრა", ნამ. ა-ვ-ტ-უ, ა-რ-ტ-უ, ა-ბ-ტ-უ, ა-ტ-უ, ბრძ. ვ-ატ-ა, დ-ატ-ა, ბ-ატ-ა, ატ-ა; შდრ. აწმ.გ. ვ-ა-რ-ტ-არ, დ-ა-რ-ტ-არ, ა-რ-ტ-არ, სადაც ფუძე -არტ- და არა სხვა ფორმების -ატ-;

ა-ბ-ლ'-ას (IIIკლ.), ალ'-ას (IVკლ.) - "გაყრა",ნამ. ა-ბ-ლ'-უ, ალ'-უ, ბრძ. ა-ბ-ლ'-ა; ა-ლ'-ა; შდრ. აწმ.გ. ბ-ა-რ-ლ'არ, ა-რ-ლ'-არ, სადაც ფუძე -არლ'- და არა დანარჩენი ნაკვთების-ალ'-;

ა-ვ-ლ'-ის, ა-რ-ლ'-ის, ა-ბ-ლ'-ის, ა-ლ'-ის - "მისვლა";შდრ. აწმ.გ. ვ-ა-რ-ლ'-ირ, დ-ა-რ-ლ'-ირ, ბ-ა-რ-ლ'-ირ, ა-რ-ლ'-ირ, სადაც ფუძე -არლ'- და არა სხვა ნაკვთების -ალ'-;

---

1 იხ. ტ. გ უ დ ა ვ ა ს დასახ.ნაშრ.,გვ.322, შენიშვნა 1.

ე-ვ-ხბ-ას, ე-რ-ხბ-ას, ე-ხბ-ას - "დარჩენა"; ნამ. ე-ვ-ხბ-უ, ე-რ-ხბ-უ, ე-ბ-ხბ-უ, ეხბ-უ, ბრძ. ვ-ეხბ-ა, დ-ეხბ-ა, ბ-ეხბ-ა,ეხბ-ა; შდრ. აწმ.ზ. ვ-ე-რ-ხბ-არ, დ-ე-რ-ხბ-არ, ბ-ე-რ-ხბ-არ, ე-რ-ხბ-არ, სადაც ფუძეა -ერხბ- და არა დანარჩენი ფორმების -ეხბ-;

ე-ვ-ლ'ბ-ას, ე-რ-ლ'ბ-ას, ე-ბ-ლ'ბ-ას, ელ'ბ-ას - "დადება", ნამ. ე-ვ-ლ'ბ-უ, ე-რ-ლ'ბ-უ, ე-ბ-ლ'ბ-უ, ელ'ბ-უ, ბრძ. ვ-ე-ლ'ბ-ა, დ-ელ'ბ-ა, ბ-ელ'ბ-ა, ელ'ბ-ა; შდრ. აწმ.ზ. ვ-ე-რ-ლ'ბ-არ, დ-ე-რ-ლ'ბ-არ, ე-რ-ლ'ბ-არ, სადაც ფუძეა - -ერლ'ბ- და არა სხვა ნაკვთების -ელ'ბ-;

ულ'-ას, ო-რ-ლ'-ას, ო-ბ-ლ'-ას, ლო'-ას - "გაყიდვა", ნამ. ო-ბ-ლ'უ (IIIკლ.), ოლ'-უ (IVკლ.); შდრ. აწმ.ზ. ბ-ო-რ-ლ'-ურ (IIIკლ.), ო-რ-ლ'-ურ (IVკლ.), სადაც ფუძეა - -ორლ'- და არა დანარჩენ დრო-კილოთა -ოლ'- და ა.შ.

ორიოდე ზმნაში რ ნიშნითვეა გათიშული არა მარტო აწმყო ზოგადის ფუძე, არამედ დრო-კილოთა სხვა ფორმებიც, მაგ.:

ინფ. ვ-ი-რ-ქბუ-ს, დ-ი-რ-ქბუს, ბ-ი-რ-ქბუს, ი-რ-ქბუს ... "მოძებნა","პოვნა"; აწმ.ზ. ვ-ი-რ-ქბურ, ბ-ი-რ-ქბურ...; ნამ. ვ-ი-რ-ქბუ, ბ-ი-რ-ქბუ...; ბრძ. ვ-ი-რ-ქბვა, ბ-ი-რ-ქბვა...

ინფ. ვ-ა-რ-ჭ-ას, დ-ა-რ-ჭ-ას... "ფიქრი","ზრუნვა"; აწმ.ზ. ვ-ა-რ-ჭ-არ, დ-ა-რ-ჭ-არ...; ნამ. ვ-ა-რ-ჭ-უ, დ-ა-რ-ჭ-უ...;ბრძ. ვ-ა-რ-ჭ-ა, დ-ა-რ-ჭ-ა...

ასეთივე ვითარებაა ბ-ა-რ-ჭ-ას "კვება" ზმნაშიც (შდრ.აწმ.ზ. ბ-ა-რ-ჭ-არ, ნამ. ბ-ა-რ-ჭ-უ, ბრძ. ბ-ა-რ-ჭ-ა...), სადაც, როგორც სამართლიანად შენიშნა ა.დირმა,[1] იგივე ფუძე (ლაკ. ძირი) უნდა გვქონდეს, რაც ვარჭას, ჶარჭას "ფიქრი","ზრუნვა" ზმნაშია.

ასეთივე რ უნდა გვქონდეს "ნაყვანა" ზმნის ინფინიტივშიც:

ქარას (IVკლ.) ← *ა-რ-ქ-ას (შდრ.აწმ.ზ.ო-რ-ქ-არ); ბაქრას (IIIკლ.) ← *ბ-ა-რ-ქ-ას (შდრ.აწმ.ზ. ბ-ო-რ-ქ-არ); დაქრას (IIკლ.)

---

1 ა. დ ი რ რ ი, არჩ. ენა, გვ.128, შენიშვნა 1.

← *დ-ა-რ-ქ-ას (მრ. აწმ.ზ. დ-ო-რ-ქ-არ); ქურას (Iკლ.) ← *ვ-ა-რ-ქ-ას (მრ. აწმ.ზ. უ-რ-ქ-არ).

ამ ზმნის ფუძეა -ა-ქ-//-ო-ქ-, სადაც ძირი -ქ- (← *-ქბ-) ჩანს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეგევე ძირი უნდა გვქონდეს ნასვლა ზმნაში, რომელშიც ფუძედ -აქ-//-აქბ- გამოიყოფა: ვ-ა-ქბ-ის(Iკლ.), დ-ა-ქბ-ის (IIკლ.)... მრ. აწმ.ზ. ვ-ა-რ-ქბ-არ, დ-ა-რ-ქბ-არ, ნამ. ვ-ა-ქ-დი, დ-ა-ქ-დი...

კლას-ნიშნით გათიშული ფუძის ეს ძირითადი ტიპი სხვა ენებშიც გვხვდება (თაბასარანული, ლაკური, ბოთლიხური, ანდიური...).[1] არჩიბულისათვის ნიშანდობლივია ფუძის მეორე ტიპი, რომელიც დასტურდება ზმნათა მცირერიცხოვან, მაგრამ, არჩიბული ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ჯგუფში.

ფუძე ასეთ ზმნებში, ჩვეულებრივ, თანხმოვნით იწყება. კლას-ნიშანი ამ თანხმოვნის შემდეგ გვაქვს - ხმოვნის ან დიფთონგის მომდევნოდ. ზმნის ფუძე აქაც ცვლადი კლას-ნიშნებით ორადაა გათიშული:

ქო-ვ-შ-ას (← *ქვა-ვ-შ-ას), ქვა-რ-შ-ას. ქვა-ბ-შ-ას, ქვა-შ-ას - "მოხვედრა"; ქო-ვ-შ-უ (← *ქვა-ვ-შ-უ), ქვა-რ-შ-უ, ქვა-ბ-შ-უ, ქვა-შ-უ;

ფუძეა - ქვა-შ-;

ქვე-ვ-ქბ-ის, ქვე-რ-ქბ-ის, ქვე-ბ-ქბ-ის, ქვე-ქბ-ის "ტრიალი", ნამ. ქვე-ვ-ქ-დი, ქვე-რ-ქ-დი, ქვე-ბ-ქ-დი, ქვე-ქ-დი;

ფუძეა - ქვე-ქ-//ქვე-ქბ-;

ჰვე-ბ-ქ-მუს (IIIკლ.), ჰვე-ქ-მუს (IVკლ.) - "გატყავება", ნამ. ჰვე-ბ-ქ-ნი, ჰვე-ქ-ნი;

ფუძეა -ჰვე-ქ- ...

---

1 ა. დ ი რ ი, თაბასარ. ენა, 1905, გვ.47; პ. უ ს ლ ა რ ი, ლაკური ენა, გვ. 12,14... ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურში, ენიმკი-ს მოამბე,XIII,1942, გვ.174; ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, 1963, გვ.46; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, 1965, გვ.215.

გვა-ბ-ყ-ას (მრ.რ.ადამიანთა კლასი), გვა-ყ-ას (მრ. რ. ნივთთა კლასი) - "მოგროვება", "თავის მოყრა", ნამ. გვა-ბ-ყ-უ, გვა-ყ-უ;

ფუძეა - გვა-ყ-;

ხო-ვკას, ხვა-რ-კ-ას, ხვა-ბ-კ-ას, ხვა-კ-ას - "ძებნა", ნამ. ხო-ვ-კ-უ, ხვა-რ-კ-უ, ხვა-ბ-კ-უ, ხვა-კ-უ;

ფუძეა - ხვა-კ-;

ლ'ბუხ-ას, ლ'ბო-რ-ხ-ას, ლ'ბო-ბ-ხ-ას, ლ'ბო-ხ-ას - "შერევა", "არევა", ნამ. ლ'ბუხ-უ (← *ლ'ბო-ვ-ხ-უ), ლ'ბო-რ-ხ-უ, ლ'ბო-ბ-ხ-უ, ლ'ბო-ხ-უ;

ფუძეა - ლ'ბო-ხ;

სო-ვ-ქბ-ას, სა-რ-ქბ-ას, სა-ბ-ქბ-ას, სა-ქბ-ას - "ყურება", ნამ. სო-ვ-ქბ-უ, სა-რ-ქბ-უ, სა-ბ-ქბ-უ, სა-ქბ-უ;

ფუძეა - სა-ქბ-;

ყო-ვ-ყ-ის, ყა-დ-უყ-ის, ყა-ბ-ყ-ის, ყე-ჲ-ყ-ის - "ჯდომა"... აწმ.ზ. ყო-ვ-ყ-ირ, ყა-დ-უყ-ირ, ყა-ბ-ყ-ირ, ყე-ჲ-ყ-ირ, ბრძ. ყო-ვ-ყ-ი, ყა-დ-უ-ყ-ი, ყა-ბ-ყ-ი, ყე-ჲ-ყ-ი; შდრ. აგრეთვე, ნამ. ყო-ვ-დი, ყა-რ-დ-ი, ყა-ბ-დი, ყე-ჲ-დი;

ფუძეა - ყა-ყ- და ყა-;

ცო-ვ-ხ-ას, ცა-რ-ხ-ას, ცა-ბ-ხ-ას, ცა-ხ-ას - "დაცემა", ნამ. ცო-ვ-ხ-უ, ცა-რ-ხ-უ, ცა-ბ-ხ-უ, ცა-ხ-უ;

ფუძეა - ცა-ხ-;

და-ბ-ხ-ის (IIIკლ.), და-ხ-ის (IVკლ.) - "ცემა", "დარტყმა", ნამ. და-ბ-ხ-დი, და-ხ-დი;

ფუძეა - და-ხ-;

უფუნქციო რ გვხვდება თანხმოვნით დაწყებული რამდენიმე ზმნის აწმყო ზოგადის ფუძეშიც:

ხვე-რ-თბ-არ "იფიცებს"; შდრ. ინფ. ხვეთბას, ნამ. ხვეთბუ, ბრძ. ხვეთბა;

ჲა́-რ-ხ-ურ "თხრის"; შდრ. ინფ. ჲა́ხას, ნამ. ჲა́ხუ, ბრძ.ჲახა;

და-რ-ყ'-ურ "კეცავს"; შდრ. ინფ. დაყ'ას, ნამ.დაყ'უ, ბრძ. დაყ'ა;

და-რ-ლ'-ურ "ხურავს"; მდრ. ინფ. დალ'-ას, ნამ. დალ'უ, მრძ. დალ'ა;

დე-რ-ხბ-ურ "ფქვავს"; მდრ. ინფ. დეხბას, ნამ. დეხბუ, მრძ. დეხბა...

ბე-რ-წ-არ "შეუძლია"; მდრ. ინფ. ბეწას...

უკვე ის გარემოება, რომ თანხმოვნით დაწყებული ზემოგანხილული ზმნების ფუძეები ორადაა გათიშული (გაყოფილი), ჩვენს წინაშე სვამს კითხვას ამ ფუძეების შედგენილობის შესახებ, კერძოდ, იმის შესახებ – თუ რა წარმოშობისაა ფუძის ის ნაწილი, რომელიც კლას-ნიშნებისა და რ-ს წინ გვაქვს და რას წარმოადგენს ფუძის მეორე ნაწილი, რომელიც კლას-ნიშნებსა და რ-ს მოსდევს?

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ თანხმოვანზე დაწყებული ზმნები გარკვეული წესითაა გათიშული, სახელდობრ, ასეთი ფუძის მეორე ნაწილი მხოლოდ ცალ თანხმოვანს შეიცავს:

ქვე-ქბ-	("ტრიალი")	სა-ქბ-	("ყურება")
ქვა-შ-	("მოხვედრა")	ცა-ხ-	("დაცემა")
ხვა-კ-	("ძებნა")	ყა-ყ-	("დაჯდომა")
ხვე-თბ-	("დაფიცება")	და-ყ'-	("დაკეტვა")
პვე-ქ-	("გატყავება")	და-ლ'-	("დახურვა")
გვა-ყ-	("მოგროვება")	და-ხ-	("ცემა")
ლ'ბო-ხ-	("შერევა")	დე-ხბ-	("დაფქვა")
გე-ქბ-	("ჩამოკიდება")	ჲა'-ხ-	("თხრა")
		ბე-წ-	("შეძლება")...

ერთგვარი კანონზომიერება შეინიშნება ფუძის პირველ ნაწილშიც; მაგ.: გათიშული ფუძის ეს ნაწილი ყოველთვის მარცვლიანია: სა-ქბ- ("ყურება"), ლ'ბო-ხ-("შერევა","არევა"), ყა-ყ-("დაჯდომა"), ჲა'-ხ- ("თხრა"), გე-ქბ-("ჩამოკიდება"), ქვე-ქბ- ("ტრიალი"), ხვა-კ- ("ძებნა") და ა.შ. რამდენიმე ფუძეში გამოიყოფა მათთვის საერთო თავკიდური და-ელემენტი: და-ყ'- ("დაკეტვა"), და-ლ'- ("დახურვა"), და-ხ- ("ცემა"); ასევე საერთო ჩანს -ვა- ზმნებში: ქ-ვა-შ- ("მო-

ხვედრა"), ხ-ვა-კ-("ძებნა"), გ-ვა-ყ- ("მოგროვება"), და -ვე- ფუძეებში: ქ-ვე-ქჴ- ("ტრიალი"), ხ-ვე-თჴ- ("დაკიდება"), პ-ვე-ქ- ("გატყავება"); გამოსაყოფი უნდა იყოს ქ--ვა-სა და ვე-ს წინ ფუძეებში: ქ-ვამ-, ქ-ვექ-, და ხ-, ამავე -ვა-სა და ვე-ს მეზობლობაში, ფუძეებში -ხ-ვაკ-, ხ-ვეთჴ-; ქ-სა და ხ-ს რიგისა ჩანს აგრეთვე პ- ვე-ს წინ ფუძეში - პ-ვექ-, და გ- ვა-ს წინ ფუძეში - გ-ვაყ-. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ კლას-ნიშნებსა და რ-ს, რომლებიც ფუძეს ორად ჰყოფენ, ხმოვანი არასოდეს არ მოსდევს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება აგრეთვე ზოგიერთი ზმნის უფრო დაწვრილებითი ანალიზი; მაგ.:

საქჴას-ს (IVკლ.) "ცქერა", "ლოდინი" თუ შევადარებთ მონათესავე სემანტიკის მქონე აქჴუს-ს (IVკლ.) "ხედვა","ნახვა", და ირქჴუს-ს "პოვნა", "ნახვა" ზმნებს, დავრწმუნდებით, რომ ამ სიტყვების ძირია -ქჴ-//-ქჴვ-:

ინფ.	სა-ქჴ-ას (IVკლ.)	ა-ქჴუს (IVკლ.)	ირ-ქჴუს
	"ცქერა","ლოდინი"	"ხედვა","ნახვა"	"პოვნა","ნახვა"
ნამ.	სა-ქჴ-უ	ა-ქჴუ	ირ-ქჴუ
ბრძ.	სა-ქჴ-ა	ა-ქჴვ-ა	ირ-ქჴვ-ა

ამას მხარს უჭერს მონათესავე ენების სათანადო ფაქტებიც[1],მაგ.: წახ. ილ˝ა-ქჴ-ას//ულ˝ა-გჴ-ას "ყურება"[2]; რუთ. ა-გ-უნ (ობ.I,IVკლ.), ა-რ-გ-უნ (ობ.IIკლ.), ა-ვ-გ-უნ (ობ.IIIკლ.) "ხედვა", "ნახვა"[3]; ლეზგ. აქჴუნ "ხედვა"[4] (მდრ. აბსოლუტ. ა-ქჴვ-აზ)[5] და სხვ.

----

1 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკული კლასის გაქვავებული ნიშნები უდურ ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში, იკე, VIII, 1956, გვ.350-352.

2 იქვე, გვ.351 (იხ. აგრეთვე ა. დ ი რ ი ს წახური ენა, გვ.168).

3 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.35 (იხ. აგრეთვე ა.. დ ი რ ი ს რუთულური ენა, გვ. 122-123).

4 გ. თ ო ფ უ რ ი ა , ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, 1959, გვ.14.

5 П. У с л а р, Кюринский яв., გვ.330.

ამრიგად, ირკვევა, რომ სა-ქჷ- ფუძეში -ქჷ- ძირია.

ევგ. ჯეირანიშვილი, რომელსაც უდიურ ბეჷლსუნ-თან ("ყურება, "მზერა", "ცქერა") დაკავშირებით გაანალიზებული აქვს რიგი მონათესავე ენის (თაბასარანულის, ლეზგიურის, წახურის, რუთულურის, ლაკურის, არჩიბულის, ხუნძურის, ბაცბურის...) შესატყვისი მასალა, აღნიშნავს, რომ ამ ენებში "ყურება","ცქერა" "სიტყვათა ძირად გვაქვს, ერთი მხრით, ხშულები (გ..., გჷ,ქჷ...)..., მეორე მხრით, შესატყვისი სპიოანტები (ღ,ხ → ხ́)".[1]

როგორც ვხედავთ, "ყურება-ცქერა" სიტყვათა ძირი ხშული იქნება ის, თუ სპირანტი, არა მარტო არჩიბულში, არამედ სხვა მონათესავე ენებშიც ცალი თანხმოვანია. აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ ზოგჯერ ეს ძირეული თანხმოვანი ლაბიალიზებული ჩანს; ასეთად გვევლინება ის, მაგალითად, არჩიბულ აქჷუს "ხედვა" (შდრ.ბრძ.ა-ქჷვ-ა) და ირქჷუს "პოვნა" (შდრ.ბრძ. ირ-ქვჷ-ა) ზმნებში, აგრეთვე ლეზგიურ აქჷუნ-ში[2] "ხედვა"; შდრ. აბსოლუტივი ა-ქჷვ-აზ.

ცა-ხ-ას (IVკლ.) "დაცემა"; "სროლა" და და-ხ-ის (IVკლ.) "ცემა", "რტყმა" ზმნების ძირი ხ უნდა იყოს. ის ხ// → ღ-ს სახით დადასტურებულია მონათესავე ენების სათანადო მასალაშიც.[3]

ამრიგად, და-ხ- და ცა-ხ- ფუძეებში ამ ფუძეთა მეორე შემადგენელი ნაწილი -ხ, ძირი აღმოჩნდა.

ძირი უნდა იყოს ყა-ყ'- ფუძის მეორე ნაწილიც; შდრ.ნამ. ყ'-ადრი. ამასვე ადასტურებს მონათესავე ენების სათანადო მასალა;მაგ.: რუთ. სუ-ყ-უნ[4] "ჯდომა"; ლეზგ. აცუ-ყ-უნ "დაჯდომა","ჯდომა" (ბრძ. აცუყ!//აცაყ!);[5] აღულ.ი-ყვ-ას "ჯდომა"[6]... თაბასარან.დე-ყ-უზ[7] (← *დე-ყუზ), ჩრდილ. კილოს ელე-ყ-უს "ზედ ჯდომა"...[8]

---

1 იხ. ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ.351.

2 იხ. გ. თ ო ფ უ რ ი ა ს დასახ.ნაშრ.,გვ.44–45; აგრეთვე, გვ.45,შენიშვნა 93.

3 იხ. ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ.359–60.

4 ა. დ ი რ ი, რუთულური ენა, გვ.172.

5 იხ. გ. თ ო ფ უ რ ი ა ს დასახ.ნაშრ., გვ,44.

6 ა. დ ი რ ი, აღულური ენა,გვ.121.

7 ა.დ ი რ ი, თაბასარანული ენა,გვ.164.

8 ა. მ ა გ ო მ ე დ ო ვ ი, თაბასარანული ენა, გვ.193.

ასევე ძირი ჩანს ქვე-ქ-// → ქვე-ქხ- ("ტრიალი") ფუძის მეორე ნაწილი -ქ, რასაც მონათესავე ენების ჩვენება მოწმობს; შდრ. თაბასარან. ჯარარ-ქ-უს[1] და აღულ. ალარ-ქ-ას "დაბრუნება".[2]

როგორც დავინახეთ, განხილულ ფუძეებში ძირეული აღმოჩნდა ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნები, ე.ი. ის ცალეული თანხმოვნები, რომლებიც კლას-ნიშნებისა და რ-ს შემდეგ გვაქვს. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ასეთივე ვითარებაა თანხმოვნით დაწყებულ დანარჩენ ზმნებშიც. თუ ეს ასეა, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს წარმოშობით რთულ ფუძეებთან, რომელთა ორი კომპონენტი - ძირეული თანხმოვანი და ცვლადი კლას-ნიშნები, ჩვენთვის უკვე ცნობილია. ასახსნელი რჩება ამ ფუძეთა პირველი კომპონენტების რაობა, მათი წარმოშობა. ამაში, ვფიქრობთ, დაგვეხმარება ზოგიერთი მონათესავე ენის ზმნურ ფორმათა სტრუქტურის გათვალისწინება.

ავიღოთ მაგალითისათვის თაბასარანული ზმნა ჯარარქუს "დაბრუნება". როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი[3], ის ასე იშლება: ჯა-რა-რ-ქ-უ-ს, სადაც ძირეული თანხმოვანია ქ, რომელსაც მოსდევს თემატიკური ხმოვანი უ და ინფინიტივის ნიშანი ს, წინ კი უძღვის კლას-ნიშანი რ და პრევერბები რა- და ჯა-. ახლა განვიხილოთ მსგავსი მნიშვნელობის და თაბასარანულ ჯარარქუს-თან საერთო ძირის მქონე არჩიბული ზმნა ქვე-რ-ქხ-ის "ტრიალი". აქ, როგორც ვიცით, ძირეული თანხმოვანია -ქხ(//-ქ-), რომელსაც მოსდევს თემატური ხმოვანი ი და ინფინიტივის ნიშანი ს. ძირს არჩიბულშიც რ კლას-ნიშანი უძღვის. როგორც ვხედავთ, თაბასარანულ ჯარარქუს-სა და არჩიბულ ქვერქხის-ს შორის არა მარტო მატერიალური ერთობაა ხელშესახები, არამედ იგრძნობა სტრუქტურული იგივეობაც. და მაინც, რა უნ-

---

1 იქვე, გვ.223, § 131.

2 ა. დ ი რ ი, აღულური ენა, გვ.100.

3 ა. მ ა ჯ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარანული ენა,გვ.223,§ 131.

და იყოს წარმომშობით ფუძის ის ნაწილი, რაც არჩიბულ ქვე-რქბის-ში კლას-ნიშნების წინა გვაქვს და რაც, როგორც ზემოთ იყო გარკვეული, ორი კომპონენტისაგან უნდა შედგებოდეს? ვფიქრობთ, სხვა არაფერი თუ არა იმ რიგის ელემენტი, რომელიც გვაქვს თაბასარანულ ჰა-რა-რ-ქუს-ში ჰა- და რა- პრევერბების სახით. თუ ეს ასეა, მაშინ არჩიბული ქ-ვე-რ-ქბი-ს სტრუქტურულად სავსებით დაემთხვა თაბასარანულ ჰა-რა-რ-ქ-უ-ს-ს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვე-ქბ- ფუძის პირველი ნაწილი ქ-ვე- წარმომშობით ფუძისეული არ არის - რთული პრევერბია ან მსგავსი ფუნქციის რთული პრეფიქსი.

ასევე, წარმომშობით ფუძის კუთვნილება არ უნდა იყოს თანხმოვნით დაწყებული დანარჩენი ზმნების ფუძეთა პირველი კომპონენტები -ქ-ვა-, ხ. -ვე-, ხ-ვა-, ჰ-ვე-, გ-ვა-, აგრეთვე და-, ცა-, სა-, ჲა̃-... სავარაუდოა, რომ ამათგან უმეტესობა წარმომშობით პრევერბებია ან მსგავსი დანიშნულების აფიქსები, რომელთაგან ზოგიერთს მაინც, ვფიქრობთ, დროთა განმავლობაში გარკვეული ცვლილებები უნდა განეცადა. მიუხედავად ამისა მონათესავე ენების რამდენიმე პრევერბს ზემოჩამოთვლილ ფუძეთა პირველ კომპონენტების სახით არჩიბულშიც შეიძლება დაეძებნოს თითო-ოროლა შესატყვისი.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ თაბასარანულ ჰ! პრევერბს აღულურში ჰ- ზმნისწინი შეესატყვისება.[2] პრევერბებად ჰ- გვაქვს აგრეთვე რუთულურსა და წახურში.[3] ეგევე ჰ- უნდა გვქონდეს არჩიბულშიც; შდრ. ჰ-ვექბუს "გატყავება".

ქ- პრევერბად გვხვდება თაბასარანულში, აღულურში, რუთულურსა და წახურში.[4] ის დასტურდება არჩიბულ ზმნებშიც; შდრ. ქ-ვაშას "მოხვედრა", ქ-ვექბის "ტრიალი".

---

1 პრევერბების ხმოვნები არ მოგვყავს.

2 **А. Магометов**, Преверсы в табасаранском языке, იკე, VIII, 1956, გვ.333,334.

3 ა. დ ი რ ი, წახური ენა, გვ.65.

4 იქვე, გვ.65.

გ- გვაქვს რუთულურში, ნახურში[1], თაბასარანულში[2]. გვხვდება ის არჩიბულშიც: გ-ვაყას "მოგროვება".

სა- დარგუულში მიმართულების აღმნიშვნელი პრევერბია.[3] ის გვაქვს კუბაჩურშიც[4]; ს მომდევნო ხმოვნით გამოიყოფა რიგ რუთულურ ზმნაში. სა-ს სახით ის დადასტურებულია არჩიბულშიც; შდრ. სა-ქბას "ყურება".

ვე- პრევერბი გვაქვს კუბაჩურში, -ვე- და -ვა- ელემენტები კი გამოიყოფა არჩიბული ზმნის ფუძეებში; შდრ. ქ-ვა-შას "მოხვედრა", ხ-ვა-კას "ძებნა", გ-ვა-ყას "მოგროვება", ქ-ვე-ქბის "ტრიალი", ხ-ვე-თბას "დაფიცება", ჰ-ვე-ქ̄უს "გატყავება".

ლიტერატურაში მიუთითებენ იმ კავშირზე, რომელიც არსებობს პრევერბებსა, ბრუნვის ნიშნებსა და ზმნისართ-თანდებულებს შორის.[5] აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს კავშირი სხვადასხვა ენაში მეტ-ნაკლები სიძლიერით მჟღავნდება[6] – თაბასარანულში, მაგალითად, მეტად – აქ პრევერბები თანდებულებს ემთხვევა როგორც მნიშვნელობით, ისე მატერიალურად[7], ნახურში – ნაკლებად. კიდევ უფრო ჭირს ასეთი კავშირის დადგენა არჩიბულში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს კავშირი აქაც იგრძნობა. არჩიბულში ის, ცხადია, მხოლოდ მატერიალური შეიძლება იყოს. მხედველობაში გვაქვს იგივეობა ადგილობით ბრუნვის

---

1 ა. დ ი რ ი, ნახური ენა, გვ.65.

2 იხ. ალ. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ.221.

3 С. А б д у л л а е в, Грамматика даргинского яз., 1954, გვ.158, 160.

4 А. М а г о м е т о в, Система превербов в кубачинском диалекте даргинского языка, იკე,IV,1953,გვ.199.

5 ა. დ ი რ ი, აღულური ენა,გვ.30; მ ი ს ი ვ ე, რუთულური ენა, გვ.111 და 60; მ ი ს ი ვ ე, ნახური ენა,გვ.65; შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, დარგუული ენის ნუდახარული დიალექტის მორფოლოგიური თავისებურებანი, საქართველოს მეცნ.აკად. ენის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის თეზისები,1947, გვ.8; ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარანული ენა,1965,გვ.218.

6 ა. დ ი რ ი, ნახური ენა, გვ.65.

7 А. М а г о м е т о в, Превербы в табасаранском языке, იკე,VIII,გვ.322.

პ ნიშანსა და იმ პ-ს შორის, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, დასტურდება ზმნის ფუძეში (პ-ვექბუს "გატყავება"), აგრეთვე მიმართულებითი ბრუნვის ქ ნიშანსა და ზმნაში დამოწმებულ ქ-ს შორის (ქ-ვექბის "ტრიალი", ქ-ვაშას "მოხვედრა"). ასეთივე კავშირი უნდა გვქონდეს ზმნაში გამოყოფილ ლʻბო- ელემენტსა (ლʻბო-ხას "შერევა","არევა") და ადგილობით ბრუნვის -ლʻბუ ნიშანს შორის. მათთან უნდა იყოს დაკავშირებული ლʻბუ-ც, რომელიც გამოიყოფა ლʻბვაქ-ში ("ახლო") და ლʻბვაშ-ში ("ახლოდან"). ასეთივე კავშირი შეიძლება ვიგულისხმოთ ზმნის ფუძეში გამოყოფილ ხ-სა (ხ-ვეთბას "დაფიცება", ხ-ვაკას "ძებნა") და ხირ, ხარ-ს ("უკან") შორისაც.

ამრიგად, არჩიბულ ზმნებში გამოყოფილ ელემენტებს აღმოაჩნდა ისეთი ნიშნები, რაც მონათესავე ენების პრევერბებისათვისაა დამახასიათებელი, სახელდობრ, პრევერბებივით ეს ელემენტებიც ზმნის თავში გვაქვს, რამდენიმე მათგანი მატერიალურადაც შეესატყვისება მონათესავე ენების სათანადო აფიქსებს, ისინიც, ისევე, როგორც პრევერბები, ბრუნვის ნიშნებთან და ზმნისართ-თანდებულებთან მატერიალურ სიახლოვეს ამჟღავნებენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მსჯელობა არჩიბულ და თაბასარანულ ზმნათა სრულ სტრუქტურულ დამთხვევაზე, რაც ზემოთ იყო ნაჩვენები ერთი ზმნის ანალიზის საფუძველზე, პირობითია, რადგანაც თაბასარანულში პრევერბები დღესაც ცოცხალია და ფუნქციონირებენ, არჩიბულში კი, როგორც ჩანს, მათ უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც ოდინდელი მნიშვნელობა დაუკარგავთ, გაქვავებულან და ამ სახით ფუძის კუთვნილება გამხდარან რა, თავი ზმნათა მხოლოდ შედარებით მცირე ჯგუფის ფუძეებში შემოუნახავთ.

პრევერბების თანდათანობითი მოშლისა და გაქვავების ეს პროცესი, რომელიც ძალიან ჰგავს გრამატიკული კლასების მოშლისა და კლას-ნიშნების გაქვავების პროცესს, უცხო არ უნდა ყოფილიყო მონათესავე ენებისთვისაც. ის, როგორც ჩანს, ამ ენებში მეტ-ნაკლები სიძლიერით ხორციელდებოდა, ამიტომ სხვადასხვა ენაში პრევერბების

მოშლისა და გაქვავების სხვადასხვა საფეხური დასტურდება.[1] თვით თაბასარანულშიც კი, სადაც პრევერბები დღესაც მკვიდრად გრძნობენ თავს, შენიშნულია მათი მოშლისა და ფ უ ძ ე ს თ ა ნ შ ე ზ რ დ-ის შემთხვევები.[2] არჩიბულში ეს პროცესი სხვა ახლო მონათესავე ენებზე ადრე განხორციელებულა. ამას, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი კონტაქტი ისეთ ენებთან, რომელთაც პრევერბები არ გააჩნია.

ამრიგად, თუ თაბასარანულში, ყოველ შემთხვევაში მის სამხრულ კილოში, ადვილი შესაძლებელია, მეზობელი უკლასნიშნო ლეზგიურის გავლენით დაჩქარდა კლასების მოშლის პროცესი ისე, რომ არ დაზიანებულა პრევერბები, არჩიბულში, პირიქით, დროთა განმავლობაში სავსებით მოიშალა პრევერბების სისტემა, მაგრამ სრულიად არ შელახულა კლასები.

სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი კლას-ნიშანი – ორი, სამი. ამის მაგალითები არჩიბულშიც გვაქვს. ცნობილია ისინი სხვა ენებიდანაც, მაგალითად, ლაკურიდან[3], თაბასარანულიდან[4]... ხდება ისიც, რომ ორი კლას-ნიშნიდან ერთ-ერთი ან, შეიძლება, ორივე წყვეტს მოქმედებას, ქვავდება.[5] ასეთი ფაქტები, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, გვხვდება თაბასარანულში, დარგუულში... ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს არჩიბულ და-ბ-ხ-ას, და-ხას-ში "ცემა" ... და დე-ბ-ხზასჭ დე-ხზას-ში "დაფქვა", სადაც ფუძისეული და- და

---

1 ა. დ ი რ ი, აღულური ენა, გვ.III-IV; მ ი ს ი ვ ე, წახურული ენა, გვ.63... Б.Б. Т а л и б о в, Превербы в системе лезгинского глагольного корня, 1958; ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარანული ენა, გვ.223-224.

2 А. М а г о м е т о в, Превербы в табасаранском языке, იკე, VIII, 340.

3 ე. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში, ენიმკ-ის მოამბე, ტ.XII, გვ.174...

4 А. М а г о м е т о в, О строе глагола в табасаранском языке, 1961, გვ.232.

5 მ ი ს ი ვ ე, Реликты грамматических классов в агульском языке, გვ.178.

6 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ.56.

და-, რომელთაც ცალკე კლას-ნიშნები მოსდევს, წარმოშობით IV კლასის ექსპონენტები ჩანს. ასევე წარმოშობის უნდა იყოს და- ელემენტი არჩიბულ ზმნებში: და-ლ'ას "დახურვა", და-ყ'ას "დაკეტვა"... კლას-ნიშნები ჩანს წარმოშობით აგრეთვე ფუძის პირველი კომპონენტები ჲა- ზმნაში ჲა-ხას "თხრა" და ბე- ზმნაში ბე-წას "შეძლება"...

არ არის სავსებით ნათელი ყა- და ცა- ელემენტების წარმოშობა. ცა- შეიძლება ფონეტიკურად სახეცვლილი პრევერბი იყოს (სა -> ცა). უფრო ძნელი სათქმელია რა არის ყა- - სახეცვლილი პრევერბი (ყა - ჰა-), თუ ჯრომა ზმნის გაორმაგებული ფუძის პირველი კომპონენტი (ყა-ყ, შდრ.II ფუძე -ყა), უფრო - მეორე, ვინემ - პირველი.

ამრიგად, არჩიბულ ზმნაში გამოიყოფა ელემენტები, რომელთა უმეტესობა წარმოშობით პრევერბიოდული აფიქსები ანუ, როგორც ა.დირრ იტყოდა, ადგილობითი პრეფიქსები ჩანს, ნაწილი კი გაქვავებული კლას-ნიშნები უნდა იყოს...

თავის დროზე ა.დირრ აღნიშნავდა: "სხვადასხვა ლეზგიური ენის ზმნათა შედარებისას გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ არჩიბულს სულ არ გააჩნია ადგილობითი პრეფიქსები, რომლებითაც ასე მდიდარია თაბასარანული, აღულური... და რომლებიც გვხვდება ამ ჯგუფის სხვა ენებში".[1] ვფიქრობთ, დღეს "ადგილობითი პრეფიქსების" კვალი არჩიბულშიც მიკვლეულად უნდა ჩაითვალოს.

უფრო გვიან ეგევე ავტორი წერდა: "... დარწმუნებული ვარ, რომ ზმნაში ამ ადგილობითი პრეფიქსების ქონა ან უქონლობა წყვეტს საკითხს იმის შესახებ მოცემული ენა განეკუთვნება ლეზგიურ ჯგუფს..., თუ არა".[2] ამიტომ ძირითადად ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით ა.დირრს თავისი "რუთულური ენის" წინასიტყვაობაში შესაძლებლად მიაჩნდა საკუთრივ ლეზგიური ჯგუფიდან გამოერიცხა არა მარტო არჩიბული, არ-

---

1 ა. დ ი რ რ, არჩ.ენა, გვ.IV.
2 ა. დ ი რ რ, რუთულური ენა, გვ.III.

ამედ უდიური, ხინალუღური და წახურიც კი.[1] ა. დირი აქ, ცხადია, აჭარბებდა, მაგრამ, რომ ლეზგიური ჯგუფის ენათათვის განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო "პრევერბების" ქონა, ამას მოწმობს, ერთი მხრით, პრევერბების მქონე ლეზგიური ენები[2], მეორე მხრით, "პრევერბების" არსებობის საკმაოდ უდაო ნიშნები ლეზგიური ჯგუფის იმ ენებშიც, რომელთაც ამჟამად ისინი არ გააჩნია. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ "პრევერბები" გარდა ლეზგიური ჯგუფის ენებისა გვხვდება დარგუულშიც.[3] ასე რომ, ამა თუ იმ ენის ლეზგიური ჯგუფის ენად მიჩნევისათვის მხოლოდ ან ძირითადად ამ კრიტერიუმის გამოყენება საკმარისი არ უნდა იყოს. ასეა თუ ისე, არჩიბულს, ვფიქრობთ, უფუნქციო "პრევერბების" სახით აღმოაჩნდა კიდევ ერთი ისეთი ნიშანი, რომელიც მას უფრო მეტად აახლოებს ლეზგიური ჯგუფის ენებთან, რომლებთანაც არჩიბულ ენას ისედაც არა ერთი და ორი სხვა დამაახლოებელი და საერთო ნიშან-თვისება აკავშირებს.

ზმნათა ფუძეების ანალიზმა, ვფიქრობთ, ნათელი გახადა ისიც, რომ ზმნის ფუძის შიგნით მოქცეული კლას-ნიშნები წარმოშობით პრეფიქსებია.[4] მაგრამ ფუძეში ისინი სხვადასხვა გზით უნდა იყოს მოქცეული. ხმოვანზე დაწყებული ზმნების ნაწილში მათ ფუძის თავიდან გადაუნაცვლებიათ ფუძის შიგნით ან მის უკან. რაც შეეხება თანხმოვ-

---

1 ა. დ ი რ ი, რუთულური ენა, გვ.IV; იხ. აგრეთვე წახურული ენა, გვ.63.

2 ა. დ ი რ ი, რუთულური ენა,გვ.60,§58...; В.С. Х и д и р о в, Основные грамматические критерии глагола в кривском языке ... Автореферат, 1964,გვ.5-6.

3 შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, დარგუული ენის წუდახარული დიალექტის მორფოლოგიური თავისებურებანი, საქართველოს მეცნ.აკად. ენის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის თეზისები,1947,გვ.8; С. А б д у л л а е в, Грамматика даргинского яз., 1954, გვ. 158-162; ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, კუბაჩური ენა, გვ.175-183.

4 Т. Г у д а в а, Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках, 1959,გვ.11.

ნით დაწყებულ ზმნებს, აქ კლას-ნიშნებს ადგილი არ ჰქონია. ისინი ფუძის შიგნით აღმოჩნდა იმის გამო, რომ აფიქსები, რომლებიც მათ წინ იყო, დროთა განმავლობაში უფუნქციო გახდა და ფუძეს შეეზარდა.

*

* *

ზმნის ფუძეს რაიმე ფორმანტი შეიძლება არა მარტო წინ უძღოდეს, არამედ მოსდევდეს კიდეც; მაგ.: თემატური ხმოვანი, დაბოლოება, ათასში ერთხელ - კლას-ნიშანიც.

დაბოლოებას, თუ ის ოდენ თანხმოვნიანია, წინ აქვს თემატური[1] ან ფუძისეული ხმოვანი:

ატ-ა-ს "ჭრა", არტ-უ-რ//არტ-ა-რ "ჭრის"; კ-ი-ს "მოკვდომა", კ-ა-რ "კვდება"; საქჴ-ა-ს "ყურება", ბო-ს "თქმა"...

დაბოლოების წინ ხმოვანი არა გვაქვს, თუ ის ოდენ ხმოვნიანია ან თანხმოვანთან ერთად ხმოვანსაც შეიცავს:

აყ-უ "დატოვა" (შდრ. აყ-ა-ს "დატოვება"); ეკჴ-ა! "დაგავე!" (შდრ. ერკჴ-უ-რ "გვის"); დახ-დი "დაარტყა" (შდრ. დახ-ი-ს "დარტყმა").

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფუძისეული ან თემატური ხმოვანი შეიძლება გვქონდეს ხმოვნის შემცველი დაბოლოების თანხმოვნის წინაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ხმოვანი ერთადერთია და უშუალოდ დაბოლოების წინაა (ცუ-მულ "ქება", ა-მულ "კეთება"...).

კლას-ნიშნები, რომლებიც არჩიბულ ზმნაში, ჩვეულებრივ, პრეფიქსები ან ინფიქსებია, ზოგჯერ სუფიქსების სახითაც გვევლინება, ე.ი. ფუძისეულ ხმოვანს ან თანხმოვანს (წყდ. ძირს) მოსდევს. ასეთ შემთხვევაში თემატური ხმოვანი, დაბოლოება თუ სხვა ფორმანტი უშუალოდ კლასნიშნების შემდეგ გვაქვს:

---

[1] Troubetkoy, N. Notes sur les désinences du verbe dans les langues tchétchéno-lesghiennes...

ინფ. პ-ვ-ეს ... "ნასვლა"; მყოფ. ხო-ვ-თბი, ხა-რ-თბი, ხა-ბ-თბი ...

7. ძ ი რ ი თ ა დ ი და ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ფ ო რ მ ე ბ ი. ზევით ჩვენ გავეცანით ფუძეს – მის აგებულებასა და ტიპებს, მასთან დაკავშირებულ აფიქსებს (ზოგადად). ახლა უნდა განვიხილოთ ამ ფუძეთაგან მიღებული ზმნური (მაგ. დრო-კილოთა და სხვ.) ფორმები, რომლებიც ისევე, როგორც რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, შეიძლება იყოს ძ ი რ ი თ ა დ ი ან ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი.[1]

1) ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი. ზმნის ძირითად ფორმათაგან უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ მარტივი ნამყო ანუ ნამყო ძირითადი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ზმნური ფორმების მეტი წილი სწორედ მისგანაა ნაწარმოები (უშუალოდ ან შუალობით).[2] ის, როგორც ჩანს, არჩიბულშიც ზმნის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა.[3]

ნამყო ძირითადის მაწარმოებლები, ჩვეულებრივ, იდენ ხმოვნებია, სახელდობრ, უ, მისი ბგერითი ვარიანტი ო და ხმოვანი ა; მაგრამ ზმნათა შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფში სხვა ფორმანტები გვაქვს, კერძოდ, -დი, -დე და მათი ვარიანტები.

ნამყო ძირითადის ახლანდელი დაბოლოებები უშუალოდ მისდევს ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვნებს. მათ წინ არ ჩანს არც ფუძისეული და არც თემატური ხმოვნები.[4]

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ.130, §39; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ.247, § 148.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.52.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში, ენიმკი-ს მოამბე, XII, 1942, გვ.233; მ ი ს ი ვ ე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, 1948, გვ.5-6; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა, იკე, VII, 1956, გვ.213-214.

4 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ. ნაშრ.

ჩამოთვლილ მაწარმოებელთაგან ყველაზე. პროდუქტიულია უ:

ატ-უ[1] "გაჭრა", გვაყ-უ "შეაგროვა", ელ'ბ-უ "დადო", ეკხ-უ "და-გავა"..., ექ-უ "დავარდა", ჲა'ხ-უ "ამოთხარა", ოლ'-უ "გაყიდა", ოქბ-უ "დაწვა", ოწ-უ "გაწურა"; "გარეცხა", საქბ-უ "დაინახა", ალ'-უ "გაუყარა", აც-უ "მოწველა", აწ-უ "აავსო", აჭ-უ "დამალა", აჰბ-უ "გატეხა", "გატყდა", ბეწ-უ "შეძლო", ეც-უ "დაასხა", კხ-უ "დაკლა"...

ი უფრო იშვიათად გვხვდება. ის უმთავრესად გვაქვს იმ ზმნებში, რომელთაც I და IV კლასში ფუძის თავკიდური ხ მ ო ვ ა ნ ი არ მო-ეპოვებათ, II და III კლასში კი სხვა დროთაგან განსხვავებით, კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვანი (შდრ. ფუძის თავკიდური ხმოვანი) ფონეტი-კურ ნიადაგზე შეცვლილი აქვთ ო-თი, რომელიც ა.დირთან ყოველთვის უ-ს სახითაა ფიქსირებული:

ს-ო (IVკლ.), ბოს-ო (IIIკლ.), დოს-ო (IIკლ.) "დაიჭირა"; შდრ. ბრძ. ბასა! დასა! ც-ო (IVკლ.), ბოც-ო (IIIკლ.), დოც-ო (IIკლ.) "აქო"; შდრ. აწმ.ზ. ბაცარ (IIIკლ.), დაცარ (IIკლ.); ხოშ-ო (IV კლ.), ბოხჩ-ო (IIIკლ.) "დაგლიჯა"; შდრ. ინფ. ბახჩას (IIIკლ.), დახჩას(IIკლ.); ხბ-ო (IVკლ.), ბოხბ-ო (IIIკლ.), დოხბ-ო (IIკლ.) "არგა"; შდრ. ბრძ. ბახბა! (IIIკლ.), დახბა! (IIკლ.)...

ასევე შეზღუდული ჩანს ა-ს მოქმედების სფერო. ის უპირატესად გარდაუვალ ზმნებშია წარმოდგენილი:

უჰბ-ა "წავიდა" (Iკლ.), ჰბ-ა "მოვიდა" (IVკლ.), ჰ-ა "გაყი-ნა", კ-ა "მოკვდა", იხბ-ა "წაიღო..."

-დი..., -დე... და, განსაკუთრებით, მათი ფონეტიკური ვარიან-ტების ერთი წყება გვხვდება ზმნათა გარკვეულ ჯგუფში, რომლებზედაც საგანგებოდ შევჩერდებით ქვემოთ. აქ კი დავკმაყოფილდებით მხოლოდ სათანადო საილუსტრაციო მაგალითების მოყვანით:

---

[1] მაგალითები მოგვყავს IV კლასის ფორმით.

-დი (→ // -თბი), -დე (→ // -თბე):

ე-დი "იყო", დახ-დი "სცემა", აქ-დი "წავიდა", ქექ-დი "დაბრუნ-და", "დატრიალდა"... ყეჲ-დი "დაჯდა", ბეშ-დე "იყიდა"...

ფუძის გავლენით შეიძლება შეიცვალოს ფორმანტისეული თანხმოვანი, მაგ.:

ეხ-თბი ← //ეხ-დი (ა.დირი) "ავიდა";"დაიწვა", ოს-თბი ← //ოს-დი "გაჩერდა", "დადგა"..., ათბი ← *ათ-დი "გაუშვა"; ბეშ-თბე ← // ბეშ-დე "იყიდა"; ხოლე//ხულე[1] ← *ხულ-დე[2] "დაიხოცნენ";"დაძვლ-დნენ"..., ჩერე ← *ჩერ-დე "გამოაცხო","შეწვა"...

ამ შემთხვევაში ცალკე უნდა გამოვყოთ ის ზმნები, რომელთა ფუ-ძე, ივარაუდება, ნ-ზე ბოლოვდებოდა, და, სადაც ნამ.ძირითადის -დი //-დე ფორმანტის დართვისას, შეიძლება ვიფიქროთ, მოხდა შემდეგი ცვლილებები:

...*ნ-დი → ..., ნ-ნი → ნი; ...*ნ-დე → ნ-ნე → ნე:

ეტნი (← *ეტნ-დი) "შეკრა", "მიაბა"..., ერწ°ნი (← *ერწ°ნ-დი) "დაფარა", "დაიფარა", ეხნი (← *ეხნ-დი) "დაავიწყდა", ოლ'ნი (← *ოლ'ნ-დი) "წაიკითხა", "ისწავლა"; ბუქნე (← *ბუქნ-დე), ქუნ-ნე (← *ქუნ-დე) "შეჭამა",[3] წენ-ნე (← *წენ-დე) "გაცრა", ჭანე (← *ჭან-დე) "დაჭმუჭნა"...,

ნამყო ძირითადის დღევანდელი დაბოლოებები სხვადასხვა წარმო-შობისაა. -დე/-დი მისი ოდინდელი მაწარმოებელი ჩანს.[4] ამას მონა-თესავე ენები, კერძოდ, აღულური და წახურიც უნდა მოწმობდეს, სა-დაც არჩიბული -დე/-დი დაბოლოების ბადლად ნამყოს მაწარმოებლებად გვევლინება -ნა..., (წახურში[5]) და -რი და -დი (აღულურში)...[5]

---

1 შდრ. ა. დ ი რ ი ს მიერ ჩაწერილი "ხულლე", სადაც ორი"ლ" გვაქვს (იხ.მისი არჩ.ენა,გვ.186).

2 იხ, ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი ს დასახ.ნაშრ.

3 იხ. იქვე.

4 იხ. იქვე.

5 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახურ და მუხადურ (რუთულურ) ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაცია – საწერ მანქანაზე ნაბეჭდი),1965,გვ.881,938 ... ა. მ ა გ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულური ენა,1970, გვ.119...

უ და ა იმთავითვე ნამყო ძირითადის დაბოლოებები არ უნდა ყოფილიყო. წარმოშობით ისინი თემატური ხმოვნები ჩანს. მართლაც, ეს ხმოვნები აწმყო ზოგადში დღესაც თემატურ ნიშნებად გვევლინება. აქ მათ დაბოლოებაც ახლავთ. სავარაუდოა, რომ უ-სა და ა-ს, როგორც ოდინდელ თემატურ ხმოვნებს, თავის დროზე ნამყო ძირითადში ერთვოდა ამ ნაკვთის მაწარმოებელი, რომელიც დროთა განმავლობაში (რაღაც მიზეზების გამო)გამქრალა.

2) ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი. ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ინფინიტივს აწარმოებს -ს,[1] რომლის წინ თემატური (ან ფუძისეული) ხმოვანია. თემატურ ხმოვნად ინფინიტივში, ჩვეულებრივ, ა ხმოვანი გვაქვს, თუმცა შესაძლებელია შეგვხვდეს რომელიმე სხვა ხმოვანიც:

ატა-ს[2] "ჭრა", ელ'ბა-ს "დადება", ეკბა-ს "გვა", ოქბა-ს "მოკიდება (ცეცხლისა)", ოწა-ს "რეცხვა", "წურვა", საქბა-ს "ყურება", ალ'ა-ს "გაყრა", აცა-ს "წველა", აწა-ს "ავსება", აჰბა-ს "გატეხა", "გატყდომა", ბეწა-ს "შეძლება", ეცა-ს "დასხმა", ქვაშა-ს "მოხვედრება", სა-ს "დაჭერა", ცა-ს "ქება", ხბა-ს "ადგომა", ხაშა-ს "გაპობა", "გაჭრა"... აქბუს "ხედვა", ირქბუ-ს "მოძებნა"...,ბო-ს "თქმა", ლ'ო-ს "მიცემა", ქო-ს "მოსმენა", ხბე-ს "წაღება"... ჰბე-ს "წასვლა", ჰე-ს "გაყინვა", კი-ს "მოკვდომა", ყ'ეჯყი-ს "ჯდომა", ქვექბი-ს "ტრიალი"...

ყველაზე ხშირად ინფინიტივის დაბოლოების წინ გვხვდება ხმოვანი ა; მაგრამ, როგორც ა.დირი შენიშნავს, ხშირად[3] ა-ნიანი ფორმის პარალელურად შეიძლება განურჩევლად ი-ნიანი ფორმაც იხმარებოდეს.[4]

---

1 იხ. რ. ე რ კ ე რ ტ ი ს დასახ.ნაშრ., II, გვ.60; შდრ. ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.49, შენიშვნა I; შდრ. აგრეთვე, С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, გვ.73.

2 მაგალითები აქაც და ქვემოთ მოგვყავს IV კლ.ფორმით.

3 აჯობებდა გვეთქვა - "ზოგჯერ".

4 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.49, შენიშვნა I, და გვ.56, შენიშვნა 2.

დახა-ს (ა.დირი) // დახი-ს[1] "ცემა", ოცა-ს (ა.დირი) //ოცი-ს "დგომა", ათა-ს//ათი-ს[2] "გაშვება", ეყა-ს (ა.დირი) // ეყი-ს "გაკიდება", "დევნა", "მიწევა", ალ'ა-ს (ა.დირი) // ალ'ი-ს "მოსვლა", "მოღწევა"...

პარალელურად ხმარებულ ფორმებიდან დღეს – ამ შემთხვევაშიაც და საერთოდაც – უფრო ბუნებრივი ი-ნიანი ფორმები ჩანს.

არჩიბულში ინფინიტივის სხვა მაწარმოებლებიც (-ბუს, -მუს)[3] გვაქვს. მათ დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით.

ინფინიტივი არჩიბულშიც ყველაზე ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი ზმნური ფორმაა, მისი ძირითადი სინტაქსური ფუნქცია კი მოქმედების მიზნის გამოხატვაა:

ნენტუ ფერმილაქ ბუწი ა ც ა ს ჰბეს ი "ჩვენ ფერმაში ძროხების მ ო ს ა წ ვ ე ლ ა დ უნდა წავიდეთ".

ფატიმათ... ლ'ბან ა წ ა ს ორჰბა "ფატიმათი... წყლის ა ს ა ვ ს ე ბ ა დ წავიდა".

ზაქარივუ ქირიმუ ბ ე რ შ ა ს ობჰბა "ზაქარია და ქარიმი ს ა რ ბ ე ნ ა დ წავიდნენ".

ფამიდორ გ ვ ა ბ ყ ა ს იმქოლინ ლობურ ობჰბილი ებდი "პამიდორის შ ე ს ა გ რ ო ვ ე ბ ლ ა დ სკოლის ბავშვები წასულიყვნენ".

ბოშორუ ლ'ბონნოლუ უ ხ ე ლ'ბ ა ს ობხილი "კაცი და ქალი ყ ა ნ ი ს მ ო ს ა მ კ ე ლ ა დ (ზედმიწ.დასადებად) წასულან".

მიუხედავად თავისი ზოგადი მნიშვნელობისა, ინფინიტივი ისევე, როგორც სხვა ზმნური ფორმები, იცვლება კლასების მიხედვით (იხ. ზემოთ).

---

1 იხ. რ. ე რ კ ე რ ტ ი ს დასახ.ნაშრ., ნაწ.I, გვ.195.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.129.

3 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.49, შენიშვნა I; იხ. აგრეთვე, ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.73.

ინფინიტივი არჩიბულში არ იბრუნვის. არ იბრუნვის ის არც თაბასარანულსა[1] და მეზობელ ლაკურში[2], მაგრამ ბრუნებადია ზოგიერთ სხვა მონათესავე ენაში, მაგალითად, კრიზულში.[3]

წარმოშობით ინფინიტივი არჩიბულშიც მიცემით ბრუნვას უნდა უკავშირდებოდეს.[4] ამ მხრივ ყურადღებას იქცევს არა მარტო ინფინიტივის -ს დაბოლოებისა და მიცემითი ბრუნვის ს ნიშნის იგივეობა, არამედ, განსაკუთრებით, თვით არჩიბელთათვის არაცნობიერად არსებული და მეტად იშვიათად ხმარებული, მიცემითი ბრუნვის ზ ნიშნისა და ინფინიტივის ზ დაბოლოების იგივეობაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მიცემითისა და ინფინიტივის ზ ნიშნიანი ფორმები სულ რამდენიმეჯერ არის ფიქსირებული: აჯხა-ზ (ინფ.) "გატეხა", ჯხვე-ზ (ინფ.) "ნასვლა", ქე-ზ (ინფ.) "ყოფნა", "გახდომა"; ადამი-ზ (მიც.) "ადამიანს", ხოლი-ზ (მიც.) "ხელს". ეს უკანასკნელი მაგალითი ა.დირთან გვხვდება.[5]

ზოგიერთ ლეზგიურ ენაში, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ინფინიტივს აგრეთვე ს და ზ ფორმანტები აწარმოებს. ინფინიტივში ზ და ს გვაქვს, მაგ.: თაბასარანულში,[6] მხოლოდ ს - აღულურში[7], წახურში[8], რუთულურში...[8]

---

1 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარანული ენა, გვ.225.

2 ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი, ლაკური ენა, გვ.78.

3 ვ. ხ ი დ ი რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.9-10.

4 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ.ნაშრ.

5 უნ ყ'ენტ აბჩუ ბეზ ხ ო ლ ლ ი ზ "შენ მე მიჩქმიტე ხელზე" (იხ. არჩ. ენა, გვ.178).

6 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარანული ენა, გვ.224.

7 ა. დ ი რ ი, აღულური ენა, გვ. 30; Р. Ш а у м я н, Грамматический очерк агульского языка, გვ.79; ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულური ენა, გვ.127.

8 ა. დ ი რ ი, წახურული ენა, გვ.69; მ ი ს ი ვ ე, რუთულური ენა, გვ. 71-73; ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, 1966, გვ.63.

არჩიბული ინფინიტივის დაბოლოებანი გენეტურად მათთან უნდა იყოს დაკავშირებული.[1] ასევე წარმოშობისა ჩანს ზ, რომელსაც ლეზგიურ ენაში გამოყოფენ აბსოლუტივის მაწარმოებლად.[2]

3) ა წ მ ყ ო ზ ო გ ა დ ი. აწმყო ზოგადის მაწარმოებელია -რ,[3] რომელიც ზმნის ფუძეს დაერთვის იმავე წესით, როგორც ინფინიტივის ნიშანი:

არლ'ა-რ "უყრის" (მაგალითები მოგვყავს IV კლასის ფორმით), არცა-რ "წველის", არწა-რ "ავსებს", არჟა-რ "მალავს", ბერწა-რ "შეუძლია" (უკლასნიშნო ზმნაა), ერცა-რ "უსხამს", ცა-რ "აქებს", არჩა-რ "ყრის"; "ხოცავს", ვა-რ "ლაპარაკობს" (კლასებს არ განასხვავებს), ა-რ "აკეთებს", ქე-რ "არის", აქხუ-რ "ხედავს", ლ'ო-რ "აძლევს", ქო-რ "ესმის", ხო-რ "პოულობს"...

აწმყო ზოგადის ნიშნად რ-ს პარალელურად შენიშნულია ლ-ც:

სა-ლ (IVკლ.), ბასა-რ//ბასა-ლ (IIIკლ.) "ხარშავს"; ბა-რ//ბა-ლ "აკეთებს"...

დომში ბელ გენუქ ბ ა ს ა ლ (//ბასარ) "და ჩვენ კვერცხს გვიხარშავს". დო'ზბამუ ჯონკირთხუ ს ა ლ "ბებია ხინკალს ხარშავს". ნენ აკჰ ს ა ლ "ჩვენ ხორცს ვხარშავთ".

ზმნათა ერთ წყებაში აწმყოს დაბოლოებად გამოიყოფა -ან და -ინ (იხ.ქვ.).

დაბოლოების წინ აწმყო ზოგადშიც ხშირად გვაქვს ხმოვანი ა, რომელსაც ისევე, როგორც ინფინიტივში, ზოგჯერ პარალელურად შეიძლება ჰქონდეს ი-ნიანი ფორმაც.[4]

---

1 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ.ნაშრ.

2 П. У с л а р, Кюринский язык, გვ.208... ძ. თ ო ფ უ რ ი ა, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, გვ.19.

3 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., ნაწ.II, გვ.59; ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.53.

4 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.56, შენიშვნა 2.

ართა-რ//ართი-რ "უშვებს"[1], ორცა-რ (ა.დირი) //ორცი-რ "დგას", დარხა-რ (ა.დირი) // დარხი-რ "ცემს", "ურტყამს", ერყა-რ (ა.დირი) // ერყი-რ "მისდევს", "ეწევა", არლ'ა-რ // არლ'ი-რ[2] "მოდის", ორხბა-რ (ა.დირი) //ორხბი-რ "მიაქვს", ჯერჯა-რ (ა.დირი) // ჯერ-ჯი-რ "ყინავს"...

აღსანიშნავია, რომ პარალელური ფორმები ინფინიტივსა და აწმყო-ზოგადში აქვთ ერთსა და იმავე ზმნებს. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ პარალელური ფორმების მქონე ყველა ეს ზმნა ნამყო ძირითადს აწარმოებს ა-თი ან დი ფორმანტით.

ყურადღებას იქცევს ზმნები, სადაც აწმყო ზოგადის დაბოლოების წინ, ჩვეულებრივ, ფიგურირებს ხმოვანი უ:

დარყ'უ-რ "კეტავს", დალ'უ-რ "ხურავს", დერხბუ-რ[3] "ფქვავს", ერქუ-რ "ვარდება", ერყ'ურ "კბენს", ერხბურ "ვარცხნის", ერკუ-რ "გვის", და'რხუ-რ "თხრის", ორლ'უ-რ "ყიდის", ორქბუ-რ "იწვის", ორ-წუ-რ "წურავს", "რეცხავს", ორმუ-რ "ხსნის (მიბმულს)" და ა.შ.

ასეთ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია პარალელურად გვქონდეს ა-ნიანი ფორმებიც:

არტუ-რ (ა.დირი) // არტა-რ "ჭრის", არხბუ-რ//არხბა-რ (ა.დირი) "ჩამოსვლა", გვარყ'უ-რ // გვარყ'ა-რ (ა.დირი) "აგროვებს" და ა.შ.

უ-ნიანი ფორმები აწმყო ზოგადისთვისაა დამახასიათებელი. ინფინიტივში არ გვხვდება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ის ორიოდე მაგალითი (ირქბუ-ს "ძებნა", აქბუ-ს "ხედვა"), სადაც ინფინიტივის დაბოლოების წინ უ გვაქვს, მხედველობაში არ მიიღება, რადგანაც აქ უ მეორეულია, მიღებუ-

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.129.

2 იქვე, გვ.131.

3 იქვე, გვ.141; იხ. აგრეთვე რ. ე რ კ ე რ ტ ი ს დასახ. ნაშრ., ნაწ.II, გვ.56.

ლი ფუძისეული ლაბიალიზებული კომპლექსისა და ფორმანტის ურთიერთზე მოქმედების შედეგად.

სხვა მიმართებაა ამ მხრივ აწმყო ზოგადსა და ნამყო ძირითადს შორის. უ-ნიანი და ა-ნიანი ფორმები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნამყო ძირითადშიც გვაქვს. ოღონდ იქ ეს ხმოვნები ამჟამად ნამყოს დაბოლოებებს წარმოადგენენ და არა თემატურ ნიშნებს. ზემოთ ისიც იყო ნათქვამი, რომ ნამყო ძირითადის დაბოლოებები (უ და ა) წარმომობით იგივე ოდენობაა, რაც აწმყო ზოგადის თემატური ხმოვნები უ და ა. ახლა აქ ამ ვარიაციის დამადასტურებელ შემდეგ გარემოებაზე გვინდა მივუთითოთ. საქმე ისაა, რომ თუ აწმყო ზოგადის თემატურ ნიშნად უ გვაქვს, მაშინ ნამყო ძირითადის მაწარმოებლადაც უ გვექნება. ასეთივე მიმართება უნდა გვქონდა აწმყო ზოგადისა და ნამყო ძირითადის ა-ნიან ფორმებს შორისაც. სადაც ეს მიმართება დარღვეულია, მეორეულ ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე.

ნამყო ძირითადში ამჟამად უ-ნიანი ფორმები სჭარბობს ა-ნიანს, აწმყო ზოგადში, პირიქით, ა-ნიანი ფორმები მეტია, ვიდრე უ-ნიანი. ეს ერთგანაცა და მეორეგანაც უნიფიკაციის შედეგი ჩანს. აწმყოში უნიფიკაციის ამ ტენდენციას,კერძოდ, ა-ნიანი ფორმების მომრავლებას, ეფიქრობთ,ერთგვარად ხელს უწყობდა ინფინიტივისა და ბრძანებითის სათანადო ფორმებიც. ამ პროცესთანვე უნდა იყოს დაკავშირებული აგრეთვე ნამყოში უ-ნიანი ფორმების გავრცელება სხვა ძირითადი ნაკვთების ა-ნიანი ფორმების საპირისპიროდ.

4) ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი. მეორე პირის ბრძანებითს არჩიბულში ორი ძირითადი მაწარმოებელი აქვს. ესენია -ა და -ი.[1] ერთიცა და მეორეც, თემატური ხმოვნების მსგავსად, უშუალოდ ფუძისეული თან-

---

1 შდრ. ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.64.

ხმოვნის შემდეგაა.-ა გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ნამყო ძირითადი ხმოვნითაა ნაწარმოები,-ი კი- მაშინ, როდესაც ნამყოს მაწარმოებელია -დი.

ა-თი ნაწარმოები ბრძანებითის მაგალითები:

ინფ. ვარჰას (Iკლ.), დარჰას (IIკლ.) "ფიქრი" - ბრძ. ვარჰ-ა! დარჰ-ა! (მდრ. ნამ: ვარჰ-უ, დარჰ-უ);

ინფ. ატას (IVკლ.), აბტას (IIIკლ.) "ჭრა" - ბრძ. ატა-ა! ბატ-ა! (მდრ. ნამ: ატ-უ, აბტ-უ);

ინფ. გვაყას (მრ.რ.ნივთა კლასი), გვაბყას (მრ.რ.ადამიანთა კლასი) "შეგროვება", "თავის მოყრა" - ბრძ. გვაყ-ა! გვაბყ-ა! (მდრ. ნამ. გვაყ-უ, გვაბყ-უ);

ინფ. დეხბას "ფქვა" - ბრძ. დეხბ-ა! (მდრ.ნამ. დეხბ-უ);

ინფ. ელ‘ბას (IVკლ.), ებლ‘ბას (IIIკლ.) "დადება" - ბრძ. ელ‘ბ-ა! ბელ‘ბ-ა! (მდრ. ელ‘ბ-უ, ებლ‘ბ-უ);

ინფ. აცას (IVკლ.), ბაცას (IIIკლ.) "წველა" - ბრძ. აც -ა! ბაც-ა! (მდრ.ნამ. აც-უ, ბაც-უ);

ინფ. ბეწას "შეძლება" - ბრძ. ბეწ-ა! (მდრ.ნამ.ბეწ-უ);

ინფ. ეცას "დასხმა" - ბრძ. ეც-ა! (მდრ.ნამ.ეც-უ);

ინფ. კხას (IVკლ.) ბუკხას (IIIკლ.) "დაკვლა" - ბრძ. კხ-ა! ბუკხ-ა! (მდრ.კხ-უ, ბუკხ-უ);

ინფ. ხაშას (IVკლ.) "გაპობა", "გაჭრა", "დაგლეჯა" - ბრძ. ხაშ-ა! (მდრ.ნამ:ხოშ-ო);

ინფ. სას (IVკლ.), ბასას (IIIკლ.) "დაჭერა" - ბრძ. ს-ა! ბას-ა! (მდრ. ნამ. ს-ო, ბოს-ო);

ინფ. ხბას (IV კლ.), ბახბას "ადგომა" - ბრძ. ხბ-ა! ბახბ-ა! (მდრ. ნამ. ხბ-ო, ბოხბ-ო)...

ისეთ ზმნებში, სადაც ნამყო ძირითადს აწარმოებს ა, ბრძანებითის წარმოებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ა სუფიქსი. ას-

ეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, შეინიშნება რედუპლიკაციაც, რომლის დროსაც ლეზგიურის მსგავსად გამეორებულია ძირეული თანხმოვანი:[1]

ინფ. შვეს (Iკლ.), დეშეს (IIკლ.) "სირბილი" – ბრძ. შ-ვერ-შ-ა! დე-შ-ერ-შ-ა! (მრ. ნამ. შვ-ა, დაშ-ა);

ინფ. ხъეს (IVკლ.), ბეხъეს (IIIკლ.) "ნაღება" – ბრძ. ხъ-ე-ხъ-ა! ბე-ხъ-ე-ხъ-ა! (მრ.ნამ. ოთხъ-ა, ოპხъ-ა);

ინფ. დაქრას (IIკლ.), ქარას (IVკლ.) "წაყვანა..." – ბრძ. და-ქ-რა-ქ-ა! ქ-არა-ქ-ა! (მრ. ნამ. ორქ-ა, ოქ-ა);

ინფ. კვის (Iკლ.), დიკის (IIკლ.) "მოკვდომა" – ბრძ.კ-ვიმ-კ-ა! დი-კ-იმ-კ-ა! (მრ.ნამ.კვ-ა,დაკ-ა).

ი-თი ნაწარმოები ბრძანებითის მაგალითები:

ინფ. დაბხის (IIIკლ.), დახის (IVკლ.) "ცემა", "დარტყმა" – ბრძ. დაბხ-ი! დახ-ი! (მრ. ნამ.დაბხ-დი, დახ-დი);

ინფ. დაქъის (IIკლ.), ვაქъის (Iკლ.) "წასვლა" – ბრძ. დაქъ-ი! ვაქъ-ი! (მრ. ნამ: დაქ-დი, ვაქ-დი);

ინფ. ათის (IVკლ.), აბთის (IIIკლ.) "გაშვება" – ბრძ. ათ-ი! ბათ-ი! (მრ. ნამ. ათъი, აბთი);

ინფ. ქვევქъის (Iკლ.) "მიბრუნება..." – ბრძ. ქვეჯქъ-ი! (Iკლ.); მრ. ნამ. ქვევქ-დი (Iკლ.)...

ინფ. უცას (Iკლ.), ორცას (IIკლ.) "დგომა", "ცდა" – ბრძ. უც-ი! დოც-ი! (მრ.ნამ.უს-თი, ორს-თი);

ინფ. ევხმუს (Iკლ.), ეხმუს (IIკლ.) "ასვლა" – ბრძ. ვეხ-ი! დეხ-ი! (მრ. ნამ. ევხ-დი, ერხ-დი)...

ბრძანებითის ა და ი მაწარმოებლები, ნამყო ძირითადის ა და უ დაბოლოებების მსგავსად, ოდინდელი თემატური ხმოვნები უნდა იყოს. არჩიბულში აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორსაც ვარაუდობენ ხუნძუ-

---

[1] გ. თ ო ფ უ რ ი ა, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, გვ. 48.

რისათვის, სადაც ბრძანებითის "ორენ ხმოვნიანი ფორმანტი სხვა ნაკვ-თთა ფორმანტების თემატური ხმოვნის ფარდი ჩანს".[1] სავარაუდოა, რომ ასეთივე ვითარებაა დანარჩენ მონათესავე ენებშიც, როდესაც იქ ბრძანებითის მაწარმოებლად მხოლოდ ხმოვანია.[2]

ბრძანებითის მაწარმოებლად ზმნათა ერთ წყებაში გამოიყოფა -ინ და -ენ.[3] წარმოშობით ისინი, ამ რიგის ზმნების აწმყოს -ან და -ინ ფორმანტების მსგავსად, უმთავრესად ნ-ზე დაბოლოებული ზმნური ფუძეების ბოლო ნაწილებს უნდა წარმოადგენდნენ:

ინფ. არხმუს(IVკლ.), ბარხმუს (IIIკლ.) "ჩაყრა","თესვა" – ბრძ. არხ-ინ! ბარხ-ინ!

ინფ. ეხმუს (IVკლ.), ებხმუს (IIIკლ.) "დავიწყება" – ბრძ. ეხ-ინ! ბეხ-ინ!

ინფ. ოლ'მუს (IVკლ.), ბოლ'მუს (IIIკლ.) "კითხვა","სწავლა" – ბრძ. ოლ'-ინ! ბოლ'-ინ!

ინფ. ქუმმუს (IVკლ.), ბუქმუს (IIIკლ.) "ჭამა" – ბრძ. ქვ-ენ! ბუქ-ენ!

ინფ. ჭუმმუს//ჭომუს (IVკლ.) "დაჭმუჭვნა" – ბრძ. ჭ-ენ!

ბრძანებითს შეიძლება დაურთონ ხუნძურიდან ნასესხები და ნაწილაკი[4], რომელიც მას თხოვნის იერს ანიჭებს:

ბოხ'როხ'ე-და! (← ბოხ'როხ'ა-და) "აბა, გავცვალოთ!" ელ'ზა-და![5] "აბა ჩადევი!" ბე-და! (← ბა-და) "აბა, გვიამბე!" ერშხე-და! (← ერშხა-და) "აბა, გაიქეცი!"...

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.249, § 150.

2 ა. დ ი რ ი, წახურული ენა, გვ.71-72; მ ი ს ი ვ ე, რუთ. ენა, გვ.75-76; მ ი ს ი ვ ე, აღულური ენა, გვ.33-34; გ. თ ო ფ უ რ ი ა, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, გვ. 45; Ю.Д. Д е ш е р и е в, Грамматика хиналуг. яз., 1959, გვ.93-100; ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარ.ენა, გვ.190-193; მ ი ს ი ვ ე, კუბაჩ.ენა, გვ.202; ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი, ლაკური ენა, გვ.117-121; დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დიდოური ენა, გვ.190-193; ე. Л о м т а д з е, Гинухский диалект дидойского языка, გვ.137-139; ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, გვ.117; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ. 231...

3 ა. დ ი რ ი, არჩ.ენა, გვ.64.

4 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.262.

5 ა. დ ი რ ი, არჩ.ენა, გვ.116, შენიშვნა 3.

ჲამი ბოლი: ბაქბუს ოსბ ჰონკ ბ ო ხ' რ ო ხ' ე ჲ ა! "მგელს უთქვამს: აბა, გასასინჯად (ზედმიწ. საჩვენებლად) ერთი ხინკალი გ ა ვ ც ვ ა ლ ო თ!"

ოსბ ეზუ აქბუს ე ლ'ბ ა ჲ ა-ბოლი "ა ბ ა, ერთი ჩვენს საჩვე-ნებლადაც ჩ ა დ ე ვ ი ო" ...

მრავლობითში ბრძანებითის მაწარმოებლებს დაერთვის -რ:[1]

ქვენწეჲწუ ო ჰბ ა რ დისიში! "თქვენ თვითონ წ ა დ ი თ დუ-სთრახში!"

ლობურ, ქვენ ხითბის ხ' ა რ ა ხ' ა რ "ბავშვებო, თქვენ მერე ი ც ი ნ ე თ!"

ქვენ ი ც ი რ! "თქვენ დ ა მ ე ლ ო დ ე თ (ზედმიწ.იდექით)!"

ჰა, ჰ ე რ შ ა რ! "აბა, გ ა ი ქ ე ც ი თ!..."

არჩიბულის ეს -რ უნდა უკავშირდებოდეს თაბასარანულ -რი-ს[2] და ლეზგიურ რაჲ-ს. პირველი ბრძანებითს აწარმოებს III პირის მხოლო-ბით რიცხვში, მეორე - მხოლობითშიც და მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი ა ც. "-რაჲ ფორმანტის გენეზისი უცნობია, მაგრამ იგი უნდა იშლებოდეს", - წერს გ.თოფურია და წარმოგვიდგენს მისი შედგენილობის ორ შესა-ძლო ვარიანტს: რა-ჲ-სა და რ-აჲ-ს.[3] ჩვენთვის უფრო სარწმუნოა მეორე, ე.ი. რ-აჲ. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ რ-აჲ-ს მეორე კომპონენტი (-აჲ) იგივე ოდენობაა, რაც თაბასარანული აჲ, რომელიც მრავლობითი რიცხვის ბრძანებითში იჩენს თავს,[4] და აღულური აჲ, რო-მელიც აგრეთვე მრავლობითი რიცხვის ბრძანებითშია წარმოდგენილი.[5]

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 65, შენიშვნა 1.

2 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარანული ენა, გვ.278, § 153.

3 გ. თ ო ფ უ რ ი ა, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, გვ.55.

4 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარანული ენა, გვ.275, § 150.

5 ა. დ ი რ ი, აღულური ენა, გვ.33-34; **Р. Ш а у м я н, Грамматический очерк агульского языка,** გვ.79; ა. მ ა ჰ ო-მ ე ტ ო ვ ი, აღულური ენა, გვ. 140-141.

მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს ბრძანებითს აწარმოებს სუფიქსი -ბა.[1] ის დაერთვის მ ე ო რ ე პ ი რ ი ს ბრძანებითის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს:

ატა-ბა! (IVკლ.) "გაქრას!" ლ'-ა-ბა! (IVკლ.) "მისცეს!" უცი-ბა! (Iკლ.), დოცი-ბა! (IIკლ.) "დაგვიცადოს!" (გერმინ. "იდგეს!"); ვეყა-ბა! (Iკლ.) "იყოს!" (გერმინ. "იჯდეს!"); ქვა-ბა! (Iკლ.) "იყ-ოს!" ა-ბა! (IVკლ.) "გააკეთოს!" ბარჰარ-ბა! "იფიქროს!" ხბარ-ბა! "ადგნენ!"

თებ ბ ი ც ი რ ბ ა! "ისინი (ადამიანები) დ ა გ ვ ე ლ ო დ - ო ნ!" (გერმინ."იდგნენ!");

ანსას ორხ'ი ლ' ა ბ ა! "ხარს მარილი მ ი ს ც ე ს!"

ვის უმმუს ლ' ა ბ ა ჲაღ ყონყ! "ჩემს ძმას ეს წიგნი მ ი - ს ც ე ს!"...

8. უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს ტ ი პ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. ა.დი-რი არჩიბულში სამ უღვლილებას გამოყოფს[2] და თითოეულ მათგანს ახასი-ათებს იმის მიხედვით, თუ რა თავისებურებებს ამჟღავნებს ის ამა თუ იმ ზმნურ ფორმაში, სახელდობრ, აწმყოში,[3] ინფინიტივში,[4] ნამყოსა[5] და ბრძანებითში.[6] მეორე უღვლილებაში მოქცეული აქვს, როგორც თვითონ ამბობს, -მუს-ზე დაბოლოებული ზმნები (რამდენიმეს გარდა).[7] -ს-ზე დაბოლოებულები შედის პირველ და მესამე უღვლილებაში. ზმნათა სამი განსხვავებული ჯგუფი სამი სხვადასხვა ნიშნით უმთავრესად წარმოდგე-ნილია ნამყოში და ნაწილობრივ ბრძანებითში.

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ.ენა, გვ.64; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.134.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 52-53.

3 იქვე, გვ.53.

4 იქვე, გვ. 57.

5 იქვე, გვ. 57.

6 იქვე, გვ. 64.

7 იქვე, გვ. 57.

ა.დირის მიერ უღვლილების ტიპების დასახასიათებლად წარმოდგენილი ამ ნიშნების მიხედვითაც კი, ვფიქრობთ, უფრო ბუნებრივი იქნებოდა, მეორე უღვლილების ზმნები მესამე რიგში ყოფილიყო მოქცეული, მესამე უღვლილებისა კი – მეორე რიგში. ასეთ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდებოდა ზმნათა ისეთი ჯგუფები (ა.დირის I და II უღვლილების ზმნები), რომელთაც ამჟამად ერთმანეთთან უფრო მეტი აქვთ საერთო (აწმყოს დაბოლოება, ინფინიტივის ნიშანი, ბრძანებითის მაწარმოებლები), ვიდრე თითოეულ მათგანს -მუს-ზე დაბოლოებულ ზმნებთან.

ს.ხაიდაკოვი საკლასიფიკაციო ნიშნად იღებს ინფინიტივის სუფიქსებს და არჩიბულში უღვლილების ორ ტიპს გამოყოფს: "ყველა – ას..., -ის..., -უს..., -ოს... სუფიქსიანი ზმნა, – წერს ის, – პირობით შეგვაქვს პირველ უღვლილებაში, ხოლო ყველა -მუს სუფიქსებიანი ზმნა – მეორე უღვლილებაში".[1]

უღვლილებათა ტიპების გასარჩევად ინფინიტივის ნიშნებიდან ამოსვლა არჩიბულში არ იძლევა სათანადო შედეგს. მით უფრო თუ ამავე დროს თავისებურადაა გაანალიზებული ნამყო ძირითადის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი. მხედველობაში გვაქვს ფორმანტი -დი, -დე (//-თბე), სადაც ს.ხაიდაკოვის აზრით ნამყოს მაწარმოებელია მხოლოდ ხმოვნები -ი და -ე. რაც შეეხება დ-ს (//თბ-ს), ის მიჩნეულია ისეთ ელემენტად, რომელიც თავს იჩენს ხოლმე, როგორც ავტორი ფიქრობს, ნამყოს ფორმანტების -ი-სა და ე-ს წინ;[2] მაგრამ -დი-ს ასეთ ანალიზს მხარს არ უჭერს არც სათანადო ფაქტები არჩიბული ენისა, სადაც ნამყო ძირითადის მაწარმოებლად დღეს ოდენ ხმოვნებიცაა, მაგრამ არა ი და ე, არამედ უ, ო და ა, და არც მონათესავე ენების ჩვენება, კერძოდ, ნამყოს წახური და აღულური ფორმანტები: -ნა, -დი, -რი. როგორც ვხედავთ, არ არსებობს რეალური საფუძველი -დი,-დე სუფიქსების დაშლისა,რაც

---

1 С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, გვ.78.

2 იქვე, გვ.80.

იმას ნიშნავს, რომ ზმნები, რომელთაც ნამყო ძირითადის მაწარმოებლად ეს ფორმანტები მოუდის, არ შეიძლება გავუთანაბროდ იმ ზმნებს, რომელთა მაწარმოებლები ნამყო ძირითადში ოდენ ხმოვნებია, ე.ი. არ შეიძლება ამ ზმნების ერთ უღვლილებაში მოქცევა ისე, რომ არ მოვათავსოთ ისინი სხვადასხვა ქვეჯგუფში მაინც. ამრიგად, თუ უღვლილებათა ტიპების გასარჩევად მაინცდამაინც ინფინიტივის დაბოლოებებიდან ამოვალთ, მაშინ ზმნათა იმ წყებაში, სადაც ინფინიტივის მაწარმოებელია -ს, ნამყო ძირითადის ფორმანტთა შესაბამისად უნდა გამოიყოს უღვლილების ორი ქვეტიპი.

სადავოა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნების შერჩევის საკითხიც. ინფინიტივის დაბოლოებები -ს და -მუს განსხვავებული ღირებულების მქონე ფორმანტებია. -ს, როგორც ინფინიტივის ნიშანი, გასდევს ენათა მთელ ჯგუფს მაშინ, როდესაც -მუს მხოლოდ არჩიბულისთვისაა დამახასიათებელი და ისიც ზმნათა გარკვეულ ჯგუფში. -ს ძველისძველი ფაქტია, -მუს შედარებით - ახალი. მათი ერთ სიბრტყეზე მოთავსება და უღვლილების ტიპების გასარჩევად გამოყენება არაა გამართლებული არც სტატიკური ანალიზის თვალსაზრისით და, მით უფრო, არც ისტორიულად. ამ შემთხვევაში არჩიბულისათვის უფრო მიზანშეწონილი ჩანს ამოვიდეთ ნამყო ძირითადის წარმოებიდან.

ნამყო ძირითადის ნიშნების მიხედვით შეიძლება გარჩეულ იქნას უღვლილების ს ა მ ი ტიპი: ო რ ი ძ ი რ ი თ ა დ ი - პ ი რ ვ ე ლ ი და მ ე ო რ ე, და ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნ ა რ ე ვ ი, კ ო ნ ტ ა მ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი ტიპი. ძირითად ტიპებს ქმნიან ზმნები, რომლებსაც ნამყოს მაწარმოებლად მოუდის ოდენ ხმოვნები: -უ, -ო, -ა - პ ი რ ვ ე ლ ი უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა, ან ფორმანტები: -დი,. -დე და მათი ვარიანტები - მ ე ო რ ე უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა. მ ე ს ა მ ე - ნარევი ანუ კონტამინირებული უღვლილება, თავისი წარმოშობით უკავშირდება, ერთი მხრით, მეორე უღვლილებას, მეორე მხრით, შედგენილ ზმნებს.

ჩვენ ჯერ განვიხილავთ უღვლილების პირველ ორ ტიპს, შემდეგ - პერგენილ ზმნებს, ბოლოს - მესამე უღვლილებას. ოღონდ მანამდე უნდა შევჩერდეთ ზმნათა იმ კლასიფიკაციაზე, რომელიც წარმოდგენილია ყ.მიქაილოვის შრომაში.

ყ.მიქაილოვს აწმყო ზოგადში, ნამყო ძირითადსა და ბრძანებითში ზმნები დაჯგუფებული აქვს თითოეული ნაკვთის "ზმნური ფუძის მორფოლოგიური გაფორმების" მიხედვით.[1] ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი ნაკვთთა მიხედვით განსხვავებული იქნება. განსხვავებული იქნება, ცხადია, კლასიფიკაციის შედეგიც. მართლაც, მაშინ, როდესაც აწმყო ზოგადსა და ბრძანებითში წარმოდგენილია ზმნათა მხოლოდ ორი ტიპი - რვა ქვეტიპით აწმყო ზოგადში და შვიდი ქვეტიპით ბრძანებითში, ნამყო ძირითადში გვაქვს ზმნათა ცხრა ტიპი.

ამრიგად, ყ.მიქაილოვის შრომაში ზმნები დაჯგუფებულია ნაკვთთა მიგნით, მაგრამ საერთო საკლასიფიკაციო ნიშნის შეურჩევლობის (უქონლობის) გამო არ არის წარმოდგენილი მათი უღვლილების ტიპებად დაჯგუფების მთლიანი სურათი.

9. პ ი რ ვ ე ლ ი უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა. პირველ უღვლილებაში, როგორც ზემოთ მივუთითებდით, შედის ზმნები, რომელნიც ნამყო ძირითადს აწარმოებენ ორენ ხმოვნებით. გარდა ამისა, ამ უღვლილების ზმნათვის დამახასიათებელია ბრძანებითის სუფიქსად ხმოვანი - ა. იმის მიხედვით, ნამყო ძირითადის მაწარმოებელი რა ხმოვანია - უ, ო, თუ ა, პირველ უღვლილებაში შეიძლება გამოიყოს სამი ქვეტიპი: I - უ-ხმოვნიანი, II - ო-ხმოვნიანი, და III - ა-ხმოვნიანი.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ვ ე ტ ი პ ი ს ზ მ ნ ე ბ ი თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად, ერთისთვის დამახასიათებელია აწმყო ზოგადში თე-

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.126-135,§ 90; გვ.104-112, § 79; გვ. 112-119, § 80.

მაჟურ ნიშნად -უ-//-ა-, მეორისათვის - მარტო -ა- მაშინ, როდე-საც ინფინიტივში ამ ქვეტიპის ზმნებს თემატურ ხმოვნად მოუდის მხო-ლოდ -ა-.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქვემოთ, ოთხი ძირითადი ფორმის ფორმან-ტთა სქემებში, ყველგან ნაჩვენები გვექნება დ ა ბ ო ლ ო ე-ბ ე ბ ი - ნამ. ძირითადსა და ბრძანებითში, და თ ე მ ა ტ უ-რ ი ხ მ ო ვ ნ ე ბ ი დაბოლოებებითურთ - აწმყო ზოგადსა და ინფინიტივში.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ გ უ ფ ი

ნამყო ძირითადი	-უ
ბრძანებითი	-ა
აწმყო ზოგადი	-უ-რ // -ა-რ
ინფინიტივი	-ა-ს

ნამ. არჰ-უ, ბარჰ-უ, დარჰ-უ, ვარჰ-უ, ბრძ. დარჰ-ა (IIკლ.), ვარჰ-ა (Iკლ.), აწმ.ზ. არჰ-ა-რ, ბარჰ-ა-რ//ბარჰ-უ-რ, დარჰ-ა-რ, ვარჰ-ა-რ, ინფ. არჰ-ა-ს, ბარჰ-ა-ს, -დარჰ-ა-ს, ვარჰ-ა-ს - "ფიქ-რი"; "ზრუნვა"...

ნამ. ატ-უ, აბტ-უ, არტ-უ, ოვტ-უ, ბრძ. ატ-ა, ბატ-ა, დატ-ა, ვატ-ა, აწმ.ზ. არტ-ა-რ//არტ-უ-რ, ბარტ-ა-რ, დარტ-უ-რ, ვარტ-უ-რ, ინფ. ატ-ა-ს, აბტ-ა-ს, არტ-ა-ს, ოვტ-ა-ს - "ჭრა";

ნამ. ახბ-უ, აბხბ-უ, არხბ-უ, ოვხბ-უ, ბრძ. ახბ-ა, ბახბ-ა, დახბ-ა, ვახბ-ა, აწმ.ზ. არხბ-უ-რ//არხბ-ა-რ, ბარხბ-უ-რ//ბარხბ-ა-რ, დარხბ-უ-რ//დარხბ-ა-რ, ვარხბ-უ-რ//ვარხბ-ა-რ, ინფ. ახბ-ა-ს, აბხბ-ა-ს, არხბ-ა-ს, ოვხბ-ა-ს - "ჩამოსვლა";

ნამ. გვაყ-უ (მრ.რ.ნივთთა კლასი), გვაბყ-უ (მრ.რ.ადამიანთა კლასი), ბრძ. გვაყ-ა, გვაბყ-ა, აწმ.ზ. გვარყ-უ-რ, გვაბყ-უ-რ, ინფ. გვაყ-ა-ს, გვაბყ-ა-ს - "შეგროვება", "მოგროვება","შეკრება";

ნამ. დალ'-უ, ბრძ. დალ'-ა, აწმ.ზ. დალ'-უ-რ, ინფ. დალ'-ა-ს - "დახურვა";

ნამ. ეჲლ‘ბ-უ, ებლ‘ბ-უ, ერლ‘ბ-უ, ევლ‘ბ-უ, ბრძ. ეჲლ‘ბ-ა, ბელ‘ბ-ა, ველ‘ბ-ა, აწმ.მ. ერლ‘ბ-ა-რ, ბერლ‘ბ-ა-რ, დერლ‘ბ-ა-რ//დერლ‘ბ-უ-რ, ვერლ‘ბ-ა-რ//ვერლ‘ბ-უ-რ, ინფ. ეჲლ‘ბ-ა-ს, ებლ‘ბ-ა-ს, ერლ‘ბ-ა-ს, ევლ‘ბ-ა-ს – "დადება";

ნამ. ეჲლ'-უ, ებლ'-უ, ევლ'-უ, ბრძ. ეჲლ'-ა, ბელ'-ა, დელ'-ა, ველ'-ა, აწმ.მ. ერლ'-ა-რ, ბერლ'-ა-რ, დერლ'-ა-რ, ვერლ'-ა-რ//ვერლ'-უ-რ, ინფ. ეჲლ'ას, ერლ'-ა-ს, ევლ'-ა-ს – "გაღვიძება";

ნამ. ეჲკჰ-უ, ბეჲკჰ-უ, ბრძ. ეჲკჰ-ა, ბეჲკჰ-ა, აწმ.მ. ერკჰ-უ-რ, ბეჲკჰ-უ-რ, ინფ. ეჲკჰ-ა-ს, ბეჲკჰ-ა-ს – "გაწმენდა", "დაგვა";

ნამ. ეჲქ-უ, ებქ-უ, ერქ-უ, ევქ-უ, ბრძ. ეჲქ-ა, ბექ-ა, დექ-ა, ვექ-ა, აწმ.მ. ერქ-უ-რ, ბერქ-უ-რ, დერქ-უ-რ, ვერქ-უ-რ, ინფ. ეჲქ-ა-ს, ებქ-ა-ს, ერქ-ა-ს, ევქ-ა-ს – "დავარდნა";

ნამ. ჸა‘ხ-უ, ბრძ. ჸა‘ხ-ა, აწმ.მ. ჸა‘რხ-უ-რ, ინფ. ჸა‘ხ-ა-ს – "თხრა";

ნამ. ოქბ-უ, ბოქბ-უ, დოქბ-უ, უქბ-უ, ბრძ. ოქბ-ა, ბოქბ-ა, დოქბ-ა, უქბ-ა, აწმ.მ. ორქბ-უ-რ, ბორქბ-უ-რ, დორქბ-უ-რ, ურქბ-უ-რ, ინფ. ოქბ-ა-ს, ბოქბ-ა-ს, დოქბ-ა-ს, უქბ-ა-ს – "წვა";

ნამ. ოშ-უ, ობშ-უ, ორშ-უ, უშ-უ, ბრძ. ოშ-ა, ბოშ-ა, დოშ-ა, უშ-ა, აწმ.მ. ორშ-უ-რ, ბორშ-უ-რ, დორშ-უ-რ, ურშ-უ-რ, ინფ. ოშ-ა-ს, ობშ-ა-ს, ორშ-ა-ს, უშ-ა-ს – "მოხსნა" (დაბმულისა);

ნამ. ოწ-უ, ბოწ-უ, ბრძ. ოწ-ა, აწმ.მ. ორწ-უ-რ, ბორწ-უ-რ, ინფ. ოწ-ა-ს, ბოწ-ა-ს – "რეცხვა", "წურვა";

ნამ. საქბ-უ, საბქბ-უ, სარქბ-უ, სოვქბ-უ, ბრძ. საქბ-ა, საბქბ-ა, სარქბ-ა, სოვქბ-ა, აწმ.მ. საქბ-ა-რ, საბქბ-ა-რ, სარქბ-ა-რ, სოვქბ-ა-რ//სოვქბ-უ-რ, ინფ. საქბ-ა-ს, საბქბ-ა-ს, სარქბ-ა-ს, სოვქბ-ა-ს – "ცქერა"...

მ ე ო რ ე   ჯ გ უ ფ ი

ნამყო ძირითადი	-უ
ბრძანებითი	-ა
აწმყო გრძელი	-ა-რ
ინფინიტივი	-ა-ს

ნამ. ათჺ-უ, ბათჺ-უ, დათჺ-უ, ვათჺ-უ, ბრძ. ათჺ-ა, ბათჺ-ა, დათჺ-ა, ვათჺ-ა, აწმ.გ. ათჺ-ა-რ, ბათჺ-ა-რ, დათჺ-ა-რ, ვათჺ-ა-რ, ინფ. ათჺ-ა-ს, ბათჺ-ა-ს, დათჺ-ა-ს, ვათჺ-ა-ს - "ჩხუბი";

ნამ. ალ'-უ, აბლ'-უ, ბრძ. ალ'-ა, ბალ'-ა, აწმ.გ. არლ'-ა-რ, ბარლ'-ა-რ, ინფ. ალ'-ა-ს, აბლ'-ა-ს - "გაყრა";

ნამ. ას-უ, აბს-უ, არს-უ, ოვს-უ, ბრძ. ას-ა, ბას-ა, ვას-ა, აწმ.გ. არს-ა-რ, ბარს-ა-რ, დარს-ა-რ, ვარს-ა-რ, ინფ. ას-ა-ს, აბს-ა-ს, არს-ა-ს, ოვს-ა-ს - "ტარება", "ნაღება"...

ნამ. ან-უ-, აბნ-უ, არნ-უ, ოვნ-უ, ბრძ. ან-ა, ბან-ა, დან-ა, ვან-ა, აწმ.გ. არნ-ა-რ, ბარნ-ა-რ, დარნ-ა-რ, ვარნ-ა-რ, ინფ. ა-ნ-ა-ს, აბნ-ა-ს, არნ-ა-ს, ოვნ-ა-ს - "გავსება";

ნამ: აჯჺ-უ, აბჯჺ-უ, ბრძ. აჯჺ-ა, ბაჯჺ-ა, აწმ.გ. არჯჺ-ა-რ, ბარჯჺ-ა-რ, ინფ. აჯჺ-ა-ს, აბჯჺ-ა-ს - "გატეხა", "გატყდომა";

ნამ. ბენ-უ, ბრძ. ბენ-ა, აწმ.გ. ბერნ-ა-რ, ინფ.ბენ-ა-ს - "მე-ძღება";

ნამ. ეც-უ, ბრძ. ეც-ა, აწმ.გ. ერც-ა-რ, ინფ. ეც-ა-ს - "და-სხმა";

ნამ.ქვამ-უ, ქვაბმ-უ, ქვარმ-უ, ქოვმ-უ, ბრძ. ქვამ-ა, ქვაბმ-ა, ქვარმ-ა, ქოვმ-ა, აწმ.გ. ქვარმ-ა-რ, ქვაბმ-ა-რ, ქვარმ-ა-რ, ქოვმ-ა-რ, ინფ. ქვამ-ა-ს, ქვაბმ-ა-ს, ქვარმ-ა-ს, ქოვმ-ა-ს - "მოხვე-დრა";

ნამ. ხვაკ-უ, ხვაბკ-უ, ხვარკ-უ, ხოვკ-უ, ბრძ. ხვაკ-ა, ხვაბკ-ა, ხვარკ-ა, ხოვკ-ა, აწმ.გ. ხვაკ-ა-რ, ხვაბკ-ა-რ, ხვარკ-ა-რ, ხოვკ-ა-რ, ინფ. ხვაკ-ა-ს, ხვაბკ-ა-ს, ხვარკ-ა-ს, ხოვკ-ა-ს - "ძებნა"...

ზმნათა ამავე ჯგუფში შედის ას... "კეთება":

	IVკლ.	IIIკლ.	IIკლ.	Iკლ.
ნამ.ძ.	ა-ვ ← *ა-უ	აბ-უ	არ-უ	ავ//ოვ ←*ა-ვ-უ
ბრძ.	ა	ბ-ა	დ-ა	ვ-ა
აწმ.ზ.	ა-რ(←ღ-ა-რ)[1]	ბ-ა-რ//ბ-ა-ლ	დ-ა-რ	ვ-ა-რ
ინფ.	ა-ს	აბ-ა-ს	არ-ა-ს	ავ-ს//ოვ-ს

ამ ზმნას არჩიბულში, როგორც ვხედავთ, ძირეული თანხმოვანი არ გააჩნია. ზოგიერთ ფორმაში (ბრძ., აწმ.ზ.) არ ჩანს ძირეული ხმოვანიც. ის ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს გაუჩინარებული.

ო რ ჯ გ უ ფ ა დ იყოფა აგრეთვე პირველი უღვლილების მ ე ო რ ე ქ ვ ე ტ ი პ ი ს ზმნები. ზმნათა ამ ჯგუფებს შორის განსხვავებას ქმნის აწმყო ზოგადისა და ინფინიტივის თემატური ხმოვნები. ერთ შემთხვევაში გვაქვს ა (I ჯგუფი), როგორც აწმყო ზოგადში, ისე ინფინიტივში, მეორეში -ო (II ჯგუფი).

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ გ უ ფ ი

ნამყო ძირითადი	-ო
ბრძანებითი	-ა
აწმყო ზოგადი	-ა-რ
ინფინიტივი	-ა-ს

ნამ: ს-ო, ბოს-ო, დოს-ო, სუ (← *ს-ვ-ო), ბრძ. ს-ა, ბას-ა, დას-ა, ს-ვ-ა, აწმ.ზ. ს-ა-რ, ბას-ა-რ, დას-ა-რ, ს-ვ-ა-რ, ინფ. ს-ა-ს, ბას-ა-ს, დას-ა-ს, ს-ვ-ა-ს - "დაჭერა";

ნამ: ხბ-ო, ბოხბ-ო, დოხბ-ო, ხბუ (← *ხბ-ვ-ო), ბრძ. ხბ-ა, ბახბ-ა, დახბ-ა, ხბ-ვ-ა, აწმ.ზ. ხბ-ა-რ, ბახბ-ა-რ, დახბ-ა-რ, ხბ-ვ-ა-რ, ინფ: ხბ-ა-ს, ბახბ-ა-ს, დახბ-ა-ს, ხბ-ვ-ა-ს, - "ადგომა";

ნამ. ხოშ-ო (IV კლ.), ბოხჩ-ო (IIIკლ.), ბრძ. ხაშ-ა, ბახჩ-ა, აწმ.ზ. ხაშ-ა-რ, ბახჩ-ა-რ, ინფ. ხაშ-ა-ს, ბახჩ-ა-ს (← *ბახაშ-ა-ს) - "გაპობა", "გახეთქვა", "გაგლეჯა", "გახევა"...

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ., I, გვ. 190.

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი

ნამყო ძირითადი	-ო
ბრძანებითი	-ა
აწმყო ზოგადი	-ო-რ
ინფინიტივი	-ო-ს

ნამ. ქ-ო, ბოქ-ო, დოქ-ო, ქუ (← ქ̄ვო), ბრძ. ქ-ა, ბაქ-ა, დაქ-ა, ქვ-ა, აწმ.ზ. ქ-ო-რ, ბოქ-ო-რ, დოქ-ო-რ, ქურ, ინფ. ქ-ო-ს, ბოქ-ო-ს, დოქ-ო-ს, ქუს - "გაგონება";

ნამ. ხ-ო, ბოხ-ო, დოხ-ო, ხუ (← ხ̄ვო), ბრძ. ხ-ა, ბახ-ა, დახ-ა, ხვ-ა, აწმ.ზ. ხ-ო-რ, ბოხ-ო-რ, დოხ-ო-რ, ხურ, ინფ. ხ-ო-ს,ბოხ-ო-ს, დოხ-ო-ს, ხუს - "პოვნა"...

ამავე ჯგუფში უნდა მოვაქციოთ დრონაკლი ზმნა ლ'ოს "მიცემა";

ნამ. ლ'-ო, ბოლ'-ო, დოლ'-ო, ლ'უ, ⌈ბრძ. ოყ-ი, ბოყ-ი, დოყ-ი, უყ-ი,⌉ აწმ.ზ. ლ'ო-რ, ბოლ'-ო-რ, დოლ'-ო-რ, ლ'ურ, ინფ. ლ'-ო-ს, ბოლ'-ო-ს, დოლ'-ო-ს, ლ'უს - "მიცემა".

პირველი უღვლილების მ ე ო რ ე ქ ვ ე ტ ი პ ი ს ზმნებს შე-იძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ბოს "თქმა", რომელსაც ნამყო ძირითა-დის მაწარმოებლად მოუდის ო, ბრძანებითის ფორმანტად -ა, ხოლო თე-მატურ ხმოვნებად - აწმყო ზოგადში ა, ინფინიტივში -ო:

ნამ.ძირ.	ბ-ო
ბრძ.	ბ-ა
აწმ.ზ.	ვ-ა-რ (← ბ̄-ა-რ)
ინფ.	ბ-ო-ს

ამ ზმნის ძირეული თანხმოვანი ბ უნდა იყოს. აწმყოში დამოწმე-ბული ვ ბ-დან მომდინარე ჩანს.[1]

პირველი უღვლილების მ ე ს ა მ ე ქ ვ ე ტ ი პ შ ი გაერთია-ნებულ მცირერიცხოვან ზმნათათვის დამახასიათებელია რიგი თავისებუ-

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 107.

რება, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ძირეული თანხმოვნის გაორკეცება ბრძანებითში და დარღვევა იმ ერთგვარობისა აწმყო ზოგადსა და ინფინიტივში, რომელიც შეინიშნებოდა პ ი რ ვ ე ლ ი დ ა მ ე ო რ ე ქ ვ ე ტ ი პ ი ს ზმნებთან თემატური ხმოვნების ხმარებაში.

ნამყო ძირითადი	-ა
ბრძანებითი	-ა (ძირეული თანხმოვნის რედუპლიკაციით)
აწმყო ზოგადი	-ი-რ, -ა-რ
ინფინიტივი	-ა-ს, -ი-ს, -ე-ს

ნამ. კ-ა, ბაკ-ა, დაკ-ა, კვ-ა, ბრძ. კიმკ-ა, ბიკიმკ-ა, დიკიმკ-ა, კვიმკ-ა, აწმ.ზ. კ-ა-რ, ბაკ-ა-რ//ბჳკ-ა́-რ//ბეკ-ა́-რ, დაკ-ა-რ //დჳკ-ა-რ//დეკ-ა́-რ, კვ-ა-რ, ინფ. კ-ი-ს, ბიკ-ი-ს, დიკ-ი-ს, კვ-ი-ს - "მოკვდომა";

ნამ. ოქ-ა, ობქ-ა, ორქ-ა, უქ-ა (← *ოვქა), ბრძ. ქარა-ქ-ა, ბაქ-რა-ქ-ა, დაქრა-ქ-ა, ქურა-ქ-ა,[1] აწმ.ზ. ორქ-ი-რ, ბორქ-ი-რ, დორქ-ი-რ, ურქ-ი-რ (← *ვორქირ),[2] ინფ. ქარ-ა-ს, ბაქრ-ა-ს, დაქრ-ა-ს, ქურ-ა-ს - "წაყვანა"...

ნამ. ოხხ-ა, იბხხ-ა, ორხხ-ა, უხხ-ა, ბრძ. ხხე-ხხ-ა, ბეხხე-ხხ-ა, დეხხე-ხხ-ა, ხხვე-ხხ-ა, აწმ.ზ. ორხხ-ი-რ, ბორხხ-ი-რ, დორხხ-ი-რ, ურხხ-ი-რ,[3] ინფ. ხხ-ე-ს, ბეხხ-ე-ს, დეხხ-ე-ს, ხხვ-ე-ს - "წაღება;

ნამ. შ-ა, ბაშ-ა, დაშ-ა, შვ-ა, ბრძ. შერ-შ-ა, ბეშერ-შ-ა, დეშერ-შ-ა, შვერ-შ-ა, აწმ.ზ. შერ-შ-ა-რ, ბეშერ-შ-ა-რ, დეშერ-შ-ა-რ, შვერ-შ-ა-რ, ინფ. შ-ე-ს, ბეშ-ე-ს, დეშ-ე-ს, შვ-ე-ს - "სირბილი";[4]

---

1 იხ. ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.88 (შდრ. გვ. 159).

2 ა. დ ი რ ი ს მიერ ფიქსირებულია ა-იანი ფორმები.

3 ა. დ ი რ ს ჩაწერილი აქვს ა-იანი ფორმები.

4 იხ. ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 196; იქვე, შენიშვნა 1; იხ. გვ. 88, შენიშვნა, 1.

ნამ. ჯ-ა, აწმ.ზ. ჯერ-ჯ-ი-რ, ინფ. ჯ-ე-ს - "გაყინვა"...

ამრიგად, პირველი უღვლილების ფარგლებში მესამე ქვეტიპის ზმნები გამოიყოფა როგორც თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი, რომელთაც ძირითადად აერთიანებს ნამყო ძირითადისა და ბრძანებითის წარმოება და ერთმანეთისაგან რამდენადმე განასხვავებს აწმყო ზოგადისა და ინფინიტივის ფორმები.

10. მ ე ო რ ე უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა. ამ უღვლილებაში შემავალ ზმნათათვის დამახასიათებელია ნამყო ძირითადში ფორმანტებად -დი(←*დე) და მისი ვარიანტები, ბრძანებითში -ი, ხოლო აწმყო ზოგადსა და ინფინიტივში ფორმანტებად -რ (აწმ.ზ.) და -ს (ინფ.), თემატურ ნიშნებად -ი//ა;

ნამყო ძირითადი	-დი
ბრძანებითი	-ი
აწმყო ზოგადი	-ი-რ, -ა-რ
ინფინიტივი	-ი-ს, -ა-ს

ნამ. აქ-დი, ბაქ-დი, ვაქ-დი, ბრძ. აქბ-ი, ბაქბ-ი, დაქბ-ი, ვაქბ-ი, აწმ.ზ. არქბ-ი-რ, ბარქბ-ი-რ, დარქბ-ი-რ, ვარქბ-ი-რ,[1] ინფ. აქბ-ი-ს, ბაქბ-ი-ს, დაქბ-ი-ს, ვაქბ-ი-ს - "ნასვლა";

ნამ. დახ-დი // დახ-თბი (IVკლ.), დაბხ-დი (IIIკლ.), ბრძ. დახ-ი, დაბხ-ი, აწმ.ზ. დარხ-ი-რ // დარხ-ა-რ,[2] დაბხ-ი-რ, ინფ. დახ-ი-ს[3] // დახ-ა-ს[4] - "ცემა"...

ნამ. ყეღ-დი, ყაბ-დი, ყარ-დი, ყოვ-დი, ბრძ. ყეღყ-ი, ყაბყ-ი, ყადუყ-ი, ყოვყ-ი, აწმ.ზ. ყეღყ-ი-რ, ყაბყ-ი-რ, ყადუყ-ი-რ, ყოვყ-ი-რ,[5]

---

1 ა. დ ი რ ს აწმყოში ა-ნიანი ფორმები აქვს ფიქსირებული (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 125).

2 იხ. ა. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 140.

3 რ. ე რ კ ე რ ტ თ ა ნ ა ც ი-ნიანი ფორმაა ფიქსირებული (იხ. მ ი ს ი დასახ. ნაშრ. I, გვ. 195).

4 იხ. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 140.

5 შდრ. ა. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 175.

ინფ. ყეჲყ-ი-ს, ყაბყ-ი-ს, ყადუყ-ი-ს, ყოვყ-ი-ს - "ჯდომა";

ნამ. ქვექ-დი, ქვებქ-დი, ქვერქ-დი, ქვევქ-დი, ბრძ. ქვექბ-ი, ბვებქბ-ი, ქვერქბ-ი, ქვევქბ-ი, ანმ.მ. ქვერქბ-ი-რ, ბვებქბ-ი-რ, ქვერქბ-ი-რ, ქვევქბ-ი-რ, ინფ. ქვექბ-ი-ს, ქვებქბ-ი-ს, ქვერქბ-ი-ს, ქვევქბ-ი-ს - "ტრიალი", "ბრუნვა"...

ნამ. ათბი (← *ათ-დი), აბთბი (← *აბთ-დი), ართბი (← *ართ-დი), ოვთბი (← *ავთ-დი), ბრძ. ათ-ი, ბათ-ი, დათ-ი, ვათ-ი, ანმ.მ. ართ-ი-რ//ართ-ა-რ,[1] ბართ-ი-რ, დართ-ი-რ, ვართ-ი-რ,[2] ინფ. ათ-ი-ს//ათ-ა-ს,[3] აბთ-ი-ს, ართ-ი-ს, ოვთ-ი-ს - "გაშვება";

ნამყო ძირითადის დაბოლოების მიხედვით მეორე უღვლილებას განეკუთვნება აგრეთვე მეშველი ზმნა ე-დი (IVკლ.) "იყო" ("გახდა"), რომელიც ენაცვლება დრონაკლ ზმნებს - ეყის-ს (IVკლ.) "ყოფნა", და ქეს-ს (IVკლ.) "გახდომა".

ცალკე უნდა გამოვყოთ ზმნები: ხვის "გაცვეთა", "მოკვდომა" (მრავლისა), ჩარას// → ჩ-რას "ცხობა", "შეწვა", ყურას "გახმობა", "გაშრობა"...

ნამ. ხოლე//ხულე//ხულლე́, ბუხლე́, ბრძ. ხვიხ-ი-რ, ბუხიხ-ი-რ, ანმყ.მ. ხვალ//ხვარ, ბუხალ//ბუხარ, ინფ. ხვის, ბუხი́ს;

ნამ. ჩერე//ჩჷრე́ (IVკლ.), ბეჩრე́ (IIIკლ.), ბრძ. ჩარაჩა//ჩრაჩა, ბაჩრაჩა, ანმ.მ. ჩარ, ბაჩარ//ბჷჩა́რ, ინფ. ჩარა́ს//ჩრა́ს, ბაჩრას.

ნამ. ყურე, ბუყრე, დუყრე, ყურე, ბრძ. ყურაყა, ბუყრაყა, ყურაყა, ანმ.მ. ყვარ, ბუყარ, დუყარ, ყვარ, ინფ. ყურას, ბუყრას, დუყრას, ყურას.

პირველი ორი განხილული აქვს ნ.ტრუბეცკოის,[4] კერძოდ, ხულე "დაიხოცნენ" მას, ვფიქრობთ, სავსებით მართებულად ასიმილაციის

---

1 იხ. ა. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.129.
2 შდრ. ა. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 129.
3 იხ. ა. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 129.
4 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ. ნაშრ.

ძირით მიღებულ ფორმად მიაჩნია: ხულე ← *ხულ-დე, ბუხლე ← *ბუხლ-დე. ნ.ტრუბეცკოის ამ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს აწმყო ზოგადის ფორ-მებიც: ხვალ (//ხვარ) და ბუხალ (//ბუხარ), სადაც აგრეთვე შემო-ნახულია ფუძის ბოლოკიდური ლ: ხვალ ← *ხვალ-ი-რ, ბუხალ ← *ბუხალ-ი-რ. ლ არ არის დაცული ბრძანებითსა და ინფინიტივში.

უფრო ნათელი სურათი გვაქვს მეორე შემთხვევაში. აქ ფუძისეული რ შემონახულია ყველა ძირითად ფორმაში: აწმ.ზ. ჩარ, ინფ. ჩარას, ნამ. ჩერე, ბრძან. ჩარაჩა. მისი გავლენით ცვლილა ნამ. ძირითადისა (ჩერე ← *ჩერ-დე, ბეჩრე ← *ბეჩრ-დე) და აწმყო ზოგადის (ჩარ ← *ჩარ--ა-რ, მდრ. ინფ. ჩარ-ა-ს; ბაჩარ ← *ბაჩარ-ა-რ, მდრ. ინფ. ბაჩრას ← *ბაჩარ-ა-ს) ფორმები.

ასეთივე ვითარებაა მესამე მაგალითშიც. აქაც ნამ.ძირითადისა და აწმყო ზოგადის ფორმებს ცვლილება ფუძისეული რ-ს გავლენით განუცდია (ყურე ← *ყურ-დე... ბუყარ ← *ბუყარ-ა-რ...).

ანალოგიურ პირობებში მსგავსი ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ფუძისეულმა მ და ნ-მ (იხ. ქვ.).

ნამყო ძირითადის დაბოლოების მიხედვით მ ე ო რ ე უ ღ ვ ლ ი-ლ ე ბ ა შ ი შეიძლება მოვაქციოთ აგრეთვე თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი უღვლილების მქონე ზოგი ზმნა; მაგ.:

ნამ. ეხ-დი // ეხ-თხი, ებხ-დი, ერხ-დი, ევხ-დი, ბრძ. ეხ-ი, გეხ-ი, დეხ-ი, ვეხ-ი, აწმ.ზ. ერხ-ი-რ, ბერს-ი-რ, დერხ-ი-რ, ვერხ--ი-რ, ინფ. ეხ-მუს, ებხ-მუს, ერხ-მუს, ევხ-მუს - "ასვლა"...

ნამ. ჴე-თხე // ჴი-თხე́ // ჴჷთხე́, ბეჴ-დე//ბიჴ-დე, დეჴ-დე//დი-ჴ-დე, ჴუ-თხე, ბრძ. ჴ-ე, ბეჴ-ე//ბჷყე́, დეჴ-ე//დჷჴე́, ჴვ-ე, აწმ.ზ. ჴურ, ბუჴურ//ბჷჴу́რ, დუჴურ//დჷჴу́რ, ჴურ, ინფ. ჴუ-ბუს, ბუჴ-ბუს, დუჴ-ბუს, ჴუ-ბუს - "შეცვლა";

ნამ. შხე-თხე, ბეშ-დე́//ბეშ-თხე́, დეშ-დე//დეშ-თხე, შხუ-თხე́, ბრძ. შხ-ე, ბეშხ-ე́//ბჷშხე́, დეშხ-ე́//დჷშხე́, შხვ-ე, აწმ.ზ. შხურ, ბუშხу́რ//ბჷშხу́რ, დუშხу́რ//დჷშხу́რ, შხურ, ინფ. შხვ-ბу́ს, ბუშ-ბу́ს//ბჷშ-ბу́ს, დუშ-ბუს//დჷშ-ბу́ს, შხუ-ბუს - "ყიდვა", "აღება";

ნამ. სა-თბე//სე-თბე́//სლთბე́, ბლ-თბე́, ბრძ. სისე//სისი, ბლსისი, ანმ.გ. სარ//სალ (IVკლ.), ბასარ//ბასა́ლ//ბლსა́ლ (IIIკლ.), ინფ. სუბუს, ბლს-ბუ́ს... "ხარშვა"...

ნამ. ლ'ბე-თბე//ლ'ბლ-თბე́..., ბრძ. ლ'ბ-ა, ანმ.გ.ლ'ბ-ა-რ, ბლ-ლ'ბ-ა́-რ, ინფ. ლ'ბუ-ბუს, ბულ'ბ-ბუს... "შეღებვა(ქსოვილისა)"...

ამ ზმნათა ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ინფინიტივს აწარმოებენ არა -ი-ს(-ა-ს) სუფიქსით, როგორც მეორე უღვლილების დანარჩენი ზმნები, არამედ -ბუს და -მუს მეშვეობით. -ბუს და -მუს ერთმანეთის ვარიანტებია: პირველი გვხვდება ხმოვნის შემდეგ (ჭუბუს "მესვლა", შხუ-ბუს "ყიდვა", ლ'ბუ-ბუს "შეღებვა", სუ-ბუს "ხარშვა"), მეორე-თანხმოვნის მომდევნოდ (ეხ-მუს "ასვლა"). წარმოდგენილი ზმნებიდან ზოგიერთი ყურადღებას იქცევს აწმყო ზოგადისა და ბრძანებითის განსხვავებული წარმოებითაც (ჭურ, ჭე; შხურ, შხე; სალ//სარ, სისე//სისი). აღნიშნულ ზმნათა ეს თავისებურებანი, ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აწმყო ზოგადისა და ინფინიტივის ფორმები - ამ ზმნებში - წარმოშობით რთული შედგენილობისაა...

თავის დროზე ანალოგიურ პირობებში უნდა ჩამოყალიბებულიყო ზმნების წყება, რომელიც დღეს ცალკე - მესამე- - უღვლილების სახით შეიძლება გამოვყოთ. მაგრამ, სანამ მესამე უღვლილების ზმნებს განვიხილავდეთ, საჭიროა გავეცნოთ შედგენილი ზმნების ზოგიერთ ისეთ მხარეს, რაც მეორე უღვლილების ზემომოყვანილ თავისებურ ზმნებთან ერთად, ნათელს მოჰფენს ჩვენთვის საინტერესო III უღვლილების ჩამოყალიბება-ჩაფორმების საკითხს.

II. შედგენილი ზმნების ზოგი თავისებურების თაობაზე. შედგენილი ზმნები, როგორც ცნობილია, ორ-ორ წევრს შეიცავს: პირველს - უცვლელს, რომელიც შეიძლება იყოს რაიმე სიტყვა, სიტყვის ძირი ან ფუძე, და მეორეს -

ცვალებადს, რომელიც არჩიბულში უმთავრესად წარმოდგენილია სამი მეშველი ზმნის სახით; ესენია: ბოს "თქმა", ქეს (ბექეს, დექეს, ქეეს)"გახდომა", "ყოფნა" და ას (აბას, არას, ოვს) "კეთება"[1]...

ას... და ქეს... შედგენილი ზმნის პირველ კომპონენტთან, ჩვეულებრივ, შეურწყმელადაა წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში შედგენილი ზმნის აგებულება სრულიად ნათელი და გამჭვირვალეა; ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ის ორი წევრისაგან შედგება - ძირითადი მნიშვნელობის მატარებელი უცვლელი ნაწილისაგან და ნ ა კ ვ თ თ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი მეშველი ზმნისაგან:

და'ზ ქეს "გაზრდა", ზედმიწ. "დიდად გახდომა"; მრ. და'ზ ქერ "იზრდება"..., და'ზ ეთხი "გაიზარდა"; გენუქ აბას "კვერცხის დადება", ზედმიწ. "კვერცხის გაკეთება"; მრ. გენუქ ბარ "კვერცხს დებს"; გნუქ აბუ "კვერცხი დადო"...

სხვა მდგომარეობა გვაქვს ბოს "თქმა" მეშველ ზმნასთან. ის - რომელიმე, ერთ ან ყველა ძირითად ნაკვთში - შეიძლება შეერწყას შედგენილი ზმნის პირველ კომპონენტს და მაშინ, არც თუ იშვიათად, ჭირს მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ზოგჯერ კი იმის გარკვევაც - შედგენინილ ზმნასთან გვაქვს საქმე, თუ მარტივთან. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ას..."კეთება", ქეს... "ყოფნა","გახდომა" ზმნების შერწყმის შემთხვევები იმდენად იშვიათია და არაკანონზომიერი ხასიათისა, რომ მათზე შეჩერება საჭირო არ არის.

შეინიშნება ბოს "თქმა" მეშველი ზმნის შერწყმის სხვადასხვა საფეხურები, რაზედაც ქვემოთ იქნება მსჯელობა, და რასაც, ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო საკითხის ზოგიერთი მხარის გასათვალისწინებლად აგრეთვე აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

დავიწყოთ შედგენილი ზმნების აწმყო ზოგადის ფორმების განხილვით.

აწმყო ზოგადის ფორმები შეიძლება შერწყმულად ან შეურწყმელად იყოს წარმოდგენილი. შერწყმულად ისინი შეიძლება იყოს წარმოდგენილი

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.49; იხ. აგრეთვე, ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ., გვ. 95-96.

მაშინ, როდესაც შერგენილი ზმნის პირველი კომპონენტი ხმოვანზე ბოლოვდება, და მაშინაც, როდესაც ის თანხმოვანზეა დაბოლოებული. განსხვავება იჩენს თავს მხოლოდ ზმნის ძირითად ნაწილთან შერწყმული მეშველი ზმნის აწმყო ზოგადის ფორმაში; პირველ შემთხვევაში ის წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ბოლოკიდური -რ თანხმოვნით, მეორე შემთხვევაში - ხმოვნითა და -რ თანხმოვნით.

პირველი შემთხვევის მაგალითები:

აწმ.ზ. ხა-რ (← ხა́ ვა́რ) "მღერის" (შრ.ნამ.ძ. ხა́ბუ, ინფ. ხა-ბუს); აწმ.ზ. ნა-რ (← ნა́ ვა́რ) "სვამს" (შრ.ნამ.ძ. ნა́ბუ, ინფ. ნა́-ბუს); აწმ.ზ. ჴე-რ (← *ჴე́ ვა́რ) "ცეკვავს" (შრ.ნამ.ძ. ჴე́ბუ, ინფ. ჴე́ბუს); აწმ.ზ. ყე-რ (← *ყე́ ვა́რ) "ჩხვლეტს"... (შრ.ნამ.ძ. ყე́ბუ, ინფ. ყე́ბუს); აწმ.ზ. თუ-რ (← *თუ́ ვა́რ) "აფურთხებს" (შრ.ნამ.ძ. თუ́-ბუ, ინფ. თუ́ბუს); აწმ.ზ. ჰუ-რ (← *ჰუ́ ვა́რ) "უბერავს" (შრ.ნამ.ძ. ჰუ́ბუ, ინფ.ჰუ́ბუს); აწმ.ზ. ჴუ-რ (← *ჴუ́ ვა́რ)"ქუხს" (შრ.ნამ.ძ.ჴუ́-ბუ, ინფ. ჴუ́ბუს); აწმ.ზ. ხჲუ-რ (← *ხჲუ́ ვა́რ) "ხვრეპს" (შრ.ნამ.ძ. ხჲუ́ბუ, ინფ. ხჲუ́ბუს); აწმ.ზ. მა‘-რ (← *მა́‘ ვა́რ) "ცხვარი ბღავის" (შრ.ნამ.ძ. მა́‘-ბი, ინფ. მა́‘-ბის); აწმ.ზ. ბე-რ (← *ბე́ ვა́რ) "ხბო ბღავის" (შრ.ნამ.ძ. ბე́-ბი, ინფ. ბე́-ბის); აწმ.ზ. ბუ-რ (← *ბუ́ ვა́) "ხარი, ძროხა ბღავის" (შრ.ნამ.ძ. ბუ́-ბი, ინფ. ბუ́-ბის); აწმ.ზ. ა‘ნშა-რ (← *ა́‘ნშა ვარ) "აცემინებს" (შრ.ნამ.ძ. ა‘ნშა ბი, ინფ. ა‘ნშა ბის); აწმ.ზ. ჰჲიჰჲი-რ (← *ჰჲიჰჲი ვარ) "ხვიხვინებს" (ნამ.ძ. ჰჲიჰჲი ბი, ინფ. ჰჲიჰჲი ბის); აწმ.ზ. უჰჲუ-რ (← *უჰჲუ ვარ) "ახველებს" (შრ.ნამ.ძ. უჰჲუ ბი, ინფ. უჰჲუ ბის); ი́ცო-რ (← *იცო ვარ) "მამალი ყივის" (შრ.ნამ.ძ. ი́ცუ ← ⌈ი́ცო⌉ ბი, ინფ. ი́ცუ ←//ი́ცო⌉ ბის); აწმ.ზ. მეცე́-რ (← *მეცე́ ვა́რ) "თხა́ ბღავის" (შრ.ნამ.ძ. მეცე ბი, ინფ. მეცე ბის) ...

მეორე შემთხვევის მაგალითები:

აწმ.ზ. ღ‘აჟ-არ (← *ღ‘ა́ჟ ვა́რ) "თიბავს" (შრ.ნამ.ძ. ღ‘აჟ ბი, ინფ. ღ‘აჟ ბის); აწმ.ზ. ყაჭა́რ (← *ყა́ჭ ვა́რ) "რთავს", "ამკობს"(შრ.ნამ.ძ.ყაჭ ბი, ინფ. ყაჭ ბის); აწმ.ზ. ფაჰ-ა́რ (← *ფა́ჰ ვა́რ) "პაპი-

რისს ენევა" (შდრ.ნამ.ძ. ფაჰ ბი, ინფ. ფაჰ ბის); აწმ.გ. ლ'ურ-არ (← *ლ'ურ ვა́რ) "სრესს" (შდრ.ნამ.ძ. ლ'ურ ბი, ინფ. ლ'ურ ბის);აწმ. გ. ფჱრ-ა́რ//ფრ-ა́რ (← *ფა́რ ვა́რ) "ელვა ანათებს" (შდრ. ნამ.ძ. ფარ ბი, ინფ. ფარ ბის); მუტ-ა́რ<(*მვი́ტ ვა́რ) "უსტვენს" (შდრ.ნამ.ძ. მვიტ ბი, ინფ. მვიტ ბის); აწმ.გ. ჰაკხ-ა́რ (← *ჰა́კხ ვა́რ) "ამთქნარებს" (შდრ. ნამ.ძ. ჰაკხ ბი, ინფ. ჰაკხ ბის); აწმ.გ. კუტ-ა́რ (← *კუტ ვარ) "უკაკუნებს"; "კენკავს" (შდრ.ნამ.ძ. კუტ ბი, ინფ. კუტ ბის); აწმ.გ. ჩჱხ'-ა́რ (← *ჩა́ხ' ვა́რ) "დის" (შდრ.ნამ.ძ. ჩა'ხ' ბი, ინფ. ჩა'ხ' ბის); აწმ.გ. ყჱღ-ა́რ (← *ყი́ღ ვა́რ) "ყვირის" (შდრ.ნამ.ძ. ყიღ ბი, ინფ. ყიღ ბის); აწმ.გ. ჰეძთ-ა́რ (← *ჰეძთ ვარ) "კოცნის" (შდრ.ნამ.ძ. ჰეძთ ბი, ინფ. ჰეძ ბის); აწმ.გ. ა'ყ-ა́რ (← *ა'ყ ვარ) "ეძახის" (შდრ. ნამ.ძ. ა'ყ ბი, ინფ. ა'ყ ბის); აწმ.გ. ბა'ყ-ა́რ (← *ბა'ყ ვარ) "კოცნის" (შდრ.ნამ.ძ. ბა'ყ ბი, ინფ. ბა'ყ ბის); აწმ.გ. ფჱრს-ა́რ (← *ფარს ვარ) "თვალს ჩაუკრავს"(შდრ.ნამ.ძ. ფარს ბი, ინფ. ფარს ბის); აწმ.გ. გურყ'-ა́რ (← *გურყ' ვარ) "ყლაპავს" (შდრ.ნამ.ძ. გურყ' ბი, ინფ. გურყ' ბის); აწმ.გ. დჱნქ-ა́რ (← *დანქ ვარ) "ყრუდ ისმის" (შდრ.ნამ.ძ. დანქ ბი, ინფ. დანქ ბის); აწმ.გ. სუნტ-ა́რ (← *სუნტ ვარ) "ყნოსავს","სუნავს" (შდრ.ნამ.ძ. სუნტ ბი, ინფ. სუნტ ბის); აწმ.გ. უ'ნშ-ა́რ (← *უ'ნშ ვარ) "ცხვირს იხოცავს" (შდრ.ნამ.ძ. უ'ნშ ბი, ინფ. უ'ნშ ბის); აწმ.გ. ტჱნკ-ა́რ (← *ტანკ ვარ) "ხტის" (შდრ:ნამ.ძ. ტანკ ბი, ინფ. ტანკ ბის); აწმ.გ. ფჱრხ-ა́რ (← *ფარხ ვარ) "ფრინავს" (შდრ. ნამ.ძ.ფარხ ბი, ინფ. ფარხ ბის); აწმ.გ. ჰჱრმ-ა́რ (← *ჰარმ ვარ) "დუღს", "ადუღებს" (შდრ.ნამ.ძ. ჰა'რმ ბი, ინფ. ჰა'რმ ბის); აწმ.გ. ჰჱნჯ-ა́რ (← *ჰანჯ ვარ) "კბეჩს" (შდრ.ნამ.ძ. ჰანჯ ბი, ინფ. ჰანჯ ბის); აწმ.გ. ხჱრტ-ა́რ (← *ხარტ ვარ) "ჭარსავს" (შდრ.ნამ.ძ. ხარტ ბი, ინფ. ხარტ ბის); აწმ.გ. ლ'ბურხ'-ა́რ (← *ლ'ბურხ ვარ) "ჭველი ხოხავს" (შდრ.ნამ.ძ. ლ'ბურხ' ბი, ინფ. ლ'ბურხ' ბის); აწმ.გ. ჰა'მფ-ა́რ (← *ჰა'მფ ვარ) "ყეფს" (შდრ.ნამ.ძ. ჰა'მფ ბი, ინფ. ჰა'მფ ბის); აწმ.გ. კე́ნტ-ერ (← *კენტ

ვარ) "წვეთავს" (შდრ.ნამ.ძ. კენტ-ბო, ინფ. კენტ-ბოს); აწმ.ზ.ყე́ნწ-ერ (← ყენწ ვარ) "კრეჭს" (შდრ.ნამ.ძ.ყენწ-ბო, ინფ.ყენწ-ბოს);აწმ.ზ. ჯე́ნზ-ერ (← *ჯენზ ვარ) "ძაფს რთავს" (შდრ.ნამ.ძ. ჯენზ-ბო,ინფ. ჯენზ-ბოს); აწმ.ზ. კე́რშ-ერ (← *კერშ ვარ) "თავს უქნევს" (შდრ.ნამ.ძ. კერშ-ბო, ინფ. კერშ-ბოს)...

ზოგიერთი შედგენილი ზმნის ხმოვანზე დაბოლოებული პირველი კომპონენტი - მახვილის გამო - აწმყო ზოგადში წარმოდგენილია ბოლოკიდური ხმოვნის გარეშე, ამიტომ მეშველი ზმნა მას ერწყმის ისე, როგორც თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნურ ფორმას; მაგ.:

აწმ.ზ. სუ́ს-ორ (← *სუს ვარ) "ღებავს", "სცხებს" (შდრ.ნამ.ძ. სუ́სჷ ბო, ინფ. სუ́სჷ ბოს); აწმ.ზ: ხუ́ხ-ორ (← *ხუხვ-ორ ← *ხუხუ ვარ) "ხერხავს" (შდრ. ნამ.ძ. ხუხვ ბო, ინფ. ხუხვ ბოს); აწმ.ზ.ჩუ́ჩ-ორ (← *ჩუჩ ვარ) "ხელებს იბანს" (შდრ. ნამ.ძ. ჩუ́ჩჷ ბო, ინფ. ჩუ́ჩჷ ბოს); აწმ:ზ. გუ́ქბ-ორ (← *გუქბ ვარ) "იფხანს"... (შდრ.ნამ.ძ. გუ́ქბჷ ბო, ინფ. გუ́ქბჷ ბოს); აწმ.ზ. შუ́შ-ორ (← *შუშ ვარ) "ჩურჩულებს" (შდრ.ნამ.ძ. შუ́შ-ბო, ინფ. შუ́შ-ბოს; შდრ: აგრეთვე - შუშუტი "ჩურჩული"); აწმ.ზ. ჭვე́ლჭ-ერ (← *ჭველჭ ვარ) "ლობიოს,სიმინდს... არჩევს" (შდრ.ნამ.ძ. ჭვე́ლჭ ბო, ინფ: ჭვე́ლჭი ბოს); აწმ.ზ. ყვე́რყ-ერ (← *ყვერყა ვარ) "გრეხს"... (შდრ.ბრძ. ყვე́რყჷ-ბა, ინფ. ყვე́რყჷ-ბოს)...

ნამყო ძირითადის, ინფინიტივისა და ბრძანებითის ფორმები შეიძლება წარმოდგენილი იყოს აგრეთვე შეურწყმელად ან შერწყმულად. შერწყმის დროს შეიძლება თავი იჩინოს განსხვავებამ - უმთავრესად ბოლოხმოვნიან და ბოლოთანხმოვნიან ზმნურ ფორმებს შორის. ამ მხრივ სავსებით ერთნაირი ვითარება დასტურდება ნამყო ძირითადსა და ინფინიტივში, მათგან განსხვავებული - ბრძანებითში, რომლის ფორმები შეიძლება იცვალოს მხოლოდ ბოლოთანხმოვნიან[1] ზმნებში და ისიც ნამყო ძირითადთან და ინფინიტივთან შედარებით - ნაწილობრივ.

---

1 ბოლოთანხმოვნიან და ბოლოხმოვნიან ზმნებზე როდესაცაა ლაპარაკი, აქ, ამ შემთხვევაში, ყოველთვის იგულისხმება შედგენილი ზმნების პირველი კომპონენტის დაბოლოება.

ძირითად ცვლილებებს ამ შემთხვევაში განიცდის შედგენილი ზმნის მეორე კომპონენტი – მეშველი ზმნა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნის პირველი ნაწილი ერთმარცვლიანია. ხმოვანზე დამთავრებული ერთმარცვლიანი ფორმა მეშველ ზმნაში გარკვეულ ცვლილებებს ყოველთვის იწვევს, თანხმოვნით დაბოლოებული – მხოლოდ სათანადო პირებში.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

თუ მეშველი ზმნა ნამ. ძირითადსა და ინფინიტივში ერწყმის შედგენილი ზმნის ხმოვანზე დამთავრებულ ერთმარცვლიან პირველ კომპონენტს, მაშინ მეშველი ზმნის ხმოვანი ო წინამავალი მარცვლის მახვილის გავლენით ვიწროვდება უ-დ:[1]

ნამ.ძ. ხა́-ბუ (← *ხა́ ბო́), ინფ. ხა́-ბუს (← *ხა́ ბო́ს) "მღერა"; ნამ.ძ. წა́-ბ-უ (← *წა́- ბო́), ინფ. წა́-ბუს (← *წა́ ბო́ს) "დალევა"; ნამ.ძ. ჰე́-ბუ (← *ჰე́ ბო́), ინფ. ჰე́-ბუს (← *ჰე́ ბო́ს) "ცეკვა"; ნამ.ძ. ყე́-ბუ (← *ყე́ ბო́); ინფ. ყე́-ბუს (← *ყე́ ბო́ს) "ჩხვლეტა"; ნამ.ძ. თუ́-ბუ (← *თუ́ ბო́), ინფ. თუ́-ბუს (← *თუ́ ბო́ს) "ფურთხება"; ნამ.ძ. პუ́-ბუ (← *პუ́ ბო́), ინფ. პუ́-ბუს (← *პუ ბო́ს) "ბერვა"; ნამ.ძ. ჰუ́-ბ-უ (← *ჰუ́ ბო́), ინფ. ჰუ́-ბუს (← *ჰუ́ ბო́ს) "ქუხილი"; ნამ.ძ. ხბუ́-ბუ (← *ხბუ́ ბო́), ინფ. ხბუ́-ბუს (← *ხბუ́ ბო́ს) "ხვრეპა"...

შერწყმის სხვა საფეხური დასტურდება იმ შედგენილ ზმნებში, სადაც პირველი კომპონენტი ორმარცვლიანია, ბოლოვდება ხმოვანზე და მახვილი თავიდან პირველ მარცვალზე მოუდის, და სადაც ამიტომ მეშველი ზმნის ხმოვანი უცვლელადაა წარმოდგენილი. ამ პირობებში შერწყმაზე მიგვანიშნებს პირველი კომპონენტის ბოლოკიდური ხმოვნის ნაწილობრივი ან სრული რედუქცია – ნამ. ძირითადში, ბრძანებითსა და ინფინიტივში (შდრ. აგრეთვე აწმყო ზოგადის ფორმები); მაგ.:

---

[1] ა. დ ი რ ს არაერთხელ შეუნიშნავს, რომ შედგენილი ზმნების "ბუს" სახეცვლილი მეშველი ზმნა ბოს "თქმა" არის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ.49; იხ. აგრეთვე, ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ., გვ.96).

ნამ.ძ.მუმ-ბო (← *მუმუ ბო), ბრძ. მუმ-ბა (← *მუმუ ბა), ინფ. მუმ-ბოს (← *მუმუ ბოს) "ჩურჩული" (შდრ.აწმ.გ. მუმ-ორ); ნამ.ძ. სუსჷ-ბო (← *სუსუ ბო), ბრძ. სუსჷ-ბა (← *სუსუ ბა), ინფ. სუსჷ-ბოს (← *სუსუ ბოს) "წაცხება" (შდრ. აწმ.გ. სუს-ორ); ნამ.ძ. ჩუჩჷ-ბო (← *ჩუ-ჩუ ბო) "ხელების ბანა" (შდრ.აწმ.გ. ჩუჩ-ორ); ნამ.ძ.ყვერყჷ-ბო (← *ყვერყა ბო), ბრძ. ყვერყ-ბა (← *ყვერყა ბა), ინფ. ყვერყჷ-ბოს (← *ყვერყა ბოს) "დაჰგრეხა" (შდრ.ყვერყ-ერ); ნამ.ძ. გუქბჷ-ბო (← *გუქბა ბო), ინფ.გუქბჷ-ბოს "ფხანა"; ნამ.ძ. ჭველჭჷ-ბო (← *ჭველჭი ბო), ბრძ. ჭველჭჷ-ბა (← *ჭველჭი ბა), ინფ. ჭველჭ-ბოს (← *ჭველჭი ბოს) "ლობიოს,სიმინდის... გარჩევა" (შდრ.აწმ.გ.ჭველჭ-ერ); ნამ.ძ. ხუხვ-ბო (← ხუხუ ბო), ბრძ. ხუხვ-ბა<(ხუხუ ბა) "ხერხვა" (შდრ.აწმ.გ. ხუხ-ორ)...

ბოლოთანხმოვნიანი ზმნების ნამ.ძირითადში, ბრძანებითსა და ინფინიტივში შერწყმამდე უნდა მიგვითითებდეს ამავე ზმნების აწმყო ბოგარის ფორმები, მახვილი და შერწყმის შედეგად მომხდარი სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილებები. ამათგან ყველაზე საინტერესოა ჩვენთვის ის ზმნები, რომელთა პირველი კომპონენტები მ-ზე ან ნ-ზე ბოლოვდება, და ის ცვლილებები, რომლებიც მათ განიცადეს მეშველ ზმნასთან შერწყმისას; მაგ.:

ნამ.ძ. ჭამ-მე (← *ჭამ ბო), ჭამ-მა (← *ჭამ ბა), ჭამ-მეს (← *ჭამ ბოს) "ღეჭვა" (შდრ. აწმ.გ.ჭჷმარ);

ნამ.ძ. დამ-მე (← *დამ ბო), ბრძ. დამ-მა (← *დამ ბა), ინფ. დამ-მეს (← *დამ ბოს) "გასკდომა" (შდრ.აწმ.გ.დჷმარ);

ნამ.ძ. დომ-მე (← *დომ ბო), ბრძ. დომ-მა (← *დომ ბა), ინფ. დომ-მეს (← *დომ ბოს) "დაშლა" (შდრ.აწმ.გ. დჷმარ "იშლება");

ნამ.ძ. ლამ-მე (← *ლამ ბო), ბრძ. ლამ-მა (← *ლამ ბა), ინფ. ლამ-მეს (← *ლამ ბოს) "ლოკვა" (შდრ. აწმ.გ. ლჷმარ);

ნამ.ძ. ქამ-მე (← *ქამ ბო), ბრძ. ქამ-მა (← *ქამ ბა), ინფ. ქამ-მეს (← *ქამ ბოს) "სროლა" (შდრ. აწმ.გ. ქჷმარ);

ნამ.ძ. ე'მ-მუ (← ე'ნ ბო), ბრძ. ე'მ-მა (← ე'ნ ბა), ინფ. ე'მ-მუს (← ე'ნ ბოს) "ტირილი" (შდრ. აწმ.ზ. ე'ნ ვარ// → ე'მ ვარ) ...

ამ ზმნებში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, წინა მარცვლის მახვილის გავლენით მეშველი ზმნის ო ნამ. ძირითადსა და ინფინიტივში დავიწროებულა - უ-დ; ამავე დროს მეშველი ზმნის პირველი თანხმოვანი ბ მ-ს მომდევნოდ ნამ.ძირითადში, ბრძანებითსა და ინფინიტივში ქცეულა მ-დ (... ბ-მ → ... მმ), რომელსაც, საფიქრებელია, ო-ს უ-დ ქცევაში აგრეთვე უნდა ედოს წილი.

კიდევ უფრო შორსაა წასული შერწყმის პროცესი შემდეგ ზმნებში:

ნამ.ძ. ზა́ფხო (← ზა́ბ ბო́), ბრძ. ზა́ფხა (← ზა́ბ ბა́), ინფ. ზა́ფხოს... "დაძახება" (შდრ. აწმ.ზ. ზაბარ);

ნამ.ძ. ლა́ფხუ (← ლა́პ ბო́), ბრძ. ლა́ფხა (← ლა́პ ბა́), ინფ. ლა́ფხუს (← ლა́პ ბო́ს) "სროლა" (შდრ. აწმ.ზ. ლჷპა́რ);

ნამ.ძ. ყა́'ფხუ (← ყა́'პ ბო́), ბრძ. ყა́'ფხა (← ყა́'პ ბა́), ინფ. ყა́'ფხუს (← ყა́'პ ბო́ს) "გასკდომა" (შდრ.აწმ.ზ. ყჷპა́რ)...

აქ, როგორც ვხედავთ, შედგენილი ზმნის ორი ნაწილის ლექსიკურ შერწყმას ორი მჟღერი თანხმოვნის(ბბ) ერთ თანხმოვნად - პრერუპტივად, შერწყმაც კი (ბ-ბ → ფხ) მოჰყოლია.

შედგენილი ზმნა რომ შერწყმულადაა წარმოდგენილი, ამაზე თვით ნამყო ძირითადში, ბრძანებითსა და ინფინიტივში მახვილის გარდა შეიძლება სხვა არაფერი მიუთითებდეს. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, სადაც მახვილი შედგენილი ზმნის მხოლოდ პირველი კომპონენტის ხმოვანს მოუდის; მეორე კომპონენტი უმახვილოდაა დარჩენილი; ერთი სიტყვით, მახვილმა, რომელიც შედგენილი ზმნის მხოლოდ ერთ რომელიმე კომპონენტს მოუდის, შეიძლება მიგვანიშნოს, რომ შედგენილი ზმნის ორი დამოუკიდებელი ნაწილი ერთ სიტყვადაა შერწყმული; მაგ.:

ნამ.ძ. კე́ნტ-ბო (← კე́ნტ ბო́), ბრძ. კე́ნტ-ბა (← კე́ნტ ბა́), ინფ. კე́ნტ-ბოს (← კე́ნტ ბო́ს) "წვეთვა" (შდრ.აწმ.ზ კჷნტე́რ);

ნამ.ძ. ყე́ნწ-ბო (← *ყე́ნწ ბო́), ბრძ. ყე́ნწ-ბა (← *ყე́ნწ ბა́), ინფ. ყე́ნწ-ბოს (← *ყე́ნწ ბო́ს) "კრეჭა","პარსვა" (შდრ.აწმ.ზ.ყე́ნწერ);

ნამ.ძ. ჳე́ნზ-ბო (← *ჳე́ნზ ბო́), ბრძ. ჳე́ნზ-ბა (← *ჳე́ნზ ბა́), ინფ. ჳე́ნზ-ბოს (← *ჳე́ნზ ბო́ს) "დართვა" (შდრ.აწმ.ზ.ჳე́ნზერ);

ნამ.ძ. კე́რშ-ბო (← *კე́რშ ბო́), ბრძ. კე́რშ-ბა (← *კე́რშ ბა́), ინფ. კე́რშ-ბოს (← *კე́რშ ბო́ს) "თავის დაქნევა" (შდრ.აწმ.ზ. კე́რშერ)...

შერწყმაზე არაფერი მიგვანიშნებს გარდა აწმყო ზოგადის ფორმე-ბისა; მაგ.:

ნამ.ძ. ყაჭ ბო, ბრძ. ყაჭ ბა, ინფ. ყაჭ ბოს "მორთვა"; შდრ. აწმ. ზ. ყჷჭა́რ//ყაჭა́რ (← *ყა́ჭ ვა́რ); ნამ.ძ. ფაჰ ბო, ბრძ. ფაჰ ბა, ინფ. ფაჰ ბოს "მოწევა(პაპიროსისა)"; შდრ. აწმ.ზ. ფაჰა́რ (← *ფაჰ ვარ); ნამ.ძ. დ'ურ ბო, ბრძ. დ'ურ ბა, ინფ. დ'ურ ბოს "სრესა"; შდრ.აწმ.ზ. დ'ურა́რ (← *დ'ურ ვარ); ნამ.ძ. ფარ ბო, ბრძ. ფარ ბა, ინფ. ფარ ბოს "ნათება"; შდრ.აწმ.ზ. ფჷრა́რ//ფრა́რ (← *ფარ ვარ); ნამ.ძ.ჰაკჰ ბო, ბრძ.. ჰაკჰ ბა, ინფ. ჰაკჰ ბოს "მთქნარება"; შდრ. აწმ.ზ.ჰაკჰა́რ (← *ჰაკჰ ვარ); ნამ.ძ. კუტ ბო, ბრძ. კუტ ბა, ინფ. კუტ ბოს "კაკუ-ნი","კენკვა"; შდრ.აწმ.ზ. კუტა́რ (← *კუ́ტ ვარ); ნამ.ძ. ჩა'ხ' ბო, ბრძ. ჩა'ხ' ბა, ინფ. ჩა'ხ' ბოს "დინება","დენა"; შდრ.აწმ.ზ. ჩჷხ'ა́'რ//ჩა'ხ'ა́რ (← *ჩახ' ვარ); ნამ. ძ. წურ ბო, ბრძ. წურ ბა, ინფ. წურ ბოს "წოვა"; შდრ. აწმ.ზ. წურა́რ ← // წურ ვარ; ნამ.ძ. წირ ბო, ბრძ. წირ ბა, ინფ. წირ ბოს "ჭრიჭინი"; შდრ.აწმ.ზ. წჷრა́რ (← *წირ ვარ); ნამ.ძ. ყ'ვარ ბო, ბრძ. ყ'ვარ ბა, ინფ. ყ'ვარ ბოს "ყურყური"; შდრ. აწმ.ზ. ყ'ურა́რ (← *ყ'ურ ვარ); ნამ.ძ. ყილ ბო, ბრძ. ყილ ბა, ინფ. ყილ ბოს "ყვირილი"; აწმ.ზ. ყჷლა́რ ← // ყილ ვარ; ნამ.ძ. ჰო'ყ ბო, ბრძ. ჰო'ყ ბა, ინფ. ჰო'ყ ბოს "ყროყინი";შდრ. აწმ.ზ. ჰა'ყა́რ ← // ჰო'ყ ვარ; ნამ.ძ. ჭაკ ბო, ბრძ. ჭაკ ბა, ინფ. ჭაკ ბოს "ყბედობა"; შდრ. აწმ.ზ. ჭჷკა́რ (← *ჭაკ ვარ); ნამ.ძ. ნა'ვ ბო // ნო'ვ ბო, ბრძ. ნა'ვ ბა // ნო'ვ ბა, ინფ. ნა'ვ ბოს //ნო'ვ ბოს "კნავილი"; შდრ. აწმ.ზ. ნო'ვარ (← *ნა'ვ ვარ); ნამ.ძ. ჰეჲ ბო, ბრძ. ჰეჲ ბა, ინფ. ჰეჲ ბოს "ხვნა"; შდრ. აწმ.ზ. ჰეჲჲარ ← // ჰეჲ ვარ; ნამ.ძ. ჰეჲთ ბო, ბრძ. ჰეჲთ ბა, ინფ. ჰეჲთ ბოს "კოცნა";

შდრ. აწმ.გ. ჰეჲთა́რ (← *ჰეჲთ ვარ); ნამ.ძ. შვიტ ბო, ბრძ. შვიტ ბა, ინფ. შვიტ ბოს "სტვენა"; შდრ. შუტა́რ (← *შვიტ ვარ)...

ნამ.ძ. ჰა'მფ ბო, ბრძ. ჰა'მფ ბა, ინფ. ჰა'მფ ბოს "ყეფა";შდრ. აწმ.გ. ჰა'მფა́რ (← ჰა'მფ ვარ); ნამ.ძ. ფარს ბო, ბრძ. ფარს ბა, ინფ. ფარს ბოს "თვალის ჩაკვრა"; შდრ. აწმ.გ. ფჷრსა́რ (← ფარს ვარ); ნამ.ძ. გურყ' ბო, ბრძ. გურყ' ბა, ინფ. გურყ' ბოს "გადაყლაპვა"; შდრ. აწმ.გ. გურყ'ა́რ (← გურყ' ვარ); ნამ.ძ. დარჯ ბო, ბრძ. დარჯ ბა, ინფ. დარჯ ბოს "ყრუ ხმაური"; შდრ. აწმ.გ. დჷრჯა́რ (← დარჯ ვარ); ნამ.ძ. სუნტ ბო, ბრძ. სუნტ ბა, ინფ. სუნტ ბოს "ყნოსვა"; შდრ. აწმ.გ. სუნტა́რ (← სუნტ ვარ); ნამ.ძ. უ'ნშ ბო, ბრძ. უ'ნშ ბა, ინფ. უ'ნშ ბოს "ცხვირის მოხოცვა"; შდრ. აწმ.გ. უ'ნშარ (← უ'ნშ ვარ); ნამ. ძ. ტანკ ბო, ბრძ. ტანკ ბა, ინფ. ტანკ ბოს "ხტომა"; შდრ. აწმ.გ. ტჷნკა́რ//ტანკა́რ (← ტანკ ვარ); ნამ.ძ. ფარხ ბო, ბრძ. ფარხ ბა, ინფ. ფარხ ბოს "ფრენა"; შდრ. აწმ.გ. ფჷრხა́რ//ფარხა́რ (← ფარხ ვარ); ნამ.ძ. ჰა'რშ ბო, ბრძ. ჰა'რშ ბა, ინფ.ჰა'რშ ბოს "დუღება","დუღილი"; შდრ. აწმ.გ. ჰჷრშა́რ//ჰა'რშა́რ//ჰა'რშ ვარ; ნამ.ძ. ჰანჭ ბო, ბრძ. ჰანჭ ბა, ინფ. ჰანჭ ბოს "მოკბეჩა"; შდრ. აწმ.გ. ჰჷნჭა́რ//ჰანჭა́რ (← ჰანჭ ვარ); ნამ.ძ. ხბარტ ბო, ბრძ. ხბარტ ბა, ინფ. ხბარტ ბოს "პარსვა"; შდრ.აწმ.გ. ხბჷრტა́რ//ხბარტა́რ (← ხბარტ ვარ); ნამ.ძ. ლ'ბურხ' ბო, ბრძ. ლ'ბურხ' ბა, ინფ.ლ'ბურხ' ბოს "ხოხვა (გველისა)"; შდრ. აწმ.გ.ლ'ბურხ'ა́რ (← ლ'ბურხ' ვარ)...

იმ ცვლილებებიდან, რომლებსაც ადგილი აქვს შედგენილი ზმნის პირველ კომპონენტთან ბოს "თქმა" მეშველი ზმნის შერწყმისას, ჩვენთვის ამჯერად ყველაზე საინტერესოა წინამავალი მ-ს და ნ-ს გავლენით მეშველი ზმნის ბ თანხმოვნის მ-დ ცვლა ნამ.ძირითადში, ბრძანებითსა და ინფინიტივში და ო ხმოვნის უ-დ დავიწროება პირველისა (ნამ. ძირითადისა) და უკანასკნელ (ინფინიტივში) ნაკვთში.

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, ინფინიტივის დაბოლოება -მუს, ნამ. ძირითადის -მუ და ბრძანებითის -მა, რომლებიც გვხვდება გარ-

კვალ პირობებში ზოგიერთ შერეული ზმნაში, ფონეტიკურ ნიადაგზე სახეცვლილი ბოს მეშველი ზმნის სხვადასხვა ნაკვთთა ფორმებია.

ასეთ შემთხვევაში ცვლილებები გვაქვს აწმყო ზოგადშიც.

ფონეტიკურ ნიადაგზეა აგრეთვე მსგავსი ცვლილებები მომხდარი მ ე ო რ ე უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ზმნის ნამყო ძირითადსა და აწმყო ზოგადში (იხ. ზემოთ).

და ბოლოს, გვაქვს მ ე ო რ ე უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ზ მ ნ ა, სადაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ინფინიტივის მაწარმოებლად გვევლინება არა -ს, არამედ -ბუს და -მუს, ე.ი. იგივე დაბოლოებები, რაც დამოწმებულია ბოს მეშველი ზმნით ნაწარმოებ შერეულ ზმნებში. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მეორე უღვლილების ამ თავისებურ ზმნებშიც ინფინიტივი შერეულია და მისი დაბოლოებები - -ბუს და -მუს, ბოს "ქმა" მეშველი ზმნის ფონეტიკური ვარიანტებია. ვფიქრობთ, სწორედ მეორე უღვლილების ასეთი ზმნები უნდა დადებოდა საფუძვლად ზმნათა წყებას, რომელთა რაოდენობა, როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, ოცზე მეტია, და რომლებსაც ნამ.ძირითადის მაწარმოებლად აქვს -ნე და-ნი, ხოლო ინფინიტივისა - -მუს. მაგრამ აქ საჭირო იყო კიდევ ერთი პირობა: მ ე ო რ ე უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ი ს ამ თავისებური ზმნების ფუძის ბოლო თანხმოვნად მ ან ნ უნდა გვქონოდა; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა მიგვეღო ზმნების წყება, რომელთაც ნამ. ძირითადში ექნებოდა -ნე// -ნი დაბოლოება, აწმყო ზოგადში ნ-თი დაბოლოებული ფორმები და ინფინიტივში - -მუს, ე.ი. ზმნები, რომლებიც სათანადო პირობებში ფონეტიკურ ნიადაგზე ჩამოყალიბდა განსხვავებულ - მ ე ს ა მ ე - უღვლილებად.

მესამე უღვლილების ზმნების მეორე უღვლილების ამ თავისებურ ზმნებთან გენეტურ კავშირზე მიუთითებს აგრეთვე ორი გარემოება - მახვილი და სუფიქსი -მუ:

1. მეორე უღვლილების ზმნებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნამყო ძირითადის საწარმოებლად აქვს ორი ძირითადი სუფიქსი -დე́... და-დი.

ამათგან პირველი მახვილიანია, მეორე – უმახვილო. სავსებით ასე-თი ვითარება დასტურდება მესამე უღვლილების ზმნებში. აქაც მახვი-ლიანია ნამ. ძირითადის ე-ნიანი ფორმანტი -ნე́ (← *დე́), უმახვილო – ი-ნიანი სუფიქსი -ნი (← *დი);

2. მეორე უღვლილების ზმნები, რომელთაც ინფინიტივის საწარმოე-ლად აქვთ -ბუს, ხოლო ნამ. ძირითადის ფორმანტად – დე ან -დი, მას-დარული მნიშვნელობის გამოსახატავად იყენებენ სუფიქს – მულ-ს (და არა -ტი-ს ან -ქულ-ს)[1]; მაგ.: ინფ. ჭუ-ბუს (Iკლ.) "შესვლა", ნამ. ძ. ჭუ-თხე (Iკლ.), დიჯ-დე (IIკლ.) – ჭუ-მულ//ჭჷ-მუ́ლ... ასევე იქ-ცევა მესამე უღვლილების ზმნები; მაგ.: ინფ. ქუმ-მუს (IVკლ.) "ჭა-მა", ნამ.ძ. ქუნ-ნე – ქუმ-მულ... ინფ. ოლ'-მუს (IVკლ.) "კითხვა", "სწავლა", ნამ.ძ. ოლ'-ნი – ოლ'-მულ...

12. მ ე ს ა მ ე უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა. ამ უღვლილებისათვის დამახასიათებელია ნამ.ძირითადის მაწარმოებლად -ნე//-ნი, ინფინი-ტივის დაბოლოებად – -მუს და აწმყო ზოგადისა და ბრძანებითის -ნ-ზე დაბოლოებული ფორმები. ბრძანებითი აქაც, შეიძლება ითქვას, ემთხვე-ვა ზმნის ფუძეს, რომელიც არსებითად პირველადი სახითაა წარმოდგე-ნილი მაშინაც კი, როდესაც რედუცირებულია:

ქუნე ← // ქუნ-ნე́ (← *ქვენ-ნე ← *ქვენ-თხე...), ბუქნე (← *ბუ-ქენ-ნე ← *ბუქენ-თხე...), ბრძ. ქვენ, ბუქენ, აწმ.ზ. ქვან (← *ქვან-ა-რ), ბუქან (← *ბუქან-ა-რ); ინფ. ქუმ-მუს (← *ქვემ-მუს ← *ქვენ-მუს ← *ქვენ-ბოს), ბჷქმუ́ს ←// ბუქმუ́ს (← *ბუქემ-მუს ← *ბუქენ-ბოს) "ჭამა"; შდრ. ხუნძ. ქვანაზე "ჭამა"...[2]

ნამ. ლ'ენ-ნე́ (← *ლ'ენ-თხე...), ბელ'ნე́ (← *ბელ'ენ-ნე ← *ბელ'-ენ-თხე...), დელ'ნე́ (← *დელ'ენ-ნე ← *დელ'ენ-თხე...), ლ'უნ-ნე́ (← *ლ'ვენ-ნე ← *ლ'ვენ-თხე...), ბრძ. ლ'ენ, ბჷლ'ე́ნ (← *ბელ'ე́ნ),

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 100-102.

2 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ., გვ.96, 134, 185...

დჷლ'ენ (← *დელ'ენ), ლ'ვენ, ანმ.გ. ლ'ან (← *ლ'ან-ა-რ), ბჷლ'ან (← *ბელ'ან-ა-რ), დჷლ'ან (← *დელ'ან-ა-რ), ლ'ვან (← *ლ'ვან-ა-რ), ინფ. ლ'ჷმ-მუს (← *ლ'ემ-მუს ← *ლ'ენ-მუს ← *ლ'ენ-ბოს), ბჷლ'მუს (← *ბელ'ემ-მუს ← *ბელ'ენ-მუს ← *ბელ'ენ-ბოს), დჷლ'მუს (← *დელ'ემ-მუს ← *დელ'ენ-მუს ← *დელ'ენ-ბოს), ლ'უმ-მუს (← *ლ'უნ-მუს ← *ლ'უნ-ბოს) "ქაჩვა"...

ნამ. ყ'უ'ნ-ნე (← *ყ'ვენ-ნე ← *ყ'ვემ-ნე ← *ყ'ვემ-თხე...), ბუყ'ნე (← *ბუყ'ენ-ნე ← *ბუყ'ემ-ნე ← *ბუყ'ემ-თხე...), ბრძ. ყ'ვემ-ყ'ინ, ბუყ'ემ-ყ'ინ, ანმ.გ. ყ'ვემ-ყ'ინ (← *ყ'ვემ-ყ'ინ-ა-რ), ბუყ'-ემ-ყ'ინ // ბუყ'ემ-ყ'ან (← *ბუყ'ემ-ყ'ან-ა-რ), ინფ. ყ'უმ-მუს (← *ყ'ვემ-მუს ← *ყ'ვემ-ბოს),[1] ბჷყ'მუს ← // ბუყ'მუს (← *ბუყ'ემ-მუს ← *ბუყ'ემ-ბოს) "თვლა"...

ნამ. ჭინ-ნე ← // ჭე'ნ-ნე (← *ჭე'ნ-თხე), ბჷჭნე ← // ბეჭნე (← *ბეჭენ-თხე...), დჷჭნე ← // დეჭნე (← *დეჭენ-თხე...), ჭუნ-ნე (← *ჭვენ-ნე ← *ჭვენ-თხე...), ბრძ. ჭენ, ბჷჭენ, დჷჭენ, ჭვენ, ანმ. გ. ჭან (← *ჭან-ა-რ), ბჷჭან ← // ბაჭან (← *ბაჭან-ა-რ), დჷჭან ← // დაჭან (← *დაჭან-ა-რ), ჭვან (← *ჭვან-ა-რ), ინფ. ჭჷმ-მუს ← // ჭუმ-მუს (← *ჭენ-მუს ← *ჭენ-ბოს...), ბჷჭმუს ← // ბუჭმუს (← *ბე-ჭემ-მუს ← *ბე-ჭენ-მუს ← *ბეჭენ-ბოს), დჷჭმუს ← // დუჭმუს (← *დე-ჭმუს ← *დეჭემ-მუს ← *დეჭენ-მუს ← *დეჭენ-ბოს), ჭჷმ-მუს ← // ჭუმ-მუს (← *ჭვემ-მუს ← *ჭვენ-მუს ← *ჭვენ-ბოს) – "ხრჩობა"...

ნამ. ლ'ხუნ-ნე (← *ლ'ხვემ-ნე ← *ლ'ხვემ-თხე...), ბულ'ნე (← *ბულ'ხენ-ნე ← *ბულ'ხემ-ნე ← *ბულ'ხემ-თხე...), დულ'ნე (← *დულ'ენ-ნე ← *დულ'ემ-ნე ← *დულ'ემ-თხე...), ლ'ხუნე (← *ლ'ხუნ-ნე ← *ლ'ხვენ-ნე ← *ლ'ხვემ-ნე ← *ლ'ხვემ-თხე...), ბრძ. ლ'ხვემ-ლ'ხინ, ბულ'ხემ-ლ'ხინ, დულ'ხემ-ლ'ხინ, ლ'ხვემ-ლ'ხინ, ანმ.გ. ლ'ხვემ-ლ'ხინ (← *ლ'ხვემ-ლ'ხინ-ა-რ), ბულ'ხემ-ლ'ხინ (← *ბულ'ხემ-ლ'ხინ-ა-რ), დულ'ხემ-ლ'ხინ (← *დულ'ხემ-ლ'ხინ-ა-რ), ლ'ხვემ-ლ'ხინ (← *ლ'ხვემ-ლ'ხინ-ა-რ), ინფ. ლ'ხჷმმუს ← // ლ'ხუმ-მუს (← *ლ'ხვემ-მუს ← *ლ'ხვემ-ბოს), ბჷლ'მუს

---

1 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 132, შენიშვნა 2.

(← *ბულ'ბემ-მუს ← *ბულ'ბემ-ბოს), დჷლ'მუ́ს ← // დულ'მუ́ს (← *დულ'ბემ-მუს ← *დულ'ბემ-ბოს), ლ'ბუმ-მუს (← *ლ'ბვემმუს ← *ლ'ბვემ-მუს ← *ლ'ბვემ-ბოს) - "გაქცევა".

ნამ. ხენ-ნე (← *ხემ-ნე ← *ხემ-თბე...), ბჷხნე́ ← // ბეხნე́ (← *ბე-ხენ-ნე ← *ბეხემ-ნე ← *ბეხემ-თბე...), ბრძ. ხე́მ-ხინ (← *ხე́მ-ხემ), ბჷხე́მ-ხინ // ბეხე́მ-ხინ (← *ბეხემ-ხემ), ანმ.გ. ხე́მ-ხინ (← *ხემ-ხინ-ა-რ), ბჷხე́მ-ხინ ← // ბეხე́მ-ხინ (← *ბეხემ-ხინ-ა-რ), ინფ. ხჷმ-მუ́ს ← // ხუმ-მუს[1] (← *ხემ-მუს ← *ხემ-ბოს), ბუხმუ́ს (← *ბეხემ-მუს ← *ბეხემ-ბოს) - "ქსოვა"...

ნამ.ძ.წჷნ-ნე́ ← // წენ-ნე́ (← *წემ-ნე ← *წემ-თბე...), ბრძ: წე́მ-წინ (← *წემ-წემ), ანმ.გ. წე́მ-წინ (← *წემ-წინ-ა-რ), ინფ. წჷმ-მუ́ს ← // წუმ-მუ́ს[2] (← *წემ-მუს ← *წემ-ბოს) - "ცრა"...

ნამ: შბჷნ-ნე́ ← // შბენ-ნე́ // შბემ-მე́ (← *შბემ-ნე ← *შბემ-თბე), ბრძ. შბე́მ-შბინ (← *შბემ-შბემ), ანმ.გ. შბე́მ-შბინ (← *შბემ-შბინ-ა-რ), ინფ: შბუმ-მუ́ს[3] (← *შბემ-მუს ← *შბემ-ბოს) - "ზელა (ცომისა)"...

ნამ: ირხვენი (← *ირხვინ-ნი ← *ირხვან-თბი), ბირხვენი (← *ბირ-ხვან-ნი ← *ბირხვან-თბი), დირხვენი (← *დირხვან-ნი ← *დირხვან-თბი), ვირხვ-ნი (← *ვირხვან-ნი ← *ვირხვან-თბი), ბრძ. ირხვინ, ბირხვინ, დირხვინ, ვირხვინ, ანმ.გ. ირხვინ (← *ირხვან-ა-რ), ბირხვან (← *ბირხვან-ა-რ), დირხვან (← *დირხვან-ა-რ), ვირხვინ (← *ვირხვან-ა-რ), ინფ. ირხვმუს (← *ირხვამ-მუს ← *ირხვან-მუს ← *ირხვან-ბოს), გირხვმუს (← *ბირხვამ-მუს ← *ბირხვან-მუს ← *ბირხვან-ბოს), დირხმუს (← *დირხვამ-მუს ← *დირხვან-მუს ← *დირხვან-ბოს) - "მუშაობა"...

ნამ. ე́რყვენი (← *ერყვა́ნ-ნი ← *ერყვა́ნ-თბი), ბერყვენი (← *ბერ-ყვან-ნი ← *ბერყვან-თბი), დერყვენი (← *დერყვან-ნი ← *დერყვან-თბი), ვერყვენი (← *ვერყვან-ნი ← *ვერყვან-თბი), ბრძ. ერყვინ, ბერყვინ,

---

1 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ., გვ.132; იქვე შენიშვნა 2...

2 იქვე, გვ.132, აგრეთვე - შენიშვნა 2.

3 იქვე, გვ. 132.

დერყვინ, ვერყვინ, აწმ.შ. ერყვინ (← *ერყვინ-ა-რ), მერყვინ (← *მერ-ყვან-ა-რ), დერყვინ (← ´დერყვან-ა-რ), ვერყვინ... (← *ვერყვან--ა-რ), ინფ. ერყვმუს (← *ერყვამ-მუს ← *ერყვან-მუს ← *ერყვან-ბოს), მერყვმუს(← *მერყვამ-მუს ← *მერყვან-მუს ← *მერყვან-ბოს) – "დაფარვა".

ნამ. ო́ც'ნი (← *ოც'ინნი ← *ოც'ინ-თბი), ო́ბც'ნი (← *ობც'ინ-ნი ← *ობც'-ინ-თბი), ო́რც'ნი (← *ორც'ინ-ნი ← *ორც'ინ-თბი), უ́ც'ნი (← *უც'ინნი ← *უც'ინ-თბი), ბრძ. ოც'ინ, ბოც'ინ, დოც'ინ, უც'ინ, აწმ. შ. ო́რც'-ინ // ← ო́რც'ან (← *ორც'ან-ა-რ), ბო́რც'ინ//ბო́რც'ან (← *ბორც'ან-ა-რ), დო́რც'ინ//დო́რც'ან (← *დორც'ან-ა-რ), უ́რც'ინ//უ́რც'-ან (← *ურც'ან-ა-რ), ინფ. ო́ც'მუს (← *ოც'ამ-მუს ← *ოც'ან-მუს ← *ოც'-ან-ბოს), ო́რც'მუს (← *ორც'ამ-მუს ← *ორც'ან-მუს ← *ორც'ან-ბოს), ო́ბც'-მუს (← *ობც'ამ-მუს ← *ობც'ან-მუს ← *ობც'ან-ბოს), უ́ც'მუს (← *უც'ამ-მუს ← *უც'ან-მუს ← *უც'ან-ბოს) – "ამოთრევა"...

ნამ. ეწნი (← *ეწან-ნი ← *ეწან-თბი), ებწნი (← *ებწან-ნი ← *ებწან-თბი), ერწნი (← *ერწან-ნი ← *ერწან-თბი), ევწნი (← *ევწან-თბი), ბრძ. ეწინ, ბეწინ, დეწინ, ვეწინ, აწმ.შ.ე́რწინ//ე́რწან (← 'ერწან-ა-რ), ბე́რწინ // ← ბე́რწან (← *ბერწან-ა-რ), დე́რწინ// ←დე́რ-წან (← *დერ-წან-ა-რ), ვე́რწინ // ← ვე́რწან (← *ვერწან-ა-რ), ინფ. ე́წმუს (← *ეწ-ამ-მუს ← *ეწან-მუს ← *ეწან-ბოს), ე́ბწმუს (← *ებწამ-მუს ← *ებწან-მუს ← *ებწან-ბოს), ე́რწმუს (← *ერწამ-მუს ← *ერწან-მუს ← *ერწან-ბოს), ე́ვწ-მუს (← *ევწამ-მუს ← *ევწან-მუს ← *ევწან-ბოს) – "დაბმა"...

ნამ. ო́'ქნი (← *ო'ქინ-ნი ← *ო'ქინ-თბი), ო́'ბქნი (← *ო'ბქინ-ნი ← *ო'ბქინ-თბი), ო́'რქნი (← *ორქინ-ნი ← *ო'რქინ-თბი), უ́'ქნი (← *უ'ქინ-ნი ← *უ'ქინ-თბი), ბრძ. ო́'ქინ, დო́'ქინ, ბო́'ქინ, უ́'ქინ, აწმ. შ. ო́'რქინ (← *ო'რქინ-ა-რ), ბო́რ-ქინ (← *ბო'რქინ-ა-რ), დო́'რქინ (← *დო'რქინ-ა-რ), უ́'რქინ (← *ურქინ-ა-რ), ინფ. ო́'ქმუს (← *ო'ქ-იმ-მუს ← *ო'ქინ-მუს ← *ო'ქინ-ბოს), ო́'ბქმუს (← *ო'ბქიმ-მუს ← *ო'ბ-ქინ-მუს ← *ო'ბქინ-ბოს), ო́'რქმუს (← *ო'რქიმ-მუს ← *ო'რქინ-მუს ← *ო'რქინ-ბოს), უ́'რქმუს (← *უ'ქიმ-მუს ← *უ'ქინ-მუს ← *უ'ქინ-ბოს) – "გაღვიძება"...

ნამ. ე́ხნი (← *ეხინ-ნი ← *ეხინ-თაი), ე́მხნი (← *ემხინ-ნი ← *ემ-ხინ-თაი), ე́რხნი (← *ერხინ-ნი ← *ერხინ-თაი), ვე́ხნი (← *ვეხინ-ნი ← *ვეხინ-თაი), მრძ. ეხინ, მეხინ, დეხინ, ვეხინ, აწმ.გ. ერხინ (← *ერხინ-ა-რ), მერხინ (← *მერხინ-ა-რ), დერხინ (← *დერხინ-ა-რ), ვერ-ხინ (← *ვერხინ-ა-რ), ინფ. ეხმჷს (← *ეხიმ-მჷს ← *ეხინ-მჷს ← ეხინ-ბოს), ე́რხმჷს (← *ერხიმ-მჷს ← *ერხინ-მჷს ← *ეხინ-ბოს), ვე́ხმჷს (← *ვეხიმ-მჷს ← *ვეხინ-მჷს ← *ვეხინ-ბოს) – "ასვლა"; "დავიწყება"...

ნამ. ა́სნი (← *ასინ-ნი ← *ასინ-თაი), ა́მსნი (← *ამსინ-ნი ← *ამსინ-თაი), ა́რსნი (← *არსინ-ნი ← *არსინ-თაი), ო́ვსნი (← *ოვსინ-ნი ← *ოვსინ-თაი), მრძ. ა́სინ, მა́სინ, და́სინ, ვა́სინ, აწმ.გ. ა́რსინ (← *არსინ-ა-რ), მა́რსინ (← *მარსინ-ა-რ), და́რსინ (← *დარსინ-ა-რ), ვა́რსინ (← *ვარსინ-ა-რ), ინფ. ა́სმჷს (← *ასიმ-მჷს ← *ასინ-მჷს ← *ასინ-ბოს), ა́მსმჷს (← *ამსიმ-მჷს ← *ამსინ-მჷს ← *ამსინ-ბოს), ო́ვს-მჷს (← *ოვსიმ-მჷს ← *ოვსინ-მჷს ← *ოვსინ-ბოს) – "გაშოშვა", "ანთნა".

ნამ. ე́ჭვნი (← *ეჭვინ-ნი ← *ეჭვინ-თაი), ე́მჭვნი (← *ემჭვინ-ნი ← *ემჭვინ-თაი), ე́რჭვინი (← *ერჭვინ-ნი ← *ერჭვინ-თაი), ვე́ჭუნი (← *ვეჭვინ-ნი ← *ვეჭვინ-თაი), მრძ. ერჭვინე, მერჭვინე, დერჭვინე, ვერ-ჭვინე (sic), აწმ.გ. ე́რჭვინ (← *ერჭვინ-ა-რ), მე́რჭვინ (← *მერჭ-ვინ-ა-რ), დე́რჭვინ (← *დერჭვინ-ა-რ), ვე́რჭვინ (← *ვერჭვინ-ა-რ), ინფ. ე́ჭვმჷს (← *ეჭვიმ-მჷს ← *ეჭვინ-მჷს ← *ეჭვინ-ბოს), ე́მჭმჷს (← *ემჭვმ-მჷს ← *ემჭვინ-მჷს ← *ემჭვინ-ბოს), ვე́ჭვმჷს (← *ვეჭვიმ-მჷს ← *ვეჭვინ-მჷს ← *ვეჭვინ-ბოს) – "შეკრთომა", "შეშინება(ძილში)"...

ნამ. ო́ლ'ნი (← *ოლ'ინ-ნი ← *ოლ'ინ-თაი), ო́მლ'ნი (← *ომლ'ინ-ნი ← *ომლ'ინ-თაი), მრძ. ოლ'ინ, მოლ'ინ, აწმ.გ. ო́რლ'ინ (← *ორლ'ინ-ა-რ), მო́რლ'ინ (← *მორლ'ინ-ა-რ), ინფ. ო́ლ'მჷს (← *ოლ'იმ-მჷს ← *ოლ'ინ-მჷს ← *ოლ'ინ-ბოს) – "კითხვა", "სწავლა"...

ნამ. ვჳ́კჰნი (← *ვჳკჰინ-ნი ← *ვჳკჰინ-თაი), დჳ́კჰნი (← *დჳკჰინ-ნი ← *დჳკჰინ-თაი), მრძ. ვჳკჰინ, დჳკჰინ, აწმ.გ. ვერკჰინ (← *ვერ-კჰინ-ა-რ), დერკჰინ (← *დერკჰინ-ა-რ), ვჳკჰმჷს (← *ვჳკჰიმ-მჷს ←

*ვეჲჿინ-მუს ← *ვეჲჿინ-ბის), ღეჲჿმუს (← *ღეჲჿიმ-მუს ← *ღეჲჿინ-მუს ← *ღეჲჿინ-ბის) - "გაბანვა (ლოცვის წინ)"...

ნამ. ჴვე́ქნი (← *ჴვექჿინ-ნი ← *ჴვექჿინ-თაი), ჴვე́შქნი (← *ჴვეშქჿინნი ← *ჴვეშქჿინ-თაი), ბრძ. ჴვექჿინ, ჴვეშქჿინ, აწმ.გ. ჴვექჿან (← *ჴვექჿან-ა-რ), ინფ. ჴვე́ქმუს (← *ჴვექჿიმ-მუს ← *ჴვექჿინ-მუს ← *ჴვექჿინ-ბის), ჴვე́შქმუს (← *ჴვეშქჿიმ-მუს ← *ჴვეშქჿინ-მუს ← *ჴვეშქჿინ-ბის) - "გაფცქვნა"...

ნამ. ა́რხნი (← *არხან-ნი ← *არხან-თაი), ბა́რხნი (← *ბარხან-ნი ← *ბარხან-თაი), ბრძ. არხინ, ბარხინ, აწმ.გ. ა́რხინ // ← ა́რხან (← *არხან-ა-რ), ბა́რხინ // ← ბა́რხან (← *ბარხ-ან-ა-რ), ინფ. ა́რხმუს (← *არხამ-მუს ← *არხან-მუს ← *არხან-ბის), ბა́რხმუს (← *ბარხამ-მუს ← *ბარხან-მუს ← *ბარხან-ბის) - "წოლა", "დესვა"...

ნამ. ბა'ლ'ნი (← *ბა'ლ'ინ-ნი ← *ბა'ლ'ინ-თაი), ბრძ. ბა'ლ'ინ, აწმ.გ. ბა'რლ'ინ (← *ბა'რლ'ინ-ა-რ), აწმ.გ. ბა'რლ'ინ (← *ბა'რლ'-ინ-ა-რ), ინფ. ბა'ლ'მუს (← *ბა'ლ'იმ-მუს ← *ბა'ლ'ინ-მუს ← *ბა'ლ'ინ-ბის) - "ჭყლეტა"...

ნამ. ხ'ე'ხ'ნი (← *ხ'ე'ხ'ინ-ნი ← *ხ'ე'ხ'ინ-თაე), ხ'ე'ხ'მუს (← *ხ'ე'ხ'იმ-მუს ← *ხ'ე'ხ'ინ-მუს ← *ხ'ე'ხ'ინ-ბის) - "ღუღილი(ღვინის...)"...

13. ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ფ ო რ მ ე ბ ი. ნაწარმოებ ფორმას ამოსავლად შეიძლება ჰქონდეს რომელიმე ძირითადი (მაგ., ნამყო ძირითადი, აწმყო ზოგადი...) ან ნაწარმოები ფორმა (მაგ., მყოფადი...).

1) მ ა რ ტ ი ვ ი მ ყ ო ფ ა დ ი. მყოფადის მაწარმოებელია სუფიქსი -ჯი, რომელიც უშუალოდ ერთვის ნამყო ძირითადის ფორმას.[1]

---

1 რ. ე რ ქ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ., გვ.86; ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.52-53; **С.Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола,** გვ.82; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.119-120.

პირველი უღლილების ზმნები

ნამ.ძ. ბო "თქვა" – მყოფ. ბო-ჰი "იტყვის"; ნამ.ძ. არჰუ, ბარჰუ, დარჰუ, ვარჰუ, "იფიქრა"; "იზრუნა" – მყოფ. არჰუ-ჰი, დარჰუ-ჰი, ვარჰუ-ჰი "იფიქრებს", "იზრუნებს"; ნამ.ძ. ატუ, აბტუ, არტუ, ოვტუ "გაჭრა" – მყოფ. ატუ-ჰი, აბტუ-ჰი, არტუ-ჰი, ოვტუ-ჰი "გაჭრის"; ნამ.ძ. აქჴუ, ბაქჴუ, დაქჴუ, ვაქჴუ "დაინახა" – მყოფ. აქჴუ-ჰი, ბაქჴუ-ჰი, დაქჴუ-ჰი, ვაქჴუ-ჰი "დაინახავს"; ნამ.ძ. ბენუ "შეძლო" – მყოფ. ბენუ-ჰი "შეძლებს"; ნამ.ძ. და'ყ'უ, და'ბყ'უ "დაკეტა", "დახურა" – მყოფ. დაყ'უ-ჰი, დაბყ'უ-ჰი "დაკეტავს", "დახურავს"; ნამ.ძ. ექუ, ებქუ, ევქუ "დაეცა","დავარდა" – მყოფ. ექუ-ჰი, ებქუ-ჰი, ერქუ-ჰი, ევქუ-ჰი "დაეცემა", "დავარდება"; ნამ.ძ. ეცუ "დაასხა" – მყოფ. ეცუ-ჰი "დაასხამს"; ნამ.ძ. ეხჴუ, ებხჴუ, ერხჴუ, ევხჴუ "დარჩა" – მყოფ. ეხჴუ-ჰი, ებხჴუ-ჰი, ერხჴუ-ჰი "დარჩება"; ნამ.ძ. ეხჴუ, ბეხჴუ "დავარცხნა" – მყოფ. ეხჴუ-ჰი, ბეხჴუ-ჰი "დავარცხნის"; ნამ.ძ. კა, ბაკა, დაკა, კვა "მოკვდა" – მყოფ. კა-ჰი, ბაკა-ჰი, დაკა-ჰი, კვა-ჰი "მოკვდება"; ნამ.ძ. ოხჴა, ობხჴა, ორხჴა, უხჴვა "წაიღო"; "წაიყვანა" – მყოფ. ოხჴა-ჰი, ორ-ხჴა-ჰი, უხჴვა-ჰი "წაიღებს"; "წაიყვანს"...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ჰხეს... "წასვლა" ზმნის მარტივი მყოფადი არ იწარმოება ნამ.ძირითადისაგან. ის განსხვავებული ფუძითაა ნაწარმოები: ხათხი, ხაბთხი, ხართხი, ხოვთხი "წავა"; შდრ. ნამ.ძ. ოჰხა, ობჰხა, ორჰხა[1] "წავიდა".

მეორე უღლილების ზმნები

ნამ.ძ. აქდი, ბაქდი, დაქდი, ვაქდი "წავიდა" – მყოფ. აქდი-ჰი, ბაქდი-ჰი, დაქდი-ჰი, ვაქდი-ჰი "წავა"; ნამ.ძ. ათხი (← *ათ-დი), აბთხი (← *აბთ-დი), ართხი (← *ართ-დი), ოვთხი (← *ოვთ-დი) "გაუშვა" – მყოფ. ათხი-ჰი, აბთხი-ჰი, ართხი-ჰი, ართხი-ჰი, ოვთხი-

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.87; 161-162; იხ. აგრეთვე, ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ., გვ.119, შენიშვნა 1.

ჰი "გაუშვებს"; ნამ.ძ. ქვექდი, ქვებქდი, ქვერქდი, ქვევქდი "იტრია-ლა" - მყოფ. ქვექდი-ჰი, ქებქდი-ჰი, ქვერქდი-ჰი, ქვევქდი-ჰი "იტ-რიალებს", ნამ.ძ. დახდი, დაბხდი, "დაარტყა"... - მყოფ. დახდი-ჰი, დაბხდი-ჰი "დაარტყამს"; ნამ.ძ. შჼეთჼე́, ბეშთჼე́//← ბეშდე... "იყ-იდა" - მყოფ. შჼეთჼე́-ჰი, ბეშთჼე́-ჰი... "იყიდის"; ნამ.ძ. ჭჷთჼე́// ჭითჼე́, ბიჟდე́, დიჟდე́, ჭუთჼე́ "შევიდა" - მყოფ. ჭჷთჼე́-ჰი, ბიჟდე́-ჰი, დიჟდე́-ჰი, ჭუთჼე́-ჰი "შევა"; ნამ.ძ. ჩერე́ (← *ჩარ-დე), ბეჩრე́ (← *ბეჩრ-დე) "გამოაცხო","შეწვა" - ჩერე-ჰი, ბეჩრე-ჰი "გამოაცხობს", "შეწვავს"...

მესამე უღვლილების ზმნები

ნამ.ძ. ა́რხნი (← *არხნ-დი), ბა́რხნი (← *ბარხნ-დი) "დააყარა"; "დათესა" - მყოფ. ა́რხნი-ჰი, ბა́რხნი-ჰი "დაყრის"; "დათესავს"; ნამ. ძ. ასნი "აწონა","გაზომა" - მყოფ: ასნი-ჰი "აწონის";"გაზომავს"; ნამ.ძ. ე́ტნი, ე́ბტნი, ე́რტნი, ე́ვტნი "მიაბა" - მყოფ. ე́ტნი-ჰი, ე́ბ-ტნი-ჰი, ე́ვტნი-ჰი, ე́რტნი-ჰი "მიაბამს"; ნამ.ძ. ლ'ენე́//ლ'ენნე́ (← *ლ'ენ-დე́), ბელ'ნე́//ბჷლ'ნე́ "დაქაჩა" - მყოფ. ლ'ენე́-ჰი, ბელ'ნე́-ჰი ... "დაქაჩავს"; ნამ.ძ. ყ‘უნნე́, ბუყ‘ნე... "დაითვალა" - მყოფ. ყ‘უნე́-ჰი, ბუყ‘ნე-ჰი "დაითვლის"; ნამ.ძ. შჼჷნნე́ "მოზილა" - მყოფ. შჼჷნნე́-ჰი "მოზელს"; ნამ.ძ. წენნე́ "გაცრა" - მყოფ: წენნე́-ჰი "გა-ცრის"; ნამ.ძ. ქუნე́//← ქუნ-ნე́ (← *ქუნ-დე), ბუქნე (← *ბუქნ-დე) "შეჭამა" - მყოფ. ქუნნე-ჰი, ბუქნე-ჰი "შეჭამს"...

კინც ოს ტინა ჭემლითჼიშ წურაქ ცაჸრიფლან ფ ა რ ხ ბ ო ჰ ი... "ახლა ცოტა ხნის შემდეგ წურიბში თვითმფრინავი გ ა ფ რ ი ნ დ ე-ბ ა..."

ნენტუ ხ უ ლ ე ჰ ი არშა "ჩვენ დ ა ვ ი ხ ო ც ე ბ ი თ არჩიბში".

ზონ დივინნით ყ ო ვ დ ი ჰ ი "მე ნოხზე დ ა ვ ჯ დ ე ბ ი".

ნენ შუთჼა იძ აჩუჰი "ჩვენ ხვალ ბზესა და მარცვალს გავლეწავთ" (ზედმიწ."გავაყრევინებთ").

2) ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი ს თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი.

-ლი-თი ნაწარმოებ ზმნურ ფორმას სხვადასხვა ავტორები სხვადასხვანაირად ახასიათებენ. ა.დირი მას ნამყო მეორეს უწოდებს. იგი წერს: "ნამყო მეორე, მგონი, იხმარება არა მარტო განგძობითი ... მოქმედების გამოსახატავად (რომლისთვისაც რუსული ენა იყენებს ნამყო უსრულს, სხვა ენები კი Imperfectum-ს), არამედ აგრეთვე ნამყო პირველის[1] მნიშვნელობით". ს.ხაიდაკოვიც ამ ზმნურ ფორმას პირობითად ნამყო მეორეს უწოდებს. მისი აზრით ის "დაუმთავრებელ მოქმედებას" გამოხატავს.[2] ნ.ტრუბეცკოი -ლი-თი ნაწარმოებ ფორმას ნამყო თხრობით ეძახის.[3] ნამყო თხრობითს უწოდებს მას ყ.მიქაილოვიც. ის წერს: "ნამყოს ეს ტიპი სხვა არაფერია, თუ არა სახესხვაობა ნამყო ძირითადისა, რომელსაც იყენებენ ... თხრობისას..."[4]

ა.დირისა და ს.ხაიდაკოვის მოსაზრებას ფაქტები მხარს არ უნდა უჭერდეს. ნ.ტრუბეცკოისა და ყ.მიქაილოვის მიერ საანალიზო ფორმის ნამყო თხრობითად მიიჩნევა, მართალია, რეალურ ვითარებას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ დაზუსტებას მაინც საჭიროებს.

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა გ ა ნ -ლი სუფიქსით ნაწარმოები ზმნური ფორმა, როგორც ს ა თ ა ნ ა დ ო მ ა ს ა ლ ი ს გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი დ ა ნ ჩ ა ნ ს, ნ ა მ ყ ო ს თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი ა, უფრო ზუსტად, ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი ს თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი და მნიშვნელობით ქართულის პირველ თურმეობით შეესაბამება. საერთოდ არჩიბული მდიდარია თურმეობითის ფორმებით, რომელთა შესახებ ქვემოთ - თავ-თავის ადგილას - გვექნება მსჯელობა. ცნობილია, რომ თურმეობითის ფორმები დამახასიათებელია

---

1 ა. დ ი რ ი ს ნამყო პირველი ნამყო ძირითადია (იხ. არჩ. ენა, გვ. 69).

2 С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, გვ.82, მ ი ს ი ვ ე, არჩ. ენა, გვ.619.

3 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ.ნაშრ.

4 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს, დასახ.ნაშრ.,გვ.123.

ზღაპრების ენისთვის. არჩიბულშიც ასეა – თურმეობითის მაგალითები აქაც უმთავრესად ზღაპრებში გვხვდება.

პირველი უღვლილების ზმნები

ნამ.ძ. ბო "თქვა" – ნამ.თურმ. ბო-ლი "უთქვამს"; ნამ.ძ. არჭუ, ბარჭუ, დარჭუ, ვარჭუ "იფიქრა","იბრუნა" – ნამ.თურმ. არჭუ-ლი, ბარ-ჭუ-ლი, დარჭუ-ლი, ვარჭუ-ლი "უფიქრია","უბრუნია"; ნამ.ძ. აცუ, აბ-ცუ, არცუ, ოვცუ "გაქრა" – ნამ.თურმ. აცუ-ლი, აბცუ-ლი, არცუ-ლი, ოვცუ-ლი "გაუქრია"; ნამ.ძ. აქჴუ, ბაქჴუ, დაქჴუ, ვაქჴუ "დაინახა" – ნამ.თურმ. აქჴუ-ლი, ბაქჴუ-ლი, დაქჴუ-ლი, ვაქჴუ-ლი "დაუნახავს"; ნამ.ძ. ბენუ "მეძლო" – თურმ. ბენუ-ლი "მეძლებია"; ნამ.ძ. და'ყ'უ, და'ბყ'უ "დაკეცა","დახურა" – ნამ.თურმ. და'ყ'უ-ლი, დაბყ'უ-ლი "დაუკეცავს","დაუხურავს"; ნამ.ძ. ექუ, ებქუ, ერქუ, ევქუ "დაეცა", "დავარდა" – ნამ.თურმ. ექუ-ლი, ებქუ-ლი, ერქუ-ლი, ევქუ-ლი "და-ცემულა", "დავარდნილა"; ნამ.ძ. ეცუ "დაასხა" – ნამ.თურმ. ეცუ-ლი "დაუსხამს"; ნამ.ძ. ეხჴუ, ებხჴუ, ერხჴუ, ევხჴუ "დარჩა" – ნამ. თურმ. ეხჴუ-ლი, ებხჴუ-ლი, ერხჴუ-ლი, ევხჴუ-ლი "დარჩენილა"; ნამ. ძ. ეხჴუ, ბეხჴუ "დაივარცხნა" – ნამ.თურმ. ეხჴუ-ლი, ბეხჴუ-ლი "და-უვარცხნია"; ნამ.ძ. კა, ბაკა, დაკა, კვა "მოკვდა" – ნამ.თურმ. კა-ლი, ბაკა-ლი, დაკა-ლი, კვა-ლი "მომკვდარა"; ნამ.ძ. ოხჴა, ობ-ხჴა, ორხჴა, უხჴვა "წაიღო";"წაიყვანა" – ნამ.თურმ. ოხჴა-ლი//ოხჴ-ი-ლი, ობხჴა-ლი//ობხჴი-ლი, ორხჴა-ლი//ორხჴი-ლი, უხჴვა-ლი "წა-უღია","წაუყვანია"; ნამ.ძ. ოჯჴა, ობჯჴა, ორჯჴა, უჯჴა "წავიდა" – ნამ.თურმ. ოჯჴა-ლი//ოჯჴი-ლი, ობჯჴა-ლი//ობჯჴი-ლი, ორჯჴა-ლი//ორ-ჯჴი-ლი, უჯჴა-ლი//უჯჴი-ლი//უჯჴჷ-ლი "წასულა"...

მეორე უღვლილების ზმნები

ნამ.ძ. აქდი, ბაქდი, დაქდი, ვაქდი "წავიდა" – ნამ.თურმ. აქ-დი-ლი, ბაქდი-ლი, დაქდი-ლი, ვაქდი-ლი "წასულა"; ნამ.ძ. ათჴი, აბ-თჴი, ართჴი, ოვთჴი "გაუშვა" – ნამ.თურმ. ათჴი-ლი, აბთჴი-ლი, არ-

თხი-ლი, ოვთხი-ლი "გაუშვია"; ნამ.ძ. ქვაქდი, ქვებქდი, ქვერქდი, ქვავქდი "იტრიალა" - ნამ.თურმ. ქვაქდი-ლი, ქვებქდი-ლი, ქვერქდი-ლი, ქვავქდი-ლი "უტრიალნია"; ნამ.ძ. დახდი, დაბხდი "დაარტყა" - ნამ.თურმ. დახდი-ლი, დაბხდი-ლი "დაურტყამს"; ნამ.ძ. ჭჷთბე́//ჭითბე́, ბიყდე́, დიყდე́, ჭუთბე́ "შევიდა" - ნამ.თურმ. ჭჷთბე́-ლი, ბიყდე́-ლი, დიყდე́-ლი, ჭუთბე́-ლი "შესულა"; ნამ.ძ. ჩერე́, ბეჩრე́ "გამოაცხო", "შეწვა" - ნამ.თურმ. ჩერე́-ლი, ბეჩრე́-ლი "გამოუცხვია","შეუწვია"...

მესამე უღვლილების ზმნები

ნამ.ძ. ა́რხნი, ბა́რხნი "დაყარა","დათესა" - ნამ.თურმ. ა́რხნი-ლი, ბა́რხნი-ლი "დაუყრია","დაუთესია"; ნამ.ძ. ა́სნი, ა́ბსნი "აწონა", "გაზომა" - ნამ.თურმ. ა́სნი-ლი, ა́ბსნი-ლი "აუწონია","გაუზომავს"; ნამ.ძ. ე́ტნი, ე́ბტნი, ე́რტნი, ე́ვტნი "მიაბა" - ნამ.თურმ. ე́ტნი-ლი, ე́ბტნი-ლი, ე́რტნი-ლი, ე́ვტნი-ლი "მიუბამს"; ნამ.ძ. ლ'ენნე́, ბელ'ნე́ //ბჷლ'ნე́ "დაქაჩა" - ნამ.თურმ.ლ'ენნე́-ლი,ბჷლ'ნე́-ლი "დაუქაჩავს"; ნამ.ძ. ყ'უნნე́, ბუყ'ნე́... "დათვალა" - ნამ.თურმ. ყ'უნნე́-ლი, ბუყ'ნე́-ლი... "დაუთვლია"; ნამ.ძ. შხჷნნე́ "მოზილა" - ნამ.თურმ. შხჷნნე́-ლი "მოუზელია"; ნამ.ძ. წენ-ნე́ "გაცრა" - ნამ.თურმ. წენნე́-ლი "გაუცრია"; ნამ.ძ. ქუნნე, ბუქნე "შეჭამა" - ნამ.თურმ. ქუნნე-ლი, ბუქნნე-ლი "შეუჭამია"...

საილუსტრაციო მაგალითები

ოსბ ფარჩაჰბ ევდილი. ჲამუშუნ ოსბ ლოვუ ე ვ დ ი ლ ი... "ერთი მეფე ყოფილა. მაგას ერთი ვაჟიც ჰ ყ ო ლ ი ა..."

ოსბ ბჷშო́რ ე ვ დ ი ლ ი, ოსბ ლ'ბონნოლ́ ე რ დ ი ლ ი. ჲემიშმენ ებყიტუ ლო ე დ ი ლ ი "ერთი კაცი ყ ო ფ ი ლ ა, ერთი ქალი ყ ო ფ ი ლ ა. მაგათ ოთხი შვილი ჰ ყ ო ლ ი ა თ".

ოსბ ტინა ჭემლითბიშ ჲამურ ლ'ბონნოლ́ დ ა კ ა ლ ი. ჲამუ ფარჩაჰბლი ჲა́თბჷქ ლ'ბონნოლ ო რ ქ ი ლ ი... "ცოტა ხნის შემდეგ ეგ ცოლი გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ ა. მაგ მეფეს მეორე ცოლი შ ე უ რ - თ ა ვ ს (ზედმიწ. "აუყვანია")...

ჲამურ ლაჰან ისბ ჭითხუთ ოლ' ჰავალი ი ხბ ი ლ ი "მაგ გოგოსა-
თვის ქარს ცოტა მაცივი ნ ა უ რ თ მ ე ვ ი ა (შედმინ. "ნაუღია");

ჲამურ ლაჰა ბ ო ლ ი ჰირილირში... "მაგ გოგოს მოხუცისთვის უ თ ქ ვ ა მ ს..."

ჲამურ ლ'ო ნოკხიში ო რ ჰბ ი ლ ი "ეგ გო სახლში ნ ა ს უ ლ ა";

ჲამი ბ ო ლ ი... "მგელს უ თ ქ ვ ა მ ს..."

ღემიბ ისბ იჰნა ბაზალითბიქ ო ბ ჰბ ი ლ ი "ეგენი ერთ დღეს ბაზარში ნ ა ს უ ლ ა ნ;

... ხითხა ო ბ ჰბ ი ლ ი ცილიში "შემდეგ ნ ა ს უ ლ ა ნ აზერბაიჯანში";

... ჲამუ ლ'ო დილ'აბუ ბოცრონ ვ ი რ ხ ვ ნ ი ლ ი "... მაგ ბიჭს ექვსი თვე უ მ უ შ ა ვ ნ ი ა";

... ჲამუმუ ლ'ებამხიბუ ჰურუშ ბ ო ლ' ო ლ ი "... მაგას სა-მასი მანეთი მ ი უ ც ი ა";

... ქუმუს ბეჲ ე ბ ლ'ბ უ ლ ი "... ჭამა დ ა უ ნ ყ ი ა თ" (შედმინ. "რიგი დაუდვიათ");

ღანაქ ადრიდრიმ ა ბ უ ლ ი "იქ აეროდრომი გ ა უ კ ე თ ე-ბ ი ა თ..."

ნინადადებაში თუ მ ხ ო ლ ო დ თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი ს ფორ-მებია – ორი ან რამდენიმე, მათ, გარდა ერთისა, კერძოდ, გარდა ნი-ნადადების ბოლოში მოქცეული თურმეობითის ფორმისა, აქვთ ნამყოს აბსოლუტივის მნიშვნელობა:

ჲამუ ბჷშორმუ დ ა ბ ხ დ ი ლ ი (// ჯ'ა ბ ხ დ ი ლ ი) მალა ნა-სრუთხინნინ მუჩ ა' ბ ჰბ უ ლ ი "მაგ კაცს დ ა უ რ ტ ყ ა მ ს რ ა, მერე ნასროლისათვის ნ ვ ე რ ი მ ო უ გ ლ ე ჯ ი ა (შედმინ." მ ო-ტ ე ხ ი ა");

ჲამურ ჰირი დ ა ჰბ ა ლ ი, ჲამურ ლაჰას დო'მუთ ოლ'უ ლ' ო-ლ ი "ეგ მოხუცი მ ო ს უ ლ ა რ ა, მაგ გოგოსთვის დიდი მაცივი მ ი უ ც ი ა";

თენიქ ოსბ მაყრაჲ მოხოლი ჲამუბ ჯაზ..., მ ო ს ო ლ ი "... იქ ერთ ადგილას უ პ ო ვ ი ა რ ა ეგ ბაღი..., დ ა უ ჭ ე რ ი ა";

... ხითბა კან-ტითბუ უ ჯბ ი ლ ი, სბალით ყ ო ვ დ ი ლ ი "... შემდეგ სულ უმცროსი წ ა ს უ ლ ა რ ა, საფლავზე ყ ო ფ ი - ლ ა";

ჲამუმმუნ კობუ,ჲამუმმუნ ნო'შუ ო მ ხბ ი ლ ი, ნოკხიში უ ჯბ - ი ლ ი "მაგისი ტანსაცმელი და ცხენი წ ა უ ღ ი ა რ ა, სახლში წ ა ს უ ლ ა";

ჲამუ ლ́ო უ ჯბ ი ლ ი მაზალითბიქ, არსი-მისირთბუ ხ ო ლ ი, მბ ე თბ ე ლ ი, ჯბ ვ ა ლ ი "ეგ ბიჭი წ ა ს უ ლ ა რ ა ბაზარში, ოქრო-ვერცხლი უ ნ ა ხ ა ვ ს რ ა, უ ყ ი დ ი ა რ ა, მ ო ს უ - ლ ა";

ჲამუ ლო არსი-მისირთბავ ო ხბ ი ლ ი, უჯბ ი ლ ი "მაგ ბიჭს ოქრო-ვერცხლი წ ა უ ღ ი ა რ ა, წ ა ს უ ლ ა..."

თურმეობით ნ ა მ ყ ო ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ი ს მნიშვნელობა მაშინაც აქვს, როდესაც წინადადებას ამთავრებს რომელიმე სხვა ზმნუ-რი ფორმა (ანმყო ზოგადი, ნამყო ძირითადი, ანმყო კონკრეტული...):

იმიშ ეში ხვალოვუ აკხუ ხ ა ლ ი, ზონუ ეში ჯბ ვ ა "იქიდან აქეთ პური და ხორცი მ ო ვ ი ტ ა ნ ე რ ა, მეც აქ მ ო ვ ე დ ი";

ზონ ინსთითუთლაქ შ უ თბ ე ლ ი, ო რ ლ' ი რ შ ი ვ ი "მე ინსტიტუტში მ ი მ ი ღ ე ს რ ა, ვ ს წ ა ვ ლ ო ბ";

ჰინც არმაქ დეყ' ა ბ უ ლ ი, მქოლაქ ეყილიქან მაშინა ო̇ რ- ჯ ღ რ "ახლა არჩიბისკენ გზა გ ა ა კ ე თ ე ს რ ა, სკოლამდე მანქანა დ ა დ ი ს..."

აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ ისიც, რომ ნამ. თურმეობით ნამ. აბსოლუტივის[1] მნიშვნელობა აქვს არა მარტო ზემოხსენებულ მემ-

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 125-126.

თხვევებში, არამედ აღწერით ფორმებშიც, კერძოდ, ნამყო სრულსა და ნამყო წინარე წარსულში (იხ. ქვ.). როგორც ვხედავთ, თურმეობითის ეს თავისებურება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ცხადია მისი გათვა-ლისწინება -ლი-თი ნაწარმოები თურმეობითის გენეზისის კვლევისას აუცილებელი იქნება.

ვ) ნ ა მ ყ ო ს ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ი. ნამყო ძირითადისაგან აბსოლუტივი -ნა[1] სუფიქსით იწარმოება:

პირველი უღვლილების ზმნები

ბი-ნა "თქვა რა"; არჭუ-ნა, ბარჭუ-ნა, დარჭუ-ნა, ვარჭუ-ნა "იფ-იქრა რა","იზრუნა რა"; ატუ-ნა, აბტუ-ნა, არტუ-ნა "გაჭრა რა"; აქხუ-ნა, ბაქხუ-ნა, დაქხუ-ნა, ვაქხუ-ნა "დაინახა რა"; ბეწუ-ნა "შეძლო რა"; და'ყ'უ-ნა, და'ბყ'უ-ნა "დაკეტა რა"; "დახურა რა"; ექუ-ნა, ებქუ-ნა, ერქუ-ნა, ევქუ-ნა "დაეცა რა","დავარდა რა"; ეცუ-ნა "დაასხა რა"; ეხხუ-ნა, ებხხუ-ნა, ერხხუ-ნა, ევხხუ-ნა "დარჩა რა"; ეხხუ-ნა, ბეხხუ-ნა "დაივარცხნა რა"; კა-ნა, ბაკა-ნა, დაკა-ნა, კვა-ნა "მოკვდა რა"; თხხა-ნა, თბხხა-ნა, თრხხა-ნა, უხხ-ვა-ნა "წაიღო რა","წაიყვანა რა"; თჯხა-ნა, თბჯხა-ნა, თრჯხა-ნა, უჯხა-ნა "წავიდა რა" ...

მეორე უღვლილების ზმნები

აქდი-ნა, ბაქდი-ნა, დაქდი-ნა, ვაქდი-ნა "წავიდა რა"; ათხი-ნა, აბთხი-ნა, ართხი-ნა, ივთხი-ნა "გაუშვა რა", ქვექდი-ნა, ქვე-ბქდი-ნა, ქვერქდი-ნა, ქვევქდი-ნა "იტრიალა რა"; დახდი-ნა "დაა-რტყა რა"; შხეთხე-ნა, ბეშთხე-ნა "იყიდა რა"; ჭლთხე́-ნა, ბიჟდე́-ნა, დიჟდე-ნა, ჭუთხე-ნა "შევიდა რა"; ჩერე́-ნა, ბეჩრე́-ნა "გამოაცხო რა", "შეწვა რა"...

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 76-77.

მესამე უღვლილების ზმნები

არხნი-ნა, ბარხნი-ნა "დააყარა რა","დათესა რა"; ასნი-ნა, აბსნი-ნა "აწონა რა","გაზომა რა"; ეტნი-ნა, ებტნი-ნა, ერტნი-ნა, ევტნი-ნა "მიაბარა რა"; ლ'ენე-ნა, ბელ'ნე-ნა... "მოსწია რა"; ყ'უნნე-ნა, ბუყ'ნე-ნა "დათვალა რა"; შჴჷნნე́-ნა "მოზილა რა"; წენნე-ნა "გაცრა რა"; ქუნნე-ნა, ბუქნე-ნა "შეჭამა რა" ...

საილუსტრაციო მაგალითები

ჟამურ ლაჰას წენნენნინ დეხ'ვ ო ვ ნ ა, ღათჴირიხურ ჟამურ ლოვუ გვაჩივუ ტ ა ლ ბ ა რ შ ი ე ბ დ ი ლ ი "(ის მეორე ცოლი) მაგ გოგოს ქატოს კვერს უ კ ე თ ე ბ დ ა რ ა (ზედმიწ."გაუკეთა რა"), ნახირში მაგ გოგოს და ძაღლს გ ზ ა ვ ნ ი დ ა თ უ რ მ ე".

ნენტუ ეჰიშჴა აკჩ ა ჩ უ ნ ა, ჰონკირთჴუ ოვჰი "ჩვენ ამაღამ ხორცი ჩ ა ვ დ გ ი თ რ ა (ზედმიწ."ჩავყარეთ რა"), ხინკალს გავაკეთებთ";

ჟამუთ საცამლით ჟამუბ ჟემიჟბუ ბ ა ყ უ ნ ა, ბორჰჴირ "ამ დროს ის მათაც ტ ო ვ ე ბ ს რ ა (ზედმიწ."დატოვა რა"), მიდის";

მარხჴილა, ჰოლ ბ ო წ ო ნ ა, მჷჟდამულ ნაკჩ ქერ "თოვლი, ყინვა გ ა დ ნ ა რ ა, ველები მწვანდება";

სოთ ადამთილჩაჟ ჰაჟილა, ახარან, უხ, ჭილ – ჩ́კენ გ ვ ა ყ უ ნ ა, ნოკჩიში შჴურ "შემოდგომაზე ადამიანები სიმინდს, ხილს, ყანას, თივას – ყველაფერს ა გ რ ო ვ ე ბ ე ნ რ ა (ზედმიწ."შეაგროვეს რა"), შინ მოაქვთ";

ხითჴა იჰ დ ა' ზ ე თჴ ა ნ ა, იშჴ ტი ქერ "შემდეგ დღე დ ი დ დ ე ბ ა რ ა (ზედმიზ."გადიდდა რა"), ღამე პატარავდება";

დიჟ! უნ დაქი, ყ'ანა-ყ'ანაშ ე რ კ უ ნ ა, ა'რტურ? "მამა, შენ რატომ ადგილ-ადგილ დ ა ტ ო ვ ე რ ა, ჭრი?"

ამმო ხჴვაქჴეჰ, ჟამუმმინ ბათჴურ ჰვათჴერში ხჴ ა რ ხ ე თჴ - ი ნ ა, ე ბ ხ უ ნ ა, ბულ'მუს ბერწარტუ "მაგრამ ტყეში, მისი რქები

ხეებს ე დ ე ბ ა რ ა (ზედმიწ. "მოელო რა"), რ ჩ ე ბ ა რ ა (ზედმიწ."დარჩა რა"), სირბილი არ შეუძლია";

ლ'ბანნათ ჲემიბ ჟანიბუ ვათანითბიქ ყ'ანა, ხალუმუ ოვნა, ლ'ობურ ართირ "გაზაფხულზე ისინი თავიანთ სამშობლოში ბ რ უ ნ დ ე ბ ი ა ნ რ ა (ზედმიწ."დაბრუნდნენ რა"), ბუდეს ა კ ე თ ე ბ ე ნ რ ა (ზედმიწ."გააკეთეს რა"), ბარტყებს ჩეკავენ";

ჲამუთ საყალით (← საყათლით) სბალა ც ა ნ კ ბ ო ნ ა, ბ ო - ხბ ო ნ ა ჲემიბ სარ, ქუმუსბუ ქვან "ამ დროს მელია ხ ტ ე ბ ა რ ა (ზედმიწ."ახტა რა"), დ გ ე ბ ა რ ა (ზედმიწ. "ადგა რა"), მათ იჭერს და ჭამს";

ბო'ხ'ო'თბიმად ლილმუჭ თუმანაქ ქ ა მ მ უ ნ ა, ბარჩარ "მონადირეები ირემს თოფს ე ს ვ რ ი ა ნ რ ა (ზედმიწ."ესროლეს რა"), კლავენ";

დოლ'ბუმლინ ჰბაკვანთილ ავლაჰლით ნაქბხთბუთ ჰოთი ქ უ ნ ნ ე - ნ ა, არნარ "შინაური ცხოველები ველზე მწვანე (= ლურჯ) ბალახს ჭ ა მ ე ნ რ ა (ზედმიწ."შეჭამეს რა"), ძოებიან".

უხ ჰ ე ძ ბ ო ნ ა, სოთ ბარცი ბარცარ "ყანა მ ო ხ ნ ე ს რ ა, საშემოდგომო ნათესს თესავენ";

გორორმი ყონყ სთოლით ე ლ'ბ უ ნ ა, ჟეცუ ჰან ოლ'ნიჰი? "მან წიგნი მაგიდაზე დ ა დ ო რ ა, თვითონ რა უნდა წაიკითხოს?";

გურუმუ კალ'უმ სთოლით ე ბ ლ'ბ უ ნ ა, ჟუცუ ჰინი ში ოვჰი? "მან კალმისტარი მაგიდაზე დ ა დ ო რ ა, თვითონ რით დაწეროს?"

4) მ ი მ ღ ე ო ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა. მიმღეობას არჩიბულში ზედსართავთან საერთო საწარმოებელი ფორმანტი აქვს. ესაა სუფიქსი -თბუ-//-დუ- (მხ.რ.IVკლ. -თბუ-თ[1], IIIკლ. -თბუ-ბ, IIკლ. -თბუ-რ, Iკლ. -თბუ-ვ; მრ.რ. -თბი-ბ). აწარმოებს იგი სამივე დროის მიმღეობას.

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.72-74; **С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола**, გვ.82-83; მ ი ს ი ვ ე, არჩ. ენა, გვ.614; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 120-121.

ნ ა მ ყ ო ს მ ი მ ღ ე ო ბ ა -თხუ სუფიქსის მეშვეობით იწარმოება ნამყო ძირითადის ფორმისაგან:

ნამ. ბო "თქვა" - მიმღ. ბო-თხუ-თ (IVკლ.), ბო-თხუ-ბ (IIIკლ.) ნამ. ცო (IVკლ.) "აქო" - მიმღ. ცო-თხუ-თ, ნამ. აბუ (IIIკლ.) "გააკეთა" - მიმღ. აბუ-თხუ-ბ, ნამ. აცუ (IVკლ.) "დათესა" - მიმღ. აცუთხუ-თ, ნამ. აწუ (IVკლ.) "გაავსო" - მიმღ.მრ.რ. აწუ-თხი-ბ, ნამ. ექუ (IVკლ.) "ჩამოვარდა" - მიმღ.მრ.რ. ექუ-თხი-ბ, ნამ. აჭუ (IVკლ.) "გაჭრა" - მიმღ. აჭუ-თხუ-თ, ნამ. ქუნე (IVკლ.) "შეჭამა" - მიმღ. ქუნე-თხუ-თ, ნამ. კა (IVკლ.), ბაკა (IIIკლ.), დაკა (IIკლ.), კვა (Iკლ.) "გარდაიცვალა","მოკვდა" - მიმღ. კა-თხუ-თ, ბაკა-თხუ-ბ, დაკა-თხუ-რ, კვა-თხუ-რ, კვა-თხუ-ვ, ნამ. ჯხა (IVკლ.) "მოვიდა" - მიმღ. ჯხა-თხუ-თ, ნამ. ლ'ო (IVკლ.) "მისცა" - მიმღ. ლ'ო-თხუ-თ, ნამ. ბუკხუ (IIIკლ.) "დაკლა" - მიმღ. ბუკხუ-თხუ-ბ, ნამ. შხეთხე (IVკლ.) "იყიდა" - მიმღ. შხეთხე-დუ-ბ, ნამ. ოლ'ნი (IVკლ.) "ისწავლა","წაიკითხა" - მიმღ. ოლ'ნი-თხუ-თ...

ა წ მ ყ ო ს მ ი მ ღ ე ო ბ ი ს ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ გამოყენებულია აწმყოს ფორმა:

აწმ. ვარ "ლაპარაკობს","ამბობს" - მიმღ. ვარ-თხუ-თ (IVკლ.), ვარ-თხუ-ბ (IIIკლ.), აწმ. ცარ (IVკლ.), ბაცარ (IIIკლ.), დაცარ (IIკლ.), ცვარ (Iკლ.) "აქებს" - მიმღ. ცარ-თხუ, ცარ-თხუ-რ, ცარ--თხი-ბ..., ბაცარ-თხუ, ბაცარ-თხუ-რ, ბაცარ-თხი-ბ..., დაცარ-თხი-ბ ..., აწმ. წარ "სვამს" - მიმღ. წარ-თხუ-თ, აწმ. არლ'ირ (IVკლ.) "მოდის" - მიმღ. არლ'ირ-თხუ-თ, აწმ. ი (IVკლ.), ბი (IIIკლ.), დი (IIკლ.), ვი (Iკლ.) "არის" - მიმღ. ი-თხუ-თ, ბი-თხუ-ბ, დი-თხუ-რ, ვი-თხუ, ი-თხი-ბ, ბი-თხი-ბ, აწმ. არ (IVკლ.) "აკეთებს" - მიმღ. არ-თხუ-თ, არ-თხუ-ბ, აწმ. არცირ (IVკლ.) "თესავს" - მიმღ.არცირ-თხუ, აწმ. არჭურ (IVკლ.) "ჭრის" - მიმღ. არჭურ-თხუ-თ, აწმ.ლ'ორ (IVკლ.) "აძლევს" - მიმღ. ლ'ორ-თხუ-თ, აწმ. არნირ (IVკლ.) "ავსებს", "აძოებს" - მიმღ. არნირ-თხუ-თ, აწმ. ქვეშქხირ (IIIკლ.)

"ჩრიალებს" - მიმღ. ქეებქხირ-თხუ-ბ, ანმ. ქვან (IVკლ.) "ჭამს" - მიმღ. ქვან-ნუ-თ (← *ქვან-თხუ-თ) → // ქვანუთ...

მ ყ ო ფ ა დ ი ს   მ ი მ ღ ე ო ბ ა ნაწარმოებია მყოფადის ფორმისაგან:

მყოფ. ბოჯი "იტყვის" - ბოჯი-თხუ-თ//ბოჯა-თხუ-თ, მყოფ. ქუნეჯი (IVკლ.) "შეჭამს" - მიმღ. ქუნეჯი-თხუ-თ//ქუნეჯა-თხუ-თ, მყოფ. ლ'ოჯი "მისცემს" - მიმღ. ლ'ოჯი-თხუ-თ, მყოფ. ცოჯი (IVკლ.) "შეაქებს" - მიმღ. ცოჯი-თხუ-თ//ცოჯა-თხუ-თ, მყოფ. ატუჯი "გაჭრის" - მიმღ. ატუჯი-თხუ-თ, მყოფ. ნა-ბუჯი "დალევს" - მიმღ. ნა-ბუჯი-თხუ-თ,მყოფ. მხეთხეჯი (IVკლ.) "იყიდის" - მიმღ. მხეთხეჯი-თხუ-ბ, მყოფ.ავჯი (IVკლ.), აბუჯი (IIIკლ.), არუჯი (IIკლ.), ოვჯი (Iკლ.) "გააკეთებს", "შობს" - მიმღ. ავჯი-თხუ-თ, აბუჯი-თხუბ, არუჯი-თხუ-რ, ოვჯი-თხუ...

იშვიათად მ ყ ო ფ ა დ ი ს   მ ი მ ღ ე ო ბ ი ს საწარმოებლად გამოყენებულია ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი ს   ფ ო რ მ ა ც; მაგ.: ინფ. ას (IVკლ.) "გაკეთება" - მიმღ. ას-თხუ-თ, ინფ. ქუმმუს (IVკლ.) "ჭამა" - მიმღ. ქუმმუს-თხუ-თ[1], ინფ. ჯხეს (IVკლ.) "წასვლა" - მიმღ. ჯხეს-თხუ-თ...

5) ზ ო გ ი ე რ თ ი   შ ე ნ ი შ ვ ნ ა   მ ი მ ღ ე ო ბ ი ს   შ ე ს ა ხ ე ბ:

ა. მიმღეობას, როგორც ნაზმნარ ზედსართავ სახელს, გარდა კლას-ნიშნიანი -თხუ- სუფიქსისა შეიძლება ჰქონდეს ზმნიდან გადმოყოლილი პრეფიქსული კლას-ნიშნებიც; ასე რომ, მიმღეობაში კლასსა და რიცხვს -თხუ- სუფიქსთან ერთად პრეფიქსებიც გამოხატავენ. ასეთ შემთხვევაში რეალურ სუბიექტსა და რეალურ ობიექტზე (ისევე, როგორც ზმნაში) პრეფიქსული კლას-ნიშნები მიუთითებენ, საზღვრულ სახელს კი (ისევე,

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ.ენა, გვ.72; **С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола,** გვ.83; მ ი ს ი ვ ე, არჩ.ენა, გვ. 620.

როგორც ზედსართავ სახელში) სუფიქსიანი კლას-ნიშნები, უფრო ზუსტად, კლას-ნიშნიანი -თხუ- სუფიქსის კლასის ნიშნები აღნიშნავენ;

ბ. მიმღეობა იბრუნვის სხვა კლას-ნიშნიანი სახელების მსგავსად, კერძოდ, როგორც ზედსართავი სახელი (იხ.ზემოთ "კლას-ნიშნიან სახელთა ბრუნება");

გ. მიმღეობის ერთსა და იმავე ფორმას შეიძლება ჰქონდეს როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის გაგება;

დ. მიმღეობა უმთავრესად გამოყენებულია ზედსართავი სახელის მნიშვნელობით, მაგრამ იხმარება იგი ზმნის მნიშვნელობითაც.

ნ) პ ი რ ო ბ ი თ ი კ ი ლ ო ს მაწარმოებელია -მიჟიშ, რომელიც სრული სახით უმთავრესად ა.დირის მასალებშია დამოწმებული. ა.დირი -მიჟიშ-ით ნაწარმოებ ზმნურ ფორმას კავშირებითს უწოდებს.[1] კავშირებით კილოს ეძახის მას ყ.მიქაილოვიც[2], თუმცა შენიშვნაში ამავე გვერდზე უწერია: "პირობითი კილოს სუფიქსი - მჟიშ"..[3]

დადასტურებულია -მიჟიშ ფორმანტის ფონეტიკური ვარიანტები: -მიჟი, -მჟიშ, -მჟი, -ნჟიშ, -ნჟი; -მიჟიშ და -მიჟი იშვიათად იხმარება. ჩვეულებრივია: -მჟიშ, -მჟი და -ნჟიშ, -ნჟი. მათი ხმარება არჩიბის უბნების მიხედვით განსხვავებულია; მაგ.: ალჩუნიბსა და ყუბაკლში უფრო -ნჟიშ-ს ამბობენ, თუმცა იშვიათად -მჟიშ-იც ისმის. ხერესა და კალა-ხიტაბში არის -მჟი, -მჟიშ და -ნჟი, მაგრამ -ნჟიშ-საც გაიგონებთ...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აღსანიშნავია, რომ პირობითი კილოს ფორმანტები ერთვის ყოფნა ზმნის აწმყოს ფორმებსაც; მაგ.: აწმ. ვ-ი "არის" - პირ. ვი-მჟიშ, ვი-მიჟიშ[4] "თუ იქნება"... (უნ ნოკჰა ვიმიჟიშ, ზონ ეეჰხი "შენ თ უ ი ქ ნ ე ბ ი შინ, მე მოვალ").

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.71.
2 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 135.
3 იხ. იქვე, გვ.135, შენიშვნა 3.
4 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 71; იხ. აგრეთვე, იქვე, შენიშვნა 1.

პირობითი კილოს ფორმანტების დართვისას ნამ.ძირითადის ბოლოკიდური -უ, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ო-ს სახით, ხოლო ი̲ - ე-ს სახით[1]:

პირველი უღვლილების ზმნები

ბო-მჭი//ბო-ნჭი... "თუ თქვა","თუ იტყვის"; არჰო-ნჭი, ბარჰო-ნჭი, დარჰო-ნჭი, ვარჰო-ნჭი "თუ იბრუნა","თუ იბრუნებს"; ატო-მჭიშ, აბტო-მჭიშ, არტო-მჭიშ, ოვტო-მჭიშ "თუ გაჭრის","თუ გაჭრა"; აქჴო-ნჭიშ, ბაქჴო-ნჭიშ, დაქჴო-ნჭიშ, ვაქჴო-ნჭიშ "თუ დაინახა","თუ დაინახავს"; ბეწო-ნჭიშ "თუ შეძლო", "თუ შეძლებს"; ასო-ნჭიშ, აბსო-ნჭიშ, არსო-ნჭიშ, ოვსო-ნჭიშ "თუ წაიღებს"... აწო-ნჭიშ, არწო-ნჭი, ოვწო-ნჭი "თუ გაივსება";"თუ გაძღება"... ახო-ნჭი, აბხო-ნჭი, არხო-ნჭი, ოვხო-ნჭი "თუ დაიძინებს"... ა'ჲჴო-ნჭი, ა'ბჲჴო-ნჭი "თუ გატეხს"... გო-ნჭი, ბუქჴუ-ნჭი (sic), დუქჴუ-ნჭი, გო-ნჭი "თუ მოხრის" ... დუბლ'ჴო-ნჭი "თუ შეკრავს"... ელ'ჴო-ნჭი, ებლ'ჴო-ნჭი, ერლ'ჴო-ნჭი, ევლ'ჴო-ნჭი "თუ დადებს"... ეცო-ნჭიშ "თუ დაასხამს"... კა-ნჭი, ბაკა-ნჭი, დაკა-ნჭი, ვაკა-ნჭი "თუ მოკვდება"... ო'ყ'ა-ნჭი "თუ წააგებს"... ხა-ნჭი, ბახა-ნჭი, და-ხა-ნჭი, ხვა-ნჭი "თუ გაიმარჯვებს"...

მეორე უღვლილების ზმნები

ათჴე-ნჭიშ, აბთჴე-ნჭიშ, ართჴე-ნჭიშ, ოვთჴე-ნჭიშ "თუ გაუშვებს" ...დახდე-ნჭიშ//← დახდი-ნჭიშ... "თუ ცემს"... სჷთჴე́-ნჭი "თუ მოხარშავს"... ჩჷრე́-ნჭი "თუ შეწვავს", "თუ გამოაცხობს"; დიჟდე-ნჭი, ჭუთჴე-ნჭი "თუ შევა"...

მესამე უღვლილების ზმნები

ერყ'ვნე-ნჭიშ, ბერყ'ვნე-ნჭიშ, დერყ'ვნე-ნჭიშ "თუ დაფარავს", "თუ დაიფარება"; ეხნე-მჭი, ებხნე-მჭი "თუ დაკიდებს"... დულ'ნე-მჭი, ლ'უნნე-მჭი "თუ გაიქცევა"..; ლ'უნე-ნჭიშ "თუ მოსწევს (მოზიდავს)"... ქუნნე-მჭი "თუ ჭამს"... შხჷნნე́-მჭი "თუ მოზელს"... წჷნნე́-მჭი "თუ გაცრის"...

---

1 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ.135, შენიშვნა 3.

საილუსტრაციო მაგალითები

... თოთმის უნ ვ ა ქხ ო ნ ჭ ი შ (შდრ. ვაქხომიჭიშ[1]), ვათხი-
მეჲბუ ჭელე ებთხიჯი... "მან შენ თ უ დ ა გ ი ნ ა ხ ა, შენ ხოშ
ქვად იქცევი..."

სალამ ლ'ათხიშ ბ ო მ ჭ ი შ ჰხამზათლითხიშ "თუ იკითხავ (ზე-
დმიწ. "თუ იტყვი"), სალამი ვისგანაა, ჰამზათისგანაა";

ჭაბეს ყ'ანაქ ყ' ა ნ ე თხ ე მ ჭ ი შ, ჲემიშმაჲ... დუნალუ
ჭაბუ ღალყარ "ცხვრის შიგნით თუ შეიჭრნენ (ზედმიწ."შიგ მოექცენ"),
ისინი... ბევრ ცხვარს ანადგურებენ";

ბის ხაბარ წ ი ხ ე ბ თხ ე მ ჭ ი შ..., მუში ვი... "ჩემს
ამბავს თ უ ი კ ი თ ხ ა ვ თ..., კარგად ვარ..."

ყ'ვეთხიხუთ ჰ უ ბ ო მ ჭ ი შ (შდრ. ჰუბომიჭიშ[2]), ჰან არ?...
"ორივე მხრიდან თ უ დ ა უ ბ ე რ ა, რას იზამ?"...

ლ'ხან ჯ ა მ ჭ ი, დუ'ხ'ათ დერხ'ურტუ "წყალი თ უ გ ა ი ყ ი-
ნ ა, ნისქვილი არ ბრუნავს";

ნაგაჰ უნ თენიქ ჯხ ვ ა ნ ჭ ი შ (შდრ. ჯვა́მიჭიშ[3]), ვეზ ვაქხ-
ვა! "შენ იქ თ უ მ ო ხ ვ ა ლ, მე მინახულე!"

ამმო ქარბანნინ ყურწემულ ხ ი ო ვ ე ნ ჭ ი შ (შდრ. ავში-
ჭიშ[4]), ითხუთ აზაბიკხიშ,ჰალ-მუ ხუსხარ ა! "მაგრამ ქარავნის ჯო-
რები თ უ დ ა ფ რ თ ხ ა, მაშინ საშიშია, ღმერთმა დაგვიფაროს!"

ყ'აბღდიბ ქურხულ ბუთხუთხიბ ლაგათხეს ს ო ნ ჭ ი, ჲემიბუ ყ'ა-
ბყ'ქერ... "ჭუჭყიანი ხელები სხვა ორგანოებს თ უ შ ე ა ხ ე, ის-
ინიც ჭუჭყიანდებიან"...

7) დ ა თ მ ო ბ ი თ ი კ ი ლ ო. დათმობითის მაწარმოებელია
ნაწილაკი -შავ:

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.121.
2 იქვე, გვ.115.
3 იქვე, გვ.111.
4 იქვე, გვ.106.

პირველი უღვლილების ზმნები

ნამ.ძ. ათუ "დაჟეჟა" - დათმობ. ათუ-შავ "თუმცა დაჟეჟა"..., ნამ.ძ. ასუ... "ჩაიცვა" - დათმობ. ასუ-შავ... "თუმცა ჩაიცვა","თუ-მცა ჩაიცვამს", ნამ.ძ. აწუ, აბწუ... "გაქრა" - აწუ-შავ, აბწუ-შავ ... "თუმცა გაქრა", ნამ.ძ. აქხუ, ბაქხუ, დაქხუ, ვაქხუ "დაინახა" - დათმობ. აქხუ-შავ, ბაქხუ-შავ, დაქხუ-შავ, ვაქხუ-შავ "თუმცა და-ინახა", ნამ.ძ. აყუ, ბაყუ, დაყუ, ვაყუ "დაწოვა" - დათმობ. აყუ-შავ, ბაყუ-შავ, დაყუ-შავ, ვაყუ-შავ "თუმცა დაწოვა", ნამ.ძ. აცუ, ბაცუ "მოწველა" - დათმობ. აცუ-შავ, ბაცუ-შავ "თუმცა მოწველა"; ნამ.ძ. ანუ, აბნუ, არნუ, ოვნუ "გაივსო", "გაძღა" - დათმობ. ანუ-შავ, აბნუ-შავ, არნუ-შავ, ოვნუ-შავ "თუმცა გაივსო";"თუმცა გაძღა", ნამ.ძ.აჭუ, აბჭუ, არჭუ, ოვჭუ "დამალა";"დაიმალა" - დათმობ. აჭუ-შავ, აბჭუ-შავ, არჭუ-შავ, ოვჭუ-შავ "თუმცა დამალა", "თუმცა დაიმალა", ნამ.ძ. ქხუ, ბუქხუ, დუქხუ, ქხუ "მოიხარა"... - დათმობ. ქხუ-შავ, ბუქხუ-შავ,დუ-ქხუ-შავ "თუმცა მოიხარა", ნამ.ძ. კა, ბაკა, დაკა, ვაკა "მოკვდა" - დათმობ. კა-შავ, ბაკა-შავ, დაკა-შავ, ვაკა-შავ "თუმცა მოკვდა",ნამ. ძ. კუ, ბუკუ "აანთო" - დათმობ. კუ-შავ, ბუკუ-შავ "თუმცა აანთო"...

მეორე უღვლილების ზმნები

ნამ.ძ. სეთხე//სჷთხე́... "მოხარშა" - დათმობ. სჷთხე-შავ "თუმცა მოხარშა", ნამ.ძ. ოსთხი, აბსთხი, ორსთხი, უსთხი "იდგა" - დათმობ. ოსთხი-შავ, ობსთხი-შავ, ორსთხი-შავ "თუმცა იდგა", ნამ.ძ. შხეთხე, ბეშხთხე... "იყიდა" - დათმობ. შხჷთხე-შავ, ბჷშთხე-შავ... "თუმცა იყიდა", ნამ.ძ. ჩერე... "გამოაცხო","შეწვა" - დათმობ. ჩჷრე-შავ "თუმცა გამოაცხო", ნამ.ძ. ჭუთხე, დეჟდე... "შევიდა" - დათმობ. ჭუთხე-შავ, დეჟდე-შავ... "თუმცა შევიდა"...

მესამე უღლილების ზმნები

ნამ.ძ. ბა́რხნი... "დააბნია";"დათესა" - დათმობ. ბა́რხნე-შავ "თუმცა დააბნია";"თუმცა დათესა", ნამ.ძ. ა́სნი, ა́ბსნი "გაზომა", "აწონა" - დათმობ. ა́სნე-შავ, ა́ბსნე-შავ "თუმცა გაზომა", "თუმცა აწონა", ნამ.ძ. ე́ცნი, ე́ბცნი, ე́რცნი, ე́ვცნი "მიაბა" - დათმობ. ე́ცნე-შავ, ე́ბცნე-შავ, ე́რცნე-შავ, ე́ვცნე-შავ "თუმცა მიაბა", ნამ.ძ. ლ'ზუნნე́, დულ'ნე́... "გაიქცა" - დათმობ. ლ'ზუნნე́-შავ, დულ'ნე́-შავ... "თუმცა გაიქცა", ნამ.ძ. ქუნნე́, ბუქნე́ "შეჭამა" - დათმობ. ქუნნე́-შავ, ბუქნე́-შავ "თუმცა შეჭამა", ნამ.ძ. ყ'უნნე́, ბუყ'ნე́ "დაითვალა" - დათმობ. ყ'უნე́-შავ, ბუყ'ნე́-შავ "თუმცა დაითვალა"...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. -შავ პირობითი კილოს მაწარმოებლების მსგავსად დაერთვის ყოფნა ზმნის აწმყოს ფორმას: აწმ. ბი... - დათმობ. ბი-შავ "თუმცა არის".

საილუსტრაციო მაგალითები

გათუ ბირდან ქვებქზირთხუბ, ჭანკ ბითხუბ, ინჯიბუ ცითხუბ ბ ი შ ა ვ, ჰუნარ დო́'ზუბ ჰზავან ბი... "კატა ძალიან მარდი, ყოჩაღი, თვითონ პატარა თ უ მ ც ა ა რ ი ს, დიდი უნარის მქონე ცხოველია"...

თორმი ჰა́ნნიქან მ ი ნ ნ ა თ ა ვ შ ა ვ, დართირდიგი! "მან რამდენიც არ უნდა გთხოვოს (ზედმიწ."თუმცა გთხოვოს"), არ გაუშვა!"

ჰიბათხუბ გვაჩილი ჰანნუქან ინჟ ბ ი ყ' - ე შ თხ ი შ ა ვ, ყვარიდში ბ ა რ ჰ უ შ ა ვ, ჰალმუნ ჯუჩ ბოცურ ა́ბთხა́ცუ "კარქმა ძაღლმა რამდენიც არ უნდა იშიმშილოს, გაჭირვებულადაც რომ ინახავდეს, პატრონის ფარეხს არ დატოვებს".

ზ) პ ი რ ო ბ ი თ - შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი. მყოფადისაგან, რომელიც თვითონ ნამყო ძირითადისგანაა ნაწარმოები, იწარმოება პ ი რ ო ბ ი თ - შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი, ანუ, როგორც მას ა.დიდი უწოდებს, პი-

რობითი მეორე[1]. ზმნის ეს ფორმა ჯერ კიდევ რ.ერკერტის შრომაშია და-მოწმებული[2]. მისი საწარმოებელი სუფიქსია -დი.[3]

პირველი უღვლილების ზმნები

მყოფ. აკუპი (IVკლ.) "შედენის" - პირობ.-შედეგ. აკუპი-დი "შე-დენიდა", მყოფ. ასუპი (IVკლ.) "ჩაიცვამს" - პირობ.-შედეგ. ასუპი-დი "ჩაიცვამდა", მყოფ. ატუპი (IVკლ.) "გაჭრის" - პირობ.-შედეგ. ა́ტუპლ-დი// ← ატუპი-დი "გაჭრიდა", მყოფ. აქხუპი (IVკლ.) "დაინახავს" - პირობ.-შედეგ. ა́ქხუპლ-დი "დაინახავდა", მყოფ. ბაცუპი (IIIკლ.) "მო-წველის" - პირობ.-შედეგ. ბაცუპი-დი "მოწველიდა", მყოფ. კაპი (IVკლ.) "მოკვდება" - პირობ.-შედეგ. კაპი-დი "მოკვდებოდა", მყოფ. ბოლ'ოპი (IIIკლ.) "მისცემს" - პირობ.-შედეგ. ბოლ'ოპი-დი "მისცემდა",მყოფ. ცოპი (IVკლ.) "შეაქებს" - პირობ.შედეგ. ცოპი-დი "შეაქებდა", მყოფ. წოპი "გადნება" - პირობ.-შედეგ. წოპი-დი "გადნებოდა"...

მეორე უღვლილების ზმნები

მყოფ. ოეთხიპი (Iკლ.) "გაუშვებს" - პირობ.-შედეგ. ოეთხიპი-დი "გაუშვებდა", მყოფ. დახდიპი (IVკლ.) "დაარტყამს" - პირობ.-შედეგ. დახდიპი-დი "დაარტყამდა", მყოფ. ქვერდიპი (IIკლ.) "იტრიალებს" - პირობ.-შედეგ. ქვერდიპი-დი "იტრიალებდა", მყოფ. სეთხეპი (IVკლ.) "მოხარშავს" - პირობ.-შედეგ. სლთხეპი-დი "მოხარშავდა", მყოფ. მხე-თხეპი (IVკლ.) "იყიდის" - პირობ.-შედეგ. მხეთხეპი-დი "იყიდდა", მყოფ. ბეჩრეპი "გამოაცხობს","შეწვავს" - პირობ.-შედეგ. ბლჩრ́ეპი-დი "გამოაცხობდა", "შეწვავდა", მყოფ. ხულეპი "დაიხოცებიან" - პირობ.-შედეგ. ხულეპი-დი "დაიხოცებოდნენ", მყოფ. დიჟდეპი (IIკლ.) "შევა" - პირობ.-შედეგ. დიჟდე́პლ-დი "შევიდოდა"...

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 62-63; 71.

2 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,ნაწ.II, გვ.51-57.

3 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.62; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.622.

მესამე უღვლილების' ზმნები

მყოფ. არხნიჯი (IVკლ.) "დაყრის","დათესავს", პირობ.-შედეგ. ა́რხნჷჯჷ-დი//არხნიჯი-დი "დაყრიდა","დათესავდა", მყო. აბსნიჯი (III კლ.) "აწონის"... პირობ.-შედეგ. ა́ბსნჷჯჷ-დი "აწონიდა", მყოფ. ებტნიჯი (IIIკლ.) "მიაბამს" - პირობ.-შედეგ. ებტნიჯი-დი "მიაბამდა",მყოფ. დულ'ნეჯი (IIკლ.) "გაიქცევა" - პირობ.-შედეგ. დულ'ნე́ჯჷ-დი "გაიქცეოდა", მყოფ. ლ'უნეჯი (Iკლ.) ."მოწევს","მოზიდავს" - პირობ.-შედეგ. ლ'უნეჯი-დი "მოწევდა","მოზიდავდა", მყოფ. ბუქნე́ჯი (IIIკლ.), ქუნნეჯი (IVკლ.) "შეჭამს" - პირობ.-შედეგ. ბუქნე́ჯჷ-დი, ქუნნე́ჯჷ-დი "შეჭამდა", მყოფ. ყ'უნნეჯი (IVკლ.), ბუყ'ნე́ჯი (IIIკლ.) "დაითვლის" - პირობ.-შედეგ. ყ'უნნე́ჯჷ-დი, ბუყ'ნე́ჯჷ-დი "დაითვლიდა", მყოფ. წენნეჯი//წჷნნე́ჯი "გაცრის" - პირობ.-შედეგ. წჷნნე́ჯჷ-დი "გაცრიდა"...

საილუსტრაციო მაგალითები

ზარი ხ'ო'ნ **ბაცუჯიდი**, უნ ბოლ'ონჭიმ "მე ძროხას **მოვწველიდი**, შენ რომ მოგეცა (ძროხა.)";

დიჲამუ **მხჷთხე́ჯჷდი** თაბჷრზან, ითხუთქინი არსი "მამა **იყიდდა** ცულს, ფული რომ ჰქონოდა";

დაჯხალი დიქინი (//დიმჭი), **ორქიჯიდი** ზარი ჲარ ლ́ო... "რომ წამომყოლოდა, **შევირთავდი** (ზედმიწ. "მოვიყვანდი") მე ამ ქალიშვილს..."

ვის უშთხუ დო'ზუ ევდითხუქინი, უმმუ თოემუს კოს **ლ'ოჯიდი** "ჩემი ძმა დიდი რომ ყოფილიყო, მამა მას დანას **მისცემდა**".[1]

შენიშვნა. მყოფადისგანაა ნაწარმოები აგრეთვე მყოფადის მიმღეობა (იხ. ზემოთ).

9) **პირობით-ნატვრითი** გამოხატავს **სასურველ პირობას**. ის იწარმოება ნამყო დროის მიმღეობისაგან

---

1 ყ. **მიქაილოვი**, დასახ.ნაშრ., გვ.136.

-ქინი//-ქჷნი სუფიქსის დართვით.[1] ა.დირი მას "პირობით პირველს" უძა-ხის[2], ყ.მიქაილოვი - "პირობით კილოს".[3]

პირველი უღვლილების ზმნები

მიმღ.ნამ. ვარჰუთბუ (Iკლ.) - პირობ.-ნატვრ. ვარჰუთბუ-ქინი "რომ ეფიქრა", მიმღ.ნამ. ასსუთბუთ (IVკლ.) - პირობ.-ნატვრ. ასსუთბუთ-ქი-ნი "რომ ეკანკალა", მიმღ.ნამ. არსუთბურ (IIკლ.) - პირობ.ნატვრ. არს-უთბურ-ქჷნი "რომ წაელო", მიმღ.ნამ. ასუთბუთ (IVკლ.) - პირობ.-ნატვრ. ასუთბუთ-ქინი "რომ ჩაეცვა", მიმღ.ნამ. აბტუთბუბ (IIIკლ.) - პირობ.-ნატვრ. აბტუთბუბ-ქინი "რომ გაეჭრა", მიმღ.ნამ. ვაქბუთბუ (Iკლ.) - პირობ.-ნატვრ. ვაქბუთბუ-ქინი "რომ დაენახა", მიმღ.ნამ. დაყურთბურ (IIკლ.) - პირობ.-ნატვრ. დაყურთბურ-ქინი "რომ დაეტოვებინა", მიმღ. ნამ. ახბუთბუთ (IVკლ.) - პირობ.-ნატვრ. ახბუთბუთ-ქინი "რომ შეელესა", მიმღ.ნამ. ლ'ოთბუთ (IVკლ.) - პირობ.-ნატვრ. ლ'ოთბუთ-ქინი "რომ მიე-ცა", ნამ.მიმღ. ბო'რჩუთბუბ (IIIკლ.) - პირობ.-ნატვრ. ბო'რჩუთბუბ-ქი-ნი "რომ გაკივებულიყო"...

უნ ჲამუთ არი ო ვ თბ უ თ ქ ი ნ ი, მუში ეთბჷჰიში ედი "შენ ეს საქმე რ ო მ გ ა გ ე კ ე თ ე ბ ი ნ ა, კარგი იქნებოდა"...

მეორე უღვლილების ზმნები

მიმ.-ნამ. ვაქდითბუ (Iკლ.) - პირობ.-ნატვრ. ვაქდითბუ-ქინი "რომ წასულიყო", მიმღ.ნამ. დაბხდითბუბ (IIIკლ.) - პირობ.-ნატვრ. დაბხდითბ-უბ-ქინი "რომ დაერტყა"..., მიმღ.ნამ. სეთბეთბუთ (IIIკლ.) - პირობ.-ნატვრ. სჷთბეთბუთ-ქინი "რომ მოეხარშა", მიმღ.ნამ. ყურეთბუთ (IVკლ.) - პირობ.-ნატვრ. ყურეთბუთ-ქინი "რომ გაეშრო", "რომ გამშრალიყო", მიმღ.ნამ. ჩერეთბუთ (IVკლ.) - პირობ.ნატვრ. ჩჷრეთბუთ-ქინი "რომ გამო-ეცხო", "რომ შეეწვა"...

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.67.

2 იქვე.

3 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.136, § 92.

მიმღ.ნამ. ასნითხუთ (IVკლ.) – პირობ.-ნაცვრ. ასნლთხუთ-ქინი "რომ აენონა", მიმღ.ნამ. ებხნითხუბ (IIIკლ.) – პირობ.ნაცვრ. ებხნლთხლბ-ქინი "რომ დაეკიდებინა", მიმღ.ნამ. დულ'ნე-თხურ (IIკლ.) – პირობ.-ნაცვრ. დულ'ნეთხურ-ქლნი "რომ გაქცეულიყო", მიმღ.ნამ. ქუნნეთხუთ (IVკლ.), ბუქნეთხუბ (IIIკლ.) – პირობ.-ნაცვრ. ქუნნეთხუთ-ქინი, ბუქნეთხლბ-ქინი "რომ შეეჭამა", მიმღ.ნამ. ყ'უნეთხუთ (IVკლ.) – პირობ.-ნაცვრ. ყ'უნეთხუთ-ქინი "რომ დაეთვალა", მიმღ.ნამ. შხენეთხუთ (IVკლ.) – პირობ.-ნაცვრ. შხლნეთხუთ-ქლნი "რომ მოეზილა"...

10) -ში სუფიქსიანი ზმნური ფორმები.

-ში სუფიქსი, როგორც ზემოთაცაა აღნიშნული, გვხვდება სახელებში, ზმნისართებსა და ზმნებში. სახელებსა და ზმნისართებში მისი გამოყენების შესახებ უკვე ითქვა. მოკლედ უნდა შევჩერდეთ -ში სუფიქსიან ზმნურ ფორმებზედაც.

სუფიქსი -ში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, დაერთვის ანმყო ზოგადისა და მყოფადის ფორმებს და აწარმოებს მათგან ანმყოსა და მყოფადის აბსოლუტივებს.[1] მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უფრო ზუსტი იქნებოდა გველაპარაკა არა ანმყოსა და მყოფადის აბსოლუტივებზე, არამედ -ში სუფიქსიან ზმნურ ფორმებზე, რომლებიც დამოუკიდებლად, უმთავრესად, აბსოლუტივის ფუნქციას ასრულებენ, აღწერით ფორმებში კი იმ მნიშვნელობით გვევლინებიან, რაც ძირითადია სახელებისათვის, სახელდობრ, გარდაქცევითობა; შდრ., მაგ.: მუ-ში "კარგად", ხალ-ში "ცუდად", ლ'ბონნოლ-ში "ცოლად", ფირსიდათილ-ში "თავმჯდომარედ", არტურ-ში ი "ჭრად არის", "ჭრის", დლცარ-ში დი "ქებად არის","აქებს"..

-ში გვხვდება უარყოფით ფორმებშიც: ბ ე ნ ო̄ ტ ი - შ ი (← ბე-ნო̄ტუში; შდრ. ბენო̄ტუ "ვერ შეძლებს"); ბ ე ნ ო̄ ტ ი შ ი ქვეს,დაქეს

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.74-75; С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, გვ.83; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.121-122.

"შეუძლოდ (ავად) გახდომა", ბ ე ნ რ̄ ტ ი შ ი ვი, დი... "შეუძლოდ (ავად) არის"... აყ'რ̄ტი-ში (← *აყ'რ̄ტუ-ში; შდრ. აყ'რ̄ტუ "არ დატო-ვებს"): თომმი ჰუნუ ა ყ' რ̄ ტ ი შ ი (= აყ'რ̄ტიში ი) "მას განზრა-ხული აქვს არაფერი (ზედმიწ. "რამეც") არ დატოვოს"...

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ იმ მჭიდრო კავშირზე, რომე-ლიც ხუნძურში ნამყოს აბსოლუტივისა და ზემოთ ხსენებული გარდაქცევი-თის მსგავს ფორმებს შორის არსებობს.[1] ანალოგიური კავშირი სახელისა და ზმნის ფორმათა შორის -ში ფორმანტის სახით, როგორც ვხედავთ, არ-ჩიბულშიც უნდა დასტურდებოდეს.[2]

14. უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ფ ო რ მ ე ბ ი. ზმნის უარყოფით ფორმა-თა საწარმოებლად არჩიბულში გამოყენებულია სუფიქსი: -დაგი[3]//-დიგი და მისი ვარიანტები — -დლგი, -დ-გი, -აგი, -იგი, -გი[4], და -ტ-თანხმოვნის შემცველი ფორმანტები: -ტუ(-ტუ-)[5], -ტა, -ტო-, -ტი-.

-დაგი//-დიგი..., -გი უარყოფით ბრძანებითს აწარმოებს[6], ტ- თან-ხმოვნიანი ფორმანტები, რომლებიც აგრეთვე ერთი აფიქსის ფონეტიკური ვარიანტებია, - დანარჩენ უარყოფით ფორმებს.[7]

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი იწარმოება აწმყო ზო-გადისაგან. დღეს ჩვეულებრივ გვხვდება -დიგი და -გი მაწარმოებლები. დანარჩენები კანტი-კუნტად ისმის.

---

1 პ. უ ს ლ ა რ ი, ლაკური ენა, დამატება, გვ.29; არნ. ჩ ი ქ ო-ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.166-167.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.92, შენიშვნა 1.

3 იქვე, გვ. 82-86.

4 ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.622; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო-ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.138.

5 ა. დ ი რ ი, დასახ.ნაშრ., გვ.82; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, და-სახ.ნაშრ., გვ.622; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.138.

6 ა. დ ი რ ი, იქვე, გვ.83; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, იქვე, გვ. 622; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, იქვე, გვ.138.

7 ა. დ ი რ ი, იქვე, გვ.83; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, იქვე, გვ.622; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, იქვე, გვ.138.

აწმყო ზოგადი დადებითი → ბრძანებითი (II პ.) უარყოფითი

ლ'ორ (IVკლ.) "აძლევს" - ლ'ორ-დიგი! "არ მისცე!" მბურ (IVკლ.) "ყიდულობს" - მბურ-დიგი! "არ იყიდო!" ერცარ (IVკლ.) "ასხამს" - ერცარ-დიგი! "არ დაასხა!" არტურ (IVკლ.) "ჭრის" - არტურ-დიგი! "არ მოჭრა"! არჩარ (IVკლ.) "კლავს" - არჩარ-დიგი! "არ მოკლა!" არ (IVკლ.) "აკეთებს" - არ-დიგი! "არ გააკეთო!" ბასალ//ბასარ (III კლ.) "ხარშავს" - ბასალ-გი//ბასარ-გი! "არ მოხარშო!" დღჭურ (IIკლ.) "შედის" - დღჭურ-დიგი! "არ შეხვიდე!" ყვარ (IVკლ.) "აშრობს" - ყვარიგი! "არ გააშრო!" ჩარ (IVკლ.) "აცხობს" - ჩარ-დიგი//ჩარიგი! "არ გამოაცხო!" ართირ (IVკლ.) "უშვებს" - ართირ-დიგი//ართირ-გი! "არ გაუშვა!" დარქირ (IIკლ.) "მიდის" - დარქირ-დიგი//დარქირ-გი! "არ წახვიდე!" ერტინ (IVკლ.) "აბამს" - ერტინ-დიგი! "არ დააბა!" ორლ'ინ (IVკლ.) "კითხულობს"... - ორლ'ინ-დიგი! "არ წაიკითხო!" ქვან (IVკლ.) "ჭამს" - ქვან-დიგი! "არ ჭამო!"...

ტ- თანხმოვნიანი ფორმანტი -ტუ, რომელიც გვხვდება როგორც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ისე სხვა აფიქსების წინ, დაერთვის ნამყო ძირითადისა და აწმყოს დადებით ფორმებს და მათგან აწარმოებს შესაბამის უარყოფით ერთეულებს - ნამყო უარყოფითსა და აწმყო უარყოფითს:

ნამყო დადებითი → ნამყო უარყოფითი

ბეწუ "შეძლო" - ბეწუ-ტუ -"ვერ შეძლო", ართბი (IVკლ.) "გაუშვა" - ართბი-ტუ "არ გაუშვა", ოჯბა (IVკლ.) "წავიდა" - ოჯბა-ტუ "არ წავიდა", ლ'ო (IVკლ.) "მისცა" - ლ'ო-ტუ "არ მისცა", აკ (IVკლ.) "გააკეთა" - აკტუ "არ გააკეთა", ატუ (IVკლ.) "გაჭრა" - ატუ-ტუ "არ გაჭრა", დაჯბა (IIკლ.) "მოვიდა" - დაჯბა-ტუ "არ მოვიდა", ბუქნე (III კლ.) "შეჭამა" - ბუქნე-ტუ "არ შეჭამა"...

აწმყო დადებითი → აწმყო უარყოფითი

ვი (Iკლ.) "არის" - ვი-ტუ "არ არის", ბერწირ "შეუძლია" - ბერწირ-ტუ "არ შეუძლია", ბართირ (IIIკლ.) "ვუშვებთ" - ბართირ-ტუ "არ

ეუშვებთ", ცარ (IVკლ.) "აქებს" - ცარ-ტუ "არ აქებს", კხან (IVკლ.) "სურს" - კხან-ტუ "არ სურს", ბორლ'ინ (IIIკლ.) "გამოდის" - ბორლ'-ინ-ტუ "არ გამოდის", არ (IVკლ.) "აკეთებს" - არ-ტუ "არ აკეთებს", არლ'ირ (IVკლ.) "მოდის" - არლ'ირ-ტუ "არ მოდის", ორჯხირ (IVკლ.) "მიდის" - ორჯხირ-ტუ "არ მიდის", სინ ქერ (IVკლ.) "იცის", სინ ქერ-ტუ "არ იცის", ქვან (IVკლ.) "ჭამს" - ქვან-ტუ "არ ჭამს", არტურ (IV კლ.) "ჭრის" - არტურ-ტუ "არ ჭრის", ლ'ორ (IVკლ.) "აძლევს" - ლ'ორ-ტუ "არ აძლევს"...

საილუსტრაციო მაგალითები

მახა მაცუმაჰ,ჰოჰოლ ბ ა ხხ ა რ ტ უ "ქერი თუ დათესე, პური ა რ გ ა ი ზ რ დ ე ბ ა";

დუნილითხიქ სოვქხართხუმუნ უხ ხხ ა რ ტ უ "ცისკენ მაცქერალის ყანა ა რ ი ზ რ დ ე ბ ა";

მუთხუთ მამურჩილით უხ ა რ ც ი რ ტ უ "ლამაზ სახეზე ყანას ვ ე რ დ ა თ ე ს ა ვ";

ეხუთხუთ ლ'ხან ერხ'ას ქ ე რ ტ უ "დაღვრილი წყალი ვ ე რ ა ი კ რ ი ფ ე ბ ა";

ოს ჭელელინ ნიკხ ქ ე რ ტ უ, ოს ჰვატილინ ბაღ ბ ე ქ ე რ ტ უ "ერთი ქვისაგან სახლი ა რ ა შ ე ნ დ ე ბ ა (ზედმიწ. ა რ ი ქ ნ ე ბ ა), ერთი ხისაგან ბაღი ა რ გ ა შ ე ნ დ ე ბ ა (ზედმიწ. ა რ ი ქ ნ ე ბ ა)"...

უარყოფითი ნამყოსა და უარყოფითი აწმყოს წარმოება შესაბამისი დადებითი ნაკვთებისაგან, როგორც ვხედავთ, სავსებით ნათელია; რაიმე ცვლილებები არც სუფიქსში და არც ფუძედ გამოყენებულ ნამყოსა და აწმყოს ფორმებში არ ხდება. სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ უარყოფითი მყოფადის წარმოებისას. აქ დ ღ ე ს ამოსავალი ფუძის საკითხი სრულიადაც არ არის "სავსებით ნათელი". მას, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია. საქმე ისაა, რომ

ა.დირს თავის შრომაში არჩიბულის შესახებ აღნიშნული აქვს: მყოფადის საწარმოებელი სუფიქსი -ჯი უარყოფით ფორმებში იცვლება -და ელემენტით; ასე რომ, უარყოფითობის -ტუ-სთან ერთად ვიღებთ -დატუ-სი.[1] ამავე დროს ა.დირი იმავე გვერდზე შენიშნავს - იხმარება აგრეთვე მხოლოდ -ტუ-.[2] -დატუ ელემენტიანი უარყოფითი მყოფადის ფორმები ჩვენ ვერ დავადასტურეთ. რაც შეეხება მხოლოდ -ტუ სუფიქსიან უარყოფითი მყოფადის ფორმებს, ისინი დღევანდელი არჩიბულისათვის ბუნებრივია; უფრო ზუსტად, არჩიბულში დღეს დასტურდება უარყოფითი მყოფადის ისეთი ფორმები, სადაც უარყოფითობის -ტუ ფორმანტის წინ მდგომი ფუძისეული (უპრ. სუფიქსისეული) ხმოვანი ყოველთვის გრძელია (ო̄, ა̄, ე̄, უ̄); და არა მარტო გრძელია, ზოგჯერ ის კანონზომიერად შეცვლილია სხვა ხმოვნით (უ ო̄-თი -გარკვეულ შემთხვევებში, ი ა̄-თი - ყოველთვის).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. -ტუ-ს წინ გრძელი უ̄-ს (და არა გრძელი ო̄-ს) სახით წარმოდგენილია მხოლოდ მეორეული წარმომობის უ (← ვუ̄; ო̄ვ).

აკო̄-ტუ (IVკლ.) "არ მოკვდება" (შდრ. აკუჯი "მოკვდება"), ბუკ°უ̄-ტუ (IIIკლ.) "არ დაკლავს" (შდრ. ბუკ°უჯი "დაკლავს"), ჰე̄-ტუ (IVკლ.) "არ მოვა" (შდრ. ჰე-ჯი "მოვა"), შვა̄-ტუ (Iკლ.) "არ გაიქცევა"(შდრ. შვაჯი "გაიქცევა"), ბესთხე̄-ტუ (IIIკლ.) "არ მოხარშავს" (შდრ. ბესთხეჯი "მოხარშავს"), ათხა̄-ტუ (IVკლ.) "არ გაუშვებს" (შდრ. ათხიჯი "გაუშვებს"), ბუქნე̄-ტუ (IIIკლ.) "არ შეჭამს" (შდრ. ბუქნეჯი "შეჭამს"), ეწნა̄-ტუ (IVკლ.) "არ დააბამს" (შდრ. ეწნიჯი "დააბამს") და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, ამოსავლად ასეთ ფორმებს ჰქონდა ა.დირის მიერ ფიქსირებული -და ელემენტიანი უარყოფითი მყოფადი (ბოლატუ "არ იტყვის", ქუნნელატუ "არ შეჭამს"), ცვლილებები, რომლებიც განუცდია ფუ-

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.83.
2 იქვე, გვ.83, შენიშვნა 1.

ძირეული ხმოვნებს (ე → ე̄, ა → ა̄, ო → ო̄, უ → უ̄, ი → ა̄, უ → ო̄), ამ ელემენტის გაუჩინარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული (ბო̄ტუ ← ბოღა-ტუ "არ იტყვის", ქუნნე̄ტუ ← ქუნნელატუ "არ მეჭამს").

ამ ძირითადი უარყოფითი ერთეულებისაგან – პირდაპირ ან მეშვეობით – იწარმოება დანარჩენი უარყოფითი ფორმები; მაგ.: მიმღეობა (ნამყოს, აწმყოს, მყოფადის), პირობითი (ნამყო, აწმყო), დათმობითი, პირობით-–ნატვრითი, პირობით-შედეგობითი და სხვ.; შდრ.:

ნამ.უარყ. ეტნი-ტუ "არ შემოირტყა" – მიმღ.ნამ.უარყ. ეტნიტუთხუთ...

აწმ.უარყ. ვარჰურ-ტუ "არ ფიქრობს"... – მიმღ.აწმ.უარყ. ვარჰურ-ტუ-თხუ...

აწმ.უარყ. ი-ტუ "არ არის" – მიმღ.აწმ.უარყ. ი́ტი-თხუთ (← *იტუ-თხუთ)...

მყოფ.უარყ. აქა̄-ტუ "არ წაიყვანს" – მიმღ.მყოფ.უარყ. აქა̄ტუ-თხუთ.

ნამყ.უარყ. ოლ'ნი-ტუ "არ წაიკითხა" – პირობ.ნამ.უარყ. ოლ'ნი-ტონჭიშ (← *ოლ'ნიტუ-ენჭიშ)...

აწმ.უარყ. არხარ-ტუ "არ წვება" – პირობ.აწმ.უარყ. არხარტონჭიშ (← *არხარტუ-ენჭიშ)...

ნამ.უარყ. ატუ-ტუ "არ გაჭრა" – დათმობ.უარყ. ატუტუ-შავ...

აწმ.უარყ. ი-ტუ "არ არის" – დათმ.უარყ. იტა-შავ (← *იტუ-შავ)...

ნამ.უარყ. ატუტუ "არ გაჭრა" – მიმღ.ნამ.უარყ. ატუტუ-თხუთ – პირობ.-ნატვრ.უარყ. ატუტუთხუთ-ქინი...

მყოფ.უარყ. ატო̄ტუ (← *ატუღატუ) "არ გაჭრის" – პირობ.-შედეგ.უარყ. ატო̄ტიდი (← *ატო̄ტუდი)...

ნამ. უარყ. ბოტუ "არ თქვა" – ბოტორ (← *ბოტუ-ერ) "არ თქვაო"; მყოფ.უარყ. ბო̄ტუ "არ იტყვის" – ბო̄ტორ (← *ბოტუ-ერ) "არ იტყვისო"; აწმ.უარყ. ი-ტუ "არ არის" – იტორ (← *იტუ-ერ) "არ არისო"...

15. ზ მ ნ ი ს კ ი თ ხ ვ ი თ ი ფ ო რ მ ე ბ ი. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ არჩიბულში კითხვითი ფორმები იწარმოება დადებითი ფორმებისაგან -რა კითხვითი ნაწილაკის მეშვეო-

ბით.[1] კითხვითი ფორმების წარმოებისას ზოგიერთ ნაკვთში, მაგ.: ნამ. თურმეობითში, ანმყო ზოგადში... ხდება ცვლილებები[1]:

ნამ.ძირ. დარჭუ-რა (IIკლ.) "იფიქრა?" მყოფ. დარჭუჰი-რა, თურმ. დარჭულ-ლა (← *დარჭული-რა), ანმ.ზ. დარჭურა (← *დარჭურ-რა);

ნამ.ძ. ონუ-რა (IVკლ.) "გარეცხა?" მყოფ. ონუჰი-რა, თურმ. ონულ-ლა (← *ონული-რა), ანმ.ზ. ორნურა (← *ორნურ-რა);

ნამ.ძ. ელʻბუ-რა (IVკლ.) "დადო?" მყოფ. ელʻბუჰი-რა, თურმ.ელʻბულ-ლა (← *ელʻბული-რა), ანმ.ზ. ერლʻბარა (← *ერლʻბარ-რა);

ნამ.ძ. ლʼო-რა (IVკლ.) "მისცა?" მყოფ. ლʼოჰი-რა, თურმ. ლʼოლ-ლა (← *ლʼოლი-რა), ანმ.ზ. ლʼორა (← *ლʼორ-რა);

ნამ.ძ. ოქა-რა (IVკლ.) "წაიღო?" მყოფ. ოქაჰი-რა, თურმ. ოქალ-ლა (← *ოქალი-რა), ანმ.ზ. ორქირა (← *ორქირ-რა);

ნამ.ძ. ბესთბე-რა (IVკლ.) "მოხარშა?" მყოფ. ბესთბეჰი-რა, თურმ. ბესთბელ-ლა (← *ბესთბელი-რა), ანმ.ზ. ბასარა (← *ბასარ-რა);

ნამ.ძ. შბეთბე-რა (IVკლ.) "იყიდა?" მყოფ. შბეთბეჰი-რა, თურმ. შბეთბელ-ლა (← *შბეთბელი-რა), ანმ.ზ. შბურა (← *შბურ-რა);

ნამ.ძ. ჩერე-რა (IVკლ.) "გამოაცხო?", "შეწვა?" მყოფ. ჩერეჰი-რა, თურმ. ჩერელ-ლა (← *ჩერელი-რა), ანმ.ზ. ჩარა (← *ჩარ-რა);

ნამ.ძ. ბუხლე-რა "დაიხოცა?" ბუხლეჰი-რა, თურმ.ბუხლელ-ლა (← *ბუხლელი-რა), ანმ.ზ. ბუხალ-ლა (← *ბუხალ-რა);

ნამ.ძ. ათბი-რა (IVკლ.) "გაუშვა? " მყოფ. ათბიჰი-რა, თურმ.ათბილ-ლა (← *ათბილი-რა), ანმ.ზ. ართირა (← *ართირ-რა);

ნამ.ძ. ვაქდი-რა (Iკლ.) "წავიდა?" მყოფ. ვაქდიჰი-რა, თურმ.ვაქდილ-ლა (← *ვაქდილი-რა), ანმ.ზ. ვარქირა (← *ვარქირ-რა);

ნამ.ძ. ქუნნე-რა (IVკლ.) "შეჭამა?" მყოფ. ქუნნეჰი-რა, თურმ. ქუნნელ-ლა (← *ქუნნელი-რა), ანმ.ზ. ქვანა (← *ქვან-რა);

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.81–82; С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола, გვ.73..., მ ი ს ი ვ ე, არჩ. ენა, გვ.622; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.138.

ნამ.ძ. ყ'უნნე́-რა (IVკლ.) "დაითვალა?" მყოფ. ყ'უნნე́ჰი-რა, თურმ. ყ'უნნელ-ლა (← *ყ'უნნე́ლი-რა), აწმ.ზ. ყ'ვემყინა (← *ყ'ვემყინრა);

ნამ.ძ. შბე́ნნე-რა "მოზილა?" მყოფ. შბე́ნნეჰი-რა, თურმ. შბე́ნნელ-ლა (← *შბე'ნნელი-რა), აწმ.ზ. შბე'მშბინა (← *შბე'მშბინ-რა);

ნამ.ძ. წენნე-რა "გაცრა?" მყოფ. წენნეჰი-რა, თურმ. წენნელ-ლა, (← *წენნელი-რა), თურმ. წენნელ-ლა (← *წენნელი-რა), აწმ.ზ.წემწინა (← *წემწინ-რა);

ნამ.ძ. ა́სნი-რა (IVკლ.) "აწონა?"... მყოფ. ა́სნიჰი-რა, თურმ. ა́სნილ-ლა (← *ა́სნილი-რა), აწმ.ზ. არსინ-ნა (← *არსინ-რა);

ნამ.ძ. ოლ'ნი-რა (IVკლ.) "წაიკითხა?" მყოფ. ოლ'ნიჰი-რა, თურმ. ოლ'ნილ-ლა (← *ოლ'ნილი-რა), აწმ.ზ. ორლ'ინა (← *ორლ'ინ-რა)...

საილუსტრაციო მაგალითები

ვიშ ჭილ ყ უ რ ე რ ა? "თქვენი თივა გ ა შ რ ა?"

ბიდო, დუხვათბაშ კუნ ოხბჳრა? "ბიდო, წისქვილიდან საფქვავი წ ა მ ო ი ღ ე?"

ჯვენ ქუმმულ ქ უ ნ ნ ე რ ა? "თქვენ საჭმელი ჭ ა მ ე თ?"

-დალ'ბი ე ვ თბ ი რ ა? - ევთბი. "- ც ე მ ე? - ვცემე" (ზედმიწ. "დარტყმა ყავი? - ვყავი");

-ბათბეშის ივრა? - ავ. "შეასრულე? - შევასრულე" (ზედმიწ. "შესრულება გააკეთე? - გავაკეთე");

არჩიბულს, როგორც ა.დირს აქვს აღნიშნული, მოეპოვება კითხვით-უარყოფითი ფორმებიც[1], უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა – უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნ ა კ ვ თ ე ბ ი ს კ ი თ ხ ვ ი თ ი ფ ო რ მ ე ბ ი. როგორც დადებით ნაკვთაგან იწარმოება შესაბამის ერთეულთა კითხვითი ფორმები, ასევე ზმნის უარყოფით ფორმებისაგან იმავე -რა სუფიქსის დართვით შეიძლება იწარმოოს უარყოფითი ნაკვთების კითხვითი ფორმები:

---

1 ა. დ ი რ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 86-87.

ნამ.ძ.დარჰუტა-რა// ← დარჰუტუ-რა (IIკლ.) "არ იფიქრა?" მყოფ. დარჰო̄ტა-რა (← დარჰო̄ტუ-რა), აწმ.ზ.იარჰურტუ-რა;

ნამ.ძ. ოწუტა-რა (← ოწუტუ-რა) "არ გარეცხა?" მყოფ. ოწო̄ტარა (← ოწო̄ტუ-რა), აწმ.ზ. ორწურტუ-რა (IVკლ.);

ნამ.ძ. ელ'ბუტა-რა (← ელ'ბუტუ-რა) "არ დადო?" მყოფ. ელ'ბო̄ტა-რა (← ელ'ბო̄ტუ-რა), აწმ.ზ. ერლ'ბარტა-რა (IVკლ.);

ნამ.ძ. ლ'ოტა-რა (IVკლ.) "არ მისცა?" მყოფ. ლ'ო̄ტა-რა, აწმ.ზ. ლ'ორტა-რა;

ნამ.ძ. ოქატა-რა (IVკლ.) "არ წაიღო?" მყოფ. აქა̄ტა-რა (sic) აწმ.ზ. ორქირტა-რა;

ნამ.ძ. ბესთბეტა-რა// ← ბესთბეტუ-რა (IIIკლ.) "არ მოხარშა?" მყოფ. ბესთბე̄ტა-რა, აწმ.ზ. ბასარტა-რა;

ნამ.ძ. მბეთბეტა-რა (IVკლ.) "არ იყიდა?" მყოფ. მბეთბე̄ტა-რა, აწმ.ზ. მბურტუ-რა;

ნამ.ძ. ჭუთბეტა-რა (Iკლ.) "არ შევიდა?" მყოფ. ჭუთბე̄ტა-რა, აწმ.ზ. ჭურტუ-რა;

ნამ.ძ. ჩერეტა-რა (IVკლ.) "არ.გამოაცხო?" მყოფ. ჩერე̄ტა-რა, აწმ.ზ. ჩარტა-რა;

ნამ.ძ. ბუხლეტა-რა "არ დაიხოცა?"... მყოფ. ბუხლე̄ტი-რა (← ბუხლე̄ტურა), აწმ.ზ. ბუხალტუ-რა;

ნამ.ძ. ათბიტა-რა (IVკლ.) "არ გაუშვა?" მყოფ. ათბა̄ტა-რა, აწმ.ზ. ართბირტა-რა// ← ართბირტუ-რა;

ნამ.ძ. ვაქდიტა-რა (Iკლ.) "არ წავიდა?" მყოფ. ვაქდა̄ტა-რა, აწმ.ზ. ვარქირტა-რა;

ნამ.ძ. დახდიტი-რა (← დახდიტუ-რა) "არ დაარტყა?" მყოფ.დახდა̄ტა-რა, აწმ.ზ. დარხირტა-რა (IVკლ.);

ნამ.ძ. ქუნნეტა-რა (← ქუნნეტუ-რა) "არ შეჭამა?" მყოფ.ქუნნე̄ტა-რა, აწმ.ზ. ქვანტა-რა (IVკლ.);

ნამ.ძ. ყ'უნნეტა-რა (IVკლ.) "არ დაიმალა?" მყოფ. ყ'უნნე̄ტა-რა, აწმ.ზ. ყ'ვემყინტა-რა;

ნამ.ძ. მხე'ნნეცა-რა "არ მოზილა?" მყოფ. მხე'ნნე̄ცა-რა, აწმ.
ზ. მხე'მმხინცა-რა;

ნამ.ძ. წენნეცა-რა "არ გაცრა?" მყოფ. წენნე̄ცა-რა, აწმ.ზ.
წემწ̄ინცა-რა;

ნამ.ძ. ა́სნიცა-რა (IVკლ.) "არ აწონა?" მყოფ. ა́სნა̄ცა-რა, აწმ.
ზ. ა́რსინცი-რა (← ა́რსინცუ-რა);

ნამ.ძ. ო́ლ'ნიცა-რა (IVკლ.) "არ წაიკითხა?" მყოფ. ო́ლ'ნა̄ცა-რა,
აწმ.ზ. ორლ'ინცა-რა...

16. ა ღ წ ე რ ი თ ი (ა ნ ა ლ ი ზ უ რ ი) ფ ო რ მ ე ბ ი.[1]

ზმნის აღწერით ფორმებს ვიღებთ ძირითადი (საუღვლებელი) და მეშვე-ლი ზმნების შეხამებით. ქვემოთ განხილული იქნება: მხოლოდ ეყის (IVკლ.) "ყოფნა" მეშველზმნიანი აღწერითი ფორმები.

ძირითადი (საუღვლებელი) ზმნა აღწერითი წარმოებისას უმთავრესად სამი სახითაა წარმოდგენილი: -ში სუფიქსიანი აწმყო ზოგადის ფორმით, -ში სუფიქსდართული მყოფადის ფორმით და ნამ.ძირითადის თურმეობითის სახით. აღწერით ფორმებში მეშველი ზმნა გვხვდება აწმყოს, ნამყოს და თურმეობითის სახით. აქ ის დამოუკიდებლობას მოკლებულია და დროის ფორმანტის როლში გვევლინება.[2] რაც შეეხება ძირითადი ზმნის შესაბა-მის ფორმებს, ისინი ზმნის მოდალურ მნიშვნელობებს გამოხატავენ, კერ-ძოდ, უსრული ასპექტი და დინამიკურობა -ში სუფიქსდართული აწმყო ზო-გადით გადმოიცემა, სრული ასპექტი და სტატიკურობა – ნამ.ძირითადის თურმეობითით, რაიმე მოქმედების შესრულების განზრახვა – -ში სუფიქსი-ანი მყოფადის ფორმით და სხვ.

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.79-81; **С. Хайдаков, О спряжении арчинского глагола,** გვ.83-86; მ ი ს ი ე ვ ე, არჩ. ენა, გვ.621; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.123...

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.328; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.262-263.

აღწერითი წარმოებისას ძირითადსა და მეშველ ზმნაში ერთი და იგივე სახელის კლასი აღინიშნება - ან მხოლოდ რეალური სუბიექტისა (გარდაუვალ ზმნებში), ან მხოლოდ რეალური ობიექტისა (გარდამავალ ზმნებში); უფრო ზუსტად, მეშველი ზმნა იმავე სახელის კლასს გამოხატავს, რასაც ძირითადი ზმნა. სხვა მდგომარეობაა შედგენილ შემასმენელში.[1] აქ მეშველი ზმნა ძირითადი ზმნისაგან არ არის დამოკიდებული, რაც კარგად ჩანს გარდამავალ ზმნებში, სადაც ორი სხვადასხვა სახელის კლასია აღნიშნული: რეალური სუბიექტისა - მეშველ ზმნაში, რეალური ობიექტისა - ძირითად ზმნაში.

1) ა ნ მ ყ ო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი.[2] აღწერით ფორმას, რომელიც იწარმოება ძირითადი ზმნის -ში სუფიქსიანი ანმყო ზოგადის ფორმასთან მეშველი ზმნის ანმყოს ფორმის (ვი, დი, ბი, ი - "არის") შეხამებით, აქვს ანმყო კონკრეტულის მნიშვნელობა: არტურში ი (IVკლ.) "ყრის", ბ-აცარში ბ-ი (IIIკლ.) "აქებს", დ-არში დ-ი (IIკლ.) "შობს", ვ-ეჰიში ვ-ი (Iკლ.) "მორის"...

ზარი ქაღირა ლ ა ყ უ ბ ა რ შ ი ბ ი "მე წერილს ვამთავრებ";

თოთ ლ'ო ე' ნ ვ უ რ შ ი ი "ის ბავშვი ტირის";

დოშმი ნოკ̄ ე რ კ̄ უ რ შ ი ი "და თახს გვის";

ყვარბაკ̄ ბ ა რ თ ი რ შ ი ბ ი "სეტყვა მოდის" (ზედმიწ."უშვებს");

დო'ზბამუ აჰოდანის ქ ვ ა რ ბ ა რ ლ' ი რ შ ი ბ ი "დიდედა ნაბდის ჩექმას კემსავს";

ბუვამუ ლ'ო ... ჩ უ ჩ ო რ შ ი ვ ი "დედა ბიჭს... ბანს";

---

1 ამის თაობაზე იხ. **А.А. Б о к а р е в, Синтаксис аварского яз.**, გვ.112-128; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ- ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.328-335; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.262-263...

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.79-81; **С. Х а й д а к о в, О спряжении арчинского глагола**, გვ.84; მ ი ს ი ვ ე, არჩ.ენა, გვ.621; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.123; **А.Е. К и б р и к, Избранные главы арчинской грамматики в задачах, "Проблемы структурной лингвистики 1972", Москва, 1973**, გვ. 427.

ეზ ამკჰ ა რ ჩ ა რ შ ი ი "მე ოფლი მდის" (ზედმიწ."მცვივა");

ურილი ლ'ბან წ ა რ შ ი ი "კვიცი წყალს სვამს";

... უშუ ოკჰ ა რ შ ი ი "...ძმა უღელს აკეთებს";

ბლშორ ვ ა სხ ა რ შ ი ვ ი "კაცი ცახცახებს"...

აღსანიშნავია, რომ გვხვდება მაგალითები, სადაც აწმყო კონკრეტუ-ლის მნიშვნელობას გამოხატავს მარტო -ში სუფიქსიანი აწმყო ზოგადი - მეშველი ზმნის გარეშე: არტურში (//არტურში ი) "ჭრის", შურში (//შურ-ში ი) "ყიდულობს"...

ლ'ო ჯბერში (//ჯბერში ი) "ბავშვი ცეკვავს";
ხ'ელ ერხირში "წვიმა მოდის", "წვიმს";
ბუვამუ ჭილ" დ ა ჟ ა რ შ ი ყარუმლი (//ყარუმთბად) "დედა თივას თიბავს (ჭრის) ნამგლით";

უნ წ ი ხბ ი ქ ე რ შ ი ზონ ინსთითუთლაქ მუთბერარში "მენ მ ე კ ი თ ხ ე ბ ი მე ინსტიტუტში მიღების თაობაზე..."

2) ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი.[1] ძირითადი ზმნის -ში სუფიქსიანი აწმყო ზოგადისა და მეშველი ზმნის ნამყო ძირითადის (ევდი, ერდი, ებ-დი, ედი - "იყო") ფორმათა შეხამებით ვიღებთ აღწერით წარმოებას, რო-მელსაც ნამყო უსრულის მნიშვნელობა აქვს: არტურში ედი (IVკლ.) "ჭრი-და", ვარში ე-ვ-დი (Iკლ.) "ლაპარაკობდა", დ-არლ'ირში ე-რ-დი (IIკლ.) "მღეროდა", ბ-უმბურში ე-ბ-დი (IIIკლ.) "ყიდულობდა", არში ედი "აკე-თებდა" ვ-აქბურში ე-ღ-დი (Iკლ.) "ხედავდა", ში არში ედი "წერდა", ცა-ბ-ხარში ე-ბ-დი (IIIკლ.) "ესროდა"; "ეცემოდა"... სო-ვ-ქბირში ე-ღ-დი (Iკლ.) "უყურებდა"; "ელოდებოდა"...

ჭუვაღრადლი ღურღან ბ ა რ შ ი ე ბ დ ი "ჭუვაირადი საბანს კერავდა";

ვეზ ვირხმუს კჰ ა ნ შ ი ე დ ი "მე მუშაობა მსურდა";

ოს თიღფა იყ'ლთბიბ ჰოფიხამულ ავლაჰლით ქვერქბირში ედი "ერთი გროვა მშიერი ყვავები მინდორზე ტრიალებდა";

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 124-125.

ზუდუმუ დოლʻზუმ ბ ა რ შ ი ე ბ დ ი "ის ბოსელს აშენებდა";

დომში ჩვალი დაბხირში ებდი "და წივას აკრავდა" (ზედმიწ. "არ-ტყამდა");

ეჯში გერქბი ვარში ეჯი ქენავუ ლ́ო "დედა ურჩევდა თავის ბიჭს";

დეყʻლით უჩიცილი ლპრში ხʻორო-ხʻოროთხიზ ცეʻთხენ, ჰოთითხენ წი-ხხი ეთხი, ელ სიწცითხუთ ეთხემჭიშ, ქუცეჯცუ ვ ა რ შ ი ე დ ი "გზა-ზე მასწავლებელმა ჩვენ სხვადასხვა ყვავილების და ბალახების სახელე-ბი გვკითხა და, ჩვენ თუ არ ვიცოდით, თვითონ გვეუბნებოდა";

თორში კუნ ერკურში ედი "ის ხორბალს არკვევდა";

ბუვამუ სანდი ჭუთ დაბხირში ებდი "დედა გუშინ კარაქს დღვებდა" (ზედმიწ. "სადღვებელს აქნევდა");

დიჯამუ ბეჯლით აცუცავ წაჰხან ყანა-ყანაშ ერკუნა ა რ ც უ რ შ ი ე დ ი "მამამ შემა რიგზე არ მოჭრა რა, შიგადაშიგ გამორჩევით ჭრი-და"...

ნამყო უსრულის გაგება მარტო -ში სუფიქსიან აწმყო ზოგადისაც შე-იძლება ჰქონდეს - მეშველი ზმნის დაურთველად:

ხითხა ჯემიშშეს შუმეჯთხუმუ ხვალლი ბ ო ლ' ო რ შ ი, დუხეჯთხუმუ აʻნშ, ხერთ ლ' ო რ შ ი "შემდეგ ამათ იქით მიმავალი პურს აძლევდა, აქეთ მომავალი ვაშლსა და მსხალს ა ძ ლ ე ვ დ ა"...

3) ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი ს თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი. ნამყო უსრუ-ლის თურმეობითთან გვაქვს საქმე, როდესაც ძირითადი ზმნის -ში სუფი-ქსიან აწმყო ზოგადის ფორმასთან მეშველი ზმნა თურმეობითის ფორმითაა (ევდილი, ერდილი, ებდილი, ედილი - "ყოფილა") წარმოდგენილი: არცურში ედილი (IVკლ.) "ჭრიდა თურმე", არში ედილი "აკეთებდა თურმე", ვარში ე-ვ-დილი (Iკლ.) "ლაპარაკობდა თურმე", დართირში ე-რ-დილი (IIკლ.) "უშვებდა თურმე", დ-აქზურში ე-რ-დილი "ხედავდა თურმე", ცა-ბ-ხარში ე-ბ-დილი (IIIკლ.) "ესროდა თურმე", ბ-არცარში ე-ბ-დილი "წველიდა თურმე"...

ჯამურ ლაჰა ჯამუთ დეწ̂ჳ ჯარხულდუთ გვაჩილის ქ ა მ ა რ შ ი ე დ ი ლ ი, ჯარხულდუთ ჟესიჭუ ქ ვ ა ნ შ ი ე დ ი ლ ი "ეს გოგო ამ კვერს ნახევარს ძაღლს უ გ დ ე ბ დ ა თ უ რ მ ე, ნახევარს კი თვითონ ჭ ა მ დ ა თ უ რ მ ე";

ჯამუშ გვაჩილი კილეჯბუ ლათბირა ხათბაყმის გ ვ ა ბ ყ უ რ შ ი ე ბ დ ი ლ ი "ეს ძაღლი მთელ ნახირს საღამოსთვის თ ა ვ ს უ ყ უ რ ი- დ ა თ უ რ მ ე";

ჯემიშ ოსბ-ოსბ იჯნა ოსბ-ოსბ ჭაბეხურ ბ ო რ ჯ ა უ რ შ ი ე ბ- დ ი ლ ი "ესენი ცხვრებს თითო დღეს თითო-თითოდ დ ა ჰ ყ ვ ე ბ ო- დ ნ ე ნ თ უ რ მ ე";

ჯამურ ლო იჯღაჳ ლათბირეხურ ც ა დ დ ა რ შ ი ე რ დ ი ლ ი "ამ გოგოს ყოველ დღე ნახირში გ ზ ა ვ ნ ი დ ნ ე ნ თ უ რ მ ე";

ოსბ თაჯფა იყლთბიბ ჯეფიხʻამმულ (sic) ოვლაჯით ჯ ე ც ე რ შ ი ე დ ი ლ ი "ერთი გროვა მშიერი ყვავები მინდორზე წ რ ი ა ლ ე ბ- დ ა თ უ რ მ ე";

ჯამუ ბლმორ შვი ცუკას ჯბვეს კხ ი ნ ჭ ა რ შ ი ივდილი (//ევდი- ლი) "ამ კაცს ღამე გასვლა ეშინოდა თურმე"...

4) ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი (ა წ მ ყ ო შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი).

აღწერით ფორმას, რომელიც მიიღება ძირითადი ზმნის თურმეობითის ფორმასთან შეშველი ზმნის აწმყოს ფორმის (ი, ბი, დი, ვი – "არის") შეხამებით ნამყო სრულის (აწმყო შედეგობითის) მნიშვნელობა აქვს:[1] ა-ბ-ჭული ბ-ი (IIIკლ.) "გავსებული აქვს", "გაავსო" (ზედმიწ. "გა-უვსია-რა არის"); აწული ი (IVკლ.) "გაქრილი აქვს", "გაქრა" (ზედმიწ. "გაუქრია-რა არის"), ხოშილი ი "დაგლეჯილი აქვს", "დაგლიჯა" (ზედ-მიწ. "დაუგლეჯია-რა არის"), შბეთბელი ი "ნაყიდი აქვს", "იყიდა" (ზედ-მიწ. "უყიდია-რა არის"); ჯბ-ვ-ალი ვ-ი (Iკლ.) "მისული არის", "მი-ვიდა"(ზედმიწ. "მისულა-რა არის"); ორსთბილი დ-ი (IIკლ.) "დამდგარი

---

1 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.125, § 87.

არის", "დგას" (ზედმიწ. "დამდგარა-რა არის"), ო-ვ-ხული ვ-ი "დაწო-ლილი არის", "წევს" (ზედმიწ. "დაწოლილა-რა არის), ყო-ვ-დილი ვ-ი "დამხდარი არის", "ზის" (ზედმიწ. "დამხდარა-რა არის"), ე-ვ-ლʼული ვ-ი "გაღვიძებული არის", "ღვიძავს" (ზედმიწ. "გაუღვიძია-რა არის").

ჰარაქუო დ ა ხ ა ო ვ ლ ი ი "ფანჯარა გ ა ღ ე ბ უ ლ ი ა რ ი ს";

თოვ ყ ო ვ დ ი ლ ი ვ ი ვეზ ლʼხვაქ "ის ზ ი ს (დ ა მ ხ - დ ა რ ი ა) ჩემს ახლოს";

თევმულʼხუ ა ბ ხ უ ლ ი ბ ი ლʼობურ "მასთან ერთად წ ვ ა - ნ ა ნ (დაწოლილი არიან) ბავშვები";

მესერონუ ისუ ხʼოʼშონუმ ო წ უ ლ ი ი "მესერისა და ჩემი ბლუ-ზები გ ა რ ე ც ხ ი ლ ი ა";

ქამალთხინუ ზონუ ქოლხოზლინ უხაქ იჰხა. იმიქ ჰოჰოლ ბ ო ხ ო - ლ ი ბ ი "ჯემალი და მე კოლმეურნეობის ყანაში წავედით. იქ ხორბალი დ ა ვ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე თ" (ზედმიწ. "ვნახეთ");

შქოლაქ ჲაქ... ელʼხული ი დრʼზცბ ჲრმიმკმულ "სკოლაში შიგნით... დგას (ზედმიწ. "დადებულია") დიდი ყუთები";

ზონირუ ჰარჰა სხეჲრუ ყ.ა რ დ ი ლ ი დ ი "მე თვითონ სახურავ-ზე მარტო ვ ზ ი ვ ა რ";

გამუშ აცუთხუთ უხა ა ბ ხ უ ლ ი ბ ი "კამეჩი დათესილ ყანაში წევს"...

არჩიბულში დასტურდება მაგალითები, სადაც ნამყო სრულის (აწმყო შედეგობითის) გამოსახატავად გამოყენებულია მარტო -ლი სუფიქსიანი თურმეობითი – მეშველი ზმნის გარეშე: უმთხუ ჰხ ვ ა ლ ი (//ჰხვალი ვი) "ძმა მ ო ვ ი დ ა (მოსულია"), დომთხურ დ ა ჰხ ა ლ ი (//და-ჰხალი დი) "და მოვიდა"; ლʼობურ ბ ა ჰხ ა ლ ი (//ბაჰხალი ბი) "ბა-ვშვები მოვიდნენ"; ნოʼმორ ჰხ ა ლ ი (//ჰხალი ი) "ცხენები მ ო ვ ი - დ ა"; ლʼო ა ხ უ ლ ი "ბავშვი წ ე ვ ს (დაწოლილი არის)"...

ზარი ბუყ... კოკლიქ ა ბ ჩ უ ლ ი "მე ქერმელი... გობში ჩ ა - ვ ყ ა რ ე (ჩაყრილი მაქვს)";

დიჲამუ ნო'შ ბ ე შ თь ე ლ ი (//ბეშთьელი ბი) "მამამ ცხენი იყიდა (ნაყიდი აქვს)";

ბიკი კიკ ა წ უ ლ ი "გობი ალაოთია გ ა ვ ს ე ბ უ ლ ი";

ფიწი აჰ ა ხь უ ლ ი "ფისით ფეხი გ ა ი ს ვ ა რ ა (გასვრილი აქვს)";

კოკორჩაჲ აკь აჩული "გობებზე ხორცი ყრია";

ოლო ჰარჯლინ ყობო ბ ო ხ ჩ ო ლ ი "ჩვენი სახურავის ღარი გ ა მ ს კ დ ა რ ი ა";

ბოლʹო ხ'ინინ ბარსბონ ა ბ ჯь უ ლ ი "ჩვენს ძროხას ნეკნი გ ა ტ ე ხ ი ლ ი ა ქ ვ ს"...

ნენ კь უ ლ ი ბიშ "ჩვენ დაკვალით (დაკლული გვყავს) ხბო";

ელ ამკ ა ჩ უ ლ ი "ჩვენ გაოფლიანებული ვართ" (ზედმიწ."ოფლი გვაყრია");

ბის ხ'ამნათ ბეხ'ეთьუბ კვანტ ე ბ თь ი ლ ი "ჩემს ხალათზე შავი ნიშანი ა რ ი ს"...

მსგავსი მოვლენა სხვა მონათესავე ენებიდანაცაა ცნობილი. იქ ის დაფასებულია როგორც არქაული ფაქტი.[1] არქაული ჩანს ეს მოვლენა არჩიბულშიც, სადაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ანალოგიური ვითარება დასტურდება აწმყო კონკრეტულსა და ნამყო წყვეტილში; შდრ. მაგ., აწმყო კონკრეტული – ჯьერში ი//ჯьერში "ცეკვავს" და ნამყო უსრული – ბოლ'ორში ებდი//ბოლ'ორში "აძლევდა", ერთი მხრით, და ნამყო სრული – ჯьალი ი//ჯьალი "მოვიდა", მეორე მხრით. ეს ფაქტი,ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ -ში სუფიქსიანი და -ლი სუფიქსიანი ფორმები თავის დროზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მხოლოდ როგორც უსრული და სრული ას-

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.331; შდრ. Ш. М и к а и л о в, Очерки авар. диалектологии გვ.324; Ш. М и к а и л о в, Сравнит.-ист. фонетика авар. диалектов, გვ.144-145.

პექტის გამომხატველი ზმნური ფორმები. დროის (აწმყო, ნამყო) გაგება ასეთ ფორმებში – უფრო გვიან – მეშველი ზმნის დართვას უნდა შეეტანა.[1]

5) ნ ა მ ყ ო წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი (ნამყო შედეგობითი). ნამყო წინარეწარსულში ძირითადი ზმნა წარმოდგენილია თურმეობითის ფორმით, მეშველი ზმნა კი – ნამ. ძირითადის (ქვედი, ჟრდი, ებდი, ედი – "იყო"...) სახით: აცული ედი (IVკლ.) "გაყრილი ჰქონდა","გაყრა" (ზედმიწ. "გაუყრია-რა იყო"), შხეთხელი ედი "ნაყიდი ჰქონდა", "იყიდა" (ზედმიწ. "უყიდია-რა იყო"), აბული ებდი (IIIკლ.) "გაკეთებული ჰქონდა", "გააკეთა" (ზედმიწ. "გაუკეთებია-რა იყო"), ქვლ'ული ქვედი (Iკლ.) "გაღვიძებული იყო", "ეღვიძა" (ზედმიწ. "გაუღვიძია-რა იყო"), ოვხული ქვედი "დაწოლილი იყო","იწვა" (ზედმიწ. "დაწოლილა-რა იყო"), ორსთხილი ჟრდი (IIკლ.) "დამდგარი იყო", "იდგა" (ზედმიწ. "დამდგარა-რა იყო")...

სხანდლ ზონაჳ უ რ ჭ ხ ი ლ ი ქ ვ ე დ ი დისიში "გუშინ მე თვი-თონ წ ა ვ ე დ ი (წასული ვიყავი) რისოში";

ზონ უ ჭ ხ ი ლ ი ქ ვ ე დ ი ვის ლაჭალ'ხუ არშიში "მე წ ა ვ ე-დ ი (წასული ვიყავი) ჩემი ბავშვით არჩიბარ";

უნაჳ უ ჭ ხ ი ლ ი ქ ვ ე დ ი ჭანი ნო'ჳ ხირ აბას მესთხეჲში? "შენ თვითონ წ ა ხ ვ ე დ ი (წასული იყავი) თუ მთიდან ცხენის მოსა-ყვანად?"

მუვამუ ბ ო ლ ი ე დ ი, ლ'ხენე ლ'ო ჩუჩი-ბა-ბოლი "დედამ თ ქ ვ ა (ნათქვამი ჰქონდა), წყლით ბავშვი დაბანეთ";

ზინუ ჲამმუთხიქ სოჳქხირში უ ს თ ხ ი ლ ი ქ ვ ე დ ი "მეც მას ვუყურებდი რა, ვ ი დ ე ქ ი (გაჩერებული ვიყავი)";

ჲაბ შხლნლით ისა ყ ა თ ხ უ ყ ო ვ დ ი ლ ი ქ ვ ე დ ი "ამ სკამზე ისა იჯდა (დამჯდარი იყო)";

პამარურ (//ფამიდორ) გვაბყას უჩჭოლინ (//იშქოლინ) ლოხურ ო ხ-ჭხ ი ლ ი ებდი "პამიდორის მოსარწყველად სკოლის ბავშვები წ ა ვ ი-დ ნ ე ნ (წასული იყვნენ)";

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.331–332.

ჰოფიხ'ანნის ოს ნოსოლინ ქუსოქ ხ ო ლ ი ე დ ი "ყვავმა ერთი ყველის ნაჭერი ი პ ო ვ ა (ნაპოვნი ჰქონდა)";

ზონ უშმაქ ჰხ ვ ა ლ ი ე ვ დ ი "მე თქვენთან მ ო ვ ე დ ი (მოსული ვიყავი)";

ფაჲზუდინ ასმაქ ჰხ ვ ა ლ ი ე ვ დ ი "ფაიზუდინი ჩემთან მ ო-ვ ი დ ა (მოსული იყო)"...

6) ნ ა მ ყ ო წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი ს თ უ რ მ ე ო ბ ი-თ ი. აქ თურმეობითის ფორმითაა წარმოდგენილი როგორც ძირითადი, ისე მეშველი ზმნა: ბილი ედილი "ნათქვამი ჰქონია","ეთქვა" (ზედმიწ."უთ-ქვამს-რა ყოფილა"), კვალი ევდილი "მომკვდარიყო" (ზედმიწ. "მომკვდა-რა-რა ყოფილა"), აბული ებდილი "გაეკეთებინა" (ზედმიწ. "გაუკეთებია-რა ყოფილა"), ყ'ებდილი ებდილი "მსხდარიყვნენ" (ზედმიწ. "დამსხდარან-რა ყოფილან")...

ჲამურ ლი დუხ'ვათხაქ ერდილი, კუნუ დეხ'°ას აჩული, ოლ'უ გულორ-ჩორში ყ ა რ დ ი ლ ი ე რ დ ი ლ ი "ეს გოგო წისქვილში მისულა რა, საფქვავი დასაფქვავად დაუყრია რა, მაცყლს ჩეჩავდა რა, მ ჯ დ ა-რ ი ყ ო";

... ბომორ კ ვ ა ლ ი ე ჲ დ ი ლ ი (sic) "კაცი მ ო მ კ ვ-დ ა რ ი ყ ო";

ოსხ იშნა ლ'ხონნოლუ ბომორუ ნოსორ-ხვალოვუ აბული, ბუქნელი ყ' ე ბ დ ი ლ ი ე ბ დ ი ლ ი "ერთ ღამეს კაცსა და ქალს ხაჭაპური გაუკეთებიათ რა, უჭამიათ რა,ყოფილიყვნენ" (ზედმიწ."მსხდარიყვნენ");

ჰიფიხ'ანნის ოს მურთილინ ყ'აბაყ' ბ ო ხ ო ლ ი ე ბ დ ი ლ ი "ყვავს ერთი ყველის ნაჭერი ე პ ო ვ ა";

ფარჩაჰხლი... ლობურჩერში ვასიქათ ა ბ უ ლ ი ე ბ დ ი ლ ი "მეფეს... შვილებისათვის ანდერძი დ ა ე ტ ო ვ ე ბ ი ნ ა" (ზედმიწ. "გააკეთებინა")...

7) გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი თ ი კ ი ლ ო. განზრახვითის დრო-კილოთა ფორმები იწარმოება -ში სუფიქსიანი მყოფადისა და მეშველი ზმნის სხვადასხვა ფორმათა შეხამებით. აქ გარჩეულია – აწმყო განზრახვითი, ნამყო განზრახვითი და ნამყო განზრახვითის თურმეობითი.

ა წ მ ყ ო გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი თ შ ი -ში სუფიქსიან მყოფადთან მეშველი ზმნა წარმოდგენილია აწმყოს ფორმით (ი, ბი, ვი – "არის"): აბუჳიში ბი "განზრახული აქვს გააკეთოს", ეცუჳიში ი "განზრახული აქვს დაუსხას", ოვთჲიჳიში ვი "განზრახული აქვს გაუშვას", ოვხუჳიში ვი "განზრახული აქვს დაწვეს", ჰებუჳიში დი "განზრახული აქვს (აპი-რებს) იყიდოს"...

ნ ა მ ყ ო გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი თ შ ი მეშველი ზმნა ნამყო ძი-რითადის სახითაა წარმოდგენილი (ევდი, ერდი, ებდი, ედი – "იყო"): ცახუჳიში ედი "განზრახული ჰქონდა ესროლა", აბუჳიში ებდი "განზრა-ხული ჰქონდა გაეკეთებინა", ოლ'უჳიში ედი "განზრახული ჰქონდა მიე-ცა", ართჲიჳჲიში ერდი "განზრახული ჰქონდა გაეშვა"...

ნ ა მ ყ ო გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი თ ი ს თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი ნაწარმოებია -ში სუფიქსიანი მყოფადისა და მეშველი ზმნის თურმეო-ბითის (ევდილი, ერდილი, ებდილი, ედილი – "ყოფილა") შეხამებით: აბ-უჳიში ებდილი "განზრახული ჰქონია გაეკეთებინა", აბშუჳიში ებდილი "განზრახული ჰქონია მოეხსნა", ხუბოჳიში ერდილი "განზრახული ჰქო-ნია დაელია".

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

ბლშორმუ დ ო ს ო ჳ ი შ ი დ ი ნიხთჲითჲურ "კაცს განზრახული აქვს ქურდის დაჭერა";

ზარი ვას ბ ო ლ' ო ჳ ი შ ი ბ ი მასჲაბუ ნო'შ "მე განზრა-ხული მაქვს მოგცე ჩემი ცხენი";

გუდუმუ ბიშ ოშუნა, დაში ო ქ ო ჳ ი შ ი ი? "მან ხბო მოხსნა რა, სად აპირებს წაიყვანოს? (წაყვანას?)";

ბუვამუ ხ'ო'ნ ბ ა ც უ ჳ ი შ ი ბ ი "დედა აპირებს ძროხის მოწველას";

გურუმუ დოლ'ბუმ ა ბ უ პ ი შ ი ბ ი "ის იწყებს ბოსლის კეთე-ბას ";

ზარი დივინ ბ ე კჸ უ პ ი შ ი ბ ი "მე ნოხის დაგვას ვაპირებ";

გურუმუ ინჭაკ გუნდილ"აქ ი ვ თა ი პ ი შ ი ვ ი "ის თვითონ აპირებს ორმოში ჩაეშვას";

ზონ ი ვ ხ უ პ ი შ ი ვ ი... "მე დაწოლას ვაპირებ..."

ხოშ ა ბ ხ უ პ ი შ ი ბ ი "ქალები დაწოლას აპირებენ";

ლ'ელე ა ბ ხა უ პ ი შ ი ბ ი კჸუბაკჸ "ხალხი აპირებს (ზედ-მიწ. "აპირებენ") ყუბაკლში დარჩენას"...

გურუმუ ნიშის ჭელე ც ა ბ ხ უ პ ი შ ი ე ბ დ ი "ის აპირებდა ცხენისთვის ქვის სროლას";

ზარი გურუმუს ლ'ბან ე ც უ პ ი შ ი ე დ ი "მე ვაპირებდი მა-მისათვის წყალი დამესხა";

ბუვამუ ჰან-ი ვ პ ი შ ი ე დ ი? "დედა რის გაკეთებას აპირებ-და?"

გორში ნო'შ ი ბ შ უ პ ი შ ი ე ბ დ ი ლ ი "მას განზრახული ჰქონია ცხენი მოეხსნა";

გურუმუ გორი ჭილიში ა რ თა ი პა ი შ ი ე რ დ ი ლ ი "მას განზრახული ჰქონია მისი კარში გაშვება"...

გ) მ ყ ო ფ ა დ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ ი. ძირითადი ზმნა აღწერითი წარმოებისას იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს ინფინიტივის ფორმითაც. "ყოფნა" მეშველი ზმნა მას აწმყოს ფორმაში ეხამება და ვიღებთ მ ყ ო ფ ა დ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ ს: არლ'ის დი (IIკლ.), ოელ'ის ვი (Iკლ.) "მოვა" (ზედმიწ. "მოსვლად არის"), აბლ'ის ბი "მოვლენ (ადამიანები)"; ალ'ის ი "მოვლენ (ცხო-ველები)", იელ'ის ვიტუ (Iკლ.) "არ მოვა" (ზედმიწ. "მოსვლად არ არის") ჰბეს ი "წავალთ" (ზედმიწ. "წასვლად ვართ"), ცვას ვი (Iკლ.), დაცას დი (IIკლ.) "შეაქებს" (ზედმიწ. "შექებად არის"), ას ი (IVკლ.),

აბას ბი (IIIკლ.) "გააკეთებს" (ზედმიწ. "გაკეთებად არის"), აბლ'ას ბი (III კლ.) "გააუყრი ძაფს" (ზედმიწ. "ძაფის გაყრად ვარ"), აჩას ი (IVკლ.) "გაჭრის" (ზედმიწ. "გაჭრად არის"), აჩას იჩუ "არ გაჭრის" (ზედმიწ."გაჭრად არ არის").

აღწერით ნაწარმოები მყოფადისათვის არჩიბულშიც მარტივი მყოფადისაგან განსხვავებით დამახასიათებელია: "მეტი დარწმუნებულობა იმაში, რომ მოქმედება - აუცილებლად - შესრულდება".[1]

არჩიბულში ისევე, როგორც ხუნძურში[2] მნიშვნელობა "უნდა...", რომელიც ამოსავალი უნდა ყოფილიყო მნიშვნელობისათვის "აუცილებლად ...",[3] აღწერით მყოფადში ჯერაც დასტურდება: ჰე-ბუს ეი (Iკლ.) "უნდა იცეკვოს", ბუმ-ბუს ბი (IIIკლ.) "უნდა ვუყიდოთ"..." ბოლ'ოს ბი "უნდა მივცეთ..."

ზონ ფერმილაქ ბუწი აცას დეჰბეს დი "მე ფერმაში ძროხების მოსაწველად უნდა წავიდე";

ყაშილთბენ (//ყაშილიშმენ) ნოყიქუნ იჰორ ას ი "ყაშილელების ბევრი ქორწილი უნდა ჩატარდეს";

ნენ აკილინ ეიწაბუ ჰურუშ ბოლ'ოს ბი "ჩვენ ჯარიმა ათი მანეთი უნდა გადავიხადოთ"...

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.333.

2 П. У с л а р, Аварский яз., გვ.203.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, დასახ.ნაშრ., გვ.333-334; იხ. აგრეთვე, გვ.334, შენიშვნა 1.

ზ მ ნ ი ს ა რ თ ი

არჩიბულში დადასტურებულია ადგილის, დროის, ვითარების, ჯერობის, მიზან-მიზეზის და სხვ. ზმნისართები.[1]

ა დ გ ი ლ ი ს ზმნისართთაგან უნდა დავასახელოთ: იშიქ, ეშუღ, "აქ"; იმიქ "მანდ"; თენიქ, თენი "იქ (მოშორებით)", ქანაქ//ქინიქ, ქინიქ "იქ(ძირს)", ღანა//ღინიქ//ღჷნიქ, ღონიქ "იქ(ზევით)"; კხარაქ "ქვეშ,ქვემოთ", ხირ//ხარ, ხარაქ "უკან..."; ჲათ, ჲათბი "ზემოთ"; ჰარაქ "წინ..."; ლ'ბვაქ, ლ'ბვაქში "ახლოს"; ახში "შორს"(შდრ. ახ "შორეული"); ჰბო́ქბუში// ->ჰბო́ქში "მარცხნივ", ო'რჭუში//ო'რჭში "მარჯვნივ"; ლაგამათ//ლაგუმათ//ლაგჷმათ "ირგვლივ..."; ჲაქ, ჲაშულ "შიგნით"; ჭოლიში "გარეთ", "კარში"; ყ'ონ "შორის"; დანნა//დანნი, დანნარი "სად?"...

ადგილის ზმნისართი, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია მიმართულებითი, დაშორებითი ან, უფრო იშვიათად, ადგილობითის ფორმით. ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობით დღეს უმთავრესად იხმარება -ქ-სუფიქსიანი მიმართულებითი. რაც შეეხება მიმართულებითს, მის გამოსახატავად ძირითადად გამოყენებულია -ში- სუფიქსიანი ფორმა:[2]

ადგილ. იშიქ "აქ" ("აქეთ"), იშუღ "აქ" – მიმართ. იში (← *იში-ში)[3];

ადგილ. იმიქ "მანდ" – მიმართ. იმიში, დაშორ. იმიშ;

ადგილ. თენი, თენიქ "იქ(მოშორებით)" – მიმართ. თენში, დაშორ. თენიშ;

ადგილ. ქინიქ "იქ(ძირს)" – მიმართ. ქინიში, დაშორ. ქინიშ;

----

1 ა.დ ი რ ი, არჩ.ენა, გვ.20-21; 92-94; მ ი ს ი ვ ე, Einführung..., გვ.256;267; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ. 622-623; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.139-142.

2 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ.ნაშრ.,გვ. 139, § 99.

3 იქვე, გვ.140.

ადგილ. ღინიქ "იქ(ზევით)" - მიმართ. ღინიში, დაშორ. ღინიშ;

ადგილ. კხარაქ "ქვეშ" - მიმართ. კხარაში, დაშორ. კხარაშ;

ადგილ. ჰათ, ჰათბი "ზემოთ","ზევით" - მიმართ. ჰათბიქ "ზევით", "ზევითამდე"... ჰათბიში "ზევით","ზევითკენ"; დაშორ. ჰათბიშ "ზევი-დან";

ადგილ. ჭარაქ "წინ" - მიმართ. ჭარაში, დაშორ. ჭარაშ;

ადგილ.ხირ//ხარ, ხარაქ "უკან"... - მიმართ. ხარაში, დაშორ. ხა-რაშ;

ადგილ. ლ'ვაქ "ახლოს" - ... დაშორ. ლ'ვაშ...

ადგილ. ლაგუმათ "ირგვლივ" - ... დაშორ. ლაგუმაშ;

ადგილ. ჰაშულ "შიგნით" - მიმართ. ჰაქ; დაშორ. ჰაშ;

ადგილ. ყ'ონ "შორის" - მიმართ. ყ'ანაქ, დაშორ. ყ'ანაშ;

ადგილ. დანნა "სად?" - მიმართ. დანნაქ "საით?","სანამდე?", დანნძში; დაში, დაშირი//დაშარი - "საით?","საითკენ?", დაშორ. და-ნნაშ//დანნიშ "საიდან?"...

ადგილის აღმნიშვნელი ზმნისართების ნაწილი ნაცვალსახელური წარ-მოშობისაა[1]; მაგ.: იმიქ "მანდ" (შდრ. ჰამუთ "ეგ"), თენი... "იქ" (შდრ. თოთ "ის"), ქინიქ "იქ - ძირს" (შდრ. ქიდით "ის - დაბლა მყო-ფი"), ღინიქ "იქ - მაღლა" (შდრ. ღონი "ის - მაღლა მყოფი")...

ადგილის ზმნისართი შეიძლება თანდებულის მნიშვნელობითაც იხმარე-ბოდეს. ასეთი "თანდებული"[2] მასთან დაკავშირებულ სახელს მართავს ან ითანხმებს ბრუნვაში[3]; მაგ., სახელს მ ი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა-შ ი მოითხოვს ზმნისართ-თანდებულები: ჰათბიქ, ჰათბიშ; კხარაქ, კხარ-აშ; ხარაქ, ხარაშ; ჭარაქ, ჭარაშ; ყ'ონ, ყ'ანაქ, ყ'ანაშ (ჯელელის კხარაქ "ქვის ქვეშ", თოვმუს ჭარაქ "მის წინ", იშობჩეს ყ'ონ "ძმებს შორის"...); ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ე ბ შ ი - ხ'ურხ'ულა, ჰაშულ, ჰათ (ასმა ხ'ურხ'ულა "ჩემს შიგნით", "ჩემში", ჯელელა ჰაშ-ულ "ქვის შიგნით", "ქვაში", ჯელელით ჰათ "ქვაზე ზემოთ", "ქვაზე");

---

1 ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ. 623; ყ. მ ი ქ ა ი - ლ ო ვ ი, არჩ.ენა, გვ.139-140.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 20-21; 92-93; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო-ვ ი, არჩ. ენა, გვ.139.

3 ა. დ ი რ ი, დასახ.ნაშრ., გვ.20-21.

მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ შ ი – ძაშ (ჭელელაშ ძაშ "ქვის შიგნიდან")...

დ რ ო ი ს ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი ა: ძასპი "დღეს", სჼანღი "გუშინ", შუთჼა "ხვალ", ხითჼა "შემდეგ", ჰინც "ახლა", ნესენ "ახლახან", პი "დღისით", შვი//შჼვი "ღამით", დითჼავ "ადრე", ლ'ჼეში "გვიან", აქჼონილ'ჼუ//აქჼონჳლ'ჼუ, აქჼომის "დილით" (ზედმიწ."სინათლით"), სანნა "ჯერ", აპად "ყოველთვის", აბადლავ//აბადლოვ "მუდამ"..., ბასა//ბჳსა "როდის?" და სხვ.[1]

დროის ზმნისართების ნაწილი წარმოდგენილია ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით; მაგ.: აქჼონნილ'ჼუ (← *აქჼონ-ლი-ლ'ჼუ) ადგილ. ბრუნვაა (შდრ.აქჼონ "სინათლე"), აქჼომის – მიცემითი. მსგავსი წარმოშობისა ჩანს აგრეთვე: შუთჼა "ხვალ", ხითჼა "შემდეგ"; ბასანა "ოდესღაც" (შდრ. ბასა "როდის", ბასა-ჰი-შავ // ბასა-შავ "როდისმე", ბჳსა-ჰო-ნუ "არასოდეს), სანნა "ჯერ", ოსჼ იმნა "ერთ ღამეს", ზედმიწ."...ღამით" (შდრ. იმჼ "ღამე"), ოსჼ იპნა "ერთ დღეს", ზედმიწ. "...დღით" (შდრ. იპ "დღე"), ლ'ჼეში (შდრ. ადგილის ზმნს. ახში "შორს") "გვიან" (შდრ. ლ'ჼე... "დაგვიანება"), ჰოროქ "დიდი ხნის წინ" (შდრ. ჰარაქ "წინისკენ", "წინ"), ჰარაქჼთჼამმა//ჰარაქთჼამა (← *ჰარაქჼთჼ-ინ-მა) "გუშინწინ"..., ტიმუშანნამა (← *ტიმუშანნინ-მა) "შარშანწინ", თოლლითა "გაისად"...

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი, როგორც ა.დირს აქვს აღნიშნული, ჩვეულებრივ, "იწარმოებიან ზედსართავის მოკლე ფორმისაგან – ში სუფიქსის მეშვეობით";[2] მუ-ში "კარგად", "ლამაზად" (შდრ. მუ, მუთჼუთ... "კარგი","ლამაზი"); ხჼალ-ში "ცუდად" (შდრ. ხჼალ-ლუთ ← *ხჼალთჼუთ "ცუდი"...); ღჳლ-ში "თბილად" (შდრ. ღილი, ღილ-თჼუთ... "თბილი"); სჼალა-ში//სჼალ-ში "მსუბუქად" (შდრ. სჼალა,

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.93; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.140-141; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.622-623.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 91; იხ. აგრეთვე, ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ. 141; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ. 622-623.

სბალა-თბუთ... "მსუბუქი"); ჰუჰა-ში "მსხვილად" (შდრ. ჰუჰა... "მსხვილი"); ნაცურ-ში "ფრთხილად" (ნაცურობუთ... "ფრთხილი"); ცი-ში "მცირედ" (შდრ. ცი-თბუთ... "პაცარა","მცირე"); მარნ-ში "სუფთად" (შდრ. მარნ, მარჩ-დუთ... "სუფთა"); ქუთაქ-ში "მეცად","ძალიან"; ჩედმინ. "ღონივრად","ძლიერად" (შდრ. ქუთაქი, ქუთაქიობუთ... "ძლიერი","ღონიერი"); კოლ´მა-ში//კოლ˝მი-ში "ცალკე", "განსაკუთრებულად"(შდრ. კოლ˝მა; კოლ˝მა-ქულ "განსხვავება"); ჰანა-ში "რბილად" (შდრ. ჰანნა-თბუთ... "რბილი","სუსტი"); ხბარა-ში "ძვირად" (შდრ. ხბარა, ხბარა-თბუთ... "ძვირი"...); ოკურა-ში "ნელა", "უხმაუროდ"... ტჰნღ-ში "ძლიერად","მაგრად" (შდრ.ტანყ', ტანღდუთ "მაგარი "); ჭბაყ-ში "მართლაც","დიახაც", "ნამდვილად"... ხას-ში//ხაშ-ში "განსაკუთრებით" (შდრ. ხას... "განსაკუთრებული") და სხვ.

ნაცვალსახელურ ელემენტებს შეიცავენ ვითარებითი ზმნისართები: ჲელა (შდრ. ჲათ "ეს"), ჲემმეთ (შდრ. ჲამუთ "ეგ"), თემმეთ (შდრ. თოთ "ის") "ასე"...[1]

ადგილობითი ბრუნვისგანაა ნაწარმოები -დი სუფიქსის მეშვეობით, როგორც აღნიშნავს ყ.მიქაილოვი, ზმნისართები[2]: არშითბე-ჰ-დი (← *არში-თბაჲ-ჰ-დი) "არჩიბულად", ჲათხი-ჰ-დი "ხუნძურად", ჭამა'-ჰ-დი "ლაკურად", ო'როს-ლი-ჰ-დი "რუსულად"[3] (შდრ. სახ. ო'როს "რუსი", ერგ. ო'როსლი, ადგილ. ო'როს-ლი-ჰ...) და სხვ.

ჯ ე რ ო ბ ი ს გამომხატველი ზმნისართები იწარმოება უკლასნიშნო რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან -ლან[4] სუფიქსის მეშვეობით:

ოს//ოსბ "ერთი" - ოს-ლან (← *ოს-ა-ლან) "ერთხელ"; პარალელურად იხმარება სანნან (← *სან-ლან ← *სან-ა-ლან); ყ'ვე "ორი" ← ყ'ვე-ჲ-ლან (← *ყ'ვე-ა-ლან) "ორჯერ"; ებყ "ოთხი" - ებყ-ა-ლან "ოთხჯერ"; ლ'ბო//ლ'ბვო "ხუთი" - ლ'ბო-ლან (← *ლ'ბვე-ა-ლან) "ხუთჯერ"; დილ'

---

1 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.141, § 102.
2 იქვე,გვ. 142, § 102.
3 იქვე, გვ. 142.
4 ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.615.

"ექვსი" - დ̄ილ'ჷ-ა-ლან "ექვსჯერ"; ვილ' "შვიდი" - ვილ'-ა-ლან "შვიდჯერ"; მელ'ე "რვა" - მელ'ე-ჲ-ლან (← მელ'ე-ა-ლან) "რვაჯერ"; უჭ "ცხრა" - უჭ-ა-ლან "ცხრაჯერ; ვიწ "ათი" - ვიწ-ა-ლან "ათჯერ"; მიწორის//მჺწორის "თერთმეტი" - მიწორსჷ-ა-ლან//მჺწორსჷ-ა-ლან "თერთმეტჯერ"; ლ'ბიბი "ოცდაათი" - ლ'ბიბი-ლან (← ლ'ბიბი-ა-ლან) "ოცდაათჯერ"; ბუყ'ი "ორმოცი" - ბუყ'ი-ლან (← ბუყ'ი-ა-ლან)"ორმოცჯერ"; ბუყ'ითბურყ'ვე "ორმოცდაორი" - ბუყ'ითბურყ'ვე-ჲ-ლან (→ ბუყ'ითბურყ'ვი-ჲ-ლან) ← ბუყ'ითბურყ'ვე-ა-ლან "ორმოცდაორჯერ"; ბუხბვი ... "ორმოცდაათი" - ბულ'ბვე-ჲ-ლან (→ //ბულ'ბვი-ჲ-ლან) ← ბულ'ბვი-ა-ლან "ორმოცდაათჯერ"; ბუხბვითბურეპყ "ორმოცდათოთხმეტი" - ბულ'ბვითბურებყ-ა-ლან (sic) "ორმოცდათოთხმეტჯერ"; დილ'ბი "სამოცი" - დილ'ბი-ჲ-ლან (← დილ'ბი-ა-ლან) "სამოცჯერ"; ლ'ვი "სამოცდაათი" - ლ'ვი-ლან // ლ'ვი-ჲ-ლან (← ლ'ვი-ა-ლან) "სამოცდაათჯერ"; ლ'იმი "ოთხმოცი" - ლ'იმი-ლან (← ლ'იმი-ა-ლან) "ოთხმოცჯერ"; ბა'შჷ "ასი" -ბა'შჷ-ე-ლან ← ბა'შჷ-ა-ლან "ასჯერ"; იზარა-ტუ... "ათასი" - იზა̄რ-ა-ლან "ათასჯერ" და ა.შ.

ჯერობა შეიძლება იწარმოოს აღწერითადაც; ასეთ შემთხვევაში უკლასნიშნო რაოდენობით რიცხვით სახელს დაერთვის ყოფნა ზმნის ინფინიტივის ფორმა "ქეს" ან თქმა ზმნის ინფინიტივი "ბოს"; მაგ.: ყ'ვე-ქეს "ორჯერ", ლ'ებქეს "სამჯერ"... ყ'ვე-ბოს "მეორეჯერ", ვიწ-ბოს "მეათეჯერ", ბა'შჷ-ბოს "მეასეჯერ"...

მ ი ზ ნ ი ს დ ა მ ი ზ ე ზ ი ს კითხვითი ზმნისართებია: ჰ ა ნ ა ს[1] "რისთვის?" და დ ა ქ ი "რატომ?"[1]

საილუსტრაციო მაგალითები

უნ დ ა ნ ა შ ი? "შენ საიდან ხარ?"

... ო'ნთ დ ა შ ი ყ'ვერყ'ი-ბოს არ? "თავს საით აბრუნებ?"

---

1 ა. დ ი რ ი, დასახ. ნაშრ., გვ.93;139; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 623; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.142, § 103.

... ო' რ ჭ უ შ ი ყ'ვერყ'ი-ბოს არ "...მარჯვნივ ვაბრუნებ";[1]

ზონ ქ ა ნ ა შ ი უჰბა "მე იქითკენ წავედი..."

აჲრიფლან ე შ ი ფარხარ "თეითმფრინავი აქეთ დაფრინავს";

ფატიმათლი ბალტულის მ უ შ ი ხვათბუ ოვლი "ფატიმას პალტო-სთვის კარგად დაუკერებია ღილები";

ზარი ში არ ხ'ალ'ში "მე ვწერ ცუდად";[2]

ჲემიშ ტ ა ნ ღ შ ი ლ'ბამათბიბ ბოლ' ებდილი "ესენი ძალიან (ზედმიწ."მაგრად") მდიდარი ხალხია";

ჲელლა ა! "ასე გააკეთე!"

ზოგიერთი ზმნისართი არჩიბულში განარჩევს კლასებს, მაგ., დითბიტუ (IVკლ.), დითბიბუ (IIIკლ.), დითბირუ (IIკლ.), დითბივუ (Iკლ.) - "ადრე": ლ'ო დითბიტუ ელ'უ "ბავშვს ადრე გაეღვიძა"; ბუვამუ ტითბიბუ ლობურ ებლ'ას აბუ "დედამ ბავშვები ადრე გააღვი-ძა"...

---

1 ა. დ ი რ ი, დასახ.ნაშრ., გვ.115.
2 იქვე, გვ. 92.

სიტყვაწარმოების შესახებ

არჩიბულში მეტად გავრცელებული კ ლ ა ს ნ ი შ ნ ი ა ნ ი ს უ ფ ი ქ ს ი -თხუ (Iკლ. -თხუ, IIკლ. -თხუ-რ; IIIკლ. -თხუბ, IVკლ. -თხუ-თ) უმთავრესად აწარმოებს ზედსართავ სახელებსა[1] და მიმღეობებს (იხ.ქვემოთ), აგრეთვე - სადაურობის სახელებს; გარდა სადაურობის სახელებისა ის გვხვდება სხვა არსებით სახელებშიაც; -თხუ დადასტურებულია რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებში...

ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ს ა ხ ე ლ ე ბ ს -თხუ აწარმოებს ზ ე-დ ს ა რ თ ა ვ ი ს ფ უ ძ ი ს ა გ ა ნ:

ცი - ცი-თხუ, ცი-თხურ, ცი-თხუბ, ცი-თხუთ "პაცარა";

მუ - მუ-თხუ, მუ-თხურ, მუ-თხუბ, მუ-თხუთ "ლამაზი","კარგი";

დიჩა - დიჩა-თხუ, დიჩა-თხურ, დიჩა-თხუბ, დიჩა-თხუთ "მსხვილი", "სქელი";

ხახა - ხახა-თხუ, ხახა-თხურ, ხახა-თხუბ, ხახა-თხუთ//ხახი-თხუთ "ყვითელი";

ნაცჾ - ნაცჾ-დუ//ნაქხჾ-თხუ, ნაცჾ-დ̄ურ//ნაქხჾ-თხურ, ნაცჾ-დუბ//ნაქხჾ-თხუბ, ნაცჾ-დუთ//ნაქხჾ-თხუთ "ლურჯი";

ფუʻბა//ფოʻბა - ფუʻბა-თხუ, ფუʻბა-თხურ, ფუʻბა-თხუბ, ფუʻბა-თხუთ "თეთრი";

დოʻზ - დო̄ʻზუ (← *დოʻზ-დუვ), დო̄ʻზურ, დო̄ʻზუბ, დო̄ʻზუთ "დიდი";

მარწ - მარზ-დუ, მარზ-დურ, მარზ-დუბ, მარზ-დუთ "სუფთა", "წმინდა";

ალეფ - ალეფ-დუ, ალეფ-დურ, ალეფ-დუბ, ალეფ-დუთ "ულამაზო", "გონჯი";

დეყ - დეღ-დუ, დეღ-დურ, დეღ-დუბ, დეღ-დუთ "კოჭლი";

ჰიბა - ჰიბა-თხუ, ჰიბა-თხურ, ჰიბა-თხუბ, ჰიბა-თხუთ "კარგი", "მარჯვე";

---

[1] ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.21...; ც. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ.ენა,გვ. 70.

330

ბეც - ბეს-თხუ, ბეს-თხურ, ბეს-თხუბ, ბეს-თხუთ "ბრმა" და ა.შ.

-თხუ შეიძლება დაერთოს ზმნისართებს, არსებით სახელებს ... და იმათგანაც აწარმოის ზედსართავი სახელები.[1]

ის, ჩვეულებრივ, დაერთვის ზმნისართ-თანდებულების ადგილობით ფორმებს, კერძოდ, მიმართულებითს... (ქანიქ "იქითკენ", ჰარაქ "წინისკენ") ან დაშორებითს (იშიშ "აქედან", თენეშ "იქიდან"...):

ხირ "უკან" - ხირ-თხუ, ხირ-თხურ, ხირ-თხუბ, ხირ-თხუთ "უკანა", "მომდევნო";

თენეშ "იქიდან","იქ" - თენეშ-თხუ, თენეშ-თხურ, თენეშ-თხუბ, თენეშ-თხუთ "იქაური" (ზედმიწ."იქიდანური");

დანაქ "იქ","იქითკენ(ზევით)" - დანაქ-თხუ, დანაქ-თხურ, დანაქ-თხუბ, დანაქ-თხუთ "იქაური(ზევითა)";

ლ'ხვაქ "ახლოს" - ლ'ხვაქ-თხუ, ლ'ხვაქ-თხურ, ლ'ხვაქ-თხუბ, ლ'ხვაქ-თხუთ "მახლობელი";

ჰარაქ "წინ", "წინისკენ" - ჰარაქ-თხუ, ჰარაქ-თხურ, ჰარაქ-თხუბ, ჰარაქ-თხუთ "წინა";

ქანიქ "იქ", "იქითკენ(ქვემოთ)" - ქანიქ-თხუ, ქანიქ-თხურ, ქანიქ-თხუბ, ქანიქ-თხუთ "იქაური(ქვემოთა)";

იშიში "აქედან" - იშიშ-თხუ, იშიშ-თხურ, იშიშ-თხუბ, იშიშ-თხუთ "აქაური" (ზედმიწ."აქედანური") და ა.შ.

აქვე უნდა შევჩერდეთ სადაურობის აღმნიშვნელ სახელებზე, რომლებიც ასევე ნაწარმოებია. ამ შემთხვევაში -თხუ დ ა შ ო რ ე ბ ი თ ბრუნვაში მდგომ სოფლის თუ ადგილის სახელს ერთვის; მაგ.:

არშა "არჩიბი"; "არჩიბში", დაშორ. არშაშ "არჩიბიდან" - არშაშ-თხუ, არშაშ-თხურ, არშაშ-თხუბ, არშაშ-თხუთ "არჩიბელი", "არჩიბული" (ზედმიწ. "არჩიბიდანელი","არჩიბიდანური");

---

[1] ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 22-26.

შათჰა "ჩიტაბი"; "ჩიტაბში", დაშორ. შათჰაშ - შათჰაშ-თჰუ, შათჰაშ-თჰურ, შათჰაშ-თჰუბ, შათჰაშ-თჰუთ "ჩიტაბელი","ჩიტაბური";

შალლა "შალიბი";"შალიბში", დაშორ. შალლაშ "შალიბიდან" - შალლაშ-თჰუ, შალლაშ-თჰურ, შალლაშ-თჰუბ, შალლაშ-თჰუთ "შალიბელი", "შალიბური";

დისი "დუსტრახი";"დუსტრახში", დაშორ. დისიშ - დისიშ-თჰუ, დისიშ-თჰურ, დისიშ-თჰუბ, დისიშ-თჰუთ "დუსტრახელი","დუსტრახული";

ნურა "ნურიბი";"ნურიბში", დაშორ. ნურაშ - ნურჭშ-თჰუ, ნურჭშ-თჰურ, ნურჭშ-თჰუბ, ნურჭშ-თჰუთ "ნურიბელი","ნურიბული";

ღუმექ "კუმუხი","კუმუხში", დაშორ. ღუმექლაშ - ღუმექლაშ-თჰუ, ღუმექლაშ-თჰურ, ღუმექლაშ-თჰუბ, ღუმექლაშ-თჰუთ "კუმუხელი","კუმუხური";

ლ'ათჰა "ხიტაბი";"ხიტაბში", დაშორ. ლ'ათჰაშ - ლ'ათჰაშ-თჰუ, ლ'ათჰაშ-თჰურ, ლ'ათჰაშ-თჰუბ, ლ'ათჰაშ-თჰუთ "ხიტაბელი","ხიტაბური" და ა.შ.

დაშორებითი ბრუნვისგანვე უნდა იყოს ნაწარმოები ყ ა ხ უ თჰ ა შ-თჰ უ "მეზობელი კაცი", ყ ა ხ უ თჰ ა შ - თჰ უ რ "მეზობელი ქალი"...

-თჰუ სახელებს ერთვის სხვა ბრუნვებშიც, მაგ., ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი (სახ. ივ "დღე" - ივ-თჰუთ, ივ-თჰუბ... "ნათელი"; ივ-თჰუბ ბაც "ნათელი მთვარე"), ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ბრუნვაში (სახ. ნოკჸ "სახლი", ადგილ. ნოკჸა "სახლში" - ნოკჸა-თჰუ, ნოკჸა-თჰურ... "სახლში მყოფი...")...

ის შეიძლება დაერთოს ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბრუნვაში მდგომ სახელსაც და აწარმოოს მისგან ახალი სიტყვა (ზედსართავი ან არსებითი სახელი). ასეთ შემთხვევაში ნათესაობითის "ნ" იმსგავსებს სუფიქსისეულ თჰ-ს:

სახ. ნრ̃'შ "ცხენი", ნათ. ნჭშინ - ნჭშინ-ნუ (← *ნოშინ-თჰუ) // → ნჭშინუ (ერგ. ნჭშინნუმუ) "ცხენოსანი" (ნჭშინუ ბჭშორ "ცხენოსანი კაცი");

სახ. ხ'ორ "სოფელი", ნათ. ხ'ოლლინ – ხ'ოლლინ-ნუ (← ხ'ორ-ლი-ნ-თბუ) // → ხ'ოლლინუ (ერგ. ხ'ოლლინნუმუ) "სოფლელი(კაცი)";

სახ. ბულბულ "ბულბული" (ქალის სახელია), ნათ. ბულბულ-ლი-ნ ← ბულბულლინ-ნუ ← ბულბულლინ-თბუ (ერგ. ბულბულლინნუმუ) "ბულბულის მამა, ძმა, ქმარი..." (გედმინ. "ბულბულისელი კაცი..."); ბულბულლი-ნნურ ← ბულბულინ-თბურ (ერგ. ბულბულლინნურმი) "ბულბულის დედა, და, ამხანაგი ქალი..." (გედმინ. "ბულბულისელი ქალი...");

სახ. ბულბულთბუ "ბულბულის ოჯახის წევრები, ახლობლები", "ბულ-ბულისანნი", ნათ. ბულბულთბენ – ბულბულთბენ-ნუ ← ბულბულთბენ-თბუ (ერგ. ბულბულთბენნუმუ) "ბულბულის ოჯახის წევრთაგან, ახლობელთაგან ერთ-ერთი მამაკაცი"; ბულბულთბენნურ (ერგ. ბულბულთბენნურმი) "ბულ-ბულის ოჯახის წევრთაგან... ერთ-ერთი ქალი"...

სახ. ყესერთ "ყესერელები", ნათ. ყესერთბენ – ყესერთბენ-ნუ ← ყესერთბენ-თბუ (ერგ. ყესერთბენნუმუ) "ყესერელთაგანი (კაცი)"; ყე-სერთბენნურ (ერგ.ყესერთბენნურმი) "ყესერელთაგანი (ქალი)"...

სახ. არშაშთბუ "არჩიბელი(კაცი)", არშაშთბურ "არჩიბელი(ქალი)", ნათ. არშაშმუნ, არშაშმინ – არშაშმუნ-ნუ ← არშაშმუნ-თბუ (ერგ. არ-შაშ-მუნნუმუ) "არჩიბელი კაცის მამა, ძმა..." არშაშმუნნურ (ერგ. არშაშმუნნურმი) "არჩიბელი კაცის და, დედა, მამიდა..." არშაშმინ-ნუ ← არშაშმინ-თბუ (ერგ. არშაშმინნუმუ) "არჩიბელი ქალის ძმა, ქმა-რი, მამა" ან "არჩიბელი ბავშვის (IVკლ.) ძმა, მამა..." არშაშმინნურ (ერგ. არშაშმინნურმი) "არჩიბელი ქალის... და, ამხანაგი ქალი, დეი-და..." ან "არჩიბელი ბავშვის (IVკლ.) დედა, და..."

სახ. შალლაშთბუ, შალლაშთბურ... "შალიბელი(ქალი,კაცი)", ნათ. შალლაშმუნ, შალლაშმინ – შალლაშმუნ-ნუ ← შალლაშმუნ-თბუ (ერგ. შა-ლლაშმუნნუმუ), "შალიბელი კაცის ძმა, მამა, ამხანაგი კაცი..." შა-ლლაშმუნნურ (ერგ.შალლაშმუნნურმი) "შალიბელი კაცის და, დედა..." შ ა ლ ლ ა შ მ ი ნ ნ უ (ერგ. შალლაშმინნუმუ) "შალიბელი ქალის, ბავშვის (IVკლ.)... ძმა, მამა..." შ ა ლ ლ ა შ მ ი ნ ნ უ რ (ერგ.შალლაშმინნურმი) "შალიბელი ქალის, ბავშვის(IVკლ.) ... დედა, და..."

სახ. შალლაქულ//შალლაშთხიბ "შალიბელები"..., ნათ. შალლაქულჩენ//შალლაშმენ - შ ა ლ ლ ა ქ უ ლ ჩ ე ნ - ნ უ ← *შალლაქულჩენ-თხუ (ერგ. შალლაქულჩენნუმუ) // შ ა ლ ლ ა შ მ ე ნ - ნ უ ← *შალლაშმენ-თხუ (ერგ. შალლაშმენნუმუ) "შალიბელთაგანი(კაცი)"; შ ა ლ ლ ა ქ უ ლ ჩ ე ნ ნ უ რ (ერგ. შალლაქულჩენნურმი) // შ ა ლ ლ ა შ მ ე ნ ნ უ რ (ერგ. შ ა ლ ლ ა შ მ ე ნ ნ უ რ მ ი) "შალიბელთაგანი (ქალი)"...

სახ. წურცშთხუ "წურიბელი(კაცი)", ნათ.წურცშმუნ... - წ უ რ ც შ მ უ ნ - ნ უ ← *წურაშმუნ-თხუ (ერგ. წურცშმუნნუმუ) "წურიბელი კაცის მამა, ძმა, ბიძა..." წ უ რ ც შ მ უ ნ ნ უ რ (ერგ. წურცშმუნნურმი) "წურიბელი კაცის დედა, და, ბებია, დეიდა..."

სახ. წურაშთხიბ//წურიშთხიბ "წურიბელები", ნათ. წურიშმენ - წ უ რ ი შ მ ე ნ-ნ უ ← *წ უ რ ი შ მ ე ნ - თხუ (ერგ.წურიშმენნუმუ) "წურიბელთაგანი (კაცი)"... წ უ რ ი შ მ ე ნ ნ უ რ (ერგ. წურიშმენნურმი) "წურიბელთაგანი (ქალი)"...

სახ. ღუმექლაშთხუ, ღუმექლაშთხურ... "კუმუხელი(ქალი,კაცი)", ნათ. ღუმექლაშმუნ, ღუმექლაშმინ - ღ უ მ ე ქ ლ ა შ მ უ ნ - ნ უ ← *ღუმექლაშმუნ-თხუ (ერგ. ღუმექლაშმუნნუმუ) "კუმუხელი კაცის ძმა, პაპა, მამა..." ღ უ მ ე ქ ლ ა შ მ უ ნ ნ უ რ (ერგ. ღუმექლაშმუნნურმი) "კუმუხელი კაცის დედა, დეიდა, მამიდა, ბებია, და..." ღუმექლაშმინ-ნუ ← *ღუმექლაშმინ-თხუ (ერგ. ღუმექლაშმინნუმუ) "კუმუხელი ქალის, ბავშვის (IVკლ.) ძმა, პაპა, მამა..." ღ უ მ ე ქ - ლ ა შ მ ი ნ ნ უ რ (ერგ. ღუმექლაშმინნურმი) "კუმუხელი ქალის, ბავშვის (IVკლ.) და, ბებია, დეიდა, მამიდა..."

სახ. ღუმექულ "კუმუხელები","კუმუხელობა", ნათ. ღუმექულლინ - ღუმექულლინ-ნუ ← *ღუმექულლინ-თხუ (ერგ. ღუმექულლინნუმუ) "კუმუხელთაგანი (კაცი)"; ღუმექულლინნურ (ერგ. ღუმექულლინნურმი) "კუმუხელთაგანი (ქალი)" და ა.შ.

სუფიქსისეული ნ შეიძლება დაიმსგავსოს აგრეთვე ფუძისეულმა ნ-მ, მ-მ, ლ-მ...; მაგ.:

დაჭან - დაჭენ-ნუ (← *დაჭან-თბუ)..., დაჭენნურ..., დაჭენნებ ..., დაჭენნუთ... "წითელი"...

ყარუმ - ყარუმ-ნუ// ← *ყარუმ-თბუ, ყარუმნურ // ← *ყარუმ-თბურ, ყარუმ-ნუბ // ← *ყარუმ-თბუბ, ყარუმ-ნუთ // ← *ყარუმ-თბუთ "ძუნწი" (მრ.რ. ყარუმნიბ // ← ყარუმთბიბ "ძუნწები")...

ქიჰილ - ქიჰილ-ლუ (← *ქიჰილ-თბუ) "ახალგაზრდა","ჯეელი..."

ხბალ - ხბალლუ (← *ხბალ-თბუ) "ცუდი"...

ჰალ - ჰალ-ლუ (← *ჰალ-თბუ) "პატრონი","მფლობელი"...

ეგევე სუფიქსი უნდა გვქონდეს შემონახული ზოგიერთი მეზობელი ხალხის არჩიბულ სახელში:

დართბინუ ← *დართბინ-თბუ (ერგ. დართბინუმუ) "ხუნძი(კაცი)", დართბინურ (ერგ. დართბინურმი) "ხუნძი (ქალი)", დართბინუთ "ხუნძი (ბავშვი...)";

ჰამანნუ ← *ჰამან-თბუ (ერგ. ჰამანნუმუ) "ლაკი(კაცი)", ჰამანნურ (ერგ. ჰამანნურმი) "ლაკი(ქალი)", ჰამანუთ (ერგ.ჰამანუთმი) "ლაკი (ბავშვი...);

ყარყილინუ ← *ყარყილინ-თბუ (ერგ. ყარყილინუმუ) "კუმიკი(კაცი)", ყარყილინურ (ერგ. ყარყილინურმი) "კუმიკი(ქალი)"...

-თბუ გვხვდება ისეთ არსებით სახელებში, როგორიცაა: ულ'-თბუ //ულ'-დუ (ერგ. ულ'მუ) "მწყემსი(კაცი)", უშ-თბუ//უშ-დუ (ერგ. უშ-მუ) "ძმა", ლახ-თბუ//ლახ-დუ (ერგ. ლახ-მუ) "მონა, ტყვე(კაცი)", აბ-თბუ (ერგ. უბ-მუ) "მამა", ხელე-თბუ (ერგ.ხელე-მუ) "სტუმარი", შექერ-თბუ (ერგ. შექერ-მუ) "ბიძაშვილი (კაცი)", დიბირ-თბუ (ერგ. დიბირ-მუ) "მოლა", ას-თბუ (ერგ. ას-მუ) "ქმარი", წუს-თბუ (ერგ. წუს-მუ) "სიძე", ჰალმახ-თბუ (ერგ.:ჰალმახ-მუ) "ამხანაგი", დოშ-თბურ//დოშ-დურ (ერგ. დოშმი, იშვიათად - დოშ-მუ) "და", ლახ-დურ (ერგ. ლახ-მი) "მონა ქალი", ეჲ-თბურ (ერგ.ეჲ-მი)

"დედა", ულ'-თბურ (ერგ. ულ'ში) "მწყემსი ქალი", შექერ-თბურ (ერგ. შექერ-ში) "ბიძაშვილი ქალი", ჰალმახ-თბურ (ერგ. ჰალმახ-ში) "ამხანაგი ქალი", ნუს-თბურ (ერგ. ნუს-ში) "რძალი", ულ'-თბუთ (ერგ. ულ'-ში) "მწყემსი ბავშვი"...

ამრიგად, -თბუ სუფიქსი, რომელიც ძ ი რ ი თ ა დ ა დ გ ე დ-ს ა რ თ ა ვ ს ა ხ ე ლ ე ბ ს ა წ ა რ მ ო ე ბ ს, დადასტურებუ-ლია მ ი მ ღ ე ო ბ ე ბ შ ი (იხ.ზემოთ), არსებითი სახელების ნა-წილში, მათ შორის ს ა დ ა უ რ ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი ც, დამოუკიდებლად ნახმარ რიცხვით სახელებში... ბუნებრივია, დავუშვათ, რომ აქ ყველგან წარმოშობით ერთ სუფიქსთან გვაქვს საქმე[1], რომელიც იმ თავითვე უფრო გედსართაული ფორმანტი იყო, ვიდრე სიტყვაწარმოებითი. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ არსე-ბით სახელებს, ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებს, რომელთაც ეს სუფიქსი მოუდით, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც, გარდა ამ სუფიქსისა ჯერ კიდევ აქვთ ზოგი რამ ისეთი, რაც გედსართავებს მო-გვაგონებს; შდრ. მაგ.: ტი-თბუ "პატარა(კაცი)", ტი-თბურ "პატარა (ქალი)", ტი-თბუთ "პატარა(ბავშვი)" და ულ'-თბუ "მწყემსი(კაცი)", ულ'-თბურ "მწყემსი (ქალი)", ულ'-თბუთ "მწყემსი(ბავშვი)"; ჰალ-მახ-თბუ "ამხანაგი(კაცი)", ჰალმახ-თბურ "ამხანაგი(ქალი)", ნუს-თბუ "სიძე", ნუს-თბურ "რძალი", უ-შ-დუ "ძმა", დო-შ-დურ "და"; ჲელე-თბუ "ასეთი (კაცი)", ჯელე-თბურ "ასეთი(ქალი)", ჲელე-თბუთ "ასეთი (ბავშვი)"; ყ'ვევუ-თბუ "ორი(კაცი)", ყ'ვერუ-თბურ "ორი (ქალი)", ყ'ვეტუ-თბუთ "ორი(ბავშვი)"....

გედსართაული სუფიქსების ხმარების ანალოგიური ფაქტები ცნო-ბილია დაღესტნის სხვა ენებიდანაც, კერძოდ, ხუნძური ენიდან.[2]

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 21-26; 72-73; 95.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ. 176, § 107; გვ. 191, § 117; გვ. 308,309.

-ქულ აწარმოებს ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ სახელებს.[1] ის შეიძლება დაერთოს სიტყვის სხვადასხვა ფორმას როგორც მხოლობით რიცხვში, ისევე მრავლობითში. ეს სუფიქსი მეტად გავრცელებულია: გვხვდება სახელებთან, ზმნებთან, ზმნისართებთან...

-ქულ სახელებთან:

ორნ "თავი" - ორნ-ქულ "მეთაურობა" (ზედმიწ."თავობა"), დუშმან "მტერი" (I კლ.) - დუშმან-ქულ "მტრობა"; შბაქ "ეჭვი" - შბაქბულ (← შბაქ-ქულ) "ეჭვობა"; დარვიშ "დარვიში" - დარვიშ-ქულ "დარვიშობა", ოშობ "ძმები..." - ოშობ-ქულ "ძმობა", აბაჲ "მშობლები" (ზედმიწ."მამები") - აბაჲ-ქულ "მშობლობა"... ის "ერთი" - ის-ქულ "ერთობა"...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. -ქულ სუფიქსმა შეიძლება კრებითობაც (resp. მრავლობითობაც) გამოხატოს: შალა-ქულ// ← შალუ-ქულ (ა.დირი) "შალიბელობა" (= შალიბელები, სოფ.შალიბის მცხოვრებლები[2]), ღუმექულ (← *ღუმექ-ქულ) "კუმუხელობა" (კუმუხელები, სოფ. კუმუხის მცხოვრებლები)...

სახელებს (არსებითს, ზედსართავს...) -ქულ ერთვის -თბუ- სუფიქსის გარეშე:

ჰალმახ-თბუ (I კლ.) "ამხანაგი" - ჰალმახ-ქულ "ამხანაგობა", ჰალ-ლუ (← ჰალ-თბუ) "პატრონი" (I კლ.)... - ჰალ-ქულ "პატრონობა"... ხახი-თბუთ (IV კლ.) "ყვითელი" - ხახი-ქულ "სიყვითლე"; ყალა-თბუთ (IV კლ.) "მწარე" - ყალა-ქულ "სიმწარე"; წეგვ-დუთ (IV კლ.) "მჟავე" - წეკვ-ქულ "სიმჟავე"; ღილი-თბუბ (III კლ.) "თბილი" - ღილი-ქულ "სითბო"; კჰერ-თბუბ (IV კლ.) "ცხელი" - კჰერ-ქულ "სიცხე"; მუ-თბუ (I კლ.) "ლამაზი" - მუ-ქულ "სილამაზე"; ბეს-თბუ (I კლ.) "ბრმა" - ბეც-ქულ "სიბრმავე"; ბიტინი-თბუ (I კლ.) "სისხლ-

---

[1] ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.94,95; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ. 65.

[2] ა. დ ი რ ი, დასახ. ნაშრ., გვ.95.

ნაკლული" - ბიტინა-ქულ "სისხლნაკლულობა"; ნატურ-თბუთ (IVკლ.) "ფრთხილი" - ნატურ-ქულ "სიფრთხილე"; ხბალ-დუ (← *ხბალ-თბუ) "ცუდი" (Iკლ.) - ხბალ-ქულ "სიცუდე"; ჰიბა-თბუთ (IVკლ.) "კარგი" - ჰიბა-ქულ "სიკარგე"... მეხუ-თბუთ (IVკლ.) "მაღალი" - მეხუ-ქულ "სიმაღლე"; ხ'ე-თბუთ (IVკლ.) "ცივი" - ხ'ე-ქულ "სიცივე"; ლახა-თბუთ (IVკლ.) "გრძელი" - ლახა-ქულ "სიგრძე"...

ზ მ ნ ე ბ თ ა ნ და ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ თ ა ნ:

ვი (Iკლ.), დი (IIკლ.), ბი (IIIკლ.), ი (IVკლ.) "არის"... - ვი-ქულ, დი-ქულ, ბი-ქულ, ი-ქულ "ყოფნა", "ყოლა"; "ქონება"; "სიმდიდრე".

იტუ "არ არის" (IVკლ.)... - იტუ-ქულ "უქონლობა"...

ხბოტუ "არ მოვიდა" (მოსავალი) - ხბოტუ-ქულ "მოუსავლიანობა"...

ლ'ოტუ... "არ მისცა" - ლ'ოტუ-ქულ "მიუცემლობა"...

ჲათბიში "ზევით" - ჲათბიში-ქულ "ბატონობა","უფროსობა"...

-ქულ სუფიქსიანი ზმნური ფორმები (ანმყო ზოგადი, ნამყო ძირითადი) არჩიბულში მასდარის მნიშვნელობითაც იხმარება: ვიქირ (Iკლ.), ... იქირ (IVკლ.) "არის"(საერთოდ) - ვიქირ-ქულ, იქირ-ქულ "ყოფნა"

კხენ "უყვარს" - კხენ-ქულ "სიყვარული"

დარხირ... "ცემს" - დარხირ-ქულ... "ცემა";

ბორლ'ურ... "ყიდის" - ბორლ'ურ-ქულ "გაყიდვა"...

ატუ "გაქრა"... - ატუ-ქულ... "გაქრა"...

ჯბვა (Iკლ.)... "მოვიდა" - ჯბვა-ქულ... "მოსვლა"...

აბუ (IIIკლ.) "გააკეთა"... - აბუ-ქულ "გაკეთება"...

-მულ, როდესაც დაერთვის ზმნურ ფუძეს, მ ა ს დ ა რ ი ს სანარმოებელი სუფიქსის როლში გვევლინება:

ინფ. ბო-ს - ბუ-მულ (← *ბო-მულ) "თქმა"; ინფ. ოყი ბო-ს - ოყ-ბუ-მულ (← *ოყი ბო-მულ) "თხოვნა"; ინფ. ქე-ს - ქუ-მულ (← *ქე-მულ) "ყოფნა"(IVკლ.); ინფ. სინ ქე-ს - სინ ქუ-მულ "ცოდნა"; ინფ. ა-ს - ა-მულ "კეთება"(IVკლ.); ინფ. ში ა-ს - ში ა-მულ "წერა"...

ინფ. ვირხ°-მუს - ვირხ-მულ (Iკლ.), ინფ. დირხ°-მუს - დირხ-მულ (IIკლ.), ინფ. ბირხ°-მუს - ბირხ-მულ (IIIკლ.), ირხ°-მუს - ირხ-მულ//ირხ°-მულ (IVკლ.) "მუშაობა";

ინფ. ცვა-ს - ცუ-მულ, ინფ. დაცა-ს - დუც-მულ, ინფ. ბაცა-ს - ბუც-მულ, ინფ. ცა-ს - ცუ-მულ "ქება";

ინფ. ოლ'-ი-ს - ვალ'-მულ, არლ'-ი-ს - დალ'-მულ, აბლ'-ი-ს - ბალ'-მულ... "მისვლა";

ოჯბ-მულ (IVკლ.) "ნასვლა"; ჭუ-მულ (IVკლ.) "შესვლა"; აჯბ-მულ (IVკლ.) "გატეხა"; ოლ'-მულ (IVკლ.) "სწავლა"; ატ-მულ (IVკლ.) "ჭრა"; კუ-მულ (IVკლ.) "მოკიდება", "ანთება"; ოწ-მულ (IVკლ.) "წურვა","რეცხვა"; ელ'ბ-მულ (IVკლ.) "დადება", "ჩადება" და ა.შ.

ეს ფორმანტი ა.დირს შემჩნეული აქვს ისეთ სიტყვებშიც, როგორიცაა - ოლ'-მულ "ყვავილი" (ავადმყოფობა), ას-მულ "ქილები"(ჩოხისა).[1] -მულ სუფიქსი უნდა გვქონდეს აგრეთვე სიტყვაში იხ-მულ "თამაშობა"; შდრ. იხ "ხუმრობა". აღსანიშნავია ისიც,რომ ა.დირს საჭიროდ მიუჩნევია აქვე შენიშვნა: "მულ აგრეთვე მრავლობითის სუფიქსიაო".[2] მართლაც, მრავლობითი რიცხვის ერთ-ერთი ნიშნისა და საანალიზო -მულ სუფიქსის მატერიალური იგივეობა შემთხვევითი არ უნდა იყოს. არ არის გამოსარიცხი მათი გენეტური კავშირიც.

-ტი[3] ზმნურ ფუძეს ერთვის და მისგან აწარმოებს სახელს, რომელიც მნიშვნელობით მ ა ს დ ა რ ს უახლოვდება:

ჯე- - ჯე-რ (აწმყო მიგარი), ჯე-ბუ (ნამყო), ჯე-ბა (ბრძან.), ჯე-ტი (IVკლ.) "ცეკვა";

კუ- - კუ-ბუს (ინფ.), კუ-ტი (IVკლ.) "ბერვა";

ფარხ- - ფარხ-მის (ინფ.), ფარხ-ა-რ (აწმყო მიგარი), ფარხ-ტი (IVკლ.) "ფრენა" (შდრ. ფარხ-ბუმულ "ფრენა");

---

1 ა. დ ი რ ი, დასახ.ნაშრ., გვ. 95.
2 იქვე, გვ.95, შენიშვნა 1.
3 იქვე, გვ.95.

შუშუ- - შუშუ-ბის (ინფ.), შუშუ-ლი (IVკლ.) "ჩურჩული";

ჭაამფ- - ჭაამფ-ბის (ინფ.), ჭაამფ-ლი (IVკლ.) "ყეფა";

ბა'ბ- - ბა'ბუს ← ბა'ბ ბის[1] (ინფ.), ბა'ბ-ა-რ (აწმყო ზოგადი), ბა'ბ-ო (ნამყო), ბა'ბ-ა (ბრძან.), ბა'ბ-ლი//ბა'ბუ-ლი(ა. დირი) "ლაპარაკი" (IVკლ.)...

ყ'იღ- - ყ'იღ-ლი (IVკლ.) "ყვირილი"; ჰუ- - ჰუ-ლი (IVკლ.) "გრგვინვა";

ე'მ- - ე'მ-ლი (IVკლ.) "ტირილი" და ა.შ.

ეგევე სუფიქსი საგულვებელია ისეთ სახელებშიც, როგორიცაა - ქვალი "ხელთათმანი", ხვა-ლი "ქუმელი", ჩვა-ლი "წივა"...

ამგვარად, მასდარის მნიშვნელობით არჩიბულში იხმარება ნაზმნარი სახელები, რომლებიც ნაწარმოებია ზმნის სხვადასხვა ფორმისაგან ან ფუძისაგან -მულ, -ლი და -ქულ სუფიქსებით.[2]

ზმნურ ფუძე-ფორმებთანაა დადასტურებული აგრეთვე სუფიქსი -ი: არ-ი "საქმე" (შდრ. არ "აკეთებს")[3]...

ხუნძურში მოქმედი პირის აღმნიშვნელ სახელთა ერთ-ერთი საწარმოებელი სუფიქსია -ჩი, რომელიც წარმოშობით "დამოუკიდებელი სიტყვაა... და "კაცს" ნიშნავს".[4] არჩიბულში ის ხუნძურიდან ნასესხები ჩანს. -ჩი აქაც მოქმედი პირის სახელთა საწარმოებლადაა გამოყენებული, მაგრამ ხუნძურთან შედარებით ნაკლებ პროდუქტულია და უფრო იშვიათად იხმარება: ჰულუღ-ჩი (შრ.რ. ჰულუღჩითილ) "მოსამსახურე","მსახური", თუქან-ჩი (შრ.რ. თუქანჩითილ) "მედუქნე", ქოლხოზ-ჩი "კოლმეურნე", ჰალაღ-ჩი "მკალავი", ჰარავულ-ჩი "დარაჯი"...

---

1 ა. დირი, დასახ.ნაშრ., გვ.132, შენიშვნა 1.
2 შდრ. ყ. მიქაილოვის დასახ.ნაშრ., გვ.99-102.
3 ა. დირი, დასახ. ნაშრ., გვ.95.
4 იხ. არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, გვ.171-172; შდრ. ა. დირის დასახ.ნაშრ., გვ.95.

არჩიბულში -ჩი სუფიქსს შეიცავს დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი ც, კერძოდ, ჩაქარ-ბარ-ჩი "სამაქრე" და ო'რხ'-არ-ჩი "სამარილე". ჩაქარ-ბარჩი და ო'რხ'-არჩი (← *ო'რხ'ი-არჩი)[1] კომპოზიტებია, რომელთა პირველი კომპონენტებია მაქრისა (ჩაქარ - IIIკლ.) და მარილის (ო'რხ'ი - IVკლ.) არჩიბული სახელები, მეორე - "კეთება" ზმნის აწმყო ზოგადის -ჩი სუფიქსიანი ფორმები (ბარ-ჩი - IIIკლ., არ-ჩი - IVკლ.). -ჩი სუფიქსის ანალოგიური გამოყენება ხუნძურში არ იყო მოსალოდნელი და არც არის დადასტურებული. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა წარმოშობის -ჩი სუფიქსთან. ეგევე სუფიქსი უნდა გვქონდეს კურდღლის არჩიბულ სახელშიც, სადაც -ჩი, როგორც აფიქსი, პირველად ა.დირმა გამოყო (ოჲ "ყური", ოჲ-ომ "ყურები", ოჲ-ომ-ჩი "ყურება", "ყურებიანი" ანუ "კურდღელი").[2]

ამრიგად, -ჩი სუფიქსის სახით არჩიბულში შეიძლება ორი სხვადასხვა წარმოშობის ფორმანტი გვქონდეს: ერთი - ხუნძური ენიდან ნასესხები, მეორე - რაღაც სხვა წარმოშობისა.[3]

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მოქმედი პირის სახელები არჩიბულში ზმნური ფორმების მონაწილეობითაც შეიძლება იყოს ნაწარმოები, "კეთება" ზმნის აწმყოს მიმღეობის მონაწილეობით; მაგ.: ქუმმ-ულ ა რ თხ უ "მზარეული კაცი" (ზედმიწ. "საჭმლის მკეთებელი კაცი"), ქუმმულ ა რ თხ უ რ "მზარეული ქალი" (ზედმიწ."საჭმ-ლის მკეთებელი ქალი"), ლ'ბან ა რ თხ უ "მცურავი კაცი",ლ'ბან ა რ თხ უ რ "მცურავი ქალი" (სიტყვასიტყვით- "წყალი მკეთე-ბელი კაცი,ქალი"). წარმოება, როგორც ვხედავთ, აღწერითია (შდრ. ჩაქარ-ბ ა რ ჩ ი "სამაქრე", ო'რხ'-ა რ ჩ ი "სამარილე").

---

1 შდრ. А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, И.П. О л о в я н н и к о в а, Д.С. С а м е д о в, Опыт структурного описания арчинского языка, ტ.I,გვ.91.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.95.

3 შდრ. ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.95.

არჩიბულში გვაქვს უკლასნიშნო და კლას-ნიშნიანი რიცხვითი სახელები.[1] კლას-ნიშნიანი რიცხვითი სახელები იწარმოება უკლასნიშნო სახელებისაგან სუფიქსური კლას-ნიშნების დართვით:

ლʻებ- ლʻიბ-ა-ვ ← *ლʻებ-ა-ვუ (Iკლ.), ლʻიბ-ი-რუ// ← ლʻიბ-ა-რუ (IIკლ.), ლʻიფьუ ← *ლʻიბ-ბუ ← *ლʻებ-ა-ბუ (IIIკლ.), ლʻიბ-ტუ ← *ლʻიბ-ა-ტუ[2] (IVკლ.) "სამი";

ებყ - ებყ-ა-ვ ← *ებყ-ა-ვუ (Iკლ.), ებყ-ა-რუ → //ებყ-ი-რუ (IIკლ.), ებყ-ა-ბუ (IIIკლ.), ებყ-ა-ტუ (ასევეა პ.უსლართან) → //ებყ-ი-ტუ (IVკლ.) "ოთხი";

დილʻь - დილʻь-ა-ვ ← *დილʻь-ა-ვუ (Iკლ.), დილʻь-ა-რუ → //დი-ლʻь-ი-რუ (IIკლ.), დ̄ილʻь-ა-ბუ (IIIკლ.), დ̄ილʻь-ი-ტუ (→ //დ̄-ლʻ-ტუ) ← *დილʻь-ა-ტუ[3] (შდრ. დ̄ილʻь-ა-ტო-ვუ "ექვსივე")"ექვსი";

ვილ' - ვილ'-ა-ვ ← *ვილ'-ა-ვუ (Iკლ.), ვილ'-ა-რუ → // ვილ'-ი-რუ(IIკლ.), ვილ'-ი-ბუ// ← ვილ'-ე-ბუ ← *ვილ'-ა-ბუ (IIIკლ.), ვილ'-იჯ-ტუ (→ //ვილ'-ტუ) ← *ვილ'-ა-ტუ[4] (IVკლ.; შდრ. ვილ'-ა-ტო-ვუ "შვიდივე") "შვიდი";

უჭ[5] - უჭ-ა-ვუ (Iკლ.), უჭ-ა-რუ → //უჭ-ი-რუ (IIკლ.), უჭ - ა-ბუ (IIIკლ.), ჭ̄́უჭ-ა-ტუ[6] →// უჭი-ტუ (IVკლ.) "ცხრა";

ვიწ - ვიწ-ა-ვ (← ვიწავუ - ა.დირი) //ვიჯწავ//ვეჯწავ(Iკლ.), ვიწ-ა-რუ (ა.დირი)//ვეჯწირი (sic) (IIკლ.), ვიწ-ა-ბუ//ვ̀ეჯწ-ი-ბუ (IIIკლ.), ვიწ̄-ა-ტუ[7] →//ვიწ-ი-ტუ//ვიჯწ-ი-ტუ//ვეჯწ-ი-ტუ(IV) "ათი";

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.43,44; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ.ენა, გვ.615; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ.ენა, გვ.74...

2 პ. უ ს ლ ა რ ი, ლაკური ენა, დამატება,გვ.11; რ. ე რ-კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.; ნაწ.1, გვ.23.

3 პ. უ ს ლ ა რ ი, დასახ.ნაშრ., გვ.11; რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.24.

4 პ. უ ს ლ ა რ ი, იქვე; რ. ე რ კ ე რ ტ ი, იქვე, გვ.25.

5 პ. უ ს ლ ა რ ი, იქვე, გვ.11.

6 იქვე, გვ.11.

7 იქვე, გვ.11; რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,ნაწ.1, გვ. 26.

ყ'ვე - ყ'ვე-ვუ ← *ყ'ვე-ჷ-ვუ ← *ყ'ვე-ა-ვუ (Iკლ.), ყ'ვე-რუ ← *ყ'ვე-ა-რუ (IIკლ.), ყ'ვე-ბუ ← *ყ'ვე-ა-ბუ (IIIკლ.), ყ'ვე-ჲუ ← *ყ'ვე-ჷ-ჲუ ← *ყ'ვე-ა-ჲუ (IVკლ.) "ორი";

მელ'ე - მელ'ე-ჷ-უ (→ მელ'ე-ვ) ← *მელ'ე-ა-ვუ (Iკლ.), მელ'ე-ჷ-რუ ← *მელ'ე-ა-რუ (IIკლ.), მელ'ე-ჷ-ბუ ← *მელ'ე-ა-ბუ (IIIკლ.), მელ'ე-ჷ-ჲუ[1] ← *მელ'ე-ა-ჲუ (IVკლ.) "რვა";

ლ'ბო// ← ლ'ბვო[2] - ლ'ბვე-ჷ-ვუ (→ //ლ'ბვე-ვუ → //ლ'ბვევ) ← *ლ'ბვე-ა-ვუ (Iკლ.), ლ'ბვე-ჷ-რუ ← *ლ'ბვე-ა-რუ (IIკლ.), ლ'ბვე-ჷ-ბუ ← *ლ'ბვე-ა-ბუ (IIIკლ.), ლ'ბვე-ჷ-ჲუ[3] ← *ლ'ბვე-ა-ჲუ (IVკლ.) "ხუთი";

კლასის ნიშნების დართვისას, როგორც დავინახეთ, კლას-ნიშან-სა და ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანს შორის თავს იჩენს ხმოვანი -ა-, რომელიც უცვლელადაა წარმოდგენილი Iკლ. სიტყვებთან, მაგრამ შეიძლება იცვალოს... (ა̣ → ... ი̣ → 0̣) დანარჩენ კლასებში (შდრ. ებყ-ა-რუ//ებყ-ი-რუ "ოთხი"; დილ'ბ-ა-ჲუ (ა.დირი) //დი̄ლ'ბ-ი-ჲუ //დი̄ლ'ბ-ჲუ "ექვსი"; ვილ'-ა-ბუ (ა.დირი)//ვილ'-ე-ბუ//ვილ'-ი-ბუ "შვიდი").

მ ე ნ ი შ ვ ნ ა. ბოლოთანხმოვნიან რიცხვით სახელებში ა.დირს ყველა კლასისათვის ფიქსირებული აქვს მხოლოდ ა̣-ხმოვნიანი ფორმები.[4]

-ა- არასოდეს არა გვაქვს ხმოვანზე დაბოლოებულ რიცხვით სახელებში. მის ნაცვლად კლას-ნიშანსა და ფუძეს შორის ყველა კლასში წარმოდგენილია -ჷ-, რომელიც ზოგჯერ გაუჩინარებულია.

ამნაირადვეა ნაწარმოები დანარჩენი კლას-ნიშნიანი რიცხვითი სახელებიც; მაგ.:

ბოწორებყ - მოწორებყ-ა-ე, ბოწორებყ-ა-რუ, ბოწორებყ-ა-ბუ, მოწორებყ-ა-ჲუ "თოთხმეტი";

---

1 პ. უ ს ლ ა რ ი, იქვე; რ. ე რ კ ე რ ტ ი, იქვე, გვ.25.
2 პ. უ ს ლ ა რ ი, იქვე, გვ.11; რ. ე რ კ ე რ ტ ი, იქვე, გვ.24.
3 პ. უ ს ლ ა რ ი, იქვე, გვ.11; რ. ე რ კ ე რ ტ ი, იქვე, გვ.24.
4 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 43.

ბუხხვითხურებყ//ბუხხვითხურეჰყ - ბუხხვითხურებყ-ა-ვ, ბუხხვითხურებყ-ა-რუ, ბუხხვითხურებყ-ა-ბუ, ბუხხვითხურებყ-ა-ტუ "ოთხმოცდათოთხმეტი";

ყ'ვება'შ - ყ'ვება'შხ-ავუ, ყ'ვება'შხ-ა-რუ, ყ'ვება'შხ-ა-ბუ, ყ'ვება'შხ-ა-ტუ "ორასი";

მონორ'ხო - მონორ'ხვე-ვუ, მონორ'ხვე-ჲ-რუ, მონორ'ხვე-ჲ-ბუ, მონორ'ხვე-ჲ-ტუ "თხუთმეტი";

ყა - ყე-ჲ-უ (← ყე-ჲ-ვუ), ყე-ჲ-ბუ, ყე-ჲ-რუ, ყე-ჲ-ტუ "ოცი" და ა.შ.

უკლასნიშნოდაა წარმოდგენილი ის//ისხ[1] ("ერთი"). ერთის აღმნიშვნელ სახელს კლასის ნიშანი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რთულ რიცხვით სახელებში:

მონორ-ისხ - მონორ-სხე-ჲ-უ // მონორ-სხივ, მონორ-სხე-ჲ-რუ, მონორ-სხე-ჲ-ბუ, მონორ-სხე-ჲ-ტუ "თერთმეტი";

ყოთხორ-ისხ - ყოთხორ-სხივ // ყოთხორ-სხე-ჲ-ვუ, ყოთხორ-სხე-ჲ-რუ, ყოთხორ-სხე-ჲ-ბუ, ყოთხორ-სხე-ჲ-ტუ "ოცდაერთი";

ბოშხორ-სხე-ჲ-ტუ//ბლშხორ-სხე-ტუ (IVკლ.) "ასერთი"; ბოშხორ-ყოთხორ-სხე-ჲ-ტუ (IVკლ.) "ასოცდაერთი"; ბოშხორ'ხიბთხურ-სხე-ტუ (IVკლ.) "ასოცდათერთმეტი"...

ეჰყბოშხორ-სხე-ჲ-ტუ (IVკლ.) "ოთხასერთი"; ლ'ხობოშხორ-სხე-ჲ-ტუ (IVკლ.) "ხუთასერთი"; დილ'ბოშხორ-სხე-ჲტუ (IVკლ.) "ექვსასერთი"; იზათხურ-სხე-ჲ-ტუ (IVკლ.) "ათას ერთი", იზათხურმონორ-სხე-ჲ-ტუ (IVკლ.) "ათას თერთმეტი" და ა.შ.

ასეთ შემთხვევაში ერთის გამოსახატავად გამოყენებულია იმავე ძირის სხვა სიტყვა (შდრ. ი-ს // ი-სხ-, -სხ-ე-ჲ-ვუ, -სხ-ე-ჲ-რუ ...).[2]

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ ენა, გვ.43,172.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.347,364.

უკლასნიშნო რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან იწარმოება აგრეთვე რიგობითი სახელები, ჯერობა, რთული რიცხვითი სახელები, რაოდენობითი რიცხვითი სახელები, რომლებსაც იყენებენ ცხვრის თვლის დროს და სხვ.

-ნ აწარმოებს რ ი ც ხ ვ ი თ სახელებს, რომელთაც იყენებენ ცხვრის თ ვ ლ ი ს დ რ ო ს[1]... ის ფუძეს (resp. უკლასნიშნო რი-ცხვით სახელს) დაერთვის -ა̲-ს მეშვეობით.[2] ა̲- ხმოვანმა შეიძლება განიცადოს ცვლილება (ა̲ → ე̲...) ან სავსებით გაუჩინარდეს:

ოსხ-ან - "ერთი", ყ'ვე-ნ (← *ყ'ვე-ა-ნ) - "ორი", ებყ-ა-ნ "ოთხი", მელ'ენ (← *მელ'ე-ა-ნ) - "რვა", ვეწ́-ა-ნ - "ათი", მოწ-ორლ'ხო-ნ // მლწორლ'ხო-ე-ნ (← *მოწორლ'ხო-ა-ნ) - "თხუთმეტი", ყა-ნ (← *ყა-ა-ნ) - "ოცი", ყოთხორვილ'-ა-ნ - "ოცდაშვიდი", დილ'-ი̄-ნ (→ //დილ'ხინ) ← *დილ'იან - "სამოცი", ჭვე̄ნ (→ //ჭვინ) ← *ჭვი-ე-ნ ← *ჭვი-ა-ნ - "ოთხმოცდაათი", ბა'შხ-ა-ნ - "ასი", ყ'ვება'შხ-ა-ნ - "ორასი", იზარ-ა-ნ "ათასი" და ა.შ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. -ნ-ით ნაწარმოები რიცხვითი სახელი მხოლობით რიცხვში მდგომი სახელის მსაზღვრელი ვერ იქნება: არ შეიძლება ითქვას ლ'ხონ ჭან "ხუთი ცხვარი", არამედ უნდა ვთქვათ ლ'ხონ ჭ ა ბ უ, სადაც ჭ ა ბ უ ("ცხვარი") კრებითი სახელია. ჭ ა ნ ("ცხვარი") მხოლობით რიცხვშია და მსაზღვრელსაც მხოლობითში მიითხოვს: ლ'ხვეჲბუ ჭან "ხუთი ცხვარი".

ბოსთხუ-ვ, ბოსთ . .ნ; ბოსთხუ-ბ, ბოსთხუ-თ კლასების მიხედვით განსხვავებული ზმნური ფორმებია (resp. მიმღეობებია; შდრ. ბოს-

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.45; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ.ენა, გვ.615; :. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.78-79.

2 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.78, შენიშვნა 1.

- "თქმა"), რომლებიც უკლასნიშნო ნაორენობითი რიცხვითი სახელისა-გან რ ი გ ო ბ ი თ რიცხვით სახელებს აწარმოებს:[1]

ოს//ოსა "ერთი" - ოს-ბოსთაუ (Iკლ.), ოს-ბოსთაურ (IIკლ.), ოს-ბოსთაუბ (IIIკლ.), ოს-ბოსთაუთ (IVკლ.) "პირველი";

ყ'ვე "ორი" - ყ'ვე-ბოსთაუ, ყ'ვებოსთაურ, ყ'ვებოსთაუბ, ყ'ვე-ბოსთაუთ "მეორე";

ლ'ებ "სამი" - ლ'ეფბოსთაუთ← ლ'ებ-ბოსთაუთ//ლ'ებ-ოსთაუთ (IVკლ. კლ.) "მესამე"...

ებყ "ოთხი" - ებყ-ბოსთაუთ (IVკლ.) "მეოთხე"...

ლ'ათ "ხუთი" - ლ'ათ-ბოსთაუთ (IVკლ.) "მეხუთე"...

ვიწ "ათი" - ვიწ-ბოსთაუთ (IVკლ.) "მეათე"...

მოწორისა "თერთმეტი" - მოწორსააბოსთაუთ (IVკლ.) "მეთერთმე-ტე"...

ყა "ოცი" - ყა-ბოსთაუთ (IVკლ.) "მეოცე"...

ყოთაორისა "ოცდაერთი" - ყოთაორსაბოსთაუთ (IVკლ.) "ოცდამე-ერთე"...

ბუხავი "ორმოცდაათი" - ბუხავი-ბოსთაუთ (IVკლ.) "ორმოცდამე-ათე" და ა.შ.

ღემიბ ო სა - ბ ო ს თა უ ბ ქ-ლასლა ორლ'ინში ბი "ესენი პ ი რ ვ ე ლ კლასში სწავლობენ".

სუფიქსად გამოყენებული ეს ზმნური ფორმები იწარმოება "თქმა" ზმნის ინფინიტივის ფორმაზე ცვლადი კლას-ნიშნების მქონე -თაუ-აფიქსის (იხ.ზემოთ) დართვით. მრავლობით რიცხვში ასეთ შემთხვევა-ში ინფინიტივის ფორმას -თაიბ დაერთვის და ვიღებთ ბოსთაიბ-ს;მაგ.: ოს-ბოსთაიბ "პირველნი", ყ'ვე-ბოსთაიბ "მეორენი" და ა.შ.

---

1 ა. დ ი რ ი, დასახ. ნაშრ., გვ.46; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.615; ყ: მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, დასახ. ნაშრ. გვ. .80.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პ ი რ ვ ე ლ ი ს მნიშვნელობით არჩიბულში იხმარება ჰარაქთბუ, ჰარაქთბურ, ჰარაქთბუბ, ჰარაქთბუთ ("წინა") ფორმებიც (მრ-ში ჰარაქთბიბ "წინანი"). ისინი, როგორც სწორად შენიშნა ა.დირმა, ჰარ-ა-ქ ("წინ", "წინისაკენ") ზმნისართისგანაა ნაწარმოები.[1]

ფ უ ძ ე გ ა ო რ კ ე ც ე ბ უ ლ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი სახელები იწარმოება უკლასნიშნო სახელებისაგან სათანადო კლას-ნიშნიანი ან უკლასნიშნო რიცხვითი სახელების დართვით:

ოს-ოსბ[2], ოსბ-ოსბან "თითო-თითო"; ოსბ-ოსბში, ოსბ-ოსბაწში (ცხვარი) "თითო-თითოდ";

ყ'ვე-ყ'ვევ (I კლ.), ყ'ვე-ყ'ვერუ (II კლ.), ყ'ვე-ყ'ვებუ (III კლ.), ყ'ვე-ყ'ვეთუ (IV კლ.); ყ'ვე-ყ'ვენ (ცხვარი) "ორ-ორი"; ყ'ვე-ყ'ვერში (II კლ.), ყ'ვე-ყ'ვებში (III კლ.) ...; ყ'ვე-ყ'ვენში "ორ-ორად".

ლ'იბ-ლ'იბავ (I კლ.), ლ'იბ-ლ'იბარუ (II კლ.) ...; ლ'ებ-ლ'ებან (ცხვარი) "სამ-სამი"; ლ'იბ-ლ'იბოვში (I კლ.), ლ'იბ-ლ'იბირში (II კლ.); ლ'ებ-ლ'ებანში (ცხვარი) "სამ-სამად"...

ყა-ყან "ოც-ოცი"(ცხვარი)..., ჭვი-ჭვინ "თხმოცდაათ-თხმოცდაათი (ცხვარი), ბა̆შბ-ბა'შბან "ას-ასი"(ცხვარი) და ა.შ.

რიცხვითი სახელები 200..., 400..., 600 და ა.შ. შედგენილია ერთეულებისა (I-9) და ასის სახელისაგან:

200 - ყ'ვე-ბა'შ; ყ'ვე-ბა'შბლთუ (IV კლ.)...; ყ'ვე-ბა'შბან (ცხვარი)...

400 - ევყ-ბა'შ; ევყ-ბა'შბლთუ (IV კლ.)...; ევყ-ბა'შბან (ცხვარი)...

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.46.

2 აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არჩიბული ოსბ-ყვევუ, ოსბ-ყ'ვერუ... ("რამდენიმე") სათანადო ქართულ სიტყვას ("ერთი-ორი") არა მარტო მნიშვნელობით ხვდება, არამედ აგებულებითაც შეესაბამება; ასევე არჩიბული ოსბში "ერთად" ქართულის მსგავსად სიტყვა ერთისაგან ("ოს") არის ნაწარმოები (შდრ. აგრეთვე, ოსბ-ში, ლ'ბი-ნნოლ-ში -"ერთ-ად". "ცალად"...).

500 - ლ'ბ-ბა'შ; ლ'ბო-ბა'შბძტუ (IVკლ.)..., ლ'ბო-ბა'შბან (ცხვარი)...

700 - ვილ'-ბა'შ; ვილ'-ბა'შბძტუ...; ვილ'-ბა'შბან (ცხვარი)...

800 - მელ'ე-ბა'შ; მელ'ე-ბა'შბძტუ (IVკლ.)...; მელ'ე-ბა'შბან (ცხვარი)...

900 - უჭ-ბა'შ; უჭ-ბა'შბძტუ (IVკლ.)...; უჭ-ბა'შბან (ცხვარი)...

ერთეულებისა და ათასის სახელისაგან არის შედგენილი 2 000..., 5000 და ა.შ.; მაგ.: ყ'ვე იზარიტუ// ყ'ვე იზარატუ (IVკლ.); ყ'ვე იზარან (ცხვარი) "ორი ათასი", ლ'ებ იზარიტუ (IVკლ.)...; ლ'ებ-იზარან (ცხვარი) "სამი ათასი" და ა.შ.

აფიქსი -ორ- გამოყენებულია რთული რიცხვითი სახელების საწარმოებლად 11-დან 29-მდე და ასიდან მოყოლებული ბევრით, -ურ- კი - 31-დახ 99-მდე და 1000-დან ბევრით. ეს ფორმანტები არა გვაქვს ოც-ის, ოცდაათის, ორმოცის და მისთ. აღმნიშვნელ სახელებში.

თ ე რ თ მ ე ტ ი დ ა ნ ც ხ რ ა მ ე ტ ა მ დ ე[1] რიცხვით სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია ა თ ი ს აღმნიშვნელი სიტყვა მოწ (← მიწ)[2] ← ვიწ[3], რომელსაც ერთვის ჯერ ფორმანტი -ორ-, შემდეგ ერთეულის აღმნიშვნელი უკლასნიშნო ან კლას-ნიშნიანი სახელები (1-9); მაგ.:

მოწორ-ყ'ვე ან მოწ-ორ-ყ'ვევ (Iკლ.), მოწ-ორ-ყ'ვერუ (IIკლ.), მოწ-ორ-ყ'ვებუ (IIIკლ.), მოწ-ორ-ყ'ვეტუ (IVკლ.); მოწ-ორ-ყ'ვენ (ცხვარი) - 12;

მოწ-ორ-ლ'ებ ან მოწ-ორ-ლ'იბავ, მოწ-ორ-ლ'იბარუ, მოწ-ორ-ლ'იფბუ (← მოწორლ'იბ-ბუ), მოწ-ორ-ლ'იბტუ; მოწ-ორ-ლ'ებან (ცხვარი) - 13;

---

1 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.75; ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ.ენა, გვ.615.

2 ყურადღებას იქცევს რ. ე რ კ ე რ ტ თ ა ნ micato "ათი" (ნაწ.1,გვ.26), სადაც დღევანდელი ვ-ს ნაცვლად "მ" გვაქვს (შდრ. დღეს ხმარებული ვიწატუ "ათი").

3 გ. თ ო ფ უ რ ი ა, რიცხვითი სახელების აგებულება ლეზგიურსა და კრიწულ ენებში, 1959, გვ.637.

მონ-ორ-ებყ (→ //მონ-ორ-ევყ) ან მონ-ორ-ებყ-ა-ვ, მონ-ორ-ებყ-ა-რუ, მონ-ორ-ებყ-ა-ბუ, მონ-ორ-ებყ-ა-ცუ - 14;

მონ- ორ- ლ'ბი ან მონ-ორ-ლ'ბვე-ვუ, მონ-ორ-ლ'ბვე-რუ, მონ-ორ-ლ'ბვე-ბუ, მონ-ორ-ლ'ბვე-ცუ I - 15;

მონ-ორ-დილ'ბ-ა-ცუ//მონ-ორ-დილ'ბ-ი-ცუ - 16;

მონ-ორ-ვილ'-ა-ცუ (IVკლ.) - 17;

მონ-ორ-მელ'-ე-ჲ-ცუ (IVკლ.) - 18;

მონ-ორ-უჭ-ა-ცუ (IVკლ.) - 19.

ო ც დ ა ე რ თ ი დ ა ნ ო ც დ ა ც ხ რ ა მ დ ე რიცხვით სახელთა საწარმოებლად -ორ- ფორმანტი, სათანადო ერთეულის აღმნიშვნელ სახელთან ერთად, დაერთვის ყოთხ-ს (← *ყა-დ), რომელიც რთულ რიცხვით სახელებში "ოცს" უნდა აღნიშნავდეს:[1]

ყოთხ-ორ-ებყ ან ყოთხ-ორ-ებყ-ა-ცუ (IVკლ.) - 24;

ყოთხ-ორ-ლ'ბვე-ჲ-ცუ (IVკლ.) - 25;

ყოთხ-ორ-დილ'ბ-ა-ცუ (IVკლ.) - 26;

ყოთხ-ორ-ვილ'-ა-ცუ (IVკლ.) - 27;

ყოთხ-ორ-მელ'ე-ჲ-ცუ (IVკლ.) - 28;

ყოთხ-ორ-უჭ-ა-ცუ → ყოთხ-ორ-უჭ-ჷ-ცუ (IVკლ.) - 29.

ყოთხ - შედგენილი ჩანს ყო ← *ყა (შდრ. ყა "ოცი") ფუძისა და -თხ- (← *დ-) ელემენტისგან; ფუძისეული ო მეორეულია, მიღებულია ა-სგან -ორ ფორმანტის გავლენით. მეორეული უნდა იყოს თხ-ც, რომელიც ორ ხმოვანს შორის მოქცეული დ-დან უნდა მიდიოდეს (ყო-თხ-ორ ... ← *ყა-დ-ორ...). რა დანიშნულება ჰქონდა მას, საკვლევია.

ყველა რიცხვითი სახელი, რომელიც ბ́შბ-ს (← ბა́შ) "ასი" დაერთვის, დაკავშირებულია მასთან აგრეთვე -ორ- ფორმანტით:

---

1 ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.615; შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.76-77.

ბოშა-ორ-სა-ე-ლ-ჩუ → // ბჺშა-ორ-სა-ე-ლ-ჩუ (IVკლ.) - 101; ბოშა-ორ-ყვე-ჩუ (IVკლ.) - 102; ბოშა-ორ-ვეჭ-ჸ-ჩუ (IVკლ.) - 110; ბოშა-ორ-მოწორ-ყ'ვე-ჩუ (IVკლ.) - 112; ბოშა-ორ-ყე-ლ-ჩუ (IVკლ.) - 120; ბოშა-ორ-ყოთაორ-სალჩუ (IVკლ.) - 121; ბოშა-ორ-ყოთაორჸჴჸჩუ (IVკლ.) - 129; ბოშა-ორ-ლ'იბუდაურსელჩუ - 131; ბოშა-ორ-ბუყილჩუ (IVკლ.) - 140; ბოშა-ორ-ბუყითაურსალჩუ (IVკლ.) - 141; ბოშა-ორ-ბუხავალჩუ (IVკლ.) - 150; ბოშა-ორ-ბუხავითაურსა-ელჩუ (IVკლ.) - 151; ბოშა-ორ-რლ'აილჩუ (IVკლ.) - 160; ბოშაორ-რლ'აითაურლ'აველჩუ (IVკლ.) - 165; ბოშა-ორ-ლ'ვიჩუ (IVკლ.) - 170; ბოშა-ორ-ლ'ვითაურრლ'აჸჩუ (IVკლ.) - 176; ბოშაორ-ლ'იმელ-ჩუ (IVკლ.) - 180; ბოშა-ორ-ლ'იმითაურსალჩუ (IVკლ.) - 181; ბოშა-ორ-ჭველჩუ ← *ბოშორჭვია-ჩუ (IVკლ.) - 190; ბოშაორ-ჭვითაურ-სალჩუ (IVკლ.) - 191; ყ'ვებოშა-ორ-ოსა ან ყ'ვებოშა-ორ-სალჩუ (IVკლ.) - 201; ევყბოშა-ორ-სალჩუ (IVკლ.) - 401; ლ'აჩბოშა-ორ-სალჩუ (IVკლ.) - 501; როლ'აბოშა-ორ-სალჩუ (IVკლ.) - 601; ვოლ'-ბოშა-ორ-სალჩუ (IVკლ.) - 701; მელ'ებჸშა-ორ-სალჩუ (IVკლ.) - 801; ჸჭბოშა-ორ-სალჩუ (IVკლ.) - 901 და ა.შ.

ერთეულის კომპონენტი უკლასნიშნო ან კლას-ნიშნიანი სახელები (1-9) -ურ- ფორმანტის შემწეობით დაერთვის ფორმებს: ლ'აიბითა-, ბუყითა-, ბუხავითა-//ბუხაითა-, რლ'აითა-, ლ'ავითა-, ჭვითა-,[1] და ვიღებთ რიცხვით სახელებს 31-დან 39-მდე, 41-დან 49-მდე, 51-დან 59-მდე და ა.შ.

31 - 39:

ლ'აიბითა-ურ-ოსა ან ლ'აიბითა-ურ-სა-ე-ლ-უ, ლ'აიბითა-ურ-სა-ე-ლ-რუ, ლ'აიბითა-ურ-სა-ე-ლ-ბუ, ლ'აიბითა-ურ-სა-ე-ლ-ჩუ - 31;

---

1 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, ახ. ენა, გვ. 76-77; შდრ. ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, ახ. ენა, გვ.615.

ლ'აიბითა-ურ-ყ'ვეგე (IVკლ.) - 32;

ლ'აიბითა-ურ-ტ'იბგე (IVკლ.) - 33;

ლ'აიბითა-ურ-ებყაგე (IVკლ.) - 34;

ლ'აიბითა-ურ-ტ'ავეჯგე (IVკლ.) - 35;

ლ'აიბითა-ურ-უჭაგე (IVკლ.) - 39;

41-49:

ბუყითა-ურ-საეჯგე (IVკლ.) - 41;
ბუყითა-ურ-ყ'ვეგე (IVკლ.) - 42;
ბუყითა-ურ-ტ'იბგე (IVკლ.) - 43;
ბუყითა-ურ-ებყაგე (IVკლ.) - 44;
ბუყითა-ურ-ტ'ავეგე (IVკლ.) - 45;
ბუყითა-ურ-დიჩ'ააგე (IVკლ.) - 46;
ბუყითა-ურ-ვიჩ'აგე (IVკლ.) - 47;
ბუყითა-ურ-მეჩ'ეჯგე (IVკლ.) - 48;
ბუყითა-ურ-ჳჭაგე (IVკლ.) - 49.

51-59:

ბუხაითა-ურ-წეჯ-ვე (ა.დირი)//ბუხაითა-ურ-საეჯვე //ბუხაითა-ურ-სეჯვე (Iკლ.), ბუხაითა-ურ-საე-ჯ-რე (IIკლ.), ბუხაითა-ურ-საე-ჯ-ბე (IIIკლ.), ბუხაითა-ურ-წე-ჯ-გე (ა.დირი), ბუხაითა-ურ-საე-ჯ-გე (IVკლ.) - 51;

ბუხაითა-ურ-ყ'ვევე, ბუხაითა-ურ-ყ'ვერე, ბუხაითა-ურ-ყ'ვებე, ბუხაითა-ურ-ყ'ვეგე - 52;

ბუხაითა-ურ-ტ'იბ-ა-ვე, ბუხაითა-ურ-ტ'იბ-ა-რე, ბუხაითა-ურ-ტ'ი-ფაე, ბუხაითა-ურ-ტ'იბ-გე - 53;

ბუხავეითა-ურ-ებყ-ა-ვე,[1] ბუხავეითა-ურ-ებყ-ა-რე, ბუხავეითა-ურ-ებყ-ა-ბე, ბუხავეითა-ურ-ებყ-ა-გე - 54;

---

1 ვ. მ უ ს ა ე ვ ი ხა-ს შემდეგ ვ-ს გამოთქვამდა.

ბუხავითა-ურ-ღ'ავე-ვუ, ბუხავითა-ურ-ღ'ავე-ლ-ჩუ, ბუხავითა-ურ-ღ'ავე-ლ-ბუ, ბუხავითა-ურ-ღ'ავე-ლ-ფუ - 55;

ბუხავითა-ურ-დი̄ღ'ა-ა-ვ, ბუხავითა-ურ-დი̄ღ'ა-ა-ჩუ, ბუხავითა-ურ-დი̄ღ'ა-ა-ბუ, ბუხავითა-ურ-დი̄ღ'ა-ა-ფუ - 56;

ბუხავითა-ურ-ვიღ'-ა-ვ, ბუხავითა-ურ-ვიღ'-ა-ჩუ, ბუხავითა-ურ-ვიღ'ა-ბუ, ბუხავითა-ურ-ვიღ'-ა-ფუ - 57;

ბუხავითა-ურ-მეღ'ე-ლ-უ, ბუხავითა-ურ-მეღ'ე-ლ-ჩუ, ბუხავეთა-ურ-მეღ'ე-ლ-ბუ, ბუხავითა-ურ-მეღ'ე-ლ-ფუ - 58;

ბუხავითა-ურ-უ̄ქ-ა-ვ, ბუხავითა-ურ-უ̄ქ-ა-ჩუ, ბუხავითა-ურ-უ̄ქ-ა-ბუ, ბუხავითა-ურ-უ̄ქ-ა-ფუ - 59;

61–69:

დი̄ღ'აითა-ურ-ოსა (sic) ან დიღ'ილთა-ურ-საე-ლ-ფუ//დიღ'ელთა-ურ-საე-ლ-ფუ (IV კრ.) - 61;

დიღ'ითა-ურ-ყ'ვეფუ (IV კრ.) - 62 და ა.შ.

71–79:

ღ'ვითა-ურ-საელფუ (IV კრ.) - 71;

ღ'ვითა-ურ-ყ'ვეფუ (IV კრ.) - 72;

ღ'ვითა-ურ-დი̄ღ'ა - 76 და ა.შ.

81–89:

ღ'იმითა-ურ-ოსა ან ღ'იმითა-ურ-საე-ლ-ფუ (IV კრ.) - 81;

ღ'იმითა-ურ-ყ'ვეფუ (IV კრ.) - 82 და ა.შ.

91–99:

ქვითა-ურ-ოსა ან ქვითა-ურ-საე-ლ-ფუ (IV კრ.) - 91;

ქვითა-ურ-ყ'ვეფუ - 92 და ა.შ.

ცხადია, ამ რიცხვით სახელებში ღ' ი მ ი თა - "ოცდაათს" აღნიშნავს, ბ უ ყ ი თა- - "ორმოცს", ბ უ ხა ვ ი თა- - "ორმოცდაათს", დ ი̄ ღ'ა ი თა- - "სამოცს", ღ' ვ ი თა- -

"სამოცდაათს", ლ' ი მ ი თბ- - "ოთხმოცს" და ჭ ვ ი თბ- - "ოთხმოცდაათს". ბოლოკიდური -თბ- (← *დ), რომელიც წარმოდგენილია ზემოთ მოყვანილ ფორმებში, იგივე ელემენტი უნდა იყოს, რაც ყო-თბ- ფორმაში გვაქვს. მართლაც, დასახელებულ ფორმებს თუ ჩამოვაცილებთ -თბ-ს, მივიღებთ რეალურად არსებულ სათანადო რიცხვით სახელებს:

ლ'ბიბი-თბ- - ლ'ბიბი "30"

ბუყი-თბ- - ბუყი "40"

ბუხბვი-თბ-//ბუხბი-თბ- - ბუხბვი→//ბუხბი "50"

დლ̄'ი-თბ- - დლ̄'ი "60"

ლ'ვი-თბ- - ლ'ვი "70"

ლ'იმი-თბ- - ლ'იმი "80"

ჭვი-თბ- - ჭვი "90".

თვლის დროს სწორედ ამ უკლასნიშნო ფორმებს იყენებენ. ამგვარად, -თბ- (resp. *-დ-) ყველა აქ ჩამოთვლილ რიცხვით სახელებში გამოსაყოფი ჩანს. ვფიქრობთ, ყ ო თბ- ფორმის ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი ახლა კიდევ უფრო სარწმუნო ხდება – მით უფრო, რომ ამ შემთხვევაშიც -თბ-(← *-დ-)-ს ჩამოცილების შემდეგ გვრჩება რეალურად არსებული უკლასნიშნო ფორმა ყა "ოცი".

-ურ- ფორმანტი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გვხვდება აგრეთვე რიცხვით სახელებში 1.000-დან ზევით:

იზათბ-ურ-სბეჲტუ (IVკლ.) - 1001; იზათბ-ურ-ყ'ვეჲტუ - 1002; იზათბ-ურ-მონორსბეჲტუ (IVკლ.) - 1011; იზათბ-ურ-ბამ̃ბჺტუ (IVკლ.) - 1100 და ა.შ.

აქაც -ურ-ის წინ თავი იჩინა -თბ- (resp. -დ-)[1] "ათიქსმა", რომელიც დართვია არჩიბულ ყალიბში მოქცეულ სპარსულიდან ნასესხებ ი ზ ა (← იზარ-; შდრ. არჩიბული იზარ-ა-ტუ, IVკლ., "ათასი") ფუძეს.

---

1 შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 348,374.

ამრიგად, ყველა რიცხვითი სახელი 11-დან ზევით, გარდა ასისა (ბა̈შბ°) და ათასისა (იზარაჲ...), შედგენილია. საწარმოებელ აფიქსე-ბად გამოყენებულია -ორ- და -ურ-. -ორ- გვხვდება მარტო ან -თბ°-სთან ერთად (მიხ-ორ-ებყ - 14; ბო́შბ°-ორ-ოსბ° - 101, მაგრამ ყო-თბ°-ორ-ებყ - 24, ყო-თბ°-ორ-უჴ - 29), -ურ- - მხოლოდ -თბ°-სთან ერ-თად (ლ'ბ°იბი-თბ°-ურ-სბ°ე-ჲცუ - 31, ლ'იმი-თბ°-ურ-ყ'ვეცუ - 82, იზა-თბ°-ურ-ბა́'შბ°ჭცუ - 1100̀).

ზემოთ აღნიშნულია, რომ ისეთი სახელები, როგორიცაა: ლ'ბ°იბ-ი - 30, ბეყ-ი - 40, ბეხბ°ე-ი//ბეხბ°-ი - 50 და ა.შ., თბ°-სა და -ორ(-ურ) სუფიქსებს არ შეიცავენ. მიუხედავად ამისა ეს რიცხვითი სახელებიც შედგენილი უნდა იყოს. ამ სიტყვებში გამოსაყოფია ბოლო-კიდური -ი, რომელიც ვიწ ("ათი") სიტყვის ნარჩენი ჩანს. თუ ეს ვა-რაუდი სწორია, მაშინ გამოდის რომ, მაგ., ლ'ბ°იბ-ი (← ლ'ებ-ი) შედგება სამისა (შდრ. ლ'ებ "სამი") და ათის სახელისაგან და ნიშ-ნავს "სამ-ათი" (resp. "ოცდაათი"), დჸლ'ბ°-ი - ექვსისა (შდრ.დჸლ' "ექვსი") და ათის სახელისაგან და ნიშნავს "ექვს-ათი" (resp. "სა-მოცი"), ჴვ-ი - ცხრისა (შდრ. უჴ "ცხრა") და ათის სახელისაგან და ნიშნავს "ცხრა ათი" (resp. "ოთხმოცდაათი") და ა.შ.[1]

ეგევე ი[2] სათანადო შემთხვევაში წარმოდგენილია სხვა რიცხვით სახელებშიაც, მაგრამ არა ბოლოკიდურად, მაგ.:

ბეყ-ი-თბ°ურსბ°ეჲუ (Iკლ.) - 41, ბეყ-ი-თბ°ურმელ'ევ (Iკლ.) - 48, დჸლ'ბ°-ი-თბ°ურისბ° - 61, ჴვ-ი-თბ°ურყ'ვეცუ (IVკლ.) - 92, ლ'იმ-ი-ჲცუ (IVკლ.) - 80, ბეხბ°-ი-ჲვუ (ა.დირი) →//ბეხბ°ჹვუ (ა.დირი) → //ბეხბ°ჹვ//ბეხბ°-ე-ჲუ ← *ბეხბ°-ი-ა-ვუ (Iკლ.), ბეხბ°-ე-ჲრუ ← *ბეხბ°-ი-არუ (IIკლ.), ბეხბ°-ე-ჲ-ბუ ← *ბეხბ°-ი-აბუ (IIIკლ.), ბეხბ°უჲცუ //ბეხბ°-ე-ჲ-ცუ ← *ბეხბ°ვ-ი-ა-ცუ (IVკლ.) - 50 და სხვ.

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.43; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.348.

2 შდრ. ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.76.

-ორ- ფორმანტი გარდა რიცხვითი სახელებისა დადასტურებულია ხაჭაპურის არჩიბულ სახელში - ნის-ორ-ხვალი (ნის[1] "ხაჭო", ხვალი "პური")...

რა წარმოშობისაა -ორ- და -ურ, ძნელი სათქმელია. ისინი შეიძლება უკავშირდებოდნენ ბრუნვის ერთ-ერთ ნიშანს, კერძოდ, აწ გამქრალი ადგილობითი ბრუნვის -ჩ̆ა[2] ფორმანტს (იხ.ზემოთ). თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ნის-ორ-ხვალი ("ხაჭაპური") იქნებოდა "ხაჭოსთან პური", მიწ-ორ-უჭ... ("ცხრამეტი") - "ათთან ცხრა", ბóშხ-ორ-ოსხ... ("ასერთი") - "ასთან ერთი"... მაგრამ არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ წარმოშობით ისინი შეიძლება უკავშირდებოდნენ მრავლობითის ურ და ორ მაწარმოებლებს, რომლებიც არა მარტო მატერიალურად არიან იდენტურნი ამ უკანასკნელის, არამედ სავსებით ერთნაირ ფონეტიკურ გარემოცვაშიც გვხვდებიან, სახელდობრ, -ორ - ო-ს შემცველ ფუძეებთან, -ურ - დანარჩენებთან, და ფუძეებთანაც ერთნაირ მიმართებას ამყარებენ - ორ იქაც და აქაც ფუძეში ცვლილებებს იწვევს, ურ - არა. მაგ.: ილ' "კალო" - ოლ'-ორ "კალოები"; ბა̌შხ "ასი" - ბóშხ-ორ-ოსხ "ასერთი".

-ვუ (→ უ) ნაწილაკი კლას-ნიშნიანი რიცხვითი სახელებისგან კ რ ე ბ ი თ რ ი ც ხ ვ ი თ[3] სახელებს აწარმოებს. სახელის დაერთვის ბრუნვის ნიშნების შემდეგ. იწვევს ცვლილებებს ფუძესა და ბრუნვის ნიშნებში. იცვლება თვითონაც:

სახ. Iკლ. - ყ‘ვევო-ვუ (← *ყ‘ვევუ-ვუ), IIკლ. - ყ‘ვერო-ვუ (← *ყვერუ-ვუ), IIIკლ. - ყ‘ვებო-ვუ (← *ყ‘ვებუ-ვუ), IVკლ. -

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ თ ა ნ ეს სიტყვა სწორედ ამ სახითაა ფიქსირებული (იხ. მისი შრომა, I, გვ.89).

2 ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი ს დასახ. ნაშრ., გვ.57, შენიშვნა 1.

3 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ. 47; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ. 80.

ყ'ვეთო-ვუ (← *ყ'ვეთუ-ვუ) "ორივე", მრ.რ. ყ'ვენნიბ-უ (← *ყ'ვენ-ნიბ-ვუ) "ორნივე";

ერგ. Iკლ. - ყ'ვევმო-ვუ (← *ყ'ვევმუ-ვუ), II-ყ'ვერუმო-ვუ (← *ყ'ვერუმი-ვუ), IVკლ. - ყ'ვეთმო-ვუ (← *ყ'ვეთმი-ვუ), მრ.რ. ყ'ვე-ნნიმეღ-ღუ (← *ყ'ვენნიბ-მაღ-ვუ);

ნათ. Iკლ. - ყ'ვევმუნნ-უ (← *ყ'ვევმუნ-ვუ), IIკლ. - ყ'ვერუ-მინ-უ (← *ყ'ვერუმინ-ვუ), IIIკლ. - ყ'ვებმინ-უ (← *ყ'ვებუმინ-ვუ), IVკლ. - ყ'ვეთუმინ-უ (← *ყ'ვეთუმინ-ვუ), მრ.რ. ყ'ვენნემენ-უ (← *ყ'ვენნიბმენ-ვუ);

მიც. Iკლ. - ყ'ვევმუსს-უ (← *ყ'ვევუმუს-ვუ), IIკლ. - ყ'ვე-რუმისს̆-უ (← *ყ'ვერუმის-ვუ), IIIკლ. - ყ'ვებმისს̆-უ (← *ყ'ვებუ-მის-ვუ), IVკლ. - ყ'ვეთუმისს̆-უ (← *ყ'ვეთუმის-ვუ), მრ.რ. ყ'ვენ-ნემესს̆-უ (← *ყ'ვენიბ-მეღ-ს-ვუ)...

ადგილ. Iკლ. - ყ'ვევმულ'ბო-ვუ (← *ყ'ვევუმულ'ბუ-ვუ), IIკლ. - ყ'ვერუმილ'ბო-ვუ (← *ყ'ვერუმილ'ბუ-ვუ), IIIკლ. - ყ'ვებუმილ'ბ-ვუ (← *ყ'ვებუმილ'ბუ-ვუ), IVკლ. - ყ'ვეთუმილ'ბო-ვუ (← *ყ'ვეთუ-მილ'ბუ-ვუ), მრ.რ. ყ'ვენნიმელ'ბო-ვუ (← *ყ'ვენიბ-მეღ-ლ'ბუ-ვუ);

ადგილ.-მიც. Iკლ. - ყ'ვევმურშო-ვუ (← *ყ'ვევუმურში-ვუ), IIკლ. - ყ'ვერუმირშო-ვუ (← *ყ'ვერუმირში-ვუ), IIIკლ. - ყ'ვებუ-მირშო-ვუ (← *ყ'ვებუმირში-ვუ), IVკლ. - ყ'ვეთუმირშო-ვუ (← *ყ'ვე-თუმირში-ვუ), მრ.რ. ყ'ვენნიმერშო-ვუ (← *ყ'ვენიბმერში-ვუ).

სახ. Iკლ. - უჭოვუ (← *უჭავუ-ვუ), IIკლ. - უჭარო-ვუ (← *უჭ-არუ-ვუ), IIIკლ. - უჭაბო-ვუ (← *უჭაბუ-ვუ), IVკლ. - უჭათო-ვუ (← *უჭათუ-ვუ) "ცხრავე", მრ.რ. უჭანნიბ-უ (← *უჭანიბ-ვუ) "ცხრა-ნივე";

ერგ. Iკლ. - უჭოვმო-ვუ (← *უჭავუმუ-ვუ), IIკლ. - უჭარუმო-ვუ (← *უჭარუმი-ვუ); IIIკლ. - უჭაბუმო-ვუ (← *უჭაბუმი-ვუ), IVკლ. - უჭათუმო-ვუ (← *უჭათუმი-ვუ), მრ.რ. უჭანნემეღ-ღუ (← *უჭანიბ-მეღ-ვუ);

ნათ. Iკლ. – უჭოვმუნ-უ (← *უჭავმუნ-ვუ), IIკლ. – უჭარუმინ-უ (← *უჭარუმინ-ვუ), IIIკლ. – უჭაბუმინ-უ (← *უჭაბუმინ-ვუ), IVკლ. – უჭატუმინ-უ (← *უჭატუმინ-ვუ), მრ.რ. უჭანნემენ-უ (← *უჭანიბენ-ვუ);

მიც. Iკლ. – უჭოვმუს-უ (← *უჭა-ვუმუ-ს-ვუ), IIკლ. – უჭარუმის-უ (← *უჭარუმის-ვუ), IIIკლ. – უჭაბუმის-უ (← *უჭაბუმის-ვუ), IVკლ. – უჭატუმის-უ (← *უჭატუმის-ვუ), მრ.რ. უჭანნემეს-უ (← *უჭანიბმეს-ვუ)...

ბ უ ტ ი ("ნაწილი", IVკლ.)[1] სიტყვის მეშვეობით რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან იწარმოება წ ი ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი სახელები[2]; სახელობით ბრუნვაში მდგომ რაოდენობით რიცხვით სახელს, რომელიც მიუთითებს იმაზე, თუ რამდენი ნაწილისაგან შედგება საგანი, დაერთვის სიტყვა ბ უ ტ ი დაშორებითი ბრუნვის ფორმაში, რომელსაც, თავის მხრივ, მოსდევს ისევ რაოდენობითი რიცხვითი სახელი მარტო ან ბ უ ტ ი სიტყვასთან ერთად. რაოდენობით რიცხვით სახელებში, როგორც მსაზღვრელებში, აისახება ბ უ ტ ი ს, ამ შემთხვევაში საზღვრულის, კლასი:

1/4 – ებყაბუ ბუტილი-ჯხ-იშ ოს "ოთხი ნაწილიდან ერთი";

4/10 – ვიწა-ბუ ბუტილი-ჯხ-იშ ებყა-ბუ "ათი ნაწილიდან (ზედმიწ. ნაწილშიით) ოთხი";

2/4 – ებყა-ბუ ბუტილი-ჯხ-იშ ყ'ვე-ბუ ბუტი "ოთხი ნაწილიდან ორი ნაწილი";

1/3 – ლ'იფხუ ბუტილი-ჯხ-იშ ოს "სამი ნაწილიდან ერთი"...

---

1 Л.И. Ж и р к о в, Лакский язык, 1955, გვ.60; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, 1962, გვ.207.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.47; ყ. მ ი ქ ა ი ლ ო ვ ი, არჩ. ენა, გვ.80.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. ა.დირის მიერ ჩაწერილი ლ'იბოვმუჯაიშ ოს, ლ'იფხუმიჯაიშ ოს[1] ... მნიშვნელობით "სამიდან (ზედმიწ. სამშიით) ერთი" უნდა იყოს; მაგ.: ლ'იბოვმუჯაიშ ოს ხირვა! ნიშნავს - "სამიდან ერთი მოიყვანე, მოაბრუნე!" (ზედმიწ. "სამშიით ერთი ჯკან ქენი!").

2. "ნახევარს" არჩიბულში სიტყვა ძარხულუთ (IVკლ.)[2] აღნიშნავს; ამ მნიშვნელობით შეიძლება ის ბუტიც (ზედმიწ. "ერთი ნაწილი", "ერთი წილი") ძქვან.

---

1 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.47.
2 იქვე, გვ.47.

არჩიბული ენის ადგილისათვის

დაღესტნის მონათესავე ენათა შორის

არჩიბული ენისათვის ნიშანდობლივია, ერთი მხრით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში "კარჩაკეტილი" განვითარება ერთი აულის ფარგლებში, მეორე მხრით, ასევე ხანგრძლივი და ამავე დროს ინტენსიური ურთიერთობა სხვადასხვა მონათესავე ენებთან (ხუნძურთან..., ლაკურთან...). თუ ახლო მონათესავე ენებისაგან ხანგრძლივმა იზოლაციამ არჩიბულს შეუქმნა სპეციფიკური პირობები ახალი ენობრივი მოვლენების დამოუკიდებლად განვითარებისათვის და უმთავრესად ამავე გარემოებამ ხელი შეუწყო შეენარჩუნებინა რიგი არქაული ფორმა, სხვადასხვა მონათესავე ენებთან ხანგრძლივი და ინტენსიური ურთიერთობა ხელს უწყობდა მასში ახალი ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების განვითარებას. ცხადია, განვითარების ასეთმა უაღრესად რთულმა გზამ თავისი კვალი დატოვა ენაში და ბევრი რამ იმდენად შეცვალა, რომ ძნელი ხდება მისი თავდაპირველი სახის აღდგენა-ამოცნობა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა ისეთ საკითხზე, როგორიცაა არჩიბულის ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის. მართლაც, ზოგი მას ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებს, ზოგი - ლეზგიურ ჯგუფს, ზოგიც - დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად თვლის და სხვ.[1]

---

1 Г.А. Климов, Б.Б. Талибов, К вопросу о сравнительно-историческом изучении лезгинских языков, გვ.35,38, Б. Гигинейшвили, Предисловие редактора (იხ К.Ш. Микаилов, Арчинский язык, გვ. 3-4)...

პ.უსლარი, რომელმაც 1863 წელს პ ი რ ვ ე ლ მ ა წარმოგვი-დგინა არჩიბული ენის მასალა და გრამატიკული შენიშვნები, აღნიშნავდა, რომ არჩიბელები მეზობელთათვის გაუგებარ ენაზე მეტყველებენ, რომ არჩიბული ბგერები ძალიან ჰგავს ხუნძური ენის ბგერებს და შეიძლება სავსებითაც ემთხვევა მათ.[1]

რ.ერკერტის შრომაში, სადაც, გრამატიკული მიმოხილვა და "კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულება" ახალგაზრდა ორიენტალისტს დოქტორ ბეერს ეკუთვნის, არჩიბულ ენას სამეცნიერო ლიტერატურაში პ ი რ ვ ე ლ ა დ აქვს სრულიად გარკვევით მიჩენილი ადგილი მონათესავე ენათა შორის, კერძოდ, ლეზგიურ ენათა შორის. გარდა ამისა, შრომაში ნათქვამია, რომ არჩიბულს გარდამავალი ადგილი უჭირავს ლეზგიურსა და ლაკურს შორის,[2] რომ არჩიბული ყველაზე ახლოსაა რუთულურთან და რომ არჩიბული ენა ხუნძურისა და ლაკურის გავლენას განიცდის.[3]

არჩიბული ენის შესახებ წარმოდგენილი მოსაზრებანი ისევე, როგორც მოსაზრებანი მონათესავე ენათა თაობაზე, ნაშრომში ილუსტრირებულია გარკვეული ენობრივი ფაქტებით, კერძოდ, მონათესავე ენების სათანადო მასალასთან შედარებისათვის გამოყენებულია: ნათესაობითისა და მიცემითის ფორმანტები -ნ და -ს, პირის ნაცვალსახელები - ზონ "მე", უნ "შენ", ნენ "ჩვენ", ჟვენ "თქვენ", მრავლობითის მაწარმოებლები - მულ, -ოთ..., აწმყოს ნიშანი -რ, მყოფადის - -ჲი (ხყი) და სხვ.[4]

ამავე შრომაში წარმოდგენილია ლეზგიური ენების ორი კლასიფიკაცია:[5]

---

1 П. У с л а р, Лакский язык, დამატება, გვ.8...
2 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ., II, გვ.57.
3 იქვე, II, გვ.84–86.
4 იქვე, II, გვ.85–86; 368...
5 იქვე, II, გვ.86; 386.

I (გვ.86)[1]

1. ახთი-კიურიული. 2. ა) აღულური (კოშანური), აღულური (ბურკიხანული); ბ) თაბასარანული (სამხრული); თაბასარანული (ხუშნი). 3. ა) რუთულური; ბ)წახური. 4. არჩიბული, 5.უდიური, 6. ა) ჯეკური; ბ) ბუდუხური. 7. ხინალუღური.[2]

II (გვ.386)

1. ჩრდ.-დასავლ. კიურიული ჯგუფი: ა) არჩიბული; ბ) რუთულური; გ) წახური. 2. ჩრდ.-დასავლ. და ცენტრალური კიურიული ჯგუფი: ა) თაბასარანული (ჩრდ. და სამხ.); ბ) აღულური (ბურკიხან. და კოშან.); გ) კიურიული (საკუთრივ. კიურ. და ახთისა). 3. სამხრ.-კიურიული ჯგუფი: ა) ბუდუხური; ბ) ჯეკური; გ) ხინალუღური. 4. უდიური.[3]

ლეზგიური ენების ამ უკანასკნელ კლასიფიკაციაში, რომელიც წარმოადგენს კავკასიურ ენათა მთლიანი კლასიფიკაციის ბოლო ნაწილს, ლეზგიური ენები, კერძოდ, არჩიბული უშუალოდ ლაკურს მისდევს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომაში (ნაწ.II,გვ.3-76...) ლეზგიური ჯგუფის ენები განხილულია ასეთი თანმიმდევრობით: 1. კიურული ენა, 2. რუთულური ენა, 3. წახური ენა, 4. აღულური ენა, 5. თაბასარანული ენა, 6. არჩიბული ენა, 7. უდიური ენა, 8. ჯეკური ენა (დიალ.),9.ბუდუხური ენა (დიალ.),10.ხინალუღური ენა(დიალ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა თანამიმდევრობითაა აგრეთვე ენები წარმოდგენილი ლექსიკური მასალის გადმოცემისას (ნაწ.I, გვ.203-204).

---

1 მოგვყავს არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს შრომის - "იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი", მიხედვით.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი, გვ.233-234.

3 იქვე. გვ. 252.

ასე რომ, ნაშრომში, მართალია, ლეზგიურ ენათა ჯგუფი (10 ენა) მტკიცედაა შემოფარგლული[1], მაგრამ ცალკეულ ენათა ადგილი ამ ჯგუფის შიგნით ცვალებადობს...

კიდევ უფრო რთულადაა საქმე ამ მხრივ ა.დირის შრომებში.[2]

1905 წელს ა.დირი არჩიბულს ლეზგიურ ენათა შორის ასახელებს.[3]

1908 წელს ის არჩიბული ენის ნარევ ხასიათზე[4] ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ საკითხი – რა ეკუთვნის არჩიბულში ლეზგიურ ენებს და რა ხუნძურს და ლაკურს ან, სხვანაირად, საკითხი მონათესავე ენებთან არჩიბულის დამოკიდებულებისა, მისი აზრით, მანამდე ვერ გადაწყდება, სანამ არ იქნება შესწავლილი რუთულური, წახური და ხინალუღური. ამის თაობაზე ის შემდეგს წერდა: "საკითხი არჩიბული ენის დამოკიდებულებისა ლეზგიურთან და მეზობელ ხუნძურთან და ლაკურთან ჯერ კიდევ ღიად რჩება. რუთულური, წახური და ხინალუღური ენების დაწვრილებითი გამოკვლევა, რასაც მალე შევუდგები, მოგვცემს მასალას ამ საკითხის გადასაწყვეტად.[5] მანამდე კი ა.დირი საჭიროდ თვლიდა, მიეთითებინა არჩიბული ენის ზოგიერთ ისეთ თავისებურებებზე, რომლებსაც, მისი აზრით, მკითხველისათვის უნდა დაენახვებინა არჩიბულის მდგომარეობა მეზობელ ენათა შორის. ამ მიზნით მას მოჰყავს ტაბულა, სადაც წარმოდგენილია, ერთი მხრით, ლეზგიური ენის ხმოვნები: ა̍, ო̍, უ̍, ა́, ო́, უ́, და თანხმოვანი – Ф, რომლებიც არ მოეპოვება არჩიბულს, ხუნძურსა და ლაკურს, და, მეორე მხრით, ლატერალები: ლʻ, ლʻბ, ლ', ტჰ, რომლებიც წარმოდგენილია არჩიბულსა და ხუნძურში, მაგრამ არა გვაქვს ლეზგიური ჯგუფის ენებსა და ლაკურში.[6] ის ერთმანეთს უდარებს ხუნძურის, ანდიურის,

---

1 გ. კ ლ ი მ ო ვ ი, ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.31–32.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.45–46.

3 ა. დ ი რ ი, თაბასარან. ენა, 1905, გვ.I და V.

4 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.I.

5 იქვე, გვ.IV.

6 იქვე, გვ.II.

ლაკურის, არჩიბულისა და ლეზგიური ენის პირის ნაცვალსახელებს და რიცხვით სახელებს (ერთიდან ათამდე) და წარმოქმნილებს შემდეგ მოსაზრებებს:

1) თუ არჩიბული ეკუთვნის ლეზგიურ ენათა ჯგუფს, მაშინ ყოველ შემთხვევაში მისმა ბგერითმა სისტემამ მაინც განიცადა ძლიერი უცხო გავლენა;

2) ნაცვალსახელებით არჩიბული ენა უახლოვდება ლეზგიური ჯგუფის ენებს; რაც შეეხება რიცხვით სახელებს, ამ მხრივ არჩიბული უფრო ახლოსაა ხუნძურ-ანდიურ ენათა ჯგუფთან, ვიდრე ლეზგიურ ენებთან.[1]

გარდა ამისა, ა.დირი აღნიშნავს, რომ ნათესაობითის წარმოების მხრივ... არჩიბული იქცევა ისე, როგორც ლაკური, თაბასარანული და ლეზგიური. ის აღნიშნავს იმასაც, რომ მრავლობითი რიცხვის სუფიქსები -ურ და -ორ ლეზგიურ ენებში (ლეზგ.,თაბ.,აღულ.,რუთ.,წახ.,უდ.) -ურ, -არ, -ერ... სახით გვხვდება, რომ მრავლობითობის -უმ დასრულება უდიურში, ხოლო -თილ -თალ-ის სახითაა წარმოდგენილი ლაკურში.[2]

ა.დირი გაკვირვებულია, რომ არჩიბულ ზმნას "სულ არ აქვს ადგილობითი პრეფიქსები[3] "მაშინ, როდესაც ლეზგიური ჯგუფის სხვა ენებში ისინი წარმოდგენილია.[3]

უფრო გვიან ის ზმნაში ადგილობითი ან მიმართულებითი პრეფიქსების ქონას თუ უქონლობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის გასარკვევად - დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთის "ესა თუ ის ენა" ეკუთვნის თუ არა ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფს.[4]

1911 წელს ა.დირმა გამოაქვეყნა "რუთულური ენა", 1913 წელს კი - "წახური ენაც". პირველ შრომაში მას შესაძლებლად მიაჩნდა - ზმნაში ადგილობითი პრეფიქსების უქონლობის გამო - ლეზგიურ ენათა

---

1 ა. დ ი რ ი, დასახ. ნაშრ., გვ.II-III.

2 იქვე, გვ.III-IV.

3 იქვე, გვ.IV.

4 ა. დ ი რ ი, რუთულ. ენა, გვ.III.

ჯგუფიდან გამოერიცხა წახური, არჩიბული, ხინალუღური და უდიური.[1] მაგრამ ორი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ მეორე ნაშრომში იგი წერს: „რუთულურის შესახებ ჩემი შრომის წინასიტყვაობაში მე ვთქვი, რომ წახური ენის ზმნას არ გააჩნია ადგილობითი პრეფიქსები... ეს იყო შეცდომა[2]..., რომელიც აიხსნება... იმით, რომ მაშინ მე მქონდა ძალიან ცოტა მასალა და იმითაც, რომ წახურ ენაში ეს პრეფიქსები ნაკლებ რეგულარულად არის წარმოდგენილი"![3] ამ შრომის წინასიტყვაობაში ა.დირი – წახური ენის რიგი ენობრივი ფაქტის[4] განხილვის შემდეგ – ასკვნის: „ამრიგად, მე მეჩვენება, რომ წახური ენის გამორიცხვა ლეზგიურ ენათა წრიდან ჯერ არ შეიძლება...[5] მაგრამ გამორიცხავდა იგი კვლავინდებურად ლეზგიურ ენათა წრიდან (ჯგუფიდან) არჩიბულს, ხინალუღურსა და უდიურს, თუ არა, ეს შრომაში არ ჩანს. ერთი კია, პირის ნაცვალსახელების განხილვისას შესადარებლად მოყვანილია ყველა ლეზგიური ენის მასალა, გარდა არჩიბულისა.[6]

ა.დირს არ აკმაყოფილებს რ.ერკერტის მიერ წარმოდგენილი ლეზგიურ ენათა კლასიფიკაცია და ცდილობს მის გადაკეთება-შესწორებას. ამის შესახებ ის პირდაპირ წერს:

„კიურიულ ენათა კლასიფიკაცია, რომელიც მოცემული აქვს ერკერტს, საჭიროა... გადაისინჯოს და გასწორდეს".[7] ცოტა ხნის შემდეგ, – განაგრძობს ის, – ჩვენ გვექნება ამისთვის საჭირო ყველა მასალები, რადგანაც მალე შევუდგებით კიურიული ჯგუფის შაჰდაღის ქვეჯგუფის ენათა (ხინალუღურის, ჯეკურის და ბუდუხურის) შესწავლას.[8]

---

1 ა. დ ი რ ი, რუთულური ენა, გვ.IV.
2 შდრ. გ. კ ლ ი მ ო ვ ი, ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.35, შენიშვნა 24.
3 ა. დ ი რ ი, წახ. ენა, გვ.63.
4 იქვე, გვ.III–VI.
5 იქვე, გვ.VI.
6 იქვე, გვ.III–IV.
7 იქვე, გვ.VI–VII.
8 იქვე, გვ.VI–VII; იხ.აგრეთვე, მ ი ს ი ვ ე, რუთულური ენა, გვ.III–IV.

როგორც ცნობილია, ა.დირს მაჰდაღის ენებზე არ უმუშავნია (1913 წელს ის გერმანიაში დაბრუნდა); მიუხედავად ამისა მან, 1928 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში - "შესავალი კავკასიური ენათა შესწავლაში", იბერიულ-კავკასიურ ენათა თავისი კლასიფიკაცია წარმოგვიდგინა.[1]

აი ის:[2]

"... ლეზგიური (დაღესტნური) ჯგუფი: ხუნძური, ანდიური..., დიდოური..., ჰიურკანული, კუბაჩური, ლაკური, არჩიბული, თაბასარანული, აღულური, კიურული, ჯეკური, ბუდუხური, ხინალუღური, რუთულური, წახური, უდიური..."[3]

აქ არჩიბული, როგორც ვხედავთ, მოქცეულია ლაკურსა და ლეზგიურ ენათა შორის.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენად თვლიდა არჩიბულს ა.ტრომბეტი.[4]

ნ.ტრუბეცკოის ჩაჩნურ-ლეზგიური ანუ აღმოსავლეთ-კავკასიური ენები დაყოფილი აქვს 8 ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოქცეულია ჩაჩნური ენები, მეორეში - ხუნძურ-ანდიური ენები, მესამეში - მხოლოდ ლაკური, მეოთხეში - დარგუული თავისი კილოებითურთ, მეხუთეში - სამურის ენები, მეექვსეში - მხოლოდ არჩიბული, მეშვიდეში - უდიური და მერვეში - ხინალუღური. ნ.ტრუბეცკოის მიხედვით არჩიბული, მიუხედავად ხუნძურისა და ლაკურის გავლენისა, ისევე,როგორც უდიური, ხინალუღური და ლაკური, მაინც რჩება დამოუკიდებელ კილოდ (resp. ენად.), რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ სხვა ჩაჩნურ-ლეზგიურ ენათა ჯგუფს.[5]

---

1 იხ. ა. დ ი რ ი ს დასახ. ნაშრ. გვ.162-341.

2 მოგვყავს შემოკლებულად არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს შრომის - "იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია", მიხედვით.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ.278.

4 A.Trombetti, Elementi di glottologia,1923, გვ.128, §148.

5 N.Troubetzkoy, Langues caucasiques septentrionalles. Les langues du Monde...,1924, გვ. 327-342.

რ.ლაფონი ჩრდილო აღმოსავლურ ანუ დაღესტნის ენათა შემდეგ კლასიფიკაციას იძლევა: "...ხუნძურ-ანდიური და დიდოური ჯგუფის ენები; ლაკური, დარგუული ჯგუფის ენები; სამურის ენები (კიურინული, აღულური, თაბასარანული; ბუდუხური და ჯეკური; რუთულური; წახურული); არჩიბული; ხინალუღური; უდიური."[1]

როგორც ვხედავთ, არჩიბული დასახელებულია სამურის ენების შემდეგ – ც ა ლ კ ე ცალკეა გამოყოფილი აგრეთვე ხინალუღური, უდიური და ლაკური.

დამოუკიდებელ ენად თვლის არჩიბულს კ.ბოუდაც.[2] რეცენზიაში კ. ბოუდას შრომაზე – "შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში", ამის თაობაზე გ.კუდავა წერს: "არჩიბულის შესახებ (ნ.ტრუბეცკოიზე მითითებით) ნათქვამია, რომ ეს ენა დამოუკიდებელია (რომელსამე ჯგუფში არ შედის), თუმცა ფონეტიკაში ხუნძურსა ჰგავს, ხოლო მორფოლოგიასა და ეტიმოლოგიაში (ლექსიკაში) – სამურის ჯგუფის ენებსო (გვ.37)".[3]

ამასთან დაკავშირებით გ.კუდავა შენიშნავს: "არჩიბულის ფონეტიკის მსგავსება ხუნძურთან ზერელეა და ლატერალების მქონებლობითაა შეპირობებული (თუმცა ხუნძურსა და არჩიბულში მათი სრული ისტორიული იდენტურობა საეჭვოა). არჩიბული კონსონანტიზმის საერთო მოდელით, – განაგრძობს ის, – აშკარად არახუნძურისებურია და დიდ შინაგან მსგავსებას ამჟღავნებს ლეზგიური ენების (აგრეთვე ლაკურის) სათანადო მოდელთან."[4]

ლეზგიურ ენად მიაჩნია არჩიბული ევგ.ბოკარევსაც. ამის შესახებ 1949 წელს გამოცემულ მის ერთ ნაშრომში ვკითხულობთ: "არჩიბული ენა თავისი ლექსიკური შედგენილობით და გრამატიკული წყობით უფრო მიკუთ-

---

1 R. Lafon, Études basques et caucasiques, გვ.22.

2 K.Bouda, Introduccioñ a la linguistica caucasica. XIV, N1, 1960.

3 იხ. გ. კ უ დ ა ვ ა ს რეცენზია კ. ბოუდას შრომაზე, იკე, XV,1966,გვ.367.

4 გ. კ უ დ ა ვ ა, დასახ.ნაშრ., გვ.367.

ენებულ იქნას ლეზგიურ ჯგუფს, თუმცა სხვა ლეზგიურ ენათაგან ტერიტორიულად განცალკევებულობის გამო მასში ბევრი თავისებურებაა. არჩიბულ ენაზე დიდი გავლენა მოახდინა მეზობელმა... ლაკურმა და განსაკუთრებით ხუნძურმა[1]", – დასძენს ის იქვე.

"გარდა ლეზგიური და თაბასარანული ენებისა, ლეზგიურ ჯგუფს მიეკუთვნება აღულური, რუთულური, წახური, კრიწული, ბუდუხური, არჩიბული, უდიური და ხინალუღური", – აღნიშნულია მის მეორე შრომაში.[2] სხვაგან, სხვა შრომაში, ლეზგიურ ენათა ნათესაობის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ამ ენების ბრუნვის ნიშანთა სპეციალური ანალიზი. "გენეტური ნათესაობა ყველა ამ ენისა, – წერს ევგ. ბოკარევი, – პირველ ყოვლისა მჟღავნდება ოდინდელი ლექსიკური შედგენილობის მნიშვნელოვანი ნაწილის... და აგრეთვე ბევრი გრამატიკული მაჩვენებლის ერთობაში; კერძოდ, ლეზგიურ ენათა ნათესაობა შეიძლება ილუსტრირებულ იქნეს ბრუნვათა რიგი მაჩვენებლის ერთობით"...[3]

ამავე ნაშრომში მას აღნიშნული აქვს: "გენეტურად მონათესავე ლეზგიური ენების ჯგუფს განეკუთვნება ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახური, კრიწული, ბუდუხური, ხინალუღური, არჩიბული და უდიური. მათი ერთმანეთთან სიახლოვის ხარისხი, – განაგრძობს ის, – არ არის ერთნაირი. სხვა ლეზგიურ ენათაგან ყველაზე უფრო დაშორებულია უდიური, არჩიბული და ხინალუღური, რაც აძლევდა ზოგიერთ მკვლევარს საბაბს არ შეეტანა ეს ენები ლეზგიურ ჯგუფში"...[4] ერთ-ერთ ბოლოდროინდელ შრომაში ის კვლავ წერდა: "ლეზგიურ ენათა ჯგუფში შედის ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, რუთულური, კრიწული

---

1 Е. А. Б о к а р е в, Краткие сведения о языках Дагестана, 1949, გვ. 22.

2 Е.А.Б о к а р е в, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков, 1961, გვ. 54.

3 Е.А. Б о к а р е в, К реконструкции падежной системы пралезгинского языка, კრებ. "Вопросы грамматики", 1960, გვ. 41...

4 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, იქვე, გვ. 41...

(ზოგჯერ უწოდებენ... ჯეკურს), ...წახური, ბუდუხური, ხინალუღური, უდიური, არჩიბული. ზოგიერთი ამ ენათაგანი, - აღნიშნავს ის, - ხანდახან არ შეაქვთ ლეზგიურ ენათა შემადგენლობაში. ყველაზე ხშირად მათ არ მიაკუთვნებდნენ არჩიბულ ენას, რადგანაც მან თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განიცადა ძლიერი გავლენა ხუნძური და ლაკური ენებისა, რომლებთანაც მას ხშირად აახლოვებდნენ.[1]

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ დაწვრილებით გადმოგვეცა ზოგიერთი ავტორის მოსაზრება არჩიბულის ადგილის თაობაზე მონათესავე ენათა შორის. მკვლევართა წინაშე ეს საკითხი, როგორც ვხედავთ, ას წელზე მეტია დგას, მაგრამ სპეციალურად ის ჯერ არავის შეუსწავლია. "რა ჯგუფს მიეკუთვნება არჩიბული, საკვლევია".[2]

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში იბერიულ-კავკასიური ენების ინტენსიური კვლევით მიღებული ძირითადი მეცნიერული[3] შე-

---

1 Е.А. Б о к а р е в, Лезгинские языки, ЯН СССР, IV, 1967, გვ.524.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965, გვ.11; მ ი ს ი ვ ე, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ.371; მ ი ს ი ვ ე, Введение в языкознание, I, 1952, გვ.223; К.В.Л о м т а т и д з е, А.С. Ч и к о б а в а, Иберийско-кавказские языки, БСЭ, 1952, ტ.17, გვ. 250; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთის იბერიულ-კავკასიური ენები და მათი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში (გერმ.ენაზე - უნგრეთის მეცნ.აკად.შრომებში "აქტა ორიენტალია", 1961, № 9, გვ.111).

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942; მ ი ს ი ვ ე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკი-ს მოამბე, 1942, ტ.12; მ ი ს ი ვ ე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. I - ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, 1948; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, თუშ, 1930; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965; Е. А. Б о к а р е в, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских яз., Махачкала, 1961; Языки народов СССР, IУ, Иберийско-кавказские языки, Москва, 1967; Сравнительно-историческая лексика дагестанских языков (Авторский коллектив: С.М.Г а с а н о в а, Б.Х. И б р а г и м о в, П.Т.М а г о м е д о в а, У.А.М е й л а н о в а, Б.Б.Т а л и б о в. Ответственный редактор проф. Г.Б.М у р к и л и н с к и й), Москва, 1971...

დებები, როგორც ცნობილია, საშუალებას იძლევა დავადასტუროთ ამ ენათა წარმოშობითი ნათესაობა[1] და უფრო დაბეჯითებით ვიმსჯელოთ მათი ურთიერთგავლენის, განვითარება-ცვალებადობისა თუ სხვა საკითხების შესახებ როგორც ენათა ცალკეული ჯგუფებისა თუ ქვეჯგუფების შიგნით, ისე საერთოდ - იბერიულ-კავკასიურ ენათა ფარგლებში, ხოლო კვლევა-ძიების შედეგად წამოყენებული რიგი პრინციპული ხასიათის დებულება და მოსაზრება გამოვიყენოთ ამ ენების შემდგომი კვლევისათვის. აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი ის მოსაზრებანი და დებულებანი, რომლებიც ეხება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის რკვევის საკითხებს[2], მორფოლოგიური ფაქტების მნიშვნელობას ამ საკითხების კვლევისას[2], ბგერათშესატყვისობათა თავისებურებას ("ლინგვისტურ ფენათა მთლიანობის დარღვევა", "მიკროშესატყვისობანი") ამ ენებში[3], მონათესავე თუ არამონათესავე ენათა და დიალექტთა თავმოყრის ზონებში მოქმედ კანონზომიერებებს[4] და სხვ. და, რომლებსაც, ცხადია, ჩვენც ვეყრდნობით და ვიყენებთ დასმული საკითხის კვლევისას.

წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ენობრივი ფაქტი ყოფილიყო განხილვის საგანი, რათა შემდეგ საშუალება მოგვცემოდა ამ ენობრივი ფაქტებისაგან გამოგვეყო არჩეული ენის ისეთი მასალა და მოვლენები, რომლებსაც შესატყვისები თუ პარალელები ეძებნება დაღესტ-

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთის იბერიულ-კავკასიური ენები და მათი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში (გერმ. ენაზე - უნგრეთის მეცნ.აკად. შრომებში "აქტა ორიენტალია",1961, № 9, გვ.158).

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 395-396.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთის იბერიულ-კავკასიური ენები და მათი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში,გვ. 128,133...

4 А.С. Ч и к о б а в а, Узловые вопросы исторической фонетики иберийско-кавказских языков, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1967, გვ.4-5, მ ი ს ი ვ ე, დასახ.ნაშრ., გვ.133.

ნის მონათესავე ენებში და ამიტომ, ცხადია, მნიშვნელობა აქვთ სარკვევი საკითხის გადასაწყვეტად.

ქვემოთ ჩვენ სწორედ ასეთი ენობრივი მასალა გვექნება განხილული მონათესავე ენების სათანადო ფაქტებთან შეპირისპირებით. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთ ასეთ ფაქტზე წინამდებარე შრომაში უკვე არის გამახვილებული ყურადღება. მათ ჩვენ ამ თავში განვიხილავთ სხვა მსგავსი ხასიათის ფაქტებთან ერთად.

* * *

ჯერ კიდევ რ.ერკერტის შრომაში იყო ცდა, ერთმანეთთან დაეკავშირებინათ იბერიულ-კავკასიურ ენათა პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ - ს ა ხ ე ლ ე ბ ი.[1] საანალიზოდ გამოყენებული იყო არჩიბული მასალაც.[1] შემდეგ არჩიბული ნაცვალსახელები - მონათესავე ენების სათანადო მასალის გვერდით - განუხილავთ არაერთხელ. ნ.ტრუბეცკოიმ შესადარებლად გამოიყენა - ზონ "მე", უნ "შენ" და ჟვენ "თქვენ". მის შრომაში[2] არ ჩანს ნენ "ჩვენ", რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. მას, როგორც ეტყობა, გაუჭირდა არჩიბულის მრ.რ.პირველი პირის ნაცვალსახელისათვის შესატყვისების ძებნა მაშინ, როდესაც დანარჩენებს ასეთ შესატყვისებს უკვე რ.ერკერტიდან და ა.დირიდან მოყოლებული ადვილად უძებნიან ლ ე ზ გ ი უ რ ენებში. ჟ.დიუმეზილმა და ივ.ჯავახიშვილმა არჩიბული ენის მრ.რ. მეორე პირის ნაცვალსახელს, კერძოდ, მის ძირეულ თანხმოვანს - ლ-ს, ასეთი შესატყვისები დიდოურ ენებში[3] დაუძებნეს. ირიბ ბრუნვებში დამოწმებული ეგევე "ლ" უნდა იყოს ნ-ს სახით წარმოდგენილი არჩიბულის "ჩვენ" ნაცვალსახელის სახელობით ბრუნვაშიც: ნენ// ← *ნელ.[4]

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,II,გვ.85;368...

2 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, გვ.79.

3 G.Dumézil, Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, პარიზი,გვ.51; ივ. ჯ ა - ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ.563.

4 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,I,გვ.30.

ლეზგიური ენების პირველი პირის ნაცვალსახელის ზ, როგორც ეს ნაჩვენები აქვს არნ.ჩიქობავას, მომდინარეობს დ-საგან: "...დ, - წერს ის ხუნძურის დუნ "მე" ნაცვალსახელის "დ"-ს შესახებ, - დასტურდება ანდიურში (დინ), კარატაულში (დენ), დიდოურში (დი), დარგუულში (დუ//დულ); მისი ფონეტიკური ვარიანტი ნ უნდა გვქონდეს ლაკურში (ნა), დარგუულის აკუშურ დიალექტში (ნუ), იგივე დ → ძ → ზ გასდევს: კიურიულს (ზუნ), რუთულურს (ზუ), წახურულს (ზე), უდურს (ზუ), ბუდუხურს (ზუნ), არჭულს (ზუნ)"...[1]

პირველი პირის ნაცვალსახელის ძირად ზ დასტურდება მ ხ ო ლ ო დ ლ ე ზ გ ი უ რ ენებში. საერთოა ამ ენებისათვის აგრეთვე მხ.რ. მეორე პირის ნაცვალსახელის ძირეული თანხმოვანი ვ.[2] სათანადო შესატყვისები ეძებნება ყველა ლეზგიურ ენაში არჩიბულის მრ.რ. მეორე პირის ნაცვალსახელის ძირს ჟვ-ს. ცალკე დგას არჩიბული ენის მრ.რ. პირველი პირის ძირეული თანხმოვანი ლ. მისი ფარდის დაძებნა, როგორც დავინახეთ, ლეზგიურ ენებში არ ხერხდება, მაგრამ მას პარალელები ეძებნება დიდოურ ენებში (შდრ. დიდ.,ჰინუხ. ელი, ხვარშ.ილო, ბეჟ. ილე, ჰუნზ. ელე - "ჩვენ")[3], საიდაც ის ლატერალებიდან მომდინარე ჩანს (შდრ. ახვახ.,ბოთლ., ბაგვალ., კარატ., ჭამალ. ილ'-ი, ღოდობ. ილ'ე, ხუნძ. ნილ', ნილ‘, ნილ‘ა... "ჩვენ").[4]

ამრიგად, არჩიბული ენის პირის ნაცვალსახელებში გამოიყოფა ორი ფენა: ერთი - ძირითადი, რომელიც მას აკავშირებს ლეზგიურ ენებთან, და მეორე - არაძირითადი, რომელიც მასში ავლენს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენა-კილოთა კვალს.

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიმკი-ს მოამბე, XII, გვ.38.

2 შდრ. С.М. Г а с а н о в а, Местоимение (Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, 1971, გვ.228).

3 იხ. Языки народов СССР, ტ.IV,1967,გვ.410;427;445;462;479.

4 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიმკი-ს მოამბე,ტ.XII,გვ.37; ЯН СССР,ტ.IV,გვ.263;285;301;315;328;342;361;374;394.

ცვლილებები არჩიბული ენის პირის ნაცვალსახელებში ამით არ წყდება. არჩიბული (მეზობელი ლაკურის მსგავსად[1] და რამდენადმე მისივე გავლენით) კლას-ნიშნიანი სუფიქსების მეშვეობით პირის ნაცვალსახელებისაგან იწყებს უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოებას (შდრ. ზონ "მე" - ზონ-ა-ვუ, ზონ-ი-რუ... "მე თვით", ჟვენ "თქვენ" - ჟვენტუ "თვით თქვენ"...), შემდეგ კი მრავლობითი რიცხვის პირველი პირის უკუქცევითი ნაცვალსახელისაგან ინკლუზიურ ნაცვალსახელს ივითარებს.[2]

არჩიბული ენის პირის ნაცვალსახელებს, როგორც ვრწმუნდებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია - თანაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვანაირი. ცვლილებებში შესამჩნევი როლი სხვადასხვა ხასიათისა და სიძლიერის გარეშე ფაქტორებსაც უთამაშნია.

უკვე რ.ერკერტის შრომაში აღნიშნულია: თითქმის ყველა ლეზგიურ ენაში ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ს აწარმოებს -ნ; უდიურისა და ხინალუღურის ჲ-ს, როგორც ჩანს, ნ̲ მოკვეცილი აქვს.[3] იქვე ნათქვამია: ბუდუხური და ჯეკური თავიანთი ნათესაობითის ელემენტებით (-ჯა, -ჩა, -შ) ცალკე დგას; მხოლოდ რუთულურს აქვს ნათესაობითის ნიშნად -დ.[4]

შემდეგ ეგევე აზრი უფრო დაზუსტებულად გამოთქვა ევგ.ბოკარევმა. ის წერს: "ნათესაობითი ბრუნვა ლეზგიურში, თაბასარანულში, არჩიბულში, წახურში და ნაწილობრივ უდიურში ბოლოვდება -ნ-ზე...[5] ბუდუხურში ნათესაობითს დაბოლოებად აქვს ხმოვანი უ̲, რომელიც, შესაძლებელია, დენაზალიზაციის შედეგი იყოს.[6] მისი აზრით - ნათესაობითის -დ̲ რუთულურში წარმომშობით ზედსართავის მაწარმოებელია; ხინალუღურისა და

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.557.

2 ოტ. კ ა ხ ა ძ ე, ინკლუზიური და ექსკლუზიური ნაცვალსახელების თაობაზე არჩიბულში, იკე,XIV, 364-370.

3 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,II,გვ.85; იხ. აგრეთვე, ჟ. დ ი უ მ ე ზ ი ლ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.85.

4 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ., გვ.85.

5 Е.А. Б о к а р е в, К реконструкции падежной системы прадезгинского языка, გვ.45.

6 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.45; ჟ. დ ი უ მ ე ზ ი ლ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.85.

კრიწულის ნათესაობითი, რომელიც წარმოადგენს ირიბ ბრუნვათა ფუძეს და ზოგჯერ ემთხვევა ერგატივის ფორმასაც, გვიანდელი ცვლილებების შედეგია.[1]

ყოველივე ამის საფუძველზე ევგ.ბოკარევი ასკვნის: ნათესაობითი ბრუნვის ორიგინალი ნიშანი ლეზგიურ ენებში -ნ უნდა ყოფილიყო.[2]

არჩიბულში ლეზგიურ ენათათვის დამახასიათებელი ნათესაობითის ორივე ნიშანი დასტურდება – -ჭ-ც... და -ღ-ც... ეს უკანასკნელი დღეს ნათესაობითის ერთადერთი ნიშანია რუთულურში (მუხადურში) და -ნ-სთან ერთად გვხვდება წახურშიც, მაგრამ ისევე, როგორც არჩიბულში, მხოლოდ პირის ნაცვალსახელებში.[3]

დაღესტნის დანარჩენი ქვეჯგუფის ენებში (ხუნძურში..., ლაკურში...) ნათესაობითს სხვა ფორმანტები აწარმოებს. არჩიბული, როგორც ვხედავთ,ამ შემთხვევაშიც ლეზგიურ ენათა წყებაშია მოქცეული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. -ნ ნათესაობითის ნიშნად გვხვდება ნახურ ენებშიც, კერძოდ, ჩაჩნურსა და ინგუშურში.

ლეზგიურ ენებში მ ი ც ე მ ი თ ი ს ორი ძირითადი ნიშანია – -ს და-ზ.[4] საკუთრივ ლეზგიურში მიცემითს აწარმოებს -ზ.[5] თაბასარანულში – -ს და -ზ[6]; აღულურში -ს[7]; -ს გამოიყოფა წახურისა და მუხადურის მიცემითის მრავალრიცხოვან ფორმანტებში[8]; -ს გვაქვს

---

1 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.45-46.

2 იქვე, გვ.46.

3 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება წახურულში,იკე,XII,1960, გვ.415-416; მ ი ს ი ვ ე, წახური და მუხადური (რუთულური) ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაცია- მანქანაზე გადაბეჭდილი),1965; გვ.625;698-699.

4 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ.,II,გვ.85; Е.А.Б о к а р е в, К реконструкции падежной системы пралезгинского языка,გვ. 44-45.

5 П. У с л а р, Кюринский яз., Л.И.Ж и р к о в, Грамматика лезгинского языка, У.А. М е й л а н о в а, Морфологическая и синтаксическая характеристика падежей лезгинского языка...

6 А.А.М а г о м е т о в, Табасаранский яз.,99,112.

7 А.А.М а г о м е т о в, Агульский яз.,გვ. 73.

8 Е.Ф.Д ж е й р а н и ш в и л и, Основные вопросы фонетики и морфологии цахского и мухадского (рутульского) яз., (ავტორეფერატი),გვ.41-45;48-51.

საკუთრივ კრიწულში, -ზ- - დანარჩენ დიალექტებსა[1] და ბუდუ-ხურში.[2]

ლეზგიური ენების მიცემითის ეს ძირითადი ნიშნები არ ჩანს ხინალუღურსა[3] და უდიურში[4], რაც მერმინდელი ცვლილებების შედეგი უნდა იყოს.

არჩიბულში ლეზგიურ ენათათვის დამახასიათებელი მიცემითის ორივე ნიშანია დამოწმებული: -ს-ც და -ზ-ც. ასე რომ, ის მიცემითის ფორმანტების მიხედვითაც ლეზგიურ ენებს ეკედლება.

მაგრამ ამ შემთხვევაში არჩიბულის გენეტიკური კავშირი დანარჩენ ლეზგიურ ენებთან მარტო მიცემითის ნიშნების იგივეობით არ იფარგლება. აქ ეს კავშირი გაცილებით მკვიდრი და საფუძვლიანი ჩანს, მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: არჩიბულს ისევე, როგორც დანარჩენ ლეზგიურ ენებს, ინფინიტივის საწარმოებლად აქვს -ს და -ზ, ე.ი. იგივე ნიშნები, რაც მიცემითშია წარმოდგენილი. სახელური და ზმნური ფორმებისა და ფორმანტების ასეთი კავშირი ცნობილია სხვა ენებიდანაც[5], კერძოდ, არჩიბულის მონათესავე დაღესტნის რიგი ენიდანაც, სადაც, როგორც ვარაუდობენ, მსგავსი ზმნური ფორმე-

---

1 Ш.М. С а а д и е в, Опыт исследования крыв.яв. (ავტორეფერატი), გვ.17.

2 Ю.Д.Д е ш е р и е в, Будухский яв., ЯН СССР, IУ, გვ.646.

3 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ.ნაშრ., II, გვ. 83; Ю.Д. Д е ш е р и е в, Грамматика хиналугского яв.,24.

4 ვლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე, სახელთა ბრუნებისათვის უდურში, ენიმკი-ს მოამბე, I, გვ. 123-139; В.Н. П а н ч в и д в е, Е.Ф. Д ж е й р а н и ш в и л и, Удинский яв., ЯН СССР, IV, გვ.676.

5 Г. П а у л ь, Принципы истории явыка, Москва, 1960; А. М е й е, Обшеславянский явык, Москва, 1951...

ბის (ინფინიტივის, აბსოლუტივის...) აფიქსები მიცემითის ნიშნები-დან მომდინარეობს. ასევე წარმოშობისა უნდა იყოს არჩიბულის ინ-ფინიტივის ნიშნები -ს და -ბ[1], ე.ი. ისინიც წარმოშობით მიცემი-თის ფორმანტებია.[2]

ამრიგად, ირკვევა, რომ არჩიბულისა და ლეზგიური ენების მი-ცემითის ფორმანტთა კავშირი - მათი მატერიალური იგივეობა, სრუ-ლიადაც არ არის შემთხვევითი; ის კანონზომიერ ხასიათს ატარებს და, როგორც ვხედავთ, დასტურდება მიცემითის ნიშნებთან გენეტურად დაკავშირებული ინფინიტივის... ფორმანტთა შორის არსებული ასეთი-ვე კანონზომიერი კავშირით. ნათელია აგრეთვე ლეზგიური ენების ზე-მოთ განხილული ფორმანტებისა და დარგუული ენის მიცემითისა და ინ-ფინიტივის ნიშნების - -ც-ს, -ზ-ს და -ჟ-ს[3], მატერიალური იგივეო-ბა. ოღონდ სარკვევია ლეზგიური და დარგუული ენების ფორმანტთა ას-ეთი, საფიქრებელია, არაშემთხვევითი დამთხვევის მიზეზი, მით უმე-ტეს, რომ ცნობილია ამ ენათა შორის მსგავსი დამთხვევის სხვა მაგა-ლითებიც.

გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება აგრეთვე ლეზგიური ენ-ების ინფინიტივის -ზ ნიშანსა და ხუნძურის (ანდიურის...) ინფი-ნიტივის დ-სა (→ ზ-სა)[4] და ლაკურის ინფინიტივის -ნ-ს (← *დ) შორის:

ლეზგ. ზ, ხუნძ. დ (→ ზ), ლაკ. -ნ.

ზემოთ ანალოგიური შეფარდება ილუსტრირებული იყო ნაცვალსახე-ლების მაგალითზე. ასეთი ბგერათშესატყვისობა მისაღებია მიცემითის

---

1 N.Troubetzkoy, Notes sur les désinences du verbe dans les langues tchétchéno-lesgiennes... Л.И. Ж и р к о в, Грамматика даргинского языка, გვ.20; მ ი ს ი ვ ე, თაბას. ენა, გვ.114; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.301; დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დიდოური ენა, გვ.165...

2 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ. ნაშრ.

3 ა. მ ა ჲ ო მ ე ტ ო ვ ი, კუბაჩური ენა, გვ.98-102;105;183.

4 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში (ავარიულში), ენიმკი-ს მოამბე, I, გვ.92-95.

ნიშნებს შორისაც. მართლაც, ლეზგიური ენების მიცემითის -ზ-ს ფარდად ლაკურში -ნ გვაქვს. ხუნძურში უნდა გვქონოდა დ, მაგრამ არა გვაქვს. სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია[1], რომ მიცემითის დღევანდელი -ე ფორმანტის წინ ასეთი ნიშანი -რ-ს სახით, რომელიც მეოთხე კლასის ექსპონენტია და დ-სგან მომდინარეობს, როგორც ხუნძური ენის დიალექტთა სათანადო ფაქტები და ანდიური ენის მონაცემები მოწმობს[2], თავის დროზე ხუნძურსაც უნდა ჰქონოდა.[2] ასე რომ, დაღესტნის სამივე ქვეჯგუფის ენათა შორის ბგერათფარდობა აქაც ისეთივეა, როგორც წინა ორ მაგალითში: ლეზგიური ენების ზ-ს შეესატყვისება ხუნძურის დ და ლაკურის -ნ.

ლეზგიური ენების უმეტესობას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ოთხი ძირითადი ბრუნვა აქვს; ესენია: სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი და მიცემითი.[3] სახელობითი ლეზგიურ ენებში წარმოდგენილია წმინდა ფუძის სახით. ის, როგორც ფუძე, ჩვეულებრივ საყრდენია დანარჩენ ბრუნვათათვის. ორფუძიანი ბრუნების დროს ლეზგიურ ენებში მეორე ფუძედ შეიძლება მოგვევლინოს ერგატივის ან ნათესაობითის ფორმა. ყველაზე ნათელი და მარტივი სურათი ერგატივის საყრდენ ბრუნვად გამოყენებისა გვაქვს საკუთრივ ლეზგიურში, თაბასარანულსა და აღულურში. ორიოდე გამონაკლისის გარდა, ლეზგიურ ენებში ე რ გ ა ტ ი ვ ი მრავალფიქსიანი ბრუნვაა. ერგატივის ფორმანტთა რიცხვი აქ ორმოცამდე აღწევს.

დაღესტნის დანარჩენ ენათაგან ლეზგიური ენები ე რ გ ა ტ ი ვ ი ს ნიშანთა სიმრავლით გამოირჩევიან: მათთვის ერგატივის ნი-

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიმკი-ს მოამბე, XII, გვ.47-50.

2 იქვე, გვ.47-50.

3 Е.А. Б о к а р е в, К реконструкции падежной системы пралевгинского явыка, გვ.44-47; იხ. აგრეთვე, ЯН СССР, ტ.IV, გვ.531;549;565;583;595...

შანთა, შეიძლება ითქვას, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი სიმრავლეა ნიშანდობლივი; მაგ., საკუთრივ ლეზგიურ ენაში ერგატივის ოცამდე ფორმანტს გამოყოფენ: -დი (-ძი, -ზი, -ცი, -წი; -ჯი, -ჩი; -თი, -ჭი), -ნი, -რა(რა'), -რე; -ი, -ა, -უ, -უ', -ჷ[1]; ტაბასარანულში თორმეტს – -დი (-ჯი, -ჩბი, -თბი), -ნი, -ნუ, -რი, -რუ, -ლი, -ჭი (→ -ჭ), -ი, -უ[2]; აღულურში ათს – -დი, -ნი, -ნა, -რა, -ლა, -ჭი, -ჭ, -ი, -უ, -ა[3]; წახურში ცამეტზე მეტს – -ან, -ა̄ნ, -ინ, -ჷნ, -ნ, -ა̄, -ა̈, -შინ(-ნ), -შა̈, -შინ(ა̈, -ნ), -დ(ყ̂ე → ღყ̂ე (I კლ.), -დ ე̄ → -ღე̄(II კლ.)[4]; მუხადურში (რუთულურში) თოთხმეტზე მეტს – -არა, -ა̈რა̈, -ერ-ა, -ჷ-რ-ა, -ირ-ა̈, -რ-ა, -რა̈; -ა̈ლ-ჷრა, -ლ, -დირა̈, -ნიჭა̈, -ჭ-ა̈, -შ-ა̈, -ა, -ა̈...[5]

ერგატივის ყველა ეს თავისებურება, განსაკუთრებით კი მისი მრავალაფიქსიანობა და საყრდენ ფუძედ გამოყენებისას ერგატივის ნიშნის "გამჭვირვალობა", დამახასიათებელია არჩიბულისათვისაც. ის ამ მხრივადაც ტიპიური ლეზგიური ენაა და გვერდში უდგას ისეთ ძირითად ლეზგიურ იდიომებს, როგორიცაა – საკუთრივ ლეზგიური, ტაბასარანული, აღულური, წახური, მუხადური... აქვე – ამ ფაქტის ნათელსაყოფად – ერთხელ კიდევ გვინდა მოვიყვანოთ არჩიბული ენის ერგატივის ნიშნები:

---

1 П. У с л а р, Кюринский язык, 1876; Л.И. Ж и р к о в, Грамматика лезгинского языка, 1941; У.А. М е й л а н о в а, Морфологическая и синтаксическая характеристика падежей лезгинского языка, 1960; მ ი ს ი ვ ე, Очерки лезгинского языка, 1964; მ ი ს ი ვ ე, Лезгинский язык, ЯН СССР, IV, 1967...

2 ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი, ტაბასარან. ენა, გვ.64; ა. მ ა გ ო მ ე ტ ო ვ ი, ტაბასარან. ენა, გვ.100.

3 ა. მ ა გ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ. ენა, 1970 წ.

4 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება წახურში, იკე, XII; მ ი ს ი ვ ე, წახურ და მუხადურ (რუთულურ) ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), 1966, გვ.44-45...

5 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ.50-51.

-ნი, -ლი → (-ლა..., -ლ-, -ნი, -ნ-, -ი, 0); -რი, -რა, -რი; -ა, -ი, -ჲ; -დე (← *დაჲ), -თხაჲ →// -თხეჲ →// -თხე → (-ნე, -ლე, -რე, -ეჲ, ე), -ჩაჲ (→ -ჩე); -შაჲ (→ -შე), -ში (→ -შე-), -შუ (→ -შე-).

ლეზგიურ ენებში ერგატივის ნიშნები ორ ჯგუფად იყოფა – ოდენ ხმოვნიან აფიქსებად და თანხმოვნისა და ხმოვნის ან მხოლოდ თანხმოვნის შემცველ ფორმანტებად.

თანხმოვან სუფიქსთაგან უნდა გამოვყოთ ის ძირითადი ფორმანტები და მათი ფონეტიკური ვარიანტები, რომლებიც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ფართოდაა გავრცელებული დაღესტნის ენებში და მათი "...მორფოლოგიის ღრმა ფენათა კუთვნილებაა".[1] აქ იგულისხმება ერგატივის -დ თანხმოვნიანი სუფიქსი და მისი ვარიანტები[2], კერძოდ, ლეზგიურ ენათა ერგატივის შემდეგი ფორმანტები: -დი (-ძი, -ზი, -ცი, -წი, -ჯი, -ჟი, -ჩხი, -ჩი, -ჭი, -თხი, -თი...), -და; -ნი, -ნა, -ნუ; -რი, -რა, -რუ, -რ; -ჲი; -ლი, ლა...

სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ერგატივის -დი ფორმანტის ფონეტიკური ვარიანტები – -ნი//-ლი სუფიქსები – არჩიბულშიც იხმარება.[3] იქვე ისიცაა ნაჩვენები, რომ ერგატივის დ- თანხმოვანი დაღესტნის მონათესავე ენებში სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ, ხუნძურში დ-სა და ზ-ს სახით[4], ანდიურში დ-სა და ტ-ს სახით[5], ლეზგიურში დ-ს (→ ზ-ს), ნ-ს და რ-ს სახით[6] და სხვა.

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში, იკე, II, 1948, გვ.111...

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ.ნაშრ., გვ.104...

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ.109.

4 იქვე, გვ.101-104.

5 იქვე, გვ.104.

6 იქვე, გვ.106-107.

ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ არჩიბულშიც, მსგავსად ლეზგიური ენებისა, დ̱-ს ფონეტიკური ვარიანტებია არა მარტო ლ̱ და ნ̱, არამედ რ̱-ც, რომელიც წარმოდგენილია არჩიბულის ერგატივის შემდეგ ნიშნებში: -რი, -რა, -რო.

ამრიგად, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია ნაჩვენები, არჩიბულშიც დასტურდება ერგატივის - დაღესტნის ენათათვის საერთო - -დ- თანხმოვნიანი სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტები; მაგრამ ამ ფონეტიკური ვარიანტებით, კერძოდ: ნ̱-თი, რ̱-თი და ლ-თი, არჩიბული მოქცეულია დაღესტნის ენათა არა დასავლურ ჯგუფში (ხუნძური, ანდიური...), არამედ ის ამ შემთხვევაშიც აღმოსავლურ ჯგუფს (ლეზგიურ ენებს, დარგუულს) ეკედლება.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ლეზგიურ ენებში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ერგატივის ოდენ ხმოვნიანი აფიქსები[1] - ი̱, -უ̱, -ა̱... კერძოდ,საკუთრივ ლეზგიურის ფორმანტები: ი̱, ე̱, ა̱, უ̱, უ̱', თაბასარანულის -ი̱, უ̱, აღულურის - ი̱, უ̱, ა̱, წახურ-მუხადურის - ა̱, ა̈...

არჩიბული ამ შემთხვევაშიც ლეზგიურ ენებს მიჰყვება. მასაც აქვს ერგატივის ოდენ ხმოვნიანი ფორმანტები, სახელდობრ - -ა̱ და -ი̱.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არჩიბულში, ლეზგიურ ენათა მსგავსად, ფართოდაა გავრცელებული არა მარტო ერგატივის -დ- თანხმოვნიანი ფორმანტის ფონეტიკური ვარიანტები: -ნი, -ლი, -რა..., არამედ ამ ენებისათვის დამახასიათებელი ერგატივის ოდენ ხმოვნიანი აფიქსებიც.

არჩიბულში გვაქვს ერგატივის ნიშნები, რომლებიც, როგორც ჩანს, ნაცვალსახელური წარმოშობისაა. ისინი გარკვეული ნაცვალსახელებისგან ერგატივის ნიშნებად არჩიბულშივე ჩამოყალიბდნენ, ამიტომ მონათესავე ენების ერგატივის აფიქსებში, კერძოდ, ლეზგიური ჯგუფის ენათა აფიქსებში, პარალელები არ ეძებნებათ. მათთვის ასე-

---

1 П. У с л а р, Кюринский язык, გვ.23; ა. მ ა ჰ ო - მ ე ტ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.100,113...

თი პარალელების დაძებნა მხოლოდ ნაცვალსახელებში ხერხდება; ერგა-ტივის ეს ნიშნებია: -მუ (← *მა-ვ), -მი (← *მა-ჲ), -მა-ჲ (← *მა-ი), -თბე// ← თბე-ჲ//←თბა-ჲ (← *-და-ჲ → დე-ჲ →)//-დე[1] და -ჩა-ჲ (← თბა-ჲ ← *და-ჲ).

-მუ და -მი მონათესავე ენათაგან ლაკურსა და ლეზგიური ქვე-ჯგუფის ენებს, კერძოდ, მათ ნაცვალსახელებს, შეუდარა ნ.ტრუბე-ცკოიმ.[2]

ლეზგიური ენების მასალა, რომელსაც უკავშირდება არჩიბულის ერგატივის ნიშნები - -მუ, -მი და აგრეთვე -მაჲ, შემდეგია: საკუთრივ ლეზგიური - იმ "ეს", ამ "ის"[3], თაბასარანული - -მუ "ეს"[4], აღულური[5] და უდიური[6] - მე "ეს", მუხადური - მი "ეს"[7], წახური - მან (მანა) "ის"//"ეგ"[8], კრიწული - ა'მ, ამ "ის"...[9]

"მ" თანხმოვნიანი ნაცვალსახელი გვაქვს არჩიბულშიც: ჲამუ... "ეგ".

უდიურში, აღულურში, წახურსა და მუხადურში მითითებით ნა-ცვალსახელებს, კერძოდ, მე-ს, მან-სა და მი-ს, მნიშვნელობის გა-საძლიერებლად შეიძლება დაერთოს ემფატიკური პრეფიქსები:[10] ჰა- - პირველ ორს, და ჰე- - უკანასკნელს: ჰე-მე (← *ჰა-მე)[11], ჰა-

---

1 შდრ. Б.К. Г и г и н е й ш в и л и, Общедагестанская система взрывных согласных„მაცნე", 4, 1970, გვ.182.

2 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, გვ.81.

3 У. М е й л а н о в а, Лезгинский яз., ЯН СССР, IV, გვ.534.

4 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.178.

5 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.109-111.

6 В.Н. П а н ч в и д з е, Е.Ф. Д ж е й р а н и ш в и л и, Удинский яз., ЯН СССР, IV, გვ.681.

7 ევ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახური და მუხადური (რუ-თულური) ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სადო-ქტორო დისერტაცია), გვ.543.

8 იქვე, გვ.539.

9 Ш.М. С а а д и е в, Опыт исследования крызского языка (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი),1972,გვ.26.

10 ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი, თაბასარან.ენა, გვ.101.

11 А. М а г о м е т о в, Агульский яз., ЯН СССР, IV,გვ.569.

მე, ჰა-მან[1], ჰე-მი[2] "სწორედ ეს", "სწორედ ეგ", "სწორედ ის". ასეთივე შედგენილობისაა აგრეთვე ლეზგიური ჰამ (← ჰა-ამ) "სწორედ ის"[3] და თაბასარანულის ჰამუ (← ჰა+მუ), რომლის ამოსავალი მნიშვნელობა "სწორედ ეს" დღეს სუსტად იგრძნობა. ჰ ა მ უ ამჟამად, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, თაბასარანულში მუ-ს "ეს"[4] ენაცვლება.

მსგავსი შედგენილობისა ჩანს არჩიბული ჲი-მუ-ც (შდრ. თაბასარანული დუ-მუ "ის")[5] "ეგ", რომლის პირველი კომპონენტი არჩიბული ჲა- (ჲა-თ, ჲა-ბ... "ეს") ნაცვალსახელი უნდა იყოს, მეორე კი - ის ნაცვალსახელური ელემენტი, რომელსაც, ერთი მხრივ, უკავშირდება არჩიბულივე ერგატივის ნიშნები - -მუ, -მი და მაჲ, მეორე მხრივ, ლეზგიური ენებისა და ლაკურის საერთო ნაცვალსახელები.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდოური ენების ჩანართი ელემენტები - -მუ, -მე, -მი, -მა[6], რომლებიც ამ ენებში ერგატივის ფორმანტის ფუნქციას ასრულებენ. კითხვა ისმის: ხომ არაფერი აქვთ მათ საერთო არჩიბულის ერგატივის ნიშნებთან - -მუ-სთან, -მი-სთან და -მაჲ-სთან?

-ჩაჲ-ს ჩ ა.დირს შესაძლებლად მიაჩნია შეუდაროს ნახურის მრ. რ. ირიბ ბრუნვათა შ-ს და ჩაჩნურის მრ.რ. შ-ს[7]; მაგრამ არჩიბულში ოდინდელი აფრიკატები ჩ და ც შემონახული არ უნდა გვქონდეს

---

1 ევ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.539.

2 იქვე, გვ.543.

3 У.А. М е й л а н о в а, Лезгинский яз., გვ.534.

4 ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი, თაბასარან.ენა, გვ.101.

5 იქვე, გვ.100.

6 Е.А. Б о к а р е в, Цезские (дидойские) языки ..., გვ.115;185;266-267; Д. И м н а й ш в и л и, Дидойский яз., გვ.53;139;143...

7 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.13.

(იხ.ქვ.), ამიტომ ისმის კითხვა: რა წარმოშობისაა ეს არჩიბული ჩ, უფრო ზუსტად - რა წარმოშობისაა არჩიბული ერგატივის ფორმანტი -ჩაჲ?

მეზობელ მონათესავე ენებში (ხუნძურში, ლაკურში, დიდოურში ...) მსგავსი ფორმანტი ერგატივში არ დასტურდება, რომ გვევარაუდნა მისი იქიდან მომდინარეობა; სხვა მონათესავე ენებში, როგორც ზემოთაა ნათქვამი, არ ჩანს მისი მატერიალურად ფარდი ერგატივის ნიშანი, რომ გაგვერკვია - რა კავშირში არიან ისინი ერთმანეთთან; თვით არჩიბულში კი არ გვაქვს ისეთი ნაცვალსახელი, რომ შეგვძლებოდა - ჩაჲ-ს მასთან უშუალოდ დაკავშირება. გამოდის რომ, ჩაჲ-ს არა მარტო მონათესავე ენებში არ ეძებნება პარალელები, არამედ - ერთი შეხედვით - თვით არჩიბულშიც არ უჩანს სათანადო საყრდენი, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, თორემ ასეთი საყრდენი -ჩაჲ-ს არჩიბულში, ვფიქრობთ, უნდა ჰქონდეს. მხედველობაში გვაქვს ერგატივის მრ.რ. ფორმანტი -თბაჲ, რომლისგანაც სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში უნდა მიგვეღო -ჩაჲ (← თბაჲ). ზემოთ ნაჩვენებია რა პირობებში გვხვდება -თბაჲ და როდის - -ჩაჲ. მოყვანილია გამონაკლისების ორიოდე მაგალითიც, ამიტომ ამაზე მეტს აქ არ შევჩერდებით. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ თანხმოვანთა ანალოგიური ცვლილებები ცნობილია ლეზგიური ენებიდანაც, სადაც ისინი დასტურდება ერგატივის ფორმანტებშიც კი[1]. ასე რომ, -ჩაჲ ← -თაჲ არჩიბულშიც სარწმუნო ჩანს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არჩიბულში დადასტურებულია დ-ს ჯ-ში შესაძლო გადასვლის ფაქტიც: დახთბი →// ჯახთბი "დაარტყა"...

-ჩაჲ -თბაჲ-ს მეშვეობით შეიძლება დავუკავშიროთ არჩიბულისავე "ტ" თანხმოვნიან ნაცვალსახელ თოვ-ს (I კლ.) "ის"; შდრ. თებ "ისინი" (ერგ.თეჲ-მაჲ) და თენა-თავ (I კლ.) "აი ის"...

----

1 У.А. М е й л а н о в а, Морфологическая и синтаксическая характеристика падежей лезгинского языка, გვ.8-9; ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.100.

რაც შეეხება თივ-ს (თირ - IIკლ., თიბ - IIIკლ., თით - IV კლ.), კერძოდ, მის ძირეულ თანხმოვანს -თ̱-ს, მას ფარდი ეძებნება მეორე დ̱-ს სახით ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენებში, თ̱-ს სახით - დარგუულ-ლაკურში და დ̱-თ̱-ტ̱-ს სახით - ლეზგიურ ენებში. ამოსავალი ვითარება იმ ენებში (ხუნძური, ხინალუღური...) უნდა გვქონდეს დაცული, სადაც დ̱ გვაქვს. თ̱, ტ̱ და სხვ. დ̱-ს რეფლექსებია. ასეთი მიმართება: დ̱- თ̱ʰ-თ̱-ტ̱ ან გ̱-ქ̱ʰ-ქ̱-კ̱..., სხვა მაგალითებითაც დასტურდება და დაღესტნის ენათათვის დამახასიათებელ ბგერათფარდობად უნდა იქნეს მიჩნეული.[1]

არჩიბული ნაცვალსახელი თავისი "თ̱" თანხმოვნით ეკედლება ლაკურ-დარგუულსა (შდრ.ლაკ. თა, დარგ. უთ "ის") და ლეზგიურ ენებს, კერძოდ: აღულურს (თე "ის"), რუთულურსა (თი "ის") და ნაწილობრივ თაბასარანულს (თუ-მუ "ის"). არაა გამოსარიცხი არც ხუნძური ფორმის გავლენა; შდრ. ხუნძ. დოვ - არჩ. თოვ...

ამრიგად, ერგატივის -თაჲ (← *დაჲ) → -ჩაჲ მონათესავე ენებს უკავშირდება "თ̱" თანხმოვნიანი მითითებითი ნაცვალსახელის მეშვეობით. ეს უკანასკნელი კი, როგორც დავინახეთ, მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ლეზგიურ და ლაკურ-დარგუულ ენათა ნაცვალსახელებთან, ვიდრე ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენების შესაბამის მასალასთან.

ლეზგიურ ენათაგან ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ბრუნვები პირვანდელი სახით, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაცულია - საკუთრივ ლეზგიურში, თაბასარანულსა და აღულურში. აქ ისინი ქმნიან ბრუნვათა საკმაოდ მყარ წყებებს (სერიებს). თითოეულ წყებაში შემავალ ბრუნვათა მაქსიმალური რაოდენობაა სამი - ადგილობითი, მიმართულებითი და დაშორებითი. ზოგიერთი წყება დეფექტურია - აკლია რომელიმე ბრუნვა. მიმართულებითი და დაშორებითი იწარმოება საკუთრივ ადგილობითისაგან, ადგილობითი - სახელობითისაგან (ერთფუ-

---

1 გ. კ ლ ი მ ო ვ ი, ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

ძიანი ბრუნების დროს) და ერგატივისაგან (ორფუძიანი ბრუნების დროს). ერგატივის ნიშანი ადგილობითი ბრუნვის ფორმანტის დართვისას არ განიცდის რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებებს, ამიტომ მისი შემჩნევა და გამოყოფა, როგორც ადგილობითი ბრუნვის ნიშნის საყრდენი ფორმანტისა, ძნელი არ არის.

ძირითადად ასეთივე მდგომარეობაა არჩიბულშიც; აქაც ადგილობით ბრუნვათა თითოეულ წყებაში სამ-სამი ბრუნვა შედის. მიმართულებითი და დაშორებითი იწარმოება ადგილობითისაგან, ადგილობითი სახელობითისა ან ერგატივისაგან, რომლის ადგილი, როგორც ადგილობითი ბრუნვების საყრდენი ფორმისა, აქაც ისევე ნათელია, როგორც ზემოხსენებულ ლეზგიურ ენებში. მაგრამ, ხსენებულ ენათაგან განსხვავებით, ადგილობით ბრუნვათა ერთ წყებას (სერიას) არჩიბული ენის განვითარების საკმაოდ ადრეულ საფეხურზე, სავარაუდოა, არჩიბულში ხუნძურ-ანდიურ-დიდოური მძლავრი ენობრივი ფენის შეჭრის შედეგ, განუცდია არსებითი ხასიათის ცვლილებები; კერძოდ, ადგილობითი ბრუნვის ძველი ფორმანტი -ჳ-, რომელსაც სათანადო შესატყვისები ეძებნება ლეზგიურ ენებში[1], შერწყმია მიმართულებითისა და დაშორებითის ნიშნებს (-რაქ, -რაშ). მის ნაცვლად ადგილობითი ბრუნვის ფორმანტად თავი უჩენია ლეზგიურ ენათათვის უცნობ ნიშანს - -ლ‘ხუ // -ლ‘უ-ს. შედეგად მივიღეთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური აგებულების ბრუნვათა წყება, სახელდობრ, დღევანდელი არჩიბულის ადგილობით ბრუნვათა მეხუთე წყება, სადაც, დანარჩენი ადგილობითი ბრუნვების წყებათაგან განსხვავებით, ადგილობითი ბრუნვის ფორმანტი -ლ‘ხუ / -ლ‘უ არ არის წარმოდგენილი მიმართულებითისა და დაშორებითის ფორმანტების წინ.

ენაში მიმდინარე არსებითი ცვლილებების შედეგად უნდა იყოს ჩამოყალიბებული აგრეთვე დღევანდელი არჩიბულის ბრუნვათა მეექვსე წყებაც, სადაც, მსგავსად ლაკურისა და, საფიქრებელია, რამდენად-

---

1 ჟ. დ ი უ მ ე ზ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.85.

მე მისივე გავლენით, საკუთრივ ადგილობითი ბრუნვა იწარმოება ნათესაობითი ბრუნვისაგან მაშინ, როდესაც დანარჩენი ადგილობითი ბრუნვები არჩიბულში, როგორც ვიცით, ნაწარმოებია ერგატივისაგან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია აგრეთვე ადგილობით ბრუნვებს წახურსა და მუხადურში, სადაც საკმაოდ მკაფიოდაა გამოხატული წყებათა (სერიათა) მოშლის ტენდენცია. უფრო შორსაა ამ მხრივ წასული პროცესი კრიწულში, ბუდუხურში, ხინალუღურსა და უდიურში. არჩიბულის ადგილობით ბრუნვათა სისტემაშიც, როგორც ზემოთაა ნაჩვენები, მომხდარა ცვლილებები, მაგრამ წყებათა (სერიათა) უმეტესობას წყებაში შემავალ ბრუნვათა შედგენილობისა და წყების (სერიის) სტრუქტურის მიხედვით ისევე, როგორც ლეზგიურში, თაბასარანულსა და აღულურში, შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე.

ამრიგად, არჩიბული ამ შემთხვევაშიც ძირითადად ლეზგიურ ენებს მიჰყვება. ადგილობით ბრუნვათა სისტემაში დადასტურებული განსხვავებანი მეორეული ხასიათისაა და მნიშვნელოვან წილად გარეშე ფაქტორების გავლენით აიხსნება.

ლეზგიურ ენათა უმეტესობაში დამოწმებულია ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე ადგილობითი ბრუნვების ოთხი (ხუთი) წყება; ესენია: - "ში" (= "შორის"), "-ქვეშ", "-ზე", "-თან" (= "ახლოს"). შეინიშნება აგრეთვე, რომ თითოეული ამ წყების საკუთრივ ადგილობითი ბრუნვის ნიშანი ამა თუ იმ ლეზგიურ ენაში წარმოდგენილია სათანადო კანონზომიერი შესატყვისით.[1]

"ში" ბრუნვას, რომელსაც ჩვეულებრივ ხმოვანი აფიქსები გამოხატავენ, ლეზგიურში ფორმანტად აქვს ა̲ →// ე̲[2], თაბასარანულში, კერძოდ, მის დიუბეკურ თქმაში - ყ̲ მომდევნო ხმოვნით (ყი...)[3],

---

1 ჟ. დიუმეზილი, დასახ. ნაშრ., გვ.85. Е.А. Бокарев, К реконструкции падежной системы пралезгинского языка, გვ.47-50.

2 გ. თოფურია, ერგატივისა და ადგილობითი IV ბრუნვის ურთიერთობისათვის ლეზგიურ ენებში, გვ.176-183.

3 ა. მაგომედოვი, თაბასარან. ენა, გვ.119-120.

აღულურში - მხოლოდ ყ̲[1], რომელსაც, სავარაუდოა, ადრე ხმოვანიც ახლდა (ყ̲ ← *ყ̲ი...), ნახურში - ა̲, ა̲̄, ე̲, ე̲̄[2], მუხადურში - ა̲, ი̲, ჷ̲[3], კრიწულში - ა̲', ა̲[4] და ბუდუხურში - ა̲[5]...

შინაგანი სიცარიელის მქონე საგნის შიგნით მდგომარეობის გამომხატველ ადგილობით ბრუნვას არჩიბულშიც ხმოვანი აფიქსი, კერძოდ, - ა̲ გამოხატავს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სავარაუდოა, რომ ადგილობითის ეგევე ფორმანტია წარმოშობით უდიურის მიცემითის ძირითადი ნიშანი -ა̲-ც.[6]

„ში" ბრუნვის გამოსახატავად, როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა ლეზგიური ენა ოდენ ხმოვნიან ფორმანტს იყენებს და თითქმის ყველა ლეზგიურ ენაში ამ ბრუნვის ფორმანტად გვევლინება ა̲. ცალკეულ ლეზგიურ ენებში ა̲ ხმოვანთან ერთად შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე - გრძელი ა̲̄, ფარინგალური ა̲', ე̲, გრძელი ე̲̄, ი̲ ან ჷ̲. ოდენ ხმოვნიანი აფიქსები ამ მნიშვნელობით ცნობილია დაღესტნის სხვა ენებიდანაც[7], მაგ., დიდოური ენებიდან[8], მაგრამ აქ, ჯერ ერთი, სხვა ხმოვ-

---

1 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.81.

2 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ნახურ და მუხადურ... ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), გვ.48.

3 იქვე, გვ.54.

4 Ш.М. С а а д и е в, Склонение существительных..., გვ.249; მ ი ს ი ვ ე, Крывский яз., ЯН СССР, ტ.IV, გვ.632; მ ი ს ი ვ ე, Опыт исследования крывского языка (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), გვ.18.

5 Ю.Д. Д е ш е р и е в, Будухский яз., ЯН СССР, ტ.IV, გვ.647-649.

6 ვლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე, სახელთა ბრუნება უდურში, ენიმკი-ს მოამბე, I, გვ.127-128.

7 ე. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.49, შენიშვნა 10.

8 Д.И м н а й ш в и л и, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками, გვ.149-150; Е. Б о к а р е в, Гинухский яз., ЯН СССР, IV, გვ.441.

ნებთან ერთად აფიქსად გვხვდება ლაბიალური ხმოვანიც[1], რაც ლეზ-გიურ ენებში არ არის დამოწმებული, მეორეც, დანარჩენ დაღესტნურ ენებში (ხუნძურში, ანდიურ ენებში, ხვარშიულში...) ამ ბრუნვის ფორმანტებად ხმოვან აფიქსებთან ერთად წარმოდგენილია ისეთი აფი-ქსებიც, რომლებიც თანხმოვნებსაც შეიცავენ.[2]

ამრიგად, არჩიბული ამ შემთხვევაშიც შორდება დაღესტნის ისეთ ენებს, როგორიცაა ხუნძური, ანდიური... და ლეზგიურ ენებს მიჰყვე-ბა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი დიდიურ ენებთან მსგავ-სებაც, რაც სხვა ფაქტებითაც დასტურდება და ყურადღებას იქცევს.

ჯ და ხ ფორმანტების მიხედვით ერთ ბრუნვად მიაჩნიათ ისეთი განსხვავებული სემანტიკის ფორმები, როგორიცაა ლეზგიურის, თაბა-სარანულისა და აღულურის ბრუნვები - მნიშვნელობით "უკან" (მაწარ-მოებელი - ჯ), კრიწული ენის ბრუნვა - მნიშვნელობით "-თან" (ფორ-მანტი - ხ), წახურისა და ხინალუღურის ბრუნვები - მნიშვნელობით "-კენ" (ფორმანტი - -ხ) და არჩიბულის ბრუნვა - მნიშვნელობით "-ში" (აფიქსი - -ჯ).[3] არჩიბულ "-ში" ბრუნვას, რომლის მაწარმო-ებელია არა მარტო -ჯ, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ გარკვე-ულ პოზიციაში -ჯბ-ც, ლეზგიური ენების არც ერთი ხსენებული ბრუნ-ვა არ უნდა უკავშირდებოდეს - არც ბგერათა ფარდობის მიხედვით და არც სემანტიკურად."-ში" ბრუნვის ფორმანტ ჯბ/ჯ-ს მონათესავე ენ-ებში, კერძოდ, ლეზგიურ ენებში - მოსალოდნელი ბგერათა ფარდობის მიხედვით - შეიძლება შეესატყვისებოდეს ფარინგალური ჲ ან მისი რომელიმე რეფლექსი (ჯბ, ღ'...). ასეთი ბრუნვა ლეზგიურ ენებში,

---

1 Е.А. Б о к а р е в, Гунзибский яз. იქვე, გვ.477.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა, გვ.150; ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.162-167; დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.150; Е.А. Б о к а р е в, Хваршинский язык, იქვე, გვ.425.

3 Е.А. Б о к а р е в, К реконструкции падежной системы пралезгинского языка გვ.47-48.

სახელობრ, თაბასარანულსა და აღულურში მართლაც გვაქვს. მისი მნიშვნელობაა "-შორის", მაწარმოებლები კი - ღ', დ' (თაბ.) და ღ' (აღ)...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. მართალია, არჩიბულს არ აღმოაჩნდა ლეზგიურის, თაბასარანულისა და აღულურის არც "უკან" ბრუნვის ბადალი ბრუნვა და არც მისი ჯ ფორმანტის ფარდი ბრუნვის ნიშანი, მაგრამ შესატყვისი მასალა ხ-ს სახით არჩიბულშიც უნდა გვქონდეს; ესაა ხირ-ის "უკან" და ხითხა-ს "შემდეგ" ძირეული თანხმოვანი ხ.

2. სხვა პარალელები ეძებნება აგრეთვე მონათესავე ენებში კრიწულ "-თან" ბრუნვას.

"ზე"-ს გამომხატველ ადგილობით ბრუნვის ნიშნად საკუთრივ ლეზგიურში გამოყოფენ -დალ-ს[1], მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. აქ ამ ბრუნვის მაწარმოებელი -ლ ჩანს, როგორც ჰქონდა კიდეც გამოყოფილი პ.უსლარს.[2] -და ერგატივის ფორმანტია - ხმოვანშეცვლილი, რასაც ამავე წყების დაშორებითის ფორმა მოწმობს; მაგ.: დაშორ. დიდე-დი-ლ-აჲ (შდრ. სახ. დიდე "დედა", ერგ. დიდე-დი), სადაც -დი ერგატივის ნიშანია, -აჲ - დაშორებითის ფორმანტი, ხოლო მათ შორის მოქცეული -ლ - ადგილობითი ბრუნვის ნიშანი.

თაბასარანულში ბრუნვას, რომლის მნიშვნელობაა "ზე" (ჰორიზონტალურ ზედაპირზე), როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ[3], აწარმოებს რთული შედგენილობის სუფიქსი -ყი-ლ // -ყი-ნ, სადაც ბრუნვის ძირითად მნიშვნელობას - "ზე"-ს, გამოხატავს სუფიქსი -ლ/-ნ. რაც შეეხება -ყი- ფორმანტს, რომელიც აგრეთვე ადგილობითი ბრუნვის ნიშანია, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მისი მნიშვნელობაა "-ში".[4]

---

1 У. М е й л а н о в а, Лезгинский яз., ЯН СССР, ტ.IV, გვ.531.

2 П. У с л а р, Кюринский язык, გვ.40-41.

3 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.121...

4 იქვე, გვ.122.

"ზე" ბრუნვას სხვა ლეზგიურ ენებშიც -ლ გამოხატავს[1], მაგ.: აღულურში[2], უდიურში[3], წახურ-მუხადურში[4]...

არჩიბულში "ზე" ბრუნვის გამოსახატავად გამოყენებულია ფორმანტი -თ̣ბ-/-თ̣: პირველი იხმარება ხმოვნის წინ, მეორე - სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ან თანხმოვნის წინ.

ლეზგიური ენების -ლ ("-ზე") ფორმანტთან ევგ.ბოკარევი აკავშირებს არჩიბულის -თ̣-ს ("-ზე"), რომელიც ლეზგიური ენების ლ-ს რეგულარულ შესატყვისად მიაჩნია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში.[5] თუ გავიხსენებთ, რომ არჩიბულში "ზე" ბრუნვის გამომხატველია არა მარტო -თ̣, არამედ მისი პოზიციური ვარიანტი -თ̣ბ-ც, და იმასაც, რომ ხუნძურში ამავე ბრუნვას გამოხატავს ფორმანტი -და, რომლის თანხმოვნითი ელემენტია მჟღერი დ, არჩიბული ენის -თბ-/-თ-ს კავშირი ლეზგიური ენების -ლ/-ნ-სთან, ვფიქრობთ, კიდევ უფრო სარწმუნო ხდება.

აქამდე განხილული ადგილობითი ბრუნვების ფორმანტები ძირითად ბრუნვათა ფორმანტებთან ერთად, როგორც დავინახეთ, არჩიბულს ლეზგიურ ენებთან აახლოებს, მათ წრეში აქცევს. მაგრამ არჩიბულ ენას აქვს ადგილობითი ბრუნვების ისეთი ფორმანტებიც, რომლებიც მას სრულიად გარკვევით ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებთან აკავშირებს; ასეთია ლატერალური თანხმოვნების შემცველი აფიქსები - "ქვეშ" ბრუნვის ფორმანტი -კь და "-თან", "ით"... ბრუნვის ფორმანტი -ლ'ხუ / -ლ'უ...

"-ქვეშ" ბრუნვის გამოსახატავად ხუნძურსა და ანდიურ ენებში იხმარება -ტь, დიდოურ ენებში - -ლ', ლეზგიურ ენებში კი - ქь ან ქ. ამ შემთხვევაში არჩიბულს, შეიძლება ითქვას, აქვს ხუნძურ ან ანდიურ ენებთან საზიარო ფორმანტი - კь, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ

---

1 Е.А. Б о к а р е в, К реконструкции падежной системы пралезгинского языка, გვ.49.

2 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.81.

3 ვლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე, სახელთა ბრუნებისათვის უდურ ენაში, ენიმკი-ს მოამბე, I, გვ.130-132; ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდიური ენა, გვ.52.

4 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახურ და მუხადურ... ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (ავტორეფერატი), გვ. 48;54...

5 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.49.

არჩიბული ფორმანტის -კь უკანა წარმოების ლატერალური ბგერაა, ხოლო ხუნძურისა და ანდიური ენების ფორმანტთა -ტь - წინა წარმოების ლატერალური თანხმოვანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არჩიბულს მოეპოვება -კь- ძირის შემცველი ზმნისართებიც; ესენია - კьარაქ "ქვეშ"..., კьარაშ "ქვევიდან", კьარაში "ქვევითკენ"...

დ.იმნაიშვილს აღნიშნული აქვს, რომ თანაობის მნიშვნელობით ხვარშულში იხმარება თანდებული -ლ', რომელიც - მისივე განმარტებით - გაქვავებული სახით დიდოურშიც გვხვდება.[1] დ.იმნაიშვილის აზრით, ხვარშიულსა და დიდოურში -ლ' თანდებულის გამოყენება თანაობის მნიშვნელობით თავის მხრივ სვამს კითხვას ამ თანდებულის გენეტურ კავშირზე ხუნძურის -ლ'ь სუფიქსთან, რომელიც ერთდროულად ერგატივსაც გამოხატავს და ინსტრუმენტალისსაც.[2] არჩიბულის ადგილობითი V ფორმანტი - ლ'ьუ/-ლ'უ, რომელიც დღეს თანაობასაც და მოქმედებითობასაც გამოხატავს (ლ'ьანნალ'ьუ "ცოლთან ერთად", კასьალ'ьუ "დანით"...), ვფიქრობთ, წარმოშობით იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც დიდოურ-ხვარშიულისა და ხუნძურის შემოხსენებული -ლ'/-ლ'ь.

არჩიბულში გვაქვს -ლ'ьუ- ძირის შემცველი ზმნისართებიც.

ამრიგად, როგორც აქამდე განხილული მასალის ანალიზმა დაგვანახა, არჩიბული ენის ძირითადი ბრუნვების ფორმანტები მთლიანად და ადგილობით ბრუნვათა ფორმანტების ნაწილი ლეზგიური ენების სათანადო მასალას უკავშირდება, ნაწილი კი, კერძოდ, ადგილობითი ბრუნვის ფორმანტები -კь და -ლ'ьუ/-ლ'უ, ხუნძურ-დიდოურ ენათა წრიდან მომდინარე მასალა ჩანს.

შრომაში "კავკასიის ძირის ენები" სავსებით სწორადაა აღნიშნული, რომ მრავლობითის წარმოებაში -რ- ელემენტი ლეზგიურ ენათა მთელ

---

1 დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დიდოური ენა, გვ.138.

2 იქვე,გვ.138.

ჯგუფში შეინიშნება - მარტივი და გართულებული სახით[1]; მართლაც, ამ ენებში მრავლობითობის ფორმანტებად სახელებში გვხვდება: -არ, -ერ ... (საკუთრივ ლეზგიურში)[2], -არ, -ერ, -ღ'არ, -ყარ... (თაბასარა-ნულში)[3], -არ... (აღულურში)[4], -არ, -არა... (წახურში)[5], -არ, -ა̈რ (მუხადურში)[6], -არ, -ა'რ, -ღარ... (კრიწულში)[7], -არ, -ერ... (ბუ-დუხურში)[8], -ირ... (ხინალუღურში)[9], -რ, -ურ-უხ... (უდიურში)[10].

ლეზგიურ ენებში საყოველთაოდ გავრცელებული ეს აფიქსი არჩიბულ-შიც გვხვდება - როგორც დამოუკიდებლად -ურ/-ორ, -არ ფორმანტების სახით, ისე რთულ აფიქსებში - -ბ-ურ-სა და -დ-ურ-ში...

-რ̲- ელემენტიანი მრ.რ. ფორმანტები დაღესტნის სხვა ენებისა-თვის (ხუნძური, ანდიური...) დამახასიათებელი არ არის.

საერთო ელემენტების, კერძოდ, ბ̲-სა და დ̲-ს შემცველი უნდა იყოს აგრეთვე, ერთი მხრით, არჩიბული უ-მ ← *უ-ბ და -ბ-ურ, მეორე მხრით, არჩიბულივე -უ-თ ← -უ̆-დ და -დ-ურ. ლეზგიურ ენებში ამ აფიქსებსაც ეძებნება მრავალრიცხოვანი პარალელები; მაგ.: მუხადურში გვხვდება -ბურ, -ბჷრ, -ბჷჴ, -ბჷ..., -მარ, -მჷრ, -მჷ...[11], წახურში - -ბუ,

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ.84; არნ. ჩ ი ქ ო-ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ.232.

2 У. М е й д а н о в а, Очерки лезгинской диалектологии, გვ.93;156;212;293.

3 ა. მ ა გ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.93.

4 ა. მ ა გ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.69.

5 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახურ და მუხადურ... ენათა ფონეტ. და მორფ. ძირ. საკითხ. (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერა-ტი), გვ.30.

6 იქვე, გვ.31.

7 Ш.М. С а а д и е в, Опыт исследования крызского языка (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), გვ.15.

8 Ю. Д е ш е р и е в, Будухский яз., ЯН СССР, IV, გვ.64;

9 Ю. Д е ш е р и е в, Хиналугский яз., იქვე, გვ.622-663.

10 В.Н. П а н ч в и д з е, Е.Ф. Д ж е й р а н и ш в и л и, Удинский яз., ЯН СССР, IV, გვ. 678.

11 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახურ და მუხადურ... ენათა ფონეტ. და მორფ. ძირ. საკითხ. (ავტორეფერატი), გვ.31.

-ბღ... -მუ, -მღ...[1], აღულურში - -ბურ//-ვურ[2], ბუდუხურში - -ბერ, -არ-ბერ, -უმ-ბერ[3], კრიწულში - -ბი, -იბ, -ი-ბი, -უ-ბი, -ი-მ, -უ-მ, -ღ-მ, -ი-მი, -უ-მი, -ღ-მი..., -არ-ბი, -რ-ბი...[4], ხინალუღურში - ერ-ბე და -ურ-დურ...[5]

გარკვეული მნიშვნელობა აქვს დიდოური ენების ჩვენებასაც, რომლის გათვალისწინება, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც აუცილებელია. აქ შემდეგი გარემოება იქცევს ყურადღებას. საკუთრივ დიდოურში, როგორც ეს ევგ.ბოკარევს აქვს აღნიშნული[6], ერთი და იმავე სახელის სიმრავლის გამოსახატავად შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავლობითის რამდენიმე ფორმანტი. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს არჩიბულშიც (იხ. ზემოთ). ყურადღებას იქცევს ისიც, რომ -რ- და -ბ- ელემენტებიანი მრ.რ. ფორმანტები (რა წარმოშობისაც არ უნდა იყვნენ ისინი) დიდოურ ენებშიც გვხვდება, კერძოდ, ჰუნზიბურში - -ურ და -ბურ, საკუთრივ დიდოურში - ბი, -და-ბი, და -რე-ბი, ბეჟიტურში - -ბა, -ბო და -არო...

ლეზგიურ ენებში პარალელები არ ეძებნება ისეთ აფიქსებს, როგორიცაა არჩიბულის მრ.რ..ფორმანტები: -თილ, -თხუ, -დუ, -ლუ..., -ი, -თ, -ულ, -ხულ..., მაგრამ არჩიბულის მეზობელ მონათესავე ენებში - ლაკურსა და ხუნძურში - მათ ჩვენ ვხვდებით; მაგ.: -დუ, -თხუ და მათი ფონეტიკური ვარიანტები დასტურდება ლაკურში; ლაკურშივე იხმარება -თალ (შდრ. არჩიბული -თილ//-თალ) და -თ; -ულ გავრცელებულია ხუნძურში; -ი გვხვდება, ერთი მხრით, ხუნძურში, მეორე მხრით, ლაკურსა და დარგუულში; -ხულ -ჰულ აფიქსის სახით წარმოდგენილია ლაკურში და -ჰალი-ს სახით - დარგუულში.

---

1 იქვე, გვ.30.

2 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ.ენა, გვ.69.

3 Ю. Д е ш е р и е в, Будухский яз.,ЯН СССР, IV,გვ.647.

4 Ш.М. С а а д и е в, Опыт исследования крызского языка,(სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), გვ.15.

5 Ю. Д е ш е р и е в, Хиналугский яз., ЯН СССР, IV, გვ. 562–663.

6 Е.А. Б о к а р е в, Цезские (дидойские) языки ..., გვ.184.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მრ.რ. ეს ფორმანტები არჩიბულმა იცესხა მეზობელი ლაკურისა და ხუნძურისაგან.[1] აქვე გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ რამდენადმე ხუნძური ენის გავლენით უნდა აიხსნას აგრეთვე -რ- სონორის შეცვლა -ლ-თი მრ.რ. ისეთ ფორმანტებში, როგორიცაა არჩიბული -მურ (// → -მულ...) და *-რურ (→ -რულ); შდრ. ხუნძური ენის მრ.რ. ფორმანტები: -ულ, -დ-ულ; -ალ, -ზ-ალ.

ამრიგად, არჩიბულში სახელის მრ.რ. ფორმანტების ნაწილი (-ურ, -ბ-ურ, -მ-ულ, -მურ..., -დ-ურ, -რულ..., -უბ, -უმ..., -უთ...), როგორც დავინახეთ, კანონზომიერად უკავშირდება ლეზგიურ ენათათვის დამახასიათებელ სათანადო ფორმანტებს და არჩიბული ენის ძველი ფენის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს, ნაწილი კი (-თილ, -დუ, -თბუ, -თ, -ი, -ულ...) მეზობელი ლაკურისა და ხუნძურისაგანაა ნასესხები და ახალია. ამასთანავე ყურადღებას იქცევს ისიც, რომ არჩიბულში მსგავსად დიდოური ენისა (resp. დიდოური ენებისა) დასტურდება მრ.რ. ფორმანტების ფაკულტატურად ხმარების საკმაოდ ხშირი შემთხვევები და სხვ.

ა.დირის აზრით, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, რიცხვითი სახელების მიხედვით არჩიბული უფრო ხუნძურ-ანდიურ ენებს უდგება, ვიდრე ლეზგიურს.[2] როდესაც ის ამ აზრს გამოთქვამდა, მხედველობაში ჰქონდა არჩიბული რიცხვითი სახელები ერთიდან ათამდე. ჩვენ მათ უნდა დავუმატოთ კიდევ ორი მარტივი რიცხვითი სახელი – ოცისა და ასის აღმნიშვნელი.

მართლაც, არჩიბულ რიცხვით სახელებში სრულიად გარკვევით გამოიყოფა ორი ფენა: ლეზგიური და ხუნძურ-ანდიურ-დიდოური.

დავიწყოთ უკანასკნელით. ესაა რიცხვითი სახელები: ლ'ებ "სამი", ლ'ბვო//ლ'ბო "ხუთი", დილ' "ექვსი", ვილ' "შვიდი" და მელ'ე "რვა",

---

1 რ. ე რ კ ე რ ტ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ.84; ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.11-13; С.М. Х а й д а к о в, Падежная система арчинского языка, გვ.154-155.

2 ა. დ ი რ ი, არჩ. ენა, გვ.111.

სადაც ძირეულ ელემენტებად წარმოდგენილია ლატერალური თანხმოვნე-ბი -ł', ლ̱'ჰ და ლ̱'. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, კერძოდ, დიდო-ურსა და ხუნძურში თითქმის ყველა ამ რიცხვითი სახელის ძირეულ ლა-ტერალურ თანხმოვანს შეესატყვისება ლატერალურივე თანხმოვნები; შდრ. მაგ.: დიდოური ლ'ჰონო და ხუნძური ლ'აბგო "სამი", დიდ. ლ'ეწო და ხუნძური შჰუგო "ხუთი", დიდ. ოლ'ნო, ხუნძ. ანლ'-გო "ექვსი", დიდ. 'ოლ'ნო, ხუნძ. ანტჰგო "შვიდი", დიდ. ბილ'ნო, ხუნძ. მიტჰგო "რვა".

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ამ ლატერალებს შორის არსებობს გარკვეული შესატყვისობა.[1] სათანადო შესატყვისები აქვთ დაძებნილი მათ ლეზგიურ და ლაკურ-დარგულ ენებშიც.[2] მაგრამ თუ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებსა და არჩიბულში ეს შესატყვისები ძირითადად არ სცილდება ლატერალურ თანხმოვანთა წრეს, დაღესტნის დანარჩენ ენებში, მათ შორის ლეზგიურ ენებშიც, ცხადია, ისინი ლა-ტერალური თანხმოვნები ვერ იქნება, რადგან, როგორც ცნობილია, ამ ენების თანხმოვანთა სისტემებში ლატერალები საერთოდ არ არის.

ამრიგად, ზემოხსენებული ხუთი რიცხვითი სახელის ძ ი რ ე უ ლ ი ელემენტების მიხედვით არჩიბული გვერდში უდგას ლატერალების მქონე ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებს და უპირისპირდება დაღესტნის სხვა ენებს, კერძოდ, ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს.

სხვა მდგომარეობა გვაქვს "ერთის", "ორის", "ოთხის", "ცხრის", " ათის", "ოცის" და "ასის" აღმნიშვნელ არჩიბულ რიცხვით სახელებში. ისინი ძირეული თანხმოვნებით უმთავრესად ლეზგიური ენების შესაბა-მისი რიცხვითი სახელების ძირებს ემთხვევიან, მაგრამ ამავე დროს შეიძლება ემთხვეოდნენ დაღესტნის ზოგიერთი სხვა ენის რიცხვითი სა-ხელის ძირებსაც; მაგ.:

----

[1] N.Troubetzkoy, Les consonnes latérales...; მ ი ს ი ვ ე, Nordkaukasische Wortgleichungen...

2 იქვე.

ა) ლეზგიურ ენებსა და არჩიბულში "ერთის" ძირად გამოიყოფა მხოლოდ ს, სხვაგან - ც (ხუნძურში, ანდიური ენების ნაწილში, ლაკურსა და დარგუულში) ან ს (დიდოურ ენებში, ანდიური ენების ნაწილში).[1]

ბ) "ორის" ძირად ლეზგიურ ენებსა და არჩიბულში გამოიყოფა ყვ (ყ ლაბიალური ელემენტით) ან მისი ფონეტიკური ვარიანტები[2]: ხინალუღურში - კუ[3], უდიურში -ვ ← *ყვ[4] მაშინ, როდესაც დანარჩენ დაღესტნურ ენებში გვაქვს არა მარტო ყ (დიდოურ ენებში)[5], არამედ კვ-/-კ-ც (ხუნძურში, ანდიური ენების უმეტესობაში, ლაკურში, დარგუულში...) და ჭვ-/ჭ-ც (ანდიურში, ჭამალურში, წუდახარულში).

გ) ლეზგიურ ენებში "ოთხის" ძირეულ თანხმოვნად წარმოდგენილია ყ, გარდა ხინალუღურისა და უდიურისა; ხინალუღურში ღ გვაქვს, უდიურში - ვ. ყ გვაქვს არჩიბულშიც. მაგრამ დაღესტნის სხვა ენებში გარდა ყ-სა (ხუნძ., ახვახ., ანდ., ხვარშ., ჰინუხ..., ლაკ.) გვხვდება ღ-ც (ბოთლიხ., დარგ...) და ყ-ც (ტინდ., ჭამალ., ღოდობერ...).[6]

დ) ლეზგიური ენების უმეტესობაში "ცხრა" რიცხვითი სახელის ძირად გამოიყოფა ჭ, რომელსაც, როგორც მეზობელი ხმოვნებიდან ჩანს

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ.364; Сравн.-ист. лексика...გვ.231.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.364-365; Сравн.-ист.лексика..., გვ.231.

3 Ю. Д е ш е р и е в, Грамматика хиналугского языка; А.Е. К и б р и к, С.В. К о д з а с о в, И.П. О л о в я н н и к о в а, Фрагменти грамматики хиналугского языка, მოსკოვი, 1972, გვ.328.

4 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახურ და მუხადურ... ენათა ფონეტ. და მორფ.ძირ.საკითხ.(სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), გვ.19.

5 დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, რიცხვითი სახელების წარმოება და ბრუნება დიდოურსა, ჰინუხურსა და ხვარშიულ ენებში, იკე, IX-X, 1958, გვ.282; ელ. ლ ო მ თ ა ძ ე, სიტყვაწარმოება დიდოური ჯგუფის ენათა რიცხვით სახელებში, იკე, IX-X, გვ.303...

6 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.366-369; Е. Б о к а р е в, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков, გვ. 64; ЯН СССР, IУ, გვ.255-688; Сравн.-ист.лексика..., გვ.233.

(შდრ. თაბ. ურჭ°უბ/დ, აღ. ჲარჭუდ..., ლეზგ. ახცი ჭუდ, მუხად. ჭუ-ჭუდ... "ცხრა"), ლაბიალური ელემენტიც ახლდა. არჩიბულშიც ასეა (შდრ. არჩ. უჭ "ცხრა" და ჭვ-ი "თახმოცდაათი"). უდიურის ფორმაში (ვუჲ "ცხრა") ჭ გაუჩინარებულა (ვუ°ჲ ← *ვუჭ).[1] ხინალუღურში გვაქვს ჭ. ჭ გვაქვს დაღესტნის დანარჩენ ენებშიც[2], მაგრამ ის აქ გვხვდება ლაბიალური ელემენტის გარეშე (შდრ. ხუნძ. იჭგო, ჭამალ. აჭდა, მაგრამ ახვახ. აბჭარა და აბჭვარა...).[2]

ე) თითქმის ყველა დაღესტნის ენაში, გარდა ახვახურისა და ხინალუღურისა, "ათის" ძირად გამოიყოფა წ – მათ შორის არჩიბულშიც.[3] მაგრამ არჩიბული ვიწ "ათი" ვ-ი- ფორმანტით (და მისი ფონეტიკური ვარიანტით – ბი-თი[4]) უფრო ლეზგიურ და ლაკურ-დარგუულ ენებს უდგება, ვიდრე ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ-ს; შდრ. მაგ.: არჩ. ვი-წ, უდ. ვი-წ, ნახ.,მუხად., კრიწ. ჲი-წცდ (← *ვიწცდ), აღ. ჲიწუდ..., დარგ. ვე-წალ, ლაკ. აწ და ხუნძ. აწ-წ-გო, ანდ. ჰო-წ-ოგუ, ცინდ. ჰა-წაჲ..., დიდ. ო-წიწო... "ათი".[5]

ვ) "ოცი" არჩიბულად არის ყა ან ყოთბ – ← *ყად- (რთულ რიცხვით სახელებში). ყა-სა და ყოთბ-ში ყ ძირი უნდა იყოს, -ა (← *-ად) და -ო-თბ (← *-ად) – ძირს შეზრდილი გაქვავებული ფორმანტი. ამას მონათესავე ლეზგიური ენების სათანადო მასალაც მოწმობს, სადაც ძირეული თანხმოვნის მომდევნო აფიქსები მოქმედი კლას-ნიშნებია; ასეთი

---

1 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, მეხუთე ლატერალური თანხმოვნის შესატყვისობისათვის უდურ ენაში, იკე,XIV, გვ.361.

2 ЯН СССР, IV, გვ.255-668; Сравн.-ист. лексика..., გვ.236-237.

3 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.373-374.

4 გ. თ ო ფ უ რ ი ა, რიცხვითი სახელების აგებულება ლეზგიურსა და კრიწულ ენებში, საქართველოს სსრ მეცნ.აკად. მოამბე, XXIII, №5, გვ.636-637.

5 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.70; ЯН СССР, IV, გვ.255-668; Сравн.-ист. лексика...,გვ.237-238.

ვითარებაა, მაგ.: ნახურში (შდრ. ყაჩჲ, ყაბლჲ, ყალლჲ ← ყარ-ლჲ "ოცი"), მუხადურში, თაბასარანულში, კრიზულში...[1] არჩიბულივით გაქვავებული კლას-ნიშნები შემოუნახავს აგრეთვე "ოცის" აღმნიშვნელ სიტყვებს ლეზგიურსა და აღულურში.[1] ერთი სიტყვით, არჩიბული ყოთხ - "ოცი" (შდრ. ყოთხ-ორ-ებყ "24", ყოთხ-ორ-მელ'ეჲტუ - "28"...) წარმოშობით იგივეა, რაც ლეზგიურის ყად, აღულურის ყხად და ყხარ[2], თაბასარანულის ყხარ[3], კრიზულის ყად, მუხადურის ყა̃დ, ნახურის ყად- (შდრ. ყალ-ლა ← ყად-ლჲ)[4], ხინალუღურის ყან... "ოცი".[5]

8) არჩიბული ბა'შ//ბაშ-ის "ასი" ძირეული თანხმოვანი "შ" ლეზგიურ ენათა გარდა გვხვდება დაღესტნის სხვა ქვეჯგუფის ენებშიც (მაგ.: ანდ.ბეშონუგუ, დიდ. ბიშონ... "ასი")[6], მაგრამ თავისი სტრუქტურით არჩიბული ბა-შ მაინც უფრო ახლოს ლეზგიური ენების მასალასთანაა; შდრ. მაგ.: უდ. ბა-შბ//ბა-ჩბ[7], ნახ. ვე-შ//ვა'-შ, მუხად. ვე-შ[8], ლეზგ. ვი-შ[9], ვა-რ-ჟ, აღ. ვე-რ-შ[10] "ასი".

ამრიგად, თუ არჩიბული ხ უ თ ი რიცხვითი სახელის (ლ'ებ "სამი", ლ'ხვო "ხუთი", დილ' "ექვსი", ვილ' "შვიდი" და მელ'ე "რვა") ძ ი რ ე უ ლ ი ელემენტების მიხედვით სრულიად გარკვევით ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებს უკავშირდება, შ ვ ი დ ი რიცხვითი

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.364-365... Сравн.-ист. лексика...,გვ.238.

2 ა. მ ა გ ო მ ე დ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.95.

3 ა. მ ა გ ო მ ე დ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.160.

4 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.37.

5 ЯН СССР, ტ.IV, გვ.528-688.

6 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.374-375; Сравнит.-ист.лексика...,გვ.238.

7 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდიური ენა, გვ.33.

8 ზ ი ს ი ვ ე, ნახურ და მუხადურ...ენათა ფონეტ. და მორფ. ძირ.საკითხ.(სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), გვ.37.

9 У. М е й л а н о в а, Лезгинский яз., ЯН СССР, ტ.IV, გვ.533.

10 ა. მ ა გ ო მ ე დ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.95.

სახელი (ოს, სან-, -სბე- "ერთი", ყვე "ორი", ებყ "ოთხი", უჭ-, -ჭვი- "ცხრა", ვი-წ "ათი", ყა, ყოთბ- "ოცი" და ბა'შ "ასი") მას თავისი ძირეული თანხმოვნებით ლეზგიური ენების გვერდით აყენებს.

ამის ნათელსაყოფად მეორე შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, საკმარისი არ აღმოჩნდა რიცხვითი სახელების მხოლოდ ძირთა შესატყვისობის ჩვენება. ამასთან ერთად ზოგჯერ საჭირო გახდა - დამატებით - იმ სტრუქტურული თუ სხვა ხასიათის ნიშნების დამოწმება, რომლებიც არჩიულ რიცხვით სახელებს ლეზგიური ქვეჯგუფის ენათა რიცხვით სახელებთან აახლოებენ, მაგრამ მიჯნავენ დაღესტნის დანარჩენ ენათა რიცხვითი სახელებისაგან. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს "ხუთისა" და "ოთხის" არჩიული სახელებიც - ლ'ბო და ბუხბე- (შდრ. ბუხბე-ი "50") "ხუთი", ერთი მხრით, და ებყ და ბუყ- (შდრ. ბუყ-ი "40") "ოთხი", მეორე მხრით. ორივე შემთხვევაში უფრო ძველი ვითარება როგორც სტრუქტურულად, ისე მატერიალურად ბ̲- ელემენტიან ფორმებში (ბუხბე- "ხუთი", ბუყ- "ოთხი") უნდა გვქონდეს დაცული. ამას მონათესავე ლეზგიური ენების ჩვენებაც მოწმობს; მაგ. ხინალუღური ფხუ "ხუთი" და უდიური ბიპ "ოთხი".

"ხუთის ხინალუღური სახელი, - წერს ივ. ჯავახიშვილი,- ორი თვალსაზრისით არის მეტად საყურადღებო: ჯერ ერთი იმით, რომ სხვა ლეკურ თანამედროვე ენებში აკუშურს გარდა, ხუთის ამნაირი სახელი არ გვხვდება, სამაგიეროდ დიდოურ ენებში და ჩრდილო-კავკასიის დასავლურ ენებშიც და სამხრეთშიც თვისტომნი საკმაოდ გააჩნია. მეორე საყურადღებო გარემოებაა, რომ ხუთის ამ სახელის თავკიდური ფ̲, რასაკვირველია, ძირეული არ არის არამედ სქეს-კატეგორიის შეზრდილი თავსართია".[1] სწორედ ხინალუღურის ამ არქაულ ფორმასთან დგას ყველაზე ახლოს - როგორც სტრუქტურულად, ისე მატერიალურად - კიდევ უფრო არქაული არჩიული ბუხბე-.

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.334; იხ. აგრეთვე, Б. Т а л и б о в, Место хиналугского языка в системе языков лезгинской группы, გვ.284.

ამრიგად, არჩიბული ლ'ბო "ხუთი" თუ მეორეულია და უკავშირდება ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებს, არჩიბულივე არქაული ბუხბვ- "ხუთი" ლეზგიურ ენებთანაა დაკავშირებული.

უდიური ბიპ "ოთხი", როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, მეორეული ფორმაა: ბიპ ← *ბიყვ[1]. არჩიბული ბუყ- (← *ბიყვ-) "ოთხი" და უდიური ბიპ (← *ბიყვ) "ოთხი" სავარაუდო ამოსავალი ფორმებით ერთმანეთს სავსებით ემთხვევა: ერთისთვისაც და მეორესთვისაც ასეთი საერთო ფორმა უნდა ყოფილიყო *ბიყვ. მსგავსი დამთხვევა არჩიბულ-უდიურ რიცხვითი სახელებისათვის შეიძლება არა მარტო ვივარაუდოთ, არამედ დღესაც გვხვდება რეალურად; ესაა არჩიბული ვიწ "ათი" და უდიური ვიწ "ათი".

ამრიგად, არჩიბული ებყ "ოთხი" თუ მერმინდელი ცვლილებების გამო რამდენადმე დასცილებია ამოსავალ ფორმას, ბუყ- "ოთხი" ამოსავალ ფორმასთან ახლოსაა – შენარჩუნებული აქვს არქაული სტრუქტურა და ამ მხრივ სავსებით ემთხვევა მონათესავე უდიურის დღევანდელ ბიპ-ს "ოთხი".

როგორც ვხედავთ, ცვლილებები ლ'ბვო//ლ'ბო-ს ("ხუთი") და ებყ-ს ("ოთხი") განუცდია – პირველს როგორც ფონეტიკურ-მატერიალური, ისე სტრუქტურული (შდრ. ლ'ბვო და ბუხბვ – "ხუთი"), მეორეს ძირითადად – სტრუქტურული (შდრ. ებყ და ბუყ "ოთხი").

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ რიცხვითი სახელი "რვა" ყველა ლეზგიურ ენაში, გარდა ხინალუღურისა, შეიცავს მ- ელემენტს სხვადასხვა მომდევნო ხმოვნით:[2]

ლეზგიური მუ'-ჟუ'დ... მი-ჟიდ; აღულური მუ-ჲიდ... თაბასარანული მი-რჟიდ... რუთულური მჷ-ჲედ; წახური მი-ღჷდ... უდიური მუ-ღ; ბუდუხური მჷ-ჲჷრ... კრიწული მი-ჯ'იდ.

---

1 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.19.

2 გ. თ ო ფ უ რ ი ა, რიცხვითი სახელების აგებულება ლეზგიურსა და კრიწულ ენებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკდ. მოამბე, 1959, XXIII, №5, გვ. 636-637.

ხინალუღურში გვაქვს ინკ "რვა". ინკ რთული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული ფორმა უნდა იყოს: ინკ ← *იმკ ← *მიკ. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ მ̱- ელემენტი მომდევნო ხმოვნით, რომელიც, როგორც ფიქრობენ, წარმოშობით ფონეტიკურად სახეცვლილი კლასის ექსპონენტია[1], უგამონაკლისოდ ყველა ლეზგიურ ენას აღმოაჩნდებოდა. "რვა" რიცხვითი სახელში თავკიდური მ̱- ელემენტი, ლეზგიური ენების გარდა, გვხვდება კიდევ მხოლოდ ხუნძურსა (მი-ჭ-გო) და ლაკურში (მა'ჲა). დაღესტნის დანარჩენ ენებში მის ადგილზე გვაქვს ბ̱ (ანდიურ და დიდოურ ენებში) ან ნული (დარგუულში). ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელი ეს მ̱- მომდევნო ხმოვნით წარმოდგენილია "რვის" აღმნიშვნელ არჩიბულ რიცხვით სახელშიც - მ̱ე-ლ'ე, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, თავისი ძირეული ლატერალური თანხმოვნით დაკავშირებულია ხუნძურ-დიდოურ ენებთან.

ამრიგა, არჩიბული მე-ლ'ე "რვა" თუ ძირეული ლატერალური თანხმოვნით ხუნძურ-დიდოურ ენებთანაა დაკავშირებული, თავკიდური მ̱- ელემენტით ლეზგიურ ენებსაც უკავშირდება.

როგორც ვხედავთ, ორი ენობრივი ფენის გამოყოფა არჩიბულ რიცხვით სახელებშიც ხერხდება. ერთი - ძირითადი - ამ შემთხვევაშიც ლეზგიური ენების კუთვნილებაა, მეორე - არაძირითადი - კი არჩიბულზე ხუნძურ-ანდიურ-დიდოური წრის ენათა ხანგრძლივი და ძლიერი გავლენის შედეგი უნდა იყოს.

ლეზგიურ ენათათვის, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, და როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, დამახასიათებელია ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი ანუ პ რ ე ვ ე რ ბ ე ბ ი. მარტივი ზმნის ფუძის ანალიზმა გვიჩვენა (იხ. ზემოთ), რომ ასეთი ადგილობითი პრეფიქსები - პრევერბოიდები - წინათ არჩიბულსაც ჰქონია, მაგრამ ადრევე მოშლია. მიზეზი ორი უნდა ყოფილიყო: ერთი -

---

1 გ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ.636.

– მინაგანი: ენაში პრევერბების თუ პრევერბოიდების მოშლის ტენდენცია, რასაც მეტ-ნაკლებად ყველა ლეზგიურ ენაში უჩენია თავი, მეორე – გარეგანი: უპრევერბო ენებთან (ხუნძური...) ხანგრძლივი კონტაქტი, რასაც არჩიბულში ადგილობითი პრეფიქსების მოშლა შესამჩნევად უნდა დაეჩქარებინა.

ამრიგად, არჩიბულში ამ შემთხვევაშიც ორმა – სხვადასხვა ქვეჯგუფის ენათათვის დამახასიათებელმა – ფაქტმა იჩინა თავი: ლეზგიურმა, იდინდელმა – გაქვავებული პრევერბოიდების სახით, და ხუნძურმა..., მერმინდელმა – უპრევერბობით.

სპეციალურ ლიტერატურაში გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს სისტემების მიხედვით დაღესტნის ენები ორ ჯგუფად იყოფა – აღმოსავლურ ანუ ლაკურ-დარგუულ და ლეზგიური ჯგუფის ენებად და დასავლურ ანუ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებად; ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია II გრამატიკული კლასის ექსპონენტები – ჲ და დ//რ. პირველი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათათვისაა დამახასიათებელი, მეორე – ლაკურ-დარგუულ და ლეზგიურ ენათათვის.[1] აღსანიშნავია, რომ არჩიბული, რომელიც ტერიტორიულად დასავლურ ენათა ზონაშია მოქცეული, II გრამატიკული კლასის ნიშნის (დ/რ-ს) მიხედვით აღმოსავლეთ დაღესტნის ენებს განეკუთვნება, ე.ი. იმ ენებს, რომლებშიც ლეზგიური ქვეჯგუფის ენებიც შედის.

მ ე ნ ი შ ვ ნ ა. ის გარემოება, რომ არჩიბულში შემონახულია ისეთი სიძველის ფაქტები, რომლებიც საშუალებას იძლევა არჩიბულის ოთხკლასოვანი სისტემისათვისაც ამოსავლად სამკლასოვანი სისტემა ვივარაუდოთ, აქ წარმოდგენილ ფაქტობრივ ვითარებას არ ეწინააღმდეგება. სამკლასოვანი სისტემა, როგორც სპეციალუ-

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მეორე გრამატიკული კლასის ("მდედრობითი სქესის") გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნ.აკად. მოამბე, III, №4, 1942, გვ.373-379; ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ.34-35.

რი ლიტერატურიდანაა ცნობილი[1], ივარაუდება სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათათვისაც, მათ შორის – ლეზგიური ენებისთვისაც.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ერთი ფაქტიც. როგორც ნაშრომში უკვე იყო აღნიშნული, არჩიბის ორ უბანში – ყუბაკლსა და აღჩუნიბში, გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში პირველი გრამატიკული კლასის ნიშანი უ̲̂ წარმოდგენილია დ̲-ს სახით (ვედილი//ედ̲ილი "ყოფილა"...). მსგავსი ფაქტები, როგორც ცნობილია, გვხვდება სხვა ლეზგიურ ენებშიც.[2] იგრძნობა, რომ უ̲̂ → დ̲ პროცესი თავდაპირველად იქაც ფონეტიკური უნდა ყოფილიყო (შდრ. რუთ. I კლ. დ̲იშინ ← უ̂იშინ, II კლ. რიშინ "ყოფნა"...).[3] ასეა თუ ისე, ლეზგიური ენებიდან კარგად ცნობილ ამ ფაქტს პარალელები არჩიბულშიც ეძებნება. თუ გავითვალისწინებთ მონათესავე ენებში (მათი გათიშვის შემდეგ) მსგავსი მოვლენების პარალელური განვითარების ან გაქრობის შესაძლებლობას, რაც ენათა ისტორიიდან კარგადაა ცნობილი[4], შეიძლება ვიფიქროთ, რომ არჩიბულის ეს ფაქტიც ამ რიგისაა და მისი (არჩიბულის) ლეზგიურ ენებთან მჭიდრო გენეტურ კავშირზე უნდა მიუთითებდეს.

არჩიბულის ნ ა მ. ძ ი რ ი თ ა დ ი ს და თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი ს ფორმანტებს – დი-ს (-დე-ს, -თხე-ს) და -ლი-ს, რომლებიც ნ. ტრუბეცკოის დაღესტნის ზოგიერთ სხვა ენის (ანდ., ხუნძ., დარგ...) დ̲-, ლ̲- და აგრეთვე ნ̲- ელემენტიან ზმნურ ფორმანტებთან ერთად ზედსართაულ-მიმღეობური წარმოშობის სუფიქსებად მიაჩნია, როგორც მისივე ანალიზიდან ჩანს, პარალელები უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ლეზგი-

---

1 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ.378.

2 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკული კლასები წახურულსა და რუთულურ ენებში, იკე, V, გვ.452–469.

3 ოთ. კ ა ხ ა ძ ე, შენიშვნები გრამატიკული კლას-ნიშნების ფონეტიკური ცვლის თაობაზე დაღესტნის ზოგიერთ ენაში, "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული", ტ.IV, 1977, გვ.244...

4 А. М е й е, Сравнительный метод в историческом языкознании, მოსკოვი, 1954, გვ.45–46.

ურ ენებში (ლეზგ., რუთ., წახ., აღულ., უდ., თაბ...) ეძებნება.[1]

დაახლოებით ასეთივე სურათი იქმნება არჩიბულის აწმყო ზოგადის -ჷ სუფიქსის მიხედვითაც. მასაც - დაღესტნის ენებიდან - შესატყვისები უმთავრესად ლეზგიურ ენებში (ლეზგ., რუთ., თაბ., აღ...) მოეპოვება.[2]

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ისევე, როგორც ლეზგიური ენები (ლეზგიური[3], თაბასარანული[4], აღულური[5], წახურ-მუხადური[6], უდიური[7], კრიწული[8]...),არჩიბულიც საკმაოდ მდიდარია მ ე დ გ ე ნ ი ლ ი (რთული) ზმნებით.

ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელია ფარინგალიზებული ხმოვნების საკმაოდ მწყობრი სისტემა.[9] ფარინგალიზებულ-უმლაუტიზებული ხმოვნები წარმოდგენილია ლაკურსა[10] და დარგუულშიც[11]. ფარინგალიზებულ ხმოვნებს ადასტურებენ დიდოურ ენებშიც.[12] ფარინგალიზებული ხმოვნები არჩიბულშიც გვაქვს, მაგრამ მათი ფონემატური ხასიათი სადავოა. ასეთი ხმოვნები არ არის წარმოდგენილი მხოლოდ ხუნძურ-ანდიურ ენებში.

----

1 N. Troubetzkoy, Notes sur les désinences du verbe dans les langues tchétchéno-lesghiennes...

2 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ.ნაშრ.

3 П. У с л а р, Кюринский язык, გვ.166, § 247.

4 А. Д и р р, Грамматический очерк табасаранского языка, გვ.46.

5 Р. Ш а у м я н, Грамматический очерк агульского языка, გვ.77, § 73.

6 ევ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახურ და მუხადურ... ენათა ფონეტ. და მორფ. ძირ. საკითხ. (სადოქტორო დისერტ. ავტორეფ.)გვ.54.

7 ევ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდიური ენა, გვ.72;77-79.

8 В.С. Х и д и р о в, Основные грамматические категории глагола в крызском языке... (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი),გვ.5.

9 Е. Б о к а р е в, Лезгинские языки..., ЯН СССР, IV,გვ.525.

10 ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი, ლაკური ენა, გვ.9.

11 Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика дарг. языка.

12 Е. Б о к а р е в, Цезские яз.,ЯН СССР, IV,გვ.401.

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს საკითხი არჩიბული ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემატურობის შესახებ, ერთი უდავოა, არჩიბული ამ ნიშნითაც ისევე ლეზგიურ ენებს უკავშირდება და მკვეთრად ემიჯნება ხუნძურ-ანდიურ ენებს. უნდა ვიფიქროთ, რომ წინათ ფონემატური ღირებულების მქონე არჩიბული ფარინგალიზებული ხმოვნები სწორედ ხუნძური ენის ძლიერი გავლენით დროთა განმავლობაში თანდათან ფონემატურ ღირებულებას მოკლებულ ბგერებად იქცა. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, არჩიბულის ამ ფაქტშიც გამოჩნდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ორბუნებოვნება: ამოსავალი ვითარება (ფარინგალიზებული ხმოვანი ფონემები) - ლეზგიური ენების დამახასიათებელი, ცვლილებები (ფარინგალიზებული ხმოვანი ф ო ნ ე მ ე ბ ი -> ფარინგალიზებული ხმოვანი ბ გ ე რ ე ბ ი) - ხუნძური... ენის გავლენით გამოწვეული.

ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელია პ რ ე რ უ პ ტ ი უ - ლ ი თანხმოვნები (არ გვხვდება ისინი კრიწულში და ბუდუხურში...). პრერუპტივები წარმოდგენილია აგრეთვე ლაკურისა და დარგუულის თანხმოვანთა სისტემებში. არა გვაქვს ისინი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, გარდა საკუთრივ ანდიურისა, სადაც ეს თანხმოვნები, როგორც ილ. ცერცვაძე აღნიშნავს: "... მეორეული წარმოშობისაა და ფონემებს არ წარმოადგენენ..."[1] პრერუპტივები ისევე, როგორც ლეზგიურ ენათა უმეტესობასა და ლაკურ-დარგუულს, აქვს არჩიბულსაც.

არჩიბული ენის თანხმოვანთა სისტემა დანარჩენი ლეზგიური ენების ბგერათა სისტემებისაგან ძირითადად გამოირჩევა იმით, რომ ფარინგალურ მკვეთრ ყ-სთან ერთად აქვს უკანაველარული მკვეთრი ყ' და უკანაენისმიერი ლატერალები, მაგრამ არ გააჩნია კბილბაგისმიერი ф , რომელიც მიუხედავად თავისი მეორეული წარმოშობისა, დასტურდება ყველა ლეზგიურ ენაში.

---

1 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.87.

ნიშანდობლივია, რომ არჩიბულისათვის სპეციფიკური უკანაენისმიერი ხშული ყ' და ლატერალური თანხმოვნები არ აქვს არც დარგუულსა[1] და არც ლაკურს.[2]

მნიშვნელოვანი ჩანს ამ მხრივ დიდოურ ენათა ჩვენება, კერძოდ, საკუთრივ დიდოურის მონაცემები, აქ ყურადღებას იქცევს შემდეგი:

1) არჩიბულსაც და დიდოურსაც[3] აქვს ორ-ორი ყ: ყ და ყ'. რა ჰქონდათ საერთო ან რით განსხვავდება ერთმანეთისაგან არჩიბულის უკანაენისმიერი ხშული ყ' და დიდოურის ფარინგალიზებული ყ', საკვლევია. ამჯერად კი ჩვენთვის არსებითი ისაა, რომ ორივე ენას მოეპოვება ორ-ორი ყ.[3]

2) ყურადღებას იქცევს ისიც, რომ დიდოურს გარდა წინაენა-კბილისმიერი ლატერალებისა მოეპოვება წინაენა - ნ უ ნ ი ს - მ ი ე რ ი ლატერალებიც.[4] ცხადია, ნუნისმიერი ლატერალები კბილისმიერ ლატერალებთან შედარებით უფრო უ კ ა ნ ა წარმოების ბგერებია. კითხვა ისმის, რა აქვს საერთო დიდოურის ნუნისმიერ ლატერალებს გენეტურად არჩიბულ უკანაენისმიერ ლატერალებთან?

3) ყურადღებას იქცევს ისიც, რომ არჩიბულს აქვს ინტენსიური ფშვინვიერი სპირანტები, რომლებიც თანდათან ქრება, დიდოურს - არა (ჰქონდა და დაკარგა, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ).

4) აქვე უნდა დავძინოთ, რომ დიდოურსა და ხვარშიულს აქვს სპეციფიკური ფარინგალიზებული თანხმოვნები.[5] არჩიბულში ასეთ თანხმოვანთაგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. ფონეტიკა), გვხვდება ხ' და ღ'.

---

1 Ш. Г а п р и н д а ш в и л и, Фонетика даргинского языка, გვ.170; З. А б д у л л а е в, Даргинский язык, ЯН СССР, IV, გვ.509.

2 П. У с л а р, Лакский яз.; Г.М у р к е л и н с к и й Лакский язык, ЯН СССР, IV, გვ.490.

3 დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დიდოური ენა, გვ.16-17.

4 იქვე,გვ.16-18.

5 იქვე,გვ.17; 19-20.

არც ერთ ანდიურ ენას არ მოეპოვება არჩიბულისთვის დამახასია-თებელი უკანაენისმიერი ხშული ყ'.[1] ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ახვახური[2], სადაც არჩიბულისა და დიდოურის მსგავსად წარმოდგენილია ორი ყ, და საკუთრივ ანდიური, სადაც, როგორც ითქვა, გვაქვს პრერუპტივები.[3] ამავე დროს, ანდიურ ენებში გვხვდება ინ-ტენსიური (მაგარი) ხშულები და აფრიკატები – მკვეთრები და ფშვინვი-ერები ან ორივე ერთად. რაც შეეხება არჩიბულს, აქ ასეთი თანხმოვნე-ბი არა გვაქვს.

ხუნძურისაგან[4] განსხვავებით არჩიბულს აქვს უკანაენისმიერი ყ' და პრერუპტივები; არა აქვს – ხშულები და აფრიკატები: ქბ, კბ, ცბ, ჩბ, წბ, ჭბ, ტ', ძ, ჯ, და სპირანტები – ხ́ (–ხ́ბ) და ჵ̲ .[5]

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არჩიბულის ლატერალები უკანა-წარმოების (resp. უკანაენისმიერი) ბგერებია მაშინ, როდესაც ხუნ-ძურისა და ანდიურ-დიდოურ ენათა ლატერალები წინაწარმოების (resp. წინაენისმიერ) თანხმოვნებად ითვლებიან.

ამრიგად, არჩიბულს ლეზგიური და ლაკურ-დარგუული ენებისაგან არსებითად ასხვავებს ის, რომ აქვს უკანაენისმიერი ხშული ყ' და ლატერალური თანხმოვნები, და არ გააჩნია სპირანტი ჶ̲ , რომელიც ყველა ლეზგიურ ენაში დასტურდება, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენა-თაგან განასხვავებს ის, რომ აქვს პრერუპტივები, და არ მოეპოვება ინტენსიური (მაგარი) ხშულები და აფრიკატები: კბ, ქბ, ჭბ, წბ, ცბ, ჩბ.

---

1 გ. მ ა ჰ ო მ ე დ ბ ე კ ო ვ ა, კარატაული ენა, 1971, გვ.13-14; მ ი ს ი ვ ე, ჭამალური ენა, ЯН СССР, IV, 1967, გვ.383. ტ. გ უ დ ა ვ ა, იქვე, ტინდიური ენა, გვ.369; მ ი ს ი ვ ე, იქვე, ღოდობერიული ენა, გვ.308; მ ი ს ი ვ ე, ბოთლიხური ენა, გვ.13-15; მ ი ს ი ვ ე, ბაგვალური ენა, გვ.11-14...

2 გ. მ ა ჰ ო მ ე დ ბ ე კ ო ვ ა, ახვახური ენა, ЯН СССР, IV, გვ.337; მ ი ს ი ვ ე, ახვახური ენა, გვ.13-16.

3 ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ანდიური ენა, გვ.83-87.

4 იგულისხმება ჩრდილო-ხუნძურიც და სამხრულ-ხუნძურიც.

5 П. У с л а р, Аварский яз.; Л.И. Ж и р к о в, Аварский яз., არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ერთგვარ გამონაკლისს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათაგან წარმოადგენს საკუთრივ ანდიური, სადაც, როგორც აღნიშნული იყო, დასტურდება მეორეული წარმოშობის პრერუპტივები, და ლაკურ-დარგუული და ლეზგიური ქვეჯგუფის ენებიდან - ხინალუღური, სადაც შუაენისმიერი ლატერალური სპირანტი ლ̣' აგრეთვე მეორეული წარმოშობის ბგერა უნდა იყოს...

ჯერ კიდევ ნ.ტრუბეცკოი ფიქრობდა, რომ არჩიბულში სპირანტი ლატერალები ალბათ ხუნძური ენის გავლენით გაჩენილი ბგერებიაო.[1] ჩვენის აზრით, არა მარტო ლატერალური სპირანტები, არამედ საერთოდ უკანაწარმოების ლატერალები არჩიბულში გვიან უნდა წარმოქმნილიყო - ლატერალების მქონე რომელიღაც ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენისა თუ დიალექტის გავლენით. უნდა ვიფიქროთ, რომ ლატერალიზაციის ამ პროცესს არჩიბულშიც წინ უსწრებდა არა მარტო სპირანტების პალატალიზაცია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ნ.ტრუბეცკოის ვარაუდით ზოგიერთ ლეზგიურ ენაში (აღულ., თაბასარან., ნაწილობრივ - რუთ., წახ.)[2], არამედ ხშულებისა და აფრიკატების პალატალიზაციაც. სათანადო პირობებში რომ ერთი ენის ძლიერი გავლენით მეორე ენაშიც შეიძლება შევიდეს ან განვითარდეს ესა თუ ის ბგერა-ფონემა, იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობილი ფაქტია. ასეთი მაგალითები გვხვდება ქართველურ ენებში[3], აფხაზურ-ადიღურ ენებში[4], დაღესტნის ენებში... დაღესტნის ენებიდან უნდა დავასახელოთ თაბასარანული აულების მეზობელი ორი აღულური აულის - ბურშაღისა და არსუღის, მეტყველება[5], სადაც,

---

1 N.Troubetzkoy. Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales...

2 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ. ნაშრ.

3 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ.15.

4 ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი..., გვ.38; მ ი ს ი ვ ე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის..., გვ.17.

5 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.54.

ვფიქრობთ, თაბასარანული ენის ძლიერი გავლენით უნდა იყოს გაჩენილი[1] აღულური ენისთვის უჩვეულო დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები (კ°, შ°, ჯ°, ჩ°, ჩხ°, ყ°).[2]

ამრიგად, როგორც ჩანს, თავის დროზე ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ძლიერი და ხანგრძლივი გავლენით არჩიბულშიც განვითარებულა ისეთი თანხმოვნები - უკანაენისმიერი ლატერალებისა და ყ̲'-ს სახით, რომლებიც წინათ მას, როგორც ლეზგიური ქვეჯგუფის ენას, არ უნდა ჰქონოდა.

ამ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს ბგერათა ფარდობანიც, კერძოდ, ბგერათა ფარდობა, რომელიც დადგენილი აქვს ნ.ტრუბეცკოის ხუნძურ-ანდიურ ტ̲ლ-სა და დიდოურ ენათა ლ̲'-ს შორის, ერთი მხრით, და ხუნძურ-ანდიურ ენათა ტ̲ლ-სა და არჩიბულ კ̲ლ-სა და ლ̲'-ს შორის[3], მეორე მხრით:

I. ხუნძ.-ანდ. ტ̲ლ - დიდ. ლ̲'.

II. ხუნძ.-ანდ. ტ̲ლ - არჩ. კ̲ლ ან ლ̲'.

ამ შემთხვევაში ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები შესატყვისობის ერთ მხარეს წარმოგვიდგენენ - ტ̲ლ (→ლ̲') -ს სახით, არჩიბული მეორეს - კ̲ლ-სა და ლ̲'-ს სახით.

ხუნძ.-ანდ.-დიდ. ტ̲ლ (→ლ̲') - არჩ. კ̲ლ ან ლ̲'.

ეს ერთი. მაგრამ აქ მთავარი მეორე გარემოებაა - არჩიბული ამ შემთხვევაში ლ ე ზ გ ი უ რ ი და ლაკურ-დარგუული ენების მსგავსად ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ტ̲ლ (→ლ̲')-ს, მართალია, ლატერალების სახით, მაგრამ მაინც, ო რ შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ს უპირისპირებს - კ̲ლ-სა (I) და ლ̲'-ს (II).[4]

I. ხუნძ.-ანდ.-დიდ. ტ̲ლ - არჩ. კ̲ლ (უდ. ყ̲, ლაკ. კ̲...).

---

1 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.24, 34.

2 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, აღულ. ენა, გვ.33.

3 N.Troubetzkoy, Les consonnes latérales des langues caucasiqus septentrionales...

4 ქვემოთ მოყვანილი ყველა მაგალითი ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან.

ანდ., ბოთლ., ახვახ... რიტჰი, დიდ. რელ' (← რეტჰ)[1] –
არჩ. აკჰ..., ურ. ეყ, ჲეყ; ლაკ. დიკ... "ხორცი";

ხუნძ. ბოტჰიბე – არჩ. კჰან., ლეზგ. კან..., აღ. კან..., თაბ. კუნ...,[2] ურ. ბუყეს, ბუყესუნ[3]; ლაკ. ჩჰვან (← *ყვან ← *კვან)... "ყვარება", "ნდომა";

ხუნძ. რუტჰ – არჩ. ოკჰ..., ურ. ო'ყ; ლაკ. რუკ, დარგ. დუკ... "უღელი"[4];

ხუნძ. ტჰეჯერ, დიდ. ლ'ელი – არჩ. კჰალ..., ურ. ყალ[5]; ლაკ. ყი (← *კი)... "ბატკანი"...

II. ხუნძ.-ანდ.-დიდ. ტჰ – არჩ. ლ' (ურ. დ, ლაკ. ლ...).

ხუნძ. ანტჰ – არჩ. ვილ', თაბ. ურჰ'უ-ბ/რ..., ურ.ვუ'დ; ლაკ. არულ... "შვიდი";

ხუნძ. მიტჰ – არჩ. მელ'ე...; ურ. მუდ... "რვა":

ხუნძ. ტჰებე – არჩ. ლ'ოს..., თაბ. გ'უზ; ლაკ. დულუნ "მიცემა";

ხუნძ. -ტჰ – არჩ. -კჰ ← *ლ' (ხუნძური ენის გავლენით), ? ...
ურ. ოყა; ლაკ. -ლუ "ქვეშ", "დაბლა" (თანდებული)...

ამრიგად, არჩიბულმა, მიუხედავად იმისა, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ძლიერი გავლენით განიცადა არსებითი ხასიათის ცვლილებები – უკანანარმოების გაპალატალებული მკვეთრი და მჟღერი თანხმოვნები (ხშულები, აფრიკატები) აქცია ლატერალურ აფრიკატებად, მაინც შეძლო შეენარჩუნებინა ლეზგიურ-დარგუულ ენათათვის დამახასიათე-

---

1 Е. Б о к а р е в, Смычногортанные аффрикаты прадагестанского языка, ВЯ, 1958, გვ.9; ლ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, მეხუთე ლატერალური თანხმოვნის შესატყვისობისათვის უდურ ენაში, იკე, XIV, გვ.358; მ ი ს ი ვ ე, ხუნძური ლატერალების ლაკურ შესატყვისობათა შესახებ, იკე, XII, გვ.338-341.

2 Сравнит.-ист. лексика, გვ.253.

3 ევგ. ჟ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდიური ენა, გვ.265.

4 ტ. გ უ დ ა ვ ა, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ტჰ ლატერალის გენეზისი და ქართველურ ენებში მისი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ, იკე, VII, გვ.61.

5 ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ. ნაშრ.; იხ.-აგრეთვე, Сравнит.-ист. лексика, გვ.160.

ბელი ოდინდელი ბგერათფარდობა – ორი შესატყვისი (არჩიბულის კჰ-სა და ლ'-ს სახით) ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთის (ტჰ-ს) ფარდად.

ამავე დროს არჩიბული ბგეოათა ფარდობის მიხედვით უპირისპირდება ლაკურ-დარგუულსა და ხუნძურს (ნაწილობრივ) ერთად იმით, რომ ამ ენ-ებში წარმოდგენილი სუსტი ფშვინვიერი აფრიკატების ნაცვლად აქვს სპირანტები:

ლაკ.-დარგ., ხუნძ. <u>ჩ</u> – არჩ. <u>შ</u>:

ლაკ. არჩი, ხუნძ. არჩიბ, როჩიბ – არჩ. არშა "არჩიბი";

ხუნძ. ჩითაბ – არჩ. შატა "ჩიტაბი" (ხუნძური აულის სახელია);

ლაკ. იჩ, ჰივჩ, ინჩ (ნ.ტრუბეცკოისთან), ხუნძ. ეჩ – არჩ.ა'ნშ "ვაშლი" (შდრ. ლეზგ. იჩ, წახ. ეჩ, უდ. ე'შ...; ბეჟ. ე'შ...);

ლაკ. ჩვუ, ხუნძ. ჩუ – არჩ. ნო'შ "ცხენი" (შდრ. ლეზგ. შივ, ხინ. ფშჷ);

ლაკ. ბე'რჩ, ხუნძ. ბეჩე – არჩ. ბიშ "ხბო" (შდრ. აღ. ურჩ...; ბეჟ. ბიშე, დიდ. ბეში...);

დარგ. ჩუმ, ხუნძ. ჩან – არჩ. შუმე-ჲ-ტუ "რამდენი" (შდრ.ლეზგ. შუმუ-დ, თაბ. შუნუ-რ,..; დიდ. შომო...)[1];

ლაკ. ა'ნჩ, ხუნძ. ემჩ – არჩ. ანშაბოს "ცხვირის დაცემინება"[2]...

ლაკ.-დარგ., ხუნძ. <u>ც</u> – არჩ. <u>ს</u>:

ლაკ. ცა, დარგ. ცა, ხუნძ. ცო – არჩ. ოს, სა – "ერთი" (შდრ. ლეზგ. აღ., თაბ., რუთ., წახ., კრიწ., ბუდ... სა-; დიდ. სის, ჰი-ნუხ. ჰეს);

ლაკ. ცულ-ჴა, ხუნძ. ცერ – არჩ. სოლ "მელია" (შდრ. ლეზგ., რუთ. სიკ, აღ., თაბ., სულ...; ბეჟ. სარა, ჰუნზ. სჷ...);

დარგ. ცულა, ხუნძ. ცა – არჩ. სომ "კბილი" (შდრ. აღ. სელებ, თაბ. სილიბ, წახ. სილი, რუთ. სჷლა, ბუდუხ. სილ...; ბეჟ.,ჰუნზ. სილა, ხვარშ. სელ...);

---

1 ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, საერთო დაღესტნური ენის ფშვინვიერი აფრიკატები (რუსულ ენაზე), თუშ, B 1 (138), გვ.72.

2 Е. Б о к а р е в, Введение..., გვ.72.

ლაკ. ცუშა, დარგ. ციწქა, ხუნძ. ცი - არჩ. ხამ-ს "დათვი" (შდრ. ლეზგ. სევ, წახ. ს'ი[1], რუთ. (მუხად.) სი[1], თაბ. შვეყ[2] (← *სვეყ ← *სვევ), უდ. შუე (← *სუე)...; ბეჟ. სი, ჰუნზ. სე...);

ლაკ. ნიც, დარგ. უნც, ხუნძ. ოც - არჩ. ანს "ხარი" (შდრ. ლეზგ. ჲიც, ჲაც, აღ. ვეც, ბიც, წახ., მუხად. ჲაც, უდ. უს...; ბეჟ. ონს, დიდ. ის...);

ლაკ. არცუ, დარგ. არც, ხუნძ. ღარაც - არჩ. არსი "ვერცხლი", "ფული" (შდრ. თაბ. არს (← *არსი)[3], აღ. არს; შდრ. ხვარშ. ოს)...

ლაკ.-დარგ. ჴ - არჩ. ხ:

დარგ. მუჴი, ლაკ. ჴა - არჩ. მახა "ქერი" (შდრ. ლეზგ. მოხ, მუხ, აღ., თაბ., ბუდუხ. მუხ, კრიწ. მეხ, ხინალუგ. მაჴა, უდ. მუ ← *მუჰ ← *მუხ);

დარგ. მიჴირ - არჩ. მუხირ "მკერდი" (შდრ. ლეზგ. ხურ, აღ., თაბ. მუხურ, წახ. მუხუ, მუხად. მეხერ, კრიწ., ბუდ., ხინალუგ. მახარ, უდ. ა'ჴ-მაწი "გულ-თეთრი ჩიტი"[4]);

ლაკ. ჴუ'რთ, დარგ. ჴა'რ - არჩ. ხ'ერთ "მსხალი" (შდრ. მუხად. ხერ, ხე'რ, წახ. ჭი'-ხა//ჭი-ხა, ჭე-ხა[5], თაბ. ჭი-ხირ..., აღ. ჭე-ხერ, ჩე-ხერ, ლეზგ. ჩუ'-ხვერ, კრიწ. ჭუ'-ჭხურ, ბუდ. ჩუ'-ჭხურ...).

ლაკ. ლაჴი-სბა, დარგ. აჴსი "გრძელი" - არჩ. ლახა-თბუთ "გრძელი", ბეხა-თბუთ "მაღალი" (შდრ. ლეზგ. ყარხი, ყარქი, აღ. ყარხე, თაბ. ყარხი, ... წახ. ხელინ//ხ̄ელინ..., მუხად. ხულიხდე... "გრძელი", უდ. ა'ხი'ლ "შორს", ბოხო "გრძელი"...; ბეჟ. ოხალო, დიდ. ეხორა "გრძელი"...);

---

1 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, გვ.21.

2 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.70.

3 იქვე, გვ.69.

4 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახურ და მუხადურ (რუთულურ) ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაცია - საწერ მანქანაზე ნაბეჭდი), 1965, გვ.167; იხ. აგრეთვე, ამავე შრომის ავტორეფერატი, გვ.20, შენიშვნა 1.

5 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.173.

ლაკ. ჰუნა-სბა, დარგ. ბუჰნა - არჩ. ხალათბუთ "ძველი" (შდრ. თაბ. ა'ხუ'...).

ასეთ შემთხვევაში ლეზგიურ ენებშიც სპირანტები გვხვდება, მაგრამ, როგორც ნ.ტრუბეცკოი შენიშნავს, სუსტი აფრიკატების სპირანტიზაცია აქ, კერძოდ, სამურის ენებში, თანმიმდევრულად არ არის გატარებული.[1] ერთი სიტყვით - ერთნაირი ვითარება არაა ყველა ლეზგიურ ენაში[2]; სუსტი ფშვინვიერი აფრიკატები უცვლელადაა შემონახული ხინალუღურში.[3] დანარჩენ ლეზგიურ ენებში, გარდა უდიურისა, აფრიკატების ნაცვლად სპირანტები უმთავრესად ანლაუტში გვაქვს. უდიურში სპირანტები ძირითადად ბოლოკიდურ პოზიციაში გვხვდება...[4]

ამრიგად, ბგერათა ფარდობების მიხედვითაც არჩიული იმ თავისებურებებს ამჟღავნებს, რაზედაც არაერთხელ მივუთითებდით ზემოთ სხვა საკითხების განხილვისას, კერძოდ, ის ამ შემთხვევაშიც ემიჯნება მეზობელ ხუნძურსა და ლაკურს და ძირითადად მიჰყვება ლეზგიურ ენებს.

| ლეზგიურ ენებში შეინიშნება სიტყვის თავში თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა თ ა ვ მ ო ყ რ ი ს გარკვეული ტენდენცია; შდრ.: ხინალუღ. ფში "ცხენი", ფხ'უ "ხუთი", ფშვა "სამი"...[5]; რუთ. სლაბ (← სჷლაბ ← სჷლაბჷრ) "კბილები" (სჷლი//სილი "კბილი")[6]; ხლუქ (← ხულუქ) "სახელო", სფილ//სიფილ "ხახვი"[7]; წახ. გნეჲ "პური"...[8]; თაბ. ქფხიყუზ "გახსნა (რისიმე სითხეში)"[9], ქჩიქხუზ "გამოღვიძება"... [9]

---

1 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, გვ.91, შენიშვნა 1; მ ი ს ი ვ ე, Die "kurzen" und "geminierten" Konsonanten der awaro-andischen Sprachen, § 15, შენიშვნა 1.

2 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen; R.Lafon, Études basques et caucasiques; Е. Б о к а р е в, Введение ...1961; Сравнит.-ист. лексика, 1971.

3 Б.К. Г и г и н е й ш в и л и, Придыхательные аффрикаты общедагестанского яз., თუშ, I (138), 1971, გვ.70-71.

4 იქვე, გვ.71.

5 Ю.Д. Д е ш е р и е в, Хиналугский язык...

6 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მახვილი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფონეტიკურ-მორფოლოგიური პროცესი ნახურ-რუთულურში, იკე, XIV, გვ.351.

7 Сравнит.-ист. лексика..., გვ.166.

8 Г.Х. И б р а г и м о в, Фонетика цахур. яз., გვ.95.

9 ა. მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი, თაბასარან. ენა, გვ.221, 222.

სიტყვის თავში თანხმოვანთა თავმოყრის მაგალითები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ.ფონეტიკა), დასტურდება არჩიბულშიც. ასე რომ, ის ამ შემთხვევაშიც ლეზგიურ ენებს უდგას გვერდით და არსებითად განსხვავდება მეზობელი ხუნძურისა და ლაკურისაგან.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ლ ე ქ ს ი კ ა ზ ე. სანიმუშოდ განვიხილავთ კიდევ ორმოციოდე სიტყვას – გარდა ნაცვალსახელებისა და რიცხვითი სახელებისა, რომლებიც ზემოთ უკვე იყო გაანალიზებული. არჩიბული სიტყვები განხილული იქნება ლეზგიურ ენათა სათანადო მასალასთან ერთად. შესადარებლად გამოვიყენებთ უმთავრესად ლაკურისა და ხუნძურის მონაცემებს.

არჩ. ქულ "ხელი", "ხელის მტევანი", უდ. ქულ "ხელი", ხინ. ქულ, ქელ, კრიზ. ქელ, ბუდ. ქელ – ხუნძ. ქვერ, ქერ "ხელი", ლაკ. ქვა (შდრ. მრ.რ: ქვარ-დუ).

ლაკურში ისევე, როგორც ხუნძურში, ფუძის ბოლოკიდურად გვაქვს რ: ხუნძური ქვერ, ლაკ. *ქვარ-; შდრ. მრ.რ. ქვარ-დუ.[1] ხუნძური ქერ ფუძისეული ქვ-ს[2] დელაბიალიზაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული: ქვერ → ქერ. ლეზგიურ ენათა შესაბამის ფუძეში ბოლოკიდურად გვაქვს ლ: ქულ, ქელ. ლ გვაქვს ბოლოკიდურად არჩიბულშიც: ქულ.

ლეზგიურ ენათა ორივე ფუძისათვის (ქულ,ქელ) ამოსავლად ივარაუდება *ქველ.

ამრიგად, ერთი მხრით, გვაქვს ხუნძური ქვერ და ლაკური *ქვარ, მეორე მხრით, არჩიბული და ლეზგიურ ენათა სათანადო მასალის საფუძველზე აღდგენილი *ქველ.

არჩ. დილიკ "ღვიძლი"[3], ხინ. დილიკ[4], აღ. ლეკ, თაბ. ლიკ, ლეკ, ლეყ, ლეზგ. ლეყ, ლიყ, რუთ. ლაყ, ბუდ. ლეყ – ხუნძ. ტულ "ღვიძლი",

---

1 Сравнит.-ист. лексика..., გვ.124.

2 იქვე, გვ.124.

3 Е.А. Б о к а р е в, Введение..., გვ.74.

4 Б.Б. Т а л и б`о в, Место хиналугского языка в системе языков лезгинской группы,გვ.286,289.

ტულაკ // ← ტულ-ლაკ ← ტ̄ულ-რაკ (ზ.მაგომედბეკოვა) "გულ-ღვიძლი"[1]; ლაკ. თხილიკ[2] "ღვიძლი", დარგ. დულაკ, დულიკ.

როგორც სტრუქტურულად, ისე ფონეტიკურად სავსებით ერთნაირი და ამავე დროს არქაული ფორმები გვაქვს არჩიბულსა და ხინალუღურში. დანარჩენ ლეზგიურ ენებში წარმოდგენილია მხოლოდ სიტყვის ბოლო ნაწილი. არქაულია აგრეთვე დარგუული ფორმები. არჩიბულ-ხინალუღურ და დარგუულ ფორმებთან შედარებით ცვლილებები განუცდია ლაკურ ფორმასაც.

წარმოშობით არჩ., ხინ., ლაკ. და დარგ. ფორმები - ხუნძ. დულ-ლაკ-ის მსგავსად - კომპოზიტები ჩანს (ღვიძლი + გული). "ღვიძლის" ოდინდელი ფორმა ამ კომპოზიტების პირველ კომპონენტებსა (დილ., დულ-...) და ხუნძ. ტულ (← დ̄ულ)-ში უნდა იყოს დაცული.

არჩ. ო'ნთ... "თავი" (ქალის, ცხოველის...) /შდრ. ნოდო "შუბლი"/, თაბ. უნწ "შუბლი", აღ. უნეწ "წარბი", უდ. ნეთ "წარბი" - ხუნძ. ნოდო "შუბლი"[3], ახვახ. ნოდო "შუბლი", ლაკ. ნეთხა-ბაკ, ნენთხა-ბაკ "შუბლი", დარგ. ანდა, ანთხა "შუბლი".

ო'ნთ (არჩ.) "თავი", უნწ (თაბ.) "შუბლი", უნეწ (აღ.), ნეთ (უდ.) "წარბი" მატერიალურად იგივეა, რაც შუბლის აღმნიშვნელი სიტყვები: ნოდო (ხუნძ.), ნეთხა- (ლაკ.), ანდა, ანთხა (დარგ.)... ამოსავალი ვითარება დაცული უნდა გვქონდეს ხუნძურ, ახვახურ და ლაკურ მასალაში (ნოდო, ნიდო... → ნეთხა). მეტათეზისის შედეგადაა მიღებული დარგუულ-ლეზგიური (არჩ., თაბ., აღ.) ფორმები. არჩიბულში, უდიურში, თაბასარანულსა და აღულურში ძირეული დ ბოლოკიდურ პოზიციაში დაყრუებულა...

---

1 შდრ. Сравн.-ист. лексика..., გვ.122.

2 С.М. Х а й д а к о в, Очерки по лексике лакского языка, გვ.18.

3 N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, გვ.85. Е.А. Б о к а р е в, Введение..., გვ.61; Сравнит.-ист.лексика..., გვ.117; შდრ. იქვე, გვ. 107.

შუბლის აღსანიშნავად არჩიბულს უსესხნია ხუნძური ნოდო, ხოლო ოდინდელი ონთ გამოუყენებია თავის გამოსახატავად.

არჩ. ქარ-ი "თმა"[1], ლეზგ. ქარ, თაბ. ქარ, აღ. ქარ, ხინ. ქარ, რუთ. ქარ, წახ. ქარ, კრიწ. ქერ, ბუდ. ქერ – ხუნძ. რას "თმა", ლაკ. ქარა.

არჩიბული ქარი წარმოშობით მრავლობითის ფორმა უნდა იყოს, სადაც გამოიყოფა ლეზგიურ ენათათვის საერთო ფუძე ქარ- და ფუძეს შეზრდილი მრავლობითობის სუფიქსი -ი.

ლაკურ ფუძეში საერთო-ლეზგიურ ფუძესთან შედარებით მეტია ბოლოკიდური -ა.

არჩ. მუხორ "მკერდი"[2], თაბ. მუხურ, აღ. მუხურ, ლეზგ. ხურ, წახ. მუხუ, მუხ. მჷხჷრ, კრიწ. მახარ, ბუდ. მახარ, ხინ. მახარ – ხუნძ. მეჭედ[3] "მკერდი" (ცხოველის), დარგ. მიჯირი.

ლეზგიურში ფუძეს აკლია თავკიდური მუ-, წახურში – ბოლოკიდური რ. შაჰდაღის ჯგუფის ენებში ფუძის ორივე ხმოვანი ა არის, დანარჩენ ლეზგიურ ენებში – უ (→ ჷ). არჩიბული ლეზგიური ენების (წახ., თაბ., აღ. ...) უ-ხმოვნიან ფორმებს მიჰყვება.

სხვა ფუძეებია ხუნძურსა და დარგუულში.

არჩ. მამ "ძუძუს თავი", "მკერდი" (ქალისა), ლეზგ. მამ "ძუძუს თავი", "მკერდი"; "ცური", თაბ. მემე..., კრიწ. მა'მ, ბუდ. მამ – ხუნძ. მამა "მკერდი" (ქალისა), დარგ. მამა.

მამ ფუძე დასტურდება – ლეზგიურში, ბუდუხურში, კრიწულსა და არჩიბულში. მემე გვაქვს თაბასარანულში, მამა – ხუნძურსა და დარგუულში.[4]

---

1 Б.Б. Т а л и б о в, Место хиналугского языка, გვ. 296; Сравнит.-ист. лексика..., გვ. 105.

2 Е.А. Б о к а р е в, Введение..., გვ. 78; Б.Б. Т а л и б о в, Место хиналугского языка, გვ. 285, 296; Е.Ф. Д ж е й р а н и ш в и л и, Основные вопросы фонетики и морфологии цахского и мухадского... языков (Автореферат), გვ. 20; Сравнит.-ист. лексика... გვ. 107.

3 Т.Е. Г у д а в а, Консонантизм андийских яз., გვ. 113.

4 Сравнит.-ист. лексика, გვ. 108.

არჩ. აქხინ "სინათლე", ლეზგ. ექვ, თაბ. აქვ, რუთ. ჲაქვ - ხუნძ. ქან "სინათლე", ლაკ. ჩანი (← *ქა'ნი).[1]

გამოიყოფა საერთო-დაღესტნური ძირეული თანხმოვანი[2], რომელსაც ხუნძურში, ლაკურსა და არჩიბულში მოსდევს ხმოვანი და სონორი ნ̲. ლეზგიურ ენებში ამ თანხმოვნის წინ ხმოვანია, მომდევნოდ კი - ლაბიალური ელემენტი ვ̲. ძირეული თანხმოვნის წინ ხმოვანი გვაქვს არჩიბულშიც. აქ, ლეზგიური ენების მსგავსად, ლაბიალური ელემენტიც უნდა გვქონოდა, რაზედაც ხმოვანი ო̲ მიუთითებს. ლაკურსა და ხუნძურში, ლეზგიური ენებისა და არჩიბულისაგან განსხვავებით, არა გვაქვს შემონახული არც თავკიდური ხმოვანი და არც ლაბიალური ელემენტი.

არჩ. კან "ძირი", "ფსკერი", ლეზგ. კან, თაბ. კან, აღ. კან, ხინ. კან[3], წახ. კან, ყან, მუხად. (რუთ.) ყან, კრიწ. ყან, ბუდ. ყან - ხუნძ. ტინო "ძირი", ლაკ. ჭან (← *კ̲ან).[4]

ლეზგიურ ენებში კ̲-თანხმოვნიანი ფუძეების პარალელურად გვაქვს ყ̲-თანხმოვნიანი ფუძეებიც: კან//ყან. ასეთი განსხვავება წახურ-მუხადურში, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი[5], დასტურდება დიალექტებს შორისაც; მაგ.: წახ. კან, გილმიწ. ყან "ფსკერი"... (შდრ. აგრეთვე წახ. ოკ, მიქიქ. ოკ̣, გილმიწ. ოყ, რუთ. უყ... "ბალახი"; წახ. ვუკულ, გილმიწ. ვუყულ, რუთ. ჰუყულ... "თავი"...).[6] არჩიბული კან სავსებით ემთხვევა ლეზგიურ ენათა კ̲-თანხმოვნიან ფუძეებს.

არჩ. კუნ "ფქვილი", ხინ. კუნ "ფქვილი", "ალაო", ლეზგ. კი..., წახ. კ̣[7] - ხუნძ. ტი "ალაო", ახვახ. ტ'ინი, კარატ. ტ'ინ, დიდ. ტხე, ლაკ. ინიკმა "ფქვილი".

---

1 Е.А. Б о к а р е в, Введение..., გვ.63.

2 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.63; შდრ. ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, საერთო დაღესტნური ფუძე-ენის ხშულ-შსკდომ თანხმოვანთა სისტემა (რუსულ ენაზე), გვ.186.

3 Б.Б. Т а л и б о в, Место хиналугского языка..., გვ.289;300.

4 Сравн.-ист. лексика..., გვ.184.

5 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, წახური და მუხადური (რუთული) ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაცია),გვ.143.

6 იქვე, გვ.143.

7 Сравн.-ист. лексика..., გვ.207-208.

არჩიბული ფუძე განსხვავდება შესატყვისი ხუნძური (ახვახ., კარატ.; დიდ.) და ლაკური[1] ფუძეებისაგან და ემთხვევა ხინალუღურ კუნ-ს.

არჩ. ტუმულ "ყურძენი", წახ.-მუხად. ტუმულ, ტლმლ[2], თაბ. ტუმტარ[3], ტუმუტ[4], აღ. ტიბიტ, ტივიტ, უდ. ტულ – ხუნძ. ჭბიბილ, ლაკ. ტუტი.

არჩიბული სახელი მიჰყვება ლეზგიურ ფორმებს; აგებულებით ის სავსებით ემთხვევა წახურ-მუხადურ სათანადო სახელს.

არჩ. ნაწ "ტილი", წახ. ნაწ, უდ. ნეწ, ხინ. ნიმწ, თაბ. ნეც – ხუნძ. ნაწ[5], ლაკ. ნაწ.

თავკიდური წ̲ ყველა ენაშია წარმოდგენილი. ხუნძური წბ-ს შესატყვისად ლაკურში, არჩიბულსა და ლეზგიური ენების ერთ ნაწილში(წახ., უდ., ხინ...) დასტურდება წ̲, თაბასარანულში – ცბ.

წახური და არჩიბული ფორმები ერთმანეთს ემთხვევა: ნაწ (შდრ. აგრეთვე წახ., არჩ. ნატ "წილი").

არჩ. ნატ "წილი", ლეზგ. ნეტ "წილი"(შდრ. ნეთ "ტილი", ერგ. ნეტ-რე, მრ.რ. ნეტ-ერ), აღ. ნეტ "წილი" (შდრ. ნეთბ "ტილი"),თაბ. ნიტი (← *ნეტი), ნიტ[6], რუთ. ნეტ, წახ. ნატ-, უდ. ტე.

არჩიბულში და ლეზგიური ენების ნაწილში ფუძე თანხმოვნების მიხედვით საერთოა. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ხმოვნები. ა̲ გვაქვს არჩიბულსა და წახურში, ე̲ – დანარჩენ ლეზგიურ ენებში. სხვა აღნა-

---

1 С.М. Х а й д а к о в, Очерки по лексике лакского языка, გვ.21.

2 ევგ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრ., გვ.192; იხ. აგრეთვე, ამ შრომის ავტორეფერატი, გვ.21.

3 ს. ხ ა ი დ ა კ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.15.

4 Сравн.-ист. лексика..., გვ.161.

5 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, გვ.85; R.Lafon, Études basques et caucasiques, გვ.35; Е.А.Б о к а р е в, Введение..., გვ.71; Т.Е. Г у д а в а, Консонантизм андийских языков გვ.104; Сравн.-ист. лексика..., გვ.150-151.

6 Сравн.-ист. лексика..., გვ.151.

გობა აქვს ამ სიტყვას ლაკურსა და ხუნძურში (შდრ. არჩ. ნატ - ლაკ. ტუ, ხუნძ. ⌈ნაჭიღ⌉ ტიპა)...

არჩ. დოგი "ვირი", აღ. და'გი, თაბ. დაჯი - ლაკ. თხუქხუ, ხუნძ. ჰხამა.

თაბ. დაჯი ← *დაგი: ი-ს წინ გ → ჯ. ხმოვანთაგან ა გვაქვს თაბასარანულში, ფარინგალიზებული ა' - აღულურში. მათი ფარდი არჩიბულში ო ხმოვანია. ბოლოკიდური დ საერთოა სამივე მონაცემისათვის.

ყურადღებას იქცევს ლაკური თხუქხუ, რომელიც კანონზომიერად შეესატყვისება არჩიბულ დოგი-ს: არჩ. დ - ლაკ. თხ (პრერუპტივი), არჩ. გ - ლაკ. ქხ (შდრ. არჩ. დილიკ "ღვიძლი" - ლაკ. თხილიკ; არჩ. დალა "ბოძი" - ლაკ. თხალა... არჩ. გურგი//გურქხი "მრგვალი" - ლაკ. ქხურქხი; არჩ. გენუქ "კვერცხი" - ლაკ. ქხუნუქ...). სხვა წარმოშობის სიტყვაა ხუნძური ჰხამა "ვირი".

არჩ. ფო'მფ "მუხლი", უდ. ფო'ფნიკ "ქუსლი"...

უდიურ ფორმაში გამოიყოფა ფუძეს შეზრდილი -იკ[1] სუფიქსი. (შდრ. უდ. კატ-იკ "სასა", "ნაქი", ბიბ-იკ "ბიბილო" (ყურისა), პო'პნ-იკ, ქო'ქნ-იკ "იდაყვი").[2] ფო'ფნ- და ფო'მფ (← *ფოფნ) წარმოშობით ერთი და იგივე ფუძეები უნდა იყოს.

სიტყვას მნიშვნელობა, როგორც ფუძეს შეზრდილი კნინობითობის -იკ სუფიქსი მიგვანიშნებს, უდიურში უნდა ეცვალა: ფო'ფნ "მუხლი" - ფო'ფნიკ "პატარა მუხლი", "ქუსლი".

არჩ. ხ'ო'ნ "ძროხა", "ფური", თაბ. ხ'უნი, აღ. ჰხანი, უდ. ხუნი "დედალი" (საერთოდ) - ხუნძ. აქა "ძროხა", ლაკ. ო'ლ.

არჩიბულისა და თაბასარანულის ფარინგალიზებული ხ'-ს შესატყვისად უდიურში გვაქვს ხ, აღულურში - ჰხ. ხმოვნები (ო' და უ) არჩიბულსა და თაბასარანულში ფარინგალიზებულია, აღულურსა და უდიურში -

---

1 ევ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდიური ენა, გვ.27.
2 იქვე, გვ. 246-247.

არა. ბოლოკიდური საერთო ი̲ არჩიბულში მოკვეცილი უნდა იყოს (შდრ. არჩ. დოგი "ვირი" - თაბ. დაχი, აღ. და'გი).

ძროხის აღსანიშნავად ხუნძურსა და ლაკურში სულ სხვა სიტყვები გვაქვს.

არჩ. ხ'ორ "სოფელი", ლეზგ. ხუ'რ, აღ. ჰბურ, ჰბუ̈რ..., ნახ. ხივ, თაბ. ღულ (← *ხ'ულ)[1] - ლაკ. შბარ "სოფელი".

არჩიბული სახელი - ლეზგიურ ენათა სათანადო მონაცემებთან ერთად - უპირისპირდება როგორც შესატყვის ლაკურ ფუძეს, ისე ხუნძურ როსო-ს ("სოფელი"). ის კანონზომიერად შეესატყვისება ლეზგიურ ენათა მონაცემებს (შდრ. აგრეთვე არჩ. ხ'ო'ნ "ძროხა" - აღ. ჰბანი).

არჩ. ჴონკ "ხინკალი"; მრ.რ. ჴონკ-არ-თბუ (ა.დირი)//ჴონკირ-თბუ, ლეზგ. ხინკ-არ - ხუნძ. ხინკ; მრ.რ. ხინკალ, ჰინუხ. ჴოკო, ლაკ. ხბუნკ.

არჩიბული სიტყვის ფუძე ჴონკ-არ-//ჴონკ-ირ-, რომელიც თავს იჩენს მრავლობით რიცხვში, აგებულებით ყველაზე ახლოს ლეზგიურ ფორმასთანაა - ხინკ-არ; ორივეს აქვს -არ ელემენტი, რომელიც ლეზგიურ ენებში ფართოდ გავრცელებული მრ.რიცხვის -არ აფიქსი უნდა იყოს. არჩიბული ფორმის -თბუ აგრეთვე მრავლობითის ფორმანტია; ასე რომ, ჴონკ-არ-თბუ//-ჴონკ-ირ-თბუ მრავლობითობის ორ აფიქსს შეიცავს - -არ-ს (ძველსა) და თბუ-ს (გვიანდელს); შდრ. მხ.რ. ჴონკ - მრ.რ. ჴონკ-არ-თბუ//ჴონკ-ირ-თბუ.

თავკიდურად ჴ̲ მხოლოდ არჩიბულში დასტურდება. სხვა ენებში ხ̲ ან ხ̲ბ გვაქვს.

არჩ. ლო "ბავშვი", "ნაშიერი", კრიწ. ლა'ჰ "ხბო", ბუდ. ლა'ჰ "ხბო", ხინ. ლეჴ-ეზ, ლეჴ-ერ "ხბო"[2] (შდრ. ლაჰანუ "აკვანი")[3] - ხუნძ. ლ'იმერ "ბავშვი", ლაკ. ო'რჭ "ბავშვი".

---

1 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.77...

2 Б.Б. Т а л и б о в, Место хиналугского языка..., გვ.286.

3 იქვე, გვ.287.

ჰ̲ არჩიბულში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ვერ ძლებს:[1] ლო ← *ლოჰ (შდრ. ერგ. ლაჰ-ა ← *ლოჰ-ა). *ლოჰ კანონზომიერად შეესატყვისება კრიწულ-ბუდუხურ ლა'ჰ-ს. ყურადღებას იქცევს, რომ არჩიბული ო̲-ს ბადლად კრიწ. და ბუდ. გვაქვს ფარინგალიზებული ა̲' (შდრ. არჩ. დო-გი "ვირი" - აღ. და'გი).

არჩ. ხალ "სორო", "ბუნაგი" (შდრ. ნოკ' "სახლი"), აღ. ხალ "სახლი", მუხად. (რუთ.) ხალ "სახლი"[2], წახ. ხავ "სახლი" - ხუნძ. ქარატ "სორო", ლაკ. ქხუტ "სორო"; ცუმა "ბუნაგი".

არჩიბულში სახლის აღსანიშნავად იხმარება ნოკ'.[3] ეს სიტყვა ეკუთვნის არჩიბულის იმ ენობრივ ფენას, რომელიც მას აკავშირებს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებთან, ხალ კი - "ბუნაგი", "სორო", რომელიც აღულურში, თაბასარანულსა და წახურ-მუხადურში სახლს აღნიშნავს, არჩიბულს ლეზგიურ ენათა რიგში აყენებს.

არჩ. მაჭა- "ბნელი", ლეზგ. მიჭი, თაბ. მიჭი, აღ. მიჭი, მუჭი-, ბუდ. მიჭი, კრიწ. მიჭა-, რუთ. მიჭა-, წახ. მიჭა'-, ხინ. მიჭა "შავი"[4] - ლაკ. მურჭი "ბრმა"[5], ხუნძ. ჭეჯერ "შავი".

ერთნაირი აღნაგობის ფუძეები დასტურდება ლეზგიურ ენებში. ფუძისეული მ̲ და ჭ̲ ყველა ენაშია წარმოდგენილი. ასევეა არჩიბულშიც.

ლაკურში ფუძე განსხვავებულია - მ̲-სა და ჭ̲-ს გარდა ფუძეში რ̲ თანხმოვანიცაა, და მნიშვნელობაც. სულ სხვა აღნაგობის ფუძე გვაქვს ხუნძურში.[6]

არჩ. ჭინ "რწყილი", წახ. ჭინ, უდ. ინ, კრიწ. ჭიდ, ბუდ. ჭიდ, აღ. ჭიდ, ჭურ, თაბ. ჭუდ, ჭურ, ლეზგ. ჭით, ჭუთ, რუთ. ჭით, ხინ. ჭუთ - ხუნძ. ჭეტ "რწყილი", ლაკ. ჭიტ "ბაღლინჯო".

---

1 Н.С. Трубецкой, Основы фонологии, 1960, გვ.318.

2 ევ. ჯეირანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.177.

3 ტ. გუდავა, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ტ' ლატერალის გენეზისისა და ქართულ ენაში მისი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ, იკე, VI, გვ.58; Сравн.-ист. лексика..., გვ.197.

4 Сравн.-ист. лексика..., გვ.226.

5 Е.А. Бокарев, Введение..., გვ.73.

6 Т.Е. Гудава, Консонантизм андийских языков, გვ.71, შენიშვნა 3.

თითქმის ყველა დაღესტნის ენაში[1] ფუძეს თავში მოუდის ჭ. ლეზგიურ ენებში[2] ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნებია: -ღ, -დ (← *ღ), -ნ და -რ. ამავე ენებში ფუძისეული ხმოვნებია ი და უ. ნ-ზე დაბოლოებული ფუძეები დასტურდება – ნახურში, უდიურსა და არჩიბულში. ნახური და არჩიბული სახელები ერთმანეთს ემთხვევა: ჭინ. როგორც ვარაუდობენ, ეგევე ფუძე უნდა ჰქონდა უდიურსაც: ის ← *ჭინ.[3]

განსხვავებული ფუძეები გვაქვს ხუნძურსა და ლაკურში: ორივეგან ფუძე ც-ზე ბოლოვდება. ხუნძურში ის ე-ხმოვნიანია, ლაკურში – ი-ხმოვნიანი.

არჩ. მაჩ "ჭინჭარი", ლეზგ. მიχ "საჭმელი ბალახი"...[4], აღ. მიχვ[5], ნახ. მაχ "ძღერძი", კრიწ. მაʻχ "ჯინჭარი", ბუდ. მაʻχ, თაბ. ვეჩხი, ვარჯი.... უდ. მეჭ, ხინ. მცჭ – ლაკ. მეჭ "ჭინჭარი", ხუნძ. მიჭბ; დიდ. მეჩა.

თავკიდური თანხმოვანი ყველგან მ- არის, გარდა თაბასარანულისა, სადაც მ → ვ. ბოლოკიდური თანხმოვანი აფრიკატია: ლაკურში – ჭ, ხუნძურში – ჭბ, დიდოურსა და არჩიბულში – ჩ, ლეზგიურ ენებში – χ ან ჭ (უდ., ხინ.). ასეთ შემთხვევაში ამოსავლად ვარაუდობენ χ-ს.[6]

თავკიდურ და ბოლოკიდურ χ-ს არჩიბულში ჩ უნდა მიეცა (არჩ. ჩარ-ას ← *χარ-ას "ცხობა" – ნახ. ჰე-χეს, ლეზგ. ჩხურუნ "ცხობა"...[7] ოʻჩ ← *ოχ "კუდი" – თაბ. რიχ, აღ. რუχ, რუთ. χუბურ, უდ. ოχოლ "დუმა", "კუდი"), ხმოვანთა შორის მოქცეულ χ-ს კი ჭ (არჩ. მოჭორ "წვერი" – აღ. მუχურ, თაბ. მიχირი "წვერი"...). ასე რომ, არჩიბული მაჩ (← *მაχ) უშუალოდ ლეზგიურ ენათა χ-თანხმოვნიან ფუძეებს უნდა უკავშირდებოდეს.

---

1 ევ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.61; ტ. გ უ დ ა ვ ა, დასახ.ნაშრ., გვ.131...; Сравн.-ист. лексика..., გვ.149.

2 ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.296.

3 ილ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, მეხუთე ლატერალური თანხმოვნის შესატყვისობისათვის უდიურში, იკე,XIV,გვ.361; იხ. აგრეთვე შენიშვნა 23.

4 ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ.ნაშრ., გვ.285;298.

5 Сравн.-ист. лексика... გვ.165.

6 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, გვ.89-90; ევ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ.ნაშრ.,გვ.71-72; ბ.გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დაღესტნის ფუძე-ენის მჟღერი აფრიკატები, მაცნე, I,1967, გვ.206-208; შდრ. R.Lafon Études basques et caucasiques, გვ.37.

7 N.Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, გვ.89.

არჩ. მოყორ//მუყორ "წვერი"[1], აღ. მუχურ, თაბ. მიχირი, მუჩბერი ... წახ. მუχრუ, მუყრუ... კრიწ. იχინ, χირი, ჩბირი, ლეზგ. ჩბურუ (← *χურუ)[2], ხინ. მეჩეშ (← *მეჩეზ ← *მეჩერ)[3], რუთ. მიყრი, ბუდ. მიყერ – ხუნძ. მეგეჟ, ლაკ. ყირი.

ლეზგიურ ენებში თავკიდური მ- გვაკლია კრიწულსა და საკუთრივ ლეზგიურში, ფუძისეულ χ-ს პარალელურად დასტურდება – ყ, ჩბ და ჩ. არჩიბულ ფუძეში ინტერვოკალური *χ → ყ. მოყორ//მუყორ ლეზგიურ ენათა ფუძეებს უნდა უკავშირდებოდეს.

ხუნძურსა და ლაკურში სხვა ფუძეები გვაქვს.

არჩ. გვაჩი[4] "ძაღლი", ლეზგ. ქაჩ[4] "ძუკნა", თაბ. ქაჩ, აღ. ქაჩ, რუთ. ქუჩ[5], წახ. გაჩ, გოχა, კრიწ. ქაჩ, ბუდ. ქაჩ, ხინ. ქაჩ – ხუნძ. გვაჟი "ძუკნა", ლაკ. ქბვაჩბი "ძაღლი", დარგ. გვაχა "ძუკნა".

ლეზგიურ ენებში არქაული ფუძე შემოუნახავს წახურს (უფრო ძველი ჩანს დარგუული გვაχა). დანარჩენებში გაფშვინიერებულა როგორც თავკიდური გ, ისე ბოლოკიდური χ. არჩიბულში – წახურის მსგავსად – უცვლელადაა შემონახული გ, ცვლილა – -χ: χ → ჩ. ხმოვანი ი ფუძეს χ-ს დაყრუების შემდეგ უნდა დართოდა, შესაძლებელია, ლაკური ქბვაჩბი-ს და ხუნძური გვაჟი-ს გავლენით.

არჩ. ბაც "მთვარე", ლეზგ. ვარძ; ვარზ, წახ. ვარძ., ვაზ, თაბ. ვაძ, ვაზ, ვარზ, კრიწ. ვაძ, ვა'ზ, აღ., რუთ. ვაზ, ბუდ. ვოზ, ხინ. ვაწ[6] – ხუნძ. მოწბ "მთვარე", "თვე", დიდ. ბუცი, ლაკ. ბარზ, დარგ. ბაძ.

---

1 R. Lafon, Études basques et caucasiques, გვ.36; ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.285;296; ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.73-74; С.М. Х а й д а к о в, Очерки по лексике лакского языка, გვ.19; Сравн.-ист. лексика..., გვ.104.

2 რ. ლ ა ფ ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ.36.

3 ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.285.

4 ევგ. ბ ო კ ა რ ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.62; ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დაღესტნური ფუძე-ენის მჟღერი აფრიკატები, მაცნე, 1967, გვ. 208.

5 Сравн.-ист. лексика..., გვ.159; В.И. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, I,505.

6 ბ. თ ა ლ ი ბ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ.293;300.

ლეზგიურ ენებში თავკიდური ძ → ვ. ბოლოკიდური ძ-ს პარალელურად გვხვდება ზ: *ძ → ზ. ხინალუღურში *ძ → წ. გარდა ამისა, ზოგიერთ ლეზგიურ ენაში ფიგურირებს ჲ-ც, რომელიც ლაკურშიც დასტურდება. არჩიბულში ძ უცვლელადაა შემონახული, ხოლო ძ-ს კანონზომიერად მოუცია ც.[1] სხვა მონათესავე ენებიდან ც გვხვდება დიდოურ ენებში. ამავე ენებში უცვლელადაა შემონახული თავკიდური ძ.

არჩ. მაც "ენა", ლეზგ. მეძ, მეზ, თაბ. მელძ, მილზ, აღ. მეზ, რუთ. მიზ, წახ. მიზ, კრიწ. მეზ, ბუდ. მეზ, უდ. მუზ, ხინ. მიწ. - ხუნძ. მაწჰ, დიდ. მეც, ლაკ. მაზ, დარგ. მეძ, მეზ....

დაღესტნის ყველა ენაში ფუძე ზ-თი იწყება. ლეზგიურ ენათა უმეტესობაში ბოლოკიდური *ძ → ზ. ხინალუღურში *ძ → წ. არჩიბულში *ძ → ც.[2] ფშვინვიერი აფრიკატი ც დასტურდება დიდოურ ენებშიც.

